თამარ ბაგრატია და მედეა ბადაშვილი / დავით ჯიჯელავა / ირაკლი ხმალაძე

შიდაპარტიული დემოკრატია და ადგილობრივი თვითმმართველობა

Netherlands Institute for
Multiparty Democracy
საქართველოს წარმომადგენლობა

შიდაპარტიული დემოკრატია და ადგილობრივი თვითმმართველობა

1 შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარება გენდერულ პერსპექტივაში
თამარ ბაგრატია და მედეა ბადაშვილი

2 ახალგაზრდების განვითარება საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში: პარტიის რესურსების გამოყენების გზების ძიება
დავით ჯიჯელავა

3 მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტირების პროცესში
ირაკლი ხმალაძე

პოლიტიკის დოკუმენტები გამოიცა NIMD-ის საკანონმდებლო რეფორმების პროგრამის ფარგლებში. დოკუმენტები წარმოადგენს ავტორების მოსაზრებებს და არ გამოხატავს NIMD-ის მოსაზრებებს ან პოზიციას.

NIMD
ნიდერლანდების ინსტიტუტი
მრავალპარტიული დემოკრატიისთვის

შინაარსი

წინასიტყვაობა 4
ლევან ცუცქირიძე

1 შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარება გენდერულ პერსპექტივაში
თამარ ბაგრატია და მედეა ბადაშვილი 7
შესავალი 8
პოლიტიკური პარტიების შიდა დემოკრატიის ანალიზი გენდერულ ჭრილში 10
საარჩევნო პროცესი და გენდერული ასიმეტრია 16
საარჩევნო სისტემის გავლენა ქალთა წარმომადგენლობაზე არჩევით ორგანოებში 21
გენდერული კვოტები: გაურკვეველი შიშები და ბუნდოვანი იმედები 23
ქალი ამომრჩევლები და ელექტორალური ქცევის გენდერული თავისებურებები 30
დასკვნები და რეკომენდაციები 33

2 ახალგაზრდების განვითარება საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში: პარტიის რესურსების გამოყენების გზების ძიება დავით ჯიჯელავა 43
შეჯამება 44
მეთოდოლოგია 47
ახალგაზრდობის მონაწილეობა პოლიტიკაში და პარტიებში გაწევრიანების ტენდენციები: საერთაშორისო გამოცდილება 49
ახალგაზრდობის მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში 51
ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში 59
დასკვნები და რეკომენდაციები 64
ბიბლიოგრაფია 66
დანართი: რესპონდენტთა ჩამონათვალი 68

3 მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტირების პროცესში ირაკლი ხმალაძე 71
შეჯამება 72
შესავალი 77
თვითმმართველობის ერთეულების საბიუჯეტო პროცესის ზოგადი მიმოხილვა 79
თვითმმართველობის შემოსულობების ძირითადი წყაროები 82
თვითმმართველობის გადასახდელების ძირითადი მიმართულებები 85
კვლევა: მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტირების პროცესში ქალაქ რუსთავის მაგალითზე 87
პოლიტიკის რეკომენდაციები – როგორ გავზარდოთ მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტირების პროცესში 93
გამოყენებული ლიტერატურა 105

კოლოფონი 108

წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითხველო,

მოხარულნი ვართ წარმოგიდგინოთ ნიმდ-ის პოლიტიკის ნარკვევთა კრებული, რომელიც 2011 წელს მომზადდა. ეს ნარკვევები შიდა პარტიული დემოკრატიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის იმ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს განიხილავს, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის.

ნარკვევი ქალთა პოლიტიკურ პარტიებში მონაწილეობის შესახებ, რომელიც თამარ ბაგრატიამ და მედა ბადაშვილმა მოამზადეს, მიმოიხილავს პოლიტიკური პარტიების წესდებებსა და ორგანიზებას, მათ საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმებსა და გადაწყვეტილებათა მიღების წესებს გენდერული პერსპექტივით. ნაშრომი აანალიზებს ქალთა თანამონაწილეობას როგორც პარტიულ, ასევე ეროვნულ და ადგილობრივ მმართველობისა და თვითმმართველობის ინსტიტუტებში და საინტერესო, დამაფიქრებელ მოსაზრებებს გვთავაზობს. ძირითადი პარტიული გადაწყვეტილებები არ უზრუნველყოფენ ქალთა თანაბარ ჩართულობას ორგანიზაციულ საქამიანობაში, ზოგადად კი, ქალებისათვის უფრო და უფრო რთული ხდება პოლიტიკაში თანამონაწილეობა. საქართველოში, სადაც ამ მხრივ ისედაც არასახარბიელო ვითარებაა, განუხრელად ეცემა ქალთა ჩართულობა პოლიტიკასა და პოლიტიკურ პარტიებში. ვითარების გამოსასწორებლად, ავტორები საინტერესო, გამოცდილ და ეფექტურ მიდგომებს გვთავაზობენ.

დავით ჯიჯელავა, ნარკვევში ახალგაზრდობისა და პოლიტიკის შესახებ განიხილავს თუ რა როლს ასრულებენ ახალგაზრდები პოლიტიკურ პარტიებში. მისი ანალიზი, რომელიც სტატისტიკურ მონაცემებსა და კვლევებს ეყრდნობა, საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს იმის თაობაზე თუ რა ტენდენციებია ახალგაზრდობის პოლიტიკასა და პარტიებში მონაწილეობის მხრივ. ახალგაზრდების მონაწილეობა, მსგავსად ქალთა მონაწილეობისა პოლიტიკაში, განუხრელად ეცემა და მხოლოდ რევოლუციური მოვლენების დროს თუ იმატებს. ნარკვევის მიხედვით, ამჟამინდელ პარლამენტის წევრთა მხოლოდ 21%-ს აქვს პარტიული პოლიტიკის გამოცდილება და მხოლოდ 4%-ს აქვს რაიმე გამოცდილება პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციებში საქმიანობისა. შესაბამისად, ისედაც შესუსტებული პოლიტიკური აქტივიზმის ფონზე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პარტიული და ამ შემთხვევაში, ახალგაზრდული პოლიტიკური საქმიანობა არ არის გადამწყვეტი პოლიტიკურ კარიერაში წარმატების მისაღწევად. ამ მხრივ, შესაძლოა საქართველოს პოლიტიკური სისტემა იდგეს ახალგაზრდების პოლიტიკისაგან გაუცხოვების საფრთხის წინაშე, რაც არ იქნება სასარგებლო საქართველოს კონსოლიდირებულ დემოკრატიად ჩამოყალიბებისათვის.

დასასრულს, ირაკლი ხმალაძე ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არსებულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას მომოიხილავს და საინტერესო რჩევებს გვთავაზობს, თუ როგორ შეიძლება უფრო უკეთ ჩავრთოთ მოსახლეობა ადგილობრივ თვითთმართველობაში და ამით გავზარდოთ მისი გამჭვირვალობა, ეფექტურობა და ადგილობრივ ხელისუფალთა პასუხისმგებლობა ამომრჩევლების მიმართ. ნარკვევი მოქმედებათა რამოდენიმე ჯგუფს გამოყოფს, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუჯეტების გამჭვირვალობის ზრდას და შესაბამისად, მათი შეფასების გაიოლებას; ნაბიჯებს, რომლებიც შეიძლება გადაიდგას რესურსების უფრო სამართლიანად განაწილებისათვის და ღონისძიებებს, რომელთა საშუალებითაც ინფორმაცია ადგილობრივი ფინანსების შესახებ უფრო ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის. ის რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები, რომელთაც ნაშრომი გვთავაზობს, წარმოადგენს პრაქტიკულ, სამოქმედო წინადადებებს იმის თაობაზე თუ როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ დღვანდელი, უკვე არსებული სისტემა, რითაც უფრო ეფექტურად და სამართლიანად განაწილდებოდა საჯარო რესურსები.

ის სამი საკითხი, რომელთაც წინამდებარე ნარკვევები განიხილავენ დემოკრატიის საფუძვლებს წარმოადგენენ. ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის გარეშე, პოლიტიკას ახალი, ინოვაციური იდეები და დინაზმი მოაკლდება; თანასწორი შესაძლებლობების გარეშე, როგორც მამაკაცების, ისე ქალბატონებისთვის, ნებისმიერი სისტემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ჯგუფს დატოვებს პოლიტიკისადმი ინტერესის გარეშე და ამით შეასუსტებს მისდამი ნდობასა და შესაბამისად, მის ხარისხს; ადგილობრივი თვითმმართველობა დემოკრატიების ფუნდამენტია. მათი ეფექტურობა, მათი მომსახურების ხარისხი განაპირობებს ქვეყნის საერთო პოლიტიკური სისტემისადმი მხარდაჭერასა და ნდობას. ის გამოწვევები, რაც ამ ნარკვევებშია ასახული ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს. ის შესაძლებლობები, რასაც ისინი გვთავაზობენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

დასასრულს, ვიმედოვნებ, რომ ეს პუბლიკაცია ნიმდ-ის კიდევ ერთი წვლილი იქნება საქართველოს პროგრესის მხარდასაჭერად უფრო დაბალანსებული, მაღალი თანამონაწილეობისა და ნამდვილი მრავალპარტიული დემოკრატიის შექმნის გზაზე. ისეთი დემოკრატიისა, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს უფრო ეფექტურად და სამართლიანად მოემსახურება.

მადლობას ვუხდით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისს და უშუალოდ ბატონ მარჩინ ვალეცკის ავტორებისთვის გაწეული რეცენზიის და კომენტარებისთვის.

პატივისცემით, ლევან ცუცქირიძე, ნიმდ-ის წარმომადგენელი საქართველოში

შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარება გენდერულ პერსპექტივაში

თამარ ბაგრატია და მედეა ბადაშვილი

შესავალი

პოლიტიკური პარტიები დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური ურთიერთობების უმთავრეს სუბიექტებს წარმოადგენენ. საქართველოს მრავალპარტიულ სისტემას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რაც თავის მხრივ პოლიტიკური პარტიების სპექტრის ხშირ ცვლილებებს განაპირობებს. საქართველოში ოფიციალურად 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული, მათგან აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ მცირე ნაწილი მონაწილეობს. საზოგადოების ინფორმირებულობის დონე პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობის შესახებ ძალიან დაბალია.

პოლიტიკურ პარტიებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ სოციალური სამართლიანობისა და ისეთი დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების პროცესში, როგორებიცაა - გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებების დაცვა. საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები აღიარებენ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობას და სურვილს გამოთქვამენ, ხელი შეუწყონ ქალთა დაწინაურებას პარტიულ სტუქტურებში. თუმცა, არსებობს მთელი რიგი წინააღმდეგობები და გადაუჭრელი ამოცანები, რაც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დაბალ დონეს განაპირობებს.

მეცნიერი დალერაპი ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის აუცილებლობის რამდენიმე მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოგვიდგენს[1]:

- ქალები მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენენ და უფლება გააჩნიათ მანდატების ნახევარს ფლობდნენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ ყველა დონეზე (ე.წ. სამართლიანობის არგუმენტი).

- ქალებს და მამაკაცებს განსხვავებული გამოცდილება გააჩნიათ, რომელიც სოციალურად არის კონსტრუირებული და ამიტომ ქალები აუცილებლად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი პოლიტიკაში (ე.წ. გამოცდილების არგუმენტი).

- ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ და კაცებს არ შეუძლიათ ქალთა ინტერესების წარმოდგენა (ე.წ. ინტერესთა ჯგუფის არგუმენტი).

შესაბამისად, პოლიტიკაში თანაბარი მონაწილეობა სქესთა თანასწორობას, პოლიტიკური მოწყობის ლეგიტიმიზაციას და ადამიანური რესურსების ეფექტურ გამოყენებას, განსხვავებული ინტერესებისა და პოლიტიკური კონცეფციების შეჯერებას უწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საზოგადოებრივი აზრი ქალთა პოლიტიკაში გააქტიურებასთან დაკავშირებით თანდათან პოზიტიურად იცვლება და ქალები პოლიტიკური მობილიზაციის სხვადასხვა ფორმებით საკუთარი უფლებების რეალიზაციას ახდენენ, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით კვლავაც მნიშვნელოვანი პრობლემები შეინიშნება - ქალები მინისტრთა კაბინეტში 15,7%-ს, პარლამენტში 6%-ს, ხოლო

[1] Dahlerup, Drude. 1978. "Women's Entry into Politics. The Experience of the Danish Local and General Elections 1908–20." *Scandinavian Political Studies*, Vol. 1, nos. 2–3, p 139-140

ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებში მხოლოდ 10,5%-ს შეადგენენ.

პოლიტიკურ ინსტიტუტებში ქალთა წარმომადგენლობაზე გავლენას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, ასევე სხვადასხვა სუბ-ფაქტორების ერთობლიობა ახდენს, შესაბამისად, მსოფლიო პრაქტიკა გენდერული თანასწორობის მიღწევის მრავაფეროვან მეთოდოლოგიას იცნობს, რომელიც დამოკიდებულია ქვეყნის სპეციფიკაზე, სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის თავისებურებებზე, საზოგადოების განვითარების დონეზე.

თანამედროვე პოლიტიკაში აქტუალიზებულია პოლიტიკური პარტიის, როგორც ქალთა ინტერესთა რეალიზაციის ძირითადი არხის მნიშვნელობა, ვინაიდან ლიბერალური დემოკრატიის პირობებში პოლიტიკური ურთიერთობების უმთავრეს სუბიექტებად პარტიები არიან წარმოდგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში პარტიული სისტემა მუდმივ ცვალებადობას განიცდის და პოლიტიკურ ძალთა ფრაგმენტაცია საკმაოდ მყიფეა, პოლიტიკური პარტიები ქალთა პოლიტიკაში მოსვლის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენენ და ქალთა პოლიტიკაში მოსვლის სცენარების ძირითადი ”მოთამაშეები” არიან. ამიტომ პოლიტიკურ პარტიებში გენდერული პარიტეტის განვითარებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება - ა) როგორც ქალთა დაწინაურების ინსტრუმენტს, ბ) როგორც პარტიის შიდა დემოკრატიის განვითარების ინდიკატორს, გ) როგორც საზოგადოების დემოკრატიის განვითარების მაჩვენებელს.

პუბლიკაცია ”შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარება გენდერულ პერსპექტივაში” წარმოადგენს გენდერულ ჭრილში პოლიტიკურ პარტიათა მონაწილეობით კონსტრუირებული გარემოს ანალიზს, რომლის მიზანია ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის (NIMD) ყველა პარტნიორი პოლიტიკური პარტიის შიდა დემოკრატიის შეფასება გენდერულ ჭრილში, არსებული მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შეფასება, გენდერული პარიტეტის მისაღწევად პოლიტიკური პარტიებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების შეთავაზება და პოლიტიკურ პარტიებსა და სხვადასხვა ინტერეს ჯგუფებს შორის დისკუსიის გაგრძელება პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა სრულფასოვანი და ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის.

პუბლიკაცია ასევე განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა საარჩევნო პროცესში გენდერული ასიმეტრიის პრობლემები, საარჩევნო სისტემებისა და ქალთა წარმომადგენლობის ურთიერთკავშირის საკითხები, გენდერული კვოტების საერთაშორისო წარმატებული გამოცდილება და ელექტორალური ქცევის გენდერული თავისებურებები.

პოლიტიკური პარტიების შიდა დემოკრატიის ანალიზი გენდერულ ჭრილში

პუბლიკაცია NIMD-ის პარტნიორ 7 პოლიტიკურ პარტიაში ჩატარებულ კვლევას[2] ეფუძნება. კვლევაში მონაწილეობდნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიები: "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", "ახალი მემარჯვენეები", "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები", "ლეიბორისტული პარტია," "რესპუბლიკური პარტია," საქართველოს გზა", "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა".

პოლიტიკური პარტიების ანალიზი რამდენიმე მნიშვნელოვანი თემატიკის ირგვლივ განხორციელდა:

- პარტიათა წესდებები, ქალთა/გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფები და მათი ინსტიტუციონალიზაციის საკითხები;
- ქალთა/გენდერული თანასწორობის ჯგუფების ფუნქციები, სტრატეგიული გეგმები და დაფინანსების საკითხები;
- სპეციალური მექანიზმები ქალთა დაწინაურებისათვის;
- სტატისტიკა გენდერულ ჭრილში;
- პარტიული ფუნქციების გადანაწილება გენდერულ ჭრილში;
- თანამშრომლობა საერთაშორისო და არასამათვარობო ორგანიზაციებთან;
- თანამშრომლობა პოლიტიკურ პარტიებთან;
- ხედვები ქალთა უფლებების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებზე;
- საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

პარტიათა წესდებები, ქალთა/გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფები და მათი ინსტიტუციონილიზაციის საკითხები

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

2010 წლიდან პარტიაში შექმნილია ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეული - გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, თუმცა წესდებაში ამ სტრუქტურის შესახებ არანაირი ნორმა არ არსებობს. პარტიის პოლიტიკა გენდერულ საკითხებთან მიმართებაში და მასთან დაკავშირებული ნორმები უფრო დეტალურად არის ასახული გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის დებულებაში. დეპარტამენტის მიზანია, ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებების უზენაესობის პრინციპების შესაბამისად და ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების დაცვა და განმტკიცება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; დეპარტამენტის ამოცანები:

- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც ცალკეული სოციალური სფეროების სხვადასხვა დონეზე, ასევე პარტიის შიგნით;
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის ყველა დონეზე;
- ხელი შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა თანასწორ წარმომადგენლობას ქვეყნის ცენტრალურ და ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში;

[2] კვლევა ჩატარდა 2010 წლის ივნისში

პ/გ "ახალი მემარჯვენეები"

'ახალი მემარჯვენეები'-ს ქალთა კლუბი შეიქმნა ფაქტიურად პარტიის შექმნისთანავე - 2001 წლის 15 ივლისს. ორგანიზაციის მიზანია ქალთა აქტიური ჩართვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ზრუნვა მათ პოლიტიკურ განათლებაზე, აქტიური მონაწილეობის მიღება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში მიმდინარე მოვლენებში, ზრუნვა მომავალი თაობის ფიზიკურ და სულიერ გაჯანსაღებაზე და სხვა.
პარტიის წესდებაში ქალთა კლუბის შესახებ არანაირი ნორმა არ არსებობს.
2005 წლიდან ქალთა კლუბმა გარკვეულწილად შეცვალა მუშაობის მიმართულებები და უფრო მეტად პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა.
ქალთა ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

- ქვეყნის ელექტორატში პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა;
- პარტიის წევრი ქალების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლება;
- ქალთა თვითრეალიზაცია;
- პარტიის წევრი ქალების მომზადება ყველა დონის არჩევითი ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა

ქრისტიან – დემოკრატიული მოძრაობის ქალთა ორგანიზაცია პარტიის სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარმოადგენს. პარტიის წესდებაში ქალთა ორგანიზაციის შესახებ ნორმა არ არსებობს. წესდებაში დაფიქსირებულია მხოლოდ ზოგადი ნორმა სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნის შესახებ, ქალთა ორგანიზაციაც ამ ნორმის საფუძველზეა შექმნილი. წესდებაში ასევე არ არსებობს რაიმე მუხლი გენდერული თანასწორობის შესახებ.

ქალთა ორგანიზაციის მიზანია - პარტიის წევრი ქალების პოლიტიკური გააქტიურება, მათი მოტივირება და ხელის შეწყობა, დაწინაურდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, გენდერული თანასწორობის მიღწევა.

რესპუბლიკური პარტია

პარტიაში გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი ფუნქციონირებს. წესდება აღიარებს სრული თანასწორობის პრინციპს, ყველა პარტიის წევრისათვის ერთნაირ უფლებებს და მოვალეობებს განურჩევლად სქესისა. გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი წესდებაში რაიმე ნორმით არ არის განმტკიცებული.
გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა სტრატეგია "ქალის როლის გაზრდა პარტიის საქმიანობაში, როგორც შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარების მაჩვენებელი"; მზადდება ქალ კანდიდატთა შერჩევის გარკვეული პროცედურა, რამაც არჩევნებში მონაწილე ქალ და მამაკაც კანდიდატთა დაბალანსებული მონაწილეობა უნდა უზრუნველყოს.

ლეიბორისტული პარტია

ამჟამად ლეიბორისტულ პარტიაში გენდერული თანასწორობის არანაირი მექანიზმი არ ფუნქციონირებს. 2003 წლამდე პარტიაში ქალთა საბჭო ფუნქციონირებდა, მაგრამ არსებობა შეწყვიტა. მომავალში პარტია ახალი ფორმატით გეგმავს გენდერული თანასწორობის მექანიზმის შექმნას.

ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები

თავისუფალ დემოკრატებს გენდერული თანასწორობის მექანიზმი პარტიაში არ გააჩნიათ, თუმცა წესდებაში დაფიქსირებულია ზოგადი ნორმები გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით.

საქართველოს გზა

პარტიას არ გააჩნია გენდერული თანასწორობის მექანიზმი და არც რაიმე ნორმაა დაფიქსირებული წესდებაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით.

სპეციალური მექანიზმები ქალთა დაწინაურებისათვის

არცერთი პოლიტიკური პარტია არ იყენებს რაიმე სპეციალურ მექანიზმს - კვოტას ქალთა დაწინაურებისათვის.

კითხვაზე დაუჭერთ თუ არა მხარს გენდერული კვოტირების შემოღების საკითხს იმ შემთხვევაში, თუ პარტია წარმოდგენილი იქნება პარლამენტში, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (2010 წელს ნაციონალურმა მოძრაობამ არ დაუჭირა მხარი გენდერული თანასწორობის კანონში სპეციალური მექანიზმების შემოღებას) და რესპუბლიკელებს არ აქვთ გადაწყვეტილი, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ახალი მემარჯვენეები ამ ინიციატივის მხარდაჭერას არ აპირებენ, დანარჩენი პოლიტიკური პარტიები კი ასეთი ინიციატივების მხარდასაჭერად მზაობას გამოხატავენ.

გენდერული სტატისტიკა

მიუხედავად იმისა, რომ პარტიებს ძირითადი მონაცემების გენდერული სეგრეგაცია არ გააჩნიათ, არ აქვთ შემუშავებული ინსტრუმენტები და მეთოდოლოგია ასეთი ტიპის სტატისტიკის მოსაპოვებლად, ქალთა რაოდენობის შესახებ გარკვეული სტატისტიკური ინფორმაციის მოწოდება მათი მხრიდან მაინც მოხერხდა. (დიაგრამა 1.1).

დიაგრამა 1.1

ქალები პარტიების მმართველობით ორგანოებში და პოლიტიკური პარტიის წევრები (%)



ყველაზე მეტი ქალი როგორც მმართველ ორგანოებში, ასევე პარტიის წევრებს შორის წარმოდგენილი ჰყავს პარტია "საქართველოს გზას", ყველაზე ნაკლები ნაციონალურ მოძრაობას, როგორც წევრებს შორის, ასევე - მმართველ ორგანოებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ როგორც პარლამენტარი ქალების, ასევე თვითმართველობის წევრი ქალების უმეტესობა სწორედ ნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენს და როგორც მმართველი პარტია, ამ თვალსაზრისით ქალთა დაწინაურებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს - არჩევნების შედეგების მიხედვით,ნაციონალური მოძრაობის წევრ ქალებს მოპოვებული აქვთ ქალთა მიერ მიღებული მანდატების

- 60% საქართველოს პარლამენტში
- 80% ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში

საშუალოდ, პარტიებში ქალები წევრთა 40%-ს აღემატებიან, თუმცა მათი მონაწილეობა პარტიების მმართველ ორგანოებში უფრო ნაკლებია.

პარტიული ფუნქციების გადანაწილება გენდერულ ჭრილში

თუ რაოდენობრივი სტატისტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ არსებობს ძალაუფლების პირამიდა, იგივე შეგვიძლია დავასკვნათ პარტიებში ფუნქციების გადანაწილების შესახებ. კვლვისას პარტიების წარმომადგენლებს შევთავაზეთ სხვადასხვა პარტიული ფუნქციები გენდერულ ჭრილში განეხილათ და დაეკონკრეტებინათ, ესა თუ ის ფუნქცია უფრო ქალის, უფრო მამაკაცის, თუ ორივე სქესის წარმომადგენლის მიერ ხორციელდებოდა. პარტიების ანალიზმა ფუნქციების შემდეგი გადანაწილება გამოავლინა (დიაგრამა 1.2).

დიაგრამა 1.2

ფუნქციათა გადანაწილება გენდერულ ჭრილში[3]

[3] პოლიტიკურ პარტიებში ფუნქციათა გადანაწილების კვლევაში გამოყენებულია 2001 წელს ბოსნია-ჰერცოგოვინაში ჩატარებული კვლების მეთოდოლოგია. წყარო: ქალებს ყველფერი შეუძლიათ II, ტრენინგის სახემძღვანელო

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების, თანხების მოზიდვისა და განკარგვის ფუნქციებს მამაკაცები ასრულებენ, ქალები ძირითადად მოხალისეთა მუშაობის კოორდინაციით და ქვედა დონეებზე საარჩევნო კამპანიის წარმართვით არიან დაკავებულები, თუმცა გამოიკვეთა ფუნქციები, რომლებიც თანაბრად ქალთა და მამაკაცთა მიერ ხორციელდება - საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეებზე პარტიის წარდგენა, საარჩევნო დაპირებების ფორმულირება და არჩევნების ჩატარების პროცესზე მონიტორინგი.

თანამშრომლობა

როგორც კვლევამ გვიჩვენა, პარტიები თანამშრომლობენ გენდერულ/ქალთა საკითხზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თუმცა რესპოდენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ სასურველია, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სისტემურ ხასიათს ატარებდეს, იყოს გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი და მხოლოდ არჩევნების წინა პერიოდში არ აქტიურდებოდეს. მათი აზრით, სწორედ საკითხისადმი სისტემური მიდგომის შედეგად იქნება შესაძლებელი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

დღესდღეობით არ არსებობს პარტიების ქალთა/გენდერული ჯგუფების თანამშრომლობის (ინტერპარტიული კოორდინაციის) წარმატებული პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ცალკეული პრეცენდენტები ასეთი თანამშრომლობისა, მათ რაიმე პროგრესი პრობლემების გადაწყვეტაში არ მოუტანიათ. აღსანიშნავია, რომ ყველა პარტია აღიარებს ასეთი ტიპის თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზადყოფნას გამოთქვამს თანამშრომლობისთვის.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება

ყველა პარტიას გარკვეულწილად აქვს წარმოდგენა პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის წარმატებულ მაგალითებზე სხვა სახელმწიფოებში, თუმცა თვლიან რომ ამ საკითხებზე მათი ცოდნის გაღრმავება მომავალში აუცილებელია.

საკანონმდებლო ინიციატივები ქალთა უფლებების დაცვის სფეროში

პარტიათა უმრავლესობა კითხვაზე - თქვენი აზრით, რა სახის საკანონმდებლო ინიციატივები იქნება მნიშვნელოვანი ქალთა უფლებების დასაცავად (რესპოდენტებს საკითხებისადმი რიგითობა 1-დან 5-მდე უნდა მიენიჭებინათ: 5 - ყველაზე მნიშვნელოვანი, 1- ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი) თვლის, რომ მომავალში საკანონმდებლო ცვლილებები დედის/ორსულ ქალთა უფლებებს უნდა შეეხოს, შემდგომ შრომით და სოციალურ უფლებებს. ოჯახური ძალადობისა და პოლიტიკური უფლებების შესახებ ცვლილებები საერთო ჯამში ნაკლებად მნიშვნელოვნად ჩაითვალა (დიაგრამა 1.3).

დიაგრამა 1.3

საკანონმდებლო ინიციატივები ქალთა უფლებების დაცვის სფეროში



პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო პროცესი: გენდერული ასიმეტრია

საქართველოში საარჩევნო პროცესი გენდერული ასიმეტრიით ხასიათდება, საარჩევნო პროცესის გენდერული ასიმეტრიაში პოლიტიკური პარტიების როლის დასადგენად გაანალიზებულ იქნა ბოლო საპარლამენტო (2008) და ადგილობრივი არჩევნები (2010).

სამწუხაროდ, არჩევნებიდან არჩევნებამდე როგორც ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში, ასევე პარლამენტში, ქალთა რაოდენობა მცირდება, რაც მნიშვნელოვანი ინდიკატორია ქვეყანაში ქალთა პოლიტიკური დაწინაურების კუთხით პრობლემების არსებობის თაობაზე (იხ. დიაგრამა 1.4).

დიაგრამა 1.4

ქალთა რაოდენობის დინამიკა პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (საქართველოს პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო 4 არჩევნები)



2008 წლის 21 მაისის სააპარლამენტო არჩევნები

2008 წლის მორიგ არჩევნებს საქართველოში საარჩევნო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ცვლილებები უძღოდა წინ. ქალთა წარმომადგენლობაზე გავლენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო საარჩევნო კოდექსში შეტანილი შემდეგი ცვლილებები:

- 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად მოხდა საპარლამენტო მანდატების რაოდენობის შემცირება 235-დან 150-მდე.
- მანდატების შემცირების შედეგად შეიცვალა მანდატების თანაფარდობა საარჩევნო სისტემის მიხედვით. საქართველოს პარლამენტის 75 წევრის

არჩევა მოხდა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 75 წევრის - მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.
- საარჩევნო ბარიერი შემცირდა 7%-დან 5%-მდე.
- მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის უფლება მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ და ეს უფლება საინიციატივო ჯგუფებს ჩამოერთვათ.

არჩევნებში 3 4 65 736 ამომრჩევლიდან მონაწილეობა 53%-მა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეგისტრაციისათვის 50-მდე პოლიტიკურმა პარტიამ მიმართა, რომელთაგან კანონით განსაზღვრული მოთხოვნები მხოლოდ 23-მა პარტიამ დააკმაყოფილა და გატარდა რეგისტრაციაში. წარდგენილ კანდიდატთა გენდერული ანალიზის მიხედვით:
- პარტიული სიის პირველ ხუთეულში ქალები ჰყავდათ მხოლოდ შემდეგ საარჩევნო სუბიექტებს: საარჩევნო ბლოკი ტრადიციონალისტები - ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია (1). საქართველოს პოლიტიკური პარტია ”ჩვენი ქვეყანა (2). გიორგი თარგამაძე-ქრისტიან დემოკრატები (1).
- პირველ ათეულში 12-ივე საარჩევნო სუბიექტს[4] ერთად 13 ქალი ჰყავდა წარმოდგენილი ანუ კანდიდატთა 10.8%.
- მაჟორიტარი კანდიდატი ქალების საერთო რაოდენობა 57-ს აღწევდა და წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 12%-ს შეადგენდა. 75 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან ქალი საერთოდ არ იყო წარდგენილი 33 საარჩევნო ოლქში ანუ ოლქების 44%-ში.
- ყველაზე მეტი მაჟორიტარი ქალი წარდგენილი ჰყავდათ რესპუბლიკელებსა და ლეიბორისტულ პარტიას, მაშინ როდესაც მრეწველებს და საქართველოს სპორტსმენთა კავშირს არც ერთი მაჟორიტარი კანდიდატი ქალი არ ჰყავდათ წარმოდგენილი.

ქალი კანდიდატების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გრაფა 1.1 და 1.2.

[4] საარჩევნო სუბიექტი - არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პოლიტიკური პარტია ან ბლოკი

ცხ 1.1

პარტიულ სიებში ქალთა რაოდენობა საარჩევნო სუბიექტების მიხედვით

საარჩევნო სუბიექტი	რიგითობა სიაში									
	1-5	5-10	10-15	15-20	20-25	25-30	30-35	35-40	40-45	45-50
1 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ქართული პოლიტიკა”	0	1	0	0	0	1	2	1	1	2
2 საქართველოს რესპუბლიკური პარტია	0	1	0	0	2	3	2	0	2	3
3 საარჩევნო ბლოკი “მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე-მრეწველები (მ.გ.ს., ერთობა, ე.დ.პ.)”	0	0	1	3	1	1	2	2	0	0
4 “შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია”	0	1	1	1	1	0	1	0	0	0
5 “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსათვის”	0	1	1	1	1	0	0	0	0	1
6 პოლიტიკური გაერთიანება “საქართველოს სპორტსმენთა კავშირი”	0	0	0	1	4	1	1	1	2	0
7 საარჩევნო ბლოკი “გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)”	0	1	1	1	1	2	1	0	0	2
8 “სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია”	0	1	1	1	0	1	2	2	2	2
9 პოლიტიკური გაერთიანება “ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი (ქდა)”	0	1	2	1	1	0	0	0	1	2
10 გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები”	1	0	0	0	1	2	1	1	2	1
11 “საარჩევნო ბლოკი “ტრადიციონალისტები - ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია”	1	1	1	1	2	0	3	1	0	2
12 საქართველოს პოლიტიკური პარტია “ჩვენი ქვეყანა”	2	1	1	1	3	2	0	0	3	3

ცხ 1.2

მაჟორიტარული სისტემით წარდგენილ ქალ კანდიდატთა რაოდენობა საარჩევნო სუბიექტების მიხედვით

საარჩევნო სუბიექტი	მაჟორიტარული სისტემით წარდგენილ ქალ კანდიდატთა რაოდენობა
1 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ქართული პოლიტიკა”	2
2 „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“	13
3 საარჩევნო ბლოკი “მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე–მრეწველები (მ.გ.ს., ერთობა, ე.დ.პ.)”	0
4 „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია”	11
5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის”	1
6 პოლიტიკური გაერთიანება “საქართველოს სპორტსმენთა კავშირი”	0
7 საარჩევნო ბლოკი “გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)”	4
8 „სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია’	1
9 პოლიტიკური გაერთიანება “ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი (ქდა)”	5
10 „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები”	6
11 საარჩევნო ბლოკი “ტრადიციონალისტები – ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია”	10
12 საქართველოს პოლიტიკური პარტია “ჩვენი ქვეყანა”	4
სულ	**57**

ქალები საქართველოს პარლამენტში[5]

არჩევნების შედეგების მიხედვით ქალებმა 9 მანდატი მოიპოვეს, რამაც დეპუტატთა საერთო რაოდენობის 6% შეადგინა. აქედან პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ იქნა 8 ქალი, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით – მხოლოდ ერთი.[6]

პარტიების მიხედვით პროპორციული სიით ქალთა მიერ მოპოვებული მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა.

- ”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის“ – 5 მანდატი
- საარჩევნო ბლოკი ”გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეები)” – 2 მანდატი
- ”გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები” – 1 მანდატი

რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, 57 მაჟორიტარი კანდიდატი ქალიდან მხოლოდ ერთმა ქალმა, ნაციონალური მოძრაობის მიერ წარდგენილმა კანდიდატ-

[5] http://www.parliament.ge/files/1123_18877_518391_genderuli_analizi.pdf
[6] ვინაიდან კვლევისთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ფაქტორების გავლენის ანალიზია, მონაცემებში არ არის ასახული არც პარლამენტის წევრთა მიერ პროტესტის ნიშნად დატოვებული მანდატების შედეგად შეცვლილი სტატისტიკა, არც შემდგომი ცვლილებები.

მა მოიპოვა გამარჯვება სამგორის მაჟორიტარულ ოლქში, რაც მაჟორიტარული მანდატების 1,3% შეადგენს. საერთო ჯამში მაჟორიტარი ქალი კანდიდატებიდან გამარჯვება 1,7%-მა მოიპოვა, ანუ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილი ქალი კანდიდატების 98,3% არჩევნებში დამარცხდა. ქალებმა უფრო მეტ წარმატებას პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით მიაღწიეს, მათ პროპორციული მანდატების 10,6%, ხოლო მაჟორიტარული მანდატების 1,3% მოიპოვეს.

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი არჩევნები

2010 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ 2006 წელთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებები საარჩევნო სისტემას და თვითმმართველობის ადმინისტრაციული-ტერიტორიული მოწყობის მოდელს არ შეხებია, ამიტომაც ექსპერტები მნიშვნელოვან ცვლილებებს ქალთა რაოდენობაში არ ელოდნენ.

ერთმანდატიან ოლქებში წამოყენებული კანდიდატების მხოლოდ 10.9% იყო ქალი, ხოლო პროპორციულ სიებში - 18.2%. ოცდათხუთმეტმა ქალმა მოხსნა კანდიდატურა არჩევნების დღემდე, ყველა მათგანი ოპოზიციური პარტიებიდან იყო. საკრებულოს 1,695 წევრიდან 160-ზე მეტმა ქალმა მოიპოვა მანდატი, რაც წინა ადგილობრივი არჩევნების მაჩვენებელზე დაბალია[7].

პოლიტიკური პარტიების მიხედვით ქალთა მანდატების გადანაწილება:

- ნაციონალური მოძრაობა - 134 მანდატი
- ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - 10 მანდატი
- ”ალიანსი საქართველოსათვის” - 8 მანდატი
- ეროვნული საბჭო - 3 მანდატი
- თორთლაძე ”დემოკრატები -1 მანდატი
- თოფაძე-მრეწველები - 1 მანდატი

როგორც ვხედავთ, ორივე ტიპის არჩევნებში ქალთა პასიური საარჩევნო უფლების[8] გამოყენების მხრივაც მნიშვნელოვანი პრობლემებია. ქალთა რაოდენობა არჩევნებიდან არჩევნებამდე მცირდება, საარჩევნო პროცესი გენდერულად ასიმეტრიულია და ქალთა პოლიტიკური ინტერესების არტიკულაციის მექანიზმად არ განიხილება.

[7] http://www.osce.org/odihr/elections/georgia/68206

[8] აქტიური საარჩევნო უფლება - მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად. პასიური საარჩევნო უფლება - მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად;

საარჩევნო სისტემების გავლენა ქალთა წარმომადგენლობაზე არჩევით ორგანოებში

მსოფლიოში არსებული ტენდენციების ანალიზმა ცხადყო, რომ არსებობს კავშირი საარჩევნო სისტემასა და არჩევით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობას შორის[9]. საერთო ჯამში იმ სახელმწიფოებში, რომლებიც პროპორციულ საარჩევნო სისტემას იყენებენ, არჩევით ორგანოებში ქალებს საშუალოდ მანდატების 20% აქვთ მოპოვებული, ხოლო ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის მქონე სახელმწიფოებში კი - 9%.

ცნობილმა მკვლევარმა მეტლენდმა[10] დაადგინა, რომ ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში არ არსებობს სისტემური კავშირი საარჩევნო სისტემასა და ქალთა რაოდენობას შორის. მან გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუცილებელია, არსებობდეს პოლიტიკური განვითარების გარკვეული ზღვარი, რათა ქალებმა ეფექტურად შეძლონ ისეთი ინსტიტუტის, როგორიც საარჩევნო სისტემაა, გამოყენება საკუთარი უფლებების დასაცავად.

საქართველოში არსებობს დადგენილი ე.წ. სისტემური კავშირი საარჩევნო სისტემასა და ქალთა წარმომადგენლობას შორის. შერეული საარჩევნო სისტემის ფარგლებში პროპორციული საარჩევნო სისტემით პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებში მეტი ქალი იქნა არჩეული, ვიდრე - მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში ქალებმა პროპორციული მანდატების 15%, ხოლო მაჟორიტარული მანდატების 8% მოიპოვეს და ასეთივე ტენდენცია დაფიქსირდა წინა მოწვევის პარლამენტებში (იხ. დიაგრამა 1.5).

დიაგრამა 1.5

ქალთა წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში საარჩევნო სისტემების მიხედვით



[9] Norris, P.(2006), *The Impact of Electoral Reform on Women's Representation*
[10] Matland, R. (1998),*Women's Legislative Representation in National Legislatures: A Comparison of Democracies in Developed and Developing Countries*

ქალთა წარმომადგენლობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საარჩევნო სისტემის ისეთმა ელემენტმა, როგორიცაა საარჩევნო ბარიერი. რაც უფრო მაღალია საარჩევნო ბარიერი, მით უფრო მეტია ქალთა წარმომადგენლობა, რადგან მაღალი ბარიერი არჩევითი ორგანოს პარტიული ფრაგმენტაციის დონეს ამცირებს, რაც ქალთა შანსებს, რომლებიც უმეტესად პარტიული სიების არამოწინავე ადგილებზე არიან განლაგებული, საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად ზრდის.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ განხორციელებულ ცვლილებას - საარჩევნო ბარიერის 5%-დან 7%-მდე გაზრდას თეორიულად უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა ქალთა წარმომადგენლობაზე, თუმცა, ვინაიდან ამომრჩეველთა ხმების 5%-დან 7%-მდე არც ერთმა პოლიტიკურმა სუბიექტმა არ მიიღო. ამ ელემენტს ქალთა წარმომადგენლობაზე გავლენა არ მოუხდენია.

ქალთა წარმომადგენლობაზე გავლენა შეიძლება მოახდინოს სააარჩევნო სისტემის ისეთმა ელემენტებმა, როგორებიცაა - საარჩევნო ერთეულში მანდატების რაოდენობა (საქართველოში ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების არსებობა ქალთა გამარჯვების შანსებს ამცირებს) და საარჩევნო ბიულეტენის ტიპმა.

არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებული საარჩევნო კანონმდებლობა უარყოფით გავლენას ახდენს ქალთა წარმომადგენლობაზე. არსებული საარჩევნო სისტემის პირობებში ქალთა რაოდენობის ზრდის შანსი მინიმუმამდე არის დაყვანილი. რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა საარჩევნო სისტემით და რა კანონმდებლობით ჩატარდება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, შესაძლოა, კანონდებლობამ კვლავ განიცადოს ცვლილებები, თუმცა ცალსახად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არსებული კანონმდებლობის პირობებში ქალთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას არ უნდა ველოდოთ.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო სისტემა ახდენს მხოლოდ იმ პირობების სტრუქტურირებას, რომლებშიც კანდიდატები და ამომრჩევლები მოქმედებენ, საარჩევნო სისტემას არ შეუძლია, მოახდინოს დეტერმინირება იმ დადებითი და უარყოფითი შესაძლებლობებისა, რომლებსაც ეს პირობები ქმნის. რა თქმა უნდა, საარჩევნო სისტემა გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე, მაგრამ არ შეიძლება ის განხილულ იქნას, როგორც ერთადერთი და განცალკევებული ფაქტორი, რომელიც ქალთა წარმომადგენლობაზე ახდენს გავლენას. 2010 წელს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია 1899(2010) სახელწოდებით "ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა პოლიტიკაში საარჩევნო სისტემის მეშვეობით", სადაც მოუწოდებს წევრ ქვეყნებს კვოტების შემოღებით გაზარდონ ქალთა წარმომადგენლობა და საარჩევნო სისტემის იმგვარი რეფორმა განახორციელონ, რომელიც ქალთა რაოდენობას არჩევით ორგანოებში გაზრდის.

გენდერული კვოტები: გაურკვეველი შიშები და ბუნდოვანი იმედები

საქართველოს პარლამენტში რამდენჯერმე ჩავარდა ინიციატივა გენდერული კვოტების შესახებ, თუმცა კვოტების ტიპების მრავალფეროვნება პარტიებს აძლევს საშუალებას, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება მათი იმპლე-მენტაციის შესახებ პარტიის შიგნით, თუმცა არც ერთი საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტია შიდაპარტიულ დონეზე კვოტებს არ იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ კვოტებს ჰყავს მოწინააღმდეგეები, ის კვლავ რჩება ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტად ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ არ არსებობს სხვა უფრო მეტად ეფექტური საშუ-ალება ქალთა ინტერესების დასაცავად და პრაქტიკაში განსახორციელებლად. გენდერულ კვოტებს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგები გააჩნია. მათი ტიპიური არგუმენტები შემდეგია:

დიაგრამა 1.6

გენდერული კვოტების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები[11]

მომხრეები	მოწინააღმდეგეები
არჩევითმა ორგანოებმა უნდა ასახონ საზოგადოების სოციალური ჯგუფები. ქალები მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ და მანდატების ნახევარს უნდა ფლობდნენ	კვოტები ეწინააღმდეგება თანაბარი შესა-ძლებლობების პრინციპს, რადგან უპირატე-სობა ქალს ენიჭება
კვოტა ქალთათვის წარმოადგენს არა დის-კრიმინაციულ, არამედ მაკომპენსირებელ საშუალებას იმ რეალური ბარიერების გადასალახავად, რომლებიც ქალებს კუთ-ვნილი პოლიტიკური პოზიციების სათა-ნადო წილის მოპოვებაში უშლით ხელს	კვოტირება ანტიდემოკრატიულია, ვინიდან ამომრჩევლებმა თვითონ უნდა გადაწყვი-ტონ, თუ ვის მისცენ ხმა
ქალებს, როგორც მოქალაქეებს აქვთ თანასწორი წარმომადგენლობის უფლება. გადწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, წარმომადგენლობა ნიშნავს სოციალური ინტერესებისა და პოლიტიკური შეხედულე-ბების ადეკვატურ ასახვას წარმომადგენლო-ბით ორგანოებში	კვოტირება განაპირობებს იმას, რომ უფრო მეტი პროფესიონალი მამაკაცი პოლიტიკის მიღმა აღმოჩნდება ხოლმე
ქალთა გამოცდილება აუცილებელია პოლიტიკაში	კვოტები მნიშვნელოვან კონფლიქტებს იწვევს პარტიაში
ქალებს არ ირჩევენ ხოლმე არა იმიტომ რომ არაპროფესიონალები არიან, არამედ იმიტომ რომ ისინი ქალები არიან	კვოტები ეწინააღმდეგება ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს
ქალები კვალიფიცირებულნი არიან მა-მაკაცების მსგავსად, მაგრამ პოლიტიკურ სისტემაში, სადაც დომინირებენ მამაკაცები მათი კვალიფიკაციის მინიმალიზაცია ხდება.	პოლიტიკური წარმომადგენლობა იდეე-ბისა დ ა ინტერესების წარმომდგენლობაა და არა სქესის და სოციალური ჯგუფების წარმომადგენლობა
კვოტა ქალთა წარმომადგენლობის ზრდის ყველაზე სწრაფი და ეფექტური მექანიზმია	პოლიტიკური წარმომადგენლობა ღირსების წარმომადგენლობაა - იმარჯვებს საუკეთესო კანდიდატი
კვოტა, ფორმალური თუ არაფორმალური, გამოიყენება სხვადასხვა კატეგორიებთან მიმართებაში, მაგ. გეოგრაფიული	ბევრ ქალს არ უნდა პოლიტიკაში მოსვლა, თუ ამის სურვილი გაუჩნდებათ, მათი რაოდენობა გაიზარდება
კვოტები უკვე წარმატებით გამოიყენება მრავალ ქვეყანაში	კვოტები ქალებს მხოლოდ იმიტომ აძლევს საშუალებას გაიმარჯვონ არჩევნებში, რომ ქალები არიან, მიუხედაბად მათი ნიჭისა და შესაძლებლობებისა

[11] http://www.quotaproject.org/aboutQuota.cfm#pros

განიხილავენ კვოტირების ქვეტიპებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება კვოტების ფორმირების მიზნებითა და პრინციპებით: პარტიული "კვოტები", გენდერული "კვოტირება" საკანონმდებლო დონეზე, ადგილების რეზერვირება პარლამენტში. კვოტები 4 სამართლებრივი საშულებით ან მათი კომბინაციით რეგულირდება[12]:

- კონსტიტუციური ნორმით.
- საარჩევნო კანონმდებლობით, კანონით პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, სადაც ხდება გენდერული პრინციპის რეგლამენტაცია.
- სპეციალური კანონით თანაბარი სტატუსის/გენდერული თანასწორობის შესახებ.
- პარტიათა წესდებებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში მოქმედი არც ერთი პოლიტიკური პარტია არ იყენებს ე.წ შიდა პარტიულ კვოტებს. მიუხედავად გენდერული თანასწორობის, როგორც ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპის დეკლარირებისა, პოლიტიკურმა პარტიებმა ჯერ კიდევ ვერ გამოავლინეს პოლიტიკური ნება და ვერ გამონახეს შესაბამისი რესურსები ამ პრინციპის განსახორციელებლად,

საკანონმდებლო დონეზე კვოტების შემოღება პირველად საქართველოს პარლამენტში 2003 წლის აგვისტოში იქნა ინიცირებული. კვოტირების საკანონმდებლო ინიციატივის განხილვისას კენჭისყრის პროცედურაში მხოლოდ 67 დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა და ინიციატივა ჩავარდა.

2008 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტში შევიდა საზოგადოებრივი ჯგუფის ინიციატივა (32 400 ამომრჩევლის მხარდაჭერით), რომელიც მიზნად ისახავს შემდეგი სახის ცვლილებებს საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ:

> მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში დამატების შეტანის თაობაზე
>
> მუხლი 1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის რედაქცია ჩაითვალოს პირველ პუნქტად და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:
>
> 2. თუ პარტია პარტიული სიების ან ძირითადი და სარეზერვო მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენისას დაარღვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილ სქესთა პროპორციულობის პრინციპს, პარტიული სიებით წარსადგენი პროპორციულობის წესის ყოველი 5%-ით დარღვევაზე პარტიის საბაზო დაფინანსების ოდენობა მცირდება 5%-ით, ხოლო ძირითადი და სარეზერვო მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენისას სქესთა პროპორციულობის ყოველი დარღვევისას 10%-ით."
>
> საქართველოს ორგანული კანონი
>
> საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებების შეტანის შესახებ

[12] თ.ბაგრატია, ნ.ლაგვილავა"გენდერული პარიტეტი პარტიაში, როგორც სოციალური კონსენსუსი", 2006

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ (შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

96-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
7. პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები და საარჩევნო ბლოკები, იმგვარად, რომ სიის ყოველი მეორე იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი”.

97-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
4. პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა მაჟორიტარული წესით ასარჩევად უნდა წარადგინოს ძირითადი და სარეზერვო მაჟორიტარი კანდიდატები, იმგვარად, რომ ყოველ სამ კანდიდატში იყოს არანაკლებ ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც წარსადგენია ხუთი კანდიდატი, მათ შორის ორი უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, როდესაც მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში წარსადგენ კანდიდატთა რაოდენობა სამზე ნაკლებია, მაგრამ ძირითად და სარეზერვო მაჟორიტარულ კანდიდატებად ერთიანობაში წარსადეგია ოთხი კანდიდადი, წარსადგენ ოთხეულში უნდა იყოს არანაკლებ ორი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი“.

კანონით დადგენილი პროცედურების გავლის შემდგეგ გაიმართა წარმოდგენილი ცვლილებების საკომიტეტო მოსმენა, თუმცა საკითხი სესიაზე განსახილველად არ გასულა და დღემდე განუხილველად რჩება 32 000 ათასი ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილი ინიციატივა.

2010 წელს გენდერული თანასწორობის კანონპროექტში წარდგენილი ინიციატივები პოზიტიური დისკრიმინაციის შესახებ პარლამენტმა კვლავ არ გაიზიარა. კანონპროექტის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებდა დამატებით სარეკლამო საეთერო დროის გამოყოფას იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომელთაც საარჩევნო სიაში თანაბარი რაოდენობის კანდიდატები ეყოლებოდათ წარდგენილი , ხოლო კანონ-პროექტის მე-5 პუნქტი პარტიებს სახელმწიფო დაფინანსებიდან გარკვეულ ჯარიმებს აკისრებდა იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ორგანოში გასულ დეპუტატთა შორის ქალთა და მამაკაცთა რაოდენობას შორის პროცენტული თანაფარდობა 2%–ს აღემატებოდა.

ამონარიდი კანონ-პროექტიდან ”გენდერული თანასწორობის შესახებ”,
მუხლი 13. თანასწორი საარჩევნო უფლებების გარანტიები

1. პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ორივე სქესის წარმომადგენელთა თანასწორი მონაწილეობა და შეიქმნას პირობები აღნიშნული თანასწორობის რეალური განხორციელებისათვის.
2. საარჩევნო სუბიექტების მიერ კანდიდატთა სიების მომზადებისას დაცული უნდა იქნეს სქესობრივი თანასწორობა, ასევე საარჩევნო სუბიექტების ხელმძღვანელ, აღმასრულებელ, მაკონტროლებელ და სხვა ორგანოებში თანასწორი წარმომადგენლობა.
3. მოქმედი კანონმდებლობით დგინდება ის სპეციალური ღონისძიებები, რომელიც მიმართულია საარჩევნო პროცესში სქესობრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული პროცესის წახალისებისათვის.
4. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, იმ საარჩევნო სუბიექტებს რომელთაც თანაბარი რაოდენობის ქალი და მამაკაცი კანდიდატები ჰყავთ, საარჩევნო სიის პირველ 75 კანდიდატთა შორის მიეცემათ დამატებითი უფასო სარეკლამო საეთერო დრო საზოგადოებრივ მაუწყებელზე, უკვე განსაზღვრული დროის ხანგრძლივობით.

5 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო დაფინანსებას სრული 100%–ით მიიღებენ ის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები, რომელთა საკანონმდებლო ორგანოში გასულ დეპუტატთა სიაში სქესთა შორის პროცენტული თანაფარდობა იქნება 2%–ზე ნაკლები. იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ორგანოში გასულ დეპუტატთა სიაში სქესთა შორის პროცენტული თანაფარდობა აღემატება 2%–ს, პარტიას სახელმწიფო დაფინანსებიდან დააკლდება კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფინანსების 25%.

საბოლოოდ, გენდერული თანასწორობის კანონში ქალთა პოლიტიკური უფლებები მე-11 მუხლის 3 ძალიან ზოგად და დეკლარირების შინაარის მქონე პუნქტში გაიწერა:

მუხლი 11. თანასწორი საარჩევნო უფლებების გარანტიები

1 ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე.

2 წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის უფლების რეალიზაციისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ორივე სქესის პირთა თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა.

3 ქალები და მამაკაცები შეიძლება არჩეულ იქნენ თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე.

სხვადასხვა ქვეყნები გენდერულ კვოტას კონსტიტუციის დონეზეც კი განამტკიცებენ, ამის მაგალითია, სერბეთის კონსტიტუცია, რომელიც უახლესი დოკუმენტია (2006 წლის) და ერთ-ერთი სამაგალითოა მსოფლიო კონსტიტუციებს შორის დემოკრატიული იდეალების გარანტირების მხრივ. მის მე-100 მუხლში განისაზღვრა, რომ ეროვნულ კრებაში, რომელიც 250 დეპუტატისგან შედგება, კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა სქესის წარმომადგენლობა და თანასწორობა[13]. ამავე პრინციპს ითვალისწინებს საფრანგეთის კონსტიტუცია, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, ქალებისა და მამაკაცებისათვის კანონი უზრუნველყოფს არჩევით თანამდებობებზე თანასწორ შესაძლებლობას.

1999 წელს საფრანგეთის კონსტიტუციაში 2 ცვლილება შევიდა. ამ ორი ცვლილების, უფრო ზუსტად კი დამატების შეტანამდე, ხანგრძლივი დისკუსია მიმდინარეობდა. ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხის შესახებ საკონსტიტუციო საბჭომ 2-ჯერ გამოთქვა მოსაზრება 1982 და 1999 წელს. პირველად კვოტირების შესახებ მუნიციპალურ მრჩევლებზე, ხოლო მეორეჯერ - რეგიონულ მრჩევლებზე. 1982 წელს საკონსტიტუციო საბჭომ ანტიკონსტიტუციურად სცნო კანონპროექტი, რომლის შესაბამისადაც,საარჩევნო სიებში ერთი სქესის კანდიდატი არ უნდა აღემატებოდეს 75%-ს, ხოლო 1999 წელს ანტიკონსტიტუციურად ცნო მუხლი პარტიებში გენდერული პარიტეტის შესახებ. საკონსტიტუციო საბჭოს დასკვნა შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული: ‘‘1958 წელს მიღებული კონსტიტუციის მე-3 მუხლის მიხედვით ეროვნული სუვერენიტეტი ხალხს ეკუთვნის, რომელსაც ახორციელებს საკუთარი წარმომადგენლების და რეფერენდუმის საშუალებით. საბჭომ იგივე არგუმენტაციით კიდევ ერთ შესწორებაზე თქვა უარი.მიუხედავად ამისა, 1999 წლის ივნისში კონსტიტუციაში შესწორებით, საფრანგეთმა განამტკიცა ქალთა და მამაკაცთა არჩევით ორგანოებში და არჩევით თანამდებობებზე თანაბარი მონაწილეობის პრინციპი.[14]

[13] ვასილ გონაშვილი, გენდერული თანასწორობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები, 2008
[14] თ. ბაგრატია, ნ.ლაგვილავა‘‘გენდერული პარიტეტი პარტიაში, როგორც სოციალური კონსენსუსი‘‘, 2006

2000 წელს საფრანგეთის საარჩევნო კანონმა დააწესა ფინანსური სანქციები იმ პოლიტიკური გაერთიანებებისათვის, რომლებიც არ დაიცავდნენ დასახელებულ კანდიდატთა შორის გენდერულ ბალანსს. საფრანგეთში სახელმწიფო ფინანსირებას პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, 1999 წელს სახელმწიფო დოტაციამ შეადგინა პოლიტიკური სუბიექტების მთელი შემოსავლის 51 პროცენტი. სახელმწიფოსაგან მიღებული ფინანსები მცირდება, თუ პარიტეტიდან გადახრა გაცდება 2%-ს. ამგვარად, პარტია, რომელიც დაასახელებს 49% ქალ კადიდატს და 51% მამაკაცს არ დაჯარიმდება, მაგრამ მეტი განსხვავების შემთხვევაში დაჯარიმდება შემდეგი წესით: თუ პარტიის მიერ წარდგენილი ქალი და მამაკაცი კანდიდატების რიცხვი 2%-ზე მეტად განსხვავდება, მაშინ სახელმწიფო დახმარება მცირდება ამ განსხვავების ნახევრით. მაგალითად, თუ პარტიიმ წარადგინა 60% მამაკაცი კანდიდატი, ხოლო 40% ქალი, განსხვავება 20%-ის ტოლი იქნება და მაშინ პარტიას სახელმწიფო დახმარება შეუმცირდება 10%-ით.

შემოღების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში ქალთა პროცენტული რაოდენობა მატულობს. მაგალითად, კვოტების შემოღების შედეგად:

- ბელგიაში ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა 12,7%-დან (1995) 35,5%-მდე (2007წ.)
- მაკედონიაში ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა 6,6%-დან (1995) 35,3%-მდე (2007წ)
- ესპანეთში ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა 26,6% დან (1997) 36,3%-მდე. (2008)
- საფრანგეთში ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა 10,9%-დან (1997) 18,9 %-მდე (2007)[15]

რა სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას გენდერული კვოტების გამოყენებამ?

ნორვეგიაში მმართველ სტრუქტურებში ქალთა რაოდენობის გაზრდის შემდეგ

- ორჯერ გაიზარდა ბავშვთა ზრუნვაზე ორიენტირებული ცენტრების რაოდენობა
- 22%-ით გაიზარდა ბავშვთა ფულადი დახმარება

OSCE/ODIHR და ვენეციის კომისიის გზამკვლევიდან პოლიტიკური პარტიის სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მონაწილეობისა და გენდერული თანასწორობის შესახებ მიუთითებს, რომ კვოტები არის ერთ-ერთი საშუალება, რასაც შეიძლება მიმართონ სახელმწიფოებმა. 1899(2010) რეკომენდაციაში "საარჩევნო სისტემის საშუალებით პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის შესახებ", საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად კვოტების პრინციპი დანერგონ. პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემის მქონე ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია, მიიღონ სავალდებულო კვოტები, რაც უზრუნველყოფს მდედრობითი სქესის კანდიდატთა მაღალ რაოდენობას (საუკეთესო შემთხვევაში სულ მცირე 40%), მაგრამ ასევე რანჟირების მკაცრ წესს, მაგალითად, "ელვა" სისტემა"- მამრობით/მდედრობით კანდიდატთა მონაცვლეობა, ან ყოველი სამ კაციანი კანდიდატთა ჯგუფი სიაში (1-3, 4-6, 7-9, და ა.შ.) სულ მცირე ერთით ნაკლები ერთი სქესის წარმომადგენელი შეიძლება იყოს.

[15] http://5050-group.com/blog/?p=25

ცხ 1.3

შიდა პარტიული კვოტები სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ პარტიებში[16]

პარტია	აკრონიმი	კვოტის ტიპი
		გერმანია
გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია	SPD	ერთი სქესის მინიმუმ 40%-იანი წარმომადგენლობა მმართველობით ორგანობსა და პარტიულ სიებში (პარტიის წესდება 11.2. პარტიის საარჩევნო კოდექსი - მე-4 და მე-8 მუხლები)
მემარცხენეთა პარტია		ნომინირებულ სიაში პირველი ორი და ყოველი მეორე შემდგომი ადგილი რეზერვირებული ქალებისათვის (პარტიის წესდება. მუხლი 10.5)
ალიანსი 90/მწვანეები		1986 წლიდან გააჩნიათ 50%-იანი კვოტა ქალებისათვის საარჩევნო სიაში.
ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი	CDU	საარჩევნო სიისა და პარტიის ოფიციალური პირები მინიმუმ 1/3-ს უნდა შეადგენდნენ. თუ მსგავსი პროპროროცია არ იქნება დაცული, შიდა არჩევნები ხელახლა უნდა ჩატარდეს (პარტიის წესდება, მუხლი 15.2; 15.3
		ისლანდია
სოციალ-დემოკრატიული ალიანსი	S	პარტიის არჩევით ორგანოებში ერთი სქესი არ უნდა იყოს 40%ზე ნაკლები. თუ კანდიდატებს შორის რომელიმე სქესი 40%ზე ნაკლებია, მაშინ ის ნომინირებული იქნება არჩევნების გარეშე (პარტიის წესდება, მუხლი 2.10).
მემარცხენე მწვანეთა მოძრაობა	VG	კანდიდატების შერჩევისას, როგორც პარტიულ სიაში, ასევე პარტიულ სტრუქტურებში გენდერული ბალანსი დაცული უნდა იყოს (პარტიის წესდება, მუხლი 3)
პროგრესული პარტია		კანდიდატების შერჩევისას, როგორც პარტიულ სიაში, ასევე შიდა პარტიულ სტრუქტურებში, თითოეული სქესის წარმომადგენელი არ უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები, გარდა იმ შემთხვევისა როცა ასეთი ბალანსის დაცვის შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხულია (პარტიის წესდება 13.8)
		რუმინეთი
რუმინეთის სოციალ-ური დემოკრატიული პარტია	PSDR	გააჩნია 25%-იანი კვოტა ქალებისათვის პარტიულ სიაში, პარტია 2001 წლიდან არის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაწილი
დემოკრატიული პარტია	PD	მიღებულია 30% გენდერული კვოტა
სოციალურ-დემოკრატიული პარტია	PSD	2001 წელს რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და რუმინული სოციალ-დემოკრატიული პარტია ერთ პარტიად ჩამოყალიბდა, 2004 წლიდან მიღებულია 30%-იანი კვოტა.
		სლოვაკეთი
სლოვაკეთის კომუნისტური პარტია	KSS	ერთი ქალი ყოველ 8 კანდიდატს შორის საარჩევნო სიაში
ახალი მოქალაქეების ალიანსი	ANO	გააჩნია 33%-იანი არაფორმლური კვოტა ქალებისათვის.
მემარცხენე დემოკრატთა პარტია	SDL	20%-იანი კვოტა ქალებისათვის საარჩევნო სიაში.

[16] http://www.quotaproject.org/systemParty.cfm

		სლოვენია
სოციალ დემოკრატები	SD	1992 წელს პარტიამ წარმოადგინა 33% -იანი კვოტა ორივე სქესისთვის, 1996 წელს კანდიდატთა 42% იყო ქალი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოიპოვა მანდატი, 1997 წლიდან ფუქნციონირებს 40%-იანი კვოტა.
ლიბერალ დემოკრატიული პარტია	LDS	1998 წელს ქვოტა გენდერულად ნეიტრალურ 25%-იანი კვოტით შეიცვალა, და მოიმატებს 3%-ით ყოველი მომდევნო არჩევნებისათვის, მანამ სანამ არ მიაღწევს 40%-ს.
		შვედეთი
სოციალურ-დემოკრატიული პარტია	S	ე.წ. "ზიპ სისტემა", ყოველი მეორე კანდიდატი არის განსხვავებული სქესის (1993)
მემარცხენეთა პარტია	V	50%-იანი კვოტა საარჩევნო სიაში (1993)
სოციალ დემოკრატები	MP	50%-იანი კვოტა საარჩევნო სიაში (1997)
Moderate Party	M	პარტიული კვოტა: ევროპარლამენტის არჩევნებში სიის ყოველ ოთხეულში უნდა აიყოს 2 ქალი და 2 კაცი
		შვეიცარია
შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტია	SPS/PSS	40%-იანი კვოტა ქალებისათვის საარჩევნო სიებში
		დიდი ბრიტანეთი
ლიბერალ დემოკრატები		2001 წელს პარტიამ მიიღო 40%-იანი კვოტა ქალი კანდიდატებისათვის. 1999 წლისევროპარლამენტის არჩევნებში პარტიამ ზიპ სისტემა გამოიყენა, მაგრამ 2002 წელს აღარ გამოუყენებია.
ლეიბორისტული პარტია		პარტიის წევრებს 2 ხმის უფლება გააჩნიათ, ერთი ქალი კანდიდატებისათვის, ხოლო მეორე მამაკაცი კანდიდატებისათვის. ის ვინც მეტ ხმას მიიღებს, ის იქნება არჩეული
		ავსტრია
მწვანეები -მწვანე ალტერნატივა	GA	50% იანი კვოტა ქალებისათვის პარტიულ სიაში (1993).
ავსტრიის სახალხო პარტია	ÖVP	33% იანი კვოტა ქალებისათვის პარტიულ სიაში (1995).
ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია	SPÖ	40% იანი კვოტა ქალებისათვის პარტიულ სიაში (1985).

ქალი ამომრჩევლები და ელექტორალური ქცევის გენდერული თავისებურებები

ცენტრალური საარჩევნო კომისისი მონაცემებით 2010 წლის 20 მაისისთვის ამომრჩეველთა რაოდენობამ 3, 544, 770 შეადგინა[17]. სამწუხაროდ, კვლავ არ არსებობს სტატისტიკა ამომრჩეველთა და არჩევნებში მონაწილეთა გენდერული სეგრეგაციის შესახებ.

ერთადერთი წყარო, რომელიც დაახლოებით წარმოდგენას შეგვიქმნიდა ქალ ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით მოასახლეობის სქესობრივ-ასაკობივი სტრუქტურაა[18]. (იხ. ცხ.1.4.)

ამ სტატისტიკის მიხედვით ქალი ამომრჩევლები დაახლოებით 56,3 %-ს შეადგენენ,თუმცა ეს მონაცემი მხოლოდ მცირედ ცდომილებას შეიცავს, რაც შესაძლოა 18-19 წლის ასაკის ამომრჩევლთა რაოდენობის გენდერული სხვაობით იყოს გამოწვეული.[19]

საქართველოში ქალების ელექტორალური ქცევის შესახებ მნიშვნელოვანი კვლევები არ ჩატარებულა. ასევე არ არის ცნობები ქალების პოლიტიკური და იდეოლოგიური პრეფერენციების შესახებ. ამ ტიპის კვლევები ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი ხელს უწყობენ საარჩევნო ადმინისტრაციის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობის ზრდას ქალთა პოლიტიკური უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ცხ 1.4

აშშ–ების პრეზიდენტობის კანდიდატთა მხარდამჭერების გენდერული სეგრეგაცია[20] (%)

1980 წელს აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში ჯიმი კარტერს 7%-ით მეტმა ქალმა დაუჭირა მხარი, ვიდრე - რეიგანს. აშში-ში ჩამოყალიბებულია პოსტულატი იმის შესახებ, რომ როცა ქალები არჩევნებზე მიდიან, დემოკრატები იგებენ – When women vote, Democrats win.

	ქალი	კაცი
2000 წ		
ჯორჯ ბუში უმცროსი (რესპუბლიკური პარტია)	43	52
ალბერტ გორი (დემოკრატიული პარტია)	54	42
1996 წ		
ბილ კლინტონი (დემოკრატიული პარტია)	54	43
ბობ დოული (რესპუბლიკური პარტია)	38	44
როს პერო	7	10

[17] http://www.cec.gov.ge/files/archevnebi%202010/sxva%20informacia/Saparlamento_-_Full.pdf
[18] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo
[19] http://www.sadlyno.com/archives/507.html
[20] The Gender Gap. CAWP Fact Sheet.(Center of American Women and Politics – Rutgers University)

ასევე საინტერესო იქნება ქალთა ორგანიზაციებისა და ქალ ამომრჩეველთა მიმართების საკითხები, თუმცა ვინაიდან დღესდღეობთ საქართველოში ქალთა მოძრაობა საკმაოდ სუსტი და ფრაგმენტირებულია, ქალ ამომრჩევლებზე მათი გავლენა მინიმალიზირებულია და მხოლოდ ცალკეულ კამპანიურ ხასიათს თუ ატარებს.

დღესდღეობით, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ასევე რთულია დასკვნით სახით ვისაუბროთ, თუ რა ტიპის დამოკიდებულება არსებობს ქალ ამომრჩეველთა და ქალ კანდიდატებს შორის, არიან თუ არა ქალი ამომრჩევლები ქალი კანდიდატების მხარდამჭერები. ქალების აზრით ამის უმთავრესი მიზეზი კანდიდატთა შორის ქალების ნაკლებობა და ქალების სუსტი საარჩევნო კამპანიაა.

2008 წელს გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში ჩატარებულ კვლევაში "საზოგადოებრივი აზრი ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის შესახებ", კითხვაზე რომელი სქესის კანდიდატს მიანიჭებდით უპირატესობას - ქალებსა და კაცებს შორის მოსაზრებები ასე გადანაწილდა: (იხ.ცხ.1.5)

ცხ 1.5

სასწავლებლებო ორგანოებში არჩევნებისას მამაკაცს და ქალს შორის არჩევანის არსებობის შემთხვევაში, რომელი სქესის კანდიდატს მიანიჭებდით უპირატესობას?[21]

სქესი	ქალი	კაცი	სულ
ქალს	11.8	8.2	10.5
უფრო ქალს, ვიდრე მამაკაცს	16.1	11.4	14.4
სქესს მნიშვნელობა არ აქვს	38.1	31.5	35.7
უფრო მამაკაცს, ვიდრე ქალს	17.0	29.9	21.7
მამაკაცს	4.6	12.5	7.5
მიჭირს პასუხის გაცემა	12.4	6.5	10.3
სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**

კვლევის მიხედვით, მამაკაცსა და ქალს შორის არჩევანის შემთხვევაში რესპოდენტთა 36% ნეიტრალურობას იჩენს. აღსანიშნავია, რომ მამაკაცს უპირატესობას ანიჭებს მამაკაცთა 42% და ქალთა 22%. ხოლო ქალის არჩევისკენ იხრება ქალ რესპონდენტთა 28% და მამაკაც რესპონდენტთა მხოლოდ 19%. თუმცა საზოგადოებრივ აზრში პოზიტიური ძვრები შეინიშნება, 2006 წლის მონაცემებთან[22] შედარებით 2008 წელს

- 18%-ით გაიზარდა ქალთა ინფორმირებულობის დონე არჩევნებთან დაკავშირებით;
- 10%-ით გაიზარდა ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ კანდიდატის სქესს არჩევნებში მნიშვნელობა არა აქვს;
- 14%-ით შემცირდა იმ რესპოდენტთა რაოდენობა, რომელიც სტერეოტიპებს ქალთა პოლიტიკაში გააქტიურების მიზეზად თვლის;

[21] http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=647
[22] http://www.parliament.ge/files/648_11140_392842_LocalSurvey.pdf

- 6%-ით გაიზარდა იმ რესპოდენტთა რაოდენობა, რომელსაც მიაჩნია, რომ ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება ქალთა გააქტიურების ფაქტორია;
- 3%-ით გაიზარდა პოლიტიკურ პარტიებში ქალთა ჯგუფების შექმნის მომხრეების რაოდენობა და 9% შეადგინა;
- 15%-ით გაიზარდა რესპოდენტთა რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა სასურველია.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნები

ინსტუტუციური საკითხები

- კვლევაში მონაწილე ყველა პარტია აღიარებს პოლიტიკაში და კონკრეტულად პარტიებში ქალთა გააქტიურების აუცილებლობას. ყველა ლიდერი გამოთქვამს სურვილს, ხელი შეუწყოს პარტიაში ქალთა მონაწილეობის ზრდას, თუმცა მიუხედავად ცალკეული პრეცენდენტებისა, მათ არ გააჩნიათ მკაფიოდ გამოკვეთილი სტრატეგია გენდერული თანასწორობის მიღწევის მიმართულებით
- პარტიები აღიარებენ, რომ გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია ადამიანის უნივერსალური უფლების დარღვევაა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე პარტიას აქვს წესდებაში ეს უნივერსალური უფლება გაწერილი
- პოლიტიკური პარტიები ორ პირობით ჯგუფში ერთიანდებიან:
  - პარტია გენდერული თანასწორობის ყოველგვარი მექანიზმის გარეშე;
  - პარტია მეტნაკლები ფორმალურად ორგანიზებული ორგანიზაციით, რომელთაგან არც ერთს წესდების დონეზე არ გააჩნია ინსტიტუციური საფუძველი და პარტიის სხვა სტრუქტურული დანაყოფების სტატუსს იზიარებენ. ასეთი ჯგუფების ფუნქციონირება მხოლოდ მათი დებულებებით არის განსაზღვრული
- ქალთა ჯგუფების ძირითად ფუნქციებად ქალთა უფლებების დაცვა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ინტეგრაცია წარმოადგენს
- ბოლო წლებში არსებულმა ქალთა ჯგუფებმა პროგრესი განიცადა და პოლიტიკურად შედარებით მნიშვნელოვანი ფუნქციები შეიძინა, თუმცა ისინი კვლავ სხვა სტრუქტურებთან შედარებით სუსტ ერთეულად განიხილებიან; მხოლოდ ერთ პარტიაში მოხდა ქალთა საბჭოს გაუქმება, თუმცა პარტია მომავალში გენდერული თანასწორობის მექანიზმის ახალი ფორმატით შექმნას გეგმავს.
- არ არსებობს ქალთა/გენდერულ საკითხზე მომუშავე ჯგუფების სტრატეგიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები, ისევე როგორც მხოლოდ ერთეულ პარტიებს აღმოაჩნდათ ქალ ამომრჩევლებთან მუშაობის სტრატეგია
- ქალთა/გენდერულ საკითხზე მომუშავე ჯგუფების საქმიანობისათვის პარტიის ბიუჯეტში თანხები მხოლოდ სპონტანურად იხარჯება სხვადასხვა აქტივობების დასაფინანსებლად, არ არსებობს წლის დასაწყისში გაწერილი სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები, შესაბამისად ჯგუფის ფუნქციონირებისათვის ბიუჯეტი წინასწარ გაწერილი და დამტკიცებული არ არის

პარტიის გენდერული აუდიტი და სტატისტიკა

- პარტიები არ აწარმოებენ პარტიის გენდერულ აუდიტს, მათ ხელთ არსებული ინფორმაცია გენდერულ ჭრილში საკმაოდ მწირია და გარკვეული ცდომილებების ალბათობას არ გამორიცხავს

- პარტიებს არ გააჩნიათ მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, ცოდნა და გამოცდილება, სტატისტიკური მონაცემების გენდერული სეგრეგაცია მოახდინონ
- ცენტრალური საარჩევნო კომისია მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეების გენდერულ სტატისტიკას აწარმოებს, არ არსებობს ზოგადად ამომრჩეველთა, არჩევნებში მონაწილეთა გენდერული სტატისტიკა
- არჩევნების მონიტორინგის ორგანიზაციებს გენდერული სტატისტიკა არ გააჩნიათ ან საკმაოდ მწირ ინფორმაციას ფლობენ

ქალთა რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებში

- ქალთა რაოდენობა მმართველობით ორგანოებში 10%-დან 60%-მდე მერყეობს. პარტია "საქართველოს გზა" ლიდერობს ქალთა რაოდენობის მხრივ. პარტია, რომელიც კვლევის ადრესატ პარტიებს შორის ერთადერთია, რომლის ლიდერიც ქალია. ყველაზე ნაკლები რაოდენობა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მმართველ ორგანოებშია
- ყველაზე მეტი წევრი ქალი პროცენტულად ასევე პარტია "საქართველოს გზას" ყავს. სხვა პარტიებში ქალთა რაოდენობა საშუალოდ 40-45%-ს შორის მერყეობს
- სტატისტიკა ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ პარტიებში არსებობს ე.წ. "ძალაუ-ფლების გენდერული პირამიდა", რაც უფრო მეტია ძალაუფლება, ქალთა რაოდე-ნობა კლებულობს

ფუნქციების გადანაწილება გენდერულ ჭრილში

- პარტიებში დაფიქსირდა ფუნქციების გადანაწილების გენდერული კანონზომიერ-ებები, ზოგადად კაცები უფრო მეტ ფუნქციას ასრულებენ პარტიაში და მეტი პასუხისმგებლობები გააჩნიათ
- კაცები უპირატესად პარტიის მართვის, თანხების მოძიებისა და განკარგვის, პარტიული სიის შედგენის საკითხებით არიან დაკავებულნი
- ქალები და მამაკაცები თანაბრად საარჩევნო დაპირებების და პროგრამის შექმნის, საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაბის და არჩევნების მონიტორინგის პროცესში არიან ჩართულნი
- ქალები ძირითადად მას-მედიასთან ურთიერთიბაში არიან აქტიურნი,ასევე წარმართავენ მოხალისეთა საქმიანობასა და რჩებიან უფრო მეტად ერთგულნი, მას შემდეგ რაც პარტია კარგავს რეიტინგს
- ე.წ. "ძალაუფლების გენდერული პირამიდა", როგორც რაოდენობრივად არის ასახული, ასევე შეინიშნება ფუნქციური გადანაწილების კუთხით

საარჩევნო სიების ფორმირება და მაჟორიტარ კანდიდატთა ნომინირება

- სიების ფორმირების/კანდიდატთა ნომინირების ცენტრალიზებული სისტემები და პარტიაში დაწინაურების გაუმჭვირვალე მექანიზმები კვლავ ქალთა დაწინ-აურების შემაფერხებელ ფაქტორად რჩება
- საარჩევნო სიების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალები ძირითადად პარტიული სიების ბოლოში არიან კონცენტრირებულნი, სადაც გამარჯვების ნაკლები შანსები გააჩნიათ
- 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ყველაზე მეტი მაჟორიტარი ქალი წარდგენილი ჰყავდათ რესპუბლიკელებსა და ლეიბორისტულ პარტიას, ხოლო პარტიული სიის პირველ 50 კანდიდატს შორის ყველაზე მეტი ქალი საქართვე-ლოს პოლიტიკურ პარტიას -"ჩვენი ქვეყანა" ჰყავდა წარდგენილი

სპეციალური მექანიზმები ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად

- არცერთი პარტია არ იყენებს რაიმე სპეციალურ მექანიზმს (კვოტას) პარტიული სიების ფორმირებისა და მაჟორიტარი კანდიდატების ნომინაციის პროცესში
- პარტიები ნაციონალური მოძრაობის გარდა აპირებენ მხარი დაუჭირონ გენდერული კვოტირების საკითხს იმ შემთხვევაში, თუ პარტია წარმოდგენილი იქნება პარლამენტში
- ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელიც უმრავლესობითაა წარმოდეგნილი საკანონდმებლო ორგანოში 2010 წელს გენდერული თანასწორობის კანონის პროექტში მხარი არ დაუჭირა სხვადასხვა სპეციალური მექანიზმების შემოღებას ქალთა დაწინაურებისათვის
- პარტიები ამ ეტაპზე არ არიან მზად შიდა პარტიული კვოტების შემოღებისათვის. სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად ამის უმთავრეს მიზეზად ქალთა სათანადო კვალიფიციური პარტიული რესურსის არარსებობას ასახელებენ და განმარტავენ, რომ ფორმირებისას პარტიის სახელმძღვანელო კრიტერიუმებია წარდგენილ კანდიდატთა გამოცდილება, უნარები და პროფესიონალიზმი
- პარტიები კარგად იცნობენ სხვა ქვეყნების წარმატებულ გამოცდილებას გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებით

საგანმანათლებლო პროგრამები გენდერულ საკითხებზე და პროგრამები ქალებისათვის

- პარტიებში ტენდენციად შეინიშნება ქალებზე ორიენტირებული (სოციალური, საგანმანათლებლო და ა.შ) პროგრამების სიმცირე
- არ არსებობს ქალთა ცალკეული პროფილური ჯგუფებისათვის (ახალგაზრდა ქალები, ეთნიკური უმცირესობი) სპეციალური პროგრამები
- გენდერულ საკითხებზე პარტიის წევრთა განათლება მხოლოდ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით ხორციელდება
- პარტიებში ასევე გენდერულ საკითხთა ესქპერტების ნაკლებობა შეინიშნება

ინტერპარტიული კოორდინაცია

- ქალთა ჯგუფების თანამშრომლობის/ინტერპარტიული კოორდინაციის წარმატებული პრაქტიკის არარსებობა ხელს უშლის მათი ძალისხმევის კონსოლიდაციას და სხვადასხვა გენდერული თემატიკის პრობლემატიკის გადაწყვეტას
- ყველა პარტია აღიარებს ასეთი ტიპის თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზადყოფნას გამოთქვამენ კოოპერაციისთვის

პარტიების თანამშრომლობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

- პარტიები თანამშრომლობენ გენდერულ/ქალთა საკითხზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან
- პარტიები ხაზს უსვამენ, სურვილსა და საჭიროებას არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სისტემურად იმიშაონ, რადგან სწორედ საკითხისადმი სისტემური მიდგომის შედეგად იქნება შესაძლებელი ამ თანამშრომლობის ფორმატში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა

საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა და გაზიარება

პარტიათა უმრავლესობა ზოგადად იცნობს წარმატებულ დასავლურ გამოცდილებას გენდერული თანასწორობის კუთხით, თუმცა აღიარებენ, რომ აუცილებელია, მეტად გაიღრმავონ ცოდნა ამ საკითხებზე.

საარჩევნო სისტემები და ქალთა წარმომადგენლობა

- პარტიები არ არიან კარგად ინფორმირებულნი საარჩევნო სისტემის, როგორც ქალთა წარმომადგენლობაზე მოქმედი სამართლებრივი ინსტრუმენტის შესახებ
- ადგილობრივი თვითმმართველობისა და საპარლამენტო არჩევნების შედეგად გამოვლინდა სისტემური კავშირი საარჩევნო სისტემასა და ქალთა წარმომადგენლობას შორის
- პროპორციული საარჩევნო სისტემით 2008 წელს 8 ქალი იქნა არჩეული, ხოლო მაჟორიტარული სისტემის მიხედვით მხოლოდ 1
- 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგებით ქალების მიერ მოპოვებული მანდატების 15% პროოპორციული. ხოლო 8 მაჟორიტარული სისტემით იქნა მოპოვებული
- მიუხედვად იმისა, რომ ხშირად მიმდინარეობს პოლიტიკური დებატები და დისკუსიები საარჩევნო კანონმდებლობის და კონკრეტულად საარჩევნო სისტემის ცვლილებების შესახებ, ქალთა წარმომადგენლობის საკითხი მთლიანად არის იგნორირებული და მხედველობაში არ მიიღება
- არც ერთ პოლიტიკურ პარტიას დღის წესრიგში არ დაუყენებია ამა თუ იმ შემოთავაზებული საარჩევნო მოდელების შესაძლო პოზიტიური/ნეიტრალური/ნეგატიური გავლენის ალბათობა ქალთა წარმომადგენლობაზე

ქალთა მოძრაობები და გაერთიანებები

- ქალთა მოძრაობის სისუსტე/ფრაგმენტაცია მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება ქალთა დაწინაურების პროცესში, რაც საკუთრივ პოლიტიკურ პარტიებში ქალთა პოზიციების მნიშვნელოვან გაძლიერებას უშლის ხელს
- ქალთა მოძრაობების როლი , რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ ქალ პოლიტიკოსებს, საქართველოში მინიმალიზირებულია და მხოლოდ ცალკეულ პრეცენდენტებს ემყარება

პოლიტიკური კულტურა/ელექტორალური ქცევის გენდერული თავისებურებები

- ელექტორალური ქცევის გენდერული თავისებურებების სიღრმისეული კვლევა პარტიებისათვის მნიშვნელოვანია, თუმცა ასეთი ტიპის ინფორმაცია მხოლოდ ზოგადად გააჩნიათ
- ასევე არ არსებობს დამოუკიდებელ ექსპერტთა კვლევა ამ საკითხებთან დაკავშირებით, რაც პარტიების აზრით, მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა საარჩევნო კამპანიების დაგეგმვის, ქალ ამომრჩეველთა გააქტიურების საქმეში
- პარტიებს არ გააჩნიათ გამოკვეთილი სტრატეგია ქალ ამომრჩევლებთან სამუშაოდ, საარჩევნო კამპანიის პროცესში სამიზნე ჯგუფი – ქალი - სპონტანურ საარჩევნო ტექნოლოგიებს ექვემდებარება და არა პარტიის მიერ გაწერილ კონკრეტულად განსაზღვრულ აქტივობებს, არ არსებობს საარჩევნო კამპანიის გენდერული ჭრილი და ქალებსაც და მამაკაცებსაც ერთ ენაზე ესაუბრებიან, მაშინ როდესაც განსხვავებულია მათი ღირებულებები, პრობლემები და მიდგომები

პარტიების ხედვები ქალთა უფლებების შესახებ საკანონმდებლო საკითხებზე

- პარტიები აღიარებენ რომ დედის/ორსულ ქალთა უფლებები და შრომის უფლებების საკანონმდებლო ბაზა შემდგომ დახვეწას საჭიროებს
- პარტიების აზრით, საკანონმდებლო დონეზე ყველაზე ნაკლებად აქტუალური ქალთა პოლიტიკურ უფლებათა დაცის საკითხებია

საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმატიული ინსტრუმენტები ქალთა უფლებების დასაცავად

- პარტიები მიესალმებიან გენდერული თანასწორობის კანონის მიღებას
- გენდერული თანასწორობის შესახებ საერთაშორისო დოკუმენტების ცოდნა არ არის მნიშვნელოვნად მაღალი, თუმცა ასეთი ინფორმაცია გააჩნიათ
- პარტიებში უფრო მეტად შეინიშნება ნაკლები ცოდნა ქალთა პოლიტიკური უფლებების კუთხით სხვადასხვა პროფილური რეკომენდაციებისა და რეზოლუციების შესახებ

ზოგადად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად არსებული ტენდენციებისა, პარტიები კვლავ რჩებიან ქალთა პოლიტიკაში დაწინაურების ინსტრუმენტად და ქალთა პოლიტიკაში მოსვლის ძირითადი სცენარის მთავარი ობიექტები არიან.

თუმცა, ზოგადად, პოლიტიკური პროცესი ჯერ კიდევ არ არის ქალთა ინტერესთა არტიკულაციის მექანიზმი და ძირითადად მხოლოდ აქტიური საარჩევნო უფლებ-ის, უფრო ნაკლებ შემთხვევაში კი პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს. პოლიტიკურ პარტიებს კი ''მამაკაცური პროფილი'' გააჩნიათ. საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში ოდითგანვე მამაკაცთა დო-მინირების გამო, ფორმალური და არაფორმალური წესები მათ მიერვე შეიქმნა, რომლებიც ქალებს არახელსაყრელ გარემოს უქმნის დაწიანურებისათვის.

რეკომენდაციები

ინსტუტუციური საკითხები/ფინანსები

- პარტიებში უნდა შეიქმნას ქალთა/გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფები, ხოლო უკვე არსებული ჯგუფები ინსტიტუციურად უნდა დარეგულირდეს პარტიის წესდებაში
- ჯგუფებს უნდა გააჩნდეთ დებულებები, სადაც ფუნქციები, ორგანიზაციული სტრუქტურა და საქმიანობის მიმართულებები მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული
- სასურველია ჯგუფის ხელმძღვანელი ავტომატურად ხდებოდეს პარტიის მართვის უმაღლესი ორგანოს წევრი, რათა მან ჯგუფის ინტერესების ლობირება აქტიურად მოახდინოს
- უნდა შემუშავდეს ჯგუფების სტრატეგია, მოქმედების გეგმა, ამომრჩევლებთან და მედიასთან მუშაობის სტრატეგიები
- ჯგუფმა სამოქმედო გეგმის მიხედვით უნდა გაწეროს ბიუჯეტი და მოიძიოს დაფინანსება პარტიის ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან, რამაც ფინანსური მდგრადობა უნდა განაპირობოს, ეს ასევე ხელს შეუწყობს პარტიული ფინანსების სამართლიან გადანაწილებას
- პარტიამ საარჩევნო პროგრამებში აქცენტი უნდა გააკეთოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე და ქალთა პრობლემების გადაჭრის გზებზე

პარტიის გენდერული აუდიტი და სტატისტიკა

- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა დანერგონ ინსტრუმენტები და მექანიზმები გენდერული სტატისტიკის წარმოებისათვის, რათა გააჩნდეთ რეალური ინფორმაცია სტატისტიკისათვის დასაშვები ცდომილების საზღვრებში
- პარტიას უნდა გააჩნდეს ინფორმაცია ელექტორატის დამოკიდებულების შესახებ გენდერული ნიშნის მიხედვით, პარტიის წევრთა და აქტივისტთა შემადგენლობის, პარტიის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთა და ძირითად თანამდებობის პირთა შესახებ გენდერული ნიშნით
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა აწარმოოს ამომრჩეველთა, არჩევნებში მონაწილეთა, კანდიდატთა და გამარჯვებულ არჩევით ორგანოს წევრთა გენდერული სეგრეგაცია, არჩევნების მონიტოირნგის ორგანიზაციებმა მეტი ინსტრუმენტები უნდა დანერგონ საარჩევნო პროცესის გედნერული მონიტორინგისათვის

ქალთა რაოდენობა პოლიტიკური პარტიებში

- შემოღებულ უნდა იქნას კვოტები პარტიების მმართველ ორგანოებში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად
- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა შეიმუშავონ სტრატეგიები მეტი პოტენციური მხარდამჭერი ქალის პარტიაში მოსაზიდად

ფუნქციების გადანაწილება გენდერულ ჭრილში

- პარტიებმა დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, უნდა უზრუნველყონ ქალების და მამაკაცების თანაბარი მისაწვდომობა პარტიაში ყველა ტიპის ფუნქციის შესასრულებლად
- აუცილებელია პარტიის შიდა საქმიანობის დებულების არსებობა, რაც პარტიაში დემოკრატიული პრინციპების გატარებას უნდა უზრუნველყოფდეს თანასწორობის პრინციპების დაცვით გათვალისწინებით

საარჩევნო სიების ფორმირება და მაჟორიტარ კანდიდატთა ნომინირება

- კანდიდატთა ნომინირების სისტემა უფრო გამჭვირვალე უნდა გახდეს პარტიის დონეზე
- პარტიების მართვის ცენტრალიზებული სისტემები ღია და გახსნილი უნდა გახდეს რიგითი წევრებისათვის, მათ შორის ქალებისათვის
- პარტიებში დაწინაურების მექანიზმები უნდა იყოს გამჭვირვალე და თაბარ პირობებში უნდა აყენებდეს პარტიის ქალ და მამაკაც წევრებს

სპეციალური მექანიზმები ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად

- პარტიებმა უნდა გამონახონ პოლიტიკური ნება და რესურსები მოახდინონ გენდერული კვოტების იმპლემენტაცია შიდა პარტიულ დონეზე
- კვოტირების იმპლემენტაციის შემთხვევაში უფრო ეფექტური იქნება ისეთი კვოტირების სისტემის შემოღება, რომელიც განსაზღვრავს ერთი სქესის კანდიდატთა როგორც რაოდენობას, ასევე რიგითობას პარტიულ სიაში
- პოლიტიკურ პარტიებს უნდა დაუწესდეს ფინანსური სანქციები ჯარიმების სახით სახელმწიფო დაფინანსებიდან იმ შემთხვევაში, თუ არ ქნება დაცული გენდერული ბალანსი პარტიულ სიებში/წარმომადგენლობით ორგანოებში
- პარტიებმა ლობირება უნდა გაუწიონ ქალთა ორგანიზაციების ინიციატივებს საკანონმდებლო დონეზე გენდერული კვოტირების შემოღების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამები გენდერულ საკითხებზე და პროგრამები ქალებისათვის

- პარტიებმა უნდა შეიუმუშავონ საგანმანათლებლო პროგრამები ქალებისათვის, რათა მოხდეს ქალთათვის პოლიტიკოსისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება
- პარტიებმა უნდა შეიუმშავონ პორგრამები ქალთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის (მაგ. ახალგაზრდა ქალები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები) პოლიტიკური განათლების ასამაღლელად სხვადასხვა სფეროებში
- პარტიებმა უნდა მოიზიდონ გენდერულ საკითხებზე მომუშავე ექსპერტები და ექსპერტთა ჯგუფები

ინტერპარტიული კოორდინაცია

- პარტიების ქალთა ორგანიზაციებმა/გენდერულმა ჯგუფებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში დააფიქსირონ ერთიანი ინტერპარტიული პოზიცია ამა თუ იმ გენდერულ საკითხთან დაკავშირებით
- პარტიებმა უნდა ჩაატარონ ერთიანი კამპანიები სხვადასხვა გენდერული საკითხის ლობირებისათვის
- შექმნან გენდერულ საკითხებზე საკოორდინაციო ორგანო - მექანიზმი, ეფექტური დისკუსიის წარმართვისა და კონკრეტული ნაბიჯების განხორიცელებისათვის
- მნიშვნელოვანია სხვადასხვა მმართველ ორგანოებში უკვე არჩეული სხავდასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა კოორდინაცია

- საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოში სასურველია დაცული იყოს გარკვეული პარიტეტი პოლიტურ პარტიათა წარმომადგენლობის თვალსაზრისით

პარტიების თანამშრომლობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

- პარტიებმა აქტიურად უნდა ითანამშრმლონ გენდერულ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასეთ თანამშრომლობას სისტემური ხასიათი უნდა გააჩნდეს როგორ პარტიების, ასევე ორგანიზაციების მხრიდან

საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა და გაზიარება

- პარტიებმა უნდა გაიღრმავონ ცოდნა გენდერულ საკითხებზე წარმატებული მაგალითების შესახებ
- გაეცნონ სხვა პარტიების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის წარმატებულ მაგალითებს, სხვა პარტიების შიდა სქემებს, რომლებიც წარმოადგენენ მისაბაძ მაგალითს გენდერული თანასწორობის კუთხით

საარჩევნო სისტემები და ქალთა წარმომადგენლობა

- არსებული საარჩევნო სისტემა, რომელიც არალოიალურია ქალების მიმართ, ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად სხვადასხვა ელემენტების რეფორმირებას საჭიორებს
- მიმდინარე საარჩევნო სისტემის რეფორმირების შესახებ დისკუსიებში უნდა დაისვას საკითხი სხვადასხვა ფორმატით სპეციალური მექანიზმების შემოღების შესახებ

ქალთა მოძრაობები და გაერთიანებები

- პარტიებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ ქალთა მოძრაობებთან და შეუწყონ ხელი ძლიერი ქალთა მოძრაობის შექმნას

პოლიტიკური კულტურა/ელექტორალური ქცევის გენდერული თავისებურებები

- პოლიტიკურ პარტიებს უნდა გააჩნდეთ ქალ ამომრჩევლებთან მუშაობის სტრატეგია, როგორც საკუთარ, ასევე ნეიტრალურ ამომრჩევლებთან, ასევე იმ ამომრჩევლებთან, რომლებმაც წინა არჩევნებზე სხვა პარტიას დაუჭირეს მხარი ან უკვე გადაწყვეტილი აქვთ მომავალ არჩევნებში სხვა პარტიას მისცენ ხმა
- პარტიამ უნდა შეისწავლოს ელექტორალური ქცევის თავისებურებები და საარჩევნო კამპანია ამ თავისებურებების გათვალისწინებით წარმართოს

პარტიების ხედვები ქალთა უფლებების შესახებ საკანონმდებლო საკითხებზე

- პარტიებმა უნდა გადადგან დაუყოვნებლივი ნაბიჯები დედის/ორსულ ქალთა და ქალთა შრომის უფლებების დასაცავად - კანონმდებლობის ქალთა ინტერესების შესაბამისად ადაპტირებისათვის

საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმატიული ინსტურმენტები ქალთა უფლებების დასაცავად

- პოლიტიკური პარტიები უნდა გაეცნონ საერთაშორისო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს გენდერულ თანასწრობასთან დაკავშირებით და გაითვალისწინონ რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები, შეისწავლონ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, შეიმუშაონ გენდერული თანასწორობის კონცეფციები და სამოქმედო გეგმები და მუდმივად მიიღონ მონაწილეობა მათ დახვეწასა და იმპლემენტაციაში, ასევე აწარმოონ კანონმდებლობის იმპლემენტაციის მონიტორინგი

ახალგაზრდების განვითარება საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში: პარტიის რესურსების გამოყენების გზების ძიება

დავით ჯიჯელავა

შეჯამება

კვლევის მიზნები

საქართველოს ახალგაზრდობა ხშირად თამაშობდა ისტორიულად გადამწყვეტ როლს ქვეყნის პოლიტიკური განვითარების პროცესში. თუმცა, ძალზე ცოტა რამ გაკეთდა იმის დასადგენად, თუ რა ამოძრავებს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, როგორ მუშაობენ ისინი, რა არის ახალგაზრდების მოტივაცია პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებისას და როგორია პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდა აქტივისტების განათლება და სხვა მახასიათებლები. წინამდებარე კვლევაში წარმოგიდგენთ ახალგაზრდების პოლიტიკური აქტიურობის განხილვის მცდელობას. კვლევა განსაკუთრებით ფოკუსირდება პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე.

პოლიტიკური პარტიები აუცილებელია დემოკრატიული წყობის ფუნქციონირებისათვის. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური პარტია სუსტია, მოწყვეტილია პოლიტიკურ პროცესებს და უჭირს ამომრჩევლებთან ეფექტური კავშირი. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ განვითარებად ქვეყანას, როგორიცაა საქართველო, სადაც პარტიული სისტემა სუსტია, ხოლო პარტიების ნაწილს არ გააჩნია შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა. ამ სისუსტის ყველაზე ხშირად ნახსენები წყაროო არის ადამიანური რესურსები, ხოლო პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ფრთა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს პარტიის საკადრო რესურსების განვითარებისა და პარტიის საქმიანობის მრავალწლიანი დაგეგმვის თვალსაზრისით.

კვლევის საკვანძო მიგნებები

წარმოდგენილი კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა არის ის, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემების თანახმად, ახალგაზრდების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში სათანადოდ არ ჯილდოვდება და ანაზღაურდება მოგვიანებით მათ მიერ საქმიანი კარიერის გაგრძელებისას. სხვა ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მოქმედი პოლიტიკოსების უმრავლესობა ცხოვრების ადრეული ეტაპიდანვე იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, საქართველოში მსგავსი პოლიტიკოსების რაოდენობა გაცილებით მცირეა. ამან შესაძლოა სურვილი დაუკარგოს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პოლიტიკით და წარმატებული პოლიტიკური კარიერის აწყობას გეგმავენ. მათ შესაძლოა მიიჩნიონ, რომ პოლიტიკაში წარმატების მიღწევისათვის საუკეთესო საშუალებას არ წარმოადგენს პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში გაწევრიანება; უმჯობესია, სხვა გზების მოძებნა ბიზნესისა და სამოქალაქო სამსახურების სპექტრის გავლით. საქართველოს პოლიტიკაში საკმაო რაოდენობით არსებობენ პოლიტიკოსები, მათ შორის პარლამენტარები და მინისტრები, რომლებსაც არ გააჩნიათ პარტიული გამოცდილება და, შესაბამისად, პარტიაში საკუთარი თავის რეალიზაციას არ მოუხდენია გავლენა მათ წარმატებაზე. საქართველოში

საკმაოდ დიდია ხვედრითი წილი "პოლიტიკური აუტსაიდერებისა," რომლებიც წარმოადგენენ ისეთ პოლიტიკოსებს, რომლებიც პოლიტიკაში მოდიან იმ პარტიის დინამიკის შესაბამისი ცოდნის გარეშე, რომელთა ინტერესებსაც თავადვე წარმოადგენენ. შესაბამისად, ეს გარკვეულ პრობლემებს ქმნის პოლიტიკური ერთიანობისა და იდეოლოგიური სიმყარის საკითხებთან მიმართებაში.

ახალგაზრდების პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილის გაქარწყლების მეორე მიზეზს წარმოადგენს პოლიტიკის ის არასახარბიელო აღქმა, რომელიც ამჟამად საქართველოში არსებობს. ასეთ აღქმას განაპირობებს საქართველოს პოლიტიკაში განვითარებული პროცესები, პოლიტიკოსების მიერ პარტიების ხშირი გამოცვლა, არსებული კორუფცია და პოლიტიკოსების მიერ დაუსრულებელი ბრალდებები ერთმანეთის მიმართ. თუკი, პარტიის მიზანს წარმოადგენს გონიერი ახალგაზრდა ადამიანების მოზიდვა, ასეთ შემთხვევაში პოლიტიკის არსებული ნეგატიური აღქმა პატივისცემით უნდა ჩანაცვლდეს. ყველა კვლევა მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკის მიმართ ინტერესი მოსახლეობაში საგრძნობლად მცირდება, ხოლო ახალგაზრდების პოლიტიკით დაინტერესების მაჩვენებელი საკმაოდ შემაშფოთებელია.

წინა ორ პარაგრაფში მოცემული დასკვნების გააზრებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ დამოუკიდებელი ქართული პოლიტიკური სისტემა ჯერ ისევ საკმაოდ ახალგაზრდაა და მან საკმაოდ მღელვარე ცვლილებები გამოსცადა უახლოეს წარსულში, ხოლო 2003 წელს კი მოხდა რეჟიმის სრული ცვლა. შესაბამისად, შეუძლებელია ობიექტური სურათის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა სარგებლის მომტანი შეიძლება იყოს ადრეულ ასაკში დაწყებული პოლიტიკური აქტივიზმი. თუმცა, საქართველოს რეალობაში პარტიული აქტივისტები უფრო მეტად მობილურები არიან ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხანდახან ისეც ხდება, რომ ერთი პარტიის აქტივისტი თავის პოლიტიკურ კარიერას მეორე პარტიაში აგრძელებს. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ განხორციელებული რეჟიმის ცვლილების შედეგადაც კი არ დასრულებულა მრავალი ისეთი ახალგაზრდა პოლიტიკოსის კარიერა, რომლებიც ძველი სისტემის ნაწილს წარმოადგენდნენ. უფრო პირიქით მოხდა: შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, ბევრმა ახალგაზრდა აქტივისტმა შეძლო წარმატებული პოლიტიკური კარიერის აწყობა არსებული პოლიტიკური სისტემის დამხობის შემდეგაც კი. ყველა ეს ასპექტი მნიშვნელოვანია საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივიზმის შესახებ დასკვნების გამოტანისათვის.

კვლევა ასევე შეეხო ახალგაზრდების მახასიათებლების და მოტივაციის საკითხებს. ეს მახასიათებლები განსხვავებულია პარტიების მიხედვით, ასევე არ არის გასაკვირი, რომ ახალგაზრდული ფრთის ძირითადი ბირთვი სტუდენტებისა-

გან შედგება. საინტერესოა, რომ თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მათი ახალგაზრდა აქტივისტების უმეტესობა სამართლის ფაკულტეტზე სწავლობს. როგორც წესი, ისინი საშუალო ან დაბალი კლასის წარმომადგენლები არიან, წარმომავლობით რეგიონებიდან მოდიან, მაგრამ თბილისში ცხოვრობენ და სწავლობენ.

რაც შეეხება მოტივაციას, ახალგაზრდა აქტივისტებს საქართველოში საკმაოდ პრაგმატული შეხედულებები ამოძრავებთ და ისინი ითვალისწინებენ იმ სამომავლო სარგებელს, რაც ახალგაზრდულ პარტიულ ორგანიზაციებში აქტიურმა მონაწილეობამ შეიძლება მოიტანოს შედეგად. ასეთი სარგებელი შეიძლება იყოს გარკვეულ წყაროებზე წვდომის შესაძლებლობა, მაგალითად ცნობილი ექსპერტების ან პოლიტიკოსების ლექციებზე დასწრება, კონფერენციებში მონაწილეობა და შედეგად, პოლიტიკური ხედვის ჩამოყალიბება. ასევე, ხშირად ახალგაზრდების პარტიებში გაწევრიანების მიზანია მათი სოციალური ცხოვრების გამდიდრება, ამჟამინდელ მეგობრებთან კომუნიკაციის საშუალებების გაუმჯობესება და მეგობრების წრის გაფართოვება. სხვა სიტყვებით, ისინი ცდილობენ საკუთარი სოციალური კაპიტალის გაფართოვებას. ასეთი შეხედულებები საკმაოდ განსხვავდება იმ მოსაზრებებისაგან, რომლებიც მყარი ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნების ახალგაზრდობას ახასიათებს. როგორც წესი, ასეთ ქვეყნებში ახალგაზრდობის მამოძრავებელი ძალა არის იდეოლოგიური ინტერესი და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის სურვილი.

მეთოდოლოგია

“ახალგაზრდობის” ცნების განსაზღვრება

არ არსებობს ერთი და საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტული გაგება იმისა, თუ რას შეიძლება ეწოდოს “ახალგაზრდობა.“ მაგალითად, გაერთიანებული ერების მიერ შემუშავებული ახალგაზრდობის განსაზღვრება მოიცავს ასაკობრივ ჯგუფს 15-დან 24 წლამდე. თუმცა, სხვადასხვა ქვეყანაში ცნება “ახალგაზრდობა“ სხვადასხვანაირად გამოიყენება. რიგ შემთხვევებში, იგი იწყება ისეთი ადრეული ასაკიდან, როგორიცაა 14 წელი და ზოგან 18 წლიდანაც კი, ხოლო ზედა ნიშ-ნული 24-დან 31 წლამდე შეიძლება მერყეობდეს. საქართველოს კანონმდებლობა ახალგაზრდობის განსაზღვრებას არ იძლევა. თუმცა, ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა და სწორედ მის მიხედვით განისაზღვრება თუ ვის მიიჩნევს ქვეყნის მთავრობა “ახალგაზრ-დობად.“ ინდივიდუალურ პოლიტიკურ პარტიებს თავად აქვთ ჩამოყალიბებული საკუთარი ხედვა “ახალგაზრდობის“ შესახებ. როგორც წესი, არ არსებობს მკაცრი შეზღუდვა იმისა, თუ ვის შეუძლია ჩართული იყოს ახალგაზრდულ აქტივობებში. ამ კვლევაში ახალგაზრდობა განსაზღვრულია კონტექსტუალურად. თითოეული პარტიის მონაცემების დამუშავებისას, ვიყენებთ ამ ცნების მათსავე განსაზღვრე-ბას. ისეთი პოლიტიკური აქტივიზმის განხილვისას, როგორიცაა ხმის მიცემა და პოლიტიკით დაინტერესება, ვიყენებთ ასაკობრივ ჯგუფს 18-დან 25 წლამდე. როდესაც ვმსჯელობთ პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შესახებ, არასწორი იქნებოდა 18-დან 25 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის გამოყენება, რადგანაც პარლა-მენტის წევრები მხოლოდ 25 წელს ზემოთ ასაკიდან შეიძლება იყონ არჩეულნი. სწორედ ამ მიზეზის გამო, პარლამენტის წევრს ვუწოდებთ “ახალგაზრდას“, თუ იგი 25-დან 35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ხვდება. ასევე, სხვადასხვა დროს ჩატარებულ კვლევებში ახალგაზრდობის ცნების განსხვავებული განსაზღვრე-ბები გამოიყენებოდა, ამიტომ ამ კვლევების ციტირებისას მათსავე მონაცემებს გამოვიყენებთ.

მეთოდები

ეს კვლევა იყენებს რამდენიმე ხერხს, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდოლოგიიდან. პირველი ეტაპი მოიცავს სამაგიდო კვლევას და შესაბამისი ლიტერატურისა და მონაცემების დამუშავებას გულისხმობს. კვლევაში გამოყ-ენებულია სხვადასხვა ტიპის ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოძიებული მონაცემები, როგორიცაა დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტი (IDEA), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC). ორგან-იზაციები IRI და ჩღღჩ პერიოდულ საერთო ეროვნულ კვლევებს ატარებენ და მათ მიერ მოპოვებული მონაცემები, როგორც წესი, საზოგადოებისათვის ხელმისაწვ-დომია. საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტი (IDEA) აგროვებს არჩევნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან

და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოთხოვნილი მონაცემების ჩამოტვირთვა ექსელის ფორმატში. მკვლევარისათვის ეს ძალზე მოსახერხებელი და სასარგებლო რესურსია. ჩვენ ეს მონაცემები გამოვიყენეთ იმ ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, რომელთაც 1992 წლიდან საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა.

მეორე სახის რაოდენობრივი მეთოდი, რომელსაც მივმართეთ იყო პარლამენტის წევრების შესახებ ინფორმაციის მოძიება, პარლამენტის ვებ-გვერდის დახმარებით. სამწუხაროდ, კვლევის ფორმატიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით რაოდენობრივი გამოკითხვის ჩატარება პარლამენტის წევრებთან ან ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენლებთან, რომ გაგვეანალიზებინა მათი პარტიული ბექგრაუნდი ან ახალგაზრდულ ასაკში პოლიტიკაში ჩართულობა. ამიტომ, გამოვიყენეთ ის მონაცემები, რომლებიც ფართო საზოგადოებისათვის იყო ხელმისაწვდომი. დეტალურად შევისწავლეთ ასოცდაჩვიდმეტივე პარლამენტის წევრის პირადი მონაცემები და კოდირება გავაკეთეთ რამდენიმე წინასწარ შერჩეულ ცვლადზე დაყრდნობით: პარტია, რომელსაც მოცემული პარლამენტარი წარმოადგენს, ასაკი (იმისათვის, რომ გაგვერკვია თუ რამდენი მათგანი მოხვდებოდა ‘‘ახალგაზრდების კატეგორიაში‘‘), პარტიულ საქმიანობაში ჩართულობა პარლამენტში არჩევამდე, ახალგაზრდა ასაკში პოლიტიკაში ჩართულობის გამოცდილება და პარლამენტარის კარიერამდე დაკავებული თანამდებობები. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის წევრების მონაცემები არ იძლევა დეტალურ პასუხს იმ თითოეულ კატეგორიაზე, რომელთაც ეს კვლევა ეხება, ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას დამატებული ჩვენი ცოდნა რამდენიმე პარლამენტარის ბიოგრაფიისა, შესაძლებელს მოგვცემს გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ.

ჩვენ ასევე ინტერვიუები ავიღეთ პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან. ჩვენ შევძელით ყველა ისეთი მსხვილი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთან გასაუბრება, როგორიცაა: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკური პარტია, ახალი მემარჯვენეები, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და ლეიბორისტული პარტია. ინტერვიუები სატელეფონო გასაუბრების მეშვეობით წარიმართა. ჩვენი კითხვები შეეხებოდა ახალგაზრდული ორგანიზაციების ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: რეკრუტირების საკითხი, მოტივაცია, მუშაობის სტრუქტურა, პარტიის ახალგაზრდა წევრების პირადი მონაცემები. ჩვენ, ასევე, ვითხოვდით წარმატების ისტორიის მაგალითად მოყვანას, ანუ ისეთი შემთხვევების დასახელებას, რომელიც აღწერს პარტიის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელის მიერ მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევას თავად ამ პარტიაშივე, ან მის არჩევას ადგილობრივი თუ ეროვნული დონის პარტიულ წარმომადგენლად.

ჩვენს მიერ გამოყენებულ ბოლო მეთოდს წარმოადგენს საქართველოში ახალგაზრდობის სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის ანალიზი. მიჩნეულია, რომ ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა ‘‘კმარა‘‘ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოში პოლიტიკის მიმართულებაზე.

ახალგაზრდობის მონაწილეობა პოლიტიკაში და პარტიებში გაწევრიანების ტენდენციები: საერთაშორისო გამოცდილება

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი სახის ლიტერატურა პოლიტიკური პარტიებისა და ახალგაზრდების პოლიტიკაში მონაწილეობის შესახებ, ძალიან მცირე რაოდენობითაა მოცემული კვლევები, რომლებიც პირდაპირ ანალიზს უკეთებს ახალგაზრდების პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანების საკითხებს. ჰუგი და სტოლი სტრუქტურულ მიდგომას გვთავაზობენ იმის ასახსნელად, თუ რატომ შემცირდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში ახალგაზრდების მიერ პარტიებში გაწევრიანების რაოდენობა ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში. ისინი აცხადებენ, რომ ამისი მიზეზი არა მარტო ახალგაზრდებში არსებული დაინტერესების ნაკლებობაა, არამედ თანამედროვე პოლიტიკური პარტიების მახასიათებლები და საჭიროებები. მედიისა და სოციალური ქსელების დღევანდელ ერაში, პარტიებს აღარ სჭირდებათ დიდი რაოდენობით წევრები, როგორც ეს ორი ან სამი ათწლეულის წინ სჭირდებოდათ. ჰუგი და სტოლი უფრო შორსაც მიდიან და აცხადებენ, რომ ახალგაზრდების წაქეზებას პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანებისაკენ შესაძლოა აზრი არც ჰქონდეს, რადგანაც:

ეს გულისხმობს იმას, რომ დიდი მომავალი არ უწერია იმ მორალისტურ მიდგომას, რომელიც გულისხმობს ვუბიძგოთ ახალგაზრდებს გახდნენ უფრო მეტად ჩართულნი ამ პროცესში. ნებისმიერი გატარებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების დაინტერესების დონის ამაღლებას, ასევე უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ მოთხოვნას: ვინ უწევს ამ ახალგაზრდა ადამიანებს მობილიზებას და რა შედეგს აღწევს იგი?

იმის შესახებ, თუ რატომ წევრიანდებიან ახალგაზრდები პოლიტიკურ პარტიებსა თუ სამოქალაქო საზოგადოებებში, არსებობს ვაინშტაინის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც ინგლისის შემთხვევას განიხილავს. ვაინშტაინი გაესაუბრა ორმოცდათვრამეტ რესპონდენტს სხვადასხვა პოლიტიკური და სამოქალაქო სექტორის ახალგაზრდული ორგანიზაციებიდან. მან გამოიკვლია მოტივაცია, განათლება და შეხედულებები იმ ახალგაზრდებისა, რომელთაც აირჩიეს ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრობა ან სამოქალაქო აქტივისტობა. ამ კვლევის მიზანი იყო პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული ახალგაზრდების შედარება იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც სამოქალაქო ორგანიზაციებში გაწევრიანდნენ. ვაინშტაინმა, ზემოთ მოყვანილ ცვლადებზე დაყრდნობით, თავის კვლევაში აჩვენა, თუ რამდენად განსხვავდებიან ამ ორი ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთისაგან.

ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში, მყარი დემოკრატიის ქვეყნებში, გაჩნდა მკაფიო ტენდენცია იმისა, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებიც არჩევნებში იღებენ მონაწილეობას შემცირებისაკენ მიდის. მიჩნეულია, რომ ეს ახალი თაობის მიერ ხმის მიცემის შემცირებული რაოდენობის გამო ხდება. თუ 20 ან 30 წლის წინანდელი ახალგაზრდები ხმას აძლევდნენ არჩევნებზე, ისინი ახლაც აგრძელებენ ხმის მიცემას, მაგრამ, წინა თაობებთან შედარებით ახლანდელი ახალი თაობა ნაკლებად მონაწილეობს არჩევნებში. შესაბამისად, იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებიც არჩევნებში იღებენ მონაწილეობას, უწყვეტად მცირდება. არსებობს მრავალი თეორია იმის ასახსნელად, თუ რატომ ხდება ეს. ფრანსიზ ფუკუამა თავის წიგნში "ნდობა: სოციალური სათნოება და კეთილდღეობის შექმნა" აცხადებს, რომ

ხმის მიმცემთა დაბალი ოდენობა გამოწვეულია მთავრობის მხრიდან გაზრდილი აქტივობის გამო და რომ თანამედროვე „კეთილდღეობის სახელმწიფო“ ადამიანების ცხოვრების მრავალ სფეროში ერევა. სხვა ავტორები, სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივობის შემცირებას ტექნოლოგიური პროდუქტების გამოყენების ბუმს მიაწერენ. მაგალითად, რობერტ პუტმანი აცხადებს, რომ სოციალური კაპიტალის შემცირება, 1950-იან და 60-იან წლებში, ტელევიზიის მასობრივი გავრცელების შედეგია. იმის გამო, რომ ადამიანებმა დაიწყეს მეტი დროის სახლში, ტელევიზორის ეკრანთან გატარება, შემცირდა ძირითადი სოციალური აქტივობა და არჩევნებში მონაწილეობა.

ახალგაზრდობის მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში

ახალგაზრდობის პოლიტიკაში მონაწილეობის მონაცემების ანალიზი

საქართველოს მონაცემების გადახედვისას ნათელი ხდება, რომ აქაც მცირდება იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებიც არჩევნებში იღებენ მონაწილეობას. პირველ დამოუკიდებელ საერთო-ეროვნულ საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა ოდენობა 75% შეადგენდა, რაც შემდგომ, 2008 წლის ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს 53%-მდე დაეცა. ამის მსგავსად, 1995 წელს საპრეზიდენტო არჩევნებზე გამოვლენილი 69 პროცენტი 2008 წელს 56%-მდე დაეცა. თუმცა, 2004 წლის იანვარში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა უჩვეულო ოდენობა დაფიქსირდა, მაგრამ ეს წარმოადგენდა ვარდების რევოლუციის შემდგომ ეფექტს, რომელიც არჩევნების დღემდე დაახლოებით ექვსი კვირით ადრე მოხდა.

დიაგრამა 2.1

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა დინამიკა (%)



წყარო: დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტი (IDEA), არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზა.

მეორე გრაფიკი. ამომრჩეველთა რაოდენობის დინამიკა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 1995-2008 წლებში საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში.

დიაგრამა 2.2

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა დინამიკა (%)



წყარო: დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტი (IDEA), არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზა.

სამწუხაროდ, არ არსებობს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ოფიციალური მონაცემები იმ ამომრჩეველთა შესახებ, რომლებიც არჩევნებში იღებენ მონაწილეობას და რომელიც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იქნება დაყოფილი. მაგალითად, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი თავის ყოველწლიურ კვლევაში, კავკასიის ბარომეტრში, კითხვარი რესპონდენტებს ეკითხება იღებდნენ თუ არა მონაწილეობას წინა ეროვნულ არჩევნებში. ქვემოთ მოცემულია გრაფიკი, რომელიც ხმის მიცემის უფლების მქონე ამომრჩევლებს ორ კატეგორიად ყოფს: "ახალგაზრდა" ანუ ამომრჩევლები, რომლებიც 25 წლის ან უფრო ნაკლები ხნის არიან და ამომრჩევლები, რომლებიც 25 წელზე მეტი ხნის არიან. ეს მონაცემები მიღებულია კავკასიის ბარომეტრის ყველაზე ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიიდან. ჩვენ ასევე, ვადარებთ სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის შედეგებს. საინტერესოა რომ, როგორც ეს გრაფიკიდანაც ჩანს, საქართველოს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ახალგაზრდობის მიერ ეროვნულ არჩევნებში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით.

დიაგრამა 2.3

მესამე გრაფიკი. ახალგაზრდა და სხვა ასაკის ამომრჩეველთა რაოდენობა სამხრეთ კავკასიაში



წყარო: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, კავკასიის ბარომეტრი 2010

არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა შემცირებისაკენ მიმავალ ტენდენციას, რომელიც გამოხატულია მეორე გრაფიკში, პარალელურად მიყვება პოლიტიკის მიმართ შემცირებული ინტერესი. ამერიკული ორგანიზაცია, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) წლების განმავლობაში უზრუნველყოფს საქართველოში კვლევების ჩატარებას სხვადასხვა პოლიტიკური ასპექტების შესახებ. ერთ-ერთი კითხვა, რომლითაც რესპონდენტებს მიმართავენ ამ ორგანიზაციის პერიოდული და საერთო-ეროვნული კვლევის განმავლობაში არის ის, თუ "რამდენად არიან ისინი დაინტერესებული პოლიტიკით." თუ გადავხედავთ მონაცემებს - დაწყებული 2004 წლის ოქტომბრის არჩევნებით და სულ ბოლო დროინდელი, 2011 წლის ივნისში გამოქვეყნებული კვლევის შედეგებით დასრულებული - ნათელი ხდება საზოგადოების ინტერესის შემცირება პოლიტიკის მიმართ. 2004 წლის ოქტომბერში, გამოკითხულთა 32%-მა გამოავლინა "მაღალი ინტერესი" პოლიტიკური მოვლენებისადმი, ხოლო 38%-მა "დაბალი ინტერესი" გამოამჟღავნა. ამის საპირისპიროდ, 2011 წელს მხოლოდ 24%-მა გამოავლინა "მაღალი ინტერესი" პოლიტიკის მიმართ, ხოლო 44%-მა გამოხატა "დაბალი ინტერესი" (იხილეთ მეოთხე გრაფიკი). თუმცა, როდესაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები ხდება, როგორიცაა 2007 წლის საპროტესტო აქციის დარბევა, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და ომი რუსეთთან 2008 წლის აგვისტოში - საზოგადოების ინტერესი მკვეთრად მატულობს. მაგრამ მონაცემები ცხადყოფს, რომ ეს დაინტერესება დიდხანს არ გრძელდება და რამდენიმე თვეში ისევ თავის ძველ და დაბალ მაჩვენებელს უბრუნდება.

დიაგრამა 2.4

მეოთხე გრაფიკი. "რამდენად ხართ დაინტერესებული პოლიტიკით?" ორგანიზაციის IRI შეკვეთით მოპოვებული არჩევნების მონაცემები 2004 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის მაისამდე:



წყარო: (IRI) საქართველოს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, ჩატარებული ორგანიზაციის IPM მიერ; მონაცემები (პდფ ფორმატში) მოცემულია ბმულზე http://www.iri.org/news-events-press-center/news/iri-releases-survey-georgian-public-opinion-4

იმისათვის, რომ პოლიტიკით დაინტერესების თემა გავაგრძელოთ და ახალგაზრდობა ძირითად მოსახლეობას შევადაროთ, ვიყენებთ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ შეგროვებულ მონაცემებს. 2010 წლის მონაცემები, რომლებიც ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, შეგვიძლია უფრო სპეციფიკურ კატეგორიებად დავშალოთ, როგორიცაა: ადგილობრივი პოლიტიკა, საშინაო პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკა. ტერმინ "ახალგაზრდობის" ქვეშ ამჟამად მოვიაზრებთ ასაკობრივ ჯგუფს 18-დან 25 წლამდე. 18 წელზე მცირე ასაკის ადამიანები კვლევაში არ იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო 25 წელს ზევით უკვე შესაძლებელია პარლამენტში ასარჩევად კენჭის ყრა. შესაბამისად, ეს კარგი ათვლის წერტილია "ახალგაზრდობის" ცნების განსაზღვრისათვის მოცემულ კონტექსტში. სამივე კატეგორიაში, რომელიც მოცემულია მეხუთე გრაფიკზე, ახალგაზრდობა ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებს პოლიტიკის მიმართ ძირითად მოსახლეობასთან შედარებით. ძირითადი მოსახლეობის 64% "საკმაოდ დაინტერესებული" ან "ძლიერად დაინტერესებულია" ადგილობრივი პოლიტიკით, ხოლო ახალგაზრდობის 55% საპირისპიროს ამჟღავნებს. ამგვარადვე, ძირითადი მოსახლეობის 62% და 53% დაინტერესებულია ადგილობრივი და საგარეო პოლიტიკურ საკითხებით, შესაბამისი თანმიმდევრობით. ახალგაზრდობის შემთხვევაში კი, ეს მაჩვენებლები 56% და 45%-ია. ეს ცხადყოფს, რომ პირველ რიგში ნაკლებია ახალგაზრდების მხრიდან მოტივაციის არსებობა.

დიაგრამა 2.5

მეხუთე გრაფიკი. საქართველოს ძირითადი მოსახლეობისა და ახალგაზრდობის მიერ გამომჟღავნებული ინტერესების შედარება ადგილობრივი (მუნიციპალურ დონეზე), საშინაო (ეროვნულ დონეზე) და საგარეო პოლიტიკის მიმართ.



წყარო: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, კავკასიის ბარომეტრი 2010

პარტიული კუთვნილების გარეშე მოქმედი ახალგაზრდული პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები

საქართველომ მღელვარე პოლიტიკური ცვლილებები გამოიარა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში და ახალგაზრდობა ყოველთვის მოვლენების ეპიცენტრში

იყო. ახალგაზრდები ჩართულნი იყვნენ პოლიტიკურ მოვლენებში არა მხოლოდ როგორც ორგანიზებული ჯგუფის წევრები, არამედ როგორც სპონტანური ქმედებების მონაწილენი. საბჭოთა კავშირის დროს, არსებობდნენ ორგანიზებული ჯგუფები, მაგალითად ისეთი როგორიც იყო "გორგასლიანი" და რომლის წევრებიც იყვნენ ისეთი მოგვიანებით უმნიშვნელოვანესი პოლიტიკოსები, როგორებიცაა ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მეორეს მხრივ, არსებობდნენ სტუდენ-ტური მოძრაობებიც, რომელიც საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის ერთგვარ შეწინააღმდეგებას ისახავდა მიზნად. მაგალითად, 1978 წელს ორგანიზებულ მასობრივ დემონსტრაციაზე სტუდენტებმა ქართული ენის სტატუსის დაკნინების მიმართ გამოხატეს თავიანთი პროტესტი. 1980 წლის მეორე ნახევარი ასევე გამოირჩევა სტუდენტური მოძრაობის გააქტიურებით, რომელიც ეროვნული სულისკვეთებით იყო მოტივირებული.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ახალგაზრდობის აქტივიზმი საქართველოში პასიური იყო თითქმის ათწლეულის განმავლობაში. ალბათ ყველაზე ღირსშ-ესანიშნავი მოძრაობა იყო "კმარა", რომელმაც თავისი საქმიანობა 2001-02 წლებში დაიწყო. ეს ორგანიზაცია დაფუძნდა სერბული მოძრაობის "ოტპორის" მოდელის მსგავსად, რომელმაც ხელი შეუწყო მილოშევიჩის არაპოპულარული რეჟიმის მშვიდობიანად შეცვლას სერბეთში 2000 წელს. "კმარა" ფართოდ ეფუძნე-ბოდა "სტუდენტთა თვით-მმართველობის განვითარების" მოძრაობას, რომლის დაფუძნებაც ადამიანის უფლებათა ორგანიზაციის "თავისუფლების ინსტიტუტის" დახმარებით მოხდა 2001 წელს. ფართოდ გავრცელებული აზრის საწინააღმდე-გოდ უნდა ითქვას, რომ "კმარას" არ შეუსრულებია ისეთი გადამწყვეტი როლი რევოლუციის პროცესში, როგორადაც მას ხშირად აღწერენ.

"კმარას" ისტორიის სხვა ასპექტია მისი პოსტ-რევოლუციური საქმიანობა. მისი სერბული ანალოგისაგან განსხვავებით, "კმარა" არ დარჩენილა აქტიური მოთვალთვალის როლში რევოლუციის შემდგომ და მისი ლიდერების საკმაო რაოდენობა მთავრობის სხვადასხვა სფეროს წევრი გახდა. მოძრაობა "კმარას" სხვა ნაწილი სხვა მიმართულებით წავიდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ძალ-იან მალე მოძრაობის რამდენიმე წევრმა დააფუძნა კიდევ ერთი ახალგაზრდული ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტი", რომელიც შეეცადა აქტიურად ჩართულიყო პოლიტიკურ პროცესებში და მონაწილეობდა 2007 წლის ნოემბრის დემონსტრაციებში. მაგრამ ამ ორგანიზაციამ ვერ მიაღწია იმ ცნობადობასა თუ მხარდაჭერას რითაც "კმარა" სარგებლობდა ვარდების რევოლუციის წინა პერიოდში. იმავე პერიოდში არსებობდა სხვა მცდელობები გაძლიერებულიყო ახალგაზრდობის აქტივიზმი. ერთი მაგალითია მოძრაობა "შვიდი ნოემბერი", რომელიც ძირითადად ახალგაზრდა აქტივისტებისაგან შედგებოდა, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიიდან. თუმცა, ვერც ერთი ამ მცდელობათაგანი ვერ გადაიქცა ძლიერ ახალგაზრდულ მოძრაობად, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეას-რულებდა საქართველოში პარტიის პოლიტიკის შექმნის პროცესში.

ახალგაზრდების პერსპექტივა პოლიტიკურ პარტიებში

როგორც ამას შემდეგ ნაწილში ვიხილავთ, ახალგაზრდების პოლიტიკურ პარ-ტიებში გაწევრიანების ერთ-ერთ მოტივაციას წარმოადგენს წარმატებული კარი-ერის აწყობა. ისინი ელიან, რომ დაწინაურდებიან პარტიის კარიერულ კიბეზე და არჩეული იქნებიან პარტიის წარმომადგენლად საკანონმდებლო ორგანოში. როგორც წესი, ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნების უმეტეს ნაწილში, საკანონ-მდებლო ორგანოს საკმაო რაოდენობით წევრს აქვს პარტიის ახალგაზრდულ

ორგანიზაციაში საქმიანობის გამოცდილება. ჰუგი და სტოლი, მაგალითად, წარმოადგენენ მათ მიერ ბელგიაში ჩატარებული კვლევის მიგნებებს. მათ გამოიკვლიეს ბელგიაში მოქმედი ფლამანდრიული საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები. დაახლოებით 41%-მა დაადასტურა, რომ მათ პოლიტიკური კარიერა თავისი პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში დაიწყეს. ამდამაგვარი ტენდენცია არსებობს ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში. ამჟამად მოქმედი მნიშვნელოვანი პოლიტიკოსებიდან უმეტესობამ თავისი პოლიტიკური საქმიანობა ახალგაზრდულ ორგანიზაციებში გაწევრიანებით დაიწყო.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, რესპონდენტებმა ასევე მიუთითეს, რომ ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ პარტიის კარიერულ კიბეზე წინ წაიწიონ. ზოგიერთმა მაგალითად მოიყვანა ისეთი ახალგაზრდა პარტიული აქტივისტების მაგალითი, რომლებიც შემდგომში პარტიის რეგიონალური კოორდინატორები ან პარტიის უმაღლეს აღმასრულებელი ორგანოს წევრები გახდნენ. მაგალითად, ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებმა მაგალითად მოიყვანეს გაგა მთვარელიძის შემთხვევა, რომელმაც საქმიანობა დაიწყო ახალგაზრდული ფრთის აქტივისტად და ახლა იგი ლეიბორისტული პარტიის ოფიციალური წარმომადგენელია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ამავე დროს, პოლიტიკური საბჭოს წევრია, რომელიც პარტიის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა სხვა მინიშნება გააკეთა, როდესაც განაცხადა, რომ მისმა პარტიამ ახალგაზრდული ორგანიზაციის 30 წევრი წამოაყენა კანდიდატურად ბოლო ოთხი არჩევნების დროს. სამწუხაროდ, ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა ადგილობრივ თუ ეროვნულ წარმომადგენლობით ორგანოს წევრების ასარჩევად დანიშნულ არჩევნებში. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ უფრო მეტი წარმატებული მაგალითის მოყვანა შეძლო, განსაკუთრებით კი, ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნების შემთხვევში.

რადგანაც მიღებული ინფორმაცია განსხვავებული იყო და ყველა რესპონდენტმა ვერ შეძლო ახალგაზრდული ორგანიზაციებიდან ხალხის დაწინაურების წარმატებული შემთხვევის წარმოდგენა, ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვეკრიბა რაოდენობრივი მონაცემები. ავიღეთ საქართველოს პარლამენტის ყველა წევრის პირადი მონაცემები და გავაანალიზეთ მათი პოლიტიკური წარმომავლობა. კარგი იქნებოდა შეგვძლებოდა საკრებულოს წევრების მონაცემებიც შეგვეჯამებინა, მაგრამ სამწუხაროდ ეს მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. პარლამენტის ვებ-გვერდზე ასევე არ არის მოცემული სრული ინფორმაცია კანდიდატების პარტიული წარმომავლობის შესახებ, თუმცა ამ პირების მიერ წარსულში დაკავებული თანამდებობებისა და პარტიის შიგნით კარიერული გადანაცვლების შეჯამებით შესაძლებელია გარკვეული დედუქციური დასკვნების გამოტანა. ჩვენ განვიხილეთ პარლამენტის თითოეული წევრის პროფილი, რომელიც მოცემულია უწყების ვებ-გვერდზე და კოდირება გავუკეთეთ შემდეგ კატეგორიებად: პარტიული წარმომავლობა (იმისდა მიხედვით ჰქონდა თუ არა პარტიული საქმიანობის გამოცდილება პარლამენტში მუშაობის დაწყებამდე), ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება, ასაკი (35 ან უმცროსი ასაკის პიროვნება "ახალგაზრდების" ჯგუფში მოვათავსეთ) და სხვა სამუშაო გამოცდილება პარლამენტში საქმიანობის დაწყებამდე. საერთო ჯამში, პარლამენტს ამჟამად 137 წევრი ჰყავს (30 სექტემბრის მონაცემები). პარლამენტიდან მიღებული შედეგები ძალიან საინტერესოა. პარლამენტის წევრების მხოლოდ 27%-ს აქვს პარტიული წარმომავლობა, ანუ აქვთ პარტიაში მუშაობის გარკვეული ტიპის გამოცდილება პარლამენტში მოსვლამდე; პარლა-

მენტის წევრების სრული რაოდენობის მხოლოდ 4% იყო ჩართული პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში; წევრების 10% 35 წლის ან მასზე მცირე ასაკისაა.

დიაგრამა 2.6

მეექვსე გრაფიკი. საქართველოს პარლამენტის წევრების მახასიათებლები

პარტიული წარმომავლობა	21%
პარლამენტის ახალგაზრდა წევრების რაოდენობა	10%
ახალგაზრდულ ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება	4%

წყარო: საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი

ასე რომ, ქართველი პოლიტიკოსების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობის მაჩვენებელი ათჯერ უფრო მცირეა ბელგიის ან სხვა მყარი დემოკრატიის მაჩვენებლებთან შედარებით. საქართველოს პარლამენტის წევრები შემდეგი სამი მთავარი სექტორიდან მოდიან, ესენია: ადგილობრივი მმართველობა, ბიზნესი და სამოქალაქო სამსახური. ქვემოთ მოცემულია დეტალურად ჩაშლილი ინფორმაცია პარლამენტის წევრების სამსახურეობრივი გამოცდილების შესახებ, მათ პარლამენტში არჩევამდე. თვალნათელია, რომ იმ პარლამენტარების რიცხვი, რომელთაც გარკვეული პარტიული გამოცდილება აქვთ პარლამენტში მოსვლამდე, მნიშვნელოვნად ჩამორჩება რიცხობრივად იმ ადამიანების რაოდენობას, რომელთაც გარკვეული პარტიული აქტივიზმის გამოცდილება აქვთ ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე. მაგალითად, რიგ შეთხვევებში შესაძლებელია პიროვნება ჩართული ყოფილიყო პარტიულ საქმიანობაში და შემდეგ გადასულიყო სამოქალაქო სამსახურში. თუ ასეთი პიროვნება არჩეული იქნება პარლამენტის წევრად, ჩვენ მას მოვიაზრებთ ისეთ პოლიტიკოსად, რომელსაც გარკვეული პარტიული წარმომავლობა აქვს, მაგრამ ვისი საქმიანობასაც თავდაპირველად სამოქალაქო სამსახური წარმოადგენდა, პარლამენტში მოსვლამდე.

დიაგრამა 2.7

მეშვიდე გრაფიკი. პარლამენტის ამჟამინდელი წევრების სამსახურეობრივი გამოცდილება პარლამენტში მოსვლამდე



წყარო: საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი

თუკი ავიღებთ ისეთი მყარი დემოკრატიების მაგალითებს, როგორიცაა კანადა, აშშ და დიდი ბრიტანეთი დავინახავთ, რომ იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც პარტიული თანამდებობიდან მოდიან პარლამენტში შეადგენს 10-15%-ს და

არსებობს ადამიანების სხვა კატეგორიებიც, რომლებიც ირიბად იყვნენ ჩართული პარტიულ საქმიანობაში (როგორიცაა კონსულტანტი და ბარისტერი). შესაბამისად, ასეთი პოლიტიკური "აუტსაიდერების" რაოდენობა საკმაოდ მცირეა. საქართველოში ამისი საპირისპირო სიტუაციაა. პოლიტიკური "აუტსაიდერების" ხვედრითი წილი, ანუ ადამიანებისა, რომლებიც ნაკლებად არიან გათვითცნობიერებული პარტიის შინაგან დინამიკაში, საკმაოდ მაღალია. ეს ასევე ეხება იმ ფაქტს, რომ პარტიები არ ეფუძნება საქართველოს იდეოლოგიურად დაყოფას. პარლამენტის წევრებს არა მარტო სხვადასხვანაირი პოლიტიკური წარმომავლობა და განათლება აქვთ, არამედ მათ სრულიად განსხვავებული შეხედულებები აქვთ სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე. ხშირად ხდება ისე, რომ პოლიტიკოსის მიერ პარტიაში გაწევრიანებას საფუძვლად სრულადაც არ უდევს მისი პოლიტიკური შეხედულებები.

ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში

ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციების ფუნქციები

პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ძირითადად აქვთ რამდენიმე საკვანძო ფუნქცია. ეს ფუნქციები შესაძლოა დანაწევრებულ იქნას გარკვეულ კატეგორიებად. პირველი კატეგორიის ქვეშ მოვიაზრებთ იმ ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც პარტიები ახალგაზრდობას ცოდნასა და გამოცდილებას აძლევენ. მეორე კატეგორია მოიცავს იმ ტიპის ფუნქციას, რომელიც გულისხმობს პარტიის მიერ ახალგაზრდობის, როგორც გარკვეული რესურსის გამოყენებას.

პირველ კატეგორიაში ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა პოლიტიკური იდეოლოგიით დაინტერესებისაკენ ახალგაზრდობის წაქეზება. თუმცა, ეს აზრს კარგავს ისეთ შემთხვევებში, როდესაც პოლიტიკური პარტია არ ემყარება გამორჩეულ იდეოლოგიურ ბაზისს. ეს განსაკუთრებით ხდება ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური პარტიული სისტემა არ არის კარგად გამყარებული და პარტიები ხშირად იცვლიან იდეოლოგიურ ორიენტაციას. საქართველო მიჩნეულია ერთ-ერთ ასეთ ქვეყნად.

სხვა ფუნქციები, რომლებიც ახალგაზრდობას პარტიისაგან სარგებლის მიღების საშუალებას უნდა აძლევდეს, დაკავშირებულია პოლიტიკისა და პოლიტიკური საკითხების გაგების გაუმჯობესებასთან. პარტიის აქტიური წევრობა პიროვნებისაგან მოითხოვს ასეთი გაგების უნარის განვითარებას, ხოლო პარტიაში ყოფნა მის წევრებს ეხმარება მიიღონ ინფორმაცია და გამოიმუშაონ მიდგომა, რომელიც ძნელად მისაღწევი იქნებოდა საზოგადოებრივი წყაროების მეშვეობით. ასევე, პარტიების ნაწილი ქმნის არაფორმალურ საგანმანათლებლო მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდა ადამიანები არა მარტო მეტს შეისწავლიან პოლიტიკისა და პოლიტიკური საკითხების შესახებ, არამედ სხვა მოვლენების შესახებაც, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს კულტურულ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ნაწილსაც. ასეთი ცოდნა, როგორც წესი, სხვადასხვა ტიპის სამუშაო ლექციების, სემინარებისა და კონფერენციების მეშვეობით ვრცელდება. მაგალითად, სუმბაძე და მაისურაძე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის როლს უწოდებენ "მედიატორს ახალგაზრდობასა და მთავრობის სტრუქტურებს შორის," სადაც პარტია ეხმარება ახალგაზრდებს მოიპოვონ სხვადასხვა სახის ინფორმაცია მათი ინტერესის სფეროების მიხედვით.

ფუნქციების მეორე კატეგორია მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ახალგაზრდობა აღქმულია უფრო როგორც გამცემი, ვიდრე მიმღები. მაგალითად, პარტიებს ხშირად ესაჭიროებათ ახალგაზრდები საზოგადოების მობილიზაციისათვის, საპროტესტო აქციების ორგანიზებისათვის და ახალი ამომრჩევლების გადმობირებისათვის. ამ კონტექსტში, ახალგაზრდობა უფრო მნიშვნელოვანი ხდება პარტიული საქმიანობისათვის, რაც არჩევნების პერიოდში უფრო ძლიერდება. პარტიებს ესაჭიროებათ ადამიანური რესურსები ბანერების დასაკიდებლად, ბუკლეტების დასარიგებლად და სხვა არჩევნებთან დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

არ არსებობს სავალდებულო დროის მონაკვეთი, რომელიც ახალგაზრდებმა აუცილებლად უნდა გაატარონ პარტიაში. პარტიაში გატარებული დროის ხან-

გრძლივობა საკმაოდ არასტრუქტურირებული და მერყევია. ახალგაზრდული მოძრაობის "ბირთვი", რომელიც შესაძლოა 20 აქტივისტისაგან შედგებოდეს, პარტიის ოფისში დაახლოებით 3-4 საათს ატარებს, რომელიც სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისა და ორგანიზებისათვის გამოიყენება. არა-საარჩევნო პერიოდში, პარტიის სხვა წევრები, როგორც წესი, კვირაში ორჯერ ან სამჯერ მოდიან პარტიის ოფისში და დაახლოებით ოთხ საათს ატარებენ. რასაკვირველია, პარტიას პასიური წევრებიც ყავს, რომლებიც ძალიან მცირე დროს ატარებენ პარტიაში და მხოლოდ პერიოდულად შეივლიან მის ოფისში.

რატომ წევრიანდებიან ახალგაზრდები პოლიტიკურ პარტიებში?

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანების მოტივაცია ძალზე სხვადასხვაგვარია, შესაძლებელია სამი მთავარი მიზეზის გამოყოფა. პირველი მიზეზია იდეოლოგიური კავშირი. როდესაც ახალგაზრდა ადამიანი რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგიით ინტერესდება, შემდგომი ლოგიკური ნაბიჯი იქნება შესაბამისი იდეის პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანება. რასაკვირველია, ასეთი მოტივაცია დამახასიათებელია ისეთი პოლიტიკური პარტიებისათვის, რომელთაც მყარი იდეოლოგიური ნიშა გააჩნიათ. მაგალითად, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებთან საუბრისას, ორივე მათგანმა - საარჩევნო შტაბის უფროსმა რამაზ სამნიაშვილმა და პარტიის ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელმა თემურ წიკლაურმა ახალგაზრდების პარტიებში გაწევრიანების მთავარ მიზეზად პარტიის იდეოლოგია დაასახელა. თუმცა, ორივე რესპონდენტისათვის იდეოლოგია გულისხმობს პოლიტიკური სპექტრის დაყოფას არა მარტო მემარცხენე/მემარჯვენე მიმართულებებად, არამედ ასევე "შეურიგებელ ბრძოლას საქართველოს უკეთესი მომავლისათვის და პარტიის უკომპრომისო რეპუტაციას." თემურ წიკლაურმა განახადა, რომ: "ყველა ხედავს, თუ რამდენს ვცდილობთ და ვშრომობთ საქართველოსათვის. ამიტომ ჩვენ გვაქვს მაღალი რეპუტაცია და ის, რომ ახალგაზრდა ადამიანები ერთიანდებიან ჩვენი პარტიის რიგებში, ეს ჩვენი მუშაობისა და პოზიციის დამსახურებაა." იგივე მოსაზრება გაჟღერდა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრის გიორგი პაპელიშვილის მიერ, რომელმაც განაცხადა, რომ პარტიაში გაწევრიანებისას ახალგაზრდები ხელმძღვანელობენ პარტიის ფასეულობებისა და საქმიანობის გათვალისწინებით.

პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანების სხვა მიზეზები უფრო პრაგმატულია. ახალგაზრდა ორგანიზაციების ლიდერებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ არსებული მეგობრული კავშირი ან ახალი მეგობრების შეძენის სურვილი ხდება ხშირად მთავარი მამოძრავებელი ძალა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელმაც არ ისურვა დასახელებული ყოფილიყო, განაცხადა, რომ ახალგაზრდებს აკლიათ იდეოლოგიური მუხტი და პარტიები ხშირად აღიქმება, როგორც სოციალური თავშეყრის ადგილი, სადაც ახალგაზრდებს თავისუფალი დროის გატარება შეუძლიათ.

ახალგაზრდები ხშირად პარტიებს მოიაზრებენ, როგორც კარიერის განვითარების პლატფორმას, თუმცა სავალდებულო არაა ეს პარტიის შიგნითვე განხორციელდეს. პარტიები ხშირად სტუდენტებს საშუალებას აძლევენ უფასოდ ისწავლონ, მიიღონ მონაწილეობა მოქმედ პოლიტიკოსებთან გამართულ დისკუსიებში ან დაესწრონ რომელიმე კონკრეტული სფეროს ექსპერტებთან შეხვედრებს. მაგალითად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრმა არჩილ ცერცვაძემ აღნიშნა, რომ ახალგაზრდების მიერ პარტიაში გაერთიანების მიზეზი მათ მიერ თვით-რეალიზაციის შესაძლებლობაა. პარტიაში მრავალი საშუალება მოიპოვება

ნებისმიერი სფეროს ინტერესის დასაკმაყოფილებლად. რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, თავისუფალი დემოკრატების წევრმა სულხან ღლონტმა აღნიშნა, რომ ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს შეუძლიათ ან სხვადასხვა სახის ოპოზიციური პარტია აირჩიონ ან აირჩიონ ის, რომელიც ყველაზე მეტად ახლოა მათ ხედვასთან. როგორც ჩანს, ბევრი პარტია სთავაზობს ახალგაზრდებს ტრენინგებს და სხვადასხვა სახის არაფორმალურ საგანმანათლებლო რესურსებს. მართალია, ხანდახან ამ სახის ღონისძიებების მონაწილენი პარტიაში რჩებიან კიდეც, მაგრამ ხშირად ასე არ ხდება. ხანდახან, პარტიას არ აქვს შესაძლებლობა ახალგაზრდებს შესთავაზოს საინტერესო პროგრამები მუდმივ რეჟიმში. ხშირად, სხვადასხვა სახის კონფერენციასა თუ სემინარზე დასწრებისას, ახალგაზრდებს ამოძრავებთ სხვა ისეთი შესაძლებლობების და საქმიანობის მოძებნის მიზანი, რომელიც მათ ცოდნას გააუმჯობესებს და რომლითაც სიამოვნებით დაკავდებიან. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საკმაოდ განსხვავდება სხვა პარტიებისაგან. რეგულარული სემინარების გარდა, პარტია თავის წევრებს სთავაზობს განგრძობითი ტიპის საქმიანობას, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს გამოიყენონ ახლად შეძენილი ცოდნა. მაგალითად, სემინარის მონაწილეები შეისწავლიან კვლევის მეთოდებს და მათ შესაძლებლობა ეძლევათ მცირე ზომის კვლევა მოამზადონ და გამოაქვეყნონ პარტიის პერიოდულ გამომცემლობაში. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ახალგაზრდას მუდმივ კავშირს პოლიტიკურ პარტიასთან. ეს წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას ადამიანთა რესურსების მართვის, შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ახალგაზრდებისათვის განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობების შეთავაზების კუთხით, უნდა გამოვყოთ ორი ძირითადი კატეგორია: 1) "სამოქალაქო" განათლება, რომელიც გულისხმობს ისეთი პრაქტიკული ცოდნის მოპოვებას, როგორიცაა წერის პრაქტიკა, კვლევის მეთოდების შესწავლა, ლიდერობის უნარების მოპოვება და დემოკრატიის შესახებ ცოდნის გამოყენება; და 2) "წარდგენა", როდესაც სემინარის მონაწილეებს აცნობენ პარტიის იდეოლოგიას და პარტიის პოზიციას, სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო საკითხების შესახებ.

პარტიების სხვადასხვა ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების გათვალისწინებით, ყველა პარტია თანასწორ დონეზე არ არის ახალგაზრდების მოზიდვის საკითხში. როგორც ჩანს, მმართველ პარტიას შედარებით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ახალგაზრდებისათვის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში დაწინაურების მხრივ, რაც შესაძლებელია იყოს ახსნა იმისა, თუ რატომ არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უფრო მეტად პოპულარული დანარჩენ სხვა პარტიებთან შედარებით. ახალგაზრდა წევრთა რაოდენობა ძალზე უკონტროლო და შეუსაბამოა, მაგრამ ინტერვიუები და პირადი დაკვირვება ცხადყოფს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდულ ფრთას უფრო მეტი წევრი ყავს, ვიდრე ოპოზიციურ პარტიებს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ოპოზიციური პარტიიდან განაცხადა, რომ მათ არ ძალუძთ მოიზიდონ ახალგაზრდები რეგიონებიდან და ორგანიზება გაუწიონ ღონისძიებებს ადგილობრივად, რადგანაც პარტიას საამისო სახსრები არ გააჩნია.

არსებობს გარკვეული ტიპის საერთაშორისო მხარდაჭერა, რომელიც ეხმაურება ახალგაზრდების საგანმანათლებლო საჭიროებებს პოლიტიკურ პარტიებში. ასეთი ტიპის პროგრამები გულისხმობს პარტიის ახალგაზრდა წევრების ევროპის სასწავლებელ ტურებში წაყვანას იმის სანახავად, თუ როგორ მუშაობენ მსგავსი იდეოლოგიის მქონე პარტიები. ასევე მოქმედებს დიდი მოცულობის პროგრამა

(IRI), რომელიც პარტიის ახალგაზრდა წევრებს სთავაზობს ტრენინგებს მრავალ-ფეროვან საკითხებზე, მათ შორის სპეციფიკურ კვლევით მეთოდებზე. მათ, ვინც ასეთ ტრენინგებს გაივლიან, შესაძლებლობა აქვთ მცირე სახის დამოუკიდებელი კვლევა ჩაატარონ, ან ფოკუს-ჯგუფები და კარდაკარ ტიპის კვლევა უზრუნველყონ. ხშირად სხვა პარტიის წევრებსაც აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პარტიის წევრებთან გამართულ დებატებში. ასეთი დებატები გადაიცემა ტელ-ევიზიით, რომელიც მხოლოდ თბილისის მასშტაბით მაუწყებლობს.

ახალგაზრდა აქტივისტების პროფილი

შესაძლებელია განვიხილოთ იმ ახალგაზრდების სხვადასხვა ასპექტები, რომ-ლებიც პოლიტიკურ პარტიებში წევრიანდებიან. ჩვენ ზოგადად განვიხილავთ მათ განათლებას, სოციალურ სტატუსს, რეგიონულ კუთვნილებას და იმ გან-სხვავებებს, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განარჩევს. ეს შეფასება ეფუძნება ჩაღრმავებულ ინტერვიუებს საქართველოს მსხვილი პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდა ფრთის წარმომადგენლებთან. ჩვენ შევძელით სასარგებლო ინფორ-მაციის თავმოყრა, ხოლო რაოდენობრივი ინფორმაცია დაგვეხმარება საკითხის უფრო ჩაღრმავებულად განხილვაში.

თითქმის ყველა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტივისტების ბირთვი შედგება სტუდენტებისაგან ან უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისაგან. ინგლისის მაგალითის განხილვისას, ვაინშტაინი აღ-ნიშნავს, რომ აქტივისტების უმეტესობა სწავლობს პოლიტიკას ან სხვა სოციალურ მეცნიერებას. საქართველოში, სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები უფრო ხშირია პოლიტიკურ პარტიებში. მაგალითად, თიკო ძნელაძემ რესპუბლიკური პარტიიდან აღნიშნა, რომ ახალგაზრდა აქტივისტების დაახლოებით 70% იურის-პრუდენციას შეისწავლის. სხვა პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი პარტიის აქტივისტები სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო სფეროებიდან მოდიან, თუმცა სამართლის სფერო ყველაზე მეტად პოპულარულია. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ოდნავ განსხვავებული იყო სხვა პარტიებისაგან. როგორც მისმა წევრმა გიორგი პაპელიშვილმა აღნიშნა, იმის გამო რომ, პარტიის ხელმძღვანელობა ძირითადად ყოფილი ჟურნალისტებისაგან შედგება, ჟურნალ-ისტიკის ფაკულტეტის ბევრი სტუდენტი არჩევს გაწევრიანდეს მათ რიგებში.

ინგლისის გამოცდილების შემთხვევაში, ვაინშტაინი აცხადებს, რომ პარტიული აქტივისტების უმეტესობა საშუალო კლასიდან მოდის, ძირითადად ისეთი ოჯახებისაგან, სადაც პოლიტიკა წინა თაობის ინტერესის საგანს წარმოადგენდა. შესაბამისად, მამები და დედები გარკვეულ გავლენას ახდენენ შვილების მიერ პოლიტიკური კარიერის არჩევანზე. საქართველოში, მშობლების გავლენა ნაკ-ლებად შესამჩნევია. თუმცა, პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი აქტივისტები მოდიან დაბალი ან საშუალო კლასისაგან. მხოლოდ ლეიბორის-ტული პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი აქტივისტები ძირითა-დად საზოგადოების ღარიბი ფენისაგან მოდიან, მაშინ როდესაც რესპუბლიკური პარტიის წევრის განცხადებით, მათი აქტივისტები მხოლოდ საშუალო ფენის წარმომადგენლები არიან. ამგვარად, ლეიბორისტული პარტია სხვა პარტიე-ბისაგან იმით გამოირჩევა, რომ მისი ახალგაზრდა აქტივისტები, რომელთაც უმაღლეს სასწავლებელში განათლება დასრულებული აქვთ, უმუშევრები არიან. რაც შეეხება სხვა პარტიებს, ყველა მათგანი აცხადებს, რომ მათი აქტივისტების უმეტესობა, რომელთაც დაასრულეს უმაღლესი განათლება ამჟამად მუშაობს არა-სამთავრობო ორგანიზაციებში, ან კერძო სექტორში, ხშირ შემთხვევებში

კი ბანკებში. ახალგაზრდა აქტივისტების უმრავლესობა ჯერ ისევ სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში.

სხვა მახასიათებელი, რომლითაც ლეიბორისტული პარტია განსხვავდება სხვა პარტიებისაგან არის ის, რომ როგორც ეს რამაზ სამნიაშვილმა განაცხადა "ისინი თავიანთ აქტივისტებს საქართველოს დიდი ქალაქებში იზიდავენ." სხვა პარტიები კი, იმ ახალგაზრდების გადმობირების ტაქტიკას იყენებენ, რომლებიც რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოდიან. შესაბამისი კვლევის არარსებობის გამო, არ გაგვაჩნია რაოდენობრივი მონაცემები პარტიული აქტივისტების სოფლის და ქალაქის მიხედვით დაყოფისათვის.

გენდერული გადანაწილების თვალსაზრისით, პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მდედრობითი სქესის აქტივისტები არ განიცდიან დისკრიმინაციას პოლიტიკურ მოძრაობებში გაწევრიანებისას. არ არსებობს სტატისტიკა, რომელსაც შესაძლებელია დავეყრდნოთ, თუმცა რესპონდენტების განცხადებით მდედრობითი სქესის რაოდენობა მათ ორგანიზაციებში 50-დან 70%-მდე მერყეობს. ძალზე ძნელია ამ მონაცემის გადამოწმება, თუმცა ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივობა, მათ მიერ საარჩევნო პერიოდში ან საპროტესტო მიტინგებში მონაწილეობა ცხადყოფს, რომ ამ პროცესებში მამრობითი სქესის აქტივისტებს უფრო დიდი როლი აკისრიათ.

დასკვნები და რეკომენდაციები

და ბოლოს, შეგვიძლია სხვადასხვა დასკვნის გამოტანა და გარკვეული რეკომენ-დაციების შეთავაზება იმის შესახებ თუ რისი გაკეთებაა შესაძლებელი და უნდა გაკეთდეს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოში პარტიული სისტემის გაუმჯობესებისათვის. დასკვნები და რეკომენდაციები შესაძლებელია დაიყოს ორი ტიპის აქტივობად - პირველი, რომელიც მომავალი კვლევის საგანი შეიძლება გახდეს და მეორე, რომელიც პოლიტიკური პარტიები-საგან გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს.

უპირველეს ყოვლისა, ცხადი ხდება რომ იშვიათად გროვდება ახალგაზრდა აქტივისტების შესახებ ზუსტი მონაცემები სისტემატურად. პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები იშვიათად ასახელებენ ახალგაზრდა აქტივისტების ზუსტ რაოდენობას. პარტიებმა მეტი ძალისხმევა უნდა დახარჯონ ასეთი მონაცემების შეგროვებისათვის, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებმა მხარი უნდა დაუ-ჭირონ ასეთ ინიციატივებს, რადგან ეს იქნება სარგებელის მომტანი სხვადასხვა სახით. პირველი, ეს გაზრდის პარტიის შესაძლებლობებს, რადგანაც მას კარგად ექნება გაცნობიერებული საკუთარი რესურსები. მეორე, პარტიები ჩამოაყალიბე-ბენ მონაცემების შეგროვების შიდა-უწყებრივ ტაქტიკას, რაც მათ შესაძლებლო-ბას მისცემს სხვა მიზნით და სისტემატიური მიდგომით გამოიყენონ ეს უნარი. და ბოლოს, პარტიის ახალგაზრდა წევრების შესახებ მონაცემების შეგროვება სხვადასხვა კვლევითი ღონისძიებების ჩატარების საშუალებას შექმნის, რომელიც პარტიისა და მისი წევრების საჭიროებებს გამოავლენს. ასეთ მონაცემები შესა-ძლებელია ეფექტური პოლიტიკისა და რეკომენდაციების საყრდენი გახდეს.

მეორე, უკვე არსებული საერთო ეროვნული კვლევების შედეგები შესაძლებელია ეფექტურად იქნას გამოყენებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესაგროვე-ბლად. ისეთ ორგანიზაციებს, როგორებიცაა IRI, NDI და CRRC შეუძლიათ კვლევები ჩაატარონ პარტიის წევრობისა და პარტიის წევრობისადმი დამოკიდებულების შესახებ. ასეთი მონაცემების მოპოვება შესაძლებელს გახდიდა გამოგვევლინა სხ-ვადასხვა წყაროების ადგილმდებარეობა და გვექნებოდა უფრო მეტად დამაჯერ-ებელი მონაცემები პარტიის წევრობის შესახებ.

კიდევ ერთი ხარვეზი, რომელიც ამ კვლევამ მონაცემების შეგროვების პროცესში აღმოაჩინა, არის ქალაქის საკრებულოს წევრების შესახებ ინფორმაციის სიმცირე. გარკვეული ტიპის ინფორმაცია ხელმისაწვდომია პარლამენტის წევრების შეს-ახებ, თუმცა იმისათვის, რომ ვიქონიოთ დასრულებული სურათი კარგი იქნებოდა გვქონოდა თუნდაც მცირე ინფორმაცია ქალაქის საკრებულოს წევრების შესახებ.

კვლევასთან დაკავშირებული აქტივობების გარდა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია საქართველოს პარტიული სისტემის გაუმჯობესება, არსებობს სხვა

ნაბიჯები, რომლებიც პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გადადგან იმისათვის, რომ მეტი ახალგაზრდა მოიზიდონ. უპირველეს ყოვლისა, პარტიებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა ბევრი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ პარტიის წევრობის რეპუტაცია აიყვანონ შესაბამის დონეზე. ამჟამად, ახალგაზრდებში პარტიის წევრობის შესახებ ნეგატიური აღქმა არსებობს. პარტიის წევრობა აღიქმება, როგორც "ბინძური სამუშაო" მათი თანატოლების მიერ. ასეთი სტერეოტიპები მომდინარეობენ ჩვენი პოლიტიკური წარსულისაგან, მაგრამ ეს უნდა შეიცვალოს, თუ გვსურს პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი გამყარება.

იმისათვის, რომ საქართველოში პარტიული სისტემა გაუმჯობესდეს, საჭიროა პოლიტიკური "ინსაიდერების" როლის გაზრდა, ანუ იმ ადამიანებისა, რომელთაც პოლიტიკურ პარტიებთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰქონდათ დამყარებული კავშირი, პოლიტიკური სტრუქტურის შიგნით. პოლიტიკური შინაკაცების ქვეშ არ იგულისხმება მხოლოდ პარტიის წევრები, არამედ ასევე, კვლევის ასისტენტები, ადვოკატები და ეკონომიკური მრჩევლები, რომლებიც შესაძლოა პარტიაში იყვნენ დასაქმებულნი. პარლამეტის წევრების პირადი მონაცემების ანალიზი, ცხადად წარმოაჩენს, რომ ამჟამად საქართველოს პარლამენტში პოლიტიკური შინაკაცების რაოდენობა საკმაოდ დაბალია.

მეტი ძალისხმევაა საჭირო ახალგაზრდების პოლიტიკური პარტიებისაკენ მისაპყრობად. დღესდღეობით, როდესაც ახალგაზრდები მოდიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო ან სპორტულ ღონისძიებაზე დასასწრებად, ისინი არ რჩებიან უფრო დიდხანს პარტიაში. პარტიას რომ შეეძლოს ისეთი აქტივობის შეთავაზება, რომელიც ახალგაზრდებში მუდმივ ინტერესს გამოიწვევდა, ეს შესაბამისად გაზრდიდა პარტიის წევრების რაოდენობას. ერთჯერადი ტრენინგების შეთავაზება საკმარისი არ არის. საჭიროა განგრძობითი ტიპის ღონისძიებები. მაგალითად, პარტიას შეუძლია ტრენინგების გამართვა სხვადასხვა თემებზე, როგორიცაა პოლიტიკური იდეოლოგია ან ევროპული პარტიული პოლიტიკა, რაც მცირე კვლევითი პროექტის განხორციელებით უნდა დასრულდეს. სასურველია, ასეთი პროექტები დაიბეჭდოს მცირე ბუკლეტში ან აკადემიურ ჟურნალში. ბევრი გონიერი ახალგაზრდისათვის ეს მექანიზმი იქნებოდა საუთესო მოტივაცია პარტიულ საქმიანობაში კიდევ უფრო აქტიურად ჩასართავად. ამ კონტექსტში, შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მოზიდვა პოლიტიკური პარტიებისათვის ასეთი დახმარების გასაწევად. მათ შეუძლიათ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და რაც უფრო მნიშვნელოვანია, შეუძლიათ გახდნენ პლატფორმა ახალგაზრდა აქტივისტების შემდგომი განვითარებისათვის. მათ ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა აქტივისტების ნაშრომების გამოქვეყნებას.

ახალგაზრდების მოტივაციის გასაზრდელად, პარტიებმა ასევე უნდა აჩვენონ, რომ პარტიის წევრობა მომავალში ანაზღაურდება და ჯილდოვდება. ისეთი პარლამენტის წევრების მცირე რაოდენობა, რომელთაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებში მუშაობის გარკვეული გამოცდილება აქვთ, სრულიად არ ეხმარება იმ მოსაზრების განმტკიცებას, რომ პარტიაში გაწევრიანება ადრეული ასაკიდანვე ზრდის პოლიტიკოსის კარიერის აწყობის შანსს. უნდა გაუმჯობესდეს პარტიის წევრობის რეპუტაცია და პარტიის წევრების დიდი რაოდენობა უნდა იყოს დასაქმებული საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში.

ბიბლიოგრაფია

Caucasus Research Resources Centre (2010), *Caucasus Barometer Survey*, full dataset available at http://crrc.ge/data/

Fukuyama, F., (1996) *Trust: The Social Virtues and the Creation of Prosperity*, New York, Free Press.

Hooghe, M, and Stolle, D., (2005) Youth Organizations within Political Parties: Political Recruitment and Transformation of Party Systems in *J. Forbrig (ed) Revisiting Youth Political Participation: Challenges for Research and Democratic Practice in Europe*, Council of Europe Publishing, 1999, pp. 43-52

International Institute for Democracy and Electoral Assistance (IDEA), *Voter Turnout Database*, available online at http://www.idea.int/vt/index.cfm

International Republican Institute (2011) *Georgian Public Opinion Survey, implemented by IPM*, data in pdf format available at http://www.iri.org/news-events-press-center/news/iri-releases-survey-georgian-public-opinion-4

Mitchell, L.A., (2009) *Uncertain Democracy: US Foreign Policy and Georgia's Rose Revolution*, Philadelphia, University of Pennsylvania Press

Niemi, R. G., and Weisberg, H. F. (eds). (2011) *Controversies in Voting Behavior* (4th edition) Washington DC: CQ Press

Nodia, G., Scholtbach, A.P., (eds) (2006) *The Political Landscape of Georgia: Political Parties – Achievements, Challenges and Prospects*, Eburon Academic Publishers

Park, A., (1999) Young People and Political Apathy. *In: R. Jowell, J. Curtice, A. Park, and K. Thompson, eds., British Social Attitudes, the 16th Report: Who Shares New Labour Values?* Ashgate: Aldershot. 1999, pp.23-44.

Parliament of Georgia, *List of Members of the Parliament*, retrieved from http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=2 retrieved on September 30, 2011

Putnam, R. D., (1995) "Tuning In, Tuning Out: The Strange Disappearance of Social Capital in America." in *Controversies in Voting Behavior*, CQ Press,

Sumbadze, N., and Maisuradze, M., (2010) *Participation of Youth in Democratic Processes: Study Results and Directory of Youth Organizations*, Tbilisi, Institute for Policy Studies

Toft, M.D. (2002) Multinationality, Regions and State-Building: The Failed Transition in Georgia in *Hughes, J., Sasse, G., eds., Ethnicity and Territory in the Former Soviet Union: Regions in Conflict*, London, Routledge, 2002, pp. 123-142

Weinstein, M., (2004) *Political Activity and Youth in Britain*, draft paper, Nottingham Trent University,

Wheatley, J., (2005) *From National Awakening to Rose Revolution: Delayed Transition in the former Soviet*, Aldershot, Ashgate Publishing

White, C., Bruce, S., and Ritchie, J., (2000) *Young People's Politics: Political Interest and Engagement Amongst 14-24 year-olds*

Wring, D., Henn, M., and Weinstein, M. (1999) Young People and Contemporary Politics: Committed Scepticism or Engaged Cynicism? *In: J. Fisher, P. Cowley, D. Denver, and A. Russell eds., British Elections and Parties Review Vol. 9*, London: Frank Cass Publishers, 1999, pp. 200-16.

რესპონდენტთა ჩამონათვალი

პოლიტიკური პარტიის დასახელება	რესპონდენტი
ლეიბორისტული პარტია	რამაზ სამნიაშვილი, საარჩევნო შტაბის უფროსი
ახალი მემარჯვენეები	დავით ფაცაცია, ახალი მემარჯვენეების ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	არჩილ ცერცვაძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის წევრი
რესპუბლიკური პარტია	თიკო ძნელაძე, ახალგაზრდა რესპუბლიკელების აღმასრულებელი მდივანი
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	გიორგი პაპელიშვილი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი
ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები	სულხან ღლონტი, ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი

მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმ-მართველობის ბიუჯეტირების პროცესში

ირაკლი ხმალაძე

შეჯამება

უკანასკნელი 2 ათწლეულის განმავლობაში საქართველომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა დეცენტრალიზაციის მიმართულებით. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, აკადემიურ თუ პრაქტიკოსთა წრეებში ხშირად წაიკითხავთ ან მოისმენთ კრიტიკას იმის შესახებ რომ დეცენტრალიზაციის პროცესი საქართველოში მხოლოდ ფორმალურად განხორციელდა. უფრო მეტი დეცენტრალიზაციის მომხრეები საუბრობენ იმაზე, რომ თვითმმართველობებს აქვთ შეზღუდული კომპეტენციები.

თავის მხრივ დეცენტრალიზაციის პროცესის ოპონენტები, ძირითადად ულტრალიბერალური გაერთიანებები აცხადებენ რომ მთელი რიგი სერვისების მიწოდება ცენტრალიზებულად უფრო ხელსაყრელია. ისინი აცხადებენ რომ ცენტრალურ ხელისუფლებას სრულად აქვს გააზრებული მოსახლეობის პრობლემატიკა და ფინანსური რესურსების და სერვისების ფრაგმენტაცია გამოიწვევს ეკონომიკურ არაეფექტურობას.

თვითმმართველი ერთეულებისთვის ფუნქციების და რესურსების გადაცემა მნიშვნელოვანია მაგრამ ეს არ არის საკმარისი. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა რომ ადგილობრივად დაფინანსებული აქტივობები ეხმაურება ადგილობრივ საჭიროებებს და ყველა მოსახლე მეტ-ნაკლებად თანაბრად სარგებლობს მიწოდებული სერვისებით. ეს შეიძლება გარანტირებულ იქნას მოსახლეობის ჩართულობით ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმაა ადგილობრივი ბიუჯეტირების პროცესში ჩართულობა

თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

1 პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო პროცესი იწყება ყოველი წლის 1 მარტს როდესაც თვითმმართველი ერთეულები იწყებენ, მუშაობას პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაზე და იგეგმება მომდევნო 4 წლის ძირითადი პრიორიტეტები.
2. ბიუჯეტის პროექტის მომზადება
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა იწყება არაუგვიანეს 15 ივლისისა, როდესაც ფინანსთა სამინისტრო აცნობებს მუნიციპალიტეტებს ძირითად საბიუჯეტო მაჩვენებლებს. მოგვიანებით, ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია ყველა მუნიციპალიტეტს ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში პირველად წარდგენიდან 5 დღის ვადაში აცნობოს კონკრეტული მონაცემები ფინანსური დახმარების შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდგომ მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოები იწყებენ ბიუჯეტის პროექტის მომზადებას რომელიც წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულოს) წარედგინება არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.

3. ბიუჯეტის გაწერა

ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ ხდება მისი განწერა თვეებისა და კვარტლების მიხედვით რომელსაც ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში აკეთებს თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო.

4. ბიუჯეტის აღრიცხვა-აწგარიშგება

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველი კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ამზადებს კვარტალურ მიმოხილვებს ნაზარდი ჯამით, ხოლო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და წარუდგენს მას წარმომადგენლობით ორგანოს.

თვითმმართველი ერთეულის შემოსულობებია:

- ადგილობრივი გადასახადები

ქონების გადასახადი ერთადერთი ადგილობრივი გადასახადი და ამასთან ერთადერთი საგადასახადო შემოსულობაა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

- ადგილობრივი მოსაკრებლები

სათამაშო ბიზნესის ყველაზე მსხვილი ადგილობრივი მოსაკრებელია. გარდა ამისა ადგილობრივ მოსაკრებლებს განეკუთვნება დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების, მშენებლობის ნებართვის, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის და კულტურული მემკვიდრეობის მოსაკრებლები. ამ მოსაკრებლებს ფისკალური ეფექტი ძირითადად თვითმმართველი ქალაქებისთვის აქვთ.

- გრანტები და სესხები

თვითმმართველობის შემოსულობების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს გამოთანაბრებითი ტრანსფერი. 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვითმმართველ ერთეულებში გამოთანაბრებითი ტრანსფერის სახით გამოიყო 522.5 მლნ ლარი, რაც თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლების 54%-ია. გარდა გამოთანაბრებითი ტრანსფერისა, ფინანსურ დახმარებას მიეკუთვნება ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებისათვის და სპეციალური ტრანსფერი.

თვითმმართველი ერთეულის გადასახდელებს შემდეგი მიმართულებები წარმოადგენს:

შრომის ანაზღაურების მუხლით 2008-2010 წლებში ჯამურად 328 მლნ ლარი დაიხარჯა თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტიდან. ხარჯების ამ კატეგორიაში ერთიანება თვითმმართველ ერთეულების ადმინისტრაციულ ერთეულებში და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასები.

სოციალური ხარჯების მუხლით 2008-2010 წლებში 289 მილიონი ლარი დაიხარჯა, რაც ძირითადად ქ. თბილისზე (81,3%) მოდის და 10 ლარიანი საპენსიო დანამატის ანაზღაურებას ითვალისწინებს რაც პირდაპირ უკავშირდება 2010 წლის ადგილო-

ბრივი თვითმმართველობის არჩევნებს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სოციალური სფერო სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენციაა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს სოციალური პროგრამების შემუშავება მხოლოდ ნებაყოფლობითი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლიათ.

საქონელი და მომსახურების მუხლით 2008-2010 წლებში 580 მილიონი ლარი დაიხარჯა. ხარჯების აღნიშნული კატეგორია მოიცავს ხელშეკრულებით დაქირავებული შტატგარეშე მომუშავეთათვის შრომის ანაზღაურების, მივლინების, ოფისის (ინვენტარი და მასალები), კავშირგაბმულობის ხარჯებს. ასევე, ბაგა-ბაღებში, საბავშო სახლებში კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს; ასევე ტრანსპორტის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებს.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ-ეკონომიური, განათლების და ჯანდაცვის და კულტურის სფეროზე გამოყოფილი სახსრებით, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მუნიციპალიტეტები მნიშვნელოვნდა ჩამოუვარდებიან თვითმმართველ ქალაქებს.

მოსახლეობის ბიუჯეტირების პროცესში ჩართულობის შესწავლისათვის ჩატარდა კვლევა ქ. რუსთავის მერიაში 2011 წლის ოქტომბრის თვეში. კვლევამ აჩვენა რომ მოსახლეობა ძირითადად პასიური მსმენელის როლში არის ჩართული ბიუჯეტირებაში რომელსაც თვითმმართველობის წარმომადგენლები ხსნიან მოსახლეობის დაბალი მოტივაციით და ინტერესით.

კვლევის რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილად მიაჩნიათ გაიზარდოს მოსხლეობის ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესში. ჩართულობის ზრდა უნდა მოხდეს ბროშურების, ბუკლეტების დარიგებით აგრეთვე მუნიციპალურ სერვისებზე თანადაფინანსების ელემენტის შემოტანით. თუმცა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის და მაღალი უმუშევრობის ფონზე თანადაფინანსების შემოტანა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ავტორის აზრით, მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა თვითმიზანი არაა. მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას ბიუჯეტირების პროცესში მთელი რიგი სიკეთეების მოტანა შეუძლია. ამ მიმართულებით მნვშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

პროგრამული ბიუჯეტირება

თვითმმართველობებმა, განსაზღვრული კომპეტენციებისა და მოსახლეობისათვის მისაწოდებელი სერვისების ფარგლებში ჩამოაყალიბონ პროგრამები, რომელიც საფუძვლად დაედება პროგრამულ ბიუჯეტს. პროგრამა უნდა წარმოადგენს თვითმმართველობის კომპეტენციით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების

მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ხარჯების თვითმართველი ერთეულის დასახლებებს შორის უფრო სამართლიანად და პროგნოზირებულად განაწილება

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის განაწილება დასახლებების მიხედვით ექვემდებარებოდეს სამართლიანობის და პროგნოზირებადობის პრინციპებს. რაც შეეხება სამართლიანობის პრონციპს ეს გულისხმობს თვითმმართველი ერთეულის დასახლებებს შორის სახსრების განაწილებას ობიექტური და თვლადი კრიტერიუმების მიხედვით. ასეთ კრიტერიუმად შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსახლეობის რიცხოვნობა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრთან დაშორება, სიღარიბის მაჩვენებლები, სკოლამდელ აღსაზრდელთა რაოდენობა, პენსიონერთა რაოდენობა და ა.შ.

გავხადოთ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის და საბიუჯეტო პროცესის შესახებ ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი

ამ მიზნით, პირველ რიგში მნიშვნელოვანია თვითმმართველმა ერთეულებმა დაბეჭდონ წლიური კალენდარი რომელიც უფასოდ დაურიგდება ადგილობრივ მოსახლეობას. კალენდარზე სამუშაო და დასვენების დღეებთან ერთად სპეციალური ფერით უნდა იქნას აღნიშნული ის დღეები რომელიც მნიშვნელოვანია ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესისთვის.

საბიუჯეტო პროცესის და ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის საშუალებად გამოყენებულ უნდა იქნას ადგილობრივი/რეგიონული ტელევიზიები.

საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის ერთ-ერთი საშუალებაა საგაზეთო სტატიები. ასევე მნიშვნელოვანია თვითმმართველობებმა მოამზადონ ყოველწლიური საბიუჯეტო გზამკვლევი-ბროშურა.

საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია თვითმმართველმა ერთეულებმა უფრო აქტიურად უნდა გამოიყენონ ინტერნეტ-რესურსები.

მოსახლეობის თანამონაწილეობის ზრდა საბიუჯეტო პროცესში

ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ბიუჯეტის და საბიუჯეტო პროცესის შესახებ ინფორმაცია უნდა გახადონ უფრო ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის.

მოსახლეობასთან შეხვედრები უნდა დაიწყოს პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის მომენტიდან, როდესაც თვითმმართველი ერთეულები აყალიბებენ საკუთარ პრიორიტეტებს და წარუდგენენ ფინანსთა სამინისტროს და მხარის რწმუნებულს-გუბერნატორს. მნიშვნელოვანია თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელმა უშალოდ მიიღოს მონაწილეობა ყველა სოფლის/თემის/დაბის კრებაზე (სულ 20-30 შეხვედრა) და მოსახლეობასთან უშუალო ინტერაქციის განსაზღვროს მათთვის ყველაზე პრიორიტეტული საკითხები, რისი გადაწყვეტაც მოსახლეობას გადაუდებლად მიაჩნია.

მოსახლეობასთან შეხვედრების გარდა, მნიშვნელოვანია მოეწყოს საჯარო მოსმენები როგორც ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში წარდგენის, ასევე ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშების ასევე საბოლოო ანგარიშის განხილვისას.

საბიუჯეტო პროცესებში თანამონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მოსახლეობისგან ინფორმაციის მიღება გაწეული სერვისების ეფექტიანობის შესახებ. მოსახლეობის კმაყოფილება, მათი გამოხმაურება არის ყველაზე უტყუარი ინდიკატორი იმისა თუ რამდენად ეფექტიანია ადგილობრივი ხელისუფლება.

გარდა ამისა, მუნიციპალური პროგრამების/პროექტების განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩამოყალიბდეს მოსახლეობასთან უკაკავშირის მექანიზმი. უკუკავშირის მექანიზმი შეიძლება მოიცავდეს მუნიციპალურ "ცხელ ხაზს" სადაც მოქალაქეს შეიძლება დარეკვა და საკუთარი მოსაზრების გამოთქმა, ასევე სხვა ფორმებს

ასევე შესაძლებელია ყველა დასახლებაში დაიდგას საფოსტო ყუთი, სადაც მოსახლეობა თავის მოსაზრებებს გამოთქვამს ანონიმურად, საფოსტო გზავნილის საშუალებით. ეს თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელობას, ისევე როგორც სხვადასხვა სამსახურებს შეუქმნის დამატებით წარმოდგენას მიწოდებული სერვისების ეფექტიანობის თაობაზე.

შესავალი

უკანასკნელი 2 ათწლეულის განმავლობაში საქართველომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა დეცენტრალიზაციის მიმართულებით. 1990-იანი წლების მიწურულიდან ადგილობრივი ხელისუფლებას განსაზღვრული აქვს ექსკლუზიური (საკუთარი) უფლებამოსილებანი და დამოუკიდებელი ბიუჯეტი თვითმმართველობის კანონის შესაბამისად.

მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, აკადემიურ თუ პრაქტიკოსთა წრეებში ხშირად წაიკითხავთ ან მოისმენთ კრიტიკას იმის შესახებ რომ დეცენტრალიზაციის პროცესი საქართველოში მხოლოდ ფორმალურად განხორციელდა. უფრო მეტიც, დეცენტრალიზაციის მომხრეები საუბრობენ იმაზე, რომ თვითმმართველობებს აქვთ შეზღუდული კომპეტენციები (განსაკუთრებით განათლების, ჯანდაცვის, დასაქმების და სოციალურ სფეროებში) და რაც უფრო მეტად საგულისხმოა შეზღუდული ფინანსები რათა თავი გაართვან დაკისრებულ პასუხისმგებლობებს. მართლაც, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით აკრეფილი გადასახადების მხოლოდ 3.4% მიიმართება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში საიდანაც 2.25%[1] მოდის 5 თვითმმართველ ქალაქზე (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი და ფოთი) ხოლო 1,15% 60 მუნიციპალიტეტზე სადაც მოსახლეობის 45% ცხოვრობს. თვითმმართველი ერთეულების შემოსავლების 60%-ზე მეტი მოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმორიცხულ გრანტებზე (არამიზნობრივი და მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერები).

ვინაიდან ადგილობრივი ხელისუფლება დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფო ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე, დეცენტრალიზაციის მომხრეების აზრით თვითმმართველობას არ შეუძლია ადგილობრივი საჭიროებების გადაწყვეტა. შესაბამისად, თვითმმართველობებს უნდა გაეზარდოთ ფინანსური ავტონომია. უკანასკნელი პერიოდის ბევრი კვლევა ფისკალური დეცენტრალიზაციის კუთხით მიმოიხილავს ხელისუფლებათა შორის ფისკალურ ურთიერთობებს და გვთავაზობს შესაბამის პოლიტიკის ღონისძიებებს. ითვლება, რომ მეტი ფუნქციების და ფინანსური სახსრების გაზიარება თვითმმართველობებისთვის გააუმჯობესებს ადგილობრივი სერვისების მიწოდებას, შესაბამისად შექმნის უკეთეს საცხოვრებელ პირობებს და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს.

დეცენტრალიზაციის პროცესის ოპონენტები, ძირითადად ულტრალიბერალური გაერთიანებები აცხადებენ რომ მთელი რიგი სერვისების მიწოდება ცენტრალიზებულად უფრო ხელსაყრელია. ისინი აცხადებენ რომ ცენტრალურ ხელისუფლებას სრულად აქვს გააზრებული მოსახლეობის პრობლემატიკა და ფინანსური რესურსების და სერვისების ფრაგმენტაცია გამოიწვევს ეკონომიკურ არაეფექტურობას. ამასთან ტერიტორიული ზომით მცირე და ფინანსური რესურსებით ხელმოკლე სახელმწიფოსთვის ეკონომიკური ეფექტურობა უმნიშვნელოვანესია.

[1] ყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ჩემის აზრით, დეცენტრალიზაციის მომხრეებს, ისე როგორც მოწინააღმდეგეებს გააჩნიათ რიგი საფუძვლიანი არგუმენტები. ტერიტორიულად მცირე სახელმწიფოში რიგი სერვისები შეიძლება მიწოდებულ იქნეს სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ და ორივე ალტერნატივა შეიძლება განხილულ იქნეს ეკონომიკური ეფექტიანობის ჭრილში. მაგრამ, მუნიციპალიტეტს აქვთ დიდი უპირატესობა სერვისების მიწოდების კუთხით, ისინი არიან უფრო ახლოს მოსახლეობასთან, შესაბამისად უკეთ იციან მათი საჭიროებები და მოლოდინები.

შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულებისთვის ფუნქციების და რესურსების გადაცემა მნიშვნელოვანია მაგრამ ეს არ არის საკმარისი. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის უზრუნვეყოფა რომ ადგილობრივად დაფინანსებული აქტივობები ეხმაურება ადგილობრივ საჭიროებებს და ყველა მოსახლე მეტნაკლებად თანაბრად სარგებლობს მიწოდებული სერვისებით. ეს შეიძლება გარანტირებულ იქნას მოსახლეობის ჩართულობით ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმაა ადგილობრივი ბიუჯეტირების პროცესში ჩართულობა.

ამ ნაშრომის ძირითადი მიზანია დავადგინოთ თუ რამდენად არის ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა ადგილობრივი ბიუჯეტირების პროცესში. შესაბამისი კვლევის ჩატარების კვალობაზე პოლიტიკის რეკომენდაციები იქნება შემოთავაზებული. რეკომენდაციები მოიცავს კონკრეტულ ქმედებებს მოსახლეობის ჩართულობის გაზრდაში ბიუჯეტის მომზადების, განხილვის, აღსრულების, მონიტორინგის და შეფასების პროცესში.

თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის, საბიუ-ჯეტო პროცესის ზოგადი მიმოხილვა

თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი

პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო პროცესი იწყება ყოველი წლის 1 მარტს როდესაც თვითმმართველი ერთეულები იწყებენ მუშაობას პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაზე და პირველ ეტაპზე იგეგმება მომდევნო წლების ძირითადი პრიორიტეტები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ, არსებული რეალობის გათვალისწინებით პირველ ეტაპზე უნდა წამოწიოს ის პრობლემები რომლებიც მწვავედ დგას საზოგადოების წინაშე. უნდა განისაზღვროს საკითხების გადაწყვეტის რიგითობა, გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები, დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები მათთვის საჭირო სახსრებისა და ვადების განსაზღვრით.

პრიორიტეტების დოკუმენტს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო, შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით.

პრიორიტეტების დოკუმენტის ფორმირებისას განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ სპეციალურ ტრანსფერებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონდი, რონლის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, ხოლო ამ ფონდიდან კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი რწმუნებულ-გუბერნატორის შუამდგომლობით იღებს საქართველოს მთავრობა.

ბიუჯეტის პროექტის მომზადება

წლის განმავლობაში ახალი საბიუჯეტო პროცესის მიმდიმარეობისას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტთან კოორდინირებული მუშაობა იწყება არაუგვიანეს 15 ივლისისა, როდესაც ფინანსთა სამინისტრო აცნობებს მუნიციპალიტეტებს ძირითად საბიუჯეტო მაჩვენებლებს. ძირითადმა საბიუჯეტო მაჩვენებლებმა საშუალება უნდა მისცეს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მოახდინონ თავიანთი ბიუჯეტების რეალური მონახახის ჩამოყალიბება, ანუ არსებული ფინანსური რესურსის პირობებში გადასახდელების ეფექტურად დაგეგმვა-ბიუჯეტის პირელადი პროექტის მომზადება. ბიუჯეტის პირველადი პროექტების განხილვა ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, სადაც მიღებული კონსულტაციებისა და ტექნიკური მითითებების შემდგომ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს შესაძლებლობა აქვთ დააზუსტონ როგორც გამოთანაბრებითი ტრანსფერი, ასევე შემოსულობების სხვა წყაროების საპროგნოზო მოცულობები და შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ გადასახდელების ნაწილშიც. ამავე დროს განიხილება თუ რა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას გეგმავს

თვითმმართველი ერთეული და რა პროექტების დაფინანსებაა საჭირო სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

1 ოქტომბრამდე მთავრობა პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, სადაც უკვე ასახულია თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარება (გამოთანაბრებითი ტრანსფერი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სპეციალური ტრანსფერი). ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია ყველა მუნიციპალიტეტს ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში პირველად წარდგენიდან 5 დღის ვადაში აცნობოს კონკრეტული მონაცემები ფინანსური დახმარების შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდგომ მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოები იწყებენ ბიუჯეტის პროექტის მომზადებას რომელიც წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულოს) წარედგინება არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში პირველი წარდგენის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს საკრებულოს შენიშვნების შესაბამისად, აღმასრულებელი რგოლის ახალი ინიციატივების და ასავე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ცვლილების კვალობაზე და ის უნდა დამტკიცდეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 დეკემბრისა.

ბიუჯეტის განწერა
ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ ხდება მისი განწერა თვეებისა და კვარტლების მიხედვით რომელსაც ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში აკეთებს თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო.

ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამები და ღონისძიებები იყოფა ორ კატეგორიად: პროექტებად და ღონისძიებებად, რომლებიც ფინანსდება მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით და პროექტებად და ღონისძიებებად რომლებიც ხორციელდება მიზნობრივი დაფინანსების წყაროებით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები რესურსების განაწილება კვარტლების და თვეების მიხედვით ხორციელდება ფინანსთა სამინისტროსთან კონსულტაციების საფუძველზე. საკუთარი შემოსულობების განწერა ხდება წინა წლების მონაცემების და არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

შემოსულობების ნაწილის განწერის შემდეგ ხდება გადასახდელების განაწილება შემოსულობების შესაბამისად. გადასახდელების განაწილებისას პირველ რიგში იგეგმება ის აუცილებელი გადასახდელები როგორიცაა ხელფასები, ვალის მოსახურებასა და დაფარვაზე გასაცემი ხარჯები ასევე სხვადასხვა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები.

ბიუჯეტის აღრიცხვა-ანგარიშგება
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველი კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ამზადებს კვარტალურ მიმოხილვებს ნაზარდი ჯამით, ხოლო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და წარუდგენს მას წარმომადგენლობით ორგანოს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კვარტალურ მიმოხილვებში და წლიურ ანგარიშში შესაბამისი პერიოდის ფაქტიური მაჩვენებლები შედარებულ უნდა იქნას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან და განმარტებები უნდა იქნეს მომზადებული გეგმიურ და ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის მნიშ-ვნელოვან შეუსაბამობაზე. ანგარიშებში სასურველია ჩართული იქნეს სხვადასხვა ანალიტიკური ინფორმაცია, ხოლო 2014 წლიდან პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

თვითმმართველობის შემოსულობების ძირითადი წყაროები

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის შემოსულობები 2008-2011 წლებში.

დიაგრამა 3.1

ბიუჯეტის შემოსულობები 2008–2011 წლებში (მლნ. ლარი)

	2008	2009	2010	2011
სახელმწიფო ბიუჯეტი	7157	6351	7088	6995
ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები	123	130	111	113
თვითმმართველი ქალაქების ბიუ-ჯეტები	741	855	1120	885
მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები	536	404	447	300

წყარო: 2008-2011 წლების სახლმწიფო, ავტონომიური და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები

თვითმმართველობის და საბიუჯეტო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად 2007 წლიდან (საშემოსავლო გადასახადი შემთხვევაში 2008 წლიდან), საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები რომელნიც მანამდე სხვადასხვა პროპორციით გაზიარებული იყო ადგილობრივ თვითმმართველობებთან მთლიანად მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში. ამან სერიოზულად შეზღუდა ყველა თვითმმართველი ერთეულების ფინანსური ავტონომია და დამოკიდებული გახადა სახელმწიფო ხელისუფლების სატრანსფერო პოლიტიკაზე.

ადგილობრივი გადასახადები

ქონების გადასახადი ერთადერთი ადგილობრივი გადასახადი და ამასთან ერთადერთი საგადასახადო შემოსულობაა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. ამასთან 2005-2010 წლებში აღნიშნული გადასახადისაგან განთავისუფლდა სხვადასხვა კატეგორიის ქონება (ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა სასოფლო მიწებისა) თუ ამ პირის მიერ წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს; ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ქონება, კონფლიქტის მოგვარებამდე; თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება; ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტომობილი). ქონების გადასახადს, როგორც საკუთარ საგადასახადო შემოსულობას მცირე წილი აქვს თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტში (მიუხედავად იმისა რომ აბსოლიტურ მაჩვენებლებში მისი მოცულობა წლების მიხედვით იზრდება). ამასთან თვითმმართველ ერთეულებს არ გააჩნიათ დისკრეცია ადგილობრივ გადასახადებთან მიმართებაში (ბაზის განსაზღვრა, განაკვეთის დადგენა, შეღავათების დაწესება) რაც ამცირებს ადგილობრივი საგადასახადო ბაზის გაზრდის შესაძლებლობას.

მოსაკრებლები

საგადასახადო კოდექსში 2006 წლის ბოლოს განხორციელებული ცვლილებით სათამაშო ბიზნესის გადასახადი გადაკეთდა მოსაკრებლად. ამასთან მოსაკრე-

ბლის განაკვეთები 3-ჯერ და მეტადაც გაიზარდა ზოგიერთი სახეობის მიხედვით თუმცა რეალური ფისკალური ეფექტი ამ ღონისძიებით მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებს აქვს.

სათამაშო ბიზნესის გარდა ადგილობრივ მოსაკრებლებს განეკუთვნება დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების, მშენებლობის ნებართვის, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის და კულტურული მემკვიდრეობის მოსაკრებლები. სათამაშო ბიზნესის ანალოგიურად ამ მოსაკრებლებს ფისკალური ეფექტი ძირითადად თვითმმართველი ქალაქებისთვის აქვთ.

გრანტები და სესხები

თვითმმართველობის შემოსულობების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს გამოთანაბრებითი ტრანსფერი. 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვითმმართველ ერთეულებში გამოთანაბრებითი ტრანსფერის სახით გამოიყო 522.5 მლნ ლარი, რაც თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლების 54%-ია. გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშებისათვის სახელმწიფო იყენებს სპეციალურ, კანონით დადგენილ ფორმულას, ხოლო მონაცემებს იღებს სახელმწიფო ხაზინიდან და საქსტატიდან. გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება ხდება ყველა თვითმმართველი ერთეულის მიხედვით. პირველ ეტაპზე განისაზღვრება თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა რომელიც არ უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ნომინალური შიდა პროდუქტის საპროგნოზო მოცულობის 4%-ზე ნაკლები. მეორე ეტაპზე გაიანგარიშება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მოცულობა თითოეული თვითმმართველი ერთეულისთვის. შემდგომ ეტაპზე გაიანგარიშება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები. ბოლო ეტაპზე გაიანგარიშება გამოთანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა. ტრანსფერის ფორმულის გასაანგარიშებლად მონაწილეობს გამოთანაბრებითი (მოსახლეობის რაოდენობა, სიღარიბის მაჩვენებლები, ასაკობრივი ჯგუფები, მოსახლეობის სიმჭიდროვე, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე) და სტატუსის კოეფიციენტები

სახელმწიფო ხელისუფლება ახდენს საკუთარი კომპეტენციების ნაწილის დელეგირებას თვითმმართველობებზე რისთვისაც ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა ტრანსფერები. სახელმწიფო ბიუჯეტითვე განისაზღვრება დელეგირებულ უფლებამოსილებათა ნუსხა. ნუსხა მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, იძულებით გადაადგილებულ პირთა და სამამულო ომებში დაღუპული გმირების უკვდავყოფის რიგ ღონისძიებებს. 2011 წლის ბიუჯეტის კანონით დელეგირებული ტრანსფერის საერთო ოდენობა შეადგენს 10.4 მლნ ლარს. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ არ არის დადგენილი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსაყოფი სახსრების განსაზღვრის წესი. მეტიც, ზოგიერთ მუნიციპალიტეტს ეს ტრანსფერი საერთოდ არ გამოეყოფა. ასევე არ არის განსაზღვრული კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობით მოხდება დელეგირებული სერვისების მიწოდებისათვის საჭირო სახსრების გაანგარიშება.

2006-2010 წლებში კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით თანდათან ფართოვდება თვითმმართველი ერთეულების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის გამოყენების შესაძლებლობა. თავდაპირველად ტრანსფერის გამოყენების არეალი ვრცელდებოდა ეკოლოგიური და სტიქიური

მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე და სხვა აუცილებელ ხარჯებზე. მოგვიანებით "სხვა აუცილებელი ხარჯები" შეიცვალა "მიმდინარე ხარჯებით" ხოლო შემდგომ "სხვა გადასახდელებით" რითაც შესაძლებელია სპეციალური ტრანსფერის ნებისმიერი მიზნით გამოყოფა. სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის წესი და კრიტერიუმები კანონმდებლობით არ არის დადგენილი. 2011 წლის ბიუჯეტის კანონით სპეციალური ტრანსფერი გამოყოფილი აქვს ბათუმს 88,7 მლნ ლარის ოდენობით და თბილისს 108,1 მლნ ლარის ოდენობით.

2009 წლიდან გამარტივდა თვითმმართველი ერთეულის მიერ გრანტის აღების პროცედურა, კერძოდ მოიხსნა გრანტის საქართველოს მთავრობიდან ან მისი ნებართვით აღების შეზღუდვა. რაც შეეხება სესხს, მისი აღება თვითმმართველ ერთეულს შეუძლია საქართველოს მთავრობისგან ან მისი ნებართვით.

თვითმმართველობის გადასახდელების ძირითადი მიმართულებები

საბიუჯეტო კანონმდებლობის მიხედვით გადასახდელები იყოფა ხარჯებად, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების კლება და ვალდებულებების კლებად.

ხარჯები

შრომის ანაზღაურების მუხლით 2008-2010 წლებში ჯამურად 328 მლნ ლარი დაიხარჯა თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტიდან. ხარჯების ამ კატეგორიაში ერთიანება თვითმმართველ ერთეულების ადმინისტრაციულ ერთეულებში და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასები.

სოციალური ხარჯების მუხლით 2008-2010 წლებში 289 მილიონი ლარი დაიხარჯა, რაც ძირითადად ქ. თბილისზე (81,3%) მოდის და 10 ლარიანი საპენსიო დანამატის ანაზღაურებას ითვალისწინებს რაც პირდაპირ უკავშირდება 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სოციალური სფერო სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენციაა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს სოციალური პროგრამების შემუშავება მხოლოდ ნებაყოფლობითი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლიათ.

საქონელი და მომსახურების მუხლით 2008-2010 წლებში 580 მილიონი ლარი დაიხარჯა. ხარჯების აღნიშნული კატეგორია მოიცავს ხელშეკრულებით დაქირავებული შტატგარეშე მომუშავეთათვის შრომის ანაზღაურების, მივლინების, ოფისის (ინვენტარი და მასალები), კავშირგაბმულობის ხარჯებს. ასევე, ბაგა-ბაღებში, საბავშო სახლებში კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს; ასევე ტრანსპორტის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებს.
მათ შორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე დაიხარჯა 331,4 მილიონი ლარი, თვითმმართველი ქალაქები 187 მილიონი და მუნიციპალიტეტები 144,4.

სხვა ხარჯების მუხლით 2008-2010 წლებში 1130 მილიონი ლარი დაიხარჯა. აქედან დიდი ნაწილი, დაახლოებით 70% თვითმმართველ ქალაქებზე მოდის. ამ მუხლით ძირითადად დაფინანსდა საოჯახო მეურნეობების კაპიტალური ხარჯები (მათ შორის მრავალსართულიანი კორპუსების ლიფტების და სახურავების შეკეთება, სადარბაზოებთან მისასვლელი შიდა გზების კეთილმოწყობა).

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდას 2008-2010 წლებში 1244 ლარი დაიხარჯა. გადასახდელის ამ ტიპში გაერთიანებულია დანახარჯები რომელიც ხმარდება თვითმმართველი ერთეულის კაპიტალური ინფრასტრუქტურის მშენებლობას და რეაბილიტაციას როგორიცაა ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ხიდები, პარკები, ნაგავსაყრელები და ა.შ.

გზების მშენებლობაზე 2008-2010 წლებში 807,9 მილიონი ლარი დაიხარჯა აქედან 560,9 მილიონი ლარი თვითმმართველ ქალაქებზე მოდის, ხოლო მუნიციპალიტეტებზე 247 მილიონი.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ-ეკონომიური, განათლების და ჯანდაცვის და კულტურის სფეროზე გამოყოფილი სახსრებით, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მუნიციპალიტეტები მნიშვნელოვნდა ჩამოუვარდებიან თვითმმართველ ქალაქებს.

დიაგრამა 3.2

2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დიდ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში

ხარჯვის კატეგორია	თბილისი	ქუთაისი	ფოთი	რუსთავი	ბათუმი	საშუალოდ
ეკონომიკური აქტივობები	135.4	24.9	96.1	46.4	270	39.1
გარემოს დაცვა	55.3	15.8	47.7	22.9	130	7.8
საბინაო – კომუ-ნალური	203.2	459.2	62.5	55.4	778	30.4
ჯანმრთელობის დაცვა	26.5	3.4	7.8	1.6	3.5	2.2
კულტურა	21.1	41	49.1	23.7	131	19.8
განათლება	39.6	28.7	23.1	14.8	61.1	14.5
სოციალური დაცვა	106.5	5.4	17.4	20.4	17.8	6

კვლევა: მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტირების პროცესში, ქალაქ რუსთავის მაგალითზე.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა გაგვეგო თუ რამდენად არის მოსახლეობა ჩართული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტირების პროცესში.

კვლევის პერიოდი

კვლევის ჩატარდა ქ. რუსთავის მერიაში 2011 წლის ოქტომბრის თვეში.

კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდს წარმოადგენდა ნახევრადსტრუქტურიზებული ინტერვიუ ქ. რუსთავის მერიის აპარატის უფროსს, საფინანსო სამსახურისა და ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელებთან. აგრეთვე შედგა შეხვედრა ქ. რუსთავის მერის მოადგილესთან საფინანსო-ეკონომიკურ დარგში.

კვლევის კითხვები

1 რომელი სამსახურის პასუხისმგებლობაა ქ. რუსთავის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა?
2 რომელი უწყებები და დაინტერესებული პირები მონაწილეობენ პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენაში?
3 ხდება თუ არა დამოუკიდებელი (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) ექსპერტების ჩართვა პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენაში?
4 რითი ხელმძღვანელობს მერია პრიორიტეტების ჩამოყალიბებისას? რა როლი აქვს მოსახლეობის აზრს პრიორიტეტების შედგენაში? რა ფორმით ხდება მოსახლეობის აზრის შესწავლა? სავალდებულოა მოსახლეობის აზრის გათვალისწინება ყველა შემთხვევაში?
5 ხდება თუ არა საკრებულოსთან პრიორიტეტების დოკუმენტის გაზიარება? რა ფორმით ხდება გაზიარება? რა ფორმით ხდება საკრებულოს მიერ შენიშვნების და წინადადებების წარმოდგენა? სავალდებულოა თუ არა საკრებულოს შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინება მერიისთვის?
6 საკრებულოს გარდა რომელ უწყებებთან ხდება პრიორიტეტების დოკუმენტის გაზიარება? რა როლი აქვს პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციას ამ პროცესში? ხდება თუ არა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ან მთავრობასთან პრიორიტეტების დოკუმენტის შეთანხმება? რა ფორმალურ პროცესებს მოითხოვს შეთანხმება?
7 ხდება თუ არა პრიორიტეტების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის დამტკიცება მერიის ან საკრებულოს მიერ? ხდება თუ არა პრიორიტეტების დოკუმენტის გამოქვეყნება? გამოქვეყნების გარდა როგორ ხდება მოსახლეობისთვის გაზიარება?
8 რომელი სამსახურის პასუხისმგებლობაა ქ. რუსთავის ბიუჯეტის შედგენა?
9 რომელი უწყებები და დაინტერესებული პირები მონაწილეობენ ქ. რუსთავის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში?
10 რითი ხელმძღვანელობს მერია ბიუჯეტის პროექტის შედგენისას? რა როლი აქვს მოსახლეობას ბიუჯეტის პროექტის შედგენაში? რა ფორმით ხდება მოსახლეობის ჩართულობა? სავალდებულოა მოსახლეობის აზრის გათვალისწინება

ყველა შემთხვევაში? როგორ ხდება ბიუჯეტის განაწილება დასახლებებს (კვარტლებს, რაიონებს შორის?)

11 რა ეტაპზე ხდება საკრებულოსთან ბიუჯეტის დოკუმენტის გაზიარება? რა ფორმით ხდება გაზიარება? იწვევს თუ არა საკრებულო ღია სხდომებს ბიუჯეტის პროექტის განხილვისას?

12 საკრებულოს გარდა რომელ უწყებებთან ხდება ბიუჯეტის პროექტის გაზიარება? რა როლი აქვს პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციას ამ პროცესში? ხდება თუ არა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ან მთავრობასთან ბიუჯეტის შეთანხმება? რა ფორმალურ პროცესებს მოითხოვს შეთანხმება?

13 ხდება თუ არა ბიუჯეტის გამოქვეყნება? გამოქვეყნების გარდა როგორ ხდება მოსახლეობისთვის გაზიარება?

14 თქვენის აზრით რამდენად კარგადაა ჩამოყალიბებული ქ. რუსთავის ბიუჯეტში მოსახლეობისათვის გასაწევი სერვისები პროგრამების სახით? ბიუჯეტში მოცემული აქტივობები რამდენად პასუხობს მოსახლეობის საჭიროებებს? როგორ აფასებთ მოსახლეობის კმაყოფილებას გაწეული სერვისებით?

15 ვინ არის პასუხისმგებელი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების შედგენაზე? საკრებულოს გარდა, წარედგინება თუ არა ბიუჯეტის ანგარიში სხვა დაინტერესებულ უწყებას? დაინტერესებულ მხარეს?

16 რა მიზანი აქვს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენას? რამდენად ხდება მისი დეტალური განხილვა? როგორ ახდენს საკრებულო ანგარიშში მოცემული ინფორმაციის გადამოწმებას?

17 თქვენი აზრით უნდა გაიზარდოს თუ არა მოსახლეობის ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესში? რა ფორმით?

კვლევის შედეგები

პირველ კითხვაზე, თუ ვისი პრეროგატივაა პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა, რესპოდენტებმა უპასუხეს რომ ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება საფინანსო სამსახურს. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეკონომიკური განვითარების სამსახური მუშაობს რუსთავის სოციალ-ეკონომიკური განვითარების გეგმის განახლებაზე. ცხადია პრიორიტეტების დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია სრულ თანხვედრაში იქნება სოციალ-ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მოცულობითი დოკუმენტი იქნება.

პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენაში საფინანსო სამსახურთან ერთად ჩართულია ეკონომიკური განვითარების სამსახური, ინფრასტრუქტურის და მშენებლობის სამსახური, ასევე სოციალური მომსახურების, კულტურის და სპორტის სამსახური.

რაც შეეხება საერთაშორისო თუ ადგილობრივი ექსპერტების ჩართვას პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენაში, მისი პრაქტიკაში გამოყენება არ ხდება. თუმცა ექსპერტების ჩართვის თაობაზე მზაობა რუსთავის მერიის მხრიდან არსებობს, მაგრამ შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში სასურველია ექსპერტები დაფინანსებულ იქნას საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ.

პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენისას ქ. რუსთავის მერია მხედველობაში იღებს მოსახლეობის მომართვებს. მოქალაქეთა განცხადებების გარდა ინფორმაცია საჭიროებების შესახებ გროვდება საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების, მერის და მისი მოადგილეების შეხვედრების შედეგად მოსახლეობასთან. ინფორ-

მაციას მოსახლეობის მოთხოვნების შესახებ ასევე ფლობენ ქ. რუსთავის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები. ქალაქი დაყოფილია 10 ტერიტორიულ ორგანოდ, სადაც მუშაობენ მერის მიერ დანიშნული წარმომადგენლები.

რაც შეეხება მოსახლეობაში გამოკითხვის წარმოებას, რათა დადგენილ იქნეს პრიორიტეტები, იგი რამდენჯერმე ჩატარდა თემატურ საკითხებზე, თუმცა რეგულარული ხასიათი არ აქვს. ქ. რუსთავის მერიის წარმომადგენლების განცხადებით პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენას საფუძვლად უდევს მოსახლეობის საჭიროებები, თუმცა რა ფორმით ხდება მოსახლეობის მიერ გაცხადებულ საჭიროებებს შორის ყველაზე პრიორიტეტულების ამორჩევა ბოლომდე ფორმალიზებული არ არის. საბოლოო გადაწყვეტილებას პრიორიტეტების შესახებ იღებს საკრებულოს და მერიის ხელმძღვანელები.

პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის შემდეგ ხდება მისი გაზიარება საკრებულოსთვის. კანონმდებლობა არ მოითხოვს საკრებულოსთვის პრიორიტეტების დოკუმენტის ოფიციალურად შეთანხმებას ნოემბრის თვემდე, როდესაც იგი ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარედგინება წარმომადგენლობით ორგანოს. თუმცა, როგორც ინტერვიუს რესპოდენტებმა აღნიშნეს, პრიორიტეტების დოკუმენტი განიხილება ბიუროს სხდომაზე. ბიუროს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები როგორც წესი გაზიარებულია მერიის მიერ. თუმცა შენიშვნები და წინადადებები დოკუმენტალური სახით არ მიეწოდება მერიას საკრებულოს მიერ.

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ რწმუნებულის ადმინისტრაცია არ არის ჩართული პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის პროცესში. თუმცა, მერიის ხელმძღვანელობა მუდმივ კონსულტაციაშია მხარის რწმუნებულთან თვითმმართველობის კუთხით მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერებზე, პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა და შეჯერება მიმდინარეობს ფინანსთა სამინისტროსთან. ფინანსთა სამინისტრო თავის მოსაზრებებს გამოთქვამს თვითმმართველობის პრიორიტეტების შესახებ და აცნობს მათ რამდენად შესაძლებელია ღონისძიებების სრულად დაფინანასება. ხშირ შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინება სრულად ხდება რუსთავის მერიის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსთა სამინისტროს რეკომენდაციები სიტყვიერად არის მიწოდებული და არ არის დოკუმენტირებული. ასეთივე პრაქტიკაა სხვა თვითმმართველ ერთეულებთან მიმართებაშიც.

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ პრიორიტეტების დოკუმენტი შედგენის შემდგომ გაზიარებულ იქნა მოსახლეობასთან. გაზიარება მოხდა ბიუჯეტის პროექტის შედგენის ეტაპზე. მოსახლეობასთან გაიმართა ორი შეხვედრა და მოხდა დოკუმენტის პრეზენტაცია ბაგა-ბაღების, ადგილობრივი თეატრის, განათლების და კულტურის მუშაკთა წარმომადგენლებთან.

პრიორიტეტების დოკუმენტი გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში, ყოველწლიური საბიუჯეტო კანონთან ერთად. თუმცა დოკუმენტი არ არის ატვირთული ქალაქის ვებ-გვერდზე წწწ.რუსტავი.გე. კითხვაზე თუ რატომ არ არის დოკუმენტი ხელმისაწვდომი ელექტრონულად, რესპოდენტებმა აღნიშნეს რომ მოხდება მისი განთავსება საიტზე, თუმცა მოსახლეობის მხრიდან დიდი საჭიროება ამ კუთხით არ იგრძნობა.

რაც შეეხება, უშუალოდ პრიორიტეტების დოკუმენტს, 2011-2014 წლებში რუსთავის ძირითად პრიორიტეტებად ჩამოყალიბდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა.

ქ. რუსთავის თვითმმართველობის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია:

- გზების რეაბილიტაცია;
- კომუნალური მეურნეობის განვითარება;
- კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება;
- სკოლამდელი განათლების დაფინანსება;
- სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პრიორიტეტების დოკუმენტში მხოლოდ ზოგად მიმართულებებს გადმოსცემს და არ არის დეტალურად გაწერილი, თუ კონკრეტულად რა აქტივობებია დაგეგმილი მოსახლეობისათვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესებისათვის. ასევე არ არის აღწერილი, თო როგორ მოხდა მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენა და მათი დაჯგუფება.

ისევე როგორც პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა, ბიუჯეტის პროექტის შედგენაც საფინანსო სამსახურის პასუხისმგებლობაა.

ბიუჯეტის პროექტის შედგენისას მონაწილეობენ ეკონომიკური განვითარების სამსახური, ინფრასტრუქტურის და მშენებლობის სამსახური, ასევე სოციალური მომსახურების, კულტურის და სპორტის სამსახური. როგორც უკვე აღინიშნა, გასული წლის ივნისის თვეში მოხდა მოსახლეობასთან შეხვედრა სადაც პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად მოხდა ბიუჯეტის პროექტის გაცნობაც.

რაც შეეხება ტერიტორიულ ერთეულებს შორის სახსრების განაწილებას, ეს პრაქტიკა ბიუჯეტის შედგენისას არ გამოიყენება. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ უმეტესობა სერვისებისა, რომლის მიწოდებასაც მერია ახორციელებს ცენტრალიზებულია და მისი დაყოფა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით მათი აზრით არაპრაქტიკულია. რაც შეეხება ისეთ სერვისებს, როგორიცაა მაგ. ლიფტის ან სახურავის შეკეთება, ან სადარბაზოს შიდა გზის მოწესრიგება, მართალია ამ ტიპის სამუშაოების განაწილება ტერიტორიული ორგანოების მიხედვით შესაძლებელია, თუმცა, არ ხორციელდება. მერიის წარმომადგენლები ამას ხსნიან მოსახლეობის პასიურობით. მათი განცხადებით უმჯობესია, კორპუსის განახლების სახსრები აკუმულირებულ იქნას ცენტრალიზებულად და სამუშაოები დაფინანსებულ იქნას მოსახლეობის აქტიურობის მიხედვით, მათი მომართვიანობის საფუძველზე.

ბიუჯეტის პროექტი, პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად საკრებულოს წარედგინება ყოველი წლის 15 ნოემბრამდე. საკრებულოს სხდომები საჯაროა და ინფორმაცია ბიუჯეტის განხილვის შესახებ ადგილობრივი ტელევიზიითაც გადაიცემა. თუმცა ბიუჯეტის განხილვისას მოსახლეობის ინტერესი ნაკლებია.

ბიუჯეტის პროექტის ფინანსთა სამინისტროსა და მთავრობასთან ფორმალურად შეთანხმებას არ საჭიროებს. თუმცა, ფინანსთა სამინისტრო თვალსყურს ადევნებს

იმას რომ რუსთავის ბიუჯეტის პარამეტრები შესაბამისობაში იყოს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ პარამეტრებთან კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსულობების და ტრანსფერების ნაწილში. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციასთან ბიუჯეტის პროექტის თაობაზე კონსულტაციები არ იმართება.

ბიუჯეტის კანონი, მიღების შემდეგ ქვეყნდება საკანონმდებლო მაცნეში, ასევე ბიუჯეტი განთავსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალურ ვებ-გვედზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდზე განთავსებულია მხოლოდ თავდაპირველი ვარიანტი და იგი არ ასახავს იმ ცვლილებებს რომელიც რუსთავის ბიუჯეტში წლის განმავლობაში შევიდა. რესპოდენტებმა დაადასტურეს რომ ბიუჯეტშ წლის განმავლობაში რამდენიმე ათეული ცვლილება შედის.

რუსთავის ბიუჯეტი მუხლობრივი ხასიათისაა და მასში მოცემულია მხოლოდ ის ფინანსური სახსრები, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ უწყების ფუნქციონირებისთვის. ანუ იგი ორიენტირებულია მხოლოდ ფინანსური რესურსების დანახარჯებზე და არ მოიცავს არც პროგრამებს, არც ინფორმაციას იმ შედეგების შესახებ რომელიც უნდა მიიღწეს ფინანსური რესურსების ხარჯვის შედეგად.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენაზე პასუხისმგებელია საფინანსო სამსახური. საფინანსო სამსახური ყოველკვარტალურად ახდენს შესრულების ანგარიშის წარდგენას საკრებულოსთვის.

რუსთავის მერიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები არ მოიცავს მხოლოდ ფინანსურ ინფორმაციას. ფინანსურთან ერთად საკრებულოს წარედგინება ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ. საკრებულო უფლებამოსილია მოახდინოს ანგარიშში მოყვანილი ფაქტების რევიზია და იმ შემთხვევაში თუ არსებობს ეჭვი ფაქტების სისწორის თაობაზე შექმნას სპეციალური კომისია. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 2010 წლის განმავლობაში, როდესაც საქმე ეხებოდა ბაგა-ბაღების დაფინანსებას.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვინც განცხადებით მიმართავს საკრებულოს ან მერიას. ანგარიშები ხელმისაწვდომი არ არის თვითმმართველ ქალაქ რუსთავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილად მიაჩნიათ გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესში. მათი აზრით მოსახლეობა პასიურია და ნაკლებად აინტერესებს საბიუჯეტო საკითხები. მოსახლეობის ჩართულობის ზრდა უნდა მოხდეს ბროშურების, ბუკლეტების დარიგებით აგრეთვე მუნიციპალურ სერვისებზე თანადაფინანსების ელემენტის შემოტანით. როდესაც ადგილობრივ მაცხოვრებელს ეცოდინება რომ საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად აუცილებელია არა მხოლოდ სახელწმიფოს იმედად ყოფნა, არამედ საკუთარი სახსრებით თუნდაც მცირედი წვლილის შეტანა გაიზრდება არა მხოლოდ სამოქალაქო შეგნება და ცოდნა, ასევე მოსახლეობა უფრო მეტად გაუფრთხილდება ქონებას ეს იქნება შიდა გზა, ლიფთი თუ სადარბაზო. თუმცა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის და მაღალი უმუშევრობის ფონზე თანადაფინანსების შემოტანა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ჩატარებული კვლევა ცხადყოფს რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ცდილობს უკეთესი კავშირი დაამყაროს მოსახლეობასთან და ბიუჯეტი მოარგოს მათ საჭიროებებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ჩართულობა ძირითადად პასიური ხასიათს ატარებს და მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება. მოსახლეობა არ არის გადაწყვეტილების მიმღები მისაღები სერვისების თაობაზე, იგი მხოლოდ აქტიური მომხმარებელია. დაბალი სამოქალაქო განათლებისა და კულტურის ქონასთან ერთად გადაწყვეტილების მიღებაში ნაკლები ჩართულობა უბიძგებს მათ იყვნენ პასიურები.

დასკვნები და რეკომენდაციები

პოლიტიკის რეკომენდაციები - როგორ გავზარდოთ მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტირების პროცესში

მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა თვითმიზანი არაა. მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას ბიუჯეტირების პროცესში მთელი რიგი სიკეთეების მოტანა შეუძლია.

მოსახლეობის ჩართულობა პირველ რიგში ქმნის პირობებს უფლებამოსილებით აღჭურვილი მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის. ეს არის დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი როდესაც უფლებამოსილებით აღჭურვილ მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა აიღონ პასუხისმგებლობა და გახადონ თავიანთი საცხოვრისი უკეთესი ადგილი. ეს ხდის მოქალაქეებს იგრძნონ ქალაქი/მუნიციპალიტეტი "საკუთარად", შესაბამისად იზრდება ადგილობრივი ხელისუფლების, როგორც საკუთარ ხელისუფლებად აღქმა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის სადაც მართვა ტრადიცულად იყო ცენტრალიზებული და თანამონაწილეობითი აქტივობები ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

მოსახლეობის ჩართულობის ზრდა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ინტერაქცია აუმჯობესებს თვითმმართველობების საქმიანობას. იმისათვის რომ გაზარდონ ჩართულობა თვითმმართველობის თანამშრომლებს მოუწევთ აიმაღლონ კომუნიკაციის უნარები, უფრო მეტად უსმინონ მოსახლეობას, მიაწოდონ მათ უფრო მეტი ინფორმაცია, მეტად მოექცნენ მოქალაქეთა გავლენის ქვეშ და შეხედონ ადგილობრივ მაცხოვრებლებს როგორც მუნიციპალური სერვისების მომხმარებლებს. ეს ხელს შეუწყობს უკეთესი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც არის უფრო ენერგიული, მონდომებული და ანგარიშვალდებული.

მოსახლეობის ჩართულობა იწვევს ადგილობრივი პრობლემების უკეთ ანალიზს და მათი აღმოფხვრის გზების უკეთ დაგეგმვას. ადგილობივი მოსახლეობას აქვს უფრო ზუსტი ინფორმაცია არსებული პრობლემების შესახებ და შესაბამისად მათთან დიალოგის საფუძველზე უკეთ შეიძლება პრობლემების გადაწყვეტის გზების დასახვა რათა მაქსიმალურად იქნეს დაკმაყოფილებული მათი მოლოდინები.

მოსახლეობის ჩართულობა იწვევს თანასაკუთრების განცდას რაც იმის გარანტია რომ დაგეგმილი ღონისძიებები წარმატებით განხორციელდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იგეგმება. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ზრდის მონიტორინგის სისტემის ეფექტურობას რაც იმის გარანტიაა პროექტი უფრო წარმატებული იქნება ასევე შესაძლებელია ადგილობრივი მუშახელის უსასყიდლოდ გამოყენება.

მოსახლეობის ჩართულობა ზრდის მოქალაქეთა საზოგადოებრივ ცნობიერებას. გრძელვადიან პერიოდში მოქალაქეთა ცნობიერება იზრდება თუ რაოდენ კომპლექსურია საჯარო სექტორი და რომ მათ უწევთ პოლიტიკის და სერვისის მიწოდების/გაუმჯობესების ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთება. შესაბამისად, გაზრდილი ცნობიერება და პასუხისმგებლობა იმის საწინდარია რომ მოქალაქეები უკეთ გააცნობიერებენ გამოწვევებს და დააფასებენ საჯარო გადაწყვეტილებებს და არა უბრალოდ გააკრიტიკებენ და გაკიცხავენ ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებებს.

იმისათვის რომ თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტირების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა გაიზარდოს თვითმმართველობებმა მთელი რიგი ღონისძიებები უნდა გაატარონ. ქვემოთ მოყვანილია პოლიტიკის ღონისძიებების შემოთავაზებანი:

ღონისძიება 1. გავხადოთ ბიუჯეტი უფრო მეტად გასაგები მოსახლეობისათვის

დღეისათვის, თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების უმრავლესობა მოიცავს მხოლოდ ციფრობრივი ხასიათის ინფორმაციას. მოქალაქეს და სახელმწიფო ფინანსების არმცოდნე პირს ძალიან გაუჭირდება გაარკვიოს რას ნიშნავს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები, რა ტიპის ხარჯებს მოიაზრებს კონკრეტული მუხლი და რისთვის იხარჯება გამოყოფილი სახსრები:

დიაგრამა 3.3

ამონარიდი ქ. რუსთავის ბიუჯეტიდან

დასახელება	2009 ფაქტი	2010 ფაქტი	2011 გეგმა	2012 გეგმა	2013 გეგმა	2014 გეგმა
რუსთავი	**21,918.8**	**27,540.7**	**38,540.6**	**25,608.4**	**26,450.4**	**27,246.4**
მომუშავეთა რაოდენობა	310	356	386	356	356	356
ხარჯები	15,120.9	18,721.4	27,314.8	23,530.6	24,227.3	25,033.7
ხელფასები	1,977.9	2,619.7	3,079	3,206.3	3,353	3,499
საქონელი და მომსახურება	5,311.6	6,843.8	7,581.5	6,949.3	7,360.2	7,775
პროცენტი	225.3	279.4	942	356	305	345
სუბსიდიები	1,134.4	3,002.3	4,622.2	4,074.2	4,219.4	4,373.2
გრანტები	16.8	0	6,200	6,200	6,200	6,200
სოციალური უზრუნველყოფა	3,548.3	2,971.7	2,422.8	2,343.8	2,388.6	2,440.4
სხვა ხარჯები	2,906.6	3,004.5	2,467.3	401	401.1	401.2
არა–ფინანსური აქტივების ზრდა	6,441.5	8,436.5	10,702.6	1,694.8	1,788.1	1,764.7
ვალდებულებების შემცირება	356.4	382.8	523.2	383	435	448
თვითმმართველი ერთეულები	**3,929.7**	**4,698.7**	**12,464.1**	**11,612.1**	**11,827.1**	**12,090.6**
მომუშავეთა რაოდენობა	221	265	295	265	265	265

დასახელება	2009 ფაქტი	2010 ფაქტი	2011 გეგმა	2012 გეგმა	2013 გეგმა	2014 გეგმა
ხარჯები	3,323	4,190.7	11,832.7	11,219.1	11,381.6	11,631.6
ხელფასები	1,384.7	1,924	2,365.7	2,463.3	2,573	2,681
საქონელი და მომ-სახურება	1,608.2	1,908.8	2,285.5	2,194.8	2,298.3	2,400
პროცენტი	225.3	279.4	942	356	305	345
სუბსიდიები	35.9	0	0	0	0	0
გრანტები	16.8	0	6,200	6,200	6,200	6,200
სოციალური უზრულველყოფა	38	71.7	26.5	4	4.2	4.4
სხვა ხარჯები	14	6.8	13	1	1.1	1.2
არა–ფინანსური აქტივების ზრდა	250.3	125.2	108.1	10	10.5	11
ვალდებულებების შემცირება	356.4	382.8	523.2	383	435	448
რუსთავის საკრებულო	**517.8**	**1,113.2**	**2,496.2**	**2,337.8**	**2,430.8**	**2,521.6**
მომუშავეთა რაოდენობა	37	57	86	57	57	57
ხარჯები	508.9	1,073.1	2,388.1	2,327.8	2,420.3	2,510.6
ხელფასები	250.5	364.9	474.9	475	480	485
საქონელი და მომსახურება	258.3	703	1,894.1	1,847.8	1,935	2,020
სოციალური უზრულველყოფა		5.2	6	4	4.2	4.4
სხვა ხარჯები			13	1	1.1	1.2
არა–ფინანსური აქტივების ზრდა	9	40.2	108.1	10	10.5	11
რუსთავის მერია	**2,748**	**2,893.6**	**2,112.4**	**2,199.3**	**2,314.3**	**2,427**
მომუშავეთა რაოდენობა	184	208	209	208	208	208
ხარჯები	2,506.7	2,808.5	2,112.4	2,199.3	2,314.3	2,427
ხელფასები	1,134.2	1,559.2	1,890.8	1,988.3	2,093	2,196
საქონელი და მომსახურება	1,320.5	1,176.1	201.1	211	221.3	231
სოციალური უზრულველყოფა	38	66.5	20.5	0	0	0
სხვა ხარჯები	14	6.8	0	0	0	0
არა–ფინანსური აქტივების ზრდა	241.3	85.1	0	0	0	0
სარეზერვო ფონდი	**0**	**0**	**160**	**105**	**110**	**115**
ხარჯები	0	0	160	105	110	115
საქონელი და მომსახურება	0	0	160	105	110	115
საქართველოს ეროვნული არქივის ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება	**39**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**

შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ როგორ გავხადოთ ბიუჯეტი მოსახლეობისათვის წაკითხვადი. ამ მიზნით სახელმწიფომ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგა. 2009 წლის ოქტომბერში მიღებული საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, 2012 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო 2013 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტებიც მომზადდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში.

პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული, ორგანიზაციულ-მუხლობრივი ბიუჯეტთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. სწორად შედგენილ პროგრამულ ბიუჯეტში ნათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის, რაც ერთის მხრივ სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად გამოყენების წინაპირობაა. ასევე, პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა მოსახლეობამ ბიუჯეტი დაინახოს მის გასატარებელი ძირითადი პროგრამების და მათი შედეგების თვალსაზრისით და არა მხოლოდ ორგანიზაციულ ჭრილში.

პროგრამული ბიუჯეტის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. შესაბამისად უნდა დაიგეგმოს ჯერ შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი, შემდეგ ითვლება შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები და ბიუჯეტის დაგეგმვისას შესაბამისობაში მოდის ერთმანეთთან პროგრამის დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო და არსებული რესურსები.

თვითმმართველობებმა, განსაზღვრული კომპეტენციებისა და მოსახლეობისათვის მისაწოდებელი სერვისების ფარგლებში უნდა ჩამოაყალიბონ პროგრამები, რომელიც საფუძვლად დაედება პროგრამულ ბიუჯეტს.

პროგრამა უნდა წარმოადგენს თვითმმართველობის კომპეტენციით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

თვითმმართველობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში პროგრამები უნდა იყოს გრძელვადიანი და მუდმივი, თუმცა შესაძლებელია სპეციფიკიდან გამომდინარე არსებობდეს პროგრამები, რომლებიც განხორციელდება კონკრეტული წლის განმავლობაში. მაგალითისათვის, თვითმმართველობის პროგრამებს უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი გზების მოვლა-შენახვის, დასუფთავების, ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალ-კულტურული, სკოლამდელი აღზრდის და ა.შ.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას თვითმმართველობებმა, მოსახლეობის აქტიური ჩართულობით უნდა მოახდინონ თითოეული პროგრამის აღწერა და მიზანის ჩამოყალიბება. ასევე ანუ უნდა გაიწეროს რა ღონისძიებებია დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში და რას უნდა მივაღწიოთ პროგრამის განხორციელებით.

პროგრამა რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან საერთო საბოლოო შედეგების მიღებას, პრიორიტეტის მიზანს. პროგრამას უნდა ქონდეს მისი მიზანი და ბიუჯეტი.

პროგრამების გამოვლენისას მხარჯავმა თვითმმართველობებმა უნდა გაითვალისწინოს, შემდეგი ფაქტორები:

- პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტს (დელეგირებული უფლებამოსილების ან სპეციალური ტრანსფერით განსახორციელებლი ღონისძიებების შემთხვევაში);
- პროგრამის განმახორციელებელი და საბოლოო შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი სამსახური. ეს გააიოლებს პროგრამების მართვას და აამაღლებს მათი მართვის ხარისხს;
- პროგრამა უნდა იყოს პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი კატეგორია, რომელსაც ექნება ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ფინანსური გეგმა.

პროგრამები თავისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა დაჯგუფდეს:

- მართვის და რეგულირების

პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში სხვადსხვა საკითხების რეგულირებასთან. ამ ტიპის პროგრამაში უნდა გაერთიანდეს თვითმმართველობის საკრებულოსა და გამგეობის (მერიის) ფუნქციონირების ხარჯები. ეს ასევე საშუალებას მისცემს მოსახლეობას დაინახოს თუ რამდენად "ძვირი" უჯდება საკუთარი ადმინისტრაცია.

- მომსახურების მიწოდების

ამ ტიპის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ გრძლევადიან შედეგებზე ან/და ემსახურება მუდმივ მიზანს. ასეთ პროგრამებში ერთიანდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებას უწევს მოსახლეობას. პროგრამის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

- სუბსიდირების

მსგავსი ტიპის პროგრამების ქვეპროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავენ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას, თვითმმართველობის მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე გამოისახება რაოდენობრივ ინდიკატორებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე შეფასდება სათანადო ინდიკატორებით;

- ინფრასტრუქტურული

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ ინდიკატორებში.

პროგრამა ხანგრძლივობის მიხედვით უნდა დაიყოს:

- მრავალწლიანი

როდესაც ემსახურება რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას, ახალი პოლიტიკის შემუშავებას, ახალი სისტემის ან მომსახურების დანერგვას და ა.შ. პროგრამების უმეტესობა მრავალწლიანი უნდა იყოს, ვინაიდან ის ემსახურება გლობალური საბოლოო შედეგის მიღწევას.

- ერთწლიანი (მოკლევადიანი)

იშვიათ სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევა შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში პროგრამა შესაძლოა მოკლევადიანიც იყოს. მოკლევადიანი პროგრამა შესაძლებელია იყოს იმ შემთხვევაში, თუ შედეგი რომელიც პროგრამის დასრულების შედეგად მიიღწევა საბოლოოა და იგი თავის მხრივ არ წამოდგენს სხვა პროცესის შემადგენელ ნაწილს;

2 მოვახდინოთ საბიუჯეტო ხარჯების თვითმართველი ერთეულის დასახლებებს შორის უფრო სამართლიანად და პროგნოზირებულად განაწილება

2006 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად თვითმმართველობა გაუქმდა სოფლის/თემის და დაბის დონეზე, ქალაქის და გამსხვილდა რაიონის დონეზე. ამასთან, დასახლებებს (სოფელი, თემი, დაბა ქალაქი) თვითმმართველობის სტატუსის გაუქმებასთან ერთად ჩამოერთვათ ყოველგვარი ადმინისტრაციული და ფინანსური უფლებამოსილებაც.

დედაქალაქში გარკვეული სახის ადმინისტრაციული უფლებამოსილება გააჩნია კორპუსის ამხანაგობებს მრავალბინიან სახლებში, რომელსაც არეგულირებს სპეციალური კანონი 2007 წლიდან. რაც შეეხება მუნიციპალიტეტებს, სადაც რამდენიმე ათას მაცხოვრებლიანი დასახლებებიც გვხვდება, მათ არანაირი სტატუსი და უფლებამოსილება არ აქვთ. ანალოგიურ ფორმატში არის წარმოდგენილი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიც. ფინანსური სახსრები გაწერილია არა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (დასახლებები) მიხედვით არამედ ჯამურად. ასეთ პირობებში, პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის შემთხვევაშიც კი რთულია ვიმსჯელოდ სარგებელზე რომელსაც შეიძლება ესა თუ ის დასახლება იღებდეს. შესაბამისად, მოსახლეობის ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესში, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება სახსრების გაწერა დასახლებების მიხედვით ბუნდოვანი და შინაარს მოკლებული იქნება.

პოლიტიკის ეს შემოთავაზება არ გულისხმობს იმას რომ მოხდეს მთელი ფინანსური რესურსების დასახლებების მიხედვით გაწერა. ის სერვისები, რომელიც მიეწოდება უნივერსალურად ყველა დასახლების მოსახლეობას, უნდა დარჩეს ცენტრალიზებულად. ამასთან სერვისები, რომელიც განკუთვნილია კონკრეტული დასახლებისთვის (მაგ გზის რეაბილიტაცია, კულტურის სახლის მოწყობა და ა.შ), უნდა გაიწეროს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის განაწილება დასახლებების მიხედვით ექვემდებარებოდეს სამართლიანობის და პროგნოზირებადობის პრინციპებს.

რაც შეეხება სამართლიანობის პრონციპს ეს გულისხმობს თვითმმართველი ერთეულის დასახლებებს შორის სახსრების განაწილებას ობიექტური და თვლადი კრიტერიუმების მიხედვით. ასეთ კრიტერიუმად შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსახლეობის რიცხოვნობა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრთან დაშორება, სიღარიბის მაჩვენებლები, სკოლამდელ აღსაზრდელთა რაოდენობა, პენსიონერთა რაოდენობა და ა.შ. ეს მაჩვენებლები გამოიყენება თვითმმართველობებისთვის გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულის გამოთვლაში. ამასთან ისეთი ტიპის დასახლებებს როგორიცაა დაბა და ქალაქი, რომელთაც სოფლისგან განსხვავებით სხვა ტიპის საჭიროებები გააჩნიათ შეიძლება განესაზღვროთ განსხვავებული სტატუსის კოეფიციენტი რაც საშუალებას მოგვცემს მცირედით მეტი ფინანსური რესურსები მიიმართოს ამ დასახლებებში.

იმის ცოდნა, თუ რა სახსრები იქნება გამოყოფილი თითოეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისთვის მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისთვის და მისი რწმუნებულისთვის რომელიც ტერიტორიის სამართავად არის დანიშნული გამგებლის/მერის მიერ. სახსრების მიკუთვნებასთან ერთად, დასახლების მოსახლეობას ასევე უნდა მიეცეს შესაძლებლობა თავად განკარგოს მათთვის გამოყოფილი სახსრები. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობა თავად უნდა წყვეტდეს თუ რაში დაიხარჯოს თვითმმართველი ერთეულიდან მათთვის გამოყოფილი სახსრები.

რაც შეეხება პროგნოზირებადობის პრინციპს, ეს ნიშნავს იმის ცოდნას, თუ თითოეულ დასახლებას რა მოცულობის ფინანსური სახსრები ექნება გამოყოფილი მომდევნო 4 წლის განმავლობაში. საბიუჯეტო კანონმდებლობა მოითხოვს რომ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო პროგნოზები შედგეს მომდევნო 4 წელიწადზე. ანალოგიური პრონციპი უნდა გავრცელდეს თვითმმართველი ერთეულის შიგნითაც. ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა იცოდეს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში რა სახსრებია მათზე გათვალისწინებული რაც მათ დაეხმარება იმის განსაზღვრაში თუ რა სახის პროექტების დაფინანსებაზე შეაჩერონ არჩევანი და არ შემოიფარგლონ მხოლოდ ერთჯერადი ხასიათის აქტივობებით.

დასახლების ფინანსური რესურსების მართვისათვის, თითოეულ დასახლებას თვითმმართველი ერთეულის დონეზე უნდა გამოეყოს ქვეანგარიში, სადაც მოხდება მათი კუთვნილი სახსრების დარეზერვება. დასახლების კუთვნილი ფინანსური რესურსების ხარჯვა უნდა განახორციელოს გამგეობამ/მერიამ რწმუნებულის მიამრთვის საფუძველზე.

დასახლების ქვეანგარიშზე უნდა მოხდეს ასევე სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრების აკუმულირება და მისი ხარჯვა ასევე მთლიანად დასახლების მოსახლეობის კომპეტენციას უნდა წარმოადგენდეს.

ამ ღონისძიებების გატარება იმის საშუალებას იძლევა, რომ თითოეული დასახლების ანგარიშზე აკუმულირდეს 5-დან 50 ათასამდე ლარი (დასახლების ზომის მიხედვით) რაც სერიოზულ სტიმულს მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას ჩაერთოს საკუთარი თვითმმართველი ერთეული საბიუჯეტო პროცესში.

3 გავხადოთ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის და საბიუჯეტო პროცესის შესახებ ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი

ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ბიუჯეტის და საბიუჯეტო პროცესის შესახებ ინფორმაცია უნდა გახადონ უფრო ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის.

ამ მიზნით, პირველ რიგში მნიშვნელოვანია თვითმმართველმა ერთეულებმა დაბეჭდონ წლიური კალენდარი რომელიც უფასოდ დაურიგდება ადგილობრივ მოსახლეობას. კალენდარზე სამუშაო და დასვენების დღეებთან ერთად სპეციალური ფერით უნდა იჭნას აღნიშნული ის დღეები რომელიც მნიშვნელოვანია ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესისთვის. ეს მოსახლეობას საშუალებას მისცემს მათთვის სასურველი ინფორმაციის მისაღებად მიაკითხონ თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს, ასევე დაესწრონ საბიუჯეტო განხილვებს და ანგარიშებს.

დიაგრამა 3.4

მნიშვნელოვანია საბიუჯეტო კალენდარზე დატანილ იქნას შემდეგი დღეები:

თარიღი	მნიშვნელობა
1 მარტამდე	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს და წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს
1 მარტიდან	ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის აღმასრულებელი ორგანო იწყებს მუშაობას პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით
1 მაისამდე	ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ამზადებს და წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების 1 კვარტლის მიმოხილვის დოკუმენტს
1 მაისამდე	ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ
15 ივლისამდე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს
1 აგვისტომდე	ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ამზადებს და წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვის დოკუმენტს
არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს უგზავნის ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მათთვის გათვალისწინებული ფინანსური დახმარებებისა და საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობის შესახებ
1 ნოემბრამდე	ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ამზადებს და წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვის დოკუმენტს

თარიღი	მნიშვნელობა
არაუგვიანეს 5 ნოემბრისა	ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს უგზავნის ინფორმაციას მათთვის რესპუბლიკურ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული ფინანსური დახმარების შესახებ
არაუგვიანეს 15 ნოემბრისა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების აღმასრულებელი ორგანოები (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენენ წარმომადგენლობით ორგანოებს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
არაუგვიანეს 15 ნოემბრისა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების აღმასრულებელი ორგანოები წარმომადგენლობით ორგანოებს წარუდგენენ ბიუჯეტის პროექტებს
არაუგვიანეს 25 ნოემბრისა	ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე ბიუჯეტის პროექტს, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში შენიშვნებით უბრუნებს გამგებელს (მერს)
არაუგვიანეს 10 დეკემბრისა	თვითმმართველი ერთეულის გამგებელი (მერი) ბიუჯეტის პროექტის პირველად ან შესწორებულ ვარიანტს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
არაუგვიანეს 31 დეკემბრისა	ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
ადგილობრივი ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 15 დღისა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ
ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 20 დღისა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა) დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში	ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოს შორის ფორმდება დელეგირების ხელშეკრულებები
ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საფინანსო ორგანოები ამზადებენ ბიუჯეტის ანგარიშგებას შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით

საბიუჯეტო პროცესის და ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის საშუალებად გამოყენებულ უნდა იქნას ადგილობრივი/რეგიონული ტელევიზიები. ადგილობრივი ტელევიზიის საშუალებით არამხოლოდ უნდა გადაიცემოდეს საკრებულოს სხდომები სადაც განიხილება ბიუჯეტი, რომელიც მსმენელს პასიურ პოზიციაში ამყოფებს და ნაკლებ ინტერესს აჩენს, არამედ ასევე უნდა მომზადდეს თემატური დისკუსიები ბიუჯეტის გარშემო. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები, მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და ექსპერტების მონაწილეობით უნდა აწყობდნენ სატელევიზიო დისკუსიებს ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემატიკაზე და მათი გადაწყვეტისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიებაზე.

მნიშვნელოვანია რომ სატელევიზიო დისკუსიები მიმდინარეობდეს საბიუჯეტო პროცესის კალენდრის შესაბამისად და ყურადღება ეთმობოდეს არა მხოლოდ იმ საკითხების გაშუქებას, რომელიც ეხება მომავალი წლების ბიუჯეტს, არამედ მიმდინარე და გასული წლის ბიუეჯეტსაც, მათი შედეგების შეფასებასაც.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას ჰქონდეს საშუალება გამოაგზავნოს კითხვები სატელეფონო შეტყობინების საშუალებით, ან ჰქონდეს საშუალება დაეს-წროს სატელევიზიო დისკუსიებს და დასვას კითხვები მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე.

საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის ერთ-ერთი საშუალებაა საგაზეთო სტატიები. თითქმის ყველა ადგილო-ბრივ თვითმმართველ ერთეულში გამოდის ადგილობრივი გაზეთი რომელსაც ხშირ შემთხვევაში ნაწილობრივ ან მთლიანად ადგილობრივი ხელისუფლება აფინანსებს. მოსახლეობისთვის საბიუჯეტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია მომზადდეს საგაზეთო სტატიები და ინტერვიუები ადილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენელთა მონაწილეობით რომელიც შეეხებიან ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს. ინტერვიუსთან ერთად შესაძლებელია სტატიებში ჩანართის სახით მოყვანილ იქნას ინფორ-მაცია მიმდინარე და გასული წლების საბიუჯეტო მონაცემების შესახებ, ასევე მუნიციპალური პროგრამების, მათ შორის წარმატებული პროგრამების შესახებ. ასევე ისეთი სახის სასარგებლო ინფორმაცია, როგორიცაა თვითმმართველი ერთეულის შემოსავლები, მათი ბაზა, ყველაზე წარმატებული და მნიშვნელოვანი გადამხდელები, დამსაქმებლები, სხვადასხვა ეკონომიკურად და ფინანსურად მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ა.შ.

საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია თვითმმართველობებმა მოამზადონ ყოველწლიუ-რი საბიუჯეტო გზამკვლევი-ბროშურა. ეს უნდა იყოს ბროშურა, სადაც მოცემული იქნება პოპულარულ ენაზე ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო პროცესის შესახებ. გარდა ამისა, ბროშურა უნდა მოიცავდეს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს, ასევე პროგრამებს რომლებიც ხორციელდება უნივერსალურად და იმ პროგრამებს, რომელთა განხორციელება დაგეგმილია თითეოულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ბროშურა-გზამკვლევში მოცემული ინდა იყოს თითოეული განსახორციელე-ბლი პროგრამის მიზანი, მოსალოდნელი შედეგები, ფინანსური გაანგარიშება, განხორციელების ეტაპები და ვადები. გარდა ამ მონაცემებისა, მითითებულ ინდა იქნას იმ სამსახურის საკონტაქტო მონაცემებიც, რომელიც თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან პასუხისმგებელია პროგრამის მიმდინარეობაზე, მის წარმატებით განხორციელებაზე მონიტორინგსა და შე-ფასებაზე.

ბროშურა-გზამკვლევი უფასოდ უნდა დარიგდეს თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ-ტერიოტირულ ერთეულებში (დასახლებებში) რაც მოსახლეო-ბას საშუალებას მისცემს მიიღოს ინფორმაცია განსახორციელებელი პროექტების შესახებ, ასევე სურვილის შემთხვევაში უშუალოდ დაუკავშირდნენ პროგრამების/ პროექტების განმახორციელებელ უწყებებს და მიაწოდონ თავიანთი მოსაზრე-ბები, კმაყოფილება თუ უკმაყოფილება მიმდინარეობის კვალობაზე.

საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია თვითმმართველმა ერთეულებმა გამოიყენონ ინტერნეტ-რესურსები. მიმდინარე საბიუჯეტო გეგმების, შესრულების ანგარიშების, საკრებულოს საბიუჯეტო დადგენილებების შესახებ მონაცემები, ისევო როგორც სხვადასხვა სასარგებლო ფინანსური ინფორმაცია განთავსებულ უნდა იქნას თვითმმართველი ერთეულის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე და უნდა ხდებოდეს ვებ-გვერდის რეგულარული განახლება. იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ინტერნეტი არ არის გავრცელებული ინფორმაცია შესაძლებელია განთავსდეს მხარის რწმუნებულის-გუბერნატორის ვებ-გვერდზე.

მნიშვნელოვანია ასევე რომ საბიუჯეტო ინფორმაცია არა უბრალოდ განთავსდეს ინტერნეტში რასაც ისედაც აკეთებს თვითმმართველი ქალაქების უმრავლესობა, არამედ ინფორმაცია განთავსებულ იქნას უფრო ინტერაქტიულ რეჟიმში. კერძოდ ინტერნეტ-რესურსების მომხმარებელს უნდა შეეძლოს ინფორმაციის მოძიება მუნიციპალური პროგრამების, მათი მიზნების, მოსალოდნელი შედეგების, განხორციელების ვადების შესახებ, ასევე ჰქონდეს საშუალება თვითმმართველობას გაუგზავნოს კითხვები, შენიშვნები და მოსაზრებები ამ პროგრამების შესახებ.

4 მოსახლეობის თანამონაწილეობის ზრდა საბიუჯეტო პროცესში

მოსახლეობის თანამონაწილეობის ზრდისთვის აუცილებელია თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების რეგულარული შეხვედრები მათთან, ოღონდ ეს არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს.

მოსახლეობასთან შეხვედრები უნდა დაიწყოს პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის მომენტიდან, როდესაც თვითმმართველი ერთეულები აყალიბებენ საკუთარ პრიორიტეტებს და წარუდგენენ ფინანსთა სამინისტროს და მხარის რწმუნებულს-გუბერნატორს. მნიშვნელოვანია თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელმა უშალოდ მიიღოს მონაწილეობა ყველა სოფლის/თემის/დაბის კრებაზე (სულ 20-30 შეხვედრა) და მოსახლეობასთან უშუალო ინტერაქციის განსაზღვროს მათთვის ყველაზე პრიორიტეტული საკითხები, რისი გადაწყვეტაც მოსახლეობას გადაუდებლად მიაჩნია.

ანალოგიურ შეხვედრებს უნდა ჰქონდეს ადგილი ბიუჯეტის პროექტის შედგენის დროსაც. ის მუნიციპალური სერვისები, რომელიც ცენტრალიზებულად მიეწოდება ადგილობრივ მოსახლეობას მნიშვნელოვანია იყოს ყველა თემის/სოფლის/დაბის მოსახლის თანხმობის საგანი.

რაც შეეხება დასახლებებისათვის უშუალოდ გამოყოფილ სახსრებს, რომლის შესახებაც დეტალურად ვისაუბრე #2 პოლიტიკის შემოთავაზებაში, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლება ფასილიტაციას უწევდეს ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარი სახსრების ეფექტიანად მართვის საქმეში. დასახლებებისათვის გამოყოფილი სახსრების გონივრულად გამოყენებისათვის ადგილობრივ რწმუნებულთან ერთად თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენელი უნდა წარმართავდეს დიალოგს ადგილობრივ მოსახლეობაში (სოფლის/თემის/დაბის საერთო კრების ფორმატში), უხსნიდეს მათ თუ როგორ გამოკვეთონ პრიორიტეტები და პრობლემები, შეარჩიონ მათი გადაწყვეტის გზები, ასევე სახსრების უფრო ეფექ-

ტიანად ხარჯვისთვის თვითონაც ჩაერთონ ადგილობრივი პროექტების განხორციელებაში (მაგ. ადგილობრივი მუშა-ხელი).

მოსახლეობასთან შეხვედრების გარდა, მნიშვნელოვანია მოეწყოს საჯარო მოსმენები როგორც ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში წარდგენის, ასევე ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშების ასევე საბოლოო ანგარიშის განხილვისას. ღია მოსმენა გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერ მოქალაქეს მიეცეს შესაძლებლობა მივიდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, გაეცნოს საბიუჯეტო დოკუმენტებს და დაუსვას პირდაპირი შეკითხვები აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს. შეკითხვები შეიძლება მოიცავდეს კონკრეტული პროექტის/პროგრამის მიმდინარეობას, ასევე იმ პრობლემატიკას რომელსაც მოსახლეობა აწყდება და მოისმინოს თვითმმართველი ერთეულის ხედვა მათი გადაწყვეტის მიმართულებით.

ადგილობრივი ხელისუფლება მზად უნდა იყოს მოისმინოს დამსახურებული თუ დაუმსახურებელი კრიტიკა და შეეცადოს მოსახლეობას აუხსნას საკუთარი საბიუჯეტო გადაწყვეტილებების შესახებ სათანადო დასაბუთებით და არგუმენტაციით.

საბიუჯეტო პროცესებში თანამონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მოსახლეობისგან ინფორმაციის მიღება გაწეული სერვისების ეფექტიანობის შესახებ. მოსახლეობის კმაყოფილება, მათი გამოხმაურება არის ყველაზე უტყუარი ინდიკატორი იმისა თუ რამდენად ეფექტიანია ადგილობრივი ხელისუფლება. შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას, მოსალოდნელი შედეგების ინდიკატორების ჩამოყალიბების დროს ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად სწორედ მოსახლეობის კმაყოფილება უნდა იქნას განსაზღვრული თვითმმართველობების მიერ.

გარდა ამისა, მუნიციპალური პროგრამების/პროექტების განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩამოყალიბდეს მოსახლეობასთან უკაკავშირის მექანიზმი. უკუკავშირის მექანიზმი შეიძლება მოიცავდეს მუნიციპალურ "ცხელ ხაზს" სადაც მოქალაქეს შეიძლება დარეკვა და საკუთარი მოსაზრების გამოთქმა, ასევე სხვა ფორმებს. მუნიციპალური სერვისების მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში აუცილებელია აისახოს რომ მოსახლეობა სათანადოდ იქნას გამოკითხული და მათი აზრი დასაბუთებულად გათვალისწინებული როგორც პროექტების დაგეგმვის, ასევე განხორციელების და მონიტორინგის დროს. ეს განსაკუთრებით ეხება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, როგორიცაა წყალმომარაგების სისტემები, დასუფტავება, ნარჩენების გატანა, სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული თუ სოციალური ღონისძიებების მოწყობა და ა.შ.

ასევე შესაძლებელია ყველა დასახლებაში დაიდგას საფოსტო ყუთი, სადაც მოსახლეობა თავის მოსაზრებებს გამოთქვამს ანონიმურად, საფოსტო გზავნილის საშუალებით. ეს თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელობას, ისევე როგორც სხვადასხვა სამსახურებს შეუქმნის დამატებით წარმოდგენას მიწოდებული სერვისების ეფექტიანობის თაობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი

საქართველოს ორგანული კანონი თვითმმართველობის შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდი: www.mof.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი: www.geostat.ge

რუსთავის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი: www.rustavi.ge

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 672 2010 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი "საქართველოს საბიუ-ჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე"

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 241 2009 წლის 15 აპრილი ქ. თბილისი "აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რე-სპუბლიკური და ადგილობრივი თვითმ-მართველი ერთეულის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყო-ფის შესახებ"

აქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 904 2009 წელი 30 დეკემ-ბერი ქ. თბილისი „გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუ-ქციის დამტკიცების თაობაზე"

საქართველოს მთავრობის დადგენილე-ბა "პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის გეგმის დამტკიცების თაობაზე"

2009, 2010, 2011, 2012 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონები

ქ. რუსთავის 2011-2014 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

ქ. რუსთავის 2011 წლის ბიუჯეტი

ქ. რუსთავის ადგილობრივი თვითმ-მართველობის 2009 წლის 12 თვის ბიუჯეტის ანალიზი

ყველა უფლება დაცულია (CC) – Creative Commons Attribute-NonCommercial-ShareAlike 3.0 Netherlands Licence. ამ ბუბლიკაციის გავრცელება და მუშაობაში გამოყენება შეიძლება მხოლოდ არაკომერციული მიზნებისთვის და წყაროს სათანადო მითითებით.

გამოცემულია ნიმდ საქართველოს მიერ, თბილისი, საქართველი © მარტი 2012
ISBN/EAN: 978-90-79089-15-4

ავტორები
მედეა ბადაშვილი
თამარ ბაგრატია
დავით ჯიჯელავა
ირაკლი ხმალაძე

სარედაქციო საბჭო
მარიეკ ჰორნვეგი
ირაკლი ქობალია
კატი პირი
დავიდ პრატერი
ლევან ცუცქირიძე

ფოტოგრაფია
გარეკანი: ხედი მტკვარზე, მეტეხის ტაძარი და ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისი, საქართველო - ფოტო: ჯოის ვან ბელკომი/ჰოლანდსე ჰოოგტე
გვერდი 6: ქალბატონი სამსახურში - ფოტო: ადრიან ვაინბრეხტი/ჰოლანდსე ჰოოგტე
გვერდი 42: ახალგაზრდა ამბიციური ადამიანები სამსახურში - ფოტო: პატრიკ პოსტი/ჰოლანდსე ჰოოგტე
გვერდი 70: დოკუმენტები კაბინეტში - ფოტო: არტფორმ კანადა - Flickr

დიზაინი
სტეფან ჩიშკოშ, ჰააგა, ნიდერლანდები

ბეჭდვა
სეზანი, თბილისი, საქართველო

პუბლიკაციის ელექტრონული ფაილის ჩამოსატვირთად ან სხვა პუბლიკაციებისთვის, ეწვიეთ:
www.nimd.org ან www.nimd.ge

პუბლიკაცია შეიცავს პოლიტიკის სამ დოკუმენტს, რომლებიც ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის დაკვეთით მომზადდა. პოლიტიკის დოკუმენტები ეყრდნობა კვლევას, რომელიც შესაბამისი სფეროს პროფესიონალების მიერ განხორციელდა და ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის წინაშე არსებულ სამ მნიშვნელოვან გამოწვევას შეეხება. პროგრესი ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის, ახალგაზრდების პოლიტიკურ პარტიებში აქტივობის და მოქალაქეთა ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობის მიმართულებით ხანგრძლივ ძალისხმევას საჭიროებს. აღნიშნული პუბლიკაცია მიზნად ისახავს არსებული ვითარების წარმოჩენას და იმ გარემოებების ანალიზს რომელთაც იგი განაპირობეს. დასასრულს, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით და სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ყოველი დოკუმენტი მოიცავს პრაქტიკულ რჩევებს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. პუბლიკაცია განკუთვნილია როგორც პოლიტიკოსების და მკვლევარების, ისე ფართო აუდიტორიისთვის.

ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა საქართველოში 1990-იანი წლების შემდეგ

ქეთევან ჩხეიძე

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში, კონკრეტულად კი, საქართველოს ეროვნულ საპარლამენტო ორგანოში, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გარდამავალ და დემოკრატიული მშენებლობის პერიოდში, კერძოდ, 1990-იანი წლებიდან 2012 წლამდე. სტატია გამოავლენს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ სირთულეებს, აანალიზებს იმ ფაქტორებს, რაც აყალიბებს ქალთა დაბალ პოლიტიკურ წარმომადგენლობას. ეს გულისხმობს, როგორც პოლიტიკური ისევე სხვა (სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული) ფაქტორების მიმოხილვას და ანალიზს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული განვითარების კვალდაკვალ ქალთა დაბალი წარმომადგენლობის ახსნა უნდა ვეძიოთ პოლიტიკურ პარტიებში და, ზოგადად, ფორმალური/პარტიული პოლიტიკის მახასიათებლებში. დამატებითი სპეციალური ზომების გარეშე, საქართველოს ათეულობით წლები დასჭირდება ქალთა მონაწილეობის მნიშვნელოვანი გაზრდისთვის.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სისტემა, დემოკრატია, კვოტები.

შესავალი

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პოსტსაბჭოთა საქართველოში, რამდენადაც ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი ფორმალურ პოლიტიკაში. უფრო კონკრეტულად, ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში ქალთა მონაწილეობა, მოყოლებული 1990-იანი წლებიდან 2012 წლამდე, მერყეობდა 6-12% ის ფარგლებში. ეს გასაკვირია, რამდენადაც ქალები განათლებული არიან საქართველოში, აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სამოქალაქო აქტივიზმში და მნიშვნელოვნად არიან წარმოდგენილი არასამთავრობო სექტორში. თუმცა, მსგავსი ტენდენცია რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური გარდაქმნის პერიოდში, ქალები აღმოჩნდნენ ფორმალური პოლიტიკის მიღმა, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის გაცხადებული მიზანი იყო დემოკრატიისკენ სვლა, ქალებმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მარგინალური ადგილი დაიკავეს ფორმალურ პოლიტიკაში და მათი წარმომადგენლობა ეროვნულ თუ რეგიონალურ დონეზე შემცირდა 5-10%-მდე (ჰაინენი 1997). უფრო მეტიც, აღმოსავლეთ ევროპის მაჩვენებელი ქალთა მონაწილეობის კუთხით ბევრად ჩამოუვარდებოდა დასავლეთ ევროპაში ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის მაჩვენებელს (მათლანდი და მონთგომერი 2003).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ეყრდნობა რა თვისობრივ მონაცემებს და მეორად წყაროებს, კვლევა თავს მოუყრის და აანალიზებს იმ ფაქტორებსა და გარემოებებს, რაც აყალიბებს და გავლენას ახდენს ქალთა მონაწილეობას ფორმალურ პოლიტიკაში.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდში

გარდამავალი პერიოდის ცვლილებებმა საქართველოს ყველა მოქალაქეზე იქონია გავლენა. ამ პერიოდში იყო სამოქალაქო ომი, კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ჩამონგრევა და გარდაქმნის პროცესი. ამ ფონზე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცვლილებები და დემოკრატიული ღირებულებების აღიარება გახანგრძლივდა. მნიშვნელოვანია ამ პროცესს სხვა კუთხიდანაც შევხედოთ, რამდენადაც გარდამავალი პერიოდი ანუ პოსტსაბჭოთა გარდაქმნის პერიოდი გენდერულად მგრძნობიარე პროცესი იყო: ის სხვადასხვანაირად აისახა ქალებისა და კაცების ცხოვრებაზე. ხშირად ეს ასპექტი არ არის ხოლმე გამოკვლეული, რადგან ამ პერიოდში ფოკუსი ხშირად ეკონომიკური და პოლიტიკური განზომილებებია; თუმცა, გენდერული ურთიერთმიმართებების შესწავლით, სწორედ პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობის შეფასება და შესწავლაა შესაძლებელი (ცლიგმანი და გალი 1998).

მართლაც, სწორედ ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნის პერიოდში, როდესაც ყალიბდებოდა ახალი პოლიტიკური რეალობა, ქალებმა მოირგეს ახალი როლები. ისინი იძულებული იყვნენ მოეძებნათ არსებობისთვის საჭირო სახსრები, აიღეს თავის თავზე ოჯახის მარჩენალის ფუნქცია, ზოგიერთი გაემგზავრა ემიგრაციაში სწორედ საარსებოს მოპოვების მიზნით. ასევე აქტიურად ჩაერთნენ სამოქალაქო სექტორში; თუმცა, ქალთა ეკონომიკურმა სტატუსმა დაიწია, რამდენადაც მათ უწევდათ დათანხმებულიყვნენ დაბალანაზღაურებად სამუშაოს, გადარჩენისთვის ხელი მოჰკიდეს მცირე ბიზნესს და თვითდასაქმებას. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ამ გზით ცდილობდნენ საარსებო წყაროს შექმნას, არაფორმალურ საქმიანობაში ჩართვა მათ მოწყვლად და დაუცველ მდგომარეობაში აყენებდა და ქალები ეკონომიკურად და პოლიტიკურად გარიყული რჩებოდნენ (იშკანიანი 2003; საბედაშვილი 2007).

გასათვალისწინებელია, რომ ქალებს ჰქონდათ კარგი განათლებისადმი ხელმისაწვდომობა და ამ კუთხით გენდერული განსხვავებები არ არსებობდა საბჭოთა დროს, თუმცა, მაინც არ არსებობდა ქალთა კრიტიკული მასა ფორმალურ პოლიტიკაში პოსტსაბჭოთა საქართველოში. არამედ, ამის საპირისპიროდ, გაიზარდა ქალთა მონაწილეობა სამოქალაქო სექტორში, ქალები აქტიურად შეუერთდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, გამოავლინეს დიდი სამოქალაქო აქტივობა სხვადასხვა გამოსვლებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობით. ქალები თვითონ იყვნენ დამფუძნებლები არასამთავრობო ორგანიზაციების, მაგრამ არ ნიშნავდა, რომ ეს აუცილებლად იყო ქალთა ან გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული საქმიანობა ან აქტივიზმი. არადა, ფემინისტური აქტივიზმი და ქალთა მოძრაობის და ჯგუფების კოორდინირება მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქალთა უფლებების საკითხისთვის, მათ შორის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაძლიერებლად.

დემოკრატიული განვითარების გზაზე ქალთა აქტივიზმი და მობილიზაცია სხვადასხვანაირად გამოიხატა, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ გზაზე ქალების ადგილი ნაკლებად აღმოჩნდა ფორმალურ პოლიტიკაში, არადა, თითქოს ქალებმა იპოვეს სიახლე, ახალი სივრცე თავიანთი საჭიროებების წარმოსაჩენად და პატრიარქალური კულტურის მიმართ წინააღმდეგობის გამოსახატავად. მაშინ როცა ქალთა მობილიზაციამ სხვადასხვა ფორმა მიიღო, ადვოკატირება არც ისე მარტივი იყო ქალებისთვის და მათი აქტივიზმი ბევრ სირთულეს უკავშირდებოდა (რეგულსკა და გრაბოვსკა 2012).

ყოველივე ამასთან ერთად, საზოგადოებაში განმტკიცებული გენდერული ნორმები არ შეცვლილა - სოციალიზმი ხომ ნიშნავდა ქალების ორმაგ და სამმაგ დატვირთვას, ანაზღაურებადი საქმის და ოჯახზე ზრუნვის/დედობის შეთავსებას და ამ უკანასკნელის მხოლოდ ქალის მოვალეობად აღქმას (ვერდერი 1996; იშკანიანი 2003). ქალების ამგვარი გამოცდილება ნაკლებ დროს უტოვებდა მათ საჯარო საქმიანობისთვის. შესაბამისად, თითქოს ნორმა გახდა მამაკაცების მაღალი წარმომადგენლობა და დომინირება პოლიტიკაში და ქალების მაღალი წარმომადგენლობა სამოქალაქო სექტორში. ყოველივე ამასთან ერთად, საბჭოთა წყობის დანგრევის შემდეგ მოიშალა ყოველგვარი სოციალური სისტემა და სერვისი, რაც, პრინციპში, უმნიშვნელოვანესია ქალთა ფორმალურ საქმიანობაში ჩართვისთვის. გამართული სოციალური სისტემა შეუმსუბუქებდა ქალებს ტრადიციულ როლს და ოჯახზე ზრუნვის მოვალეობას. ყოველივე ამან კი ქალთა პოლიტიკაში ჩართვის მზაობა შეამცირა (რეგულსკა და გრაბოვსკა 2012; საბედაშვილი 2007; გალი და კლიგმანი 1998; ბრუნენბაუერი 2000).

საქართველო გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანაა. სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები ცხადჰყოფს, რომ ამგვარ დემოკრატიისკენ გარდამავალ გზაზე დომინირებენ კაცები, თითქოს ქალების ადგილი პოლიტიკაში არ იყოს (უეილენი 1993). მართლაც, გარდამავალი პერიოდის ამ სირთულეების ფონზე, პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა არც ისე სახარბიელო იყო, კონკრეტულად, როგორც 1990-იანი წლების სხვადასხვა კვლევები მიუთითებს, საქართველოში პოლიტიკური პარტიების მხოლოდ 6%-ში ეკავათ ლიდერის პოზიციები და 1999 წლისთვის რეგისტრირებული პარტიიდან, ქალები ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ 5%-ს. ზოგადად, ქალთა წარმომადგენლობა ლიდერულ პოზიციებზე 1998-2001 წლებში დაახლოებით 9-11%-მდე მერყეობდა; გარდა ამისა, პოლიტიკურ პარტიებს არასაკმარისად ჰქონდათ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებები, ისევე როგორც არ ჰქნოდათ მკაფიოდ განსაზღვრული პარტიული იდეოლოგიები (ხომერიკი და ჩუბინიძე 1998; ხომერიკი და მურუსიძე 2002). მის მსგავსად, 2000-იანი წლების შემდგომაც პოლიტიკური პარტიების მიდგომები აჩვენებს მსგავს პრობლემებს და რომ ამასთან ერთად ქალებს ნაკლები მხარდაჭერა აქვთ პარტიების მხრიდან. ქალები, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ პარტიებში, სიებში ნაკლებად ხვდებიან ან იკავებენ უკანა პოზიციებს.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, 1990-იან წლებში ქალთა დაბალი პოლიტიკური წარმომადგენლობა შესაძლოა აიხსნას სამი ფაქტორის ურთიერთქმედებით: საბჭოთა დროის კულტურული ნორმების გავლენა, გენდერული როლების განმტკიცება და ქალების გააქტიურება სამოქალაქო სექტორში (გალლიგანი და კლავერო 2008). საქმე იმაშია, რომ, მართალია, არსებობდა ფორმალური თანასწორობა საბჭოთა დროს, ქალებს მაინც უწევდათ ანაზღაურებადი მუშაობა და ასევე საოჯახო საქმეების/მოვალეობების შესრულება. ანუ ამ პერიოდში კაცების-

თვის არათერი შეიცვალა და ეს განმტკიცებული მოვალეობები და შრომის გენდერული დაყოფა გაგრძელდა ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდშიც. შესაბამისად, უფრო ადვილი იყო კაცებისთვის დარჩენილიყვნენ საჯარო სფეროში და არ აეღოთ პასუხისმგებლობა საოჯახო საქმიანობაზე, მაშინ, როცა ქალებს საოჯახო საქმეც დააწვათ გარდამავალი პერიოდის სირთულეებთან ერთად, კანონმდებლობა კი არ ისახავდა მიზნად მათ ხელშეწყობას, არც საჯარო და პოლიტიკურ სფეროში მონაწილეობის კუთხით. მიუხედავად იმ ცვლილებებისა, რაც მოიტანა სისტემის რღვევამ და ახალმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა წყობამ, შრომის გენდერული განაწილება არ შეცვლილა და ოჯახზე და შვილებზე ზრუნვა ისევ ქალის უმთავრეს მოვალეობად და პასუხისმგებლობად რჩებოდა (ბრანბაუერი 2000). შესაბამისად, პატრიარქალური ნორმების გაძლიერებას, ისევე როგორც იმ ფაქტს, რომ ქალებს საბჭოთა პერიოდშიც კი არ ეკავათ მნიშვნელოვანი პოზიციები პოლიტიკურ პარტიებში, შედეგად მოჰყვა ქალების უმნიშვნელო მონაწილეობა პოლიტიკაში პოლიტიკური-ეკონომიკური გარდაქმნის პერიოდში (მონთგომერი და მათლანდი 2003; რეგულსკა და გრაბოვსკა 2012).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ სოციალური, პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალთა წარმომადგენლობაზე, განსაკუთრებით, ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე. თუმცა არის ასევე სხვა ფაქტორები, რაც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხზე.

ფორმალური პოლიტიკის ფაქტორები

საქართველოში 2003 წელს მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ვარდების რევოლუციის სახით, რაც საფუძვლად დაედო დემოკრატიული ღირებულებების აღიარებას, სხვადასხვა რეფორმების განხორციელებას და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში/გაერთიანებებში ინტეგრაციისთვის გადადგმულ ნაბიჯებს. თუმცა, ამ პერიოდში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით წინსვლა არ მომხდარა. 2004 წლის პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა შეადგენდა 9,4%-ს (235 წევრიდან), 2008 წელს კიდევ უფრო შემცირდა ეს მაჩვენებელი და მხოლოდ 6% შეადგინა 150 წევრიან პარლამენტში და 2012 წელს დაახლოებით 11,3%-მდე გაიზარდა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პოლიტიკურ პარტიებს და პარტიის მახასიათებლებს, რამდენადაც პარტიები ფორმალურ პოლიტიკაში მონაწილეობის ძირითადი საშუალებაა. 2010 წლისთვის საქართველოში 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტია იყო დარეგისტრირებული; თუმცა, აქტიური იყო მხოლოდ რამდენიმე და საზოგადოების ინფორმირებულობა და ცნობიერება მათ პროგრამებზე, იდეოლოგიასა თუ საქმიანობაზე ნაკლებად იყო ცნობილი. ასევე, პარტიები არ იყვნენ საკმარისად მომწიფებული, უფრო არათანმიმდევრული იყო მათი საქმიანობა. როდესაც პოლიტიკური პარტიები არ ან ვერ აცნობიერებენ ქალთა ჩართვის და მონაწილეობის აუცილებლობას, ეს, ერთი მხრივ, გავლენას ახდენს ქალთა წარმომადგენლობაზე და მეორე მხრივ, მიუთითებს პარტიის დემოკრატიულობის ხარისხზე (ბაგრატია და ბადაშვილი 2011).

ამავე პერიოდისათვის, წამყვანი პოლიტიკური პარტიების ანალიზი აჩვენებს, რომ მათ ლიდე-

რებს, თუმცა გაცხადებული ჰქონდათ ან აქვთ მხარდაჭერა ქალთა ჩართულობის მიმართ, ისევე როგორც გენდერული თანასწორობის მიმართ, მათი მხრიდან ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა ამ მხარდაჭერის განსახორციელებლად. პოლიტიკური პარტიების მიდგომა გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების თუ პოლიტიკური წინსვლის მიმართ იყო არათანმიმდევრული და არასისტემატური.

არცერთ პოლიტიკურ პარტიას წესდებაში არ აქვს მინიშნება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე პარტიის შიგნით (ბაგრატია და ბადაშვილი 2011). თუმცა, მიუხედავად ამისა, შეიძლება გამოიყოს პოლიტიკური პარტიების ორი ტიპი: პარტიები, რომელთაც არ გააჩნიათ არანაირი ბერკეტი გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და ქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობის ხელშესაწყობად; და პარტიები, რომელთაც აქვთ გარკვეული მიდგომა, ან სტრატეგია, ან მიმართულება ან დანაყოფი ქალთა მონაწილეობის ხელშესაწყობად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც სტრატეგიული მიდგომა ქალთა ჩართულობის მიმართ არ აქვთ პარტიებს, ქალთა პოზიციონირება და წარმომადგენლობა პარტიაში არ იყო ძლიერი (ბაგრატია და ბადაშვილი 2011).

თუ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს შევხედავთ გენდერულ ჭრილში, ქალები შეადგენდნენ რეგისტრირებული კანდიდატების 28,7%, თუმცა იმ დროისათვის ორივე წამყვან პოლიტიკურ პარტიას ყველაზე ნაკლები ქალი ყავდა სიაში ნომინირებული (ბაგრატია 2013). ასევე, საგულისხმოა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქალთა წარმომადგენლობა გაორმაგდა და თუ 2008-2012 წლების პარლამენტში 6% იყო, 2012 წლის არჩევნების შედეგად მათი წარმომადგენლობა ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში 12%-მდე გაიზარდა და ქალებმა მეტი ადგილი დაიკავეს როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული წესით არჩევისას. ამასთან მიმართებაში, გასათვალისწინებელია საარჩევნო სისტემა, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი გენდერულად დაბალანსებული პარლამენტის მისაღებად (მათლანდი 2005).

საქართველოში მიღებულია შერეული საარჩევნო სისტემა, რაც გულისხმობს პროპორციული წესით, ანუ პარტიული სიით და მაჟორიტარული წესით არჩევას ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში. საარჩევნო სისტემის რეგულირება, შესაძლოა, გახდეს ერთ-ერთი მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს ან ხელს უშლის გენდერულად დაბალანსებულ პოლიტიკურ შემადგენლობას სხვადასხვა დონეზე (მათლანდი 2005). ამ მოსაზრებით, შესაძლოა, არსებობდეს უფრო ეფექტური სისტემა, რაც ქალების მონაწილეობას შეუწყობს ხელს და ნაკლებ სივრცეს დაუტოვებს პოლიტიკურ მოთამაშეებს პოლიტიკაში გენდერულად დაუბალანსებელი მონაწილეობისთვის (ნორისი 1997; პექსტონი და კუნოვიჩი 2003; კოლი 1997; კოლი 2010). საქართველოს შემთხვევაშიც არის განსხვავება პროპორციულ და მაჟორიტარული სისტემას შორის ქალთა წარმომადგენლობის კუთხით, რამდენადაც, პროპორციული სისტემა უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა ქალთა მონაწილეობისთვის, თუმცა, პარტიები ხშირად ნაკლებ ინტერესს და მხარდაჭერას გამოხატავენ ქალების მიმართ და მათ სიის ბოლოში ათავსებენ. ამიტომ, გამართული პროპორციული სისტემა მნიშვნელოვანია გენდერული ბალანსის მისაღწევად, მაშინ, როცა, მაჟორიტარული სისტემის შემთხვევაში ისეთი კანდიდატის იდენტიფიცირება ხდება, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს თემში/საზოგადოებაში, გააჩნია კონტაქტები და რესურსები - ხშირ შემთხვევაში ასეთები არიან კაცები. ამასთან, კაცები უფრო ძლიერ და კონკურენტუნარიან კანდიდატებად მიიჩნევიან, ამიტომ ეს ზრდის მათი არჩევის ალბათობას (მათლანდი 1998; კოლი 2010).

აღიარებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი პარტიის დონეზე, რაც გავლენას ახდენს ქალთა წარმომადგენლობაზე პოლიტიკაში; პარტიის ორგანიზება და სტრუქტურა, პარტიის იდეოლოგია და კავშირები ქალთა ორგანიზაციებთან და ქალთა უფლებების აქტივისტები პარტიის შიგნით, პარტიის წესები და რეგულაციები (ცოლი 2010). აღსანიშნავია, რომ საქართველოს მაგალითზე პარტიებს არ გააჩნიათ ძლიერი სტრუქტურა და ძალაუფლება ხშირად არაპროპორციულად არის გადანაწილებული - მხოლოდ ლიდერებზე. შესაბამისად, ლიდერის სურვილზე და ნებაზეა უფრო მეტად დამოკიდებული ეყოლება თუ არა პარტიას შემადგენლობაში ქალები. ეს მიუთითებს, რომ პარტიები ცენტრალიზებულად იმართება, რაც, განსაკუთრებით, კიდევ უფრო ნეგატიურად აისახება ქალთა ჩართულობაზე, როცა პარტიებს არ აქვთ წესები და რეგულაციები, რაც დაავალდებულებდა მათ გენდერულად დაბალანსებულ მიდგომას. ამას კიდევ ის აძლიერებს, რომ პოლიტიკურ პარტიებს, ზოგადად, არ აქვთ პარტიაში წევრთა რეკრუტირების მკაფიო და გამჭირვალე მექანიზმი.

დასავლეთ ევროპაში ქალთა ჩართულობა ბევრ პოლიტიკურ პარტიაში იდეოლოგიით იყო განპირობებული, რასაც ასე ცალსახად ვერ ვიტყვით საქართველოს მაგალითზე. თვითონ ქალების ჩართულობისთვის იდეოლოგიას არასდროს უთამაშია მნიშვნელოვანი როლი, რამდენადაც პარტიები არ არიან საკმარისად მომწიფებული და არ აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეოლოგიური მიმართულება. შესაბამისად, მათი თანამშრომლობაც ქალთა უფლებების საკითხებზეც ქაოტური იყო, განსაკუთრებით 2014 წლამდე. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უახლეს ისტორიას ახსოვს რამდენიმე ქალი ლიდერი, მათ შორის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და პარლამენტის სპიკერი, ისინი ნაკლებად ყოფილან გენდერულად მგრძნობიარე და სოლიდარულები სხვა ქალების მიმართ, თითქმის ვერ აცნობიერებდნენ სხვადასხვა გარემოებებს, რაც დაბრკოლებას წარმოდგენდა ქალებისთვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის.

შესაბამია, სხვადასხვა გარემოებაა გასათვალისწინებელი, ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გასაანალიზებლად, მათ შორის კულტურული ასპექტი და მკაფიოდ განსაზღვრული გენდერული როლები, ასევე სოციო-ეკონომიკური კონტექსტი დემოკრატიული გარდაქმნის პროცესში და პოლიტიკური ფაქტორები საარჩევნო სისტემის თუ პოლიტიკური პარტიების დონეზე.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკა და დებატები კვოტების შესახებ

1995 წელი მნიშვნელოვანი იყო გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით, როდესაც პეკინში გაიმართა ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილი მე-4 საყოველთაო კონფერენცია, სადაც მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციების და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებმა და მიღებულ იქნა პეკინის მოქმედებათა პლატფორმა. ეს იყო, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი მომენტი და ინსპირაცია სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რათა გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები გამხდარიყო მათი მოქმედების მიზანი, და, მეორე მხრივ, ასევე პოლიტიკის შემუშავების კუთხით.

1998 წელს საქართველოში შეიქმნა ქალთა წინსვლის ხელშეწყობის კომისია, რომლის გაცხადებული მიზანი იყო ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა. შემუშავდა ასევე შესაბამისი სამოქმედო გეგმა, თუმცა მისი განხორციელება ფაქტიურად არ მომხდარა (საბედაშვილი 2007).

მოგვიანებით, კომისია ჩანაცვლდა გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოთი, რომელიც 2004 წლიდან აღარ მოქმედებდა. ამ პერიოდში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ჩამოყალიბდა პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო. მისი წევრები იყვნენ პარლამენტარები და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. საბჭომ 2003-2012 წლებში ბევრ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ინიციატივას დაუჭირა მხარი. 2006 წელს მიღებულ იქნა გენდერული თანასწორობის კონცეფცია, მოგვიანებით ასევე მოხდა ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მიღება, 2010 წელს კი დამტკიცდა კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. ამ პერიოდზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ქალთა ჯგუფების წარმომადგენლები, რამდენადაც დემოკრატიული წინსვლისკენ ძვრები შეინიშნებოდა. თითქოს გენდერული თანასწორობის დისკურსი შემოვიდა ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, რამდენადაც ადგილობრივ, ეროვნულ კანონმდებლობამდე ასევე არსებობდა ის საერთაშორისო კონვენციები, რასაც საქართველო აღიარებდა. თუმცა, არ მომხდარა ამ კანონმდებლობის სათანადოდ განხორციელება და პრაქტიკაში დანერგვა და სათანადო ადამიანური თუ ფინანსური რესურსის და პოლიტიკური ნების გამოხატვა (ჩხეიძე 2010).

გენდერული თანასწორობის კანონი მოიცავს ქალსა და კაცს შორის თანასწორობის შესახებ დებულებებს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის გენდერული სტატისტიკის წარმოებას, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას შრომით ურთიერთობებში, განათლების და მეცნიერების სფეროში, თანაბარ მისაწვდომობას საინფორმაციო რესურსებზე, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას ოჯახურ ურთიერთობებში და ხმის მიცემის თანაბარ უფლებას (კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ 2010). თუმცა, კანონი კონკრეტულად არაფერს ამბობს რაიმე ქმედებებსა ან ზომებზე ქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, თუმცა გენდერული თანასწორობის კანონი მთავარი დოკუმენტია ეროვნულ დონეზე, პოლიტიკური მონაწილეობის მხრივ, ის არც თუ ისე ძლიერი დოკუმენტია და ამ დრომდე არ უთამაშია გადამწყვეტი როლი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდაში.

2011 და შემდეგ 2013 წელს საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პარტიები, რომელთაც ეყოლებოდათ მეტი ქალი პარტიულ სიებში, მიიღებდნენ გაზრდილ (30%) დაფინანსებას. თუმცა, მომდევნო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამ ცვლილებას შედეგი არ გამოუღია.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, მათი განხორციელება არასაკმარისად ხდებოდა, ხოლო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის კუთხით, ეს ქმედებები არ აღმოჩნდა საკმარისი.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისთვის უფრო მდგრადი და ქმედითი პოლიტიკის გასატარებლად რამდენიმე ინიციატივას ჰქონდა ადგილი პოსტსაბჭოთა საქართველოში; თუმცა, პარტიების თანამშრომლობა ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ამ თემაზე თითქმის არ არსებობდა, განსაკუთრებით ადრეულ გარდამავალ პერიოდში. ჯერ კიდევ 2007 წელს შეგროვდა საკმარისი ხელმოწერები, რომ ინიცირებულიყო საკანონმდებლო ცვლილება გენდერული

კვოტების შესახებ, რათა ქალების კრიტიკული რაოდენობა ყოფილიყო წარმოდგენილი ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში. თუმცა, საკმარისი პოლიტიკური ნება არ აღმოჩნდა და, შესაბამისად, ჩავარდა ეს ინიციატივა. აღნიშნული ცვლილების ავტორები იყვნენ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები. მოგვიანებით, დაახლოებით 2012 წლიდან, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი ასევე დადგა საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში. მათი ინიციატივით შეიქმნა საკოორდინაციო/სამუშაო ჯგუფი ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე, რომლის მთავარი მიზანი სწორედ რომ პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა იყო. მოახლოებული 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მომზადდა გენდერული კვოტების პროექტი ქალთა პოლიტიკაში წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით; თუმცა, ისევ გამოვლინდა არასაკმარისი პოლიტიკური ნება და კვოტების მოწინააღმდეგეები უფრო მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე მომხრეები.

კვოტა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ერთ-ერთი მექანიზმია/საშუალებაა, რომელიც შედეგს მცირე დროში იძლევა. პოლიტიკურ სფეროში გენდერული კვოტა გულისხმობს ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას სხვადასხვა დონეზე. კვოტების გათვალისწინება ხდება კანონებში, ან ზოგიერთ შემთხვევაში - კონსტიტუციაშიც კი. ნებაყოფლობითი კვოტა შესაძლოა პარტიებმა თავად დანერგონ და პარტიის დონეზე თავად ისარგებლონ - ანუ დააწესონ გარკვეული წესები თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად პარტიების დონეზე, მაშინ, როცა კანონი არ ავალდებულებს მათ ამის გაკეთებას (დალერუპი 2005). თუმცა, საქართველოში პოლიტიკურ ლიდერებს შორის კვოტების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, თვითონ ქალ პოლიტიკოსებშიც კი. კვოტის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ძირითადად ეხება იმას, რომ კვოტები ხელოვნურია და მათი შემოღება პოლიტიკური პარტიების ცხოვრებაში უხეში ჩარევაა და რომ ქალები, მიუხედავად კომპეტენციისა, მოხვდებიან პოლიტიკაში. ქალი პოლიტიკოსები საჭიროდ თვლიან მეტი ქალის არსებობას პოლიტიკაში, თუმცა, ნაკლებად უჭერენ მხარს სპეციალურ ზომებს და თვითონაც ნაკლებად აქტიურობენ ამ კუთხით.

მართლაც, ბევრ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში ქალი პოლიტიკოსები მართალია აცნობიერებენ ქალების ჩართვის საჭიროებას, მაგრამ თავს არიდებენ ამ საკითხის მიმართ ინიციატივის გამოვლენს (გალიგანი და კლავერო 2003). საფიქრალია, რომ კვოტების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება უკავშირდება სწორედ უახლოეს საბჭოთა წარსულს და უკვე ამ სისტემის მოშლის შემდეგ კვოტასაც უგულებელყოფენ, როგორც საბჭოთა პრაქტიკას. მიუხედავად ქალთა ორგანიზაციების მიერ საკითხის წამოწევისა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და კვოტები მაინც რჩება ვიწრო წრის ინტერესის საგნად. ის ჯერ არ გამხარა საჯარო დებატების საგანი, რომ მასზე მთელ საზოგადოებას ემსჯელა და დაენახა პრობლემა. პოლიტიკური პარტიების ცნობიერება და მგრძნობელობა გაიზარდა ამ მხრივ, თუმცა მაინც არ ხდება ქალის რესურსის საკმარისად აღქმა და ქალის, როგორც მამაკაცთან გათანაბრებულ ძალად აღიარება.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატია ხელს უნდა უწყობდეს ქალების პოლიტიკურ სფეროში ჩართვას, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი არც 2003 წლიდან განხორციელებული დემოკრატული პროცესების შემდგომ გადაწყვეტილა დადებითად. დემოკრატიას ყოველთვის არ მოაქვს ყველა ჯგუფისთვის, მათ შორის ქალებისთვის, წინსვლა და მათ მიერ უფლებების სრულად გამოყენება, შესაძლოა, არ მოხდეს. გარდამავალ პერიოდში ქალებისთვის გარემო არ ყოფილა ხელშემწყობი, რომ პოლიტიკური უფლება სრულად გამოეყენებინათ (გარდა ხმის მიცემისა).

ადამიანის უფლებების დაცვას და პოლიტიკურ სივრცეში გამოტანას ხელს უწყობს სამართლიანი დებატების არსებობა, რასაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთი გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანაში (უოლში 2011). სამართლიანი დებატები შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა დონეზე ფართოდ გაჟღერდეს პრობლემა, გაიმართოს დისკუსია და საკითხი არ დარჩეს მხოლოდ ვიწრო წრის განსჯის საგანი. ცხადია, მხოლოდ დებატები ვერ უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარებას, თუმცა პოლიტიკურ დღის წესრიგს განსაზღვრავს, მით უმეტეს, როცა ეს ხდება ფართო საზოგადოების ინტერესი და საგანი (უოლში 2011).

დასკვნა

როგორც აშკარაა, ქალთა დაბალ პოლიტიკურ მონაწილეობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა პოსტსაბჭოთა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ქალები იყვნენ აქტიურები და ცდილობდნენ თვითრეალიზების გზების მოძებნას, ფორმალური პოლიტიკა ამის ნაკლებ შესაძლებლობას იძლეოდა. ტრადიციული შეხედულებები ქალის როლის და მოვალეობების შესახებ კიდევ უფრო განმტკიცდა ნაციონალურ დისკურსში დამოუკიდებელი ერი-სახელმწიფოს შენების პროცესში. ეს როლი ყოველთვის არსებობდა, თუმცა კიდევ უფრო გაძლიერდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, განსაკუთრებით, როცა სხვადასხვა ფაქტორების გავლენა გაძლიერდა. ასევე, მოშლილი სოციალური სამსახური არანაირად არ უწყობდა ხელს ქალებს, რომ შემსუბუქებულიყო მათი ტვირთი, რაც, შესაბამისად, ნაკლებ დროს უტოვებდა მათ საჯარო და ფორმალური საქმიანობისთვის. ამგვარ პირობებში უფრო მოქნილი იყო არასაჯარო სფეროში, სამოქალაქოს სექტორში და მცირე ბიზნესში ქალების ჩართვა, რაც მათ პირად და საჯარო სფეროებს შორის არსებულ საზღვარს გააფერმკრთალებდა და მათი საქმიანობის ფორმალურ დაყოფას შეამცირებდა.

პოლიტიკური სფეროს მხრიდან არანაირი მხარდაჭერა არ გამოვლინდა ამ დრომდე ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად: დემოკრატიული განვითარების გზაზე დაბრკოლებებს ქმნის ზოგიერთი მახასიათებელი და ფაქტორი პარტიების დონეზე, როგორიცაა ლიდერის და ძალაუფლების გადანაწილება, პარტიის დემოკრატიულობის ხარისხი, პარტიის რეგულაციები და პოლიტიკა და ა.შ. ამ ფონზე, მართალია. გაძლიერდა კოორდინაცია არაფორმალური პოლიტიკის აქტორების მხრიდან, მაგრამ ქალთა მონაწილეობისთვის გადაუდებელი ზომების მიღება მაინც ვერ გახდა პოლიტიკური ლიდერების და ზოგადად, პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხი. გარდა ამისა, საქართველოში მიღებული საარჩევნო სისტემაც თავისებურად წარმოადგენს ერთგვარ დაბრკოლებას, რაც არც თუ ისე დიდ საფუძველს ქმნის გენდერულად დაბალანსებული პარლამენტის თუ ადგილობრივი მმართველობის მისაღებად.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ეს ფაქტორი არ არსებობს დამოუკიდებლად, არამედ ურთიერთმიმართებაში განიხილება და წარმოადგენს რეალურ დაბრკოლებას ქალებისთვის. ბოლო ორი დეკადის განმავლობაში ქალების პოლიტიკაში ჩართულობის მხრივ მნიშვნელოვანი წინსვლა არ შეინიშნება და დამატებითი სპეციალური ზომების გარეშე, ამ პრობლემის აღმოფხვრა რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება.

ბიბლიოგრაფია

Bagratia, Tamar. 2013. Gender Analysis of 2012 Parliamentary Elections. Tbilisi: NIMD

Bagratia, Tamar and Medea Badashvili. 2011. „Development of Intraparty Democracy from Gender Perspective" Intraparty Democracy and Local Governance, Tbilisi: NIMD:7-33

Brunnbauer, Ulf. 2000. „From Equality Without Democracy to Democracy Without Equality". South East Europe Review, 3:151-168

Caul, Miki. 2010. Women's Representation in Parliament: the Role of Political Parties. In Women, Gender and Politics: A Reader, ed. Krook, M. L. and Schilds. Oxford: Oxford University Press

Chkheidze, Ketevan. 2010. „Gender Politics in Georgia". Caucasus Analytical Digest. 21:2-5

Dahlerup, Drude. (2005). Increasing Women's Political Representation: New Trend in Gender Quotas. In Women in parliament, beyond numbers, (revised edition).ed. Julie Ballington and Azza Karam. Stockholm: International IDEA

Heinen, J. 2006. Clashes and Ordeals of Women's Citizenship in Central and Eastern Europe, In Women and Citizenship in Central and Eastern Europe, redaqtori Jasmina Lukic, Joanna Regulska and Darya Zavirsek, Ashgate Publishing

Ishkanian, A. 2003. „Gendered Transitions: The Impact of Post-Soviet Transition on Women in Central Asia and the Caucasus". Perspectives on Global Development and Technology 2(3):465-496

Khomeriki, Lela and S. Murusidze. 2002. Women's Participation in Political Parties. Gender Problems in Georgia. Tbilisi: CIEI

Khomeriki, Lela and Nino Chubinidze. 1998. "Women in Political Parties of Georgia". Directory of Political Parties. Tbilisi: International Center for Civic Culture

Law of Georgia on Gender Equality. 2010.

Matland, Richard E. 1998. Women's Representation in National Legislature: Developed and Developing Countries. Legislative Studies Quarterly, 23(1), 109-125

Matland, Richard E. and K.A. Montgomery. 2003. Women's Access to Political Power in Post Communist Europe. Oxford: Oxford University Press

Matland, Richard 2005. „Enhancing Women's Political Participation: Legislative Recruitment and Electoral Systems". In Women in Parliament Beyond Numbers, A Revised Edition, რედაქტორი Julie Ballington and Azza Karam, Stockholm: International IDEA

Norris, Pippa. 1997. „Choosing Electoral System, Majoritarian and Mixed Systems. „International Political Science Review, 18 (3), 297-312

Parliament of Georgia. 2006. The State Concept on Gender Equality. Retrieved 5 September http://www.parliament.ge/files/gender/Conc.pdf

Parliament of Georgia. 2009. Organic Law on Political Unions of Citizens. Retrieved 21 March 2016 from http://aceproject.org/ero-en/regions/europe/GE/organic-law-of-georgia-on-political-union-of/view

Pataraia, Baia. 2015. Georgian Politics Without Women – Quotas as a Solution to the Problem, Policy Brief. Open Society Georgia Foundation. Retrieved March 22 from http://www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Geirgia%20Association%20/Angarishi_A4_3.pdf

Paxton, Pamela and Sheri Kunovich. 2003. Women's Political Representation: the Importance of Ideology. Social Forces. 82 (1), 87-113

Regulska, Joanna and Magda Grabowska. 2012. „Social Justice, Hegemony and Women's Mobilization". In Justice, Hegemony and Mobilization: Views from Central/Eastern Europe and Eurasia, ed. J. Kubik and A. T. Linch, NY:NYU Press

Sabedashvili, Tamar. 2007. Gender and Democratization: the Case of Georgia 1991-2006. Tbilisi: Heinrich Boll Foundation

Verdery, Katherine. 1996. What Was Socialism and What comes Next? NJ: Princeton University Press

Walshe, Denise. 2011. Women's Rights in Democratizing States, Just Debate and Gender Justice in the Public Sphere. Cambridge: Cambridge University Press

Waylen, Georgina. 1994. Women and Democratization: Conceptualization Gender Relation in Transition Politics. World Politics 46 (3): 327-354

8. პადავიჩი, ი., რესკინი, ბ., ქალები, მამაკაცები და სამუშაო XXI საუკუნეში // გენდერის საკითხავი ლიტერატურა, სოციალურ მეცნიერებათა ცანტრი, თბილისი, 2007, 179-192

სოციალურ მეცნიერებათა სერია

გენდერის საკითხავი ლიტერატურა

CSS
Center for Social Sciences

თბილისი
2007

ქალები, მამაკაცები და სამუშაო XXI საუკუნეში

ირენ პადავიჩი, ბარბარა რესკინი[12]

მოცემულ თავში ვსვამთ კითხვას თუ რა ცვლელებებს უნდა ველოდეთ ქალთა და მამაკაცთა სამსახურეობრივ ცხოვრებაში XXI საუკუნის დასაწყისში? ზოგადად რა ტენდენციები შეეხება სამუშაოს და როგორ შეეხება ეს ტენდენციები წიგნში წამოჭრილ თემებს? დასკვნაში მოცემული იქნება სავარაუდო პასუხი ზემოაღნიშნულ კითხვებზე.

სამუშაოსთან დაკავშირებული ტენდენციები XX საუკუნის ბოლოს

ამჟამად სამუშაო გარემო ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხ მთავარ ცვლილებას განიცდის: ეკონომიკის რესტრუქტურირებას, რაც გამოიხატება სამუშაოს შემცირებით წარმოებაში და გაზრდით მომსახურების სფეროში; სამუშაოების პოლარიზებას, ერთი მხრივ, მარტივ, არაკვალიფიციურ და, მეორე მხრივ, მაღალკვალიფიციურ, უფრო კომპლექსურ სამუშაოებად; არასრული სამუშაოს მქონე ან დროებით დასაქმებულ მშრომელთა რაოდენობის ზრდას; და სამუშაო ძალის მზარდ მრავალფეროვნებას. პირველი სამი ტენდენცია–ეკონომიკის რესტრუქტურირება, სამუშაოს ამოცანების გართულება და გამარტივება, და არასრული და დროებითი სამუშაოს ზრდა–განპირობებულია დამქირავებელთა მცდელობებით წარმატებით გაუწიონ კონკურენცია მზარდ გლობალურ ეკონომიკას. ხოლო სამუშაო ძალის მზარდი მრავალფეროვნება არის ქვეყნის დემოგრაფიულ განაწილებაში მომხდარი ცვლილებების შედეგი.

ეკონომიკის რესტრუქტურირება

ეკონომიკის რესტრუქტურირება ეს არის ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნის მიმდინარე პროცესი, რომლის დროსაც მრეწველობის ზოგიერთი სფერო და ზოგიერთი სახის სამუშაოს რაოდენობა იზრდება, ხოლო ზოგიერთი მცირდება. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ამერიკაში წარმოებაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი მცირდება, ხოლო მომსახურების სექტორში დასაქმებულთა რიცხვი იზრდება. 2005 წლისათვის წარმოებაში დასაქმებული იქნება მშრომელთა საერთო რაოდენობის 13%, რაც 1940 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, რომელიც უტოლდებოდა 24%-ს, მნიშვნელოვნად დაბალია (Kutscher 1991:7). ამერიკულ ფირმათა დიდ ნაწილს თავისი სამუშაო ადგილები გააქვს იმ ქვეყნებში, რომლებშიც შედარებით იაფი მუშახელია, მაგალითად, აზიის სახელმწიფოებსა და მექსიკაში[13]. ხოლო, სამუშაო ადგილების ქვეყნიდან გადინებამ შეამცირა ამერიკელი კაცების შემოსავლების დონე, რაც განხილული იყო მეექვსე თავში.

ამერიკული სამრეწველო ბაზის შემცირების ფონზე მომახურების მზარდ სექტორში იქმნება მილიონობით ახალი სამუშაო ადგილი. ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 1988-2000 წლებში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების თითქმის 90% მოვა მომსახურების სექტორზე (National Commission on Working Women 1990), და 2005 წლისათვის სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობის 85% იქნება მომსახურების სფეროში (Carey and Franklin 1991).

---

[12] ირენ პადავიჩი, ბარბარა რესკინი "ქალები და მამაკაცები სამსახურში", პირველი გამოცემა. Pine Forge Press, A Sage Publications Company; 1994 (გვ. 165-181).

[13] განვითარებად ქვეყნებში ამ სამუშაოთა დიდ ნაწილზე დასაქმებულნი არიან ქალები, შესაბამისად, ისინი შედიან სამუშაო ძალაში, აქვთ ხელფასი და ხდებიან დამოუკიდებელნი, რასაც სხვაგვარად ვერ მოახერხბდნენ. თუმცა მსგავსი სამუშაები მშრომელებს ამ ქვეყნებში სთავაზობს მძიმე სამუშაო პირობებს, ანაზღაურების უკიდურესად დაბალ დონეს და სახიფათო სამუშაოს.

მრეწველობის სექტორის შემცირების და მომსახურების სექტორის სწრაფი ზრდის მიზეზია ის, რომ აღნიშნული სფეროები მშრომელებს სთავაზობენ რადიკალურად განსხვავებული სახის სამუშაოებს. სახელფასო განაკვეთი მომსახურების სფეროში მნიშვნელოვნად დაბალი იქნება: ყოველ დოლარზე, რომელსაც დამქირავებელი 1991 წელს წარმოების სფეროში ხელფასის სახით იხდიდა, მოდიოდა საცალო ვაჭრობის ან პირადი მომსახურების სფეროში დასაქმებულთათვის გადახდილი 63 ცენტი (U.S. Bureau of Census 1992). გარდა ამისა, მომსახურების სექტორში არსებულ სამუშაო ადგილებზე კადრების დენადობის მაჩვენებელი წარმოების სექტორთან შედარებით ორჯერ მაღალია და უმეტეს შემთხვევაში მომსახურების სექტორში არის არასრული სამუშაო განაკვეთის სამუშაო ადგილები, რომლებზეც ნაკლებია სამსახურებრივი შეღავათები.

მომსახურების სექტორის სწრაფად მზარდ სამუშაო ადგილთა ნაწილი განეკუთვნება ისეთ მაღალანაზღაურებად სფეროებს, როგორებიცაა იურიდიული საქმიანობა, მედიცინა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. თუმცა საქმიანობის სახეები, რომლებიც საჭირო იქნება ახალი სამუშაო ადგილების უდიდესი ნაწილისათვის (ლიცენზირებული ექთნისა და მთავარი მენეჯერის პროფესიის გარდა) იქნება დაბალკვალიფიციური და დაბალანაზღაურებადი საქმიანობები, როგორებიცაა, მაგალითად, ოფიციანტი, დამლაგებელი ან სურსათის მაღაზიის მომსახურე პირი (იხ. ცხრილი 9.1). დაბალკვალიფიციურ, დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე რვაჯერ უფრო მეტი მშრომელი დასაქმდება, ვიდრე მომსახურების სექტორის მაღალკვალიფიციურ სამუშაოებზე (Silvestri and Lukasiewicz 1987).

სამუშაო ამოცანების გართულება და გამარტივება

მეორე ტენდენციაა კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო კვალიფიკაციის დონის ცვლილება. ეკონომიკის რესტრუქტურირება იწვევს ზოგიერთი სამუშაოს ამოცანების გართულებასა და ზოგიერთის გამარტივებას–მშრომელთა კომპლექსურობის, კვალიფიკაციის და ცოდნის შემცირებას. წარმოების სფეროში არსებული სამუშაო ადგილების შემცირებით ეკონომიკამ დაკარგა ისეთი სამუშაო ადგილები, რომლებზეც დასაქმებულნი იყვნენ კვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური ლურჯსაყელოიანები*. მართალია, ამავდროულად მომსახურების სექტორის ზრდას მოჰყვა როგორც კვალიფიციური, ასევე არაკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნა, თუმცა როგორც ცხრილი 9.1 გვიჩვენებს დაბალკვალიფიციური სამუშაო ადგილები მომსახურების სფეროში უმრავლესობა იქნება.

ცხრილი 9.1

საქმიანობათა სახეები სამუშაოს დაგეგმილი ზრდისას 1990-დან 2005 წლამდე

საქმიანობა	ახალი სამუშაოების დაგეგმილი რაოდენობა	ქალ მშრომელთა პროცენტული რაოდენობა (1992)	ორივე სქესის მშრომელთა კვირის საშუალო ხელფასი (1992)
საცალი ვაჭრობის გამყიდველი	887,000	54.5	$270
ლიცენზირებული ექთანი	767,000	93.5	662
მოლარეები	685,000	75.7	219
ოფისის უფროსი კლერკი	670,000	84.1	356
სატვირთო ავტომანქანის მძღოლი	617,000	3.3	418

* მშრომელთა ის კატეგორია, რომელიც ასრულებს ფიზიკურ სამუშაოს.

მენეჯერი და ადმინისტრატორი	598,000	43.6	650
შვეიცარი და დამლაგებელი	555,000	22.0	291
ექთნის დამხმარე და სანიტარი	552,000	87.9	266
სასურსათო მაღაზიის თანამშრომელი	550,000	60.9	204
ოფიციანტი	449,000	72.9	222
საშუალო სკოლის მასწავლებელი	437,000	53.9	610
ცნობათა ბიუროს კლერკი და მიმღები	422,000	88.6	319

წყარო: მონაცემები სილვესტირსა და ლუკაზეივიცის ნაშრომიდან 1991: ცხრილი 4, ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სტატისტიკის ბიურო 1992a: ცხრილი 5.

დამქირავებელთა მიერ სამუშაო ამოცანების გამარტივების ერთ-ერთი გზა არის ახალი ტექნოლოგიები (Levin and Rumberger 1987). ამოცანების გამარტივების ეს სახე გხვდება ისეთ საქმიანობებში, როგორებიცაა სამდივნო საქმიანობა, ბუხჰალტერია, ბეჭდვა, სადაზღვევო აგენტი. რენდი ჰოდსონისა და რობერტ პარკერის (1988:25) მიხედვით, "წარმოებასა და ავტომატიზებულ ოფისებში კონტროლისა და განცალკევების ფუნქცია მშრომელებისგან პირდაპირ გადაეცემა ავტომატიზებულ მოწყობილობებს". მაგალითად, ყასბის საქმიანობის შემთხვევაში სამუშაო ამოცანების გამარტივება განაპირობა შეფუთული ხორცის გამოჩენამ (რომლის წარმოებაც ხდება ცენტრალური ავტომატიზებული დანადგარებით); შედეგად სამუშაო შესრულებისათვის ყასაბს მოეთხოვება ნაკლები პროფესიული ცოდნა (Walsh 1989). სამუშაო ამოცანების გამარტივება ასევე დამახასიათებებლია სწრაფი კვების რესტორნებისთვის. Burger King-ში მუშაკს სალარო აპარატის მოხმარების წესების ათვისებისათვის უტარდება ცხრაწუთიანი სწავლება და დაწესებულება ცდილობს ეს მაჩვენებელი შეამციროს 2 წუთამდე (Hodgkinson 1988). ოცი წლის წინ McDonald's-ის სამუშაო აპარატთან მუშაობისათვის გამყიდვლებს მოეთხოვებოდათ გარკვეული ცოდნა, რათა დაებრუნებინათ ხურდა მომხმარებლებისთვის; დღესდღეობით საკმარისია მხოლოდ ჰამბურგერის სახეობის იდნეტიფიცირება სალარო აპარატის მეშვეობით. უფრო მეტიც, სალარო აპარატები დაპროგრამებულია შეითავსოს გამყიდველის გარკვეული ფუნქციები: როდესაც გამყიდველი McDonald's-ის რესტორანში აწვება ღილაკს, რათა შეუკვეთოს ჰამბურგერი და რძის კოკტეილი, ირთვება ვაშლის ღვეზლის, ორცხობილისა და ნაყინის ღილაკები, რათა შეახსენოს გამყიდველს შესთავაზოს აღნიშნული პროდუქცია მომხმარებელს (Leidner 1991). 20 წლის წინ კლერკის სამუშაოზე დასაქმებული მდივანი ითავსებდა ფუნქციათა დიდ რაოდენობას; დღესდღეობით იგი ჩაანაცვლა ტექსტის დამამუშავებელმა ოპერატორმა, რომლის ერთადერთი მოვალეობაც არის კლავიატურის მეშვეობით ტექსტის აკრეფა და ამ პროცესსაც კომპიუტერი აკონტროლებს (Sweeny and Nussbaum 1989).

ამავდროულად ახალი ტექნოლოგიები, განსაკუთრებით კომპიუტერიზაცია, ართულებ სამუშაო ამოცანებს (Zuboff 1988). ზოგიერთმა მოწინავე კომპანიამ გარდაქმნა სამუშაო ადგილები ისე, რომ უზრუნველეყო მშრომელთა ავტონომიურობის უფრო მაღალი ხარისხი, რადგანაც ავტონომიურობა აუცილებელია სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოზე მყისიერი რეაგირებისათვის. სამუშაოები, რომლებიც მოითხოვენ კვალიფიკაციის ამაღლებულ დონეს, ხასიათდება მაღალი სახელფასო განაკვეთით და დაწინაურების დიდი შესაძლებლობებით. მშრომელებს მაღალკვალიფიციურ სამუშაოებზე შეუძლიათ აამაღლონ მათი კვალიფიკაცია და დასპეციალდნენ სხვადასხვა სფეროში.

მკვლევრებს შორის იმართება დებატები იმის თაობზე, თუ რომელია უფრო ხშირი მოვლენა: სამუშაო ამოცანების გართულება თუ გამარტივება. თუმცა ისინი თანხმდებიან, რომ მოწინავე ტექნოლოგიები თავისთავად არ განსაზღვრავენ სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი კვალიფიკაციის დონეს. სამაგიეროდ, სამუშაოზე ახალი ტექნოლოგიების გავლენას განსაზღვრავენ დამქირავებლები: თუ მშრომელებს არ აქვთ ძალაუფლება და, თუ დამქირავებლები არ ცდილობენ მიიღონ უპირატესობა უფრო კვალიფიციური სამუშაო ძალისაგან, მაშინ ახალი ტექნოლოგიები განაპირობეს კვალიფიკაციის დონის დადაბლებას (Hodson and Parker 1988).

არასტაბილური სამუშაო ძალის ზრდა

მესამე ტენდენციაა არასტაბილური სამუშაო ძალის ზრდა. **არასტაბილური სამუშაო** ეს არის სამუშაო, როდესაც დაქირავებულები დამქირავებლებთან არ არიან დაკავშირებულნი აშკარა ან ნაგულისხმევი კონტრაქტით, რომელიც ითვალისწინებს გრძელვადიან სამუშაოს ან სადაც მინიმალური სამუშაო საათები არასტაბილურია (Polivka and Nardone 1989:11). ერთი სიტყვით, არასტაბილურ მშრომელებს არ აქვთ სტაბილური სამუშაოს და შემოსავლის გარანტია. მათი მუშაობა დამოკიდებულია დამქირავებელთა მშრომელთა მხრიდან საჭიროებაზე. არასტაბილურ მშრომელებს განეკუთვნებიან დროებით სამუშაოზე დასაქმებული მშრომელები, არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე მშრომელთა დიდი ნაწილი და ზოგიერთი დამოუკიდებელი კონტრაქტორი.

დამქირავებლები ხშირად იყენებენ არასტაბილურ სამუშაო ძალას და საჭიროების შესაბამისად შეუძლიათ ამ სახის თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა. არასტაბილური სამუშაო ძალის გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის დანახარჯების შემცირება. დამქირავებლები, რომლებიც იყენებენ არასტაბილურ სამუშაო ძალას, არ იხდიან ჯანმრთელობის დაზღვევის, ბიულეტინის, დაუსაქმებლობის დაზღვევის, მშრომელთა კომპენსაციების, სოციალური დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფის და საშვებულებო ხარჯებს, რაც 20-40%-ით ამცირებს დამქირავებლის მიერ მუდმივ თანამშრომელზე გაწეულ დანახარჯებს (Sweeny and Nussbaum 1989; Callaghan and Hartman 1991). არასტაბილური სამუშაო ძალისათვის დამახასიათებელი სამუშაო გარანტიებისა და შეღავათების ნაკლებობა დამქირავებელთათვის მიმზიდველს ხდის ამ სახის შრომას მაშინ, როცა იგივე მიზეზების გამო იგი ნაკლებად მიმზიდველია მშრომელებისათვის. არ არის გასაკვირი, რომ არასტაბილურად დასაქმებული მშრომელები ძირითადად თავმოყრილნი არიან იმ წარმოებაში, რომელშიც მშრომელებს არ აქვთ შესაძლებლობა პროფკავშირების მეშვეობით ებრძოლონ ამ პრაქტიკას (Cornfield 1987).

არასტაბილურად დასაქმებული მშრომელები სამ ჯგუფად იყოფიან:

- ***დროებით სამუშაოზე დასაქმებული მშრომელები.*** 1982-92 წლებში დროებითი დასაქმების დონე დასაქმების საერთო დონესთან შედარებით 3-დან 10-ჯერ უფრო სწრაფად გაიზარდა (Ansberry 1993; Hartmann 1993). 1992 წელს კერძო სექტორში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების ორი მესამედი დროებითი იყო (Ansberry 1993). უმუშევრობის პრობლემა აიძულებს არასტაბილურად დასაქმებულ მშრომელებს იმუშაონ ერთდროულად რამდენიმე მსგავს სამუშაოებზე. ისინი ხშირად სამუშაოს პოულობენ დროებით სამუშაოზე დასაქმების სააგენტოების მეშვეობით, რომლებიც განსაკუთრებით მომრავლდენენ უკანასკნელ წლებში. დროებითი სამუშაოს ყველაზე გავრცელებული მაგალითია დაბალკვალიფიციური საკანცელარიო სამუშაოები, თუმცა დამქირავებლები უფრო და უფრო ქირაობენ მაღალკვალიფიციურ და ტექნიკურ მშრომელებს დროებითი კონტრაქტის საფუძველზე (Christensen 1989). მაგალითად, დღესდღეობით პროგრამისტთა, ბუხჰალტერთა და მენეჯერთა ნაწილი დასაქმებულია დროებით სამუშაოზე.
- ***არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე მშრომელები.*** არასრული დასაქმების დონე სწრაფად იზრდება საცალო ვაჭრობისა და მომსახურების სექტორში (Tilly 1991). 1992 წელს დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 18.9%, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა

გარდა, მუშაობდა დროებით სამუშაოზე, ხოლო მომსახურების სფეროში დროებით დასაქმებულთა ხვედრითი წილი 23.6%-ს შეადგენდა (U.S. Bureau of Labor Statistics 1993a). დროებითი სამუშაოების უმეტესობა მშრომელებს სთავაზობს სამსახურებრივი შეღავათების მცირე რაოდენობას, ხოლო დაწინაურების შესაძლებლობები ამ სამუშაოებზე არ არსებობს. ამ სახის სამუშაოთა დიდი ნაკლია სახელფასო განაკვეთის დაბალი დონე. 1989 წელს დროებით დასაქმებული მშრომელი საათობრივად საშუალოდ გამოიმუშავებდა სრული სამუშაო განაკვეთის მქონე მშრომელის საათობრივი ანაზღაურების დაახლოებით 58%-ს (Tilly 1991:12); საათობრივი ანაზღაურება კიდევ უფრო ნაკლები იყო არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე იმ მშრომელთათვის, რომლებიც მხოლოდ წელიწადის გარკვეული დროის განამავლობაში მუშაობდნენ (Institute for Women's Policy Research 1993a). როგორც ხვდებით, მშრომელთა დენადობის დონე მსგავს სამუშაოებზე მაღალია. ამერიკის შეერთეუბული შტატების შრომის სტატისტიკის დეპარტამენტი განასხვავებს დროებითი სამუშაოს ორ სახეს: ნებაყოფლობითს და არანებაყოფლობითს დროებით სამუშაოს. 1970-1990 წლებში არასრული სამუშაოს ზრდის დაახლოებით 90% განპირობებული იყო არანებაყოფლობითი დროებითი სამუშაოს ზრდით (Callaghan and Hartmann 1991). ჩანს, რომ არასრული დასაქმების ზრდა დიდ წილად განპირობებულია დამქირავებელთა და არა მშრომელთა არჩევანით.

- ***დამოუკიდებელი კონტრაქტორები.*** როგორც მეხუთე თავში განვიხილეთ, დამოუკიდებელი კონტრაქტორები არიან მშრომელები, რომლებსაც დამქირავებლები ქირაობენ წერილობითი ან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომელსაც მუდმივი თანამშრომლები ასრულებენ სახლში (Christensen 1989). საგადასახადო სამსახურის მონაცემებით, 1985-1988 წლებში დამოუკიდებელ კონტრაქტორთა რიცხვი გაიზარდა 50%-ით და გაუტოლდა 9.5 მილიონს (U.S General Accounting Office). დამქირავებლები მშრომელთა დიდ ნაწილს მიაწერენ დამოუკიდებელი კონტრაქტორის სტატუსს, რათა თავიდან აიცილონ სამსახურეობრივ შეღავათებთან დაკავშირებული დანახარჯები, შეამცირონ მუდმივი დანახარჯები და გადაიხადონ ნაკლები გადასახადი. რედაქტორები, უძრავი ქონების აგენტები და დამლაგებლები, დღესდღეობით წარმოადგენენ დამოუკიდებელ კონტრაქტორებს მაშინ, როცა წარსულში მათი სამუშაო მუდმივი იყო. ზოგჯერ მაღალკვალიფიციური მშრომელებიც კი ხდებიან დამოუკიდებელი კონტრაქტორები (Zachary and Ortega 1993). კომპანიამ Aetna Life & Casualty 1992 შეამცირა 2600 სამუშაო ადგილი და შემდეგ დროებით დათხოვნილი თანამშრომლები იმავე სამუშაოს შესასრულებლად ხელახლა დაიქირავა, როგორც დამოუკიდებელი კონტრატორები, მაგრამ დაბალი ხელფასით და სამსახურებრივი შეღავათების გარეშე (Zachary and Ortega 1993).

დამოუკიდებელ კონტრაქტორთა, დროებით დასაქმებულთა და არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე მშრომელთა რიცხვი, ანუ არასტაბილური სამუშაო ძალა იზრდება და ეჭვგარეშეა, რომ ეს ზრდა მომავალშიც გაგრძელდება. არასტაბილური დასაქმების მოცულობის განსაზღვრა ძნელია, რადგან არასტაბილურ სამუშაოზე დასაქმებულ მშრომელთა ნაწილი ერთდროულად რამდენიმე მსგავს სამუშაოზე მუშაობს, საშუალოდ 1988 წელს სამუშაო ძალის დაახლოებით 25-30%-ს შეადგენდა არასტაბილური სამუშაო ძალა (Belous 1989).

სამუშაო ძალის მრავალფეროვნება.

აშშ-ს შრომის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ქალები, უმცირესობები და იმიგრანტები სამუშაო ძალის მზარდ სეგმენტს წარმოადგენენ და სამუშაო ძალაში მათი ხვედრითი წილი კვლავაც გააგრძელებს ზრდას სულ ცოტა 2005 წლამდე (Kutscher 1991). მოსალოდნელია, რომ თეთრკანიანები კვლავაც მშრომელთა უმეტესობას შეადგენენ, თუმცა მათი ხვედრითი წილი

სამუშაო ძალაში შემცირდება 78.6%-დან (1990წ.) 73%-მდე (2005წ.). სამუშაო ძალაში გაიზრდება აფრო-ამერიკელთა ხვედრითი წილი 10.7%-დან (1990წ.) 11.6%-მდე (2005წ.). ლათინო-ამერიკელთა ხვედრითი წილი კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზრდება 7.7%-დან 11.1%-მდე და ზრდის ტემპები გადააჭარბებს აფრო-ამერიკელების ზრდას. აზიელების და სხვა ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობა სამუშაო ძალაში გაიზრდება 3.1%-დან 4.3%-მდე.

უკანასკნელ ხანებში ამერიკის შეერთეულ შტატებში მოსახლეობის ზრდა განპირობებულია ქვეყანაში იმიგრანტების შესვლით. 1960-იან წლებში იმიგრანტებზე მოდიოდა აშშ-ს მოსახლეობის ზრდის 11%, 1970-იან წლებში–33%, ხოლო 1980-იან წლებში–39% (John and Parker 1987). ლეგალური და არალეგალური იმიგრანტები, როგორც ჩანს, იქნებიან სამუშაო ბაზრის ყველაზე მზარდი ჯგუფი. უკანასკნელ ხანებში ქვეყანაში ჩასული იმიგრანტები, რომელთა უმეტესობაც აზიიდან და ლათინური ამერიკიდანაა, განეკუთვნებიან როგორც მაღალკვალიფიციურ, კარგად განათლებულ, ასევე დაბალკვალიფიციურ, ნაკლებად განათლებულ სამუშაო ძალას (“Immigrants” 1992). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იმიგრანტების რაოდენობა იზრდება და ამასთანავე ისინი ტრადიციულად აქტიურად მონაწილეობენ სამუშაო ძალაში, მიუთითებს, რომ ისინი შეადგენენ სამუშაო ძალის მზარდ ნაწილს.

შედეგები კაცი და ქალი მშრომელებისათვის

ზემოხსნებულ ეკონომიკურ ცვლილებებს ექნებათ მნიშვნელოვანი გავლენა სამუშაო ძალაში ქალისა და კაცის გათანაბრების პროგრესულ პროცესზე. ამ ცვლილებების შედეგები თავს იჩენს შემდეგ ხუთ სფეროში: სამუშაო ძალაში მონაწილეობა, სეგრეგაცია სქესობრივი ნიშნის მიხედვით, განსხვავებული ანაზღაურება, სამუშაოსათვის გენდერული მახასიათებლების მინიჭება და ურთიერთობა ოჯახსა და სამსახურს შორის.

სამუშაო ძალაში მონაწილეობა

საზოგადოებამ ქალები მიაკუთვნა სამუშაო ძალას. 1990-2005 წლებში სამუშაო ძალის ზრდის 62% მოვა ქალ მშრომელებზე, ხოლო კაცების მონაწილეობა სამუშაო ძალაში ოდნავ შემცირდება. შედეგად 2005 წელს სამოქალაქო სამუშაო ძალის 47.7%-ს შეადგენენ ქალები (U.S. Women’s Bureau 1992). ფერადკანიან ქალთა ხვედრითი წილი სამუშაო ძალაში გადააჭარბებს თეთრკანიან ქალთა რაოდენობას: 1990-2005 წლებში ლათინო-ამერიკელ და აზიელ ქალთა მონაწილეობის დონე გაიზრდება 80%-ით, აფრო-ამერიკელი ქალების 34%-ით და თეთრკანიანი ქალების მონაწილეობა 23%-ით (U.S. Women’s Bureau 1992).

XXI საუკუნის დასაწყისში შრომისუნარიან ქალთა 61% შევა სამუშაო ძალაში (Fullerton 1987) და გაიზრდება 1992 წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 57.8%-ს. სულ რაღაც 30 წლის წინ მკვლევრები იკვლევდნენ რამდენად განაპირობებდა დედის დასაქმებულობა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულს. ახლა კოლეჯდამთავრებულ ახალგაზრდა ქალთა უმეტესობა მუშაობს სრული სამუშაო განაკვეთით. შედეგად მკვლევრები და ფედერალური სააგენტოები სვამენ კითხვას, თუ როგორ უნდა შეუწყოს ხელი საზოგადოებამ ქალთა მონაწილებას სამუშაო ძალაში, ხოლო დამქირავებლები ეძიებენ გზებს, რათა დააკმაყოფილონ ქალ მშრომელებზე მზარდი დამოკიდებულება.

სეგრეგაცია სქესობრივი ნიშნის მიხედვით

წიგნის წინასიტყვაობაში აღწერილი იყო მომავალი დამქირავებლების არათანაბარი დამოკიდებულება გამწვანების ფირმაში მენეჯერის ვაკანტურ თანამდებობაზე მუშაობის მსურველი ქალი და კაცი აპლიკანტების მიმართ. 2005 წლისთვის მომავალი დამქირავებლების მიერ უნდა ველოდოთ თუ არა ქალისა და კაცის მიმართ უფრო თანაბარ დამოკიდებულებას, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა 1993 წლის ზაფხულში ცინცინატელი დამქირავებლის მხრიდან? ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ ახდენს გავლენას ეკონომიკური რესტურქტურირება და სამუშაო გარემოს ცვალებადი ბუნება სქესობრივი ნიშნის მიხედვით სეგრეგაციის ხარისხზე XXI საუკუნეში.

სეგრეგაციის საერთო დონე მომავალში ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება მიმდინარე ტენდენციებზე საქმიანობის იმ სფეროებში, რომლებშიც სეგრეგაცია ძალიან ძლიერია. ისეთი სამუშაოების ზრდა, რომელშიც ქალები უმრავლესობას წარმოადგენენ, მაგალითად, საკანცელარიო საქმიანობა, ექთნის თანაშემწეები, სასურსათო მაღაზიის თანამშრომლები, გაზრდის სქესობრივი ნიშნის მიხედვით სეგრეგაციას სამუშაო ადგილზე[14]. მეორე მხრივ, მაღალკვალიფიციური და ნახევრადკვალიფიციური კაცი მშრომელებით დასაქმებული სამუშაო ადგილების შემცირება ხელს შეუწყობს ქალური სამუშაო ადგილების ზრდით განპირობებული სეგრეგაციული შედეგების გამრავალფეროვნებას. აშკარაა, რომ სეგრეგაცია, რომელიც განპირობებულია სასურველი სამუშაოს დაკარგვით, არავის ინტერესებში არ შედის. ინტეგრაციის ის სახე, რომელიც სასარგებლო იქნება ქალებისა და საზოგადოებისათვის, გააფართოებს ქალთა შეღწევის შესაძლებლობებს, როგორც კარგ, ასევე ნაკლებად კარგ სამუშაოებზე.

სამუშაო ადგილზე სქესობრივი სეგრეგაციის გაგრძელებას ორი ფაქტორი განაპირობებს. მართალია, სამუშაო ამოცანების გართულების ტენდენცია სასარგებლოა კარგად განათლებული, კომპიუტერული უნარ-ჩვევების მქონე ქალი მშრომელებისათვის, უმცირესობებისა და იმიგრანტებისათვის, მაგრამ საპირისპიროდ, სამუშაო ამოცანების გაადვილების ტენდენცია მშრომელთა დანარჩენ კატეგორიას აქვეითებს დაბალკავლიფიცირებულ სამუშაოებზე. უფრო მეტიც, რადგანაც ეკონომიკის რესტრუქტურირების პროცესი ამცირებს ისეთ მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს, რომლებზეც დასაქმებულთა უმეტესობას კაცები წარმოადგენდნენ. ეს უკანასკნელნი სავარაუდოდ, წინააღმდეგობას გაუწევენ ქალთა შეღწევას იმ სამუშაოებზე, რომლებიც ტრადიციულად კაცის სამუშაოდ ითვლებოდა.

თუ განვიხილავთ დადებითი მხრიდან, დიპლომი და სამუშაო გამოცდილება, რომლებიც ქალებს მიაქვთ სამუშაოზე, უფრო და უფრო ჰგავს კაცებისას, ამდენად, დამქირავებლებს, სავარაუდოდ, ორივე სქესის მშრომელებთან ექნებათ თანაბარი დამოკიდებულება. გარდა ამისა, რადგანაც დამქირავებლები არატრადიციულ სამუშაოზე დასაქმებული კომპეტენტური ქალი თანამშრომლებისაგან იღებენ უფრო მეტ გამოცდილებას, კონკურენტული გარემოს ზეწოლამ, რაც აიძულებს დამქირავებლებს დაიქირაონ საუკეთესო ხელმისაწვდომი თანამშრომლები, შეიძლება მისცეს მაზ სტიმული დაიქირაონ უფრო მეტი ქალები.

2000 წლისათვის მოსალოდნელია სამუშაო ძალაში ქალთა, არათეთრკანიანთა და იმიგრანტთა მზარდი მონაწილეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელნი მზარდად შეეცილებიან "თეთრი კანისა... და ფრთის ბოლოს მქონე ადამიანებს" კარგ სამუშაო ადგილებში (White 1992:35). მაგალითად, თუ გამწვანების სამსახური ეძებს 10 ახალ თანამშრომელს და 10 საუკეთესო კანდიდატიდან 6 ქალია, ამ შემთხვევაში არსებობს კარგი შანსი იმისა, რომ კომპანიამ სამუშაოზე

[14] სქესობრივი ნიშნის მიხედვით სეგრეგაციის ზრდა ნაწილობრივ განპირობებული იქნება ისეთი არასტაბილური სამუშაო ადგილების ზრდით, რომლებზეც ქალებს დომინანტური მდგომარეობა უკავიათ (Callaghan and Hartman 1991). დამქირავებლები, რომლებიც ეძებენ მშრომელებს არასტაბილურ სამუშაოზე დასასაქმებლად, ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ იმ ჯგუფებზე, რომლებიც მდებარეობენ შრომის იერარქიის დაბალ საფეხურებზე. ასეთებია: ქალები, უმცირესობები, ახალგაზრდობა და ასაკოვანი მშრომელები (Sweeney and Nussbaum 1989). განვიხილოთ დროებით დასაქმებული და არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე მუშაკები: 1980-იანი წლების ბოლოს ქალები შეადგენდნენ მშრომელთა საერთო რაოდენობის 45%-ს, ხოლო დროებით დასაქმებული და არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე მშრომელთა ორ მესამედს (Tilly 1991). აფრო-ამერიკელები ასევე მნიშვნელოვნად არიან წარმოდგენილნი დროებით დასაქმებულთა შორის: 1980-იანი წლების შუა ხანებში ისინი მთელი სამუშაო ძალის 10.4%-ს, ხოლო დროებით დასაქმებულთა 12%-ს შეადგენდნენ (Howe 1986).

აიყვანოს ქალი თანამშრომლები. თუმცა იმისათვის, რომ ქალებმა, უმცირესობებმა და იმიგრანტებმა, რომლებიც ძირითადად თავმოყრილნი არიან სამუშაო ბაზრის დაბალ საფეხურებზე, აიმაღლონ სტატუსი და გადაინაცვლონ შედარებით მაღალ საფეხურებზე, აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები.

სამუშაო ძალაში ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობის ზრდა არ ნიშნავს, რომ მათი დასაქმების შესაძლებლობებიც იზრდება. ამ კატეგორიის მშრომელები დასაქმებულნი არიან ისეთ სამუშაოებზე, რომელთა რაოდენობაც მცირდება და ასევე ნაკლებად არიან წარმოდგენილნი სწრაფად მზარდ კვალიფიციურ სამუშაოებზე (Kutscher 1991:9 Silvestry abd Lukasiewicz 1991:92). გარდა ამისა, უმცირესობათა განათლებისა და სამუშაო გამოცდილების დაბალი დონე, დისკრიმინაციასთან ერთად შეზღუდავს მაღალანაზღაურებად სამუშაოებზე მათი შელწევის შესაძლებლობებს. მაგალითად, 1990 წელს მათემატიკური და კომპიუტერული სფეროს სწრაფად მზარდ სამუშაოებზე დასაქმებულთა მხოლოდ 7%-ს წარმოადგენდნე აფრო-ამერიკელი, ხოლო 3%-ს ლათინო-ამერიკელ მშრომელები (Silvestry and Lukasiewicz 1991). მშრომელები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობათა ზემოაღნიშულ ორ ჯგუფს, ჯერ კიდევ შეადგენენ ისეთ კლებად საქმიანობებზე დასაქმებულთა 14%-ს, როგორებიცაა სამანქანო ოპერაციები, ამწყობები და ზედამხედველები.

დაწინაურების შესაძლებლობებს შორის არსებული განსხვავება. გაზრდის თუ არა ეკონომიკური რესტრუქტურირება ქალთა დაწინაურების შანსებს? სავარაუდოდ, არა. დამქირავებლები მზარდი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, რომლის თანმხლები მოვლენაა სამუშაო ადგილების შემცირება, აუქმებენ საშუალო-მენჯმენტის ტიპის სამუშაოებს. ამგვარი ეკონომია, სავარაუდოდ, ხელს შეუშლის ქალებისა და უმცირესობების დაწინაურებას სამი მიზეზის გამო. პირველი: უხილავმა ზღვარმა ქალებისა და უმცირესობების უმეტესობა მოაქცია ზუსტად საშუალო მენეჯმენტის ტიპის სამუშაოებზე, რომელთაც ემუქრებათ გაუქმება, და ამგვარად მშრომელთა ეს კატეგორია იმყოფება უმუშევრად დარჩენის რისკის ქვეშ. მსგავსად ამისა, ქალებისა და უმცირესობების თავმოყრა ისეთ საშტატო თანამდებობებზე, რომლებიც არ არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციების განხორციელებისათვის, მაგალითად, პირადი შემადგენლობა, საზოგადოებრივი ურთიერთობები და პოზიტიური საქმიანობა*, მშრომელთა აღნიშნულ კატეგორიას ასევე აყენებს უმუშევრად დარჩენის რისკის ქვეშ. მეორე: საშუალო მენეჯმენტის ტიპის სამუშაოების გაუქმება მოშლის არსებულ კარიერულ საფეხურებს, რომლებიც დაბალი დონის სამუშაოებზე დასაქმებულებს უქმნიან შესაძლებლობას გამოაღწიონ ქვედა ეშელონებიდან. მესამე: რადგანაც მაღალი რანგის სამუშაოები მოითხოვენ სწავლებისა და კვალიფიკაციის თანამედროვე დონეს, დამქირავებლები სავარაუდოდ ძველ თანამშრომლებთან შედარებით უპირატესობას მიანიჭებენ გარედან მოსულ ახალ კურსადმთავრებულებს (Acker 1992).

სამსახურეობრივ უფლებამოსილებებს შორის არსებული განსხვავება. ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები, სავარაუდოდ, არ გააუმჯობესებს ქალთა და უმცირესობათა შესაძლებლობებს გაზარდონ თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილება. რა თქმა უნდა, ქალთა ნაწილი შეიძლება დაინიშნოს ახალ, ავტონომიურ თანამდებობებზე, რომლებზეც მათ ექნებად სამსახურებრივი ძალაუფლება. თუმცა დღესდღეობით მომსახურების სექტორში არსებული სამუშაოები, რომლებზეც ძირითადად დასაქმებულნი არიან ქალები, განეკუთვნება იმ სამუშაოებს, რომელთა კვალიფიკაციის დონეს დამქირავებლები ყველაზე ხშირად ამცირებენ ან გადაანაცვლებენ არასტაბილურ სამუშაოთა რიგში (Eitzen and Baca-zinn 1992). სავარაუდოდ, ქალთა უმეტესობა ვერ შეძლებს გვერდი აუაროს უფლებამოსილებებს შორის არსებულ განსხვავებას მანამ, ვიდრე მთავრობა არ შეიმუშავებს

* ამერიკული ტერმინია და აღნიშნავს პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც მიმართულია რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

კანონს, რომელიც დაიცავს ქალებისა და უმცირესობათა უფლებას დაინიშნონ თანამდებებობზე. უხილავი ზღვარის შესახებ აშშ-ს შრომის დეპარტამენტის უახლესი ინიციატივა 1991 წელს მიღებული კანონის განხორციელებასთან დაკავშირებით მცირე ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

სამუშაოების პოლარიზებას, ერთი მხრივ, ისეთ სამუშაოებად, რომლებიც გვთავაზობენ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და, მეორე მხრივ, სამუშაოებად, რომელთაც მსგავსი უფლებამოსილება არ გააჩნიათ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ტრადიციულად ქალურ სამუშაოებში (Acker 1992). სწორედ ამით განსხვავდება ერთმანეთისაგან რუტინული, დაბალანაზღაურებადი, ხელმძღვანელობის მხრიდან მკაცრად კონტროლირებადი და, შესაბამისად, არარუტინული, მაღალ-ანაზღაურებადი, დამოუკიდებელი სამუშაოები. მაგალითად, ექთნისა და ექთნის დამხმარის სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება (Glazer 1991). ახალმა ტექნოლოგიებმა აამაღლეს ლიცენზირებული ექთნის სამუშაოსთან დაკავშირებული კვალიფიკაციური მოთხოვნები მაშინ, როცა ექთნის დამხმარის სამუშაო დაბალკვალიფიციურია და სახელფასო განაკვეთი ამ სამუშაოზე მინიმალურს უტოლდება. ფერადკანიანი ქალი მშრომელები არაპროპორციულად არიან თავმოყრილნი ნაკლებად სასურველ ტრადიციულ ქალურ სამუშაოებზე და, ამდენად, პოლარიზაცია ამ სამუშაოებს შორის, სავარაუდოდ, წარმოშობს იმ ახალ ბარიერებს, რომლებიც ამცირებენ უფლებამოსილ თანამდებობებზე ქალთა დანიშვნის შესაძლებლობებს.

მეორე ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გააღრმავოს უფლებამოსილებებს შორის არსებული განსხვავება, არის კომპიუტერიზაცია. კომპიუტერიზაცია საშუალებას აძლევს ხელმძღვანელებს განახორციელონ უფრო ახლო ზედამხედველობა დაბალი რანგის მშრომელებზე, რომელთა უმეტესობასაც ქალები და ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ. 1987 წელს ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ დამქირავებლები იყენებენ კომპიუტერებს, რათა გააკონტროლონ 4-დან 6 მილიონამდე მშრომელი (Sweeney and Nussbaum 1989:155). მაგალითად, ერთ-ერთი სატელეფონო კომპანია ოპერატორებს თითოეულ კლიენტთან მომსახურებისათვის მხოლოდ ოც წამს უწესებდა. ოპერატორები ჩიოდნენ, რომ ეს დრო არ იყო საკმარისი კლიენტთა მომსახურებისათვის, რის გამოც ისინი ხშირად ამ უკანასკნელთ არასწორ სატელეფონო ნომრებს აძლევდნენ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისინი გაეთიშათ ქსელიდან და მიეღოთ ახალი ზარები (Sweeney and Nussbaum 1989:155).

ჩატარებული კვლევები მიანიშნებენ, რომ მშრომელთა კვალიფიკაციისა და მოვალეობების ზრდის ტენდენცია უფრო სასარგებლოა კაცებისათვის, ვიდრე ქალებისათვის. როდესაც შვედეთის ბანკებმა ქალ მოლარეებს მენეჯერთა ზოგიერთი მოვალეობის შესრულება დაავალეს, მაგალითად, სესხის დამტკიცება, ინვესტიციებსა და გადასახადებთან დაკავშირებით კლიენტებისათვის რჩევის მიცემა, მათ ეს ცვლილებები არ მიიჩნიეს ქალ მოლარეთა კვალიფიკაციური დონის ამაღლებად (Acker 1992). ის, თუ რამდენად ზრდის კვალიფიკაციის დონის ამაღლება უფლებამოსილების დონეს ნაწილობრივ დამოკიდებულია დამქირავებლეთა სურვილზე აღიარონ ქალის მიერ შესრულებული სამუშაო კვლიფიცირებულ სამუშად.

განსხვავებული ანაზღაურება. ეკონომიკურმა და დემოგრაფიულმა ტენდენციებმა შეიძლება შეამციროს ხელფასის განაკვეთებს შორის არსებული განსხვავებები, თუმცა ამის მიზეზი, სავარაუდოდ, იქნება კაცთა ანაზღაურების დონის შემცირება და არა ქალთა ხელფასის რაოდენობის ზრდა. 2000 წლისათვის ათი ყველაზე გავრცელებული სამუშაოდან ხუთში ანაზღაურების დონე სიღარიბის დონის მაჩვენებელზე დაბალი იქნება (Silvestri and Lukasiewicz 1987). ამგვარად, დამკვირვებელთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ რესტრუქტურირების საერთო შედეგი რიგითი მშრომელების ხელფასებთან დაკავშირებით უარყოფითია და, სავარაუდოდ, ასე გაგრძელდება (Harrison and Bluestone 1988; Phillips 1990). ეკონომიკური ცვლილებების შედეგად უმუშევრად დარჩენის რისკი კიდევ უფრო გაიზარდა, რადგანაც სამუშაო ადგილები აშშ-დან გატანილი იქნა იმ ქვეყნებში, რომლებშიც შრომის ანაზღაურების დონე ნაკლებია.

წარმოებაში სამუშაო ადგილების შემცირება განსაკუთრებით ზარალის მომტანი აღმოჩნდა ფერადკანიანი მშრომელებისათვის, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა შეძლო საშუალო კლასში გადასვლა მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ ისინი დასაქმებულნი იყვნენ მძიმე მრეწველობაში, სადაც მშრომელთა დიდი ნაწილი პროფკავშირებშია გაერთიანებული (Wilson 1991; Higginbotham 1992). აღნიშნული სამუშაო ადგილები ჩაანაცვლა დაბალანაზღაურებადმა სამუშაოებმა ან საერთოდ გაუქმდა (Higginbotham 1992:187). ქალებმა, რომელთაც იპვეს სამუშაოები მრეწველობის იმ დარგებში, რომლებშიც ტრადიციულად გამოიყენებოდა ლურჯსაყელოიან კაცთა შრომა, დაკარგეს სამსახურები. თუმცა ზოგადად, მრეწველობის შემცირების შედეგად თეთრკანიანმა მამაკაცმა მშრომელებმა შემოსავლის უფრო დიდი ნაწილი დაკარგეს, ვიდრე ქალებმა, რადგანაც მათ უფრო მეტი ჰქონდათ დასაკარგი. მათი გამომუშავების დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალებისა და ეთნიკური უმცირესობების და უფრო მეტად იყვნენ დასაქმებულნი მძიმე მრეწ-ველობაში, სექტორში, რომელმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო ეკონომიკის გარდაქმნის შედეგად (Acker 1992).

ამავდროულად გაიზარდა მომსახურების სექტორი. თუ დავუბრუნდებით 9.1 ცხრილს, ვნახავთ, რომ ზრდის ტემპები კვლავაც მაღალი იქნება მომსახურების სექტორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მაღალკვალიფიციური, მმართველობითი და ტექნიკური სფეროები, რომლებშიც ანაზღაურების დონე მაღალია (Acker 1992). მაგრამ ზრდის უდიდესი ნაწილი შეეხება მომსახურების სექტორის დაბალანაზღაურებად სამუშაოებს, რომლებშიც ძირითადად დასაქმებულნი არიან ქალები, უმცირესობები და იმიგრანტები.

მთლიანობაში ხელფასის დონეებს შორის არსებული განსხვავება უნდა შემცირდეს, რადგან ქალები სრულყოფენ თავიანთ სამუშაო გამოცდილებას. ასევე სახელფასო განაკვეთებს შორის განსხვავება შემცირდება, თუ გაიზრდება ქალი მშრომელების რაოდენობა მამაკაცურ თანამდებობებზე. კაცთა საშუალო ხელფასის კლება, რაც განპირობებულია მრეწველობაში სამუშაო ადგილების შემცირებითა და მომსახურების სფეროს წინ წამოწევით, ხელს შეუწყობს ხელფასის დონეებს შორის არსებული განსხვავებების შემცირებას, თუმცა არ გააუმჯობესებს ქალის ან კაცის ეკონომიკურ მდგომარეობას.

სამუშაოსათვის გენდერული მახასიათებლების მინიჭება

დამქირავებლებს, ისევე, როგორც მამაკაც და ქალ მშრომელებს, შეაქვთ წვლილი სამუშა-ოსათვის გენდერული მახასიათებლების მინიჭებაში. გენდერული მახასიათებლებით განსაზღვრუ-ლი სამუშაოს ერთ-ერთი კონკრეტული უარყოფითი შედეგი არის სექსუალური ზეწოლა. თუმცა მომავალი ამ მიმართულებით ოპტიმისტურია. დიდ კომპანიათა უმეტესობამ განახორციელა სხვადასხვა პროგრამა და ჩაატარა სწავლება, რომლებიც მიმართული იყო სექსუალური ზეწოლის წინააღმდეგ. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც დამქირავებლებს აკისრებს პასუხისმგებლობას სამსახურში სექსუალური ზეწოლის გამო. აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს მიერ 1993 წელს მიღებული ერთსულოვანი გადაწყვეტილება (Teresa Harris v. Folklift Systems) ერთგვარ საფუძველს უქმნის მშრომელებს გაასაჩივრონ სექსუალური ზეწოლის ფაქტები და ამისათვის მათ არ მოეთხოვებათ იმის მტკიცება, რომ მათ განიცადეს მორალური ზარალი. დამქირავებელთა იძულება განსაზღვრონ თუ როგორ უწყობს ხელს სამუშაო გარემო სექსუალურ ზეწოლას და მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მნიშვნე-ლოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

აღშფოთებით უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული მახასიათებლები სამუშაოში ღრმად არის გამჯდარი. New York Times-ის ჟურნალისტმა, არტურ ოქს სულზბერგერ უმცროსმა, რო-მელიც მხარს უჭერს ქალთათვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებას, განაცხადა, რომ მისი სურვილია საკუთარ ვაჟიშვილს დაუტოვოს იმაზე უფრო ეგალიტარული გაზეთი, ვიდრე მან წინამორბედებისაგან მიიღო. მათთვის, ვინც მომავალში განსაზღვრავს საზოგადოებრივ აზრს, ეს

განცხადება შეიძლება წამახალისებელი იყოს, თუმცა მანამ, ვიდრე შიტყობს, რომ სულზბერგერს ვაჟიშვილის გარდა ქალიშვილიც ჰყავდა. (N. Robertson 1992:252). ყველაზე კეთილგანწყობილი კაციც კი, შეიძლება, ვერ ხედავდეს საკუთარ გენდერულ გადახრებს–მაგალითად, დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ვაჟიშვილი და არა ქალიშვილი იღებს მემკვიდრეობით ოჯახურ ბიზნესს.

მშრომელები კვლავაც ანიჭებენ სამუშაოს გენდერულ მახასიათებლებს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გენდერი დიდი კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია და, მეორეც, იმიტომ, რომ მშრომელებს სურთ დაიცვან თავანთი მატერიალური ინტერესები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ თავში განხილული ოთხი მთავარი ტენდენცია, განსაკუთრებით სამუშაო ამოცანების გამარტივება და სამუშაო ადგილების შემცირება წარმოების სექტორში, ზიანს აყენებს მამაკაცებს, როგორც ჯგუფს, კაცი მშრომელები კვლავაც გამოიყენებენ გენდერულ მახასიათებლებს, რათა გაიმყარონ პოზიციები ტრადიციულად მამაკაცურ სამუშაოებზე და შეინარჩუნონ მონოპოლია ძალაუფლებაზე.

ურთიერთობა სამსახურსა და ოჯახს შორის

მერვე თავში აღინიშნა, რომ დამქირავებლები ახდენენ სამუშაოს ორგანიზებას იმ წარმოდგენის საფუძველზე, რომ კარგი მშრომელი არის კაცი, რომელსაც სამსახურის გარდა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ რამდენიმე სხვა მოვალეობა ან საერთოდ არ ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, დამქირავებლები დიდი ხანია მიიჩნევენ, რომ ოჯახსა და სამსახურს შორის არსებული კონფლიქტის დროს უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს. მომავალში დარჩება თუ არა სამუშაო მშრომელთა ცხოვრების პრიორიტეტულ მიმართულებად? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა.

წლების განმავლობაში დამქირავებლები თანდათანობით და ხშირად საკუთარი სურვილის გარეშე ერგებოდნენ მშრომელთა ცხოვრებისეულ რეალობას და მომავალში უფრო მეტ ცვლილებას ექნება ადგილი ამ მიმართულებით. დამქირავებელთა ნაწილმა შეიმუშავა საოჯახო პოლიტიკა ჯერ კიდევ 1965 წელს და ამ პოლიტიკის დიდი ნაწილი შეუთავსდა სამუშაო ბიუროკრატიას. მართალია, აშშ-ში მთავრობის საოჯახო პოლიტიკა არ არის ისეთი სრულყოფილი, როგორც სხვა განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა მშრომელთა 60%-ზე მეტი სარგებლობს საკადრო პოლიტიკით, რაც საშუალებას აძლევს ოჯახთა ნაწილს ერთმანეთს შეუთავსოს ოჯახი და სამუშაო. მაგრამ მხოლოდ დამქირავებელთა მცირე ნაწილი სთავაზობს თანამშრომლებს დახმარების ყველაზე სასარგებლო ფორმებს. ოჯახსა და სამსახურს შორის არსებული კონფლიქტის შემსუბუქების მიზნით კონგრესმა 1993 წელს მიიღო კანონი შვებულებისა და ბიულეტინის შესახებ. კანონი დამქირავებლებისაგან მოითხოვს უზრუნველყონ სამუშაო ადგილის შენარჩუნება როგორც ქალი, ასევე კაცი თანამშრომლებისათვის, როდესაც ისინი ოჯახში არსებული კრიზისის ან სხვა მიზეზის გამო ითხოვენ გარკვეულ დროს სამსახურისაგან. ბიულეტინისა და შვებულების შესახებ კანონი ფორმალურად აღიარებს, რომ მშრომელებს აქვთ უფლება დაიკმაყოფილონ ოჯახური მოთხოვნები ისე, რომ ამას არ შესწირონ სამსახური.

დამქირავებელთა მზარდი ნდობა სახლიდან მომუშავეებისადმი და პატარა, ოჯახური საქმიანობების ზრდა, როგორც ჩანს, განამტკიცებს სექსუალური ნიშნის მიხედვით ცოლებსა და ქმრებს შორის სამუშაოს არათანაბარ დაყოფას. მოლოდინები, რომ ქალებს უნდა ჰქონდეთ თითქმის საოჯახო სამუშაოს შესრულებისა და ბავშვის მოვლის ექსკლუზიური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 1975 წელს დასაქმებულთა შორის კაცები საოჯახო საქმიანობაზე ხარჯავდნენ ქალების მიერ იგივე საქმიანობის შესრულებაზე დახარჯული დროის 46%-ს. 1987 წელს იგივე მაჩვენებელი 57%-ს გაუტოლდა. თუმცა ამგვარი გაუმჯობესების მიზეზი იყო წყვილთა მიერ სხვადასხვა საოჯახო სამუშაოს შესრულებზე უარის თქმა ან სხვათა დაქირავება და არა კაცის მიერ მეტი საოჯახო საქმიანობის შესრულება (Shelton 1992:74-5). ტემპი, რომლითაც საოჯახო შრომის გადანაწილება, მეტად გათანაბრდება ქალსა და კაცს შორის, დამოკიდებულია ქალთა შესაძლებლობებსა და სურვილზე დაჟინებით მოსთხოვონ პარტნიორებს საოჯახო სამუშაოს შესრულება. და მათი შესაძლებლობა მოითხოვონ საოჯახო სამუშაოების თანაბარი გა-

ნაწილება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად უთანაბრდებიან ქალები მამაკაცებს გადასახადების გადახდისა და სამუშაო სტატუსის მიხედვით.

დასკვნა

ქალებმა განიცადეს უდიდესი პროგრესი უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. დამქირავებელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა სქესის მშრომელებს ეპყრობა უფრო სამართლიანად, ვიდრე წარსულში. განვიხილოთ ერთ-ერთი ორგანიზაციის შემთხვევა: ჯანმრთელობის ეროვნულმა ინსტიტუტმა საკუთარ ინსტიტუტში ჩაატარა კვლევა, რათა გარკვეულიყო, იყო თუ არა თანაბარი დამოკიდებულება კაცი და ქალი თანამშრომლების მიმართ. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მსგავს თანამდებობებზე კაცთა ხელფასი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალებისა, ხოლო მსგავსი დიპლომის მქონე მამაკაც და ქალ თანაშრომლებს შორის დაწინაურების შესაძლებლობა უფრო მაღალი იყო მამაკაცებს შორის. ორგანიზაციის დირექტორმა და მის დაქვემდებარებაში მყოფმა ქალმა თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ მიიღეს ზომები: ორგანიზაციამ შემოიღო პოლიტიკა კარიერულ საფეხურებზე სქესობრივი დისკრიმინაციის აღმოსაფხრელად, განახორციელა საშვებულებო პოლიტიკა, აიღო ვალდებულება ერთმანეთისათვის გაეთანაბრებინა კაცი და ქალი თანამშრომელბის ხელფასები და შექმნა კომისია, რომელიც დისციპლინურ სასჯელს დაადებდა დისკრიმინაციაში ან სექსუალურ ზეწოლაში მონაწილე თანამშრომელს (Watson 1993:889). როგორც თვით კვლევა, ასევე ორგანიზაციის რეაქცია კვლევის შედეგებზე წარმოუდგენელი იყო 30 წლის წინ. დღესდღეობით ორგანიზაციები თანასწორობის საკითხს სერიოზულად უდგებიან. სექსუალური დისკრიმინაციის მიმართ ორგანიზაციათა მზარდ ყურადღებას მხოლოდ დროის სვლით ვერ ავხსნით. აღსანიშნავია, რომ, როცა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციამ ჩაატარა თვით კვლევა და გაატარა კვლევის შედეგების საპასუხო ღონისძიებები, ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ქალი.

იმ ორგანიზაციათა მცირე ნაწილი, რომელთაც სათავეში უდგანან ქალები, ახორციელებენ მსგავს ცვლილებებს. ამიტომ ისა თუ რამდენად სწრაფად აღწევს ქალი მშრომელი თანასწორობას, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქალი თანამშრომლების მიერ დამქირავებლების, კანონმდებლებისა და აღმასრულებლების მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე. 1960-იანი წლების შემდეგ სამუშაო ძალაში უმაღლესი განათლების მქონე ქალი მშრომელების დიდი რაოდენობით შედინებას, რომელთაც უწევდათ როგორც ოჯახის, ასევე სამსახურის მოთხოვნების დაკმაყოფილება, მოჰყვა მათი სქესობრივი დისკრიმინაცია სამსახურში. მათ დამქირავებელბი დაადანაშაულეს დისკრიმინაციაში და აიძულეს ფედერალური მთავრობა აღესრულებინა სქესობრივი დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონი. მათ მითხოვეს და რიგ შემთხვევებში მიიღეს კიდეც ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკი, ასევე მისაღები და ხელმისაწვდომი ბავშვის მოვლის მომსახურება. ქალმა თანამშრომლებმა ასევე მოითხოვეს თანასწორობა ანაზღაურებაში ეს კონცეფცია ისევე, როგორც სექსუალური ზეწოლის კონცეფცია, 20 წლის წინ გამოცემულ ლექსიკონებში საერთოდ ნახსენები არ იყო.

სექსუალური თანასწორობის მოწინააღმდეგეებმა ამ წარმატების საპირისპიროდ 1980-იან წლებში ეფექტური კონტრშეტევა განახორციელეს. კონსერვატორული პოლიტიკის მიმდევრები შეეცადნენ შეემცირებინათ ფედერალური პოზიტიური ქმედების შედეგად დაწესებული მარეგულირებელი ნორმრები, შეეცადნენ შემოეღოთ დისკრიმინაციული კანონმდებლობა და სასამართლოში დისკრიმინაციული ქმედების დამტკიცება უფრო გაართულეს. სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, რომლებიც მხარს უჭერდნენ უფლებათა თანასწორობას, ჩაანაცვლეს თანასწორობის მოწინააღმდეგეებით. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გაათავისუფლა დამქირავებელები სამუშაოს დესეგრეგაციის ვალდებულებებისაგან, ასევე 1991 მიიღეს სამოქალაქო უფლებათა აქტი, რომელიც ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტიელბების გაუქმებას.

აღნიშნულმა საპასუხო ქმედებებმა, რომლებიც მიმართული იყო თანაბარი უფლებების წინააღმდეგ, გვასწავლეს, რომ დისკრიმინაციის შემცირებისათვის აუცილებელია მუდმივი ზეწოლა. მიღებული იქნა მნიშვნელოვანი კანონები: სხვა განვითარებული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით ჩვენი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან ფინანსურ ჯარიმებს (Bergmann 1986). მთავარი ამოცანა არის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ამ კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფა. ისეთი კანონები, როგორებიცაა, მაგალითად, 1964 წლის სამოქალაქო უფლებათა აქტის VII თავი, იმდენადაა ეფექტური, რამდენად ძლიერიცაა დაზარალებული. უფრო მეტიც, დიდი დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება სასამართლო პროცესს, აიძულებს დისკრიმინაციის მსხვერპლს არ მიმართოს სასამართლოს. სასამართლო პროცესის მოგების შემდეგაც კი გარანტირებული არ არის რაიმე ცვლილება დაზარალებულის სასარგებლოდ. სასამართლოთა გადაწყვეტიელბები, რომლებიც მიყენებული ზარალისათვის დამქირავებლებისაგან მოითხოვენ ფინანსური კომპენსაციის გაცემას, ხშირად არ ეხება დისკრიმინაციულ პოლიტიკასა და პრაქტიკას (Bergmann 1986).

ზეწოლა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რადგან შედეგად შეიძლება გაიზარდოს დამქირავებელთა დანახარჯები დისკირმინაციული ქმედებისათვის. ადვოკატმა განიხილა მსგავსება დისკრიმინაციულ დანახარჯებსა და ბიზნეს დანახარჯებს შორის:

> ავტომობილის დამცავი ქამრის, ან საჰაერო ბალიშის ან ქარხნებში სხადასხვა მოწყობილობებთან მომუშავეთათვის დამცავი საშუალებების არსებობის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ ამ პროდუქციის მწარმოებლებს უფრო ძვირი დაუჯდათ დაშავებული ადამიანების მიერ მოგებული სასამართლო პროცესების შედეგად მათთვის დაკისრებული კომპენსაციის გადახდა (White 1992:201).

სამსახურში თანასწორობის არსებობა დამოკიდებულია დამქირავებლებისა და მთავრობისადმი ამერიკელთა მოთხოვნაზე. წამახალისებელია შემდეგი მაგალითის მოყვანა: ქალი და კაცი მშრომელები გაერთიანდნენ საკუთარი სამოქალაქო და მშრომელთა უფლებების დასაცავად, როდესაც მიჩიგანში მდებარე იპსილანტის რაიონმა უჩივლა General Motors-ს იმის გამო, რომ მან ჯერ მიიღო საზოგადოებრივი ინიციატივა წარმოება დარჩენილიყო ქალქაში და შემდეგ კი გადაანაცვლა იმ მხარეში, სადაც ანაზღაურების დაბალი დონე იყო. მექსიკაში საზღვართან მდებარე ამერიკულ საწარმოებში მომუშავე ქალმა მშრომელებმა ჩამოაყალიბეს *Comite Fronterizo de Obreras* (ქალ მშრომელთა სასაზღვრო კომიტეტი), რომელიც წარმატებით იბრძოდა მაღალი ხელფასებისათვის, სამრეწველო ქიმიკატებისაგან მშრომელთა დასაცავად და იმისათვის, რომ დამქირევებლები იძულებით დამორჩილებოდნენ მექსიკურ კანონმდებლობას. მშრომელებმა გაზარდეს თავიანთი უფლებამოსილება იმით, რომ კავშირები დაამყარეს აშშ-ს ეკლესიასთან და კეთილგანწობილ პროფკავშირებთან. ამჟამად ისინი ეძებენ გზებს, რათა უზრუნველყონ მსგავსი ცვლილებები ამ საწარმოებში. ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ მშრომელები, რომლებიც იბრძვიან, იმარჯვებენ კიდეც.

მედია და დამქირავებლები ხშირად აცხადებენ, რომ სქესობრივი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია წარსულს ჩაბარდა. ისინი ამტკიცებენ, რომ ბარიერები აღარ არსებობს: ქალებს კაცების მსგავსად შეუძლიათ წარმატების მიღწევა დამოუკიდებლად. ზეწოლის შემთხვევაში მათ შეიძლება აღიარონ, რომ ქალთა და კაცთა კარგ სამუშაოზე დანიშვნის, წარმატებისა და თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობები არათანაბარია. მაგრამ ისინი გვახსენებენ ამერიკულ ოცნებას, რომელიც ამბობს: თუ შენ ხარ მეორე ნომერი, ავის კარ რენტალის მსგავსად, შენ უბრალოდ უფრო მონდომებით უნდა სცადო. თუ შენ ხარ ავისი, ამ სტრატეგიამ შეიძლება იმუშაოს, რადგან ჰერთზი არ ადგენს წესებს. ქალებს კვალვაც უწევთ იმ გარემოსთან კონკურენცია, რომელშიც წესებს კაცები ადგენენ. მძიმე სამუშაოს შესრულებისათვის შესაბამის ანაზღაურებას ქალთა მხოლოდ მცირე ნაწილი იღებს, ისინი, ვისაც აქვს შესაბამისი კლასობრივი მდგომარეობა, განათლება, კანის ფერი, წონა და კარგი იღბალი. ქალთა უმეტესობისათვის, მძიმე

სამუშაო არასაკმარისია, რადგან სქესობრივი უთანასწორობის სისტემას ჰყავს მოსარგებლენი ისევე, როგორც მსხვერპლნი, და ეს მოსარგებლენი ხელს უწყობენ პრობლემის არდანახვას და ეწინააღმდეგებიან რეალურ ცვლილებებს.

წარმატების მისაღწევად აუცილებელია მედიის აქტიური გამოყენება. იმ საზოგადოება, რომელიც მიესალმება სამართლიანობის ერთგულებას, აღიარებს, რომ საზოგადოებრივი ზეწოლის პირველი ნაბიჯი მიმართული უნდა იყოს უსამართლობისაკენ. ახალი მარეგულირებელი ნორმები და არსებული ნორმების უკეთესი აღსრულება არსებითია სამუშაო პროცესსა და მის შედეგებში არათანაბრობის შესამცირებლად. თანასწორობა მნიშვნელოვანია, თუმცა არსებობს პოლიტიკის გარკვეული სახე, რომელიც გააუმჯობესებს სამუშაოს საერთო ხარისხს. ტენდენციები, რომლებიც განვიხილეთ ამ თავში, მიანიშნებს მომავლის გაუარესების შესაძლებლობებზე, რაც გულისხმობს არასტაბილურ და დაბალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებულთა ხვედრითი წილის ზრდას. ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩვენი საზოგადოება კრიტიკული ერთობაა, რომლის ფარგლებშიც უნდა გავწყვიტოთ ურთიერთობა წარსულში განხორციელებულ პოლიტიკასთან. ამ ანალიტიკოსთა გაკვეული ნაწილი მოუწოდებს მთავრობას განახორციელოს ისეთი პოლიტიკა მრეწველობაში, რომელიც გულისხმობს საგადასახადო ინიციატივებს, რათა დამქირავებელმა შექმნას კარგი სამუშაო, ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც ახორციელებს მშრომელთა უკეთეს კონტროლს და ატარებს დასაქმების ისეთ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს სქესისა და კანის ფერის მიუხედავად მშრომელთა თანაბარ შესაძლებლობებს და სარგებელს (იხ. Harrison and Bluestone 1988; Reich 1991; Thurow 1992). უკეთესი სოციალური და ეკონომიკური მომავლისათვის, რომელშიც თანასწორობას ახლავს უკეთესი სამსახურები ყველა მშრომელისათვის, ჩვენ უნდა ავირჩიოთ ახალი მიმართულება.

9. ზურიკაშვილი, ფ., მაღრაძე, გ., ჭანიშვილი, ნ., ხუციშვილი, გ., ჯორბენაძე, რ., *კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა*, თბილისი, 2003, ტერმინთა განმარტება II თავისთვის, 185-189.

ფერიდე ზურიკაშვილი, გუგული მაღრაძე,
ნანი ჭანიშვილი, გიორგი ხუციშვილი, რევაზ ჯორბენაძე

კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა

მეორე გამოცემა

საქართველოს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა კრიტიკად სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების კაკალავრიატის სტუდენტებისათვის

გამრის განვითარების ფონდი ქალთათვის
პროექტი „ქალები კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისათვის სამხრეთ კავკასიაში"

UNIFEM

თბილისი
2003

II თავისათვის

აბორტი – ორსულობის ხელოვნურად შეჩერება, საშვილოსნოდან ნაყოფის გამოძევება 28 კვირის შესრულებამდე.

ადაპტაცია – ინდივიდის გარემო პირობებისადმი შეგუების პროცესი. იგი მოიცავს: ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ, ფსიქიკურ და სოციალურ დონეებს.

ანდროგენული საზოგადოებები – სადაც ქალის და მამაკაცის როლი ოდნავ ან სულ არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მარგარეტ მიდის ცნობილი გამოკვლევა ახალი გვინეის სამი საზოგადოების შესახებ ანდროგენული საზოგადოების მაგალითს წარმოადგენს. მეცნიერებაში არსებობს ფაქტებზე დაფუძნებული მოსაზრება, რომ ბევრი საზოგადოება ხდება უფრო ანდროგენული, ვიდრე იგი იყო წარსულში.

ანდროგენია – კონცეფცია, რომელიც შემუშავებულია სანდრა ბემის მიერ, რომლის თანახმად ადამიანს, თავისი ბიოლოგიური სქესის მიუხედავად, შეიძლება გააჩნდეს როგორც მამაკაცური ისე ქალური თვისებები, იყოს იგი ქალური ან მამაკაცური რაიმე თვისებაში. ეს საშუალებას იძლევა გენდერულ როლებში გამოიყოს მამაკაცური, ქალური და ანდროგენური მოდელები.

ანდროცენტრიზმი – ანუ მამაკაცზე ცენტრირებულობა. ამაში იგულისხმება როგორც მამაკაცთა ისტორიულად უპირატეს სქესად აღქმა, ასევე ამგვარი აღქმის საფუძველიც: ის, რომ მამაკაცი და მისი გამოცდილება გამოცხადებულია ნორმად და ნეიტრალურ სტანდარტად, ხოლო ქალი ქალისეული გამოცდილება განისაზღვრება როგორც ნორმიდან გადახრა.

ანდროცენტრიზმი – ქალთა ღვაწლის ან პერსპექტივის უგულველყოფა, იდეებში ან კულტურაში და მამაკაცურის განსახიერება.

ანთროპოლოგია – მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანის არსებობის ფუნდამენტალურ საკითხებს ბუნებრივ და ხელოვნურ გარემოში. ფართო გაგებით ის არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის კაცობრიობას, წარმოშობას და განვითარებას. იგი იყოფა ქვედარგებად: ფილოსოფიურ, თეოლოგიურ, კულტურულ, ფსიქოლოგიურ, ბიოლოგიურ, სოციალურ, კოგნიტურ და სხ. ანთროპოლოგიებად.

განწყობა – მზაობა გარკვეული მოქმედებისათვის, არსებობს განწყობის სხვადასხვა ცნებები, მოტორული, ფსიქოლოგიური, სოციალური განწყობა.

გენდერი – ინგლისური ენიდან გავრცელებული ტერმინია. ამ სიტყვას ორმაგი დატვირთვა აქვს, გამოხატავს ბიოლოგიურ სქესს (გრამატიკაში) და აქვს სქესის სოციალური მნიშვნელობაც. თუ სქესი გამოხატავს ბიოლოგიურ (ანატომიურ) განსხვავებას ქალს და მამაკაცს შორის, გენდერი გამოხატავს სქესის ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებს.

გენდერი არის სოციალური რეპრეზენტაციების ერთობლიობა და არა ბუნებით მინიჭებული თვისება.

გენდერი სქესის კულტურული ნიღაბია, ის რასაც ვფიქრობთ სქესზე სოციო–კულტურული წარმოდგენების ფარგლებში, ის რაც გახდა სქესი – მისი სოციალიზაციის პროცესში.

გენდერი სოციო–კულტურული ანალიზის ერთ–ერთი კრიტერიუმია, ისევე როგორც რასა, ეროვნება, ასაკი, სტატუსი და სხვ. გენდერის ცნება ეხება ქალთა და მამაკაცთა თვისებებს, შესაძლებლობებს და ქალთა და მამაკაცთა შორის სოციო–კულტურულ ურთიერთობას. ეს თვისებები, შესაძლებლობები და ურთიერთობები სოციალურადაა აგებული, შეესაბამება გარკვეულ კონტექსტს და ცვალებადია.

გენდერი – კულტურით განსაზღვრული განსხვავებანი ქალურობას და მამაკაცურობას შორის; სოციალურად კონსტრუირებული სქესი, რომელიც წარმოადგენს კულტურაში ჩამოყალიბებულ თვისებათა ნაკრებს, რომელიც მიეწერება ქალსა და მამაკაცს.

გეოგრაფიული გარემო – საზოგადოების გარემომცველი (დედამიწის) ბუნებრივი გარემოს ნაწილი, რომელთანაც საზოგადოება უშუალოდაა დაკავშირებული თავისი საქმიანობით.

გენდერული დიფერენციაცია – პროცესი, რომლის დროსაც ბიოლოგიური განსხვავებანი მამაკაცებსა და ქალებს შორის შეივსება სოციალური მნიშვნელობით და გამოიყენება, როგორც სოციალური კლასიფიკაციის საშუალება.

გენდერული თანასწორობა ნიშნავს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას სხვადასხვა დონეზე; თანაბარი მატერიალური კეთილდღეობა, თანაბარი საშუალებები, ღირებულებათა სისტემა, რომელიც თანასწორობის რწმენას ემყარება, თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში და თანაბარი კონტროლი რესურსებსა და მოგებაზე. თანასწორობა არ ნიშნავს, რომ ქალები და კაცები ერთნაირები უნდა გახდნენ, ეს ნიშნავს, რომ ქალთა და მამაკაცთა უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობა არ იქნება დამოკიდებული იმაზე, ქალად დაიბადა ადამიანი, თუ მამაკაცად. თანასწორობა მოიცავს რაოდენობრივ და თვისობრივ ასპექტებს. რაოდენობრივი ასპექტი ნიშნავს, რომ ქალებისა და მამაკაცების რაოდენობრივად თანაბრად განაწილებას საზოგადოების ყველა სფეროში. თვისობრივი ასპექტი კი თანაბარ წონას აძლევს ქალთა და მამაკაცთა ცოდნას, გამოცდილებას და ღირებულებებს. ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა არ ნიშნავს მხოლოდ ქალებზე კონცენტრირებას. როცა აქცენტი კეთდება გენდერზე და არა ქალებზე, ეს ნიშნავს, რომ ქალთა საკითხები იზოლირებულად, განცალკევებულად არ განიხილება, – არამედ ხდება ქალების და მამაკაცების სხვადასხვა მოთხოვნილების და ინტერესის გაცნობიერება მათ შორის ძალაუფლებრივი ურთიერთობების კონტექსტში.

გენდერული იდენტურობა – პიროვნების მიერ კულტურაში განსაზღვრული მამაკაცურობის ან ქალურობის შემეცნება, გენდერული იდენტურობა დაკავშირებულია ჩვენს წარმოდგენებთან ჩვენს სქესზე: ვგრძნობთ ჩვენს თავს სინამდვილეში მამაკაცად თუ ქალად. ესაა ყველაზე პირველი და ხანგრძლივი განსაზღვრება, რომელსაც ადამიანი აკეთებს. ის შეადგენს მისი თვითშეგნების მყარ ელემენტს, მისი შინაარსი ასაკთან დაკავშირებით იცვლება.

გენდერული იდეოლოგია – იდეების სისტემა, რომელთა საშუალებით გენდერული განსხვავება და გენდერული სტრატიფიკაცია იძენს (იღებს) სოციალურ გამართლებას.

გენდერული მიდგომა გულისხმობს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ქალსაც და მამაკაცსაც. მათ როლებს, მოვალეობებს, მოთხოვნილებებს, პოტენციალს და ა.შ. გენდერული თანასწორობის საკითხი თანაბრად მნიშვნელოვანი უნდა იყოს როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისათვის, რადგან ეს აუცილებელი პირობაა მთელი საზოგადოების განვითარებისათვის.

გენდერული მიდგომა – მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია ჩამოაყალიბოს და განამტკიცოს

პიროვნების თვითრეალიზაციის თანასწორი და სქესისგან დამოუკიდებელი შესაძლებლობის პოლიტიკა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მიდგომა გულისხმობს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ქალსაც და მამაკაცსაც, მათ როლებს, მოვალეობებს, მოთხოვნილებებს, პოტენციალს. გენდერული თანასწორობის საკითხის პრიმატი.

გენდერული როლი – არის სოციალური მოლოდინი, რომელიც გამომდინარეობს იმ გაგებიდან, რომელშიც ყალიბდება გენდერი და ქცევა, რომელიც გამოიხატება მეტყველების, ჩაცმის და ჟესტების სახით. გენდერული როლი არის ის როლი, რომელსაც საზოგადოება ანიჭებს ამა თუ იმ სქესს.

გენდერული როლები – კულტურაში არსებული მოლოდინები იმის შესახებ, თუ რა არის შესატყვისი ქცევა კაცისთვის და ქალისთვის

გენდერული სტრატიფიკაცია – არის პროცესი, რომლის საშუალებითად გენდერი ხდება სოციალური სტრატიფიკაციის საფუძველი, გენდერული განსხვავებულობის აღქმა კი სისტემატიურად შეფასებადი და შეფასებული.

გენდერული სტერეოტიპები – ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებები ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე და სოციალურ ქცევაზე

გენდერული სტრატიფიკაცია – მამაკაცთა და ქალთა დაყოფა კლასებად, სტატუსებად და საქმიანობის სახეებად მათ მიერ შესრულებული შრომის მიხედვით: მწარმოებლური მამაკაცისთვის და შიდაოჯახური – ქალისთვის. შესაბამისად მამაკაცის მოქცევა იერარქიის ზედა საფეხურზე, ხოლო ქალისა ქვედაზე.

გენდერული სოციალიზაცია – ქალის და მამაკაცის მიერ ნორმების, ქცევის წესების, განწყობის შეთვისების პროცესი მათ როლებზე, მდგომარეობასა და დანიშნულებაზე კულტურული წარმოდგენების შესაბამისად. სოციალიზაციის მთავარი ასპექტებია: „მითვისება" (სოციალური გამოცდილების შეთვისება, ანუ გარემოს ზემოქმედება ინდივიდზე) და „გათავისება" (სოციალური გამოცდილების კვლავწარმოების პროცესი, ანუ ინდივიდის ზემოქმედება გარემოზე).

გენდერული სოციალიზაცია – პროცესი, რომლის საშუალებით ადამიანი სწავლობს საზოგადოებაში ქცევის მოდელებს, ღირებულებებს და ა.შ. ის რაც შეესაბამება „ქალურობის" და „მამაკაცურობის" ცნებას.

დროის ბიუჯეტი – ამა თუ იმ ადამიანის, ოჯახის ან მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფის მიერ დროის (დღე–ღამის, კვირის, თვის, წლის) დანახარჯის განაწილების დამახასიათებელ მაჩვენებელთა სისტემა. დროის ბიუჯეტში შედის სამუშაო და არასამუშაო დრო.

ეგზოგამია – ქორწინება მოცემული საზოგადოებრივი ჯგუფის გარეთ. საქორწინო ურთიერთობების აკრძალვა ნათესაური, უფრო იშვიათად კი ლოკალურ კოლექტივების წევრებს შორის.

ენდოგამია – ქორწინება ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის შიგნით. ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქორწინება ნებადართულია გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის – ტომის, კასტას, საგვარეულოს ფარგლებში.

მიზოგინია – ქალთმოძულეობა.

ნუკლეარული ოჯახი შედგება მამის, დედისა და შვილისაგან.

პატრიარქატი – საზოგადოებრივი ურთიერთობების ტიპი, რომელიც ეფუძნება მამაკაცთა ბატონობას და ქალების დამორჩილებულ, მეორეხარისხოვან მდგომარეობას. მისი ანტიპოდია მატრიარქატი.

პოლიანდრია – ქორწინების ფორმა, როდესაც ქალს ერთზე მეტი ქმარი ჰყავს.

პოლიგამია – ქორწინებაში ერთზე მეტი წყვილის არსებობა.

პოლიგინია – ქორწინება, როდესაც ქმარს ჰყავს ერთზე მეტი ცოლი.

პორნოგრაფია – ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებაში, თეატრში, კინოსა დაა ა.შ. სქესის ნატურალისტური გამოსახულება, რომელიც ძირითადად უჩვენებს სქესობრივი ქცევის ინსტიქტურ–ინსტრუმენტულ ასპექტებს. ტერმინის განმარტების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, რომელიც ძირითადად გამოწვეულია სოციოკულტურული და სიტუაციური კონტექსტით.

რეპროდუქციული ქცევა – აქტივობა, რომელიც მიმართულია „ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების" დასაკმაყოფილებლად.

სქესიზმი – ადამიანთა დისკრიმინაცია მათი სქესის საფუძველზე

სოციობიოლოგია – მეცნიერება სოციალური ქცევის ბიოლოგიური საფუძვლების შესახებ.

სოციალიზაცია – სოციალური ნორმების, წესების და ქცევის თავისებურებების ათვისების პროცესი, სოციალურ გარემოში შესვლის პროცესი.

სოციალური გარემო – ადამიანის გარემომცველი და მისი ფორმირების, არსებობისა და საქმიანობისათვის საჭირო საზოგადოებრივი, მატერიალური და სულიერ პირობათა ერთობლიობა (იყოფა მაკრო და მიკრო გარემოდ).

სქესი – მამაკაცებისა და ქალების განმასხვავებელი ბიოლოგიური საფუძვლის მქონე კატეგორია.

სქესობრივი დისკრიმინაცია – გენდერული როლები არა მარტო განსხვავდება, ისინი ხშირ შემთხვევაში არათანასწორია. ფესვგადგმულ უთანასწორობას ქალსა და მამაკაცს შორის, ასევე ნორმებს და წარმოდგენებს, რომლებიც ამყარებენ ასეთ წარმოდგენებს სქესიზმი ანუ სქესობრივი დისკრიმინაცია ეწოდება. ამ მოვლენამ შეიძლება უამრავი ფორმა მიიღოს, არსებობს იდეოლოგიური, ინსტიტუციონალური სქესიზმი.

სტერეოტიპი არის საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულება რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლების შესახებ, და ხშირად არ შეესაბამება სინამდვილეს. სტერეოტიპები იცვლება კულტურებსა და დროში სოციალურად მიღებული ქცევა ქალისა და მამაკაცისათვის განსხვავებულია, რასაც ბავშვობიდანვე უნერგავენ ოჯახში, ხოლო შემდგომ განამტკიცებენ, ისეთი სოციალური ინსტიტუტები, როგორებიცაა სკოლა, მედია, საკანონმდებლო დაწესებულებები და სხვ. არჩევენ ნაციონალურ, ასაკობრივ, სოციალურ და სხვა სტერეოტიპებს.

ფემინიზმი – ქალთა მოძრაობა თანასწორობისთვის მამაკაცთან ცხოვრების ყველა სფეროში

ფერტილური პერიოდი – ქალების ცხოვრების ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც მათ აქვთ ბავშვების გაჩენის უნარი. დემოგრაფიაში პერიოდის ხანგრძლივობა განისაზღვრება ფერტილური ასაკის საზღვრებით: 15 – 49 წლები. ე.ი. ფერტილური პერიოდი საშუალოდ შეადგენს 35 წელს.

Joint – extended family – გაფართოებული – მრავალთაობიანი ოჯახი, რომელიც რამდენიმე ნუკლეარული ოჯახისგან შედგება.

ჰამურაბის კანონები – ბაბილონის კანონთა კრებული. შედგენილია ჰამურაბის მეფობის ბოლო წლებში (დაახლოებით ძვ.წ. 1760 წ.). ტექსტი ლურსმულია და წარწერილია ბაზალტის ფირფიტაზე. ჰამურაბის კანონები შედგება შესავლის, 282 მუხლისა და ბოლოთქმისგან. კანონის 68–ე მუხლში განხილულია საოჯახო ურთიერთობები.

თამარ კიკნაძე

ნათელა დონაძე

გენდერი — სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი

მომზადებულია სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის
აკადემიური სტიპენდიის საფუძველზე

თბილისი
2006

ენობრივი რედაქტორი : **ლია კაჭარავა**

დაკაბადონება, ყდის დიზაინი : **გიორგი ბაგრატიონი**

წიგნი მომზადებულია ფონდი "ღია საზოგადოება — საქართველოს" სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის მიერ და გამოცემულია "სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის" (Center for Social Sciences) მიერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით.

The book has been developed by support of Social Sciences Support Program of Open Society Georgia Foundation and published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. № 10
ელ. ფოსტა: contact@ucss.ge
ინტერნეტ გვერდი: www.ucss.ge

ISBN: 99940-873-3-9

შესავალი

თანამედროვე მეცნიერებაში ტერმინი „გენდერი“ (gender), სქესის (sex) ბიოლოგიური გაგებისაგან განსხვავებით, სქესის სოციალური ფენომენისა და სოციოლოგიური დისკურსის აღსანიშნავად იხმარება. იგი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი საბაზისო განზომილებაა, რომელიც სხვა კულტურულ და სოციალურ-დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად (რასა, ასაკი, ეთნოსი, სტრატა) აყალიბებს სოციალურ სისტემას. ეს არის გარკვეულ კულტურაზე დაფუძნებული მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოების ძირითად სოციალურ ინსტიტუტებში კონსტრუირებული სოციალური ურთიერთობების ფუნდამენტური მაჩვენებელი.

ჩგენდერული როლების (მამაკაცებისა და ქალების) განსაზღვრა სუბიექტურია და კონკრეტულ-ისტორიულ ხასიათს ატარებს. თითოეულ საზოგადოებას აქვს თავისი ჩვეულებები, ტრადიციები და ნორმები, რომლებიც სოციალურ-სქესობრივ როლებს განსაზღვრავს.

ჩდღეს გენდერული ურთიერთობები განიხილება როგორც მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (მართვის, პოლიტიკურ, ოჯახის და სხვ.) არსებული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი.

ჩაღნიშნული პრობლემატიკა საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებისა და ანალიზის საგანი გახდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ეს პერიოდი კი დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნებთან. ამ პროცესების გენდერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეწავლა და განზოგადება საშუალებას იძლევა, შემუშავებული იქნეს ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალის რესოციალიზაციას, საზოგადოებაში მისი როლისა და სტატუსის ამაღლებას და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიების ჩამოყალიბებას.

ჩვენ შევეცადეთ შეგვეჯერებინა ამ საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და შეგვექმნა სალექციო კურსი, რომელიც სტუდენტებს დაეხმარება გენდერის პოლიტიკური და სოციალური ასპექტების შესწავლაში.

სალექციო კურსი შეიცავს აგრეთვე სპეციალურ ტერმინებს. მათი ცოდნა ხელს შეუწყობს მკითხველებს აღნიშნული პრობლემატიკის ათვისებაში.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3

თავი I. გენდერი და მისი არსი 5
1. გენდერის ცნება 5
2. სქესის დიალექტიკა 7
3. ქალისა და მამაკაცის, როგორც ბიოსოციალური ფენომენის, მახასიათებლები 8
4. სექსიზმი და მისი არსი 9

თავი II. ფემინიზმის ნაირსახეობები და მათი როლი გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში 12
1. ფემინიზმის წარმოშობის წანამძღვრები 12
2. ფემინისტური თეორიები 13
3. გენდერი და ფემინიზმი 15
4. გენდერი და თანამედროვე ფემინიზმის ტიპოლოგია 17

თავი III. ფემინისტური ეკონომიკური თეორია 20

თავი IV. ქალის როლი თანამედროვე საზოგადოებაში 27
1. ქალის როლის და სტატუსის ევოლუცია თანამედროვე საზოგადოებაში 27
2. სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა საკითხში 30
3. ქალი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები 32
4. ქალის სოციალური სტატუსი როგორც ინტეგრალური მაჩვენებელი 34
5. ქალისა და კაცის იურიდიული თანასწორობა თანამედროვე საზოგადოებაში 35

თავი V. რელიგია და პატრიარქატი 39
1. რელიგიურ-ეთიკური მემკვიდრეობის გავლენა ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართვაზე 39
2. ქალი და იუდაიზმი 40
3. ქალი და ქრისტიანობა. პატრიარქალური სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების ფემინისტური რევიზია 44
4. ქალის სტატუსი ინდუიზმში 48
5. ქალის სოციალურ-პოლიტიკური როლი ისლამში 53
6. ბუდიზმი — სოციალური და სქესობრივი თანასწორობის მცდელობა 60

თავი VI. ქალთა მონაწილეობა თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში - გენდერული კვლევის აქტუალური პრობლემა 65
1. ქალთა მონაწილეობა თანამედროვე სოციალურ-პოლიტკურ პროცესებში 65
2. შეხედულებანი ქალის სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობის შესახებ 67
3. ქალი-პოლიტიკოსის მოღვაწეობის სტილის თავისებურებანი 70
4. პოლიტიკაში ქალის აღქმის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები 72

VII. ქალთა მოძრაობები თანამედროვე მსოფლიოში 77
1. ისტორიული ექსკურსი 77
2. ქალთა მოძრაობა - ქალთა პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი ფაქტორი 79
3. საერთაშორისო ფორუმები - ქალთა მოძრაობის ერთობლივი პროგრამის გამომუშავების მნიშვნელოვანი ფაქტორი 80

თავი VII. გენდერული თანასწორობის პრობლემები საქართველოში 82
I. საქართველო და ქართველი ქალი 82
2. საქართველოს ქალების სოციალური განწყობა 84
3. საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები და ეროვნული მექანიზმები 87
4.საქართველოს ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში 90

დანართი 1 93
დანართი 2 106
დანართი 3 110
დანართი 4 111
დანართი 5 113
დანართი 6 119

თავი I
გენდერი და მისი არსი

1. გენდერის ცნება

კაცობრიობა ქალებისა და კაცებისაგან შედგება. საზოგადოებაში მათ სხვადასხვა ადგილი უკავიათ და განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ, რაც ამა თუ იმ სა

ზოგადოების განვითარების დონით არის განპირობებული. სქესთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის გარეშე შეუძლებელია ადამიანისა და საზოგადოების კომპლექსური შესწავლა, ამიტომ დღეს ეს საკითხი სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის ობიექტს წარმოადგენს, სოციალურ მეცნიერებებში კი მას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს.

სქესის სოციალური თეორია სქესთა შორის არსებული ტრადიციული პატრიარქალური ურთიერთობების ეგალიტარული ურთიერთობებით შეცვლას ითვალისწინებს და უმთავრესი პრინციპის — სქესთა თანასწორუფლებიანობის რეალიზაციას გულისხმობს.

თანამედროვე საზოგადოების განვითარებამ მოითხოვა არსებული მასკულინური საზოგადოებრივი მოწყობის სტრუქტურის, სახელისუფლო ინსტიტუტებისა და კულტურული ნორმების შეცვლა, აგრეთვე ქალური საწყისის, როგორც ინერტულისა და დაქვემდებარებულის, ფილოსოფიურად დასაბუთებული სტერეოტიპის ახლებურად გააზრება.

ამ პროცესის დინამიკის ანალიზის, მისი შედეგის განსაზღვრისა და მასზე ზემოქმედების ზომების შემუშავების დროს სოციოლოგები წააწყდნენ სქესის კატეგორიების კონცეპტუალური დასაბუთების აუცილებლობას.

დღეისათვის მიჩნეულია, რომ სქესს აქვს ბიოლოგიური (sex) და სოციალური (gender) კატეგორიები. ბიოლოგიური კატეგორია ადამიანის ბიოლოგიურ და ანატომიურ თავისებურებებს ითვალისწინებს, ხოლო სოციალური ანუ გენდერულ-სოციოკულტურულ ასპექტებს მოიცავს. მთლიანობაში სქესი ბიოლოგიურისა და სოციალურის ერთობლიობაა. ადამიანური ინდივიდის სქესობრივი იდენტიფიკაცია მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყალიბდება. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ამ ევოლუციური პროცესის პირველი რგოლი — ქრომოსომული (გენეტიკური) ნაკრები - განაყოფიერებისას იქმნება და ორგანიზმის მომავალ გენეტიკურ პროგრამას განსაზღვრავს. ბავშვის დაბადების შემდეგ სქესობრივი იდენტიფიკაციის ბიოლოგიური ფაქტორები სოციალურით ივსება. არსებული გარემოცვის ზეგავლენით ხდება სრული თვითაღქმა და მასთან დაკავშირებულ ინტერესთა, მოთხოვნილებათა, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება. (Lorber., 1982).

ტერმინი **"გენდერი"** მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან **"გენოს"** — დაბადება, წარმოშობა, ჯიში, გვარი, შთამომავალი, სქესი (ფორმა Gender მიმღეობის ფორმაა). გენდერი გულისხმობს, რომ მამაკაცების, ქალების და გარემოს ურთიერთკავშირის ანალიზს, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად უნდა დაედოს არა სქესის, არამედ გვარის გამოცდილება, სადაც ქალის სოციუმი მთლიანი საზოგადოებრივი სისტემის ინტეგრალურ ნაწილად განიხილება. ამასთან, სოციალური გამოკვლევების მეთოდოლოგიის პოზიციიდან, ცნებას "გენდერული ურთიერთობა" ერთმნიშვნელოვანი განმარტება არა აქვს.

დასავლეთის ქვეყნებში **"გენდერულ კვლევებს"** ხშირად აიგივებენ ცნებასთან "ქალთა პრობლემების კვლევები". ფართო მნიშვნელობით ცნება "გენდერული ურთიერთობა" სქესთა სოციალურად ორგანიზებულ ურთიერთობას ნიშნავს. გენდერი, როგორც პროცესი და მოვლენა, გულისხმობს სქესობრივი განსხვავების ნიადაგზე მამაკაცის მხრიდან ქალის ყოველგვარი ჩაგვრის ლიკვიდაციას. ფაქტობრივად, ეს ტერმინი ასახავს სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე ქალთა და მამაკაცთა ურთიერთობის ფენომენს და, შესაბამისად, დამკვიდრდა, როგორც გარკვეული დირექტიული მიმართულება ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. გენდერის მიზანია ქალის დაცვა სექსიზმისაგან, რაც სქესობრივ დისკრიმინაციას, ანუ ერთი სქესის მეორეზე ბატონობას ნიშნავს.

გენდერული კვლევები სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ

თეორიებში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე ჩამოყალიბდა ქალთა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მონაწილეობისადმი ისეთი მეცნიერული და პოლიტიკური მიდგომები, რომლებიც გენდერული გამოკვლევების და გენდერული პოლიტიკის სახელით არის ცნობილი. გენდერული გამოკვლევები და ტექნოლოგიები არა მხოლოდ ქალთა ფორუმების, არამედ გაეროს კომისიისა და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა დონეზე განიხილება, ხდება მათი ინსტიტუციონალიზაცია და საერთაშორისო აქტებით გამყარება.

ბოლო 20 წლის მანძილზე შეიძლება გენდერული კვლევის სამი ძირითადი ფაზა გამოვყოთ. პირველი ფაზა — ეს არის ფემინისტურად განწყობილი მეცნიერების მიერ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სინდროცენტრიზმის კრიტიკა და გენდერული კვლევების, როგორც თეორიული ცოდნის სფეროს დაფუძნების მცდელობა. ამ სტადიაზე მეცნიერთა ძალისხმევა კონცენტრირებული იყო "გენდერული სიბრმავისა" და სინდროცენტრიზმის ახსნაზე ტრადიციულ, სპეციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

XX ს. 70-იან წლებში ძალიან ბევრი ფემინისტური ნაშრომი დაიბეჭდა. ზოგიერთი მათგანისათვის დამახასიათებელი იყო გარკვეული რადიკალიზმი. ფემინისტური ლიტერატურის მომძლავრებას არც მეცნიერები შეხვდნენ გულგრილად. თუმცა ეს იდეები ყველაზე მეტად შეეხო მათ, ვინც ოჯახის სოციოლოგიის პრობლემებს იკვლევდა. ამავე პერიოდში გამოვიდა სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და ანთროპოლოგიური შრომები, რომლებშიც გაანალიზებული იყო სქესობრივი როლების დიფერენციაციის პროცესი. კვლევები სქესის სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროში პოპულარული გახდა. ეს იყო სიახლე, რომელიც ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა სქესის პრობლემების გასააზრებლად. სოციოლოგიაში განვითარდა სოციალური დიფერენციაციის დასავლური ტრადიციული თეორიების კრიტიკა. პროფესორმა ჯესი ბერიორდმა ამ პერიოდს უწოდა "რევოლუცია სოციოლოგიაში".

ერთ-ერთი პირველი შრომა, რომელშიც წარმოჩნდა გენდერის სისტემის ცნება და ნათლად იქნა მოცემული განსხვავება ბიოლოგიურ სქესსა (sex) და სოციალურ სქესს (gender) შორის იყო ჰეილ რაბიის სტატია "ქალებით ვაჭრობა" (1974 წ.). ამ სტატიაში იგი სქესს (sex) განმარტავდა როგორც ბიოლოგიურ რეპროდუქციულ განსხვავებას. ხოლო სქესი (gender), მისი აზრით, წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბიოლოგიური სქესი განიცდის ტრანსფორმაციას მასკულინური კულტურის ზემოქმედებით და ფემინური კონსტრუქციით.

შემდეგი შრომა, რომელშიც გამოჩნდა ტერმინი "გენდერი" (gender), იყო ფსიქოლოგ როდა უიგერის სტატია "სქესისა და გენდერის ახალი განსაზღვრა". იგი 1979 წელს გამოვიდა. ავტორი მასში სიტყვა sex-ს ხმარობდა იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალურ ბიოლოგიურ მექანიზმებს მიმართავდა, ხოლო სიტყვა gender-ს მხოლოდ მაშინ, როცა სპეციალურ კულტურულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს განიხილავდა. ეს ასპექტები ტიპური და მისაღებია მათთვის, ვინც საზოგადოებას გარკვეული მახასიათებლების, ნორმების, სტერეოტიპების საშუალებით განმარტავს.

მეორე ფაზას წარმოადგენდა სასწავლო კურსების ფართო ინტეგრაცია ე.წ. "ქალის კვლევების" (women's studies) დარგში, უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში, და მათ საფუძველზე ქალთა მდგომარეობის გამოკვლევა, ქალთა დამორჩილებული მდგომარეობის შესახებ თეორიების განვითარება. ამ პერიოდის სოციოლოგიური და კულტუროლოგიური კვლევებისათვის დამახასიათებელია "ქალის ფაქტორის" დამატება და მასზე აქცენტის გაკეთება, სიმონა დე ბოვუარის შრომების, რასიზმის, ფსიქოანალიზისა და პოსტსტრუქტურალიზმის გავლენა.

მესამე ფაზამ მოქმედების სფერო ქალთა საკითხების კვლევებიდან გენდერამდე გააფართოვა; პირველ ადგილზე დააყენა მიდგომები, რომელთა თანახმად, ადამიანთა საზოგადოების ყველა ასპექტი კულტურისა და ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით გენდერულია. ამ პერიოდში აქცენტის გადატანა "ქალის ფაქტორიდან" ხდება იმაზე, თუ როგორ არსებობს და კონსტრუირდება გენდერი ყველა სოციალურ პროცესში.

იმის გამო, რომ ბოლო წლებში განმტკიცდა ახალი დამოკიდებულება სქესისა და გენდერისადმი, მასკულინურისა და ფემინურისადმი, ეს ცნებები უკვე აღარ მიიჩნევა, როგორც

რაღაც ცხადი, ბუნებრივი მოვლენა, რომელიც ახსნას არ საჭიროებს. დღეს აღიარებულია, რომ გენდერული დიფერენციაცია და ასიმეტრია არსებობს ყველა საზოგადოებაში და კულტურაში, თუმცა კონკრეტული წარმოდგენა მასკულინურსა და ფემინურზე სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია. ამიტომ "გენდერული ურთიერთობა განიხილება, - წერს გიზელა ბოკი — როგორც სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სიდიდე, რომელიც არც არაისტორიულ ფენომენზე დაიყვანება და არც ერთადერთ "საწყის" ან "იმამენტურ" მიზეზამდე.

2. სქესის დიალექტიკა

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ადამიანის ბუნებრივი მონაცემები აღზრდისა და საზოგადოების ზეგავლენით სოციალურად რეალიზდება.

სქესს აყალიბებს აღზრდის სისტემა: (ოჯახი), განათლება, კულტურა, რელიგია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სახელმწიფო პოლიტიკა და სხვ.

თანამედროვე მეცნიერება სქესის პრობლემების შესწავლას სამი მიმართულებით ახორციელებს:

1. სქესობრივი განსხვავების ფსიქომეტრული შესწავლა და ინტელექტის კვლევა.

მაგალითად, ინტელექტის კვლევისას ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულთა შორის უფრო მეტი მამაკაცია, ვიდრე ქალი, მაგრამ, ამასთან, უფრო მეტი გონებაჩამორჩენილიც.

ამერიკელი ანთროპოლოგი უ. მონტეგიუ თავის წიგნში "ქალის ბუნებრივი უპირატესობა" წერდა, რომ ინტელექტუალობის საშუალო კოეფიციენტი ქალებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. ისინი თავიანთ ინტელექტს უკეთ ინარჩუნებენ, უფრო ემოციურები არიან და დიდხანსაც ცხოვრობენ.

2. მამაკაცებისა და ქალების ბიოლოგიური განსხვავება. კოგნიტურ (შემეცნებით) სფეროში გენეტიკური, ჰორმონალური და ნეიროფიზიოლოგიური დეტერმინანტების თავისებურებების გათვალისწინება.

3. სქესობრივ როლებთან დაკავშირებული იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენს შემეცნებით შესაძლებლობებსა და საქმიანობის სფეროს არჩევანზე.

აღნიშნული კვლევები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ სქესის ანალიზს დიალექტიკურად უნდა მივუდგეთ. როგორც ო. ვეინინგერი აღნიშნავს თავის ნაშრომში "სქესი და ხასიათი", ყველა ადამიანში ორი საწყისია, რომ ემბრიონში სქესის გარჩევა შეუძლებელია. მხოლოდ მისი არსებობიდან ხუთი კვირის შემდეგ ჩნდება მამაკაცისა თუ ქალის სქესობრივი თავისებურებები. თუმცა არსებობს ბისექსუალური მიდრეკილებებიც, რომელთა დროსაც მუდმივი ორსქესიანობა ადამიანის აგებულებაში ან მის გონებრივ მოღვაწეობაში ვლინდება. ორსქესიანობის გამოვ-ლინებაა, აგრეთვე, **ჰომოსექსუალობა** და **ლესბოსელობა.** ნორმალურ ადამიანში კი (ქალსა თუ მამაკაცში) ყოველთვის არსებობს საპირისპირო სქესისადმი ლტოლვა.

ორი საწყისის არსებობას ბერძენი ფილოსოფოსი პლატონიც უსვამს ხაზს. თავის ნაშრომში "ნადიმი" იგი აღნიშნავს, რომ ადამიანში ორი - მამაკაცური და ქალური - საწყისია შერწყმული, რომლებიც სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვანაირად ვლინდება.

ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი სენ-სიმონ კლოდ ანრი დე რუვრუა თავის ნაშრომში "ახალი ქრისტიანობა" (1825 წ.) მოგვითხრობდა მამაკაცისა და ქალის იდეალური წყვილისა და მათი ერთობლივი პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. მას აუცილებლად მიაჩნდა, რომ სენ-სიმონისტების სხდომებზე სენ-სიმონის მოწაფე ანაფანტენის სავარძლის გვერდით, დაედგათ სავარძელი, რომელიც "უმაღლეს ქურუმ ქალს", მის თანამოაზრეს ელოდა. წყვილს შეეძლო მიეღო უმაღლესი გადაწყვეტილებები და საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების ურთიერთობებში ჩარეულიყო.

სქესის ნებისმიერ კვლევაში აუცილებლად უნდა განვსაზღვროთ, მის რომელ კომპონენტს

ვიკვლევთ. ერთგანზომილებიანი კომპონენტების შესწავლა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ხდებოდეს. თუ კვლევის მიზანი ქალის და მამაკაცის სტატუსის კვლევაა, შედარების საფუძველი არ უნდა იყოს სქესის ბიოლოგიური კატეგორია, რადგან, მაგალითად, ტრანსსექსუალებს ქალის გენდერული სტატუსი აქვთ, მაგრამ ისინი დაბადებიდან არ მიეკუთვნებიან მდედრობით სქესს. ასე რომ, მიზანი და მიზეზი ამ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს გაიგივებული.

თუ კვლევის ცენტრში სქესია, როგორც პროცესი, მართებულია შევადაროთ მათი სოციალიზაცია, ვინც დაბადებიდანვე მდედრობით სქესს მიეკუთვნება, იზრდებოდა როგორც ქალიშვილი და მოწიფულობაში ქალის სტატუსი აქვს, იმათ, ვინც მოწიფულ ასაკში კაცის სტატუსი მიიღო, (მაგალითად, იმიტომ, რომ მამაკაცის სამუშაო მიეღო, ან სქესის შეცვლის მიზნით ოპერაცია გაიკეთა). ზუსტად ასევე უნდა შევადაროთ ინდივიდები, რომლებიც დაბადებიდან მამრობითი სქესის არიან, იზრდებოდნენ როგორც ბიჭები, ხოლო მოწიფულობაში მამაკაცის სტატუსი მიიღეს მათ, ვინც მოწიფულ ასაკში ქალის სტატუსი მიიღეს (მუდმივი ტრანსვესტიტები და ტრანსსექსუალები). ამის შემდეგ ყველა აღნიშნული ჯგუფი შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ. ასეთი მიდგომისას აღმოჩნდება არა ორი, არამედ ოთხი ან ექვსი სახის სქესი.

გენდერული სტატუსის გადაჯაჭვის და იმ სოციალური ინსტიტუტების კვლევა, რომლებისთვისაც სქესობრივ განსხვავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, შეიცავს იმ მამაკაცებისა და ქალების კარიერის შედარებით ანალიზს, რომლებიც არ შეესატყვისებიან თავიანთ გენდერულ სტატუსს. აღნიშნული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ერთი და იგივე ან განსხვავებული პროცესები, რომლებმაც განაპირობეს მათ მიერ პროფესიის არჩევა და, შესაბამისად, პროფესიული წარმატებები. (Epstein, 1988, Kanter, 1977, Lorber, 1984).

3. ქალისა და მამაკაცის, როგორც ბიოსოციალური ფენომენის, მახასიათებლები

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ქალებისათვის დამახასიათებელია სიკეთე, ხასიათის სირბილე, ჰუმანურობა, დემოკრატიზმი. ისინი ბუნებასთან უფრო ახლოს არიან, უარყოფითი განწყობა აქვთ ძალადობის მიმართ, ვერ ეგუებიან უხეშობას, სხვათა გაჭირვება გულთან ახლოს მიაქვთ, ადვილად ექვემდებარებიან აღზრდას, ადაპტაციას, მკვეთრად საზღვრავენ თავის ფუნქციას ოჯახში, ბავშვების მიმართ. ქალებში, მამაკაცებთან შედარებით, უფრო ძლიერად ვლინდება გონიერი, უხეში ძალადობის, როგორც ცხოველური ინსტინქტის გამოვლინების (მათ შორის სექსუალური) საწინააღმდეგო გრძნობა. ქალი გაცილებით უფრო მიჯაჭვულია კაცზე და მუდმივად თხოულობს მისგან სიყვარულის დადასტურებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სულიერ წონასწორობას კარგავს. ქალებისათვის დამახასიათებელია გონივრული ზომიერება, აქტიური ურთიერთობებისაკენ სწრაფვა. მოკლედ რომ ვთქვათ, ქალი ცივილიზაციის სტაბილურობის გარანტია.. მაგრამ იგი მოკლებული არ არის ნეგატიურ თვისებებსაც, რომელთა შორის აღსანიშნავია: გულმავიწყობა, თავშეუკავებლობა, ისტერიულობა, ნერვოზულობა, დეპრესიული მდგომარეობის მკვეთრი გამოვლინება, შურიანობა, ბევრი ლაპარაკი.

კაცობრიობის ნახევარს, მამაკაცებსაც, ახასიათებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები. ეს თვისებებია: საზრიანობა, მოხერხებულობა, გამომგონებლობა, ახალ გარემოსთან ადაპტირების უნარი, ფსიქიკური საქმიანობის აქტიურობა, რომელიც მის თვითდამკვირებასა და თვითრეალიზაციაში ვლინდება. ყველა ეს თვისება დადებით კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ. მამაკაცების აზროვნება ქალებისაგან მეტი აბსტრაქტულობით განსხვავდება. მამაკაცები ძირითადად სამსახურზე არიან კონცენტრირებულნი და არა ოჯახზე. ხშირად სიმამაცე მათთვის შიშის დაძლევას უკავშირდება, ხოლო აქტიურობა საშუალებას აძლევს მათ თავი უფრო მამაკაცებად შეიგრძნონ. ნეგატიურ თვისებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: აგრესიულობა, ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, ავანტიურიზმი, სიმკაცრე, სარკაზმი, თავის თავზე დიდი წარმოდგენა, ემოციების გამოვლენისაგან, როგორც სისუსტისაგან თავის შეკავება. ქალების მხრიდან სიყვარულის დასადასტურებლად ისინი ფიზიკურ სიახლოვეს ითხოვენ. მათ უყვართ კომფორტი, ერთმანეთთან საუბრისას ხშირად ლაპარაკობენ სამსახურებრივ საქმიანობაზე, სპორტზე და არა

სახლზე, ოჯახზე, ხელოვნებაზე. განაწყენებისას ხშირად იცვლიან თავიანთი გატაცების ობიექტს.

ბიოლოგიურად განსხვავდება აგრეთვე მამაკაცისა და ქალის კუნთოვანი სისტემა. ქალთა კუნთოვანი სისტემა ახალგაზრდა ასაკში მამაკაცთა კუნთოვანი სისტემის 65%-ს უტოლდება, ხოლო ხანშიშესულობაში კიდევ უფრო ნაკლებია. ქალების გული უფრო პატარაა და სისხლის რაოდენობაც ნაკლებია, სასუნთქი ორგანოებიც უფრო სუსტია, განსხვავებულია კუნთების ბიოქიმიური შედგენილობა. მათ ჩონჩხს სპეციფიკური კონსტრუქცია აქვს.

ქალები მამაკაცებს უსწრებენ მოძრაობის ტემპით, მაგრამ უფრო მალე იღლებიან. ისინი უფრო რეაგირებენ გარემოს გამღიზიანებლებზე, ნაკლებად მდგრადი ნერვული სისტემა აქვთ და ფსიქოლოგიურად მომენტალურად გარდაიქმნებიან. საშუალოდ, ქალებისა და მამაკაცების გონებრივი მონაცემები ერთნაირია. ინგლისელი მეცნიერი ენტონი ბარნეტი წერდა. რომ გაცილებით უფრო მეტია საშუალო განვითარების ქალები, ვიდრე მამაკაცები. მამაკაცებში უფრო ხშირად ვხვდებით უკიდურეს გამოვლინებებს — ან ძალიან მაღალ ან დაბალ ინტელექტს. (Барнетт, 1968)

მეცნიერის მტკიცებით, 40 წლის შემდეგ ქალები თავიანთ ინტელექტს უკეთესად ინარჩუნებენ. ე. მონტეგიუ აღნიშნავს, რომ კაცები უფრო ხშირად ავადმყოფობენ. მათ უფრო სუსტი ფსიქიკა აქვთ და უფრო ხშირად ხვდებიან ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. ისინი ქალებზე უფრო ხშირად ასრულებენ სიცოცხლეს თვითმკვლელობით.

თუმცა სრულიად მართებულია შენიშვნა იმის თაობაზე, რომ გონმა, როგორც უნივერსუმმა, არ იცის სქესობრივი განსხვავება. ყველაფერი იმის გაკეთება, რაც შეუძლია მამაკაცს, შეუძლია ქალსაც.

4.სექსიზმი და მისი არსი

ცნება სექსიზმი იუნესკოს მიერ იქნა შემოღებული 1981 წელს. იგი სქესობრივ დისკრიმინაციას, ანუ ერთი სქესის მეორეზე ბატონობას ნიშნავს. იუნესკოს მიერვე ახსნილია მისი რეაქციული არსი, რაც ზღუდავს ქალის პიროვნებას, აკნინებს მის როლს საზოგადოებაში, ქმნის ქალის ნეგატიურ სახეს. ეს კი თავისთავად, არღვევს თანასწორუფლებიანობის პრინციპს და ადამიანური ღირსების დაქვეითებას იწვევს.

სექსიზმის შედეგად სათანადოდ არ ხდება ქალის შემოქმედებითი პოტენციალის გათვალისწინება და მისი შეფასება მხოლოდ ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით ხდება.

სექსიზმის თანახმად, საზოგადოებაში შენარჩუნებული უნდა იყოს ბუნებრივი წესრიგი, რომლის მიხედვითაც ქალებსა და მამაკაცებს სხვადასხვა ფუნქცია და როლი აქვთ. სოციოლოგ ანდრე მიშელს, რომელიც პარიზის ეროვნული კვლევების ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელია, მიაჩნია, რომ "სექსიზმი — ეს არის პოზიცია ან მოქმედება, რომელიც ადამიანებს სქესის მიხედვით ამცირებს, უარყოფს, სათანადოდ არ აფასებს, მათ სტერეოტიპებად დაყოფას ახდენს".

სექსისტური მოდელი ქალს, მამაკაცთან შედარებით, ისეთი უარყოფითი მახასიათებლებით ახასიათებს, რომლებიც კაცს თითქოს არ გააჩნია. ამ მოდელის თანახმად, მამაკაცს გაცილებით უფრო მეტი დადებითი თვისებები (ვაჟკაცობა, ჭკუა, თვითდამკვიდრების უნარი, პროფესიული კომპეტენტურობა, რისკისა და თავგადასავლებისადმი მიდრეკილება, ინიციატივიანობა და ეფექტიანობა) აქვთ. ანდრე მიშელის აზრით, სექსისტური შეხედულებები ყალიბდება ოჯახში, სკოლაში, მოზარდთა ურთიერთობებში, შრომის ბაზარზე, პოლიტიკაში, მასობრივი ინფორმაციების საშუალებებით. სტერეოტიპული აზროვნების შედეგად ქალებს უჩნდებათ ეჭვი საკუთარი შესაძლებლობების, დამოუკიდებლობის შესახებ, რაც, თავისთავად, გავლენას ახდენს სქესთა თანასწორობაზე, რომელიც დეკლარირებულია საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული დეკრეტებით, კონვენციით ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ.

სექსიზმის თეორია საზოგადოებაში არსებული ბევრი პრობლემის გადაჭრაში ქალების მონაწილეობის შეზღუდვის საფეძველს ქმნის. ამით საზოგადოება მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს კარგავს.

ბიოლოგიური და სოციალური განსხვავების გარდა, სექსიზმი სქესს კულტურულ დონეზეც განიხილავს. ამ თეორიის თანახმად, მამაკაცური საწყისი რაციონალური, სულიერი, ღვთაებრივი და კულტურულია, ხოლო ქალური — გრძნობაზე აგებული, ხორციელი, მიწიერი და ბუნებრივი. ყველაფერი ისიც კი, რაც სქესთან არ არის დაკავშირებული (ბუნება და კულტურა, გრძნობა და რაციონალიზმი, ღვთიური და მიწიერი) მამაკაცურ საწყისთან არის გაიგივებული. (Феминизм: перспективы социального знания, 1992) ფემინიზმი სექსიზმის მწვავე კრიტიკით გამოდის, განსაკუთრებით კულტურის სფეროში და სრულიად სამართლიანად ავითარებს იმ აზრს, რომ მასკულინური კულტურა არა მარტო ქალების, არამედ მამაკაცების დეგრადაციასა და აქტიურობის ჩახშობას უწყობს ხელს.

სექსიზმის ძირები სქესობრივი განსხვავების აბსოლუტიზაციასა და ბიოლოგიზაციაში უნდა ვეძებოთ, რომელთაგან ბევრი მათგანი სინამდვილეში კონკრეტული სოციალური პირობებიდან და კულტურული ნორმიდან მომდინარეობს, მრავალწახნაგოვანი და მრავალფენოვანია, ზოგიერთი კი, საერთოდ, ილუზორულია და მხოლოდ წარმოსახვის პროდუქტია.

უკანასკნელ პერიოდში ცივილიზებულ სამყაროში გაძლიერდა ბრძოლა სექსიზმის წინააღმდეგ, ამასთან, წინა პლანზე წამოვიდა ბევრი ფემინისტური იდეა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმდინარეობს მთელი რიგი შეხედულებების, თეორიების რევიზია და ახალი, სექსიზმისაგან თავისუფალი ნორმების დამკვიდრებისათვის ბრძოლა.

ამერიკელ მეცნიერს ი. ჰოფმანს მიაჩნია, რომ რელიგია კი არა, სწორედ სქესია ხალხის ოპიუმი, ხოლო კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგი ე. გოლდბერგი თავის ტრილოგიაში "რისკია იყო მამაკაცი", "ახალი მამაკაცი", "მამაკაცისა და ქალის ახალი დამოკიდებულებები" (1965 წ.) აღნიშნავს: "კომფორტულობა სქესთა შორის თვითგამოხატვის საშუალებას იძლევა. მალე სქესთა ანტაგონიზმი, როგორც წარსულის გადმონაშთი, ისე აღიქმება".

კითხვები და დავალებები:

1. განსაზღვრეთ სქესი როგორც ბიოსოციალური ფენომენი.
2. როგორია მამაკაცისა და ქალის სოციალური და ბიოლოგიური განსხვავება?
3. გენდერული კვლევების განვითარების ძირითადი ეტაპები.
4. რა არის სექსიზმი?

ლიტერატურა:

1. გენდერული თეორიების ანთოლოგია. თბ. ბაკურ სულაკაურის გამოცემა. 2002
2. "გენდერის აქტუალური საკითხები". გაეროს განვითარების პროგრამა. თბილისი. 1998
3. თ. კიკნაძე ქალი და პოლიტიკა. პოლიტოლოგია (ლექციების კურსი) თბილისი. თსუ 2001
4. Силласте Г.Г. Гендерная социология как чстная социологическая теория // Социс. № 11, 2000 г.
5. Элиас Н. Отношения между мужчиной и женщиной: изменение установки. THESIS. № 6. М., 1994 г.
6. Лорбер Дж., Пол как социальная категория . THESIS. № 6. М., 1994
7. Здравомыслова Е.А., Темкина А.А., Социология гендерных отношений и гендерный подход в социологии // Социс. № 11, 2000
8. Биологическое и социальное в развитии человека. М., 1977
9. Заводская Л..О равенстве прав и обязанностей мужчин и женщин //Человек и труд. 1995. № 8

10. Кикнадзе Т. Р. Социально-культурная и духовная трансформация современного общества: Гендерный аспект. "Социально-гуманитаррые знания, М. 2002

11. Феминизм: перспективы социального знания, М. 1992

12. Lorber J. Gender Inequality. Feminist Theories and Politics. Roxbary Publishing Company. Los Angeles, California.

13. Lorber J., Women Physicians: Careers, Status, and Power., New York and London: Tavistook, 1984.

14. Lindsey L.L., Gender Roles. A Sociological Perspective.Prentice Hall, Upper Saddle River, New Jersey 07458.

15. Women, Culture and Society. A Reader, Edited by B.B Ballet, P. McDaniel. for The Women's Studies Program. Rutgers University – New Brunswick.

16. Epstein E.F. Deceptive Distinctions: Sex, Gender and the Social Order. New Haven (CT): Yale University Press, 1988.,

17. Kanter R.M., Men and Women of the Corporation. New York, Basic Books, 1977.

თავი II
ფემინიზმის ნაირსახეობები და მათი როლი გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში

1. ფემინიზმის წარმოშობის წანამძღვრები

სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ქალების შესახებ სხვადასხვა მითი არსებობდა. შუა საუკუნეების ინკვიზიციის დროს გავრცელებული იყო მითი კუდიანი ქალების შესახებ, რასაც მრავალი ქალის სიცოცხლე შეეწირა. XIX საუკუნის ბოლოს ბევრი მწერლეს შემოქმედებაში აისახა მითი საბედისწერო, შეუბრალებელი, მაცდური ქალის შესახებ. XIX საუკუნეში ყოფილ საბჭოთა კავშირში ბატონობდა მითი სუპერქალის შესახებ, რომელიც ერთდროულად იყო ქალი - დედა, ქალი — მოსამსახურე და ქალი - საზოგადო მოღვაწე.

საჭიროა მოვიხსენიოთ ერთი პარადოქსიც: რაც უფრო აღმერთებდნენ ქალს და თაყვანს სცემდნენ მას ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში, მით უფრო დამორჩილებულ მდგომარეობაში იყო იგი სინამდვილეში. ამერიკელი მკვლევარი ბეტი ფრიდანი ამ პარადოქსს ასე ხსნის: "რაც უფრო ნაკლებია რეალური ფუნქციები ქალის როლისათვის, მით უფრო რთავენ და ალამაზებენ მას უაზრო დეტალებით, რათა სიცარიელე შეავსონ."

თუ ისტორიას მივმართავთ, ამ აზრის დადასტურებას ნამდვილად მოვნახავთ. ძველი ბერძნები აღმერთებდნენ ქალის სილამაზეს, ქმნიდნენ მის სკულპტურულ პორტრეტებს, რომლებითაც თავიანთ ტაძრებს ამშვენებდნენ, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში "ზედმეტ" გოგონებს ყრიდნენ ან მსხვერპლად სწირავდნენ, ქალიშვილებს ყიდდნენ, ქალებს კი, როგორც უსიტყვო და მორჩილ დიასახლისებს, ისე უყურებდნენ. ქალები სახლს იყვნენ მიჯაჭვულნი, არ შეეძლოთ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩარევა, ქალაქის მართვაში მონაწილეობის მიღება, ქონების განკარგვა ან ფლობა. მათ რაიმეს ყიდვაც კი არ შეეძლოთ, თუ მისი ღირებულება განსაზღვრულ თანხას აღემატებოდა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ისინი ოჯახის წევრ მამაკაცებს, ჯერ მამას, მერე ქმარს, ძმას თუ შვილს ემორჩილებოდნენ.

სახელგანთქმული ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე ამბობდა: "სამი რამ შეიძლება ჩავთვალოთ ბედნიერებად: ის, რომ შენ ველური ცხოველი არა ხარ, რომ შენ ბარბაროსი არა ხარ და რომ შენ კაცი ხარ და არა ქალი". არისტოტელეს მიაჩნდა, რომ "ქალი იმიტომ არის ქალი, რომ მას არა აქვს კაცური თვისებები, ამიტომ მასში ისეთ არსებას უნდა ვხედავდეთ, რომელიც ბუნებრივ არასრულყოფილებას განიცდის." ჰიპოკრატე კი ამბობდა, რომ "ცოლი კაცს მხოლოდ ორჯერ ახარებს: ქორწინების დღეს და დაკრძალვის დღეს". ებრაელები, ისევე როგორც ბერძნები, თავს რჩეულ ხალხად თვლიდნენ. ებრაელი მამაკაცები კი ყოველთვის შემდეგ ლოცვას იმეორებდნენ: "მადლობელი ვარ, ღმერთო, რომ არ შემქმენი მე წარმართად, გაუნათლებლად და ქალად."

"ნეკნიდან შექმნა" ქალზე სერიოზულ თავდასხმისა საფუძველი გახდა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ მას შემდეგ რაც ღმერთმა შექმნა ადამი, მას უკვდავი სული შთაბერა, ევას შესახებ კი ბიბლიაში რაიმე ცნობა არ არის.

საკითხმა, აქვს თუ არა ქალს სული, სამღვდელოებაში დიდი კამათი გამოიწვია. ბევრი კიდევაც ეჭვსაც კი გამოთქვამდა, არის თუ არა ქალი ადამიანი.

585 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე სპეციალურად განიხილეს ეს საკითხი და დიდი დისკუსიების შემდეგ, მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით, ფორმალურად სცნეს, რომ ქალს აქვს სული. ასეთი მართლაც "გმირული" აღიარება შესაძლებელი გახდა საღმრთო წერილის წყალობით, სადაც მითითებულია, რომ ძე ღვთისა, იესო ქრისტე, იმავდროულად იყო ადამიანის შვილი, ვინაიდან მისი დედა ადამიანი იყო.

მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებას შემდგომშიც ეჭვქვეშ აყენებდნენ და საუკუნეთა შემდეგ ამ საკითხის განხილვას ისევ და ისევ უბრუნდებოდნენ. 1690 წელს

ფრანკფურტში გამოვიდა წიგნი “ქალი ადამიანი არ არის”, 1750 წელს კი ლაიფციგში გამოჩნდა წიგნი “საყურადღებო საბუთი იმისა, რომ ქალი ადამიანთა მოდგმას არ მიეკუთვნება”. შუა საუკუნეებში შეინიშნებოდა ე.წ. “კუდიანებზე ნადირობა”. ინკვიზიციის მიერ დასჯილ მამაკაცთა და ქალთა რაოდენობას მკვლევარები 1:20, ზოგი 1:100, და 1:1000 შეფარდებითაც კი განიხილავდა.

აი, როგორ განისაზღვრებოდა ქალის როლი წიგნში “ცოლ-ქმრული ცხოვრების შესახებ”, რომელიც ევროპაში გამოვიდა 1943 წელს: “ქალის მოვალეობა მისი ქმრის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ ემსახუროს მას მორჩილად, იყოს მოკრძალებული საუბარში და ჩაცმა-დახურვაში. ყურადღება მიაქციოს წესრიგს სახლში და აწარმოოს საოჯახო საქმეები.”

უკვე XIX საუკნეში ოგიუსტ კონტი, რომელიც სოციოლოგიის მამამთავრად ითვლება, აღნიშნავდა, რომ საზოგადოებაში ქალის არათანასწორუფლებიანი მდგომარეობა განისაზღვრება “ქალის ორგანიზმის ბუნებრივი სისუსტით. არ შეიძლება არსებობდეს კაცისა და ქალის სოციალური თანასწორობა. ქალის განსაკუთრებული მოწოდება ოჯახური მოვალეობებია.”

ეგრეთ წოდებული “ქალთა საკითხი” ახალ ხანაში, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში წარმოიშვა. ქალებმა მოითხოვეს მამაკაცებთან უფლებების გათანასწორება საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. “ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის “გამოქვეყნების შემდეგ გამოქვეყნდა "ქალისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია", რომელიც ოლიმპია დე გუჟმა დაწერა. ქალებმა დააარსეს თავიანთი კლუბი, ჟურნალები, დაიწყეს დებატებში მონაწილეობის მიღება. სქესთა შორის გარეგანი განსხვავება რომ მოესპოთ, მამაკაცის ტანსაცმელი ჩაიცვეს. მაგრამ კონვენტმა ქალებს ჩამოართვა შეკრების უფლება და დახურა მათი კლუბები. თავად ოლიმპია დე გუჟი სიკვდილით დასაჯეს. ამით დამთავრდა ეს მოძრაობა, რომელიც ივლისის რევოლუციის დროს აღმოცენდა. ამ დროიდან იხმარება გამოთქმა “ქალთა ემანსიპაცია”. 1948 წელს თებერვლის რევოლუციის დროიდან ქალთა მოძრაობა სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა.

2. ფემინისტური თეორიები

ფემინიზმი (ფრ. **feminisme,** ლათინური **femina**-დან - ქალი) არის ქალებისა და მამაკაცების უფლებების გათანაბრებისათვის წარმოებული ფართო მოძრაობისა და სოციალურ-პოლიტიკური თეორიის საერთო სახელწოდება. ფემინისტური მოძრაობის პირველ ეტაპებზე მიზნად იქნა დასახული ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მოპოვება, ამიტომ მოძრაობის მონაწილეებს სუფრაჟისტებს (ინგლისური სიტყვიდან sufrage — ხმის უფლება) უწოდებდნენ. სუფრაჟიზმი აღმოცენდა ინგლისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მოგვიანებით კი გავრცელდა აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთსა და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში. საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლაში პირველად ფინელმა ქალებმა მოიპოვეს წარმატება (1905 წ.), შემდეგ ნორვეგიელებმა და დანიელებმა. სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა წინ 1918-1920 წლებში, როცა ქალებს საარჩევნო უფლება მისცეს ბელგიაში, გერმანიაში, პოლონეთში, კანადაში, აშშ-ში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. სუფრაჟიზმის წარმატებებმა დროებით შეაჩერა ქალთა პოლიტიკური მოძრაობის საერთო განვითარება და მომდევნო თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში იგი ძილქუშის მდგომარეობაში იყო. გამოღვიძება ანუ "ქალთა აღორძინება" XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. მისი ეპიცენტრი გახდა აშშ, სადაც სწორედ ამ წლებში შეინიშნებოდა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის, პირველ რიგში კი რასიზმის ლიკვიდაციისაკენ მიმართული დემოკრატიული პროცესების გააქტიურება. ქალთა მოძრაობამ ახალი, ხშირად რადიკალური ფორმები შეიძინა, რაც მის სახელწოდებაშიც - "ქალთა განმათავისუფლებელი" მოძრაობა **("Women's Liberation")** აისახა. ემანსიპაციისათვის ბრძოლის ახალი ტალღა განპირობებული იყო ღრმა სტრუქტურული ცვლილებებით სოციუმში, უპირველეს ყოვლისა კი, საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა შრომის წილის ზრდით.

60-იან და 70-იანი წლების დასაწყისში ფემინისტურმა მოძრაობამ რამდენადმე ექსტრა-

ვაგანტური ხასიათი მიიღო, რაც გამოვლინდა გამომწვევ, ტრადიციული საზოგადოებისათვის უჩვეულო ლოზუნგებში, პროტესტის გამოხატვის ფორმებში. ფემინისტები მიისწრაფოდნენ რა გამოეღვიძებინათ ქალთა შეგნება, გაეთავისუფლებინათ საზოგადოებრივი ცნობიერება პატრიარქალურად ორიენტირებული მიზანდასახულებათა იმპერიისაგან. ამ მიზნით ისინი იყენებდნენ, მაგალითად, "მოედნის თეატრის" მეთოდებს. 1968 წელს შექმნილი იმ ამერიკული ორგანიზაციის ფურცლებში, რომელსაც სკანდალური სახელწოდება "კუდიანი" ერქვა, ნათქვამია: "ყველაფერს, რაც რეპრესიულია, აქვს მარტოოდენ მამაკაცური ორიენტაცია, შურიანია, აღინიშნება პურიტანულობით და ავტორიტარულობით და იგი თქვენი კრიტიკის სამიზნედ უნდა იქცეს. თქვენი იარაღია თეატრი, სატირა, ,,ფეიერვერკი, მაგია, საწამლავი, მუსიკა, კოსტუმი, ნიღაბი, სიმღერა, პლაკატები, ნახატები, ტრაფარეტები, ფილმები, ჟღარუნები, აგურები, ცოცხები, თოფები, მოჯადოვებული თოჯინები, კატები, სანთლები, ზარები, აბრეშუმი, გაზეთის ამონაჭრები, ხელყუმბარები, მოწამლული ბეჭდები, საპირწამლეები, აუდიოჩანაწერები, თქვენი მშვენიერი მოჩვენებითი წარმოსახვა. თქვენი ძალა თქვენგანვე მომდინარეობს ისევე, როგორც ქალებისა — ქალებისგანვე და იგი მრავალგზის ძლიერდება თქვენს დებთან ერთობლივი მუშაობით... თქვენი მოვალეობაა გაათავისუფლოთ თქვენი ძმები (უნდათ მათ თუ არა) და თქვენი თავი სქესობრივი როლების სტერეოტიპებისაგან."

გამაოგნებელ ხასიათს ატარებდა არა მარტო ფემინისტური პროტესტის ფორმები, არამედ მისი შინაარსიც. კრიტიკა თავს ესხმოდა თანაცხოვრების იმ საფუძვლებს, რომლებიც, ფემინისტების აზრით, ხელს უწყობდა ქალების არათანასწორუფლებიან მდგომარეობას: გათხოვებას, დედობას, და სხვ. განსჯათა ლოგიკა კი დაახლოებით ასეთი იყო: "ქორწინებაში, კანონის მიხედვით, მამაკაცი და ქალი ერთი პიროვნებაა, ე.ი. თვით ყოფნა, ანუ სამართლებრივი არსებობა ქალისა გათხოვებისთანავე წყდება, რადგან იგი ყოველთვის მამაკაცის ბატონობას გულისხმობს."

ბევრი ფიქრობს, რომ ფემინისტური იდეები ჯერ კიდევ აღორძინების ეპოქაში ჩაისახა. ზოგიერთ მკვლევარს პირველ ფემინისტად ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი[⊗] მიაჩნია. აღორძინების ეპოქაში შეიქმნა ქრისტინა დე ლიზანის და კორნელიუს აგრიპას პირველი ტრაქტატები, რომლებშიც საუბარი იყო ქალის პიროვნების დათრგუნვასა და მისდამი საზოგადოების უსამართლო დამოკიდებულებაზე.

დღეს აშკარაა, რომ ფემინისტური თეორიების ჩასახვა და ჩამოყალიბება მნიშვნელოვან წილად მომზადებული იქნა სოციალურ-ფილოსოფიური და პოლიტიკური კონცეფციებით. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, აღსანიშნავია ჯონ ლოკის, ჟან-ჟაკ რუსოსა და ჯონ სტიუარტ მილის ლიბერალური ფილოსოფია, რომლის ფარგლებში ვითარდებოდა ადამიანის უფლებათა ძირითადი თეორიები. ცალკე უნდა გამოვყოთ შარლ ფურიეს, ანრი სენ-სიმონისა და რობერტ ოუენის უტოპიური სოციალიზმის თეორიის გავლენა.

და ბოლოს, აღსანიშნავია მე-20 საუკუნის შუა ხანებისა და მიწურულის თეორიები, რომლებიც შეიძლება გავაერთიანოთ სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში მათში სექსუალურობისა და ადამიანის სექსუალური ქცევის პრობლემების განხილვის საფუძველზე.[⊗]

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფემინიზმის განვითარების ახალი ეტაპი მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდში ფემინიზმის შიგნით ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მიმართულება: ლიბერალურ-რეფორმატორული, სოციალისტური და რადიკალური.

ლიბერალურ-რეფორმატორული მიმართულება[⊗] ძირითადად განაგრძობდა იდეებს, რომლებიც განმანათლებლობის ეპოქაში, მოგვიანებით კი მ. უოლსთონკრაფტის და ჯ. სთ. მილის მიერ ვითარდებოდა. ქალთა არათანასწორუფლებიანობის მიზეზს ფემინისტები გარკვეული

[⊗] დასავლური დისკუსიების მიმოხილვები პლატონის წარმოდგენების შესახებ ქალის სოციალური როლის თაობაზე. იხ. Феминизм: перспективы социального знания. М. 1992. с. 56-76.

[⊗] ელის ჰავერლოქი, ზიგმუნდ ფროიდი, ვილჰელმ რაიხი, მარგარეტ მიდი, ჰერბერტ მარკუზე, ფრანკფურტის სკოლა, ფუკოს, დერიდას და ლიოტარის ზოგიერთი ნაშრომი.

[⊗] ბეტი ფრიდანი და მისი მომხრეები ქალთა ეროვნული მოძრაობიდან.

სამოქალაქო და იურიდიული უფლებების უქონლობაში ხედავდნენ. შესაბამისად, ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებად ისინი სოციალურ-ეკონომიკურ და იურიდიულ რეფორმებს მიიჩნევდნენ.

სოციალისტურმა მიმდინარეობამ[⊗] მარქსისტული და ფემინისტური შეხედულებების სინთეზი მოახდინა. ქალთა დისკრიმინაციის ძირითად მიზეზებად აქ კერძო საკუთრება და საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა იქნა მიჩნეული. ამგვარ იდეებს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოთქვამდა ფ.ენგელსი ნაშრომში "ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა". თუმცა ფ.ენგელსისაგან განსხვავებით, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევდა პროლეტარულისაგან განცალკევებული, განსაკუთრებული ქალთა მოძრაობის არსებობას, სოციალისტური ფემინისტები დაჟინებით მოითხოვდნენ ქალთა პრობლემების კლასობრივი და ზოგადი სოციალური პრობლემებიდან ცალკე გამოყოფას.

იდეების მიხედვით ყველაზე უფრო გამორჩეული და გავლენიანი გახდა **რადიკალური მიმართულება**[⊗], რომელიც იკვლევდა ქალთა ჩაგვრის ზოგად, სიღრმისეულ საფუძვლებს. ამ მიმართულების მიმდევართა აზრით, ამგვარი სისტემაა პატრიარქატი — ქალებზე მამაკაცების დომინირების სისტემა.

ამ პერიოდის ფემინისტურმა მოძრაობამ ბევრ წარმატებას მიაღწია. მოძრაობის ეფექტიანობაზე მეტყველებს საზოგადოებრივი ცნობიერების გასაოცარი ცვლილებები და დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ სტრუქტურებში მომხდარი რეალური ძვრები: ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებსა (პარლამენტების, მთავრობებისა და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ჩათვლით) და წარმოების მართვის სფეროში ქალთა წარმომადგენლობის ზრდა.

დღეისათვის ზემოთ აღნიშნული სამი მიმდინარეობა ისეთი გამოკვეთილი სახით არ არსებობს, როგორც 60-იან წლებში. გარდა ამისა, გაჩნდა ახალი მიმართულებები: "კულტურული ფემინიზმი", რომლის თეორეტიკოსებიც სეპარატისტული (მამაკაცებისა და მასკულინურობისაგან თავისუფალი) ქალური კულტურის განვითარების იდეით გამოდიან; "ჰუმანური ფემინიზმი"- მისი მომხრეები კულტურაში ქალური აქცენტების განვითარებას და როგორც "ქალური", ისე "მამაკაცური" ინტერესების გათვალისწინებას, "ფემინური" და "მასკულინური" თვისებების თანაბრად აღიარებას მოითხოვენ; "შავი ფემინიზმი", ანუ შავკანიანი ამერიკული ფემინიზმი; ასევე მრავალი სხვადასხვა ეროვნული შეფერილობის ფემინიზმი, მაგ., ლათინურ-ამრიკული, აფრიკული, მუსულმანური და სხვ., სადაც ქალების მდგომარეობა არა მხოლოდ სქესის, არამედ რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვითაც არის გაანალიზებული.

3. გენდერი და ფემინიზმი

XX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა საზოგადოებაში ქალთა ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მიზეზებისადმი სოციალურ კულტურული ანუ ე.წ. გენდერული მიდგომის ტრადიცია. ამ თეორიულ მუშაობას, როგორც დასავლეთში მიაჩნიათ, საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა ფილოსოფოსმა-ეგზისტენციალისტმა სიმონა დე ბოვუარმა თავის ნაშრომში "მეორე სქესი". სწორედ აქ დაისვა პირველად საკითხი კულტურაში ფემინურის —ქალურის დათრგუნვის შესახებ. მასში ნაჩვენებია, რომ საზოგადოება აკანონებს მამაკაცურს (მასკულინურს), როგორც პოზიტიურ კულტურულ ნორმას, ხოლო ქალურს (ფემინურს), როგორც ნორმიდან გადახრას.

ქეით მილეთი თავის ნაშრომში "სექსუალური პოლიტიკა" ავითარებდა ს. ბოვუარის ნააზრევს და წერდა კულტურაში ფემინურის დათრგუნვაზე, როგორც პატრიარქატის სოციალურ პოლიტიკაზე. ტერმინი **"პატრიარქატი"** ქეით მილეთის ნაშრომზე ბევრად უფრო ადრე მოიხსენიება, მაგრამ სწორედ მან მიანიჭა კულტურის ანალიზში ამ ტერმინს ძირითადი ცნების

[⊗]ზილა აიზენსთაინი, ლინდა გორდონი, მერი ო"ბრაიენი და სხვ.

[⊗] ქეით მილეთი, სულამიფ ფაიერსთოუნი, ანდრეა დვორნიკი, ქრისთინა დელფი, მერი დოილი და სხვ.

დატვირთვა. ქეით მილეთის გაგებით, პატრიარქატი მამათა ძალაუფლება გახლავთ. ეს არის ოჯახური, იდეოლოგიური, პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ქალური ყოველთვის მამაკაცურს არის დამორჩილებული. ქალების დათრგუნვა მომდინარეობს არა ბიოლოგიური განსხვავებიდან, არამედ ფემინურის, როგორც მეორადის სოციალურად დაკანონებიდან, პოლიტიკა სოციალური ძალაუფლების პარადიგმაა, რომელიც მოწოდებულია პატრიარქატის წესების შესაბამისად გააკონტროლოს ქალური სუბიექტურობა.

სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიასა და ისტორიაში ცნება "გენდერი" მუშავდება როგორც კლასის ანალოგიური, ფუნდამენტური მასტაბილიზებელი პრინციპი. გენდერული პოზიციიდან სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტაციისათვის გამოიყენება სოციოლოგიური მოდელები, რომლებითაც აიხსნება სოციალური იდენტურობის ჩამოყალიბების პროცესი და მისი დროითი ცვლილებები, სოციალური ჯგუფების წარმოშობა და დაშლა უთანასწორობის პირობებში, გაბატონებული ჯგუფების კულტურული ჰეგემონიის დამყარება და შერყევა. გენდერის პრობლემების შესახებ უფრო ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნება, თუ გავეცნობით ფრანსეზ ვულის, ჯუდით ლორბერის, გიზელა ბოკისა და სხვათა პუბლიკაციებს.

ნორბერტ ელიასის და ნატალი ზემონ დევისის ნაშრომები საკმაოდ მრავალმხრივ წარმოდგენას ქმნის ახალ დროში ქალებსა და მამაკაცებს შორის დამყარებული ურთიერთობის მოდელის შესახებ. ამავე პრობლემას ეძღვნება ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ჯონ ჰაჯნალის სტატიები. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე სხვადასხვა რელიგიაში ქალის როლისა და სტატუსის გამოკვლევები, რომლებიც ჩაატარეს ნენსი შუსტერმა, სემუელ ჰეილმანმა, ჯინა და ჯონ ბოუქრებმა, ივლინ ქეიმ, ბლუ გრინბერგმა, სიუზან სერედმა, ედით დინმა, რუფ რექჰა ვერბამ და სხვ.

გენდერის კონცეფციაში, როგორც სოციალურად კონსტრუირებულ, სიმბოლურად ინტერ-პრეტირებულ, ისტორიულად ცვალებად მოდელში, აშკარად ჩანს ფრანგი ფილოსოფოსი-პოსტმოდერნისტის ჟაკ დერიდას დეკონსტრუქციის თეორიის გავლენის კვალი. ტერმინი "დეკონსტრუქცია" ნიშნავს მეტაფორების ამოცნობის პროცესს, მათი იმ ფარული ლოგიკის გამომზეურებას, რომელიც, ჩვეულებრივ, არსებობს, როგორც ცნებათა ბინარული ოპოზიცია (მამაკაცი-ქალი, სუბიექტი-ობიექტი, კულტურა-ბუნება და ა.შ.). ჟ. დერიდა გვიჩვენებს, რომ არ არსებობს წმინდა განსხვავებები დომინაციის გარეშე, ვინაიდან ამგვარ ოპოზიციაში ერთი მხარე ყოველთვის მეორეს არის დაქვემდებარებული. ტერმინი "დეკონსტრუქცია" აღნიშნავს ზოგადად, ნებისმიერი ცნებისათვის, როგორც იდეოლოგიურად ან კულტურულად კონსტრუირებულისათვის ფარდის ახდას და არა უბრალოდ ბუნებრივი რეალობის ასახვას. (Derrida, 1976).

დერიდას თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა ფრანგული პოსტმოდერნისტული ფემინიზმის წარმომადგენლების — ჰოლენ სისუს, ლუსი ირიგარეის, იულია ქრისთევოის შეხედულებებზე. ფრანგულ ფემინიზმში გენდერის კატეგორიის ანალიზი დეკონსტრუქციის საშუალებით უფრო ეგზისტენციური და მეტაფორული ხასიათისაა, ხოლო ამერიკულ ფემინიზმში გენდერის კატე-გორია სოციალურ და მეთოდოლოგიურ ფუნქციას ასრულებს. გენდერის კონსტრუქციულ კატეგორიაში სქესი კულტურული მეტაფორა ხდება და, როგორც ე. ეფი აღნიშნავს, სულისა და ბუნების ურთიერთობას გადმოსცემს.. სული მამაკაცია, ბუნება — ქალი, ხოლო შეცნობა აღმოცენდება როგორც ფლობის გარკვეული აგრესიული აქტი: პასიური ბუნება განიცდის განსხეულებას, გახსნას, ადამიანი მის სიღრმეებში შეაღწევს და დაიმორჩილებს. ადამიანის გაიგივება მამაკაცური სახის მქონე შემცნობ სულთან, ბუნებისა კი დაქვემდებარებულ მდგო-მარეობაში მყოფ ქალთან ყოველთვის იყო და დღესაც არის დასავლეთის კულტურის მთავარი თემა (Fee, 1980)

4. გენდერი და თანამედროვე ფემინიზმის ტიპოლოგია

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ჯუდით ლორბერი, რომელიც ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მკვლევრად ითვლება, თავის ნაშრომებში რეტროსპექტულად განიხილავს ფემინიზმის განვითარებას ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში. გენდერთან მიმართებაში იგი ფემინიზმის სამ ძირითად ტიპს გამოყოფს: **რეფორმატორულს (gender reform feminisms), რეზისტენტულსა (gender resistance feminisms)** და ე.წ. **ბუნტარულს (gender rebellion feminisms).** თითოეული ეს მიმართულება ფემინიზმის ზოგად თეორიულ საფუძვლებს ეყრდნობა.

რეფორმატორები (ლიბერალური, მარქსისნული და სოციალისტური, პოსტკოლონიური ფემინიზმი) თავიანთი ბრძოლის არსს საზოგადოებაში არსებული სტრუქტურის ფარგლებში ქალისა და მამაკაცის სტატუსის გათანაბრებაში ხედავენ. XX საუკუნის 60-70-იან წლებში წარმოჩნდა ქალისა და მამაკაცის აზროვნების, ფსიქიკის, სხეულის, სექსუალობისა და ქმედებების შესახებ გავრცელებული შეხედულებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, რომელთა თანახმადაც, მამაკაცები, ქალებთან შედარებით, უფრო ძლიერები, ჭკვიანები და ნიჭიერები არიან; ასე რომ, საზოგადოებრივი საქმიანობა მათი სფეროა. ქალების დანიშნულება კი დედობრივი სითბო, მზრუნველობა და ოჯახური საქმიანობაა. სამუშაოს ის ნაწილი, რომელსაც ქალები სახლში ასრულებენ ვირტუალურია, დაუთვლელი და ეროვნულ ეკონომიკურ სტატისტიკაში არ ფიგურირებს. რეფორმატორები (ლიბერალური, მარქსისტული და სოციალისტური, პოსტკოლონიური ფემინიზმი) ყურადღებას ამახვილებენ ოჯახში ქალის შრომასა და ეკონომიკაზე, როგორც გენდერული უთანასწორობის წყაროზე.

ისინი ბრძოლის ძირითად არსს არსებული გენდერული სოციალური სტრუქტურის ფარგლებში ქალისა და მამაკაცის სტატუსის გათანაბრებაში ხედავენ (მაგალითად, მათ უნდათ მეტი ქალი იხილონ მსხვილი კორპორაციების პრეზიდენტებად, ხელმძღვანელ მუშაკებად). რეფორმატორებმა ნათელი გახადეს ის დისკრიმინაცია, რომელსაც ქალები განიცდიდნენ დასაქმებისა და ეკონომიკური რესურსების განაწილების სფეროში. ისინი მოუწოდებენ გათვალისწინებული იქნეს ის პოტენციალი, რომელსაც ქალები ფლობენ, ხოლო ქალებმა თავიანთი ცხოვრება ისე წარმართონ, როგორც სურთ. მათი აზრით, ადამიანს, მიუხედავად სქესისა, უნდა ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება, თანაბარი აღიარება, თანასწორუფლებიანი მონაწილეობის საშუალება ცხოვრების ყველა სფეროში, და შესრულებული სამუშაოსათვის შესაბამისი ანაზღაურება. ადამიანებს, განურჩევლად სქესისა, უნდა შეეძლოთ აირჩიონ თავიანთი მოღვაწეობის სფერო, იმუშაონ, იყვნენ მეცნიერები, პოლიტიკოსები ან რომელიმე სხვა პროფესიის წარმომადგენლები.

რეზისტენტული მიმართულების ფემინისტები (რადიკალები, ლესბოსელები, ფსიქოანალიტიკოსები და სხვ. ქალის მიმართ არსებული დისკრიმინაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ გამოდიან და აკრიტიკებენ იმ ფაქტს, რომ ქალის გამოცდილება არ არის წარმოჩენილი განათლებისა და კულტურის წარმოების სფეროებში. ისინი იბრძვიან არსებულ გენდერულ სტრუქტურულ საზოგადოებაში მამაკაცების მიერ ქალების შევიწროებისა და ექსპლუატაციის (განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის და გაბატონებული კულტურული წარმოდგენების) წინააღმდეგ.

რეზისტენტული მოძრაობის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოების მოცემული გენდერული სტრუქტურის პირობებში, სადაც ასე საგრძნობია კაცების დომინირება, ქალთათვის გენდერული თანასწორობა შეუძლებელია. ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ისინი მამაკაცებივით უემოციო და კარიერზე ორენტირებულნი გახდებიან. მათ მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ქალთა გამოცდილების განზოგადების პერსპექტივა. 1970-80-იან წლებში მათ მეტად მნიშვნელოვანი თეორია განავითარეს გენდერული იდეოლოგიის ძალაუფლების (the power of gender ideology) ღირებულებებისა და წარმოდგენების შესახებ. ეს თეორია, მათი აზრით, გენდერულ სოციალური სამართლიანობის ლიკვიდაციას შეუწყობს ხელს. ამ მოძრაობის მომხრეები ამტკიცებენ, რომ გენდერული უთანასწორობა გამყარებულია უმეტესი რელიგიებით, რომლებიც იმას ქადაგებენ, რომ მამაკაცის გაბატონებული მდგომარეობა ღმერთის სურვილის

გამოხატულებაა, მეცნიერებით, რომელიც ამტკიცებს, რომ დომინირება ჰორმონალური და გენეტიკური სხვაობის შედეგია, საკანონმდებლო სისტემით, მასმედიით, სპორტით, პორნოგრაფიით, რომელიც მამაკაცთა ძალადობას, მათ მიერ სექსუალურ ექსპლუატაციას უწყობს ხელს.

ზოგიერთ ფემინისტს მიაჩნია, რომ საზოგადოებაში არსებული გენდერული სტრუქტურა უნივერსალურია და საუკეთესო გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ქალებზე ორიენტირებული საზოგადოება თავისი კულტურით, ეთიკით და რელიგიითაც კი. ასეთი მიმართულება ფემინიზმში კულტურული ფემინიზმის სახელწოდებით არის ცნობილი და იგი რაღაც შუალედურია რადიკალებსა და ლესბოსელებს შორის. რეზისტენტული გენდერული ფემინიზმის ზოგიერთ წარმომადგენელს კი მიაჩნია, რომ იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ქალების მიმართ სისტემატური ძალადობა და მათი სექსუალური ექსპლუატაცია, საჭიროა ხანგრძლივი პოლიტიკური მუშაობის წარმოება მოსახლეობის ფართო ფენებთან. მაგრამ ერთ საკითხში ისინი საერთო პოზიციებზე დგანან, რომ საჭიროა ძალისხმევა და ბრძოლა იმისათვის, რომ ქალებმა შეიგრძნონ თავიანთი ძალა, ირწმუნონ თავიანთი შესაძლებლობები, ისწავლონ თუ როგორ უნდა დაიცვან თავი სექსუალური ძალადობისაგან.

ბუნტარული ფემინზმი (მულტიკულტურული, მამაკაცთა, სოციალური კონსტრუქციის, პოსტმოდერნისტული, ჰომოსექსუალთა და სხვ.) იმ პროცესებისა და სიმბოლოების დეკონსტრუქციას ახდენს, რომლებიც, მათი აზრით, გენდერული ასიმეტრიის საფუძველს წარმოადგენენ. ბუნტარული ფემინიზმი არსებული გენდერული საზოგადოებრივი წესრიგის კრიტიკით გამოდის და ეჭვქვეშ აყენებს მის საფუძველს - კაცობრიობის ორ სქესად დაყოფას.

ე.წ. „ბუნტარული ფემინიზმი“ ილაშქრებს უშუალოდ არსებული გენდერული სტრუქტურის წინააღმდეგ. მათი აზრით საჭიროა სქესი წარმოჩინდეს მთელი თავისი მრავალფეროვანი კატეგორიებით და იმ ფარული საზღვრების გათვალისწინებით, რომლებიც არსებობს მამაკაცებსა და ქალებს, მდედრობითსა და მამრობითს, ჰეტეროსექსუალებსა და ჰომოსექსუალებს შორის. აყენებენ რა ეჭვქვეშ მამაკაცისა და ქალის, ჰეტეროსექსუალობისა და ჰომოსექსუალობის, მასკულინურისა და ფემინურის, მდედრობითისა და მამრობითის დუალობას ისინი მართებულად არ თვლიან რომელიმე ჯგუფისათვის რაიმე სამართლებრივი უპირატესობის მინიჭებას სხვასთან შედარებით. ისინი გენდერს რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, სოციალურ კლასთან, სექსუალურ ორენტაციასთან კონტექსტში განიხილავენ. მათი მტკიცებით არსებულმა გენდერულმა სოციალურმა წესრიგმა ისევე შეიძლება დააპირისპიროს მამაკაცი მამაკაცთან როგორც მამაკაცი ქალთან. ერთი და იმავე რასობრივი და ეთნიკური ჯგუფის, ან ეკონომიკური სტრუქტურის მამაკაცებსა და ქალებს გაცილებით უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე სხვადასხვა ჯგუფის მამაკაცებს ან ქალებს. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მამაკაცები და ქალები, გეები და ლესბოსელები, რომლებსაც სოლიდარობის გამძაფრებული გრძნობა აქვთ, ქმნიან კოალიციას, ერთად იბრძვიან თავიანთი უფლებებისათვის, მუშაობენ შიდსის თავიდან ასაცილებლად და ა. შ.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ შემდეგი: თუ ერთმანეთს შევადარებთ და გავაანალიზებთ ფემინისტური მოძრაობის სამ ძირითად მიმართულებას, მათი ერთი საერთო ტენდენცია უნდა გამოვყოთ — ეს არის საზოგადოებაში არსებული გენდერული სტრუქტურის კრიტიკა და მის წინააღმადეგ აქტიური მოქმედება, გალაშქრება ქალთა დისკრიმინაციისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ბრძოლა ქალთა უფლებების დასაცავად, სქესთა სამართლებრივი და ფექტობრივი თანასწორობის დასამყარებლად. საერთო ფემინისტური იდეოლოგიის თანახმად, ადამიანებს, მიუხედავად სქესისა, უნდა ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანის (ანუ არჩევანის თავისუფლების) უფლება, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თანასწორუფლებიანი მონაწილეობის საშუალება.

ნიშანდობლივია, რომ ხშირად იდენტურია არა მარტო ამ მიმართულების შეხედულებები, არამედ მათი ბრძოლის საშუალებები და გზები, მაგრამ აღნიშნულ ფემინისტურ მოძრაობებს არა მარტო ბევრი რამ აქვთ საერთო, მათ შორის ბევრი განსხვავებაც არის. მოვიყვანთ მხო;ოდ რამდენიმე განმასხვავებელ ნიშანს.

რეფორმატორები ქალისა და მამაკაცის სტსტუსის გათანაბრების შესაძლებლობას თავად

საზოგადოებაში არსებული სოციალური სტრუქტურის ფარგლებში ხედავენ, ხოლო რეზისტენტებს შეუძლებლად მიაჩნიათ ყოველგვარი გენდერული თანასწორობა საზოგადოებრივი წესრიგის ფარგლებში.

არსებული მდგომარეობის კრიტიკის დროს რეფორმისტები აქცენტს აკეთებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ მხარეზე, როგორც გენდერული უთანასწორობის წყაროზე, ხოლო პეზისტენტული ფემინიზმის მიმდევრები ქალების მიმართ სექსუალურ ძალადობაზე ამახვილებენ ყურადღებას და მისი ლიკვიდაციის, არსებული მდგომარეობის შეცვლის გზად მასებთან ხანგრძლივ მუშაობას მიიჩნევენ.

ბუნტარული ფემინიზმი კი საერთოდ საეჭვოდ მიიჩნევს არსებული გენდერული სტრუქტურის აღიარებულ საფუძველს — კაცობრიობის ორ სქესად დაყოფას. ისინი თვლიან, რომ სქესს არა ორი, არამედ რამდენიმე კატეგორია აქვს და ნებისმიერი სექსუალური ორიენტაციის ადამიანების დისკრიმინაცია დაუშვებელია.

ზოგ საკითხში ფემინიზმის აღნიშნული მიმართულებები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან იდეოლოგიით, მიდგომებით, პრინციპებით და ბრძოლის მეთოდებით.

ჩვენი აზრით, ყველაზე პროგრესულია რეფორმატორული ფემინიზმი, რომლის მიზანია საზოგადოებაში არსებული გენდერული სტრუქტურის ფარგლებში სქესთა თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის დამყარება, ქალთა პოტენციალის გამოყენება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (განსაკუთრებით, ეკონომიკაში), მათი სოციალური სტატუსის ამაღლება. არსებული მდგომარეობის შესაცვლელად მათ საჭიროდ მიაჩნიათ ხანგრძლივი და თანამიმდევრული მუშაობა. რეფომატორების ბრძოლის საშუალებები და მეთოდები არ არის რადიკალური, ზომიერებით გამოირჩევა და საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერთა და მოწონებით სარგებლობს.

კითხვები და დავალებები:

1. რა არის ფემინიზმი?
2. ფემინიზმის წანამძღვრები.
3. ფემინიზმის სამი ძირითადი მიმართულება.
4. რა განსხვავებაა გენდერსა და ფემინიზმს შორის?
5. ფემინიზმის ტიპოლოგია ჯუდით ლორბერის მიხედვით

ლიტერატურა:

1. საქართველო: ქალი. საზოგადოება. განვითარება. საქართველოს მთავრობისა და გაეროს ერთობლივი პროექტი "ქალები განვითარების პროცესში".
2. თ. კიკნაძე, ქალი და პოლიტიკა. პოლიტოლოგია (ლექციების კურსი) თბილისი. თსუ 2001
3. Женщина и свобода. Материалы международной конференции. М., Наука 1994
4. Зуикова Е. М., Эволюция феминизма в общественном сознании и научном познании // Ученые записки МГСУ. 1998
5. Шинелева Л. Т., Диалог о женщине М., 1989
6. Lorber J., Gender Inequality. Feminist Theories and Politics. Roxbary Publishing C ompany. Los Angeles, California.
7. Bonvillan N., Women and Men Perspective, Prentice Hall, Upper Saddle River, New Jersey 07458.
8. Fee E., Critiques of Modern Science: Tee Relakwns hip of Feminism to Oler Radical Epistemologies // Feminism Approaches to science.

თავი III
ფემინისტური ეკონომიკური თეორია

ეკონომიკურ თეორიებს შორის ვხვდებით ფემინისტურ ეკონომიკურ თეორიასაც, სადაც ყურადღება გამახვილებულია ქალებთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ფემინისტური ეკონომიკური თეორია ერთგვაროვანი არ არის. ფემინისტურ მოძრაობაში არსებული სხვადასხვა პოზიციის არსებობა ფემინისტურ ეკონომიკურ თეორიებშიც პოვებს ასახვას. "ფემინისტური ეკონომიკური თეორიის ძირითად არსს წარმოადგენს შეხედულება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური მოვალეობების განაწილება სქესთა შორის არასამართლიანია და გამოსწორებას მოითხოვს." (Bergmann, 1982) ფემინისტი ეკონომისტები აღიარებენ, რომ ქალები, კაცებთან შედარებით, ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან და სამართლიანობის მოსაზრებიდან გამომდინარე, თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვენ.

ფემინისტი ეკონომისტი ლ. ბრაუნი ხაზს უსვამს ქალთა არათანასწორუფლებიანობის ფაქტს და აღნიშნავს: "ფემინიზმის განსაკუთრებულ მახასიათებელს წარმოადგენს ის აზრი, რომ უმრავლეს საზოგადოებებში მთელი ხნის მანძილზე ქალები, კაცებთან შედარებით, უარეს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ." (Brown, 1989)

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფემინისტური კრიტიკით გამხნევებულმა ფემინისტ-ეკონომისტებმა ეკონომიკური თეორიის ობიექტურობის საკითხიც დააყენეს დღის წესრიგში. პ. ინგლანდის აზრით, "აუცილებელია ეკონომიკურ კვლევებში უარი ვთქვათ შექმნილ გენდერულ სტერეოტიპებზე." (England, 1990). ჰარდინგმა ეს აზრი განაზოგადა და გამოყო ორი ძირითადი მიმართულება, სადაც ფემინიზმს შეუძლია თავისი მეცნიერული აზროვნების გაფართოვება. ერთი მხრივ, ფემინისტური ემპირიზმი თავიდან აიცილებს სექსიზმსა და ანდროცენტრიზმს, რადგან მეცნიერული კვლევის მეთოდები შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ქალების, ისე მამაკაცების ქცევის შესასწავლად. მეორე მხრივ, ფემინისტური მიდგომის ჩარჩოებში ქალების ყოფითი გამოცდილება, რომელიც დაკავშირებულია არათანსწრუფლებიანობასა და ბავშვების აღზრდის ფუნქციასთან, მათ (ე.ი. ფემინისტებსაც) საშუალებას აძლევს ჰქონდეთ მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკუთარი პერსპექტივა. (Harding, 1986)

სწორედ აღნიშნული შეხედულებები უდევს საფუძვლად ნეოკლასიკურ ფემინისტურ ეკონომიკურ თეორიას, რომელიც ითვალისწინებს:

1. კაცებისა და ქალების კეთილდღეობას შორის არსებული განსხვავების დოკუმენტურ მტკიცებულებას;
2. სქესთა თანასწორობის მიღწევის მიზნით წარმოებული პოლიტიკის აუცილებლობის დასაბუთებას;
3. ანდროცენტრული გავლენისაგან თავისუფალი კვლევების ჩატარებას.

ეკონომიკური კვლევების პირველი მიმართულება (კაცებისა და ქალების კეთილდღეობას შორის არსებული განსხვავების დოკუმენტური მტკიცებულება) მიზნად ისახავს კაცებისა და ქალების კეთილდღეობას შორის არსებული განსხვავების დოკუმენტურ ფიქსირებას. კეთილდღეობის დონე დამოკიდებულია არა მარტო ფულად ფაქტორებზე მაგ., ჯანმრთელობა, ოჯახური და მეგობრული კავშირები, ხასიათის თავისებურებები, არ შეიძლება მივაკუთვნოთ ფულად ფაქტორებს. ამასთან, რა თქმა უნდა, ფულსაც აქვს მნიშვნელობა. ქალის მატერიალური კეთილდღეობის ორი ძირითადი მახასიათებელია მისი პირადი შემოსავალი და წილი ოჯახის მთელ შემოსავალში. მესამე ფაქტორი დაკავშირებულია დროის იმ რაოდენობასთან, რომელსაც იგი სამუშაოს უთმობს.

განვიხილოთ ქალების მდგომარეობა (როგორც აბსოლუტური, ისე კაცებთან მიმარ-

თებაში) და ისეთი მაჩვენებლები როგორიცაა: მათი ხელფასი, წილი შემოსავლიდან და სამუშაოზე დახარჯული დრო.

განვითარებულ ქვეყნებში ქალთა უმრავლესობა მუშაობს. თუმცა, მთელ სამუშაო დღეს დასაქმებული ქალები, კაცებთან შედარებით, გასამრჯელოს ორ მესამედს იღებენ (აშშ-ს მონაცემები). ეს სხვაობა სტრუქტურული ხასიათის მიზეზებით შეიძლება ავხსნათ. ბევრი ქალი დაბალანაზღაურებადი "ქალური" შრომით არის დაკავებული. მათგან ბევრს უფრო დაბალი ხარისხის განათლება და კვალიფიკაცია აქვს, ვიდრე კაცებს. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ქალები, ძირითადად, ბავშვების აღზრდით არიან დაკავებულნი. მ. გუდერსონი იმ დასკვნამდე მიდის, რომ შრომის ბაზარზე ეგზოგენური ფაქტორები (ე.ი. სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ფუნქციები) ანაზღაურებაში განსხვავების მეტად მნიშვნელოვანი წყაროა." (Guderson, 1987,).

პირადი შემოსავალი ქალთა კეთილდღეობის მეტად მნიშვნელოვანი პირობაა, განსაკუთრებით გაუთხოვარი, განქორწინებული, ქვრივი ქალებისათვის და მარტოხელა დედებისათვის. გათხოვილი ქალის კეთილდღეობა ქმრის შემოსავალზეც არის დამოკიდებული. როგორ შეიცვლება ქალის ეკონომიკური მდგომარეობა, თუ მხედველობაში მივიღებთ შემოსავლების განაწილებას ოჯახის შიგნით. ა. სენას ნაშრომში ლაპარაკია ოჯახში, მის წევრებს შორის საკვების არათანასწორ განაწილებაზე. მაგ., ბანგლადეშსა და დასავლეთ ბენგალიაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქალები, როგორც წესი, კაცებზე ნაკლებ კალორიებს იღებენ და შიმშილობის პერიოდშიც უჭმელობისაგან უფრო ისინი ზარალდებიან. შემდგომში ჩატარებული კვლევებიც ა. სენას აზრს ადასტურებს. მაგ., ჰადადი და კანბური ფილიპინებში ჩატარებული კვლევის შედეგად იმავე დასკვნამდე მიდიან. (Sen, 1992).

ჩვენ, რა თქმა უნდა, მექანიკურად არ უნდა ვიფიქროთ, რომ განვითარებად ქვეყნებში არსებული ტენდენცია განვითარებულ ქვეყნებზეც ვრცელდება, მაგრამ აღნიშნული იმის საფუძველს იძლევა, რომ განსხვავებაა არა მარტო ანაზღაურებაში, არამედ ოჯახის შემოსავლების განაწილებაშიც.

იქნებ, ნაკლები ანაზღაურების ფონზე, ქალებს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვთ? აღნიშნული ჰიპოთეზა ემპირიულად არ არის დადასტურებული. მაგალითად, აშშ-ში მამაკაცები სამუშაოზე მეტ დროს ხარჯავენ (იმ დროის გათვალისწინებით, რომელსაც ისინი საერთო ჯამში ხარჯავენ სამსახურსა და სახლში), მაგრამ თუ შევადარებთ ერთი და იმავე სამუშაოს შესასრულებლად დაქირავებული მამაკაცებისა და ქალების დროის დანახარჯს, აღმოჩნდება, რომ ქალები გაცილებით მეტ დროს უთმობენ მას.

ასე რომ, თუ ფემინისტების ეკონომიკური თეორია აღიარებას ვერ ჰპოვებს, აღნიშნული ფაქტი პირველი მიმართულებით წარმოებული კვლევითი მუშაობის წარუმატებლობით არ იქნება გამოწვეული.

ზომები, რომლებიც მიიღება თანასწორობის მისაღწევად.

რაც შეეხება სქესთა თანასწორობის მიღწევის მიზნით წარმოებული პოლიტიკის აუცილებლობის დასაბუთებას, ფემინისტი ეკონომისტები გამოყოფენ არათანასწორობის სამ სფეროს: შრომის ანაზღაურებას, ოჯახის შემოსავლების განაწილებას და თავისუფალი დროის რაოდენობას.

ბევრ ქვეყანაში შრომის ანაზღაურებაში მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებული არათანასწორობის დაძლევის მიზნით სახელმწიფოს მიერ რეგულირების სხვადასხვა ზომა იქნა მიღებული, მაგ., მთელ რიგ ქვეყნებში მიიღეს კანონები ქალთა სამუშაოზე მიღების სტიმულირებისა და თანაბარი სამუშაოს შესრულებისათვის ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ანაზღაურების შესახებ იმ გათვლით, რომ მეტმა ეგალიტარიზმმა ამ სფეროში შეიძლება შეასუსტოს სხვა სფეროებში არსებული არათანასწორობის სიმძაფრე (განსაკუთრებით, ოჯახის შიგნით შემოსავლების განაწილების პრობლემა).

უთანასწორობის დაძლევის გზების არჩევანი დამოკიდებულია ჩვენს წარმოდგენასა და განწყობაზე ამ უთანაწორობის მიზეზების წარმოშობის მიმართ. ფრანსეზ ვული გვთავაზობს სამ ზოგად ჰიპოთეზას, რომლებმაც ჰიპოთეზის დონეზე უნდა ახსნას მამაკაცთა და ქალთა

შრომითი ანაზღაურების სხვაობის, უპირატესობის მინიჭების დონეზე არსებული დისკრიმინაციისა და არასწორი შეფასებების სტატისტიკასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის მიზეზები. მისი აზრით, "ახსნის ყოველ ტიპს სახელმწიფო პოლიტიკისათვის გასათვალისწინებელი შესაბამისი პრაქტიკული დასკვნები და რეკომენდაციები აქვს. მათ გააჩნიათ აგრეთვე პრობლემები, რომლებსაც ისინი ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის წინაშე აყენებენ."... "დისკრიმინაციის მოდელები აქ წარმოდგენილი ფორმებით არ მთავრდება, მაგრამ ისინი ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება დისკრიმინაციის ასახსნელად და ყველაზე უფრო კარგად მიუთითებს იმაზე, რომ თავისთავად პოლიტიკურად ორიენტირებული ფემინიზმი საკმარისი არ არის. საჭიროა შემდგომი კვლევები, რომლებიც ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის წინაშე ახალ პრობლემებს დააყენებს." (Wooley, 1993)

დისკრიმინაცია უპირატესობის მინიჭების დონეზე

ფრენსის ვულს მიაჩნია, რომ დისკრიმინაციის ამ სახეობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მეწარმეებს, კოლეგებს სამსახურში ან მომხმარებლებს "დისკრიმინაციული გემოვნება აქვთ", ანუ ისინი უპირატესობას მამაკაცებს ანიჭებენ. ამის შედეგი კი არის ქალების დაბალი ანაზღაურება და სირთულეები სამსახურის შოვნისას. მაგალითისათვის, თუ დამქირავებელი უპირატესობას მამაკაცს ანიჭებს, შესაბამისად მას მეტ ანაზღაურებას სთავაზობს, ხოლო ქალი იძულებულია ნაკლებ ხელფასს დასჯერდეს. თუმცა, ეს ჰიპოთეზა პირველად გ. ბეკერის მიერ ეროვნული ნიშნის მიხედვით არსებული დისკრიმინაციის ასახსნელად იქნა წამოყენებული, ფემინისტური ეკონომიკური თეორია მას ქალების დისკრიმინაციის ასახსნელად იყენებს.

გ. ბეკერის მიერ შემოთავაზებული მოდელის თანახმად, მიზანმიმართულმა სახელმწიფო პოლიტიკამ შეიძლება ხელი შეუწყოს მეტი თანასწორობის დამყარებას, მაგრამ ეკონომიკური ეფექტის შემცირების ხარჯზე. კანონმდებლობამ ქალების სამსახურში მიღებასა და თანაბარი ანაზღაურების შესახებ შეიძლება განაპირობოს მეტი სამართლიანობა, აამაღლოს ქალების ანაზღაურება და გაზარდოს მათ მიერ სამუშაოს მიღების შანსი. თუმცა, ასეთი პოლიტიკის განხორციელებას თან მოსდევს, უპირველეს ყოვლისა, დამქირავებლის ეკონომიკური ინტერესების შელახვა და წარმოების ეფექტიანობის შემცირება. მაგრამ გ. ბეკერს მიაჩნია, რომ შეხედულება ეფექტიანობის შემცირების შესახებ მთლად მართებული არ არის. მეწარმეს, მამაკაცებთან შედარებით, დაბალანაზღაურებადი ქალების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე შეუძლია დამატებითი შემოსავლების მიღება, რაც, თავისთავად, მას დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას მისცემს და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საშუალებას უზრუნველეყოფს. (Becker, 1985)

დისკრიმინაციული მოდელის საფუძველი უპირატესობის მინიჭების დონეზე მაინც მის გამომწვევ მიზეზებში უნდა ვეძიოთ. ფემინისტი-ეკონომისტები (და არა მარტო ისინი) ცდილობენ ამ მიზეზების გარკვევას. მაგალითად, პ. ინგლანდმა და ა. ბრაუნმა შრომის ბაზრის სეგრეგაციის მიზეზების ასახსნელად გამოიყენეს ნ. ჰოდოროუს თეორია.[×] მამაკაცები თავიანთ იდენტურობას ეჭვქვეშ აყენებენ, როცა ქალები არღვევენ ტრადიციას და "მამაკაცური" პროფესიების ათვისებას იწყებენ. ნ. ფოლბერი იხილავს ევოლუციის პროცესს, რომელმაც შეიძლება საზოგადოებას საუკეთესო პირობები შეუქმნას, სადაც ქალები მამაკაცების დომინირებას არჩევენ. გ. ბოდჯსონი აქცენტს აკეთებს ინსტიტუტების როლზე ინდივიდის მიზნების ფორმირების პროცესში.

[×] ამ თეორიის თანახმად ბიჭებს ბავშვობისას დედები ზრდიან და მათ არა აქვთ თავიანთი სქესის უფროს წარმომადგენლებთან სისტემატური ურთიერთობის შესაძლებლობა. ამის გამო თავიანთი მამაკაცური იდენტურობის გამოვლენას ისინი ქალის უარყოფაში ჰპოვებენ.

უპირატესობის მინიჭების ცვლილებას ფემინისტური ეკონომიკური თეორიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სქესთა თანასწორუფლებიანობის მიღწევა (როგორც დასაქმების, ისე სხვა სფეროებში) დისკრიმინაციის გამომწვევი პრეფერენციების გადალახვას ითვალისწინებს. თუმცა, კეთილდღეობის თეორიის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების ნეოკლასიკური მიდგომა თითქმის, ერთმნიშვნელოვნად, უპირატესობის მინიჭების საბაზისო წინაპირობის მდგრადობას ეყრდნობა. მაგალითისათვის განვიხილოთ, თუ როგორ უნდა შევაფასოთ პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ქალების მიერ სამუშაოს მიღების შესაძლებლობების გასაფართოვებლად. შესაძლოა, უპირატესობა იცვლება, ეჭვქვეშ დგება თვით საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლება. ასეთი კითხვის პასუხი არ შეიძლება ერთმნიშვნელოვანი იყოს და სწორედ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს იმ ძირითად პრობლემას, რომელსაც ფემინისტები ეკონომიკური თეორიის წინაშე აყენებენ. მათი აზრით, უმთავრესი ამოცანაა შემუშავებული იქნას მოდელი.

სტატისტიკური დისკრიმინაცია:
მიდგომა ადამიანური კაპიტალის თეორიის პოზიციიდან

მამაკაცთა და ქალთა შორის არსებულ უთანასწორობას სხვანაირად ხსნის ჰიპოთეზა სტატისტიკური დისკრიმინაციის შესახებ. მრავალრიცხოვანი ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ორი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, რომელთაც თანაბარი მონაცემები აქვთ (ერთმანეთისაგან მხოლოდ სქესით განსხვავდებიან) უპირატესობა მამაკაცებს ენიჭებათ. სხვადასხვა კვლევაში სამუშაოზე აყვანის სხვადასხვა სიტუაცია მოდელირდებოდა. დამქირავებელს ჰქონდა საშუალება, არჩევანი გაეკეთებინა კანდიდატ ქალს და მამაკაცს შორის. შედეგად აღმოჩნდა, რომ მამაკაცებს უფრო ხშირად იყვანენ უნივერსიტეტებში, ნიშნავენ ხელმძღვანელ ან ისეთ თანამდებობაზე, სადაც საჭიროა პროფესიული მომზადება. მათ უფრო მაღალ ხელფასს სთავაზობენ. არსებობს იმის დამადასტურებელი ბევრი ფაქტი, რომ მამაკაცების მიერ შესრულებული სამუშაო უფრო მაღალ შეფასებას იღებს, ვიდრე ქალებისა. იბადება ბუნებრივი შეკითხვა: რა არის ამის მიზეზი?

ერთ-ერთი ახსნა, რომელიც ეკონომიკურ თეორიას შეესაბამება, არის დისკრიმინაცია სტატისტიკის დონეზე. მაგ., შესაძლებელია, მთლიანობაში, მხატვარი ქალების ნამუშევრები მამაკაცი მხატვრების ნამუშევრებზე უკეთესი არ არის, ამიტომაც ბაზარზე მათ ნაკლები ფასი აქვთ და თუკი ინდივიდს მიაჩნია, რომ ორი წარმოდგენილი მხატვრობის ნიმუშიდან (მამაკაცისა და ქალის) მამაკაცის ნახატს მეტი ღირებულება აქვს, გასამტყუნარი არ არის. ამიტომაც თუკი იგი ქალის ნამუშევარს ნაკლებ ფასს დაადებს, მას ნაკლები შანსი აქვს, რომ არარაციონალურად მოიქცეს. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი (დ. ეიგნერი, გ.კეინი) აღნიშნავს, რომ სტატისტიკური დისკრიმინაცია ყოველთვის არ განაპირობებს ეკონომიკურ დისკრიმინაციას. შეიძლება ბევრი მაღალმხატვრული ნამუშევარი სათანადოდ არ შეფასდეს, ხოლო მდარე ხარისხისამ დაუმსახურებლად უფრო მაღალი შეფასება მიიღოს. საშუალო მაჩვენებელი მაინც სამართლიანი იქნება.

არსებობს თუ არა ემპირიული დადასტურება ჰიპოთეზისა სტატისტიკური დისკრიმინაციის შესახებ? გამოკვლევისას გამოვლინდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, მიუხედავად ისეთი ფაქტორების გათვალისწინებისა, როგორიცაა ასაკი, მუშაობის გამოცდილება, განათლება და სხვ., ხელფასის სხვაობა დისკრიმინაციით არის გამოწვეული. თუ ჰიპოთეზა სტატისტიკური დისკრიმინაციის შესახებ სამართლიანია, მაშინ აღნიშნული განპირობებულია სხვაობით მწარმოებლურობას ან ადამიანური კაპიტალის დაგროვებას შორის, რომლის დროსაც არ არის გათვალისწინებული განათლების და სხვ. მაჩვენებელი.. ამ პრობლემის უფრო ღრმად შესასწავლად მიზანშეწონილია განვიხილოთ, აგრეთვე, დისკრიმინაციის ისეთი მოდელი, როგორიცაა დისკრიმინაცია, რომელიც დაკავშირებულია არასწორ შეფასებებთან.

დისკრიმინაცია, რომელიც დაკავშირებულია არასწორ შეფასებებთან

ქალების დაბალი ანაზღაურების ასახსნელად არსებობს კიდევ ერთი ჰიპოთეზა არასწორი შეფასებების თაობაზე. ადამიანებმა შეიძლება მცდარად გააზვიადონ სხვაობა მამაკაცებისა და ქალების საშუალო შესაძლებლობების შესახებ. დისკრიმინაციის ასეთ კონსერვატორულ ფორმას ხშირად ვხვდებით ინსტიტუციურ სტრუქტურებში. ასე მაგალითად, ვიქტორიას ეპოქის კანონმდებლობა ქალებს უკრძალავდა მიწისქვეშა სამუშაოების შესრულებას (მაგალითად, მეტროს მატარებლის მძღოლებად მუშაობას). ეს ძალაში რჩებოდა მეოცე საუკუნის 80-იან წლებშიც. უფრო მეტიც, დისკრიმინაცია, რომელიც მცდარ შეხედულებებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებულად მდგრადია: ქალებს დაბალანაზღაურებად სამუშაოზე იმიტომ იღებენ, რომ გავრცელებული აზრის მიხედვით, ისინი ნაკლებად კვალიფიციურები არიან, ამასთან, ისინი თავის კვალიფიკაციას ვერ იმაღლებენ იმიტომ, რომ მათ მიერ დაკავებული თანამდებობები არ იძლევა სამსახურებრივი წინსვლის საშუალებას.

დისკრიმინაციას, რომელიც დაკავშირებულია არასწორ შეფასებებთან და სტატისტიკურ დისკრიმინაციას, სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით, დიამეტრალურად საპირისპირო შედეგებამდე მივყავართ. თუ ქალები, დამქირავებლის არასწორი ქმედების გამო, დაბალ ანაზღაურებას იღებენ, ისეთი ზომები როგორიცაა, მაგალითად, ქალების სამუშაოზე მიღების სტიმულირება, ან თანაბარი ანაზღაურების კანონით განმტკიცება, უბრალოდ ასეთი შეცდომის გამოსწორებას იწვევს და ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირებას არ განაპირობებს. თუ საქმე სტატისტიკურ დისკრიმინაციასთან გვაქვს, მაშინ იძულებითი ზომების გატარება სამუშაოზე აყვანისას ან ხელფასის გათანაბრებისას სამუშაო ძალის საშუალო ხარისხის შემცირებას იწვევს (რადგან იგულისხმება, რომ მამაკაცები მეტი შრომის ნაყოფიერებით ხასიათდებიან), რასაც თან ეკონომიკური ეფექტიანობის კლება მოჰყვება. არასწორ შეფასებებთან დაკავშირებული დისკრიმინაციის დროს სახელმწიფო პოლიტიკის ეს ზომები რაიმე დანაკარგებთან არ არის დაკავშირებული. სტატისტიკური დისკრიმინაციას შემთხვევაში კი დანაკლისი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

მ. პუიოლის აზრით, დისკრმინაციის ახსნა შეფასებისას დაშვებული სისტემატური შეცდომების ხარჯზე ფემინისტური ეკონომიკური თეორიისათვის დამახასიათებელი არ არის. მაგრამ თუ ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ეკონომისტებს მათ შესაძლებლობებზე მცდარი შეხედულებები ჰქონდათ. ასე რომ, ჰიპოთეზა დისკრიმინაციისა სისტემატური შეცდომების შესახებ, შეიძლება მართებული იყოს და სწორედ აქედან გამომდინარეობს შემდგომი პრობლემის არსი, რომ ადამიანები შეიძლება სისტემატურად ცდებოდნენ.

თანასწორუფლებიანობის მიღწევის მიზნით გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ეკონომისტები იძულებულნი არიან უარი თქვან ტრადიციულ ეკონომიკურ მოდელზე, სადაც უპირატესობის მინიჭება ენდოგენური ფაქტორის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო შეცდომას განსჯაში სისტემატური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. (Pujol, 1992).

და, ბოლოს, განვიხილოთ ანდროცენტრული გავლენისაგან თავისუფალი კვლევები.

ფემინისტი ეკონომისტების მცდელობა, შექმნან ანდროცენტრული გავლენისაგან თავისუფალი კვლევები, მთელი რიგი მიმართულებებით ვლინდება. უპირველეს ყოვლისა, ისინი ცდილობენ გააუმჯობესონ ეკონომიკური ანალიზის ხარისხი. თავიანთი მოდელების დასასაბუთებლად ე.წ. "ანალიტიკურ გამარტივებას" მიმართავენ; მაგრამ გენდერულმა სტერეოტიპებმა მათი ფორმულირებისას შეიძლება შეცდომები გამოიწვიოს. გარდა ამისა, ბევრი ფემინისტი ეკონომისტი შეწუხებულია იმით, რომ თეორიაში ხდება ქალთა პრობლემატიკასთან დაკავშირებული ეკონომიკური საკითხების იგნორირება ან მათ სათანადო ყურადღება არ ექცევა. ხშირად, ეკონომისტებს "არ ძალუძთ" დაინახონ ქალთა მდგომარეობასთან ან გენდერულ დიფერენციასთან დაკავშირებული პრობლემები.

მთლიანობაში, ანდროცენტრული გავლენისაგან თავისუფალ კვლევებში ორი მიმართულება შეიძლება გამოვყოთ. პირველი დაკავშირებულია შეცდომითი გამარტივების გამოყენებასთან, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო მარტივია, ხოლო მეორე მიმართულია ეკონომიკაში ქალის გაუჩინარების წინააღმდეგ და ამ მხრივ საქმე უფრო რთულადაა. ჯუდით ლორბერის აზრით, ქალის "გაუჩინარების" ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება ქალის უპირატესი უნივერსალური ჩართვა ოჯახურ მეურნეობაში და მისი, ლორბერის, როგორც მიკროეკონომიკის სპეციალისტის შეხედულება. რა თქმა უნდა, ოჯახის მეურნეობის ალტერნატიული მოდელების შექმნის მცდელობა ფუნდამენტურ პრობლემას აყენებს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის წინაშე. უპირველეს ყოვლისა, მამაკაცთა და ქალთა არათანასწორობა შრომის ბაზარზე და ოჯახის მეურნეობაში ნაწილობრივ განპირობებულია უპირატესობათა მინიჭებით და ინსტიტუტებით. ფემინისტი ეკონომისტების სქესთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა კი დაკავშირებულია იმ იმედთან, რომ უპირატესობა და ინსტიტუტები შესაბამისი სახით შეიცვლება; აქედან გამომდინარეობს კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიის ანალიტიკური ინსტრუმენტების შექმნის აუცილებლობა, რომელიც აღნიშნული ცვლილებების ანალიზს ითვალისწინებს.

უპირატესობის მინიჭების წყაროების შესწავლას, ოჯახური მეურნეობის მოდელის შექმნას და ეკონომიკური თეორიის ინსტიტუციური ორიენტაციის გაძლიერების მოთხოვნას მარტო ფემინისტი ეკონომისტები როდი აწარმოებენ. მეცნიერულ სამყაროში გამოჩნდნენ ნეოკლასიკური მიმართულების ეკონომისტები, რომლებიც ფემინისტების მიერ წამოყენებულ პრობლემებს უთმობენ ყურადღებას. თავის მხრივ, ფემინისტური ეკონომიკური თეორია ფართოდ იყენებს სხვადასხვა თანამედროვე ეკონომიკური მიმართულების იდეებს, ამასთან, მას თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაც განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ აქცენტი გადააქვს ეკონომიკური სამართლიანობის პრობლემებზე, აერთიანებს სხვადასხვა მიმართულების შრომებს და ძლიერ ბიძგს იძლევა ტრადიციული ეკონომიკური თეორიის კრიტიკისათვის. გარდა ამისა, ფემინისტებს მეცნიერებაში სამყაროს აღქმის, კვლევისა და შეცნობის ახალი პერსპექტივები მოაქვთ, რაც მათ საშუალებას აძლევს დაინახონ და სცადონ ახსნან მამაკაცთა და ქალთა შრომით ანაზღაურებაში არსებული დისკრიმინაციის მიზეზები, ოჯახური მეურნეობისა და ოჯახში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ეკონომიკური ფაქტორები.

კითხვები და დავალებები:

1. რა არის ფემინისტური ეკონომიკური თეორიის მიზანი?
2. ფემინისტური ეკონომიკური თეორიის მიმართულებები.
3. რა განაპირობებს ქალთა დისკრიმინაციას დასაქმების საფეროში?
4. რა ზომები შეიძლება იქნეს მიიღებული თანასწორობის მისაღწევად?

ლიტერატურა:

1. ჯაში ჩ. გენდერი და ეკონომიკა "გენდერი,ჯკულტურა., თანამედროვეობა", (რედ. ლ. ჩგაფრინდაშვილი) თბილისი, 2005
2. Frances R. Wooley, The Feminist Challenge to Newclassical Economics // Cambridge Journal of Economics, 1993
3. Guderson M., Male-Female Wage Differentials and Policy Responses // Journal of Economie Literature, 1987
4. Pujol M.A., Feminism and Antifeminism in Elarly Economie Thought Aldershot Edward Elgar, 1992.
5. Brown L J., Gender and Economic Analyses: A Feminist Perspective. Mimeo. Easterrn, Washington University, 1989
6. England P., What Can Economic Learns from Feminism. 1990

თავი IV
ქალის როლი თანამედროვე საზოგადოებაში

1. ქალის როლის და სტატუსის ევოლუცია თანამედროვე საზოგადოებაში

საზოგადოებაში ქალის მდგომარეობა ყოველთვის იყო განსჯის საგანი. ისტორიაში, ფილოსოფიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და სხვ. სხვადასხვანაირად აისახებოდა ეს პრობლემა და განსხვავებული დასკვნები გამოჰქონდათ. ქალის დანიშნულებაზე ოჯახსა და საზოგადოებაში, მის თანდაყოლილ თვისებებზე, ღირსებასა თუ ნაკლზე განსაკუთრებულ ყურადღებას რელიგიაც ამახვილებდა. ათასწლეულების განმავლობაში ქალი მოკლებული იყო საშუალებას სრულად გამოევლინა თავისი ინტელექტი. ქრისტიანობა გამუდმებით ემუქ-რებოდა ქალს ანათემაზე გადაცემით და მის დაქვემდებარებულ მდგომარეობას ამტკიცებდა. შუა საუკუნეებში ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო გამყარდა და "სუსტ სქესთან" ურთიერთობა ცოდვად შეირაცხა.

ხალხის ცნობიერებაში ფეხმოკიდებულია აზრი იმის შესახებ, რომ ქალის სოციალური და საზოგადოებრივი აქტივობა უარყოფითად მოქმედებს ბავშვებზე, ურთიერთობებზე ოჯახში და ა.შ. ასეთი წარმოდგენები ქალებში გარკვეული დანაშაულის გრძნობას იწვევს და მათ პროფესიულ ზრდას უშლის ხელს.

გამუდმებით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს კამათი ქალის, როგორც ადამიანის, საზოგადოების წევრის და როგორც ინტიმური ურთიერთობების ობიექტის ჭეშმარიტი ღი-რებულებების შესახებ. სხვადასხვა ეპოქაში მას სხვადასხვანაირად აფასებდნენ. თანამედროვე საზოგადოებაშიც არსებობს საპირისპირო შეხედულებები ქალის დანიშნულებაზე. მიმდი-ნარეობს აქტიური დებატები ქალის როლისა და სტატუსის შესახებ. ამასთან ცხადია, რომ ეგალიტარული თეორიის ცხოვრებაში გატარება თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი. სამუ-შაო დროის დანახარჯის ორი მესამედი ქალების წილად მოდის, მსოფლიოში ყოველ მესამე ოჯახს ქალი ინახავს და მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხზე ერთგვაროვანი შეხედულება არ არის.

შუასაუკნეობრივ შეხედულებებზე ქალის შესახებ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა პლატონის "თიმეოსმა", რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ ლაჩარი და უღირსი მამაკაცების სული სიკვდილის შემდეგ ქალებში გადაინაცვლებს, ხოლო მის მიერ "სახელმწიფოში" გამოთქმული აზრი ქალების ემანსიპაციის შესახებ მეორეხარისხოვნად იქნა აღქმული.

ქალის, როგორც საზოგადოების სრულყოფილი წევრის, ჭეშმარიტი ღირებულების შესახებ, ერთი შეხედვით, რენესანსისა და რეფორმაციის ხანაში უნდა ეზრუნათ და, მართლაც, აქა იქ გამოჩნდა იმედის ჩანასახი, მაგრამ ყველაფერი ეს იმით შემოიფარგლა, რომ ქალი ესთეტიკური თაყვანისცემის ობიექტი გახდა, ხოლო მის დაქვემდებარებულ მდგომარეობაში კი არაფერი შეცვლილა.

კაპიტალიზმის ეპოქა ქალის დანიშნულების თაობაზე შეხედულებებისა და მიმდინარეობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელმაც ახალი კოდექსი შექმნა, ქალების აღზრდის გაუმჯობესებისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ მათ ძირითად დანიშნულებად მხოლოდ რეპროდუქციის უნარი რჩებოდა. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ წარმოაჩინა მრავალი ფსევდოთეორია, რომლებიც ქალის არასრულფასოვნებას უსვამდნენ ხაზს. ა. შოპენჰაუერი, ფ. ნიცშე, ო. ვეინენგერი და სხვ. ამტკიცებდნენ, რომ ბუნებამ ქალი მხოლოდ თვალთმაქცობით, ცბიერებით, ღალატისადმი მიდრეკილებით დააჯილდოვა. "დაბალი ტანის, ვიწრომხრებიან, ფართოთეძოებიან სქესს ლამაზი შეიძლება უწოდოს მხოლოდ სექსუალური ვნებით თავბრუდახვეულმა მამაკაცმა... ქალი თავისი ბუნებით განწირულია დამორჩილებისათვის, მას ბატონი სჭირდება... ამ სქესის ყველაზე უფრო ბრწყინვალე წარმომადგენლებსაც კი არაფერი ჭეშმარიტად დიდი და თვითმყოფადი არ შეუქმნიათ." (Шопенгауер, 1986,). შოპენჰაუერის ეს სიტყვები კარგად ასახავს მამაკაცთა

ტირანიისა და სამართლის ეპოქას, აგრეთვე ავტორის ინდივიდუალურ შეხედულებებს.

ნიცშეც უარყოფითი აზრის იყო ქალებზე, მათში არც ტალანტსა და არც ჭკუას არ ხედავდა. "მამაკაცებმა ქალებს დასაკუთრების სურვილით უნდა შეხედონ, როგორც საკუთრებას, რომელსაც უნდა დაეუფლო." და შემდეგ: "ემანსიპაციის სურვილი ბრიყვი განათლებული მამრობითი სქესის სახედრების გავლენით არის გამოწვეული". (Ницше, 1907).

ქალებისადმი განსაკუთრებული უარყოფითი შეხედულებებით გამოირჩევა და მათში ვერცერთ დადებით თვისებას ვერ ხედავს გერმანელი ფილოსოფოსი ო. ვეინეგერი. მისი აზრით, გენიალობა ქალისათვის სრულიად მიუწვდომელია. მას არ გააჩნია "ცნობიერების ორიგინალობა: ამ უკანასკნელს იგი ქმრისაგან იღებს. ქალი ცნობიერების გარეშე ცხოვრობს, კაცი კი ცნობიერად..." ქალები მოკლებულნი არიან ლოგიკას. "ჭეშმარიტად ქალურმა არსებამ არ იცის არც ლოგიკური, არც ზნეობრივი იმპერატივი." ქალური ემანსიპაციის ყველაზე უფრო დიდი და ერთად-ერთი მტერი — თვით ქალია." (Вейненгер, 1992).

მამაკაცთა და ქალთა როლების თეორიული ახსნა შეიძლება ზ. ფროიდისა და ტ. პარსონსის ნაშრომებშიც ვნახოთ. ზ. ფროიდი ამბობდა, "ანატომია - ეს ბედია". ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი, სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ავტორი ტ. პარსონსი კი თვლიდა, რომ მამაკაცი მომპოვებლის, ანუ ინსტრუმენტულ ფუნქციას ასრულებს, ხოლო ქალი, როგორც ოჯახის კერის შემნახავი - ექსპრესიულს. იმისათვის, რომ ნამდვილი მამაკაცი იყო, ერთადერთი გზა არსებობს - გქონდეს პრესტიჟული სამსახური და მოიპოვო საარსებო სახსრები. ქალის რეალური სტატუსი კი მეუღლეობა, დედობა და ოჯახის დიასახლისობაა. როლების ასეთი დანაწილება, მისი აზრით, საზოგადოების სტაბილურობის საწინდარია. თუმცა პარსონსის ფუნქციონალიზმი მწვავე კრიტიკის საგანი გახდა, რადგან ფუნქციონალიზმი უარს ამბობს ცვლილებებზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი სტატიკურობის მომხრეა.

ქალებისადმი დამოკიდებულების ცვლილებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს უტოპისტ-სოციალისტებმა და, განსაკუთრებით, შარლ ფურიემ. თავის წიგნში "სამყაროსა და საზოგადოების ბედი" იგი აღნიშნავდა, რომ იმის მცდელობა, რომ ყველა ქალი დიასახლისად გადაიქცეს, სოციალური მექანიზმის მანკიერებაზე მეტყველებს. იგი აკრიტიკებდა ყველა იმას, ვისაც მიაჩნდა, რომ ქალის დანიშნულება მხოლოდ "ქოთნიდან ქაფის მოხდა და ძველი შარვლის კემსვაა". (Фурье, 1951).

შ. ფურიე იყო პირველი, ვინც აღნიშნა, რომ ყოველ საზოგადოებაში ქალების ემანსიპაცია მთლიანი საზოგადოების ემანსიპაციის საზომად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო საზოგადოების ცივილიზაციის დონე ამ საზოგადოებაში ქალების მდგომარეობის პირდაპირ-პროპორციულია.

სენ-სიმონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის საზოგადოებრივ საქმიანობას. თავის მოძღვრებაში "წყვილის" შესახებ, იგი ამტკიცებდა, რომ საზოგადოებრივი მოღვაწე უნდა ყოფილიყო არა ცალკეული პირი, არამედ ქალი და მამაკაცი ერთად, ანუ "წყვილი", რომელსაც უფლება ჰქონდა გადაწყვეტილებები მიეღო და ქალთა და მამაკაცთა ურთიერთობებში ჩარეულიყო.

ასეთივე პოზიციებზე იდგნენ რუსი რევოლუციონერი დემოკრატები. ობიექტურად აფასებდა რა საზოგადოებაში ქალის როლს, ბ. ბელინსკი წერდა, რომ მამაკაცების უპირატესობა მოჩვენებითია. (Белинский, Полн. собр. соч.). ნ. ჩერნიშევსკის აღაშფოთებდა ის ფაქტი. რომ ქალს საზოგადოებასა და ოჯახში სათანადო ადგილი არ უკავია. მისი აზრით "ქალი მამაკაცის თანასწორი უნდა იყოს". ქალს ცნობიერ ცხოვრებაში აქამდე იმიტომ ეკავა ასეთი დაკნინებული მდგომარეობა, რომ ძალადობის ბატონობა მას შესაძლებლობას და განვითარების სურვილს ართმევდა. (Чернишевски, Полн. собр. соч.).

თეორია სქესთა თანასწორუფლებიანობის შესახებ შემდგომში მარქსიზმმაც განავითარა. კ. მარქსი ლ. კუგელმანისადმი მიწერილ წერილში წერდა: "ვინც რამდენადმე გაცნობილია ისტორიას, იცის, რომ დიადი საზოგადოებრივი გადატრიალებები ქალური ფერმენტის გარეშე

შეუძლებელია" (Маркс, Энгельс, Соч.). მარქსი სრულიად ეთანხმებოდა შ. ფურიეს იმაში, რომ კონკრეტული საზოგადოების პროგრესი ამ საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის მიხედვით შეიძლება შევაფასოთ.

ინგლისელი მეცნიერი ა. ბარნეტი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქალისადმი ნეგატიური დამოკიდებულება არ დამკვიდრდებოდა საზოგადოება თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ცივილიზებული რომ ყოფილიყო. იგი ამბობს, რომ "საკითხში ტიპურისა და უცვლელის", მამაკაცისა და ქალის დამახასიათებელი ნიშნების, მათი ტემპერამენტისა და შესაძლებლობების შესახებ განუხრელად არის დამკვიდრებული დოგმატური, სრულიად აუხსნელი შეხედულებები.

უმრავლეს საზოგადოებებში ქალისა და მამაკაცის საზოგადოებრივი მდგომარეობა განპირობებულია კვლავწარმოებაში მათი სხვადასხვა როლით, (Барнетт,1968). ცხოვრების პირობები ქალის ქცევასა და აზროვნებაზე თავის დაღს ასვამდა. საუკუნეების განმავლობაში ისინი სახლისა და ოჯახის საქმით იყვნენ დაკავებულნი, მაშინ, როდესაც მამაკაცებს თავისი მოღვაწეობის სფერო შეზღუდული არ ჰქონდათ. მათ ასეთ მდგომარეობას მეცნიერებიც ამართლებდნენ. მკვიდრდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ ქალს არ შეუძლია აითვისოს ტრადიციული მამაკაცური საქმიანობა. მაგალითად, ასი წლის წინ არ იყვნენ ექიმი ქალები და თავისთავად ითვლებოდა, რომ მათ ამ პროფესიის ათვისება არ ძალუძთ. დღეს კი ექიმების ნახევარზე მეტი ქალებია.

ზოგიერთი მეცნიერი თანამედროვე საზოგადოებაში გავრცელებული აზრის მიხედვით, ქალთა დანიშნულების შესახებ ოთხ ძირითად შეხედულებას გამოყოფს: პატრიარქალურს, ეკონომიკურს, დემოგრაფიულსა და ეგალიტარულს.

პატრიარქალური შეხედულებების ადამიანები ამტკიცებენ, რომ სამყარო ე.წ. "ბუნებრივ საფუძვლებს" ემყარება, ხოლო მათ ნგრევას საზოგადოების ნგრევისაკენ მივყავართ. "ბუნებრივ საფუძვლებში" ისინი გულისხმობენ საზოგადოებაში ფუნქციების განაწილებას, რომლის თანახმადაც, ქალი ოჯახის დიასახლისი და ოჯახის კერის შემნახავია, ხოლო მამაკაცი - მომპოვებელი, საზოგადოებრივი მოღვაწე და ოჯახის საზოგადოებასთან დამაკავ-შირებელი. როლების ასეთი განაწილება მათ კანონზომიერად მიაჩნიათ, რადგან, მათი აზრით, სქესობრივი სხვაობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ინდივიდუალური და პირადი თვისებები. აქედან გამომდინარეობს მათი დასკვნაც: ქალების ჩაბმამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე მოგვიტანა ნეგატიური შედეგები ოჯახში და გამოიწვია დედობრივი ინსტინქტების რღვევა, მორალური აღვირახსნილობა, ოჯახის ნგრევა და ღირებულებათა ცვლა, მოხუცები, ქმრები და ბავშვები ქალების მზრუნველობის გარეშე დარჩნენ, რის გამოც მიმდინარეობს მამაკაცთა ფემინიზაცია და სხვ.

ეკონომისტებიც ქალების დასაქმების შემცირებას უჭერენ მხარს და ამას იმით ასაბუთებენ, რომ მათი შრომა ეკონომიკური თვალსაზრისით არაეფექტურია ბავშვიანი დედების ხშირი გაცდენების გამო. გარდა ამისა, მათი მტკიცებით, ქალებს უფრო ნაკლები კვალიფიკაცია აქვთ, ვიდრე მამაკაცებს.

დემოგრაფების აზრით, ქალს უპირველესად რეპროდუქციის ფუნქცია აკისრია, ხოლო შობადობის შემცირება საზოგადოების განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს.

ეგალიტარული აზროვნების მომხრეები ეჭვქვეშ აყენებენ პარტიარქალურ მოსაზრებებს და ფუნქციების ე.წ. "ბუნებრივ" განაწილებას სოციალურ ილუზიად მიიჩნევენ. მათი აზრით, პატრიარქატული კონცეფცია შესაბამისი სოციალური პირობების შედეგია და მას მომავალი არა აქვს.

სქესთა შორის ეგალიტარული ურთიერთობა მამაკაცებისა და ქალების ურთიერთ-გაგებასა და ურთიერთშევსებაზეა დამყარებული ოჯახსა თუ საზოგადოებაში ორივე მათგანისათვის თავისუფალი არჩევნის საფუძველზე ხდება. ამ შეხედულებების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ნორმალური განვითარებისათვის საჭიროა თანაბარი სოციალური პირობების და მათი რეალიზებისათვის სათანადო გარემოს შექმნა, აგრეთვე მამაკაცისა და ქალის თანასაწორუფლებიანობის საკითხის პოლიტიკურ საკითხად გადაქცევა.

2. სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა საკითხში

თანამედროვე ტრანსფორმირებულმა საზოგადოებამ შეიმუშავა და უკვე ცხოვრებაში დანერგა სრულიად ახალი, ძველისაგან რადიკალურად განსხვავებული სქესთა ურთიერთობები.

ქალები თანამედროვე საზოგადოებაში თავისუფალი და საუკეთესო ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ ისინი აქტიურად ჩაებმებიან ახალ ცხოვრებაში, ეზიარებიან და გაითავისებენ ახალ ღირებულებებს, თუ მოხდება მათი რეალური ემანსიპაცია. ამ ამოცანის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა საკითხში. აღსანიშნავია, რომ ხშირად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, მათ შორის საკანონმდებლო, ძირითადად შრომით საქმიანობას და სოციალურ სფეროებს ეხება. ისინი ქალების საზოგადოებრივი სტატუსისა და გავლენის ამაღლებას არ ითვალისწინებს.

სახელმწიფო პოლიტიკად მიჩნეულია სახელისუფლო ინსტიტუტების და საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემის საქმიანობა. მისი მიზანია სოციალური ყოფიერების სხვადასხვა სფეროს ოპტიმალური მართვა. იგი გულისხმობს კონკრეტული სოციოკულტურული ისტორიული ამოცანების დროულ გადაჭრას. ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკა უზრუნველყოფს იმ ნორმების, ღირებულებებისა და ცხოვრებისეული სტრატეგიების გავრცელებას, რომლებიც ხელს უწყობს სახელმწიფოსა და ყველა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ აღიარებული აუცილებელი მიზნების მიღწევას. სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც უახლესი, ისე უფრო შორეული მიზნების დასახვა, მათი მიღწევისათვის საჭირო მეთოდებისა და საშუალებების განსაზღვრა.

სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა საკითხში, ანუ, როგორც მას უწოდებენ, ქალთა სახელმწიფო პოლიტიკა, იმ საერთო სოციალური პოლიტიკის ნაწილია, რომელიც სახელმწიფოს სოციალურ პროგრამებსა და პრაქტიკაშია ხორცშესხმული. იგი საზოგადოებაში არეგულირებს ურთიერთობებს მოსახლეობის ძირითადი სოციალური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებითა და საშუალებით. სოციალური პოლიტიკა ეკონომიკაზეა დამოკიდებული, მაგრამ მეორეხარისხოვანი არ არის, რადგან მას დიდი როლი ენიჭება საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებისათვის. სოციალური პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების ჰარმონიზაცია, პოლიტიკური სტაბილურობისა და სამოქალაქო თანხმობის უზრუნველყოფა. ამის მიღწევა მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და სასაქონლო რესურსებს შორის ბალანსის დაცვით არის შესაძლებელი. აუცილებელია აგრეთვე საბინაო პრობლემების გადასაჭრელად საჭირო პირობების, საქონლისა და მომსახურების რაოდენობასა და ხარისხზე მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სათანადო ბაზის შექმნა. საჭიროა მოსახლეობის სულიერების, განათლებისა და კულტურის ამაღლება.

სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა საკითხში აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი მიმართულება, ვინაიდან იგი ქალების — დიდი, სპეციფიკური და მნიშვნელოვანი პრობლემების მქონე სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის — ინტერესებს ეხება და მათ სამართლებრივ და სოციალურ სტატუსს აყალიბებს; განსაზღვრავს და აწესრიგებს აგრეთვე მათ ურთიერთობებს საზოგადოებასთან.

სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა საკითხში კონკრეტულ-ისტორიული ხასიათი აქვს. ის დამოკიდებულია პოლიტიკური რეჟიმის ხასიათზე, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში დემოკრატიის დონეზე, სახელმწიფო პოლიტიკის სუბიექტების, უპირველეს ყოვლისა კი, პოლიტიკური ელიტის, მიერ ქალთა საკითხის არსის გაგებასა და მათ პოზიციაზე. არ შეიძლება იმის დავიწყებაც. რომ ქალთა საკითხში სახელმწიფო პოლიტიკის წარმატება განისაზღვრება როგორც მთელი საზოგადოების არსებული კულტურული ტრადიციებით, ასევე თავად მთელი მოსახლეობის ქალთა ნაწილის შეგნებისა და აქტიურობის დონით.

ქალების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემდეგ ტიპებს განასხვავებენ:

პატრიარქალური სახელმწიფო პოლიტიკა — ეს არის პოლიტიკა, რომელიც მამაკაცსა და ქალს შორის ფუნქციების განსაზღვრული განაწილების კონცეფციას ეფუძნება. ქალის ბუნებრივ სოციალურ ფუნქციად და დანიშნულებად (მოწოდებად) დედობა, საშინაო მეურნეობის გაძღოლა და ბავშვების აღზრდა ითვლება. მამაკაცს სახელმწიფო, პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობის (მოღვაწეობის) სუბიექტის როლი აკისრია. ამ კონცეფციის თანახმად, მამაკაცი ოჯახის უფროსი და "მარჩენალია", იგი დამაკავშირებელი რგოლია ოჯახსა და მთელ საზოგადოებას შორის.

ქალთა საკითხში პატრიარქალური პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- არაემანსიპირებული ქალის იდეალის პროპაგანდა;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საზოგადოებრივ სფეროში ქალების მონაწილეობის შეზღუდვა;
- პროფესიულ საქმიანობაში ქალის მონაწილეობის შემცირება;
- დედის, ცოლისა (მეუღლის) და ოჯახის დიასახლისის "ბუნებრივი" ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

პატერნალისტური პოლიტიკა ქალთა საკითხში - ეს არის ქალის მიმართ სახელმწიფოს მეურვეობისა და პროტექციონიზმის პოლიტიკა, რომლის საფუძველს წარმოადგენს:

- ქალების სოციალური დაცვის სისტემის ორგანიზაცია — შეღავათების, დახმარებების, შვებულებების, ქალის შრომის გამოყენების შეზღუდვისა და ა.შ. სახით;
- საზოგადოებრივ წარმოებაში ქალების ფართო მონაწილეობა;
- ქალისა და მამაკაცის იურიდიული და სოციალური მდგომარეობის თანასწორობა;
- ქალის მიერ დედისა და დიასახლისის ფუნქციების შეთავსებისათვის საჭირო პირობების შექმნა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ქალებისა და მამაკაცებისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარი შესაძლებლობების თემა ბევრი სახელმწიფოს პოლიტიკაში ერთ-ერთი ძირითადი საკითხი გახდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1976-1985 წლები ქალთა ათწლეულად გამოაცხადა, რომლის დევიზიც იყო: "თანასწორობა, განვითარება, მშვიდობა". ეს იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქალთა პრობლემების წინა პლანზე წამოწევას.

1995 წ. პეკინში შედგა ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია. მან მიზნად დაისახა იმ პრიორიტეტების დადგენა, რომელთა განხორციელება და დაცვა აუცილებელი იქნებოდა 1986-2000 წლებში გაეროს სისტემის ფარგლებში დასახული სტრატეგიის ცხოვრებაში გასატარებლად.

მნიშვნელოვან მოვლენად იქცა აგრეთვე კონვენციის მიღება ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ. მან მოუწოდა "...სახელმწიფოებს, მიიღონ ეროვნული საკანონმდებლო ზომები, რომლებიც აკრძალავს ქალთა დისკრიმინაციას". კონვენცია მათ აძლევდა რეკომენდაციას მიიღონ მამაკაცებსა და ქალებს შორის ფაქტიური თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად მიმართული დროებითი სპეციალური ზომები, აგრეთვე სპეციალური აუცილებელი ზომები დისკრიმინაციის შენარჩუნების ხელისშემწყობი სოციალური და კულტურული მოდელების შეცვლისათვის.

არსებითი მნიშვნელობის გახდა "ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმიანობის სფეროში პერსპექტიული სტრატეგიები 1986-2000 წლებში". აღნიშნულ სტრატეგიებში სამი მიზანია დასახული: თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა. აქ თანასწორობა განხილულია არა მხოლოდ როგორც სამართლებრივი ცნება, არამედ როგორც ქალების უფლებების, მოვალეობებისა და შესაძლებლობების რეალური თანასწორობის მიღწევის საშუალება, ძალა. ეს თანასწორობა უშუალოდ უკავშირდება მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანას და საზოგადოების პროგრესს.

აღნიშნულ დოკუმენტებში აღინიშნა მსოფლიო საზოგადოების სწრაფვა 2000 წლისათვის ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრისაკენ. ისინი ხელს უწყობენ სხვადასხვა ქვეყანაში

კონცეპტუალური მიდგომების, სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას, ეროვნული მექანიზმების შექმნას. მათ უნდა უზრუნველყონ მიღებული პროგრამების (როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტიული) რეალიზაციის მონიტორინგი.

XX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული იქნა კანონები ქალისა და მამაკაცის უფლებების თანასწორობის შესახებ: ინგლისში (1975 წ.), დანიაში (1978 წ.), ნორვეგიაში (1978 წ.), შვეციაში (1978 წ.), ავსტრიაში (1979 წ.), საფრანგეთში (1993 წ.) და ა.შ. აღნიშნული კანონები შეიცავს ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს შესაძლებლობათა თანასწორობას სამუშაოზე დაქირავების და დათხოვნისას, დაჯილდოების, პროფესიული მომზადების, სამსახურში დაწინაურების, მეუღლეების ოჯახური ვალდებულებების განაწილებისას და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების სამართლებრივი საფუძვლების რეფორმირება ან თავიდან შექმნა, სოციალური ფემინოლოგიის ინსტიტუირება მეტად მნიშვნელოვანია და ეროვნული მექანიზმების ფუნქციონირების ტექნოლოგიების შექმნასა და დამუშავებას და იმ ორგანიზაციული სტრუქტურების მოქმედებას უკავშირდება, რომლებიც ქალთა საკითხის გადაწყვეტას ემსახურება. მსოფლიოს 90 ქვეყანაში ეროვნული მექანიზმები სახელმწიფო დონეზე არსებობს, აქედან 5 ქვეყანაში მათ პრემიერ-მინისტრები ხელმძღვანელობენ. ასეთი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში აღნიშნული საკითხისადმი არსებობს განსხვავებული მიდგომა და ორგანიზაციული სტრუქტურების სხვადასხვა ტიპი — ქალთა საქმეების სამინისტროები, კომიტეტები და სხვ., მაგრამ ამასთან, უდავოდ იკვეთება ერთი საერთო ტენდენცია — თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფი პოლიტიკა მუშავდება და მისი განხორციელების კონტროლი ხდება არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ სახელმწიფო დონეზე. საგულისხმოა, რომ საორგანიზაციო სტრუქტურები ფუნქციონირებს როგორც დიდ, ისე პატარა სახელმწიფოებში. მათი ჩამოყალიბების პროცესი კი კვლავაც გრძელდება.

ამ სტრუქტურების კომპეტენციაში, როგორც წესი, შედის შემდეგი მიმართულებები: სქესთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის რეალიზაცია; რეაგირება დისკრიმინაციის კონკრეტულ შემთხვევებზე; საინფორმაციო მოღვაწეობა ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვის საკითხებში, შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევების ორგანიზება, ხელის შეწყობა და ხელმძღვანელობა, სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა.

70-80-იანი წლების დასავლეთისათვის დამახასიათებელია სოციალური რეალობის კონცეპტუალური გააზრება, ქალთა საკითხის გადაწყვეტის, საზოგადოებაში ქალების მდგომარეობისადმი მიდგომებით დაუკმაყოფილებლობა. ამ პერიოდში დასავლეთის ქვეყნებში ცდილობენ პრობლემის გააზრებიდან კონცეპტუალურ, კოორდინირებულ, გრძელვადიან კონკრეტულ ეტაპობრივ ზომებზე გადავიდნენ, რაც რეალურად უზრუნველყოფს სქესთა თანასწორობის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას.

ევროპული თანამეგობრობის ფარგლებში, სამართლებრივი რეგულირების პრინციპების საფუძველზე, შემუშავდა მოქმედების ორი გრძელვადიანი პროგრამა (1982-1985 წ.წ. და 1986-1999 წ.წ.), რომელთა მიზანიც თანაბარი შესაძლებლობების რეალიზაციაა. აღსანიშნავია, რომ მრავალპარტიული სისტემის ქვეყნებში ქალებთან მასობრივ მუშაობას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მათი მხარდაჭერა ამ პარტიის გამარჯვებას ნიშნავს.

3. ქალი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იდეების გენერატორს, პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური ცვლილებების დამჩქარებელს უწოდებენ და მეოთხე ხელისუფლებასთან აიგივებენ. ფაქტობრივად ეს არის მასობრივი კომუნიკაცია, რომელიც ტექნიკური და ელექტრონული საშუალებებით ხორციელდება და ხშირად წინ უსწრებს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოვლენებს.

მასმედია აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს პოლიტიკის, ეკონომიკის, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური ლიდერების, პიროვნებების და სხვ. საკითხების შესახებ. იგი აყალიბებს, აგრეთვე. მოღვაწეობის სფეროებს, ინტერესების დაცვის გზებს, ხერხებსა და მიმართულებებს, ღირებულებებს, ამა თუ იმ ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის სოციალურ სტატუსს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ძირითად ფუნქციას საზოგადოების პოლიტიზაცია, მისი მმართველობაში მონაწილეობა, სტერეოტიპულ აზროვნებაზე ზემოქმედება, საზოგადოებრივ აზრზე აპელირება, მასების აქტიურობის გაზრდა, მოვლენების მრავალწახნაგოვანი გაშუქება, ღირებულებების ჩამოყალიბება და სხვ. წარმოადგენს. მას შეიძლება სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს, იყოს ობიექტური ან არაობიექტური, ამასთან გასათვალისწინებელია მისი სამი ძირითადი ფუნქცია: საინფორმაციო, პერცეფციული, (აღქმა, წარმოდგენა, ასახვა) და ინტერაქტიული (კომუნიკატორისა და აუდიტორიის ურთიერთქმედება). მან ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებას, ახსნას პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების არსი, ხელი შეუწყოს კონსტიტუციის დაცვას, ფართოდ გააშუქოს ეროვნული და საერთაშორისო დონის პროგრამები და დოკუმენტები, დროულად და ობიექტურად უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება ქვეყანაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

რა როლი შეიძლება შეასრულოს მასმედიამ ქალთა საკითხში? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ძალიან მნიშვნელოვანი. რა ჭირდება თანამედროვე ქალს? უპირველეს ყოვლისა, ჰუმანური პრინციპების გავრცელება და ნათელი დასტური იმისა, რომ საჭიროა დაცული იქნეს გენდერული პარიტეტი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. მასმედიამ ხელი უნდა შეუწყოს ქალის ახალი ცხოვრებისეული მოდელის პროპაგანდას, უზრუნველყოს იმ ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც განაპირობებს ქალის სოციალური სტატუსის ცვლილებას, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ქალთა გამოცდილების გაზიარებას.

ბეჭდვითი პროდუქცია, რადიო და ტელევიზია საზოგადოებრივ ცნობიერებას აყალიბებენ. ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი სტატიები რეალურ ცხოვრებისეულ სურათს უნდა ქმნიდნენ, მათ ზეგავლენა უნდა მოახდინონ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმასა და შინაარსზე, ხალხის სამსჯავროზე გამოიტანონ კანონები, დადგენილებები, ბრძანებულებები, განახორციელონ კავშირი მმართველობით ორგანოებთან და სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას, პრესაში მოაწყონ დიალოგი, სისტემატურად გააშუქონ ქალთა პრობლემატიკა, ფართო პროპაგანდა გაუწიონ ეგალიტარულ თეორიას.

დასავლეთის ქვეყნებში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა: მიმდინარეობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორიენტაციის შეცვლა ქალის როლისა და დანიშნულების ახლებურად გააზრების მიმართულებით. მაგ. იაპონიაში 1989 წელს გამოცხადდა "ონა—ნოდზიდაის", ანუ "ქალების ერას" დასაწყისი. ადრე აქ 70-მდე ქალების ჟურნალი გამოდიოდა, რომლებშიც ძირითადი ადგილი ჭორებს და მოდის სიახლეებს ეთმობოდა. 1989 წლიდან მათი შინაარსი მკვეთრად შეიცვალა, ხოლო ისეთმა მნიშვნელოვანმა ჟურნალმა როგორიც არის "ბუნგეი სიუდზიუ" ქალებისათვის დაიწყო სპეციალიზებული დანამატის "კრეა"-ს გამოშვება. აღნიშნულ დამატებაში იბეჭდება სტატიები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სერიოზულ თემებზე.

დიდ ბრიტანეთის გაზეთ "გარდიანში" დისკუსიისათვის ქალთა თემატიკაზე ფუნქციონირებს საგანგებო რუბრიკა, ყოველკვირეული ჟურნალი "ეკონომისტი" კი აქვეყნებს მასალებს დასავლეთის ქვეყნებში ქალთა მდგომარეობის შესახებ. 1990 წელს პარიზის "ადამიანის შესახებ მეცნიერებების სახლმა" ყოველკვარტალური გამოცემა ფემინიზმის პრობლემებს დაუთმო. ამერიკული პრესა ძირითადად ქალებისათვის რჩევების მიცემაზე იყო ორიენტირებული - თუ როგორ უნდა მოხიბლოს ქალმა ყველა საქმიან საღამოზე, როგორ უნდა ასწავლო მამაკაცს საჩუქრების ყიდვა, როგორ უნდა დაშორდე მომაბეზრებელ საყვარელს და სხვ. უკანასკნელ ხანებში გაჩნდა რამდენიმე ათეული სოლიდური გამომცემლობა, წიგნების მაღაზიები, რომლებიც ქალთა პრობლემატიკაზე სპეციალიზდებიან. გამოდის ახალი ჟურნალები "ქალები კულტურასა და საზოგადოებაში", "ქალის ისტორია", "ქალის ფსიქოლოგია", "ქალი და პოლიტიკა" და სხვ.

4. ქალის სოციალური სტატუსი როგორც ინტეგრალური მაჩვენებელი

სოციალური სტატუსი, როგორც ინტეგრალური მაჩვენებელი, ერთმანეთთან აკავშირებს რამდენიმე ელემენტსა და ფუნქციას. სტატუსი (ლათ. status - მდგომარეობა, პოზიცია) ასახავს სოციალური ჯგუფის, კერძოდ, ქალებისა და საზოგადოებაში მათი წარმომადგენ-ლების სამართლებრივ მდგომარეობას, მათ ადგილს სოციალური კავშირებისა და ურთიერთობების სისტემაში. იგი ასახავს აგრეთვე ცალკეული ინდივიდის ურთიერთობებს გარკვეულ სოციალურ ჯგუფთან.

ქალები განსაკუთრებელი სოციალური ჯგუფია. ისინი მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ. მათი ცხოვრება, საზოგადოებაში არსებული ყველა ურთიერთობის გარდა, კონკრეტული სოციალური ფუნქციითაც გამოირჩევა. ქალები სპეციფიკური მახასიათებლებითაც ხასიათდებიან, ამიტომ მათი სოციალური ფუნქციის შესწავლას განსაკუთრებული მიზეზები აქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საზოგადოების რეფორმირების პროცესში წარმოშობილი ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები და ამ პირობებში თანასწორუფლებიანობის პრინციპის რეალიზება.

სოციალური სტატუსი სოციალური ყოფით, აღზრდის სისტემით, საქმიანობის ხასიათით, იდეალებით, ინდივიდის მიზნებით, საზოგადოების ინდივიდისადმი წაყენებული მოთხოვნებით, სახელმწიფო პოლიტიკისა და სახელმწიფო იდეოლოგიით არის განპირობებული.

სოციალური სტატუსი ბუნებრივი მონაცემებით — სქესით, ასაკით, აგრეთვე, სულიერი კულტურის დონით, საზოგადოებაში არსებული გარკვეული მატერიალური და სულიერი ღირებულებებითაც განისაზღვრება. ქალის ცხოვრებისეული ციკლზე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აშკარად თუ შენიღბულად, გავლენას ახდენს ცხოვრების ყველა მხარე, საზოგადოებრივი ყოფის ყველა ელემენტი და ფაქტორი. მათი ასახვის შინაარსი და ხასიათი დამოკიდებულია გარკვეული სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელ სოციალურ თვისებებზე. საზოგადოებრივი ყოფა სხვადასხვა ჯგუფის ქალების ცნობიერების, განათლების დონის. მსოფლმხედველობის, პროფესიული მომზადების განმსაზღვრელი ფაქტორია.

ქალის, როგორც მდედრობითი სქესის წარმომადგენლის სოციალური სტატუსი უნდა განვასხვავოთ მისი პიროვნული სტატუსისაგან ანუ იმ მდგომარეობისაგან, რომელიც ადა-მიანს გარკვეულ ჯგუფში, ოჯახში უკავია და ფასდება საერთო ადამიანური თვისებების თვალსაზრისით. შესაბამისად, ერთი მხრივ, ქალს უკავია გარკვეული ადგილი საზოგადოებრივ იერარქიაში, მეორე მხრივ, იგი არის დედა, ცოლი, ხელმძღვანელი, პროფესიონალი და სხვ. გარკვეულ კონკრეტულ სფეროში. აქედან გამომდინარე ცნება "სოციალური სტატუსი" მჭიდროდ არის დაკავშირებული "სოციალური როლის" გაგებასთან და მის დინამიკურ მხარეს, სოციალური სტატუსის ფუნქციას წარმოადგენს.

გარკვეული ინდივიდუალური თვისებებით აღჭურვილი პიროვნება სოციალური სისტემის მექანიკური რგოლი როდია, თუმცა ეს სისტემა მასზე გარკვეულ გავლენას ახდენს. გადაწყვეტილებების რაციონალური მიღება და რაციონალური მოქმედებები ადამიანის ცნობიერებაში, მის ქმედებებში, არსებულ სოციალურ სისტემაში მომხდარი გარდატეხის შედეგია და დაკავშირებულია სხვა პიროვნებებთან ან ინდივიდთა ჯგუფთან, რომელთაც საერთო მიზნები აქვთ და ამ მიზნების განხორციელებისათვის იღვწიან.

ასე რომ, ადამიანი გარემომცველი სამყაროს არა მხოლოდ ობიექტი, არამედ სუბიექტი — მისი შემქმნელი და მასზე ზემოქმედი ძალაცაა. იგი გავლენას ახდენს ამ სამყაროზე, საზოგადოებასა და მის მსოფლმხედველობაზე, იმ მიზნებიდან გამომდინარე, რომლებიც სრულყოფილ სოციალურ ცხოვრებას უზრუნველყოფენ.

საზოგადოება — ეს არის ადამიანთა ურთიერთქმედება გარკვეულ ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ პირობებში. საზოგადოება სოციალური ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების სისტემაა. ინგლისელმა სოციოლოგმა თომას ბოტომერმა იგი განსაზღვრა როგორც ხალხის დიდი ერთობა, რომელიც სოციალური ორგანიზაციის კომპლექსურ ნიმუშში ერთობლივად ახორციელებს სოციალურ ცხოვრებას.

სოციალური ინსტიტუტები და ორგანიზაციები უზრუნველყოფენ კოლექტიური ცხოვრების გარკვეული ფორმის მდგრადობას. ისინი ხელს უწყობენ ევოლუციას, კულტურის განვითარებას, თვითგანვითარებას, არეგულირებენ კონფლიქტებს და სხვ.

ფრანგი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის ო. კონტის (1798-1857 წ.წ.) აზრით, საზოგადოება — იზოლირებული ინდივიდების, პირად ინტერესებზე დამყარებული ხელშეკრულებების უბრალო შეკრება როდია. საზოგადოება — ორგანული ერთობაა.

მარქსიზმის კლასიკოსები ხაზს უსვამდნენ, რომ საზოგადოება უბრალო ნაკრები ან ინდივიდების მექანიკური აგრეგატი არაა. "ეს თვითონ ადამიანი და მისი საზოგადოებრივი ურთიერთობებია", "ხალხის ურთიერთქმედების პროდუქტია".

დასავლურ მეცნიერებაში საზოგადოების სამი სოციოლოგიური პარადიგმა ჩამოყალიბდა: ფუნქციური, რომლის თანახმადაც ხალხის ჯგუფი მოქმედებების თვითუზრუნველყოფად სისტემას წარმოადგენს და დროში უფრო ხანგრძლივი არსებობის უნარი შესწევს, ვიდრე ინდივიდს; ბიჰევიორისტული, კონკურენტული და კონფლიქტური სისტემების ერთობა, რომლის საფუძველსაც ინდივიდი (ამ სიტყვის სრული გაგებით) წარმოადგენს.

პირველ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს უპიროვნო, სოციალურ ჯგუფებთან, მეორეში — სოციალურ ინსტიტუტებსა და ჯგუფებთან, მესამეში — ადამიანთან.

საზოგადოება დინამიკური სისტემაა, ანუ თავისი ქვესისტემების (ეკონომიკურის, სოციალურის, პოლიტიკურის და სხვ.) მუდმივ განვითარებას განიცდის. ადამიანი საზოგადოებაში ჯგუფის (ან ჯგუფების) საშუალებით შედის (სამეცნიერო, სამრეწველო, სასკოლო, საუნივერსიტეტო და სხვ.).

საზოგადოება შეიძლება იცვლებოდეს სწრაფად ან ნელა, რაც საზოგადოებრივ პროგრესზე, არსებულ იდეოლოგიაზე, პოლიტიკაზეა დამოკიდებული, ყველაფერი ეს კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალის სტატუსზე.

5. ქალისა და კაცის იურიდიული თანასწორობა თანამედროვე საზოგადოებაში

ადამიანის უფლებების ისტორია ძირითადად კაცობრიობის განვითარების ორ მიმართულებად შეიძლება დავყოთ. პირველი მიმართულება წარმოადგენს ბრძოლას ადრე მიჩქმალული უფლებების აღიარებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის, ხოლო მეორე, პირიქით, არსებული უფლებებისათვის მიმდინარე ბრძოლის პროცესია.

ადამიანის უფლებები სოციალური სამართლის დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი იარაღია. თუ უფლებას არ ენიჭება სათანადო მნიშვნელობა, ბრძოლა მიმდინარეობს მისი დანერგვისათვის. უფლებების საყოველთაო აღიარების პროცესი განაპირობებს უფლებათა უკეთესად დანერგვას, ხოლო დანერგვის პროცესი ხელს უწყობს უფლებების მზარდ აღიარებას.

ადამიანის უფლებათა ვალდებულებების საფუძველს გაერთიანებული ერების წესდება წარმოადგენს. ადამიანის ღირსების პრინციპების საყოველთაო აღიარების საფუძველზე, გაეროს შექმნა ადამიანთა ცნობიერების განვითარების განსაკუთრებული ეტაპია. მრავალი ადამიანის და ადამიანთა ჯგუფისათვის მეორე მსოფლიო ომის დროს მიყენებული ტრავმა საფუძველს იძლეოდა, რომ ხალხს განესაზღვრა თავიანთი ქვეყნების მთავრობებისადმი მიმართვისა და მოთხოვნების გარკვეული სტანდარტები.

1947 წლის ადამიანთა უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია **(UDHR)** სწორედ ამ სტანდარტების დამკვიდრების პირველ მცდელობას წარმოადგენდა.

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის დანერგვისა და ზედამხედველობის მიზნით, 1947 წლის თებერვალში ჩატარდა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის პირველი რეგულარული სესია.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ჩამოყალიბებისათვის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შემუშავდა კონვენცია (შემდგომში იგი გაიყო და დაერქვა

პაქტები), აგრეთვე მექანიზმები, როგორც მათი ცხოვრების რეალიზაციის ფორმები, საჩივრის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და სხვა პროცედურების ჩათვლით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია.

კომისიამ შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვის პირველი ინსტრუმენტის მონახაზი. დეკლარაციის პრინციპების იურიდიულად აღიარებულ ვალდებულებად ჩამოყალიბებისათვის იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, გენერალურმა ასამბლეამ იგი დაყო ორ "პაქტად". პირველი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და მეორე — სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებების შესახებ. 1966 წელს გაერთიანებული ერების მესამე კომიტეტმა (ადამიანის უფლებათა დაცვის გენერალური ასამბლეა) საბოლოოდ მიიღო ორი დამოუკიდებელი საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (იცესცრ) და მეორე, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ **(ICCPR)**, რომლებიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასთან ერთიანობაში ცნობილია როგორც ბილი ადამიანის უფლებათა შესახებ და, რომელიც 1976 წლიდან ამოქმედდა. **ICCPR** წარმოადგენს ზოგად პროტოკოლს (ან შენიშვნებს პაქტის მიმართ), რომელიც შესაძლებელს ხდის, სახელმწიფოებმა თავის ერებს დართონ ნება, წარადგინონ პეტიციები და მოითხოვონ მათი ცალკე რატიფიცირება.

პაქტები ადამიანის უფლებათა შესახებ, რომლებსაც ხშირად "კონვენციებს" უწოდებენ, მოწოდებულნი არიან განსაზღვრონ ადამიანის უფლებათა კონცეფცია და ჩამოაყალიბონ სახელმწიფოთა სახელმძღვანელო სტანდარტები. ამით ისინი საზოგადოებას ეხმარებიან შექმნან ხელსაყრელი გარემო ადამიანის უფლებათა დაცვის განხორციელებისათვის. პაქტების რატიფიცირება სახელმწიფოებს აკისრებს ორმაგ ვალდებულებას: პირველი, გამოიყენოს მისი დებულებები და მეორე, გახდეს საერთაშორისო კონტროლის ობიექტი. ქვეყნების მიერ კონვენციების რატიფიცირებისთანავე მათ ეკისრებათ ვალდებულება, რეგულარული ანგარიში წარადგინონ ამ კონვენციების შესაბამისობისა და შესრულების თაობაზე.

საერთაშორისო კონვენციების პირველი მონახაზის შექმნის შემდეგ, გაერომ დაიწყო სპეციფიკურ სფეროებში პაქტების, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტის გამოყენება. პირველი იყო კონვენცია "გენოციდის აცილებისა და დასჯის შესახებ", რომელიც ძალაში 1948 წელს შევიდა. ძირითადი კონვენცია, რომელიც ეხებოდა ქალებს, **"კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW)**, ხელმოწერილი იქნა 1979 წელს, ძალაში შევიდა 1981 წელს და რატიფიცირებულ იქნა სახელმწიფოთა მიერ, რომელთაგან მრავალმა გამოთქვა კონვენციასთან მიერთების სურვილი.

აღნიშნული ორი კონვენციის განვითარების შედეგად, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში განისაზღვრა უფლებათა ორი ძირითადი კატეგორია: პირველი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და მეორე - ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, რომელთაგანაც პირველს ეწოდა **"პირველი თაობის"** და მეორეს — "**მეორე თაობის"** უფლებები. **(ქალის ადამიანის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ, 2001)**

საზოგადოებრივმა პრაქტიკამ სოციალური თანამშრომლობის სფეროში ცხადყო, რომ იურიდიული უფლებებისა და თავისუფლებების მთელი კომპლექსის არსებობის პირობებშიც კი მოსახლეობის გარკვეულ ფენებს, სოციალური ან ფიზიოლოგიური მიზეზების გამო, არა აქვთ არსებობისა და მოქმედების თანაბარი შესაძლებლობანი, რის გამოც ისინი სახელმწიფოს მხრიდან სპეციალურ სამართლებრივ დაცვას საჭიროებენ და, შესაძლოა, წარმოადგენდნენ სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელ სუბიექტებს. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სამართალში გაჩნდა კიდევ ერთი მიმართულება - ე.წ. **"ადამიანთა უფლებების მესამე თაობა"**, რომელიც მიზნად ისახავდა ცალკეული სოციალური ჯგუფების სასიცოცხლო შესაძლებლობების გაფართოებას.

"ადამიანთა უფლებების მესამე თაობის" ყურადღების ცენტრში არიან ქალები. მსოფლიო თანამეგობრობა აღიარებს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად გარკვეული წინსვლისა ორი სქესის თანასწორუფლებიანობის მიღწევის საქმეში, საზოგადოებაში კვლავ არსებობს ქალების

დისკრიმინაცია, რაც საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი ხელისშემშლელი პირობაა და ზიანს აყენებს მსოფლიო ცივილიზაციის ჰუმანური და დემოკრატიული განვითარების პროცესებს.

1947 წელს დაფუძნებული გაერთიანებული ერების ქალის სტატუსის კომისია ამზადებს გამოკვლევებს, ანგარიშებსა და რეკომენდაციებს ადამიანის უფლებების თაობაზე და ქალებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. მისი მონაწილეობით მოხდა ქალის უფლებებთან დაკავშირებული ისეთი კონვენციების, პროექტების მომზადება, როგორიც არის ქალის ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ და გაერთიანებული ერების მიერ ქალთა საკითხებთან დაკავშირებით წამოყენებული პროგრამები. კომისია გამოდიოდა როგორც მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციების საორგანიზაციო ორგანო და კონცენტრირებული იყო ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტატუსის გაუმჯობესებაზე.

ქალთა განვითარების განყოფილება **(DAW)** პასუხისმგებელია ქალის სტატუსის კომისიისა და ქალის ყველა ფორმის დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტის **(CEDAW)** მომსახურებაზე. **DAW** კონცენტრირებულია გაერთიანებული ერების სისტემაში გენდერული საკითხების კოორდინირებასა და ძირითად მიმართულებებში მათ ჩართვაზე. იგი სამდივნოს ფუნქციას ასრულებდა ქალთა საკითხებზე გაერთიანებული ერების ოთხი მსოფლიო კონფერენციისათვის: **1975 (მეხიკო)**, **1980 (კოპენჰაგენი)**, **1985 (ნაირობი)** და **1995 (პეკინი)**. კონფერენციებზე მოხდა ქალთა სტატუსის შეფასება და ქალთა წინსვლის სტრატეგიების დასახვა.*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გერო) მიერ 1975 წლის ქალთა საერთაშორისო წლად გამოცხადება გადაიქცა მსოფლიოს საზოგადოებრიობის მიერ საყოველთაო პროგრესის საქმეში ქალების მიერ შეტანილი წვლილის აღიარებად და მათ წინაშე მდგარ რთულ პრობლემებზე ყურადღების მიპყრობის გამოხატულებად. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩაფიქრებულ ღონისძიებათა შორის, რომლებიც მიმართული იყო ქალთა საერთაშორისო წლის მიზნების მისაღწევად, უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო კვლევით მოღვაწეობას, მონაცემების შეგროვებას ქალების მდგომარეობის აბსოლუტურად ყველა ასპექტის შესახებ და მათ ანალიზს. ეს გარემოება გათვალისწინებული იყო აგრეთვე ათწლეულის პროგრამის **"გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალები"**-ს ფარგლებში ჩასატარებელი იმ ღონისძიებების დამუშავებისას, რომლებიც ტარდებოდა დევიზით: **"თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა"**. ამ პერიოდში გაეროს სისტემაში ამოქმედდა ქალების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამიზნული საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. კვლევის უმნიშვნელოვანესი სფეროების განსაზღვრა ხდებოდა ათწლიანი პროგრამის **"ქალები: დასაქმება, ჯანდაცვა, განათლება, პოლიტიკური მოღვაწეობა"** ამოცანების შესაბამისად. ქალთა დეკადის განმავლობაში კონვენცია ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ რატიფიცირებული იქნა 130 ქვეყნის მიერ, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც აღნიშნული კონვენცია წარმოადგენს სპეციალურად ქალებზე მიმართულ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებას.

1993 წლის ვენის ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაზე 171 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს ვენის დეკლარაცია, რომელშიც დეკლარირებულია: **"ყველა ადამიანის უფლება უნივერსალური, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებულია"**. კონფერენცია გადაიქცა ქალთა მიერ შემუშავებული ხედვისა და პრაქტიკის გატარების საშუალებად. მისი საწყისი მოწოდება და დღის წესრიგი არც ქალებისაკენ იყო მიმართული და არც გენდერული ასპექტისაკენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა ადამიანის ისტორიული სტატუსის ხელახალი შეფასება,

* ამ კონფერენციებზე მიღწეულ შეთანხმებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია; თუმცა, აქვთ დიდი მორალური და პოლიტიკური დატვირთვა. მათი გამოყენება შეიძლება ადგილობრივი, ეროვნული ან რეგიონული მიზნების მისაღწევად. კონფერენციის მასალები შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებების (მაგალითად, ისეთების, როგორიც არის ხელშეკრულება სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებზე) გასაძლიერებლად და ინტერპრეტირებისათვის. როდესაც ქვეყანა ხელს აწერს ასეთ ხელშეკრულებას, მას საერთაშორისო კანონის სტატუსი ეძლევა.

ქალის უფლებების საკითხი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. სწორედ ამ კამპანიამ გაიტანა პეტიცია, რომელიც მსოფლიო კონფერენციას მოუწოდებდა ყველა დონეზე გაეთვალისწინებინა ადამიანის — ქალის უფლებები და ეღიარებინა გენდერული ძალადობა, როგორც საყოველთაო ფენომენი, რომელიც განსხვავებულ ფორმებს იძენს სხვადასხვა კულტურულ, მასობრივ და კლასობრივ გარემოცვაში და როგორც ადამიანის უფლებათა შელახვა, რომელზეც მყისიერი რეაგირებაა საჭირო.

მართალია ქალის ადამიანის უფლებების სისტემა უაღრესად მნიშვნელოვანია სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებების ლობირებისათვის როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეებზე, ის ასევე მნიშვნელოვანი იარაღია ყოფით დონეზეც, ასწავლის ქალებს იმ უფლებებს, რომელიც მათმა მთავრობებმა უნდა აღიარონ, ის ასევე ასწავლის მათი გამოცდილების ანალიზის და ცვლილებების დაგეგმვის ორგანიზებასაც. ადამიანის უფლებათა სისტემა ქმნის სივრცეს, სადაც ქალის ცხოვრებას განსხვავებული ყურადღება ეთმობა. მთავარი კი ის არის, რომ ასეთი რაოდენობის საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და ვალდებულებების არსებობა ქალებს საფუძვლიანი პოლიტიკური საყრდენით და ავტორიტეტული ორიენტირებით უზრუნველყოფს. (შ ბანჩი,. 2002).

კითხვები და დავალებები:

1. რა არის ქალის შესახებ უარყოფითი შეხედულების მიზეზი?
2. რამ განაპირობა ქალის შესახებ შეხედულების ტრანსფორმირება?
3. როგორია სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა საკითხის მიმართ?
4. გააანალიზეთ ქალების მიმართ გატარებული პოლიტიკის ტიპები.
5. რაში მდგომარეობს ქალის სოციალური სტატუსი?

ლიტერატურა:

1. გენდერული თეორიების ანთოლოგია. თბ. ბაკურ სულაკაურის გამოცემა. 2002
2. ქალის ადამიანის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ, თბ., გამომც. "ლოგს პრესი", 2001
3. საერთაშორისო კონვევციები ქალის უფლებების სფეროში, საქართველოს საკანონმდებლო და რეალურად მოქმედი მექანიზმები. თბ., 1998.
4. Элиас Н., Социальная теория, THESIS. № 6. М., 1994 .
5. Лорбер Дж., Пол как социальная категория . THESIS. № 6. М. 1994.
6. Фурье Ш., Избр. Соч., М., 1951, Т.1
7. Белинский Б., Полн. Собр. Соч. Т.12
8. Чернишевский Н.Г. Полн. Собр. Соч., Т.1
9. Маркс К., Энгельс Ф., Соч. Т. 32
10. Кикнадзе Т. Р., Социально-культурная и духовная трансформация современного общества: Гендерный аспект. "Социально-гуманитаррые знания, М., 2002.
11. Lorber J., Gender Inequality, Feminist Theories and Politics. Roxbary Publishing C ompany. Los Angeles, California.
12. Lindsey L.L., Gender Roles. A Sociological Perspective, Prentice Hall, Upper Saddle River, New Jersey 07458.
13. Women, Culture and Society, A Reader, Edited by B.B Ballet, P. McDaniel. for The Women's Studies Program. Rutgers University – New Brunswick.

თავი V
რელიგია და პატრიარქატი

1. რელიგიურ-ეთიკური მემკვიდრეობის გავლენა ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართვაზე

რელიგია ის სფეროა, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს როგორც სულიერების მატარებელი, ეს მისი ზღვრული იმედებისა და მოლოდინის, მონანიებისა და განწმენდის, მისი ჭეშმარიტი, ღრმად დაფარული არსის შეცნობის წყაროა. ხოლო ადამიანების ყოველდღიური საქმიანობა, მათი მიწიერი, მატერიალური ბუნებით განპირობებული ურთიერთობები, უპირველეს ყოვლისა, ძალაუფლება და დაქვემდებარება ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროა.

რელიგიური ტრადიცია წარმოადგენს სრულიად რეალურ, ხელშესახებ სოციალურ ძალას. ტრადიციულ საზოგადოებაში რელიგიურ ინსტიტუტებს საკრალური ავტორიტეტი გააჩნიათ, ამიტომაც ისინი რეალურ ძალაუფლებას ფლობენ.

ტრადიცია მემკვიდრეობითობის ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. იგი მყარი საშუალებებით და კანონებით, ნორმებით და ფასეულობებით გადასცემს ადამიანების აზროვნების და ქცევის გარკვეულ ფორმებს. სწორედ მდგრადი ფორმებით ფიქსირდება საზოგადოებრივ ცნობიერებაში და მომავალ თაობებს გადაეცემა მთელი ინფორმაცია ადამიანების გამოცდილების შესახებ. თუკი რელიგიური ტრადიციონალიზმი რიტუალებისა და დღესასწაულების მეშვეობით გადმოსცემს მითებსა და ლეგენდებს, კულტურული ტრადიციონალიზმი (მეცნიერება, ხელოვნება, საზოგადოებრივი ორგანიზაციის სფეროები: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი) ამას მუდმივად ახორციელებს სრულყოფის პროცესში მყოფი მექანიზმებით, რომლებიც ითვალისწინებს პრაქტიკულ და თეორიულ გამოცდილებასა და ცოდნას გარკვეული დარგის შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომაც, პრაქტიკულად ნებისმიერი საზოგადოება და სფერო, რაკი ისინი მუდმივად გადაინაცვლებენ ტრადიციონალიზმის ერთი ფორმიდან მეორეში, ტრადიციონალიზმის გარკვეულ დონეზე იმყოფებიან და გარკვეულ წილად ტრადიციული არიან.

ტრადიცია, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, თავისთავად არ არსებობს. იგი მხოლოდ ახასიათებს საზოგადოების ქცევის მყარი და განმეორებითი ფორმების მთელ კომპლექსს. ქცევის მუდმივად განმეორებადი საშუალებები დროთა განმავლობაში გამოიმუშავებს საკუთარ იდეოლოგიურ საფუძველს ანუ შეიძენს იმ იდეებსა და ცნებებს, რომლებიც აუცილებელია მათ გასამართლებლად, შესანარჩუნებლად და აღსადგენად საზოგადოებრივი სტაბილურობის პირობებში. სულ მალე თავად ტრადიციები ხდება სტაბილურობის საფუძველი და მსოფლმხედველობისა და აზროვნების სისტემად გარდაიქმნება, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ურთიერთობების სიმტკიცეს მაკროისტორიულ დონეზე, პოლიტიკური სტაბილურობის ჩათვლით. აქ უკვე სისტემა გვკარნახობს არა მხოლოდ ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი მოვლენის ახსნას, არამედ განსაზღვრავს კიდეც საზოგადოებრივი ამოცანების გადაწყვეტის ძირითად მიდგომებს, ე.ი. გვკარნახობს სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას, ხელისუფლებისა და სუბიექტის ურთიერთობას. ასეთი სისტემის მთავარი გამოხატულებაა საზოგადოებრივი სტერეოტიპები, კანონიკური ტექსტის ავტორიტეტი, ჩვეულებრივი სამართალი.

“ბავშვობაში ქალი მამას უნდა ემორჩილებოდეს, მოწიფულობაში — ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ — ვაჟიშვილებს. ქალი მორჩილებისაგან თავისუფალი არასდროს უნდა იყოს, — ამბობს ინდოელების “მანუს კანონები”.

“მადლობელი ვარ უფალო, რომ შენ მე ქალად არ გამაჩინე”, — იმეორებს ყოველდღიურ ლოცვაში ორთოვოქსი იუდეველი.

“ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს, რადგან ქმარი არის ცოლის მბრძანებელი, ვითარცა ქრისტე — ეკლესიის", — გვარიგებს ბიბლია.

"ქმრები ცოლებზე მაღლა დგანან იმიტომ, რომ ალაჰმა უბოძა პირველთ უპირატესობა მეორეებზე" — გვიმტკიცებს ყურანი.

ზემოთ მოყვანილი შეხედულებები საკმაოდ დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ განსხვავებული რელიგიური სწავლებანი ერთხმად აცხადებენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებული როლის შესახებ. ტრადიციულად, რელიგიური მოძღვრებები საყოველთაოდ აშუქებენ საზოგადოებაში ქალის არათანასწორუფლებიან მდგომარეობას, ამიტომაც სრულიად გამართლებული ჩანს იმის მტკიცება, რომ რელიგია უსქესო არ გახლავთ — იგი წარმოშობით მამრობითი სქესისაა.

დღევანდელ პირობებში, როცა ქალი ცდილობს განავითაროს თავისი უნარი და შესაძლებლობანი, იგი თავისდაუნებურად დგება მემკვიდრეობითი, ტრადიციულად მიღებული ემოციური განწყობილების და ორიენტაციის შეცვლისა და გადახალისების წინაშე არა მხოლოდ გარე ოპოზიციასთან, არამედ საკუთარ თავთან ბრძოლის გზითაც, იმ წინააღმდეგობებთან ბრძოლის გზით, რომლებიც მასში იყო ჩამოყალიბებული ტრადიციული იდეალების დაფუძნებით.

საზოგადოებრივ წარმოებაში ქალების ჩართვა განუხრელად იზრდება. ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ ქალთა სოციალური სტატუსის გადასინჯვა ობიექტური აუცილებლობა ხდება. აღნიშნული კანონზომიერი ტენდენციის ტემპები და მისი უმტკივნეულობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ იდეოლოგიური ხასიათის ფაქტორებზეც. მათ რიცხვს მიეკუთვნება

სტერეოტიპები, რომელთა შენარჩუნება ადამიანის ცნობიერებაში უდიდეს წილად დამოკიდებულია რელიგიასა და მის ინსტიტუტებზე.

დღეს ხშირად აუცილებელი ხდება რელიგიური პრაქტიკისა და ტრადიციების გარდაქმნა და ხელახლა ფორმირება, რათა ისინი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი თანასწორუფლებიანობის არსთან, რომელიც საფუძვლად უდევს რელიგიურ ტრადიციებს. შესწორების, გარდაქმნისა და ფორმულირების შეცვლის მცდელობანი მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს. მსოფლიოს მოსახლეობის ორი მესამედი თავის თავს რომელიმე რელიგიას უკავშირებს, ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ რელიგიური ხმები ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს და თავისი წვლილი შეაქვს თანასწორუფლებიანი სოციალური სტრუქტურების განვითარების საქმეში. უფრო მეტიც, ვინაიდან ქალების ჩაბმა ცხოვრების ყველა სფეროში დღევანდელი რეალობით არის ნაკარნახევი, რელიგიურ ხმებს რაღაც კონსტრუქციულის შეტანა შეუძლიათ ამ პრობლემის განხილვაში.

შეუძლიათ თუ არა ეგრეთ წოდებულ ეროვნულ მოძღვრებებს იმგვარად გარდაქმნა, რომ მხარში ამოუდგნენ საზოგადოებრივ პროგრესს, რომლის ერთ-ერთი კომპონენტიც ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციაა. ამ კითხვას სხვადასხვანაირად პასუხობენ.

ერთნი, მეტად კონსერვატულად განწყობილნი, საკითხის ასე დაყენებას უსაფუძლოდ თვით რელიგიის არსის წინააღმდეგ მიმართულად თვლიან. სხვანი, რომელთა რიცხვიც მეტად მნიშვნელოვანია, მზად არიან და მიისწრაფვიან მოახდინონ რეფორმირება ტრადიციულ რელიგიურ მოძღვრებაში.

2. ქალი და იუდაიზმი

ებრაელები თავს რჩეულ ხალხად თვლიან, რაც ღმერთთან მათი სულიერი კავშირით არის განპირობებული. ხანდახან იუდაიზმს ებრაელების სულიერი და პოლიტიკური ლიდერის სახელის მიხედვით - "მოსეს კანონსაც" უწოდებენ. იუდაიზმის "წმიდა" წიგნებად თორა და თალმუდი ითვლება. თორა — ყველი აღთქმის პირველი ხუთი წიგნის კრებითი სახელწოდებაა. თვით სიტყვა თორა კი მითითებას, მოქმედების სახელმძღვანელოს ნიშნავს.

წმიდა წიგნები შეიცავს ამბავს სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ, აღწერს ღმერთისა და ადამიანების ურთიერთობას ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნის შემდეგ.

ხუთწიგნეულის განსაკუთრებული სიუჟეტია ღმერთისა და ებრელი ხალხის ურთიერთობა და ხელშეკრულების — "აღთქმის" დადება. წიგნებში განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრეთვე რელიგიურ და სამართლებრივ საკითხებს. თორის კულმინაციურ სიუჟეტს წარმოადგენს მოსე წინასწარმეტყველის ქმედებების და იმის აღწერა, თუ როგორ უბოძეს მას ღვთის "მცნებები". თალმუდი (მოძღვრება, მეცნიერება) თავდაპირველად მიშნას* კლასიკური ახსნა-განმარტების აღსანიშნავად იხმარებოდა, დიდი ხელოვნებით შესრულებული განმარტება კი ჯემერას სახელით არის ცნობილი. დღეისათვის არსებობს ბაბილონური და იერუსალიმის (პალესტინის) თალმუდები.

იუდაიზმში ყველაფერი თორის მცნებებით და დარიგებებით რეგულირდება: საკვების მიღება, პირადი ურთიერთობები, სამსახური და ა.შ., ხოლო იმის ახსნა, რაც თორაში არ არის ასახული, მრავალსაუკუნოვანი განმარტებებისა და ინტერპრეტაციის საშუალებით ხდება. ასე რომ იუდაიზმში ავტორიტეტის სამი ურთიერთგადამკვეთი სტრუქტურაა — ღმერთი, თორა და განსწავლულ ბრძენთა მიერ თორის ახსნა-განმარტება და ინტერპრეტაცია. თეორიულად თითოეული მათგანი ავტონომიურად არსებობს, მაგრამ სინამდვილეში ისინი დინამიკურად ერწყმიან ერთმანეთს. თუმცა ითვლება, რომ ღმერთი თავის ნებას თორის საშუალებით გამოხატავს, მაგარამ არსებობენ, აგრეთვე, ბრძენნი-რაბინები, რომლებიც ამ ნებას ყოველთვის ისტორიული პერიოდის შესაბამისად ხსნიან.

იუდაიზმის უმრავლეს კანონებს იზიარებენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები, მაგრამ ჩვენი ცოდნის უდიდესი ნაწილი მისი საფუძვლების შესახებ დაკავშირებულია ლიდერი მამაკაცების ღმერთთან ურთიერთობასთან. იუდაიზმი სქესობრივი ნიშნით არის დაყოფილი და მამაკაცებზეა ორიენტირებული. ებრაული თემების უმრავლესობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სქესობრივი სეგრეგაციის ბევრ საკითხში და ქალს საშუალება მისცა უფრო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა იუდაიზმის საზოგადოებრივ სფეროში, თუმცა ამ მონაწილეობის ხარისხი სხვადასხვა თემში სხვადასხვანაირია. ორთოდოქსული იუდაიზმი კი მკაცრად იცავს თავის ტრადიციულ პოზიციებს. სიუზან სტარი ამ პოზიციას ასე გადმოგვცემს: ტრადიციულად იუდაიზმი მამაკაცებს მიმართავს, გვასწავლის, რომ ღვთა-ებრივი მიმართვა, ძირითადად, მამაკაცების, აბრამისა და მოსეს საშუალებით იქნა გადმო-ცემული, შესაბამისად, ლიდერობის პრივილეგიას იგი მამაკაცებს ანიჭებს და ტრადიციულად ქალებს არ უშვებს რელიგიური გამოვლინებების ისეთ ცენტრალურ სფეროებში როგორიცაა: განათლების მიღება და სიტყვიერი მონაწილეობა სინაგოგაში. დისკრიმინაციულია იუდაიზმი მემკვიდრეობის საკითხებშიც. ლოცვებსა და კანონებსაც მამაკაცები ქმნიან. მიუხედავად ამისა, ქალები ებრაელი ხალხის ისტორიულ განვთარებაში მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. სიუზან სტარის აზრით, იუდაიზმი მაინც იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ქალები სრულყოფილი და მამაკაცის თანასაწორუფლებიანად შექმნილნი ადამიანური არსებები არიან. ღმერთმა ხელშეკრულება დადო მთელ ებრაელ მოსახლეობასთან (მამაკაცებთან და ქალებთან) და არა მარტო მამაკაცებთან. (Sered, 1992). სხვადასხვა ენაზე თარგმნილ ბიბლიურ ტექსტებში ნათქვამია, რომ ცოლი შექმნილია ქმრის "დამხმარედ" და მასში (ქმარში) სიყვარულის გრძნობის გასაღვიძებლად. ებრაული ტექსტი სიტყვა "დამხმარეს" მამრობით სქესში ხმარობს და იგი ძველ აღთქმაში 110-ჯერ მეორდება და ყოველი მისი მოხსენიებისას ლაპარაკია პარტნიორულ, თანასწორუფლებიან ურთიერთობებზე. თუ მამაკაცი დაიმსახურებს, ცოლი მისთვის მოკავშირე და პარტნიორი იქნება, თუ არა — მოწინააღმდეგე. (Кураев, 1996)

მართლაც, ბიბლიური ტექსტები ხშირად მოგვითხრობენ იმ ერთგული ქალების გულად ქმედებებზე, რომლებიც მამაკაცებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ ზოგჯერ მამაკაცი-ლიდერების წინააღმდეგაც. სწორედ პატრიარქალური ტრადიციების წინააღმდეგ გამოდის რებეკა, როდესაც ავითარებს ღვთაებრივ გეგმას თავისი უმცროსი ვაჟიშვილის იაკობის

* ძვ. წ. III საუკუნაში შეკრებილი და აღდგენილი ძველი ებრაული კანონების კრებული, რომელიც დაყოფილია 6 და 63 პატარა ნაწილად. აღნიშნული კრებული არის ადრინდელ ბრძენთა ტრადიციების გაგრძელება და თალმუდის განხილვისა და შესწავლისას მის საფუძველს წარმოადგენს.

დასაცავად. ასევე მოსე, რომელმაც შემდეგ ებრაელი ხალხი ეგვიპტიდან გამოიყვანა, ბავშვობაში სიკვდილს მხოლოდ ქალების შემწეობით გადაურჩა, რომლებმაც ფარაონის გეგმები ჩაშალეს. თავდაპირველად ბებიაქალები შიფრა და ფუა არ დაემორჩილენ ფარაონის ბრძანებას — მოეკლათ ყველა იუდეველი ახალშობილი ბიჭი, რომელიც მათ მიიღეს. მოსეს დაბადების შემდეგ კი მისი უფროსმა დამ — მირიამმა მოახერხა, რომ იგი ფარაონის ქალიშვილმა იშვილა, ხოლო მისი ღვიძლი დედა აღმზრდელად აიყვანეს. ასე რომ, მირიამმა იგი არა მხოლოდ გადაარჩინა, არამედ მისი იუდეველად აღზრდაც უზრუნველყო.

ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აგრეთვე ისრაელის რელიგიურ განვითარებაში. ამის მაგალითია დებორა — წინასწარმეტყველი და თორმეტ მსაჯულთაგან ერთადერთი, რომელიც მისდევს მოსეს ტრადიციას — ნამდვილად უხელმძღვანელოს ებრაელ ხალხს როგორც მოსამართლემ. სწორედ იგი შთააგონებს ვანაკს, წინააღმდეგობა გაუწიოს სისარას.

ძვ. წ. მეექვსე საუკუნეში წინასწარმეტყველი ჰალდა პასუხიმგებელია კანონის აუტენტურობაზე, რაც საშუალებას აძლევს ებრაელებს გააკონტროლონ ჭეშმარიტი ებრაული ტრადიციები და მათი შესრულება.

რაბინულმა იუდაიზმმა და თალმუდის უფრო გვიანმა განვითარებამ ებრაელების რელიგიური ცხოვრების კონცენტრირება თორის შესწავლასა და სინაგოგაში ყოველდღიური მსახურების ირგვლივ მოახდინეს. როდესაც რაბინული იუდაიზმი იუდაიზმის ნორმატიულ ფორმად იქცა, ქალები თორის სწავლებასა და ყოველდღიურ ღვთისმსახურებას თანდათან ჩამოაცილეს, რაც პრაქტიკულად იმაში გამოიხატებოდა, რომ სინაგოგები და აკადემიები ფაქტობრივად მამაკაცების ხელში დარჩა. მიუხედავად ამისა, თალმუდის აქადური ნაწილები შეიცავენ თხრობათა მთელ სერიას, სადაც ქალები თორის ღრმა და სრულყოფილ ცოდნას ავლენენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იუდაიზმში თანასწორუფლებიანობის არსი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ქალები სრულყოფილი ადამიანები არიან და მამაკაცთა თანასწორად არიან შექმნილნი, არამედ იმაშიც, რომ ღმერთმა ხელშეკრულება მთელ ებრაელ მოსახლეობასთან დადო და არა მარტო მხოლოდ მამაკაცებთან. მაგრამ კლასიკურ მოძღვრებათა უმეტეს ნაწილში არაფერია ნათლად ნათქვამი მათი მონაწილეობის შესახებ, თუმცა კლასიკური რელიგიური ტრადიცია ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ებრაელი ხალხის რეალურ ისტორიასთან.

აღმოჩნდა, რომ თავდაპირველად ქალები ამოღებულ იქნენ აღთქმის დადების პროცესიდან. აღთქმით გათვალისწინებული წინადაცვეთის ცერემონია მხოლოდ მამაკაცების დასწრებით შემოიფარგლა და თვით სინას მთაზე ხელშეკრულების დადებისას მოსე მხოლოდ მამაკაცებს მიმართავს. (გამოსვლა, 9/15) მიუხედავად ამისა, რაბინული იუდაიზმი ადასტურებს აღთქმის პირველ ცერემონიაზე ქალების ყოფნას. და, მართლაც, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ებრაელი ხალხი გრძნობდა, რომ ქალები ჩართულნი იყვნენ საღმრთო აღთქმაში და მნიშვნელოვან როლსაც კი ასრულებდნენ. აღთქმა დაიდო არა მარტო აბრამთან, არამედ სარასთანაც. ღმერთის თვალში მხოლოდ აბრამისა და სარას ვაჟიშვილი იყო სრულუფლებიანი მემკვიდრე. მოსეს საშუალებით გადმოცემული აღთქმის პირობები ქალებისა და მათ წინაშე საზოგადოების სხვა წევრების კონკრეტულ ვალდებულებებს შეიცავდა. ალბათ, გაცილებით მნიშვნელოვანია აღთქმის საფუძვლების მიღებისა და მათი შენარჩუნების გრძელი ისტორია. სწორედ ჰალდა, წინასწარმეტყველი ქალი, ახდენს აღთქმის აუტენტურობის დადგენას. და, მართლაც, მთელი ისტორიის მანძილზე ებრაელი ქალები თორის ზედმიწევნითი დაცვით და დიეტის (კაშერის) წესების ღრმა ცოდნით ადასტურებდნენ თავის სრულყოფილ მონაწილეობას აღთქმისეულ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული იყო ქალების მიერ თორის შესწავლა, რაბინები მათ კაშერის საკითხში დიდ ავტორიტეტებად მიიჩნევდნენ. როგორც ქრონიკები ადასტურებენ, ასეთ საკითხებში ისინი სისტემატურად მიმართავდნენ თავიანთი ცოლების რჩევებს.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი, რომელიც დაკავშირებულია თორაში გადმოცემული

ადამიანის შექმნის შესახებ ორი ამბავის კომენტირებასა და ინტერპრეტაციასთან. პირველ მონათხრობში (დაბადება 1-2:4) ღმერთი სამყაროს შექმნის კულმინაციურ მომენტში ქმნის ადამიანს. მამაკაცი და ქალი, რომელთაც სახელები არა აქვთ, ერთდროულად შეიქმნენ ღმერთის ხატად და მის მსგავსად და ორივეს მიწა გადაეცა მფლობელობაში. მეორე მონათხრობში (დაბადება: 2:4 —3:24) პირველად შეიქმნა ადამი, მის შემდეგ ცხოველები, ხოლო ევა სულ ბოლოს, ადამის ნეკნიდან შეიქმნა, რადგან ცხოველებში ვერ მოიძებნა ადამის შესაბამისი დამხმარე.

პირველი მონათხრობის მიხედვით ადამი და ევა ერთდროულად სრულიად თანასწორუფლებიან ადამიანებად შეიქმნენ ღმერთის მსგავსად და ხატად. მეორე მონათხრობში ქალი მამაკაცის ნეკნიდან შეიქმნა, მისთვის, მასზე დამოკიდებული და დაქვემდებარებული.

ამ ორი მითის რაბინულმა ახსნამ ლილიტის შექმნამდე მიგვიყვანა. ახსნის თანახმად ღმერთმა ფაქტობრივად ადამისათვის ორი ქალი შექმნა — ლილიტი და ევა. როგორც პირველი ამბავი გადმოგვცემს, ღმერთმა პირველი ცოლი ადამის თანასწორად შექმნა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო ლილიტმა მიატოვა ადამი. მიუხედავად ღმერთის მუქარისა, ლილიტი უარს ამბობს დაუბრუნდეს ადამს. ამის შემდეგ ღმერთი ადამისათვის მეორე ცოლს ქმნის, მაგრამ ამჟამად იგი მისი მორჩილია, შექმნილია მისგან და მისთვის.

ასეთი ინტერპრეტაცია ეწინააღმდეგება იმის მტკიცებას, რომ მამაკაცი და ქალი შეიქმნენ როგორც თანასწორუფლებიანები. მიუხედავად ამისა, ისინი, ვინც იუდაიზმში თანასწორუფლებიანობის არსს უჭერს მხარს, მოითხოვენ მეორე ისტორიის დაწვრილებით შესწავლას და ამტკიცებენ, რომ სინამდვილეში იგი ამტკიცებს ქალების სრულფასოვნებას და მამაკაცთან თანასწორობას. ისინი აღნიშნავენ, რომ ქალის მოგვიანებით შექმნა არ ნიშნავს მის მეორეხარისხოვნებას და კაცისადმი მორჩილებას. ფაქტობრივად, შექმნის ასეთი თანამიმდევრობა ექვივალენტობას აღნიშნავს, რადგან იუდეური პოეტური ტრადიციისათვის დამახასიათებელია თანაბარი მნიშვნელობის ელემენტების თავსა და ბოლოში განლაგება. ასე რომ, თხრობის სტრუქტურა, ფაქტობრივად, გადმოგვცემს ერთი და იმავე ელემენტის (მამაკაცის) შექმნას, შემდეგ მოდის არათანასწორუფლებიანი ელემენტების (ცხოველების) შექმნის პროცესი, ხოლო თხრობა მთავრდება მამაკაცის თანაბარი და სწორი ეკვივალენტური ელემენტის (ქალის) შექმნის ისტორიით.

ზუსტად ასევე, ის ფაქტი, რომ ქალი მამაკაცის ნეკნიდანაა შექმნილი, არ ნიშნავს, რომ მას დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. როდესაც მამაკაცი ამბობს, რომ ქალი "ძვალი ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანია"... (დაბადება 2:23) ამტკიცებს, რომ ისინი ერთი მატერიისაგან არიან შექმნილნი და მათი არსიც ერთია.

იუდაიზმი გვთავაზობს მთელ რიგ მტკიცებულებებს და ეჭვქვეშ აყენებს პატრიარქალური ოჯახის სტრუქტურის მართებულობას, რომლის თანახმადაც ოჯახის წევრი ქალები მამების საკუთრებას და მათი სისტემატური კონტროლის ობიექტს წამოადგენენ, ხოლო ცოლის მთავარი დანიშნულება ქმრის სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ვაჟიშვილების გაჩენაა. ეს მტკიცებულებები იუდაიზმში მთელი რიგი ფაქტორების ერთობლიობით არის წარმოდგენილი.

პირველ ფაქტორად გვევლინება ის, რომ თუმცა იუდაიზმი არ უარყოფს ოჯახში მოვალეობების სეგრეგაციას სქესობრივი ნიშნით, იგი არასდროს ამართლებდა მის აბსოლუტურად პატრიარქალურ სტრუქტურას. ძველ ისრაელშიც კი დედასა და მამას ოჯახში თანაბარი სტატუსი ჰქონდათ. ღმერთის აღთქმის შესრულების მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ პატივი ეცათ როგორც მამისათვის, ისე დედისათვის. (დაბადება 20: 12, მეორე რჯული 5:16). თორა ქვრივების, ბავშვებისა და ობლების შესახებ მრავალ დებულებას შეიცავს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ მათ, იმისდა მიუხედავად, ჰყავთ თუ არა დამცველი მამაკაცები, თავიანთი უფლებები უნდა ჰქონდეთ.

ქორწინების პროცედურა თალმუდში პატარძლის ყიდვის ახლოაღმოსავლურ ტრადიციასთან ახლოს დგას, მაგრამ სწორი არ იქნება, თუ მას განვიხილავთ, როგორც საკუთრების ერთი მფლობელისაგან (მამისაგან) მეორესათვის (ქმრისათვის) გადაცემის რიტუალს. ებრა-

ული კანონების თანახმად, ქორწინებისათვის აუცილებელია ქალის თანხმობა, ხოლო მამა უნდა დაელოდოს, სანამ მისი ქალიშვილი გაიზრდება, რათა მან თავისი არჩევანი გააკეთოს. აღთქმის მიხედვით, აუცილებელი პირობაა აგრეთვე ის, რომ მამაკაცს ცოლი საკუთარი თავი-ვით უყვარდეს, ხოლო პატივი თავის თავზე მეტად სცეს. ქმარს ყოველთვის ეკრძალებოდა ცოლის ცემა. ქმრისა და ცოლის ურთიერთდამოკიდებულება კი იდეალურ მოვლენად ითვლება.

ქალზე ზრუნვის დამადასტურებელია კანონი ოჯახისა და განქორწინების შესახებ. ბიბლიის მიხედვით, ქალს არ შეეძლო აღეძრა საქმე განქორწინების შესახებ, მაგრამ მოგვიანებით რაბინებმა ებრაული სასამრთლოებისათვის გამოსავალი ნახეს და მამაკაცები აიძულეს ქალებისათვის განქორწინება ნებაყოფლობით მიეცათ. ასეთმა ნაბიჯმა დადებითი შედეგი გამოიღო და შესაძლებელი გახადა გვერდი აევლოთ კანონისათვის, რომლის თანახმადაც, ქალებს, რომლებიც ქმრებმა მიატოვეს ან დაქვრივდნენ, არ შეეძლოთ მეორედ გათხოვება, რადგან არ ჰქონდათ დამამტკიცებელი საბუთი. ასეთი ვითარება ქორწინებაში ქალს მამაკაცის თანაბარ სტატუსს არ აძლევდა და ამ უკანასკნელის დომინირებას უსვამდა ხაზს. განხორციელებული ცვლილებები კი ნათლად ადასტურებს ეგალიტარული ტენდენციების არსებობას და ოჯახის სტრუქტურის მოქნილობას იუდაიზმში.

შემდეგი ფაქტორი, რომელიც პატრიარქალური გაგების წინააღმდეგ არის მიმართული, შთამომავლობის რეპროდუქციის მეორადობაა. ებრაული კანონების მიხედვით, ქორწინების უპირველესი მიზანი ჰარმონიული ურთიერთობებია და არა შვილების გაჩენა. სექსუალური ურთიერთობებისას უმნიშვნელოვანესი პირობა კი ცოლ-ქმრის ფიზიკური სიამოვნება და ოჯახური ბედნიერების შექმნა მაგრამ რეპროდუქცია ებრაული ოჯახის ცხოვრებაში მაინც მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მიუხედავად თორისა და თალმუდის მითითებისა, რომ მამაკაცები და ქალები უნდა განაყოფიერდნენ და გამრავლდნენ (დაბადება 1:28), იუდაიზმი მხოლოდ მამაკაცს ავალებს იზრუნოს გამრავლებაზე, რაც ქალებს უფლებას აძლევს იხმარონ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს ქალი ვალდებულია იზრუნოს ცოლ-ქმრის, ოჯახისა და უკვე დაბადებული შვილების კეთილდღეობაზე. და, მართლაც, სხვადასხვა რაბინული ახსნა—განმარტების საფუძველზე შვილებს ეძლევათ საშუალება დაგეგმონ თავიანთი ოჯახის გამრავლების პროცესი და, შესაბამისი არგუმენტების შემთხვევაში, უარი თქვან დიდი რაოდენობით შთამომავლობის გაჩენაზე.

3. ქალი და ქრისტიანობა. პატრიარქალური სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების ფემინისტური რევიზია

სამყარო, რომელშიც ქრისტიანობა აღმოცენდა პატრიარქალური იყო ანტიკური სამყაროს საზოგადოებრივი აზრი არ ცნობდა ქალის და მამაკაცის თანასწორობას.

არისტოტელე თავის "პოეტიკაში" წერდა, რომ ქალი შეიძლება იყოს კეთილშობილი, თუმცა თავისი ბუნებით იგი მდაბალი არსებაა. დაახლოებით ასეთი განწყობა სუფევდა ქალისადმი მთელი წარმართული პერიოდის განმავლობაში.

II საუკნის რომაელი ფილოსოფოსი ცელსუსი თავის თხზულებაში "მართალი სიტყვა" წერდა, რომ თუ ღმერთს მიწაზე სულის გამოგზავნა უნდოდა, რა საჭირო იყო იგი ისეთ უწმინდურ ადგილას მოეთავსებინა როგორიც ქალის მუცელია. მაგრამ ამასთან, იგი ტრადიციული მითოლოგიის ფარგლებში დასაშვებად თვლიდა, რომ ღმერთს შეიძლება შეუყვარდეს მშვენიერი და დიდებული ქალი.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გაჩნდა ე.წ. ქალთა ქება. ქალის მთავარ ღირსებად მიჩნეული იყო თავმდაბლობა, ერთგულება, საკუთარი ღიირსების გმირული დაცვა. ხშირად ლაპარაკი იყო არა რეალურ, არამედ სასურველ ქალზე. შემთხვევითი არ იყო, რომ პლუტარქე თავისი თხზულების პირველივე ფრაზაში არ ეთანხმებოდა ფუკიდიდს, რომელსაც

მიაჩნდა, რომ საუკეთესოა ის ქალი, რომელზეც უცხოები ყველაზე ნაკლებს ლაპარაკობენ როგორც საქებრად, ისე გასაკიცხად. მორალისტ პლუტარქეს მიაჩნდა, რომ, პირიქით, ქალს ქება უნდა შეასხა. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ წარსულ დროთა გმირი ქალების ქებასთან ერთად, გავრცელებული იყო წარმოდგენა ქალის, როგორც ბნელი საწყისის მატარებლის შესახებ. ლიტერატურაში გაჩნდა ალქაჯების, მომწამვლელი ქალების სახეები, რომლებიც მიწისქვეშა სამყაროს საშინელ ღმერთთან იყვნენ დაკავშირებული (Свенцицкая, 1995).

ბერძნებს ომი ადამიანისათვის ჩვეულ მდგომარეობად მიაჩნდათ. არმია პოლისის შექმნისა და არსებობის უმნიშვნელოვანესი ასპექტი და პირობა იყო სპარტაში ოჯახი, როგორც სახელმწიფოს პირველადი წარმონაქმნი, არმიამ შეცვალა. წარმოიქმნა და დაკანონდა მამაკაცთა სხვა ტიპის თანამეგობრობა - ჰომოსექსუალიზმი, რომელიც ყველაზე მეტად გამოვლინდა თებეში ძვ.წ. მეოთხე საუკუნეში. აქ შეიქმნა საყვარელთა წმინდა კავშირი, რომლის წევრებიც მხარდამხარ იბძოდნენ. მსგავსი ინსტიტუტები მოწოდებული იყო ბრძოლის დროს გაეღვივებინათ დისციპლინირებული, კოლექტიური მამაცობის გრძნობა და სიცოცხლის ერთობლივი შეწირვის სურვილი აღეძრათ.

მეომარი მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალები წარმოადგენდნენ იმათ, ვინც უნდა დაეცვათ და ვინც ოჯახის მეურნეობაში იყო დასაქმებული. ისინი გაბატონებული სამხედრო-პოლიტიკური სამყაროს ნაკლებად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. ცხადია, ასეთი ვითარება სქესობრივ სეგრეგაციას უწყობდა ხელს.

ქრისტიანობა თავისი მოძღვრებით და ინსტიტუციონალური სტრუქტურით თანასწორ-უფლებიანობის დამცველად მოგვევლინა. ადრე დაწესებული ნორმებისაგან განსხვავებით, იესო ქრისტე ხშირად და ღიად ადასტურებდა ქალების ღირსებას. მისი სიკვდილის შემდეგ ისინი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ეკლესიის ინსტიტუტების შექმნაში, რადგანაც მთავრი რიტუალი იყო მონათვლა და არა წინადაცვეთა.

ქრისტეს მოწაფეები თემში გაერთიანდნენ. პირველი ქრისტიანული ორგანიზაციები სწორედ თემის სახით არსებობდა. მორწმუნენი აქ ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ, თუმცა იყვნენ ხელმძღვანელები — მოციქულები, წინასწარმეტყველები, მასწავლებლები, რომელთაც ასეთი მდგომარეობა მხოლოდ მათი პირადი თვისებების გათვალისწინებით ეკავათ და როგორც ქალს, ისე მამაკაცს შეეძლო დაეკავებინა გამორჩეული მდგომარეობა. ამ პერიოდის ქრისტიანულ ძეგლებში ხშირად ვხვდებით გამოჩენილი ქალების სახელებს.

ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში, როდესაც რომში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, ქალებს საბოლოოდ დაეხშოთ გზა საეკლესიო იერარქიასა და თემის ხელმძღვანელობაში. თანასწორუფლებიანობა პატრიარქალური ინსტიტუციური სტრუქტურე-ბით შეიცვალა. ასეთ ცვლილებებს თან ახლდა საღვთისმეტყველო მოძღვრება, რომელიც პატრიარქალურ წესრიგს ღვთის ნებას მიაწერდა და დაჟინებით მოითხოვდა მამაკაცსა და ქალს შორის ისეთ ურთიერთობებს, როცა მამაკაცი ხელმძღვანელობს, ხოლო ქალი მორჩილია.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა პატრიარქალური ხასიათი პრაქტიკულად მრავალი საუკუნეის განმავლობაში ბატონობდა. რელიგიური სამართალი და ინსტიტუტები საყო-ველთაო პატრიარქალური წესების ურყევ დამცველებად გამოდიოდნენ. მხოლოდ XVI საუკუნემ — რეფორმაციის პერიოდმა, როდესაც ქრისტიანობაში რადიკალური ცვლილებები მოხდა, რაც გამოწვეული იყო ფეოდალიზმის ნიადაგზე ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვით და განვითარებით, თან მოიტანა "ფემინისტური აღორძნების" სიო. მოკლე შუალედმა ლუთერსა და კალვინს შორის მოიტანა თავისუფლების გაელვება. ბეატრისა გალენდო, ფრანჩესკა დელებრისკა, ეკატერინე არაგონელი, დედოფალი მერი, ანა ბეკონი, ჯეინ გრეი, მარგარეტ როპერი, მერი სიდნეი — აი, რეფორმაციის დასაწყისის რამდენიმე გამოჩენილი ქალიც სახელი.

კეთილისმყოფელ გარდაქმნათა სიო, თუმცა ჯერ კიდევ სუსტი და ხანმოკლე, ხელახლა იგრძნობოდა XVIII საუკუნეში, საფრანგეთისა და ამერიკის ბურჟუაზიულ რევოლუციათა

პერიოდში, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი: "თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა". მაგრამ როგორც კი რევოლუციური ქარიშხალი ჩაცხრა, საზოგადოებამ უცებ მიივიწყა გამარჯვებაში ქალების წვლილი. სახელმწიფოს ყველა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოში უპირატესობა მხოლოდ მამაკაცებს ეძლეოდათ. ქალები ძველებურად ელემენტარული პოლიტიკური უფლებების გარეშე დარჩნენ.

მხოლოდ XX საუკუნეში მიიღო შეუქცევადი ხასიათი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულმა მოძრაობამ. ყოველ ათწლეულში, განსაკუთრებით 60-იანი წლების დასაწყისიდან, ის სულ ახალ და ახალ ძალებს იკრებს. მის რიგებში ერთიანდება თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელი.

ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულმა რეფორმატორულმა მოძრაობამ ყველაზე დიდი გაქანება სწორედ ქრისტიანულ სამყაროში მიიღო, რაც დასავლეთის ქვეყანების უმრავლესობაში საზოგადოებრივ პროგრესთან არის დაკავშირებული. რეფორმატულად მოაზროვნე თეოლოგები და ეკლესიის წარმომადგენლები ფემინისტური მოძრაობის ზეგავლენით, და, რაც მთავარია, თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, წმინდა წერილებისა და ქრისტიანული საზოგადოების ახალ ინტერპრეტაციასაც მიმართავენ იმ მიზნით, რომ უარი თქვან იმ დებულებებზე, რომლებიც ქალების დისკრიმინაციის საფუძველს წარმოადგენს. ამ მოძრაობის უდავო მიღწევაა ქალების დაშვება საეკლესიო ეპარქიაში, თუმცა კონფესიონალურ თემში სასულიერო პირებს შორის ქალთა რაოდენობა ძალიან მცირეა. ისინი საერთოდ არ არიან საეკლესიო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში.

როგორც მართებულად აღნიშნავენ ფემინისტი ქალები, ქრისტიანობა ჯერ კიდევ რჩება "მამაკაცთა რელიგიად", რომელიც ქალთა დისკრიმინაციის გამომწვევ სტერეოტიპებს უჭერს მხარს, რასაც შემდეგი წარმოდგენებიც ემსახურება:

უპირველეს ყოვლისა, "ღმერთის სახე", როგორც მამაკაცისა. სინამდვილეში "ძველ აღთქმაში" ღმერთს სქესი არა აქვს. მთელი ისტორიის მანძილზე ეკლესიას მამაკაცები მართავდნენ და თავადვე განმარტავდნენ წმინდა წერილს. ღმერთის ხსენებისას მხოლოდ მამრობითი სქესის ნაცვალსახელს ხმარობდნენ და ქრისტიანული სამება მამრობითი სქესის ტერმინებისაგან (მამა, ძე და სული წმინდა) შედგება და ა.შ. ყოველივე ამან საზოგადოებრივ ცნობიერებაში წარმოშვა ღმერთის, როგორც მამრობითი სქესის რწმენა.

მეორე, ისტორია ქალის დამორჩილებული მდგომარეობის განჩინებისა, რომლის საფუძველსაც ბიბლიური ამბავი - ადამის ნეკნიდან მისი სამსახურისათვის ევას შექმნა - წარმოადგენს.

მესამე, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ქალი წარმოდგენილია ორ ჰიპოსტაზში — ევასა და წმინდა მარიამის სახით. პირველში განსახიერებულია ბოროტება და ადამის შეცოდებისათვის პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრებოდა. მეორეში — აბსოლუტური უმანკოება, მარადიული ქალწულობა. ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ ქრისტიანული თეოლოგია ხელს უწყობს სქესის შესახებ მამაკაცური იდეების გამომხატველი სიმბოლიკის გავრცელებას: მეძავი — სექსუალური ბოროტებაა, სექსუალური სიწმინდე — ქალწულობა, სექსუალური აღწარმოებაა — დედა (Hole, Livine, 1971) მერი დეილის სიტყვებით, "ქალის აღწერა ქალწულობის, რძლობის და დედობის კატეგორიებით ნიშნავს მისდამი მიდგომას მარტოოდენ სექსის ჩარჩოებში" მაშინ, როდესაც აზრად არავის მოსდის კაცის დასახასიათებლად მიმართოს მხოლოდ "უმწიკვლო ქმრისა და მამის" კატეგორიებს. (Daly, 1968).

მეოთხე, მამაკაცთან შედარებით ქალის უფრო დაბალი ბუნების "ღვთიური მტკიცებულება" (რასაც ქალის დამორჩილებული მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს) ქრისტინული ეკლესიის მსახურებმა ამოიკითხეს პავლე მოციქულის მიმართვებში. ისინი ხშირად მოიხსენიებენ პასაჟებს პირველი კორინთელებისადმი მიმართვიდან, რომლის თანახმადაც ქალს ეკრძალება თავსაბურავის გარეშე ლოცვა, მაშინ, როცა "ქმარმა არ უნდა დაიფაროს თავი თავსაბურავით, რადგან იგი არის ღვთის ხატი და დიდება, ცოლი კი ქმრის დიდება, რადგან "ქმარი კი არა არის შექმნილი ცოლისაგან, არამედ ცოლია შექმნილი

ქმრისათვის. (პავლეს მოციქულის ეპისტოლენი პირველთ კორინთელთა მიმართ 11:7- 11:8) პირველ მიმართვაში ტიმოთესადმი ნათქვამია: "ქალი მდუმარედ უნდა სწავლობდეს ყოველგვარი მორჩილების ქვეშ, ხოლო ქალს ნებას არ ვაძლევ იბატონოს ქმარზე, არამედ დუმდეს უნდა, რადგან ადამია შექმნილი, შემდეგ კი ევა." (პავლეს მოციქულის ეპისტოლენი, პირველი ტიმოთეს მიმართ 2:11- 2:12)

მაგრამ ფემინისტი ქალების გარკვეულ ნაწილს ასეთი რეფორმატორობა უპერსპექტივოდ მიაჩნია და ამიტომ საკუთარი "ფემინისტური რელიგიის" შექმნის ან სპირიტუალობის იდეას აყენებენ. "სპირიტული ფემინიზმი" არ არის ერთგვაროვანი მოძრაობა. იგი აერთიანებს ქალღმერთის (goddess) თაყვანისმცემელ, მატრიარქალური ფუტურიზმის მიმდევარ თეორეტიკოსებს, ალქაჯური პრაქტიკის მომხრეებს, რასაც პირობითად "ფემინისტური რელიგია" ეწოდება. შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მისი მახასიათებელი.

უპირველეს ყოვლისა, პატრიარქალურ მომაკვდავ მსოფლმხედველობას უპირისპირდება მთლიანობა და ერთმყოფადობა, რაც ქალთა მსოფლმხედველობას მოსდევს.

ღმერთს, როგორც ტრანსცენდენტულ ძალას, ფემინისტური რელიგიის თეორეტიკოსები უპირისპირებენ ქალთა მოდგმის ღვთიურობას. ისტორიული იუდაიზმისა და ქრისტიანობის ღმერთები, - ნაომი გოლდბერგის აზრით, - არ შეეფარდებიან თანამედროვე ქალებს, ამიტომ უარყოფილი იქნებიან და შეიცვლებიან რელიგიური ექსპრესიულობის ახალი ქალური ფორმებით. "სპირიტული ფენიმიზმის" თანახმად, ქალღმერთი ბუნებას არ უპირისპირდება, არ არის მისდამი ტრანსცენდენტული, პირიქით, იგი ბუნების ნაწილია და იმყოფება თანამოქმედებაში ბუნებრივ ძალებთან, რომლებიც მიაჩნია "არა დასაპყრობ რაიმედ, არამედ საკუთარი თავის სხვა განზომილებად" ფემინისტური სპირიტულობა თავისი არსებით თაყვანისცემის ეკოლოგიური ფორმაა.

თუმცა "სპირიტული ფემინიზმის" მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ამ რელიგიას საფუძვლად უდევს ერთარსებობის იდეა, მათ არ შეუძლიათ გადალახონ მათ მიერვე გაკრიტიკებული დიქოტომიზმი. არსებითად, მათი აზროვნება არ გამოდის იმავე გაორებულობის სამყაროს საზღვრებიდან, რომლის არსებობისთვის ისინი ბრალს სდებენ "მამაკაცურ კულტურას". საბოლოო ანგარიშით განსხვავება პრეროგატივების არჩევაშია. პატრიარქალური კულტურა აქცენტს აკეთებს გონისა და კულტურის მნიშვნელობაზე, "ქალური" - უპირატესობას ინტუიციასა და ბუნებას ანიჭებს. პატრიარქალური მითები იცვლება მატრიარქალურად ორიენტირებული მშვიდობისმყოფელობით, რომელიც, ფაქტობრივად, ქალების დომინირებაზე დაყრდნობილ სისტემას აიდეალებს. "ჩვენ ვიმყოფებით ახალი ერის - აკვარიუსის (მერწყულის) ეპოქის კარიბჭესთან, - წერს ელისაბედ დეივისი, - სხვა აკვარიული ეპოქის გარიჟრაჟზე. როცა, ორმოცდათორმეტი ათასი წლის წინ დიდმა დედოფალმა ბაზილიომ წესრიგი და სამართლიანობა მოიტანა ქაოსის სამყაროში, რომელიც ჩვენი XX საუკუნის მსგავსად, მოცული იყო უკანონობითა და წინააღმდეგობრიობით. ქალები დღეს, ისე როგორც მაშინ, ამომავალი ცივილიზაციის მქადაგებლები არიან. ჩვენ თვალს მივაპყრობთ ქალებს, ველოდებით რა ხსნასა და გაჯანსაღებას აკვარიუსის ამაღორძინებელ წყლებში... მაქსიმალიზმის ეპოქა დასასრულს უახლოვდება... მხოლოდ სამი ათასი წლის განმავლობაში გაბატონებული მამაკაცური მატერიალიზმის მხეცის დამხობით შეუძლია კაცობრიობას იხსნას თავი. XXI საუკუნის მეცნიერებაში გზას ფიზიკური კი არა, სულიერი ძალა გაიკვლევს... მგრძნობიერებაზე მაღალმგრძნობიარე პერცეფცია გაიმარჯვებს და ისევ იბატონებენ ქალები".

რა თქმა უნდა, ასეთი სახის მოძრაობები იზოლირებულ, ალტერნატიულ ცხოვრების წესს უწევენ პროპაგანდას. ამასთან აღსანიშნავია, რომ ისინი ხშირად ანტაგონიზმში მოდიან მათთან, ვინც "სწორ კულტურულ ხაზს არ მისდევს".

რეფორმატორობას, ალბათ, თავისი საზღვრები გააჩნია,. როცა ამ საზღვრების გადალახვა კი რელიგიის ფუნდამენტური საფუძვლების შერყევას იწვევს. ფემინისტური რელიგიის შექმნა თავისთავად არარეალურია, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ მას მხარს არ უჭერს თვით ქალების უმრავლესობა, რადგან გაბატონებულთა და ქვეშევრდომთა ადგილების გადანაცვლებით კაცობრიობა უფრო ბედნიერი არ გახდება.

ქალის სტატუსი ინდუიზმში

ინდუიზმის განვითარება სამ ათასწლეულზე მეტ ხანს ითვლის, ამასთან, მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი ტრადიციები მუდმივად მდიდრდებოდა და ვითარდებოდა. ისტორიული გამოცდილების ასეთი გავრცელება და იმ ხალხების კულტურული მრავალფეროვნება, რომლებიც მას აღიარებენ და სხვადასხვა ტერიტორიულ სივრცეზე არიან განსახლებული, ხსნის ინდუიზმის მოკლე და მარტივ განსაზღვრასთან დაკავშირებულ სირთულეებს. მიუხედავად ზემოთქმულისა, თავისი არსებობის თითქმის მთელ პერიოდში ინდუიზმმა შეინარჩუნა გარკვეული დებულებები, რომლებსაც შეძლება დაეთანხმონ მისი როგორც ძველი, ისე თანმედროვე მიმდევრები.

ერთ-ერთი ასეთი დებულება, რომელიც მოკლე გამონათქვამების სახით არის გადმოცემული, ჩვენი ერის დასაწყისში გაჩნდა და შემდგომში კლასიკური ინდური სამართლის - "მანუს კანონებისა" და "მანავადარმაშასტრას" საფუძვლად იქცა. ტრადიციულად ითვლება, რომ სანსკრიტული ტექსტი შედგენილ იქნა ბრძენის მიერ, რომელსაც სახელად მანუ ერქვა. იგი თითოეული ადამიანის ცხოვრების ნორმების, საზოგადოებრივი წესრიგის, რელიგიური რიტუალების, მოკლედ, ყველაფერი იმის, რასაც სანსკრიტში დხარმა ჰქვია, განმსაზღვრელ კანონთა კრებულის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს.

დღევანდელი ინდუიზმი თავისი საერთო მახასიათებლებით საკმაოდ ახლო დგას კლასიკურ ინდუიზმთან, რომელიც ორი ათასი წლის წინ არსებობდა. მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს ორი უმთავრესი განმასხვავებელი ნიშან-თვისება. პირველი - ეს არის ინდუიზმის ფართო გავრცელება სუბკონტინეტის მოსახლეობის დაბალ ფენებში და არქაული ტრადიციების ძლიერი გავლენა მათზე. ის ხალხები, რომლებიც ე.წ. ადრევედურ და მანუს პერიოდში "უცხოებად" ითვლებოდნენ, ათასწლეულის შემდეგ ინდუიზმის ძირითად მამოძრავებელ ძალად იქცნენ. მათი ცხოვრების ადათ-წესები განუხრელად შეერწყა ამ მოძღვრების უძველესი ტრადიციების საფუძვლებს.

მეორე ცვლილება "სქესობრივ ორიენტაციასთან" არის დაკავშირებული. ინდუიზმის ტრადიციის მიხედვით, "მამების" ვალის გადახდა ვაჟიშვილის გაჩენით ხდებოდა (და არა მხოლოდ ბავშვის), რაც დამახასიათებელია მამაკაცურ საწყისზე ორიენტირებული რელიგიისათვის მაგ., ვედური, კლასიკური პერიოდის, შუა საუკნეებისა და დღევანდელი რელიგიებისათვის. ეს ორიენტაცია შენარჩუნებულია ყველა დროის ყველა გამოლინებაში — მითებში, რიტუალებში, დოქტრინებში, სიმბოლოებში. მაგრამ თუ იმით ვიმსჯელებთ, რომ ქალი-ღმერთები აქტიურად შემოდიოდნენ იმ სივრცეში, რომელიც მამაკაც ღმერთებს ეკავათ, ხოლო ამ პროცესს თან სდევდა ქალების რელიგიური გააქტიურება, განსაკუთრებით კი რიტუალურ ცხოვრებაში, უდავოა, რომ ქალის როლი მთლიანად ინდუიზმის ტრადიციის მასშტაბებში განუხრელად იზრდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდუიზმი მუდმივად განიცდიდა უბრალო, გაუნათლებელი ხალხის გავლენას, რომლის ნახევარსაც ქალები შეადგენდნენ. რეალურად საქმე იმაში კი არ იყო, რომ ინდუიზმს ქალების აქტიურობა აკლდა, არამედ საჭირო იყო ამ აქტიურობას აღიარება მოეპოვებინა ლიტერატურაში, ხელოვნებაში, აგრეთვე ქურუმებში, სატაძრო და სამონასტრო ადმინისტრაციაში. ამის განხორციელება კი მხოლოდ დღეს გახდა შესაძლებელი, როდესაც მსოფლიო განათლებისა და საინფორმაციო შესაძლებლობების წყალობით უდიდესი სიჩქარით იცვლება, როდესაც აღნიშნული ინსტიტუტები და სოციალური ცხოვრების სხვა ელემენტები იწყებს ინდუისტური საზოგადოების, მისი კლასების, კასტების, სხვადასხვა რეგიონში ქალების მდგომარეობის ობიექტური სურათის ასახვას. (O'Flaherty, 1988).

ინდუიზმის ყველა რეფორმატორს, XIX საუკუნიდან დაწყებული, კარგად ესმოდა, რომ ქალთა პრობლემა უცილობელ გადაჭრას მოითხოვს. ჯერ კიდევ მაშინ უკვე მწვავედ იგძნობოდა ბევრი ძველი და შუასაუკუნეობრივი თეოლოგიური მითითების გადასინჯვის აუცილებლობა, მათ შორის ისეთებისა, რომლებიც ქალების საზოგადოებრივ მდგომარეობას ეხებოდა. საკითხები ღმერთის, სამყაროს, ადამიანის შესახებ ახლებურად დგებოდა და

წყდებოდა. რეფორმატორებმა გადასინჯეს თავიანთი მიდგომა წმინდა ტექსტებისადმი და განაცხადეს, რომ არ შეიძლება ამ ტექსტებში ყველაფერი ჩაითვალოს საყოველთაო და მარადიულ ჭეშმარიტებად. წინა პლანზე გამოდიოდა ადამიანის ახალი იდეალი, მთავარი იყო არა კასტური მითითებების იმ ნორმების შესრულება, რომლებიც სხვადასხვა კასტის წარმომადგენლებისათვის სხვადასხვა იყო, არამედ ადამიანის განსჯის უნარი: რა არის ზნეობრივი? რამდენად არის სასარგებლო და აზრიანი? როგორი უნდა იყოს ის ქმედებები, რომლებიც ქვეყანას კეთილდღეობას მოუტანს? რამდენად დიდია თითოეული ადამიანის წვლილი საერთო ეროვნულ და ინდოეთის კეთილდღეობის საქმეში?

შესაბამისად, ინდურ საზოგადოებაში იცვლებოდა და განსჯის საგანი ხდებოდა ქალის სტატუსი. "დჰარმაშასტრაში" გადმოცემულია ადამიანის ქცევის წესები (დჰარმა) ცხოვრების სხვადასხვა სტადიაში (აშრამებში). მისი ავტორების შეხედულებები მეტად წინააღმდეგობრივია. ზოგიერთ ადგილას იმაზეც კი არის საუბარი, რომ ქალები დედამიწაზე ღმერთის თვისებებით აღჭურვილი არსებებია. ამასთან ერთად ვხვდებით სხვა მოსაზრებებსაც: ქალის ბუნებისათვის დამახასიათებელია ისეთი ცუდი თვისებები, როგორიცაა ბოროტება, ცბიერება, ავხორცობა, ქარაფშუტობა და სხვ. (Мезенцева, 1993.)

დღეს ინდოეთის კონსტიტუცია აღიარებს თანასწორუფლებიანობას პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ქალებს ირჩევენ პარლამენტში, ადგილობრივ მმართველობით ორგანოებში, ნიშნავენ მაღალ თანამდებობებზე. და, მაინც, ქალები მოსახლეობის ყველაზე უფრო დაბალ ფენას წარმოადგენენ. აღნიშნული იმ ფაქტშიც აისახება, რომ ინდოეთი იმ გამონაკლის ქვეყანას წარმოადგენს, სადაც მოსახლეობაში ქალები მამაკაცებზე ნაკლებია და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაც უფრო ხანმოკლეა.

უთანასწორობის საფუძვლები

ინდუიზმის ფორმირებასთან ერთად იცვლებოდა ქალების მდგომარეობაც. ინდუიზმის, ისევე როგორც ქალთა მდგომარების საფუძვლები უნდა ვეძიოთ არიულ პატრიარქალურ კულტურაში, რომელიც ადგილობრივი და წინაარიული პერიოდის კულტურის შერწყმის შედეგად წარმოიშვა და სადაც ქალს საკმაოდ მაღალი, თუმცა არა გაბატონებული მდგომარეობა ეკავა.

არიული პანთეონი უპირატესად მამაკაცი ღმერთებისაგან შედგებოდა. მათ განუყოფელი არიული ოჯახი და სამსაფეხურიანი სოციალური სტრუქტურა ჰქონდათ (ქშატრიები, ბრაჰმანები და ვაიშები). მას შემდეგ, რაც არიელებმა ადგილობრივ მოსახლეობაზე თავიანთი ბატონობა გაავრცელეს, გაჩნდა მეოთხე ვარნა — შუდრები, რომლის შემადგენლობაშიც შეყვანილი იყო არა მარტო ადგილობრივი დაბალი ფენის მოსახლეობა, არამედ შერეული ქორწინების შედეგად გაჩენილი შთამომავლებიც. ამის შემდეგ კასტა (ჯატი) მემკვიდრეობით ხასიათს იძენს, ფუძნდება მატრიმონიალური წესი და ცალკეულ ინდივიდს აღარ შეუძლია თავისი სტატუსის შეცვლა. მემკვიდრეობის მიღება კი მხოლოდ ვაჟიშვილებს დაუკანონდათ. ამ ხანაში ქალი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა გარკვეულ თავისუფლებას და ქორწინება მისთვის სავალდებულო არ იყო, ხოლო მოგვიანებით, როდესაც მიიღეს წესი (ენდოგამიის შესახებ), რომელიც ქორწინებას კასტის ჩარჩოებით ზღუდავდა, 15-16 წლის ქალიშვილს შეეძლო თვითონ აერჩია საქმრო. ქვრივებს მეორედ გათხოვების უფლება ჰქონდათ. მაგრამ უკვე მაშინ ქალები "სხვა ღატაკებთან" ერთად მიეკუთვნებოდნენ იმ კატეგორიას, რომელთაც არ ჰქონდათ უფლება დასწრებოდნენ მეფის კარის ღონისძიებებს.

ქალების მდგომარეობის შემდგომი ცვლილების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ბრაჰმანიზმის რეაქცია ბუდიზმისა და ჯანაიზმის გამოწვევაზე. აღნიშნული ახალი რელიგიები ქალს მეტ თავისუფლებას და არჩევანის უფლებას აძლევდა. რადიკალურ სიახლეს წარმოადგენდა მამაკაცების თანასწორად ქალების მონაწილეობა რელიგიურ რიტუალებში და ქორწინების სანაცვლოდ მონაზვნობის არჩევანის უფლება. ადრეულ ბუდისტურ

ლიტერატურაში ვხვდებით მასწავლებლებს, მკურნალებს და სხვა პროფესიის ქალებს, რომლებიც ისევე, როგორც მოცეკვავეები, მომღერლები, ჰეტერები, დამოუკიდებლად ირჩენდნენ თავს, დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდნენ და გათხოვებას თავიანთ პროფესიას ამჯობინებდნენ. ბუდიზმით გატაცებული ბევრი ქალი წარჩინებულ ოჯახებს ტოვებდა. ბრაჰმანიზმის რეაქცია კი ქალის უფლებების უფრო მკაცრი რეგლამენტაცია გახლდათ, რაც მამაკაცისადმი შემდგომ დაქვემდებარებას ნიშნავდა.

ამ პერიოდში ბრაჰმანებმა ვედური სულიერი მემკვიდრეობის ცოდნისა და რელიგიური ტექსტების შესწავლის მონოპოლიზება მოახდინეს. სხვა ვარნების (ქშატრიების და ვაიშების) დაშვება მნიშვნელოვნად შეზღუდეს. ჩვ. წ. აღ.-ის მეორე საუკუნეში აღნიშნული უფლება წაერთვათ სამივე უმაღლესი ვარნის წარმომადგენელ ქალებს.

ქალების დისკრიმინირებული მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმიდა, როდესაც გოგონები ამოიღეს "უპანაიანას" (ხელთდასხმა) რელიგიური რიტულიდან. აღნიშნული რიტუალი სამი უმაღლესი ვარნის წარმომადგენელ ბავშვებს ოფიციალურად ორჯერ დაბადებულთა რიცხვს მიაკუთვნებდა, რაც მათ წინაპრების სულიერი მემკვიდრეობის ზიარების, წმინდა ტექსტების წაკითხვის, განათლების მიღებისა და გარკვეულ მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობის მიღების საშუალებას აძლევდა. ამ რიტალის გაუქმების შემდეგ ქალები თავიანთი მდგომარეობით შუდრებს გაუტოლდნენ.

ქალების ორჯერ დაბადების ხელთდასხმისათვის საქორწილო რიტუალი გამოიყენებოდა. ვინაიდან უპანაიანის რიტუალი თავდაპირველად მოწაფის დაბადების აქტად აღიქმებოდა, მისი საქორწილო რიტუალით შეცვლა ქმარს ცოლისათვის უმაღლეს ღვთაებად, მის აღმზრდელად და ბატონად აკანონებდა. შესაბამისად საპატარძლოს ასაკიც თანდათან მცირდებოდა. მთავარ მოთხოვნად დარჩა ხელთდასხმის რიტუალის ჩატარება მანამდე, სანამ გოგონას მენსტრუალური ციკლი დაეწყებოდა.

ადრეულ ასაკში გათხოვების იდეას სოციალური სანქციითაც დაუჭირეს მხარი. ბრაჰმანი, რომელიც ათი წლის ასაკზე უფროს ცოლს მოიყვანდა, შუდრას ქმრად ითვლებოდა და მოკლებული იყო ყოველგვარ პრივილეგიებს. ეს კი სოციალურ ბოიკოტს და კასტიდან განდევნას ნიშნავდა. ამავე ბედს იზიარებდა ქალიშვილის მამაც, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა აღნიშნულ ასაკამდე სიძის მონახვას.

ქალის მდგომარეობაზე საზოგადოებასა და ოჯახში მანუს კანონებში საკმაოდ კატეგორიულად არის ნათქვამი: "არც ქალიშვილმა, არც ახალგაზრდა და არც ხანშიშესულმა ქალმა დამოუკიდებლად არაფერი არ უნდა გააკეთოს თვით საკუთარ სახლშიც კი. ბავშვობაში იგი მამას უნდა ემორჩილებოდეს, მოწიფულობაში — ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ — ვაჟიშვილებს". ან კიდევ "დღე და ღამე ქალი თავის მამაკაცებზე უნდა იყოს დამოკიდებული. ბავშვობაში მას მამა იცავს, მოწიფულობაში — ქმარი, მოხუცებულობაში ვაჟიშვილები. ქალი არასოდეს ვარგა დამოუკიდებლობისათვის". (Законы Ману, 1960)

ტრადიციული წარმოდგენების მიხედვით, ქალს არა თუ არ შესწევს უნარი საკუთარი თავი დაიცვას, არამედ იგი ყველა მაჩვენებლით მამაკაცზე უფრო დაბლა დგას. მას ან საერთოდ არა აქვს აზროვნების უნარი ან ძალიან უმნიშვნელოდ. მისი შესაძლებლობები, ძალა, ღირსება ძალიან შეზღუდულია და ამიტომ იგი მხოლოდ იმისათვის ვარგა, რომ მამაკაცს ემსახუროს და სახლის საქმე აკეთოს. თვით სახლის საქმეებიც კი შემოიფარგლება მხოლოდ რეპროდუქციით, ბავშვებზე ზრუნვით, მოხუცების მოვლით და ოჯახის წევრების მომსახურებით. შედარებით მნიშვნელოვანი ფუნქციები — გადაწყვეტილებების მიღება, ქონების ფლობა და განკარგვა — მამაკაცის ფუნქციაა.

"ამ სამყაროში ქალების ბუნება მამაკაცებისათვის ზიანის მომტანია, ამიტომაც ბრძენნი მათ სიფრთხილით ეკიდებიან". "მანუს კანონებში" ნათქვამია, რომ ქალები ნებისმიერ მამა-კაცს ეძლევიან, მიუხედავად მისი ასაკისა. თავიანთი ვნების დასაკმაყოფილებლად, ხასიათის ცვალებადობისა და უგულობის გამო ქმრებს ღალატობენ, რა მკაცრადაც არ უნდა უთვალთვალო მათ. ასეთებად შექმნა ღმერთმა ქალები და მამაკაცმა იცის რა ყოველივე ეს, საგანგებოდ უნდა უფრთხილდეს მათ." (Законы Ману, 1960).

"მანუს კანონები" სავსეა ქალური "ბოროტი საწყისისაგან" თავდაცვის იდეებით და ქალების კონტროლის სხვადასხვა მეთოდს გვკარნახობს "დღის და ღამის სიფხიზლის", ტაქტის, საჩუქრებისა და გართობების ჩათვლით. ქალის მონური ერთგულების დაკარგვის შიში და უპატივცემულო განსჯა მათ შესახებ მონებისადმი დამოკიდებულებას მოგვაგონებს.

რელიგიური მოძღვრების მითითებანი ადამიანთა ქცევას არეგულირებენ. ჩვ. წ. აღ.-ის პირველ საუკუნეში მათ პირველად გამოაცხადეს ქალების მიერ მკაცრი მონოგამიის დაცვის აუცილებლობის შესახებ მაშინ, როდესაც მამაკაცს პოლიგამიის უფლება რჩებოდა, არსებული პოლიანდრია, ლევირატი და მეორადი ქორწინება ქვრივებისათვის თანდათანობით სოციალურ ტაბუდ გადაიქცა.

სატი

VII-VII საუკუნეებში აღდგენილ იქნა ქვრივების თვითდაწვის პრაქტიკა - "სატი", უძველესი ტრადიცია, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნეში გააუქმეს. ბრაჰმანებმა იმის მტკიცება დაიწყეს, რომ ცოლს ძალუძს ქმარი ამქვეყნიური ცოდვებისაგან გაანთავისუფლოს, თუკი მის ცხედართან ერთად თავს ცოცხლად დაიწვავს. ამის შემდეგ კი იგი ბედნიერად იცხოვრებს ზეცაში 35 მილიონი წელი. და მართლაც, ინდოეთში დღესაც შეხვდებით საფლავის ქვაზე ამოკვეთილ იმ ქალთა სახელებს, რომლებმაც VII-XIX ს.ს. თვითდაწვა განახორციელეს.

სატაძრო პროსტიტუცია

ქალთა მდგომარეობის განხილვის მიზნით მეტად საინტერესოა, აგრეთვე, სატაძრო პროსტიტუციის ინსტიტუტის განხილვა. "ღვთის მონა" (დევადასი) მცირეწლოვანი გოგონა გასაზრდელად გადაეცემა ტაძარს. ფულის საფასურად იგი ეწევა პროსტიტუციას, ხოლო გასამრჯელო ხმარდება ტაძრის კეთილმოწყობასა და საჭიროებას. ეპიგრაფებზე დაყრდნობით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სხვადასხვა დღესასწაულსა და თავყრილობაზე ისინი ტაძრის მოცეკვავეებად გამოდიოდნენ. აღნიშნული ჩვეულება უკვე ძვ. წ. პირველ საუკუნეებში არსებობდა, იგი განსაკუთრებით გავრცელდა შუა საუკუნეებში და მიუხედავად ფორმალური აკრძალვისა, მას დღესაც ვხვდებით. მაგალითად, 1981 წელს ჩატარებული კვლევების გამოქვეყნების შედეგად ირკვევა, რომ მაჰარაშტრისა და კარნატაკის რაიონებში დევადასების რაოდენობა 25-30 ათასს აღწევდა და ყოველწლიურად მათ რიგებს 5-6 ათასი გოგონა ემატებოდა. (Сыркин, 1996).

ქალთა პრობლემა რეფორმატორთა შემოქმედებაში

ქალთა პრობლემა რეფორმატორთა შემოქმედებაში მათი საერთო მსოფლმხედველობის ჭრილში წყდებოდა. ბენგალიელი ინტელექტუალის რამოჰან როიას (1772-1833 წწ.) აზრით (იგი ბრაჰმანების კასტას ეკუთვნოდა და ინდუიზმის ერთ-ერთი რეფორმატორი იყო), პრაქ-ტიკაში დამკვიდრებული იყო უმსგავსო შეხედულებები ზნეობრიობის შესახებ. აღნიშნული შეხედულებები აისახებოდა სხვადასხვა არაადამიანური ადათ-წესის განხორციელებისას, (მაგ., სატი, ქვრივებისათვის ქორწინების აკრძალვა, ქორწინება ადრეულ ასაკში და სხვ.).

რამოჰან როიას მიმდევრები გაუჩნდნენ ბენგალიაში, შემდგომ კი მაჰარაშტრაში, პენჯაბში. ისინი აქტიურად ერთვოდნენ ბრძოლაში, რომელიც ქალთა მდგომარეობის შესაცვლელად იყო მიმართული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა სვამი დაიანადი სარასვატი (1824-1883 წწ.), რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქალთა განათლების საქმეში. იგი ამტკიცებდა, რომ ქალს შესწევს უნარი აითვისოს ვედური ტექსტების "მარადიული ჭეშმარიტეტები". რეფორმატორმა საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია იმ სასწავლო დაწე-სებულებების ორგანიზებისათვის, სადაც სასწავლო პროგრამები გოგონებისათვის ისეთივე დატვირთული იყო, როგორც ბიჭებისათვის. მას მიაჩნდა, რომ ქალიშვილმა საქმრო თვითონვე უნდა აირჩიოს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება მათთვის დამღუპველია: საქორ-წინო ურთიერთობები მოწიფულ ასაკში უნდა დაიწყოს, მას შემდეგ, რაც ახალგაზრდები განათლების კურსს დაამთავრებენ.

"წმინდა წერილების" ახლებურ ინტერპრეტაციას და რეფორმატორების მიერ გაწეულ მუშაობას ინდუიზმის რეფორმაციის საქმეში მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა. ერთხელ დაწყებული რელიგიური ტექსტების გადასინჯვის პროცესი, რომელიც ქალთა მდგომარეობას შეეხებოდა, აღარ შეჩერებულა. გასული საუკუნის რეფორმატორებმა უზრუნველყვეს ქალთა საკითხისადმი იმ მიდგომის საფუძვლის ჩაყრა, რომელიც შემდგომ მაჰათმა განდიმ (1869-1948) წამოაყენა. განდისეული გაგება საზოგადოებაში ქალის როლის შესახებ შემდეგში მდგომარეობს: რელიგია ადამიანის მთელი შემოქმედების საფუძველია (მათ შორის პოლიტიკურის). ამით იგი ასაბუთებს ინდუიზმის ნორმების, პრინციპებისა და დებულებების გამოყენების საშუალებებით ხალხის მასებამდე არარელიგიური, თავისი მნიშვნელობით ფაქტობრივად სოციალურ-პოლიტიკური იდეების დაყვანის, გამყარებისა და რეალიზების საშუალებას. ამასთან, მას ინდუიზმის ტრადიციულ ეთიკურ მაქსიმებში შემოაქვს ისეთი დებულებები, რომლებმაც მოძღვრებაში საერთოდ ვერ ჰპოვა ასახვა: მაგ., ყველა რელიგიის თანაბარი პატივისცემა, ბრძოლა ინდუისტურ-მუსულმანური ერთობისათვის. გარდა ამისა, განდიმ მოახდინა ტრადიციული ეთიკის ზოგიერთი პრინციპების გადასინჯვა. (Мезенцева, 1993).

თუმცა მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 1987 წლის სექტემბერში ინდური გაზეთები იუწყებოდნენ სატის მორიგი აქტის განხორციელების შესახებ. რაჯასთჰანის შტატის სოფ. დეორალის მცხოვრები 18 წლის რუპ კანვარი თავისი ქმრის ცხედრის დასაწვავად აგიზგიზებულ კოცონში ცოცხლად დაწვეს. 21-ე საუკუნის მიჯნაზე მყოფი ინდუიზმის არსის გასაგებად მეტად საგულისხმოა დეორალში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებული კამათი. ინდოეთის მთავრობამ, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოს სეკულარიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე და კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებდა, სწრაფი და მკაცრი რეაგირება მოახდინა ამ ფაქტთან დაკავშირებით და გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც პირებს, რომლებიც სატის განხორციელების წაქეზებაში იქნებოდნენ შემჩნეული, სამუდამო პატიმრობა ან სასიკვდილო განაჩენი ელოდათ. პრესაში გაჩნდა სტატიები, რომლებიც ამ ანაქრონიზმს და მის მომხრეებს კიცხავდნენ, მაგრამ პოლემიკისას არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, სუბკონტინენტზე უამრავი წმინდა ადგილია, სადაც წარსულში განხორციელებული სატის ფაქტები დიდების შარავანდედით არის შემკობილი. ზოგიერთი ინდუისტური სექტის რელიგიური ლიდერი კი "ნებაყოფლობითი სატის" "სატი დჰარმის" განხორციელების მხარდაჭერით გამოვიდა.

აღიშნული შემთხვევის გარშემო გამართულმა დებატებმა და რაჯასთჰანის მკვიდრთა საზოგადოებრივმა აზრმა აჩვენა, რომ რომ თანამედროვე ინდუიზმის შესახებ ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება არ შეიძლება. ბომბეის, კალკუტასა ან ჰაიდარაბადის ცათამბჯენებიდან შეიძლება არ ჩანს ტაძრები და ტრადიციული კოსტუმები, სადღესასწაულო და სამგლოვიარო რიტუალები, არც გარკვეული კასტისადმი კუთვნილების გამომხატველი მკვეთრი ნიშნები, მაგრამ ნებისმიერი ქალაქის ან სოფლის გზაჯვარედინზე შეიძლება იდგეს რამდენიმე ტაძარი და ათეულობით წმინდა ადგილი და ქანდაკება, შეიძლება დაინახოთ ღატაკთა პროცესია, ჩაცმულობა ამა თუ იმ კასტისადმი, პროფესიისადმი თუ ინდუიზმის სხვადასხვა მიმდინარეობისადმი კუთვილების ნიშნები. ალბათ, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მოდერნიზაციამ და დასავლეთის გავლენამ საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთ სფეროში უზრუნველყო ინდუიზმის მთელი რიგი მავნე ტრადიციების აღმოფხვრა. 1984 წელს მოკლული ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის ბიუსტს თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში შეხვდებით. ქალღმერთის მსგავსად, ეს ბიუსტები, ჩვეულებრივ, გზაჯვარედინებთან დგას და ყვავილებით არის შემკობილი. ინდოეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მას თაყვანს სცემს. ქვეყანაში მისი კულტია. მიმდინარეობს ინდირა განდის მითოლოგიზაცია — სეკულარიზებული პოლიტიკური ცხოვრების ჰაგიოგრაფიულად გარდაქმნა. აღნიშნული კი იმის დასტურია, რომ ინდუიზმი განუწყვეტლივ მიიწევს თვითგანახლებისაკენ და ამ პროცესის განვითარება კანონზომიერი პროცესია. (Times of India, 1987).

4. ქალის სოციალურ-პოლიტიკური როლი ისლამში

XXI საუკუნეში ისლამის პოლიტიკური და იდეოლოგიური გააქტიურება აღარავისათვის არის საეჭვო, მაგრამ კამათი მის ირგვლივ არ ცხრება. ისლამის ერთ-ერთი თვალში საცემი თავისებურებაა მისი სულ უფრო მზარდი გავრცელება ევროპაში, ამერიკის კონტინენტზე (განსაკუთრებით შეერთებულ შტატებსა და კანადაში) და ავსტრალიაში, მაშინ, როდესაც დასავლეთსა და კოლონიების ყოფილ მფლობელ ქვეყნებში გაბატონებულმა რელიგიამ — ქრისტიანობამ მუსლიმანურ ქვეყნებში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო.

იმის კვალობაზე, თუ როგორ იკიდებს ფეხს ისლამი დასავლეთის ქვეყნებში და, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ამერიკაში, იგი დასავლური კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ ნიშან-თვისებას ითვისებს. ამ ფონზე ისლამის სოციალური დოქტრინის შესწავლა, განსაკუთრებით კი ისეთი საკითხისა, როგორიცაა სქესთა შორის ურთიერთობა და ქალის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას არა მარტო წმინდა თეორიული მნიშვნელობით, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

ისლამის სოციალურ-პოლიტიკური და იდეური შეხედულებანი მისი მკვლევარებისათვის ახალი საკითხი როდია, უფრო მეტიც, მეცნიერ აღმოსავლეთმცოდნეთათვის კარგადაა ცნობილი "მესამე სამყაროს" ქვეყნებში საზოგადოებრივ ურთიერთობათა მდგომარეობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პოლიტიკურმა ისლამმა მოღვაწეობა გააძლიერა აზიისა და აფრიკის დიდ ტერიტორიებზე (პაკისტანში, ავღანეთში, ირანში, ტაჯიკეთში, თურქეთში, სუდანში, ეგვიპტეში, ალჟირში, აგრეთვე კავკასიასა და ვოლგისპირეთში). არსებობს მთელი რიგი გამოკვლევები, რომლებშიც პოლიტიკური ისლამის ფენომენი განიხილება როგორც პოლიტიკური კულტურის დაფუძნებისა და და არაბულ-მუსლიმანური სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციური განვითარების ფარგლებში "მოქცევის პროცესი". ზოგიერთი ავტორი ყურადღებას ამახვილებს ახლო აღმოსავლეთში სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისსა და პოლიტიკურ დემაგოგიაზე ანუ სოციალურ-კლასობრივი გამიჯვნის პროცესზე.

მეტად საყურადღებოა ამ საკითხისადმი იმ მკვლევართა მიდგომა, რომლებიც მუსლიმანურ ქვეყნებში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს კულტურულ-იდეოლოგიური კონფრონტაციისა და "ახალი მსოფლიო წესრიგისათვის" ბრძოლის კონტექსტში განიხილავენ. დასავლურ მეცნიერულ ლიტერატურაში ისლამის ანალიზს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ბოლო წლებში მას განიხილავენ, როგორც ტრადიციულ ღირებულებათა სისტემას. ისლამში "ქალთა საკითხმა" განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქალის, როგორც "ტრადიციების მატარებლისა" და "დიდი აღმზრდელობითი როლის" გამო. (Плахов, 1992). აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ისლამისტ-ექსტრემისტთა აგრესიული მოქმედებისა და ტერორიზმის ამერიკასა და ევროპაში გადატანის შემდეგ.

ქალთა მდგომარეობის შესწავლით დაინტერესებულ სპეციალისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ჰადისები, ყურანი და აგრეთვე შუა საუკუნეების მუსლიმან თეოლოგთა და იურისტთა შრომები ქალთა მდგომარეობისა და სტატუსის შესახებ ყველაზე სრულ და ადეკვატურ წარმოდგენას იძლევა, რადგან მათი თანამედროვე მოწაფეებს და მემკვიდრეებს რეალური სიტუაციების განსაზღვრისას აშკარა მიდრეკილება აქვთ გააზვიადონ რელიგიური დოგმები და სამართლებრივი ტრაქტატები.

თუ ყურანის ტექსტს მივმართავთ, შეიძლება დავრწმუნდეთ, რაოდენ საკამათოა ამგვარი მიდგომა. მეოთხე სურაში ("ქალები") ნათქვამია: "მამაკაცები დგანან ქალებზე მაღლა იმიტომ, რომ ალაჰმა პირველთ მიანიჭა უპირატესობა მეორეებზე და იმიტომ, რომ ისინი თავიანთ ქონებას ხარჯავენ... წესიერი ქალები მოკრძალებულნი არიან, ინახავენ საიდუმლოს, რასაც ალაჰი ინახავს. ხოლო ვისი დაუმორჩილებლობისაც თქვენ გეშინიათ, დაიყოლიეთ, დააგდეთ ისინი ძირს და სცემეთ და თუკი ისინი თქვენს წინაშე დანაშაულს ჩაიდენენ, ნება გეძლევათ სასჯელის ზომა არ ეძიოთ." ეს სურა, თითქოსდა, აშკარად მეტყველებს მამაკაცისა და

ქალის არათანასწორუფლებიანობაზე, ქალის დამორჩილებულ მდგომარეობაზე. ალბათ ისლამის ასეთი დებულებების გაცნობამ ათქმევინა სიმონა დე ბოვუარს: "ყურანი უკიდურესი სიძულვილით აბუჩად იგდებს ქალებს". მაგრამ ყურანის ინტერპრეტატორები ზემოთ ციტირებულის საპირისპიროდ მიგვითითებენ შემდეგ სიტყვებზე: "და უპასუხა მათ ღმერთმა მათმა: მე არ გავწირავ ქმედებასა არც ერთი თქვენი მოღვაწისა — არც კაცთა, არც ქალთა (III 193\195). ამ სტროფს ისლამის მოდერნიზაციის მომხრეები განმარტავენ, როგორც მინიშნებას ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე.

სხვა მნიშვნელოვან წყაროებს ქალთა მდგომარეობის რეტროსპექტული შესწავლისათვის წარმოადგენს ისტორიული ქრონიკები. მაგრამ ის, ვინც ამ ისტორიული წყაროების საფუძველზე მოინდომებს მუსლიმანი ქალების სტატუსის დაზუსტებას, იმედგაცრუებული დარჩება. ასეთ ქრონიკებში ქალები გაცილებით უფრო იშვიათად მოიხსენიებიან, ვიდრე მამაკაცები. მათი საშუალებით შეგვიძლია გავიგოთ, ვინ იყო ესა თუ ის ქალი, რომელიც პოეზიას ან მეცნიერებას მისდევდა ან პოლიტიკური ინტრიგებში მონაწილეობდა, მაგრამ ქალთა საერთო მდგომარეობის შესახებ წარმოდგენის შემუშავება საკმაოდ ძნელი საქმეა.

უფრო საფუძვლიანია ევროპელ თვითმხილველთა — ელჩების, ვაჭრების, მოგზაურების შეტყობინებები. მეცნიერები, რომლებიც უმეტესად ამ წყაროებით სარგებლობენ, ხაზს უსვამენ, რომ ისინი უფრო ობიექტური სურათის მიღების საშუალებას იძლევიან. მაგრამ მიუხედავად ამისა, ევროპელებს, უმრავლეს შემთხვევაში, მაინც არ შეეძლოთ მუსლიმანური ყოფის, კულტურის, ჩვეულებების, ტრადიციებისა და ფსიქოლოგიის სრულად გაგება და ხშირად მათი აღწერილობანი და აღქმა ობიექტური არ იყო. მაგალითისათვის გამოდგება სტამბულში ინგლისის ელჩის ცოლის ლედი მერი უორტლი მონტეგიუს გამონათქვამი იგი 1917 წელს ევროპელებს იმისათვის ლანძღავდა, რომ ისინი "შფოთავენ თურქი ქალების უბედური მდგომარეობის გამო, რომლებიც შეიძლება ქვეყნად ყველა ქალზე უფრო თავისუფალნი არიან, დროს განუწყვეტელ სიამოვნებაში, სეირნობაში, ბანაობასა და გართობაში ატარებენ, ცხოვრობენ უზრუნველად და უდარდელად, ფულს უანგარიშოდ ფანტავენ ახალ-ახალი ტანსაცმელის შესაძენად." (Мейер, 1992).

ძნელია ერთმნიშვნელოვნად ვუპასუხოთ კითხვას, რა გავლენა მოახდინა ისლამმა ქალთა მდგომარეობაზე. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავაზუსტოთ - რას ვადარებთ მუსლიმან ქალთა მდგომარეობას - V-VII საუკუნეების არაბეთის ბედუინების ხანას, VII-IX საუკუნეებში შუამდინარეთის გლეხების ცხოვრებას თუ XII-XIV ბიზანტიური ქალაქებში მათ ყოფას. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ თვით მუსლიმანი ქალის ყოფა არ იყო უცვლელი. ყურანში ქალთა უფლებების ფიქსაცია კი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროგრესული მონაპოვარი ადრეფეოდალური საზოგადოებისათვის, მაგრამ, როგორც თურქეთში ქემალისტურმა რეფორმებმა გვიჩვენა, არასაკმარისი - კაპიტალისტური განვითარების გზაზე მდგომი საზოგადოებისათვის. მუსლიმანი ქალების ცხოვრებაში კარდინალურ ცვლილებებზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუ განვიხილავთ შუა აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და აზერბაიჯანის მაგალითს. ამასთან, ისლამის სწრაფმა გავრცელებამ ახლო აღმოსავლეთის, ირანის, ინდოეთის ფეოდალურ საზოგადოებებში უნდა გვაფიქრებინოს, რომ ისლამის მიღება, როგოც ჩანს, არ გულისხმობს არსებით ცვლილებებს სოციალურ ორგანიზაციაში, მათ შორის ქალთა მდგომარეობაში. (Мейер, 1992).

ყურანი მოწმობს, რომ ჯიჰალიის პერიოდში (წინაისლამური პერიოდი) არსებობდა სისხლაღრევითი ქორწინება, ახლადდაბადებული გოგონების მიწაში ჩაფვლის პრაქტიკა, აგრეთვე სისხლის აღების წესი. ქალებს ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ, ჩუქნიდნენ, როგორც მონებს, აგირავებდნენ, სანამ ქმარი ან მამა ვალს არ დაფარავდა. ტომების ბელადებს უფლება ჰქონდათ ერთდროულად ათი ცოლი ჰყოლოდათ, გარდა მონა ქალებისა, რომლებიც სათვალავში არ შედიოდნენ. ქალიშვილის კარგად გათხოვება კი სარფიან ხელშეკრულებასთან იყო გაიგივებული. ლამაზი გოგონების გათხოვება 13 წლის ასაკიდან შეიძლებოდა. აღნიშნული ჩვეულება ყურანშიც დაფიქსირდა და მუსლიმანურ ქვეყნებში დღემდე არის შემონახული, თუმცა სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. (Еремеев, 1971).

ამ პერიოდში არსებობდა დროებითი ქორწინებაც, რაც მაჰრის გადახდის შესაძლებლობის უქონლობასთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულ შემთხვევაში ქალი მამაკაცს ცოლად მოყავდა დროებით, გარკვეული დროით და გარკვეულ ფასად. ქორწინების ამგვარი ფორმა დღესაც შენარჩუნებულია შიიტური მიმართულების მუსლიმანურ ქვეყნებში (ირანი, ერაყი) და მას უფრო ხშირად მოხუცი და მარტოხელა ადამიანები მიმართავენ, რათა ერთმანეთს მეურნეობის წარმოებაში მიეხმარონ (ფიზიკური სიახლოვის გარეშე). ნებადართული იყო აგრეთვე მამაკაცს ცოლად შეერთო გარდაცვლილი მამის ერთ-ერთი ცოლი, თუ იგი მისი მშობელი დედა არ იყო. აღნიშნული ქმედების მიზანი იყო შეენარჩუნებინათ "რძალი" მამის გვარეულობაში და ახალი პატარძლისათვის მაჰრი არ გადაეხადათ (Еремеев, 1971).

ზოგიერთი მკვლევარი ცდილობდა ისლამის წინადროინდელი ქორწინების ტრადიციებში მატრიარქატის გადმონაშთები მოენახა, როდესაც ერთ ქალთან ქორწინებაში რამდენიმე მამაკაცი იმყოფებოდა. ჩვენი აზრით, ქორწინების ასეთი ფორმის ჭეშმარიტი მიზეზი ეკონომიკური პრობლემებია. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ არაბეთის სამხრეთში იემენისა და ჰადრამაუტის მთიან რაიონებში დღემდე გავრცელებული ტრადიცია, სადაც ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები განსაკუთრებით მძიმეა. თუმცა აღნიშნული პრაქტიკა რამდენადმე შემცირდა, მაინც გვხვდება ერთ ქალზე ორი მამაკაცის (ჩვეულებრივ, ძმების) ქორწინების შემთხვევები.

ჯიჰალიის დროინდელ არაბ ქალს გათხოვება შეეძლო მხოლოდ თავისი ტომის მამაკაცზე, რათა შთამომალობას შეენახა ამ ტომის კულტურულ-ენობრივი სპეციფიკური ნიშნები. მამაკაცს კი შეეძლო ცოლად შეერთო რამდენიმე ქალიშვილი სხვადასხვა ტომიდან. ტომის მიერ ასეთი ფაქტების წახალისება მიზნად ისახავდა სხვა ტომების წარმომადგენლებთან ნათესაური კავშირების დამყარებას და თავისი ტომის კულტურული კავშირების გაფართოებას. პრაქტიკაში იყო აგრეთვე გაცვლითი ქორწინება, როცა ერთი ტომის და და ძმა ქორწინდებოდა მეორე ტომის ძმასა და დაზე, რის შედეგადაც ორივე მხარე თავისუფლდებოდა მაჰრის გადასახადისაგან.

ქალს არ ჰქონდა უფლება ყოფილიყო ქმრის, მშობლებისა და თავისი შვილების მემკვიდრე. მოკლედ რომ ვთქვათ, მას უფლება ჰქონდა, მხოლოდ ეჭამა და ეცოცხლა. ამავე დროს მისი ვალდებულებები რამდენიმეჯერ აღემატებოდა მის ფიზიკურ შესაძლებლობებს.

ოჯახურ ვითარებაში ქალს შეეძლო ქმარზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა, რაც მათ პიროვნულ და ინტიმურ ურთიერთობებზე იყო დამოკიდებული, მაგრამ საზოგადოების წინაშე ქალს მორჩილის როლი უნდა ეთამაშა. ქმარს შეეძლო სტუმრების მიღება დღისა და ღამის ნებისმიერ დროს, ებრძანებინა ცოლისათვის სუფრის გაშლა და ა.შ. ეს წეს-ჩვეულება დღემდეა შემონახული, განსაკუთრებით სოფლად. ასეთ ფაქტებს ჩვენს სინამდვილეშიც ვხვდებით, როდესაც ქალი "მორჩილის" როლს თამაშობს, მაგრამ ოჯახურ ურთიერთობებში მას წონადი სიტყვა ეკუთვნის.

ქალის დაბალი სოციალური სტატუსის სპეციფიკური თვისებები წინაისლამურ პერიოდში გამომდინარეობდა ტომებს შორის არსებული ურთიერთობებიდან. ტომებს შორის არსებული წინააღმდეგობანი ბრძოლისათვის მუდმივ მზადყოფნას და მისი წარმოების უნარს მოითხოვდა, შესაბამისად, მამაკაცს მისი სოციალური მნიშვნელობით წინა პლანზე აყენებდა. მაგრამ აქაც იყო გამონაკლისი. ზოგჯერ მამაკაცებთან ერთად მამაკაცურ ტანისამოსში გადაცმულ ქალებსაც შეხვდებოდით. (Даул, 1981).

ქალი და ყურანი

ისლამის ისტორიისა და თეორიის შესწავლისათვის ძირითად წყაროსა და დოკუმენტს ყურანი წარმოადგენს. მაჰმადის (მუჰამედი) სიცოცხლეში იგი ზეპირი ფორმით არსებობდა. ზოგმა მთელი ყურანი იცოდა ზეპირად, ზოგმა კი ნაწყვეტები. სხვადასხვა წაკითხვის შედეგად ჯერ რამდენიმე წერილობითი კრებული შეიქმნა. შემდეგ, ხალიფა ოსმანის დროს (644-556 წ.წ.) ისინი კანონიკურად ქცეულ კრებულად გაერთიანდა. საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ქვეყანაში მისმა შესწავლამ წარმოშვა ყურანის განმარტებათა კომპლექსური

კვლევის აუცილებლობა. ყურანი შეიძლება განხილული იქნეს როგორც ისტორიის, კულტურის, საზოგადოებრივი, სამართლებრივი, სოციალური ურთიერთობების წყარო. მას არაბულ-მუსლიმანურ სამყაროში ისეთი ადგილი უკავია, რომ მისი განმარტება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდსა და სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ გარემოში ძალიან დიდ ინტერესს იწვევდა და ახლაც იწვევს.

ყურანი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს სქესთა შორის ურთიერთობების თემებს. მასში საუბარია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მაჰრი, მრავალცოლიანობა, განქორწინება, ურთიერთობები შვილებსა და მშობლებს შორის, სასჯელი ცოლ-ქმრული ღალატისას და სხვ. იგი განსაზღვრავს აგრეთვე ოჯახში ქონებრივ ურთიერთობებს, ოჯახური ურთიერთობების სხვა ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებს. მაგრამ ყურანს, როგორც მთავარ ნორმატიულ დოკუმენტს, არ შეეძლო მოეცვა ყველა დეტალი, რომელიც პრაქტიკულ ცხოვრებაში შეიძლება წამოიჭრას, ამიტომ წინასწარმეტყველი მუჰამედი განმარტავდა "ყურანის ჭეშმარიტებებს", შეჰქონდა მასში სქესთა შორის ურთიერთობების დასარეგულირებელი საჭირო დეტალები. მუჰამედის გამონათქვამები (ჰადისები) წარმოადგენს ყურანის შემავსებელ კოდექსს, რომლის საფუძველზეც ხდებოდა მუსლიმანური სამართლებრივი სისტემის — შარიათის კანონების შემუშავება და რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსსა და მუსლიმანური მორალის საკითხებს. ჰადისები და თვით მუჰამედის ცხოვრების წესი იწოდება სუნად (ტრადიციად). სუნები მუჰამედის უახლოესმა თანამოაზრეებმა და ცოლებმა გად-მოგვცეს. მაგ., როგორც მუსლიმანები თვლიან, აიშემ, მუჰამედის მესამე ცოლმა, 1210 ჰადისი გადმოგვცა.

ისლამურ თეოლოგიაში ყურანისა და სუნის ახსნასა და განმარტებას "თავსირის" (განმარტება) სახელწოდება აქვს. თავსირები VIII საუკუნიდან გამოჩნდა. ისინი ხშირად წინააღმდეგობრივი და ერთმანეთის გამომრიცხავი იყო. მუჰამედს ისეთ გამონათქვამებს მიაწერდნენ, რაც მუსლიმანური თემის პირობებში მას არ შეეძლო ეთქვა. თავსირის კრებულთა შემდგენლების ძირთად ამოცანას წარმოადგენდა ყურანის გაუგებარი აიათების ტექსტობრივი განმარტება. ყურანის შინაარსის განმარტებას მუსლიმანი თეორეტიკოსები დღესაც განაგრძობენ და მას თანამედროვე ყოფას უსადაგებენ.

თავისი კანონიკურობისა და ნორმატიულობის შედეგად, ყურანი გაცილებით უფრო მკაცრი გამოდგა ქალების მიმართ, ვიდრე წინასწარმეტყველი მუჰამედი, რომლის ცხოვ-რებისეული მისიაც უფრო დამოძღვრასა და იმის ახსნაში მდგომარეობდა, რისი შეცნობაც ყურანის დებულებებში ადამიანებს არ შეეძლოთ. მუჰამედი ქალის შესახებ ამბობდა: "ერიდეთ ქალებს, რომლებსაც აქვთ ლამაზი გარეგნობა, მაგრამ ურიგო ქცევა".

"თუ შენ მამა და დედა ერთდროულად მოგიხმობენ, ჯერ მიდი დედასთან".

"ქალი ნეკნისაგან არის შექმნილი. თუ შენ შეეცდები გაასწორო ეს მრუდე ძვალი, გატეხავ მას, ამიტომ უკეთესია რბილად მოექცე ქალს".

"არ მოკლათ მტერთა თქვენთა ცოლები და შვილები".

"პატივი ეცით ქალებს, ისინი თქვენი დედები, ცოლები და დები არიან".

სქესთა ურთიერთობების რეგულირებას ემსახურებოდა აგრეთვე სხვა სამართლებრივი წყაროებიც, მაგ., ფიქჰი (სამართალი) თავისი ორთოდოქსული სკოლებით, მაგრამ ისლამის სოციალური დოქტრინის მთავარი პრინციპი მაინც ყურანში, სუნაში, თავსირში და მაზე დაფუძნებულ შარიათის კანონებშია მოცემული.

მუსლიმანურ საზოგადოებაში გოგონა უნდა აღიზარდოს ყურანის შესაბამისად, რომლის თანახმად: "ქმრები ცოლებზე მაღლა დგანან, იმიტომ, რომ ალაჰი პირველთ აძლევს უპირატესობას მეორეებზე და იმიტომ, რომ ისინი თავის ქონებას ხარჯავენ". ამიტომ გოგონამ ადრეული ასაკიდან უნდა იცოდეს, რომ მომავალ მეუღლეს უპირატესი მდგომარეობა ექნება მიკუთვნებული, ხოლო თავად მას გარკვეული ფუნქციების შესრულება მოუწევს. ყურანი მამაკაცს ავალდებულებს შეირთოს მორწმუნეთა "დაცვის ქვეშ აღზრდილი ქალიშვილები" (მასე ა. ტ. 1 გვ. 125). "ადაბ-ულ სალაჰინი" ცოლის შერთვის მსურველთ ასეთ დარიგებას აძლევს: "პატარძალი უნდა იყოს ქალწული. საჭიროა ისეთი ქალის შერთვა,

რომელიც ქმარს ოთხი თვისებით უნდა ჯობდეს, ხოლო ოთხი თვისებით უფრო დაბლა უნდა იდგეს. ასაკი, სიმაღლე, ქონება და წარმოშობა ცოლს უნდა ჰქონდეს უფრო დაბალი, ვიდრე საქმროს, ხოლო სილამაზე, ხასიათი, ზრდილობა და სინაზე საცოლეს უნდა ჰქონდეს უფრო მაღალი, ვიდრე საქმროს". ("ადაბ-ულ სალახინი").

ძველი დროიდან უშვილობა არასასურველი იყო როგორც ოჯახისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის. ხშირი ეპიდემიები, ბავშვთა სიკვდილიანობა, მოუსავლიანობა, ომები მოსახლეობის დემოგრაფიულ სურათზე უარყოფით გავლენას ახდენდა, ამიტომ ქალისადმი დამოკიდებულება მისი რეპროდუქციის უნარით განისაზღვრებოდა. ისტორიამ შემოგვინახა ძვ. წ. 1350 წელს ქანაანელი მეფის მიერ დაწერილი წერილი, რომელშიც იგი წერდა: "ჩემი ყანა (ჩემი ქვეყანა) გახმა, როგორც უქმრო ქალი, რადგან მას მხვნელი არა ჰყავს". ეგვიპტელი ბრძენი პტაჰოტეპი თავის ვაჟს მოძღვრავდა: "როცა დავაჟკაცდები, ცოლი ითხოვე და შენი სახლი შეჰქმენი. გიყვარდეს ცოლი, როგორც წესია, აღავსე მისი სხეული, ჩააცვი და დაასაჩუქრე. იგი შენი ყანაა, რომელიც გულმოდგინედ უნდა დაამუშავო".

ყურანმა მოიწონა ადრეული ქორწინება და უარყოფითად შეაფასა მონაზვნობა და უცოლოდ ცხოვრების წესი. მამაკაცებისათვის ქორწინების ასაკი მან — 15-16 წლიდან განსაზღვრა, ხოლო ქალებისათვის 13-14 წლიდან.

მრავალცოლიანობა (პოლიგინია)

მრავალცოლიანობა პატრიარქალური ურთიერთობების განვითარების შედეგი გახლდათ. იგი დამახასიათებელი იყო მთელი რიგი ხალხებისათვის აზიასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში. შემდგომში ზოგმა მათგანმა ქრისტიანობა მიიღო, ზოგმა კი ისლამი. ებრაელები, რომლებმაც ქრისტიანობა მიიღეს, განაგრძობდნენ ისეთი წესების შესრულებას, როგორიცაა წინადაცვეთა, ღორის ხორცის ჭამის აკრძალვა, ებრაული მარხვა. მათ ორი ცოლი მოჰყავდათ და უარს ამბობდნენ შაბათს მუშაობაზე. მრავალცოლიანობა პრაქტიკული მოსაზრებით იყო გამოწვეული. მამაკაცის, როგორც მებრძოლის მნიშვნელობა ყველა სოციალურ პარამეტრს სჭარბობდა. ისლამის დამკვიდრებისა და საგარეო ექსპანსიის მიზნით წარმოებული ბრძოლების შედეგად მუსლიმანური თემის შიგნით მკვეთრად შემცირდა მამაკაცთა რიცხვი და გაჩნდა მარტოხელა ქალთა (ცოლების, დედების, ქალიშვილების) დიდი რაოდენობა. ამ პრობლემის სოციალური რეგულირება მოხდა პოლიგამიის (კერძოდ, პოლიგინიის) შემოღებით.

ყურანში ნათქვამია: "ითხოვეთ ის ქალები, რომლებიც თქვენ გასიამოვნებენ — ორი, სამი, ოთხი. ხოლო ვისაც გეშინიათ, რომ არ იქნებით მართალი, ითხოვეთ ერთი ან სამი, ვისაც თქვენი მარჯვენა გაუმკლავდება." (ყურანი 3/4) თვით მაჰმადს, გადმოცემის თანახმად, 14 ცოლი ჰყავდა, სიკვდილის მომენტში კი — 9. სანამ მისი პირველი ცოლი - ჰადიჯე ცოცხალი იყო, მაჰმადს მეორე ცოლი არ მოჰყავდა. მაგრამ შემდეგ მისი ცოლები გახდნენ აიშე — მისი ბიძის, უახლოესი თანამებრძოლისა და მომავალი პირველი ხალიფის აბუ-ბაქრის ქალიშვილი; ჯაფსა —მომავალი მეორე ხალიფის ომარის ქალიშვილი,, უმ-ჰაბიბა - მისი ერთ-ერთი გავლენიანი მომხრის ქალიშვილი. ცოლებს შორის იყვნენ აგრეთვე მუჰამედის მიმდევართა ქვრივები, რომელთა ქმრები რწმენისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ.

შარიათის მიხედვით, ქმარმა თითოეულ თავის ცოლს უნდა მისცეს ცალკე საცხოვრებელი ბინა, უზრუნველყოს მათი ცხოვრება, კარგად მოეპყრას, დაიცვას მათთან სახლში მისვლის რიგითობა. ცოლმა, თავის მხრივ, თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს. რა თქმა უნდა, მრავალცოლიანობა იყო და დარჩა შესაძლებელი მხოლოდ მდიდარი მუსლიმანებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, ყურანი მრავალცოლიანობაში ხედავდა ოჯახურ-გვაროვნული და საზოგადოებრივი კავშირებისა და ურთიერთობების დამყარების გზით მუსლიმანური თემის განმტკიცების საშუალებას.

ფილოსოფოსი ალ-ჰაზალი იესოს და მუჰამედის მაგალითზე ხსნიდა, რატომ არის პოლიგამია მიზანშეწონილი: "კითხულობენ, კურთხეული იესო დარჩა უცოლოდ, ხოლო ჩვენს

არაკურთხეულ წინასწარმეტყველს მუჰამედს ამდენი ცოლი ჰყავდა, თუმცა ორივე მათგანი უმაღლეს სიკეთედ ღვთის მსახურებას თვლიდა. პასუხიც ასეთია: ყველაფერს სჯობს, შევაერთოთ ერთიცა და მეორეც, თუ რჩეული ამისათვის საჭირო ძალასა და სიდიადეს ფლობს. ჩვენმა ყოვლად დალოცვილმა წინასწარმეტყველმა მიიღო ასეთი ძალა და ღვთისადმი ერთგულება შეაერთა ქორწინებასთან. თუმცა მას ცხრა ცოლი ჰყავდა, იგი მთლიანად უძღვნიდა თავის თავს ღვთის სამსახურს".

თვითონ მუჰამედმა, თითქოსდა თავის მართლებისათვის, ასეთი აიათები წარმოთქვა: "ო, წინასწარმეტყველო, ჩვენ ნება მოგეცით შენ, იყოლიო ცოლად ისინი, ვინც ჯილდოდ მოგეცა და ისინიც, ვისაც მარჯვენა შენი დაეუფლა მათგან, ვინც ალაჰმა გიბოძა, შენი მამიდების ქალიშვილებიც, შენი დედის ძმის ქალიშვილებიც, შენი დეიდების ქალიშვილებიც, მორწმუნე ქალიც, რადგან მან თავი მიუძღვნა წინასწარმეტყველს და თუ იგი მის ცოლობას მოინდომებს... ამის შემდეგ შენ სხვა ქალი აღარ გერგება, არც მათი სხვა ქალებით შეცვლა შეგიძლია, მაშინაც კი, თუ მათი სილამაზე დაგკოდავს, თუ არა მათით, ვისაც შენი მარჯვენა დაეუფლა" (ყურანი 33-49).

ყურანისა და სხვა დარიგებების თანახმად, ცოლს მოეთხოვება მისდიოს გარკვეულ წესებს: არ გამოვიდეს სახლიდან, თუ ქმრისაგან ნებართვას არ მიიღებს, აგრეთვე არავინ შეუშვას თავის სახლში, ყოველგვარი იძულების გარეშე შეასრულოს დიასახლისის ყველა მოვალეობა, თავისი განწყობილება შეუთანხმოს ქმრის განწყობილებას — როცა ის მხიარულია, ცოლმაც მხიარული სახე უნდა მიიღოს, თუ ის მოწყენილია, ცოლმა თანაგრძნობა უნდა გამოხატოს ქმრის საზრუნავსა და სადარდებელზე; იკმაროს ის საშუალებანი და პირობები, რაც მას ქმარმა შეუქმნა. ქმრის სიკვდილის შემდეგ ატაროს სამგლოვიარო ტანსაცმელი და, თუ სურს საიქიოში შეხვდეს გარდაცვლილი ქმარს, მეორედ აღარ გათხოვდეს.

სქესობრივი სეგრეგაცია და ჩადრი

ისლამური სამართალი მკაცრად არეგულირებს სქესთა შორის ურთიერთობებს. მორწმუნე მუსლიმანი ქალი არასოდეს შედის სოციალურ კონტაქტში მამაკაცთან, თუ იგი მასთან მაჰრამის ვალდებულებით არ არის დაკავშირებული. აუცილებელ შემთხვევებშიც კი (მაგ. ექიმთან წასვლისას) მას ყოველთვის თან ახლავს ნათესავი, რომლის თანდასწრებითაც იგი კონტაქტს ამყარებს საწინააღმდეგო სქესის უცხო წარმომადგენელთან. თანამედროვე პირობებში, მაგალითად, სტუდენტებისათვის, რომლებიც დასავლეთის უნივერსიტეტებში სწავლობენ, როგორც წესი, დასაშვებია აუდიტორიაში პროფესორ-მასწავლებლებთან მარტო დარჩენა. მაგრამ აღნიშნული მხოლოდ გამონაკლისს წარმოადგენს. ყველა სხვა ისლამური ქცევის სტანდარტი დაცული უნდა იქნეს. (Данни, 1998).

ქალთა კარჩაკეტილობა და ამის შედეგად სქესობრივი სეგრეგაცია, ისლამის გამოგონება როდია, თუმცა მასთან ასოცირდება. გათხოვილი ქალისათვის გარემო სამყარსთან ურთიერთობის შეზღუდვა დამახასიათებელი იყო ძველი და შუა საუკუნეების უმრავლესი ტრადიციული საზოგადოებებისათვის. როგორც "დესპოტურ" აღმოსავლეთში, ისე "დემოკრატიულ" საბერძნეთში, ქალი თავის ადგილსამყოფელს (იქნებოდა ეს ბერძნული გინეკეა, თუ ირანული ზანანა) არ სცილდებოდა. მას არ ჰქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო მამაკაცთა საუბარში, არ შეეძლო მათთან ერთად სუფრასთან დამჯდარიყო და ფეხზე მდგარი ემსახურებოდა მათ. მხოლოდ მამაკაცებისაგან მოშორებით, "სუფთა მდგომარეობაში", თეთრ ზეწარში გახვეულს (რასაც მოგვიანებით პავლე მოციქულმა "მასზედ ძალაუფლების ნიშანი" უწოდა), შეეძლო ქალს ღვთისმსახურებას დასწრებოდა. მაგრამ ფიცს საკურთხეველთან ან სასამართლოში ძალა მაშინ ჰქონდა, თუ მას ქმარი ან მამაკაცი ნათესავი ადასტურებდა.

პირველ განდეგილებად თვით წინასწარმეტყველის ცოლები გახდნენ. თავიანთი ქმრების მაღალი მდგომარეობა მათ ავალდებულებდათ "განსაკუთრებული" წესით ეცხოვრათ. ამის გათვალისწინებით, ყურანის ისტორიოგრაფებმა ისტორიულად შეიძლება დაადასტურონ

ყურანში ამა თუ იმ აიათის გაჩენის დრო. არსებობს აგრეთვე უამრავი ლეგედა ჩადრის ტარებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთი ლეგენდა უკავშირდება მუჰამედის საყვარელ ცოლს — აიშას, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ზეწრის ტარება დაკავშირებულია ძველ დროსა და ე.წ. "ევას კომპლექსთან". სუსტი სქესის წარმომადგენლებმა, რომლებიც შეიძლება "ანგელოსებმა ადვილად აცდუნონ" თავი უნდა დაიბურონ. ბერძნულ მითებში არ იყვნენ ანგელოსები, მაგრამ იყვნენ ღმერთები, რომლებსაც ხშირად შეცდომაში შეყავდათ მიწიერი ლამაზმანები. ბიბლიაში ქალების შემცდენლებად ღმერთის შვილები — ანგელოსები გვევლინებიან.

სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობა

მუსლიმანური ქვეყნებისათვის ქალთა სპეციფიკური პრობლემებია დამახასიათებელი: ზოგიერთ ქვეყანაში — ეს არის შრომისა და პოლიტიკური უფლებების პრობლემა (საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები), ზოგან საზოგადოებრივი მენტალიტეტის (არაბული ქვეყნები), ზოგან განათლების პრობლემა (სპარსეთის ყურე და აფრიკის ჩრდილოეთი), ზოგან კი დედობის პრობლემა (ეგვიპტე, პალესტინა, ერაყი, იემენი, ლიბანი).

მიუხედავად ქალების აქტიური მონაწილეობისა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასა (თუმცა ისტორიამ ინება, რომ ყველა მუსლიმანური ქვეყანა არ ყოფილიყო ჩართული ასეთ ბრძოლაში) და პოლიტიკური ცხოვრებაში (სირია, იემენი, ეგვიპტე), ამ ქვეყნებში პოლიტიკური ცხოვრებაში ქალების მონაწილეობას ფორმალური ხასიათი აქვს, რაც ორი ფაქტორით არის განპირობებული: უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მმართველ რეჟიმს არ გააჩნია დემოკრატიული ტრადიციებისა და რაციონალური პოლიტიკის გამოცდილება და მეორე — თვით ქალებს არა აქვთ სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობისათვის საჭირო პროფესიული და ფსიქოლოგიური ჩვევები.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ მუსლიმანურ ქვეყნებში ქალთა პოლიტიკური უფლებები კონსტიტუციებით არის გამყარებული (სირია, ეგვიპტე, ირანი, ტუნისი, იემენი, ერაყი და სხვ.) მათი პოლიტიკური აქტიურობა საკმაოდ დაბალია. პრაქტიკა თეორიისაგან შორს დგას არა მარტო ქალების აქტიურობის, არამედ საზოგადოებაში მათი მდგომარეობის და სტატუსის თვალსაზრისით.

ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა თვით მუსლიმანი ქალების მცდელობები თანამედროვე საზოგადოებაში შეცვალონ თავიანთი მდგომარეობა. სულ უფრო იზრდება ქალთა ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაცია "ქალთა პლატფორმაში" არიან გაერთიანებულნი.

დღეისათვის ისლამურ მოძრაობაში შეინიშნება სამი ძირითადი მიმართულება. პირველ მიმართულებას მიეკუთვნებიან რელიგიური მოღვაწეები, რომლებიც გამოდიან არაპოლიტიკური აქციებით და მიაჩნიათ, რომ მათი აქტიურობის ძირითადი სფერო განათლება, კულტურა და სოციალური ყოფაა, რადგანაც ახალგაზრდობის, განსაკუთრებით ქალიშვილების, რელიგიური სულით აღზრდა ქვეყნის ისლამურ მომავალს უზრუნველყოფს.

მათ საპირისპიროდ, ე.წ. "რეფორმატორები", რომელთა რაოდენობაც საკმაოდ დიდია, პოლიტიკური აქციების მომხრენი არიან და თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობის ცენტრში სახელმწიფოსა და საზოგადოების რეფორმას აყენებენ.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან რადიკალური მიმართულების ისლამისტები, რომლებიც მზად არიან ქვეყნის სათავეში ნებისმიერი გზით (პოლიტიკურით თუ შეიარაღებული) მოვიდნენ. სწორედ ამ ჯგუფმა 1995 წელს მოახდინა ალჟირის სახელმწიფოსა და საზოგადოების პარალიზება. მათი ექსტრემიზმი "ქალთა საკითხის" გადაჭრის გზაზე საკმაოდ რთულ ბარიერებს ქმნის.

5. ბუდიზმი — სოციალური და სქესობრივი თანასწორობის მცდელობა

ბუდიზმი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული რელიგიაა (ქრისტიანობასა და ისლამთან ერთად). იგი წარმოიშვა ჩრდილოეთ ინდოეთში ძვ. წ. VI-V ს.ს-ში. მის შემქმნელად ითვლება სიდჰართა გაუტამა, იგივე შაკია (საკია) — მუნი (განდეგილი შაკიების ტომიდან). თქმულების თანახმად, იგი შაკიების ტომის ბელადის შუდჰოდანის ვაჟი იყო და ძვ. წ. 623-544 წ.წ. ცხოვრობდა. გაუტამამ 29 წლის ასაკში დატოვა ოჯახი და ასკეტური მოხეტიალე ცხოვრება დაიწყო. 7 წლის შემდეგ იგი ახალი რწმენის მქადაგებელი გახდა და საფუძველი ჩაუყარა პირველ ბერ-მონაზვნურ თემს — სანგჰის. შემდგომში შაკია-მუნს უწოდეს ბუდა (სანსკრ. ბუდჰა - გასხივოსნებული), ხოლო მის მოძღვრებას — ბუდიზმი.

ბუდიზმის ძირითადი დოქტრინაა მოძღვრება "ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტების" შესახებ: არსებობს — ტანჯვა, მისი მიზეზი, ტანჯვათა შეწყვეტა (ნირვანა — განთავი-სუფლების მდგომარეობა) და რვამაგი გზა — ნირვანისაკენ მიმავალი გზა.

ბუდიზმის გავრცელების შემდგომ პერიოდში მოხდა მისი ორ შტოდ გაყოფა: ადრეულ ბუდიზმს უწოდებენ "ჰინაიანას" ("პატარა ეტლი" ანუ ხსნის "ვიწრო გზა"), ხოლო მოგვიანებით, ჩვ. წ I საუკუნეში წარმოშობილ ფორმას — "მაჰაიანას" ("დიდი ეტლი" ანუ ხსნის "დიდი გზა").

ინდოეთში ბუდიზმის აყვავების ხანად ითვლება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანები — ახ. წ I ათასწლეულის დასაწყისი.

X ს-ში ბუდიზმმა ინდოეთში დაკარგა გაბატონებული მდგომარეობა და თანდათან დაუახლოვდა ინდუიზმს — ინდოეთის ახალ რელიგიას. ბუდიზმი, როგორც დამოუკიდებელი რელიგიური მოძღვრება, ფართოდ გავრცელდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აზიის ქვეყნებში. იქ დამკვიდრდა ჰინაიანა — სამხრეთის ბუდიზმის ანუ თერავადა ბუდიზმის — სიტყვასიტყვით — უხუცესთა მოძღვრების სახელწოდებით.

არსებობს ბუდიზმის სხვადასხვა სექტა და სკოლა.

მიუხედავად განსხვავებებისა, ბუდიზმის ყველა რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობასა და სახეობაში არსებულ წარმოდგენათა ერთიანი ბირთვი ბუდიზმს სხვა რელიგიებისაგან განასხვავებს.

ბუდიზმის მიხედვით, ცხოვრება ტანჯვაა. ადამიანი თავად არის საკუთარი ტანჯვის მიზეზი და არა გარე პირობები, არასრულყოფილი საზოგადოება და ზებუნებრივი ძალის ზემოქმედება. ტანჯვათა მიზეზი ადამიანის აზრების, სიტყვებისა და მოქმედებების ერთობლივი ძალის კარმაში მდგომარეობს (სანსკრ. ჯარმა —"საქმე, ქმედება, მოქმედება"). უფრო მეტიც, კარმა თავად სიცოცხლის მიზეზია. ადამიანები თავად ქმნიან თავიანთ თავს. მათი ფიზიკური იერი (სახე) მათი ყოფიერების შედეგს წარმოადგენს. ის ყალიბდება და ვითარდება სიცოცხლის, სიამოვნების, ძალაუფლების, ფლობისა და თავისუფლების სურვილის ზემოქმედებით. გარკვეულწილად ადამიანი ხდება ისეთი, როგორიც მას უნდა, რომ იყოს.

თავად ადამიანებმა უნდა მოიპოვონ გამარჯვება ტანჯვაზე თავითკონტროლის საშუა-ლებით. თვითშეზღუდვის პრექტიკა და მედიტაცია იწვევს გასხივოსნებას (სანსკრ. "ბოდჰი") — გამოღვიძებასა და ტანჯვის შეწყვეტას (ნირვანას).

გზა გასხივოსნებისა და ნირვანისაკენ იწყება რწმენით და შემდეგ გრძელდება გულმოწყალების, ზნეობრივი დისციპლინისა და მედიტაციის საშუალებით.

ბუდიზმი საბოლოო ჯამში ნირვანისაკენ სწრაფვაა, რომელსაც ადამიანი საკუთარი კეთილი საქმეებითა (კარგი კარმით) და სხვების კეთილ საქმეებში თანამონაწილეობით ახორციელებს.

ბუდას მიაჩნდა, რომ როგორც ერისკაცები, ისე ბერმონაზვნები ერთნაირად უნდა ისწრაფვოდნენ ნირვანისაკენ. მათი ძალისხმევა მხოლოდ ინტენსიურობის დონით განსხვავ-დება. მათ შორის უნდა იყოს ურთიერთკავშირი,. თუმცა ბუდა იბრძოდა ცხოვრების ბერ-მონაზვნური წესისათვის, ის ხელს უწყობდა იმ ერისკაცებს, რომლებიც ბუდიზმს აღიარებდნენ; თავის ბერებს კი მოუწოდებდა, კავშირი ჰქონოდათ საზოგადოებასთან და

მასთან მთლიანად არ გაეწყვიტათ კავშირი. ბერმონაზვნები ერისკაცების საზოგადოების გვერდით უნდა ცხოვრობდნენ და ამ საზოგადოების შთაგონების წყარო, გამათავისუფ-ლებელი თვითდისციპლინის მაგალითი და მასწავლებლები უნდა იყვნენ. ერისკაცებმა კი პატივი უნდა სცენ ბერმონაზვნებს და საკუთარი თავი იმისთვის უნდა მოამზადონ, რომ უარი თქვან ყოველგვარ სიკეთეზე და ამ გზით მიაღწიონ ნირვანას. ბუდას მიერ ნაჩვენები გზები გულისხმობს მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობის აუცილებლობას, მკაცრ ზნეობრიობას, ცივ რაციონალიზმსა და მედიტაციას.

ბუდამ თავის გზას ნირვანისაკენ უწოდა "შუალედური გზა, რომელიც გადის გრძნობადი მოთხოვნილებების თავაწყვეტილ დაკმაყოფილებასა (გედონიზმი) და მკაცრ განდგომას (ასკეტიზმი) შორის". მისი გზა განსაკუთრებულ ყურადღებას ცნობიერების დისციპლინაზე ამახვილებდა.

ბუდამ უარყო ფართოდ გავრცელებული რწმენა მარადიული სულისა და მარადიული ღმერთის შესახებ, რომლებიც ყველა ცვლილების საფუძველს წარმოადგენს. ბუდიზმის მიხედვით, არ არსებობს სუბიექტისა და ობიექტის, სულისა და მატერიის დაპირისპირება, არ არსებობს ღმერთი, როგორც შემოქმედი და აუცილებელი უმაღლესი არსება. ბუდა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცვალებადობა ადამიანის ყოფიერების განუყოფელი თვისებაა. ადამიანი, ისევე როგორც ყველაფერი, რაც მის გარშემოა, მუდმივად მოძრაობს, ყოველ წამს აღორძინდება და ჭკნება. ამასთან, არ არსებობს ამ ცვლილებების უცვლელი სუბიექტი, უცვლელი ადამიანური "მე". გადმოცემის თანახმად, ბუდას ბოლო სიტყვები იყო: "ყვე-ლაფერი, რაც წარმოიშობა, ქრება, გულმოდგინედ ეძიეთ ხსნა".

აღსანიშნავია, რომ ადრეული ბუდიზმი ქადაგებდა ადამიანთა თანასწორობას, განურ-ჩევლად მათი კასტური და წოდებრივი კუთვნილებისა. ის აღიარებდა მათი "ხსნის" თანაბარ უფლებას. ადამიანის ხსნა დამოკიდებულია არა ღმერთების დახმარებაზე, არა მის სოციალურ მდგომარეობასა და წარმოშობაზე, არამედ მხოლოდ მის მონდომებაზე.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ბუდიზმი უარყოფდა რაიმე განსხვავებას მამაკაცებსა და ქალებს შორის გასხივოსნების მიღწევის გზებთან დაკავშირებით. ბუდიზმის მთავარი დებულების თანახმად, ყველა ადამიანს, მიუხედავად სქესისა და სოციალური სტატუსისა, შეუძლია მიაღწიოს გასხივისნებას. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ბუდიზმის განვითარების ადრეულ ეტაპებზე დედათა სამონასტრო ორდენები ინსტიტუციურად მამაკაცთა ორდენებს ექვემდებარებოდა. ეს დაქვემდებარება თავად ბუდას მიერ იყო დადგენილი. თავდაპირველად მან უარი თქვა უკვე დაარსებულ ორდენში ქალების მიღებაზე, შემდეგ კი მათთვის ცალკე ორდენი დააფუძნა. დედათა ორდენი ბერების კონტროლს ექვემდებარებოდა.

ასეთმა ინსტიტუციურმა სუბორდინაციამ გამოიწვია დედათა ორდენების გაუფასურება, მოგვიანებით კი — მათი დაცემა. თერავადის (ე.წ. სამხრეთის ბუდიზმის) თანახმად გასხივოსნებას მხოლოდ იმ ადამიანებმა შეიძლება მიაღწიონ, რომლებიც მთელ თავიანთ სიცოცხლეს სამონასტრო ცხოვრებას მიუძღვნიან. ამგვარად, დედათა მონასტრების დაცემამ მკაცრად შეზღუდა ქალების იმედი, მიეღწიათ გასხივოსნებისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაღალი საერო წრის ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რელიგიურ ცხოვრებაში. ისინი ხშირად ფინანსურ მხარდაჭერას უწევდნენ მამაკაცების მონასტრებს.

ჰინაიანისაგან განსხვავებით, მაჰაიანის ბუდიზმში ქალების მონასტრების დაცემას ასეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან გასხივოსნების მიღწევა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამონასტრო ელიტით. მაჰაიანა ამტკიცებს, რომ ნებისმიერი ცხოვრებისეული გზა, მონასტერში ან მის გარეთ, შეიძლება იქცეს გასხივოსნების მიღწევის საშუალებად. მაჰაიანის ტექსტებში მოთხრობილია იმ დაქორწინებულ მამაკაცებსა და გათხოვილ ქალებზე, რომლებმაც გასხივოსნების გზაზე წარმატებას მიაღწიეს.

ბუდას მიაჩნდა, რომ ქალებმა შეიძლება მიაღწიონ გასხივოსნების დონეს და არ არსებობს მისი მიღწევის განსხვავებული გზები ქალებისა და მამაკაცებისათვის. ერთ-ერთი ფიცი, რომელსაც ზოგიერთი ბერი დებს, მოუწოდებს მათ, არ დაამცირონ ქალები და ხელი

შეუწყონ მათ გასხივოსნების მიღწევაში.

ბუდიზმმა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა სამონასტრო ცხოვრება, მიუხედავად სქესისა და კასტისა. მან ადამიანებს შესთავაზა ამ ცხოვრებაში ხელმეორედ დაბადების გზები. ბრაჰმანიზმისაგან განსხვავებით, ბუდიზმმა აღიარა სოციალური თანასწორობა და უარი თქვა ინდუისტურ შეხედულებაზე, რომლის თანახმად მამაკაცებსა და ქალებს სხვადასხვა გზა აქვთ. ბუდიზმი მოუწოდებდა ყველა ქალს — ქალიშვილს, რომელიც გათხოვებას ელოდება, ცოლს, რომელიც შვილებს ზრდის, თუ ქვრივს — თავი დაენებებინათ უბინო ცხოვრებისათვის ინდუისტურ საზოგადოებაში და გასხივოსნებისაკენ სწრაფვა გამოეჩინათ.

ბუდიზმი გახდა არა მარტო თავისუფლების მიღწევის ალტერნატიული საშუალება, არამედ აგრეთვე საზოგადოებაში ქალების ჩაგრული მდგომარეობისაგან განთავისუფლების საშუალებაც.

ბუდიზმი პატრიარქალური ოჯახური სტრუქტურის რყევის მრავალ წყაროს შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, სამონასტრო თემის, როგორც ოჯახური ცხოვრების ალტერნატივის გავლენამ შეარყია ოჯახის მნიშვნელობა საზოგადოებაში. პატრიარქატის დროს მამაკაცი — ოჯახის უფროსი — საზოგადოების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, მაგრამ ბუდიზმში, რომლის რწმენის მიხედვით გასხივოსნების მიღწევა შესაძლებელია სამონასტრო თემში, მცირდება ოჯახის როლი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული თერავადის ბუდიზმში, სადაც გასხივოსნებისაკენ გზა შესაძლებელია ოჯახურ ცხოვრებაზე ხელის აღებით და სამონასტრო თემის წევრად გახდომით. ინდუიზმისაგან განსხვავებით, თერევადას ბუდიზმი სამონასტრო ცხოვრებას ქორწინების სრულ ალტერნატივად განიხილავს. ოჯახს მეორეხარისხოვანი სტატუსი მიეკუთვნება მაჰაიანის ბუდიზმშიც, რომლის ქადაგების მიხედვით, გასხივოსნების მიღწევა ოჯახში დარჩენითაც შეიძლება. ასეთ სიტუაციაში გასხივოსნება შესაძლებელია, მაგრამ მისი მიღწევა უფრო რთულია. ამ შემთხვევაშიც, თუმცა ნაკლებ, სამონასტრო ცხოვრება ოჯახურ ცხოვრებაზე მეტად ფასდება.

ბუდიზმი, ანიჭებს რა ოჯახს მეორეხარისხოვან სტატუსს, არყევს საერთოდ ოჯახურ ცხოვრებას და არა კერძოდ პატრიარქალურს. მტკიცება, რომ ქალს შეუძლია მიაღწიოს გასხივოსნებას, არა მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ ქალს აქვს გასხივოსნების მიღწევის უნარი, არამედ იმასაც, რომ ეს მისთვის სოციალურად კანონიერია. მართლაც, თუ შვილებმა მონასტერში წასასვლელად ორივე მშობლის ნებართვა უნდა მიიღონ, ცოლებისათვის ქმრების ასეთი ნებართვა საჭირო არ არის.

ბუდიზმის ისტორიული დამსახურება ქალების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან ინდოეთში შესაძლებელი გახადა მათი რელიგიური ცხოვრება და ოჯახის პატრიარქალური სტრუქტურის შესუსტება. პირველ რიგში, ქალებს ოჯახის ალტერნატიული ვარიანტი მიეცათ. არჩევანის შესაძლებლობამ ქალს მეტი უფლება მისცა როგორც გათხოვებაზე თანხმობის გამოცხადების დროს, ისე ოჯახურ ცხოვრებაში. ბუდიზმი ადგენს თანასწორობას მეუღლეებს შორის და აწესებს არა მხოლოდ ცოლების ვალდებულებებს ქმრების მიმართ, არამედ ქმრების ვალდებულებებსაც ქალების მიმართ. ვინაიდან როგორც დედამ, ისე მამამ ნებართვა უნდა მისცენ თავიანთ შვილებს მონასტერში საცხოვრებლად წასასვლელად, ცხადია, რომ შვილები ეკუთვნიან როგორც მამას, ისე დედას. უფრო მეტიც, გათხოვილ ქალებს გარკვეული ფინანსური დამოუკიდებლობა აქვთ, რადგან შეუძლიათ მემკვიდრეობით მიიღონ საკუთრება და თავად განკარგონ ის.

ცოლ-ქმრული ცხოვრების შესახებ ბუდისტური შეხედულება არღვევს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ქვრივი ქალის სექსუალურობას მისი მეუღლე მართავს. ბუდიზმში ქალი თავის ცოლ-ქმრულ მოვალეობას ქმრის სიკვდილამდე ასრულებს. მისგან არ მოითხოვენ ერთგულებას ხელმეორედ გათხოვებაზე უარის თქმით, ამის ნაცვლად, მას შეუძლია არჩევანის გაკეთება: არ შეუერთდეს რელიგიურ თემს, დარჩეს მარტო ან ხელმეორედ გათხოვდეს.

სოციალური იერარქიისა და პატრიარქალური ოჯახის სტრუქტურის რღვევის ფარული პოტენციალის მიუხედავად, ბუდიზმი, ჩვეულებრივ, ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობა-

ზე ამახვილებს ყურადღებას და, ამგვარად, იშვიათად ცდილობს, სოციალურ სტრუქტურებს, რომლებიც ქალებს ჩაგრავენ კანონიერება წაართვას.

აღსანიშნავია, რომ ბუდიზმი ეგუება გარემომცველ კულტურას, მაშინაც კი, თუ კულტურა ეფუძნება მამაკაცის გაბატონებულ როლს და ახალისებს ძლიერი სქესის ასეთ მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, ბუდიზმში სოციალური თანასწორობის ქვეტექსტი წარმოადგენს წყაროს საზოგადოებაში ქალების სტატუსის გასათანაბრებლად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბუდიზმმა ისტორიულად ხელი არ შეუწყო ქალების თანაბარი სტატუსის დამკვიდრებას სოციალურ სფეროში. ბუდისტური კაცთმოყვარეობის ქადაგება არასდროს გამოდიოდა მონობის, ქონებრივი უთანასწორობის, ქალთა დაჩაგრული მდგომარეობისა და სოციალური უთანასწორობის სხვა გამოვლენათა წინააღმდეგ.

დღემდე ბუდისტურ ქვეყნებში გაბატონებულია პატრიარქალური სოციალური სტრუქ-ტურა და თვალსაზრისი, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით დაბლა დგანან.

ბუდიზმმა მნიშვნელივანი გავლენა მოახდინა როგორც ინდოეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, ისე იმ ქვეყნების კულტურაზე, სადაც იგი გავრცელდა.

აღსანიშნავია, რომ ბუდიზმმა თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილ-ზე ბევრ სხვადასხვა კულტურულ ტრადიციასა და ინდივიდუალურ მოთხოვნილებასთან ადაპტაციის პროცესში შეითვისა განსხვავებული ადგილობრივი რელიგიები და რწმენები, თავისი კულტი მრავალი წეს-ჩვეულებით გაამდიდრა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ბუდიზმი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ხასიათისაა.

ამჟამად ბუდას მოძღვრებას მთელ მსოფლიოში უამრავი (ხუთას მილიონზე მეტი) მიმდევარი ჰყავს. ბუდიზმი გავრცელებულია ტიბეტში, მონღოლეთში, ჩინეთში, იაპონიაში, ნეპალსა და აღმოსავლეთის ბევრ სხვა ქვეყანაში. მას ბევრი მიმდევარი ჰყავს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ბუდიზმი ძირითადი რელიგიაა ბევრ აზიურ ქვეყანაში. მან დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოს მოსახლეობის ორი მესამედის ცხოვრების წესზე.

კითხვები და დავალებები:

1. რელიგიურ-ეთიკური მემკვიდრეობის გავლენა ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცე-სებში ჩართვაზე.
2. ფემინისტების აზრით, ქრისტიანობაში რა წარმოდგენები ემსახურება: ქალთა დისკრი-მინაციას?
3. ეგალიტარიზმის ელემენტები იუდაიზმში.
4. რას ითვალისწინებდა ინდუიზმის რეფორმა ქალთა საკითხში?
5. რა არის სატი?
6. რა არის სატაძრო პროსტიტუცია?
7. როგორია ქალის სტატუსი ისლამში?
8. როგორ მითითებებს იძლევა ყურანი ქალის შესახებ?
9. ქალის როლი ბუდიზმში.
10. რა შეხედულება აქვს ბუდიზმს მამაკაცებისა და ქალების მიერ გასხივოსნების მიღწევის საშუალებების შესახებ?
11. რა არის ბუდიზმის ისტორიული დამსახურება ქალების წინაშე?

ლიტერატურა:

1. Диакон Андрей Кураев, Мужчина и женщина в книге в книге Бытия 2/3 (9/10) М., 1996
2. "Законы Ману", Пер. Эльмановича С.Д., М., 1960
3. Свенцицкая И.С., Женщина в раннем христианстве. Женщины античного мира. - М., 1995
4. Мезенцева О., Статус женщины в индуизме XIX-XX в.в. Феминизм: Восток. Запад. Россия. - М., Наука, издательская фирма "Восточная литература", 1993.
5. Еремеев Л.Б., Ислам. Политиздат, 1971.
6. Данни Ф.М., Ислам и мусульманская община. Религиозные традиции мира – М., Кронн-Пресс, 1998. Т. 1.
7. Даул Джиржис, Религия арбов до ислама. Бейрут. 1981.
8. Семенова Л.А., Из истории средневековой Сирии. М., Наука, 1992.
9. Ванина Е.Ю., Рабыни и царицы: знаменитые женщины индийского средневековья. М., изд.фирма “Восточная литература“, Ран, 1999.
10. Вендман Е., Женщина в древнем мире. М., 1990
11. Гелленр Э., Ислам: иной взгляд на права человека – “Век XX и Мир“, 1990, № 3.
12. Кикнадзе Т.Р., Женщина в религии и политике. Религия. История. Современность. М., “Юнити“ 1998.
13. Мейер М. С., Послесловия редактора к книге Бахрие Учок "Женщина-правитель в мусульманских государствах", М., "Наука", 1992
14. Плахов В. Д., Традииция и Общество., М., Мысль, 1992
15. The annual review of women in world religions. V.1-3 – Albany, 1992-94.
16. Allik T., Human finitude and the concept of women’s experience // Mod. theology. – Oxford; Cambridge, 1993. – v.9, N 1.
17. Amaru B.H., The first woman, wives, and mothers in Jubilees // J. of Biblicallit.: JBL. – Atlanta (Ga), 1994 – v.113, N 4.
18. Barnes Nancy Shuster. “ Buddhism”. Women in World Religions. Ed. Arvind Sharma, Albany, N.Y., State University of N.Y. Press, 1987, 105-34.
19. Daly M., The Church and the Second Sex N.Y., 1968.
20. Hole J. and Livine E., Rebirth of Femimism W.J. 1971.
21. Sered Susan Starr, Women as Ritual Experts: The Religious Lives of Elderly Jewish Women in Jerusalem. N.Y., Oxford UP, 1992.
22. O'Flaherty W. D., Textual Sources for the Study of Hinduism. Manchester Press, 1988.
23. Times of India, New Delhi, December 11, 1987.

თავი VI
ქალთა მონაწილეობა თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში - გენდერული კვლევის აქტუალური პრობლემა

1. ქალთა მონაწილეობა თანამედროვე სოციალურ-პოლიტკურ პროცესებში

მესამე ათასწლეულის დადგომა რადიკალური ცვლილებებით აღინიშნება, რაც საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ ახალი ცივილიზაციის წარმოშობაზე, რომელშიც წარსულის კულტურულ ტრადიციათა მრავალფეროვნება შერწყმული იქნება ადამიანთა ურთიერთობებისა და საზოგადოების მოწყობის უნივერსალურ საფუძვლებთან.

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების გაგება შეუძლებელია უფრო ზოგადი სოციალური პრობლემების, მათ შორის მოდერნიზაციის, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პრობლემების გათვალისწინებისა და ანალიზის გარეშე. .

დღეს ტერმინს "გლობალობა" ძირითადი კოდური მნიშვნელობა ენიჭება. მას უამრავი დატვირთვა აქვს — მსოფლმხედველობრივი, მეცნიერული, იდეოლოგიური, კულტურული და სხვ. გლობალიზაცია, როგორც პრინციპი, მოითხოვს ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთკავშირების ერთობლიობის ერთ სტრუქტურად განხილვას. ეს სისტემა პერმანენტულად კრიზისულ მდგომარეობაშია, რადგან კაცობრიობის დღევანდელი ყოფიერებისათვის დამახასიათებელი ყველა დაძაბულობა და კონფლიქტი, კატასტროფა და აფეთქება, ასე თუ ისე, საკვლევი სფეროს საზღვრებში იყრის თავს. ამასთან დაკავშირებით ყალიბდება პლანეტაზე მიმდინარე პროცესების გლობალურად გააზრების მექანიზმი. გლობალური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზეც ადამიანთა ცივილიზაციის არსებობა და პროგრესი არის დამოკიდებული. ამ პრობლემების გადაწყვეტა ეროვნული ძალისხმევის საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტური სისტემის საქმიანობასთან რაციონალური შერწყმის მეშვეობით არის შესაძლებელი. მეცნიერ-გლობალისტების აზრით, გლობალურ პრობლემებს ზოგადსაკაცობრიო და საყოველთაო მასშტაბი აქვს, გამოირჩევა კომპლექსურობით, დინამიზმით, სიმწვავით. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მათი წარმოშობა და განვითარება განაპირობა, ერთი შეხედვით, განსხვავებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ტექნიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, ბუნებრივი პროცესების ურთიერთქმედებამ და ურთიერზეგავლენამ. ისინი გამოხატულებას პოულობს მორალურ-ეთიკურ, მსოფლმხედველობრივ, ფილოსოფიურ შეხედულებებსა და კონცეფციებში, რომელთა საფუძველზე გლობალურ პრობლემებს განსახვავებული სოციალურ-ეკონომიკური წყობის სახელმწიფოები სხადასხვანაირად გაიაზრებენ და მათ გადასაწყვეტად განსხვავებულ გზებსა და მეთოდებს ირჩევენ.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გააქტიურდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰუმანიზაციის პროცესი. რეალური თანასწორობის პრობლემა კაცობრიობის განვითარების გლობალურ პრობლემათა რიგს მიეკუთვნა. მსოფლიო თანამეგობრობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უფლებათა იურიდიულმა თანასწორობამ, რომლისთვისაც ამდენი ძალა და ენერგია იქნა დახარჯული, მოლოდინი ვერ გაამართლა. თანასწორობა კანონით ფაქტობრივ თანასწორობას როდი ნიშნავს.

საზოგადოებრივმა პრაქტიკამ სოციალური თანამშრომლობის სფეროში ცხადყო, რომ იურიდიული უფლებებისა და თავისუფლებების მთელი კომპლექსის არსებობის პირობებშიც კი მოსახლეობის გარკვეულ ფენებს, სოციალური ან ფიზიოლოგიური მიზეზების გამო, არა აქვთ არსებობისა და მოქმედების თანაბარი შესაძლებლობანი, რის გამოც ისინი სახელმწიფოს მხრიდან სპეციალურ სამართლებრივ დაცვას საჭიროებენ და, შესაძლოა, წარმოადგენენ სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელ სუბიექტებს. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართალში გაჩნდა კიდევ ერთი მიმართულება ე.წ. "ადამიანთა უფლებების მესამე თაობა", რომელიც მიზნად ისახავს ცალკეული სოციალური ჯგუფების სასიცოცხლო

შესაძლებლობების გაფართოებას.

"ადამიანთა უფლებების მესამე თაობის" ყურადღების ცენტრში არიან ქალები. მსოფლიო თანამეგობრობა აღიარებს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად გარკვეული წინსვლისა ორი სქესის თანასწორუფლებიანობის მიღწევის საქმეში, საზოგადოებაში კვლავ არსებობს ქალების დისკრიმინაცია, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი ხელისშემშლელი პირობაა და ზიანს აყენებს მსოფლიო ცივილიზაციის ჰუმანური და დემოკრატიული განვითარების პროცესებს.

მოიპოვეს რა მამაკაცებთან თანასწორი პოლიტიკური უფლებები, ქალები სულ უფრო დიდ წარმატებებს აღწევენ პოლიტიკურ საქმიანობასა და მართვის საქმეში. მათ ხელ-მძღვანელი პოსტები უკავიათ საერთაშორისო ორგანიზაციებში, სხვადასხვა ქვეყნის პარ-ლამენტებსა და მთავრობებში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოძრაობებში. პოლიტიკა, რომელიც სულ ახლო წარსულში მამაკაცთა საქმედ ითვლებოდა, დღეს ბევრი ქალის ცხოვრებისეულ ორიენტირად იქცა, მაგრამ, არცთუ იშვიათად, საზოგადოებრივი ცნობიერება ქალთა პოლიტიკურ კარიერას სკეპტიკურად უყურებს და ხშირად თვითონ ქალებიც გარ-კვეული ეჭვის ქვეშ აყენებენ თავიანთი პოლიტიკური კარიერის შესაძლებლობებს. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ პოლიტიკა წარმოადგენს იმ სფეროს, სადაც ყველაზე უფრო თვალნათლივ იგრძნობა დაპირისპირება ქალთა იურიდიულ და ფაქტობრივ მდგომარეობაში.

საზოგადოების ცვლილების კონცეფციები და პროგრამები ითვალისწინებს საზოგადო-ებრივი ცნობიერების, პოლიტიკისა და მართვის გარკვეულ მოდელებს ვარაუდობენ, რომ სულიერი, პოლიტიკური და მმართველობითი ზემოქმედების ობიექტს თვითგანვითარების უნარი აქვს, ხოლო სუბიექტმა ისეთი ზემოქმედება უნდა მოახდინოს თვითრეგულირების მექანიზმებზე, რომელიც უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ თავისუფალ განვითარებას. საზოგადოების განვითარების ისტორია გვიჩვენებს რომ თეორია ყოველთვის არ პასუხობს იმ კითხვებს, რომლებსაც სოციალური სინამდვილე აყენებს და მისი განხორციელება დამოკი-დებულია სოციალურ-ისტორიულ სოციალურ-კულტურულ და სხვ. ფაქტორებზე, რომელთა მოქმედების როლისა და შედეგების წინასწარ გამოცნობა საკმაოდ რთულია.

დღევანდელი საზოგადოების სასურველი მოდერიზაციის მნიშვნელოვანი ფორმალური ნიშნებია: რადიკალურობა, ცვლილებათა კომპლექსურობა, განვითარების კოჰერენტულობა, რაც საზოგადოების ყველა ქვესისტემის ცვლილებას ნიშნავს. მოდერნიზაციის ნიშნებს შორის გამოყოფენ: ეკონომიკურ ზრდას, პოლიტიკური მმართველობის წარმომადგენლობით სისტე-მას, კულტურაში სეკულარულ ნორმებს, სოციალური და სივრცული მობილურობის მაღალ მაჩვენებელს, წარმატებისაკენ სწრაფვას, ემპათიას, როგორც თანამედროვე პიროვნების მნიშვნელოვან თვისებას. (Бергер, 1997).

მოდერნიზაციის პროცესების შესახებ მეცნიერთა უმეტესობას განსხვავებული შეხედუ-ლებები აქვს. ზოგიერთი მკვლევარი მოდერნიზაციულ პროცესებს უკავშირებს ახალ დროში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მომხდარ მოვლენებს და მიაჩნია, რომ ისინი ისტორიულად აუცილებელი და სავალდებულოა ყველა ქვეყნისათვის, რომლებმაც განვითარების დასავლუ-რი მოდელი აირჩიეს. (Хабермас, 1994). მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ მოდერ-ნიზაცია არის გადასვლა ტრადიციულიდან თანამედროვე საზოგადოებაზე და, ამავე დროს, ასეთ გადასვლასთან დაკავშირებული სხვების გამოცდილების გაცნობიერებული, შეგნებული ათვისება. ზოგი მკვლევარი მოდერნიზაციას უწოდებს სწრაფვას - ტრადიციულ სოციო-კულტურაში პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების ტრანსფორმაციასა და დასავლურ ანალოგიებთან მათ (უპირველეს ყოვლისა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობებსა და დემოკრატიული პოლიტიკური წყობის) დაახლოებას. (Кантор, Капустин, 1999)

მოდერნიზაციის შესახებ არსებობს აგრეთვე კონცეფცია, რომელიც გამოიყენება როგორც განვითარებისა და თანამშრომლობის ძირითადი პროგრამა თანამედროვე სამყაროს გლობალიზაციის პროცესების ფონზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში (Мюрдаен, 1972).

სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში მოდერნიზაცია უკავშირდება ადამიანების, სოციალუ-

რი და პოლიტიკური ინსტიტუტების მკაფიო სპეციალიზაციას სხვადასხვა სახის საქმიანობაში, რომელიც სულ უფრო ნაკლებად ხდება დამოკიდებული სქესსზე, ასაკზე, სოციალურ წარმოშობაზე, პირად კავშირებზე და ტრანსფორმაციის განვითარებასთან ერთად, ადამიანის პიროვნული თვისებებით განისაზღვრება. სოციალურ-პოლიტიკური მოდერნიზაცია გულისხმობს იერარქიული დაქვემდებარებისა და ვერტიკალური დამოკიდებულების შეცვლას თანასწორუფლებიანი პარტნიორობით, რომელიც საერთო ინტერესების საფუძველზე ყალიბდება. მაგრამ ამ პროცესს თან ახლავს ადამიანებს შორის ურთიერთობების დროს პიროვნული სახის დაკარგვა, ოჯახის როლისა და ფუნქციების, აგრეთვე დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლა.

აღნიშნული პროცესები ასევე გულისხმობს დასავლურ ღირებულებებთან ასიმილირებას და ეროვნული ტრადიციების ტრანსფორმაციას, რადგან, როგორც მიჩნეულია, ეს ტრადიციები არ შეესაბამება აქტუალურ სოციალურ რეალობას. ტრანსფორმაციის კლასიკური ევროპული გზა ნიშნავდა პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების ცვლილებას იმ ადრეული ცვლილებების საფუძველზე და გავლენით, რომლებიც ღირებულებით ორიენტაციებში, მოთხოვნილებებსა და ინტერესებში მოხდა. აღნიშნული განპირობებული იყო არა იმდენად სულიერი კულტურის განვითარებით, რამდენადაც წარმოების ევოლუციით, მისი ტექნიკურ-ტექნოლოგიური მახასიათებლებისა და მიზნობრივი მიმართულობის შეცვლით. სულიერ-იდეოლოგიური და ეკონომიკური ექსპანსია წარმოადგენს ტრასნფორმაციის ძირითად წყაროს მსოფლიო თანამეგობრობაში.

როგორც მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების საბაზისო საფუძველს წარმოადგენს არა საკანონმდებლო ინიციატივები და ფინასური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური გავლენები წარმოების სფეროში, არამედ ღირებულებების რადიკალური ტრანსფორმაცია, რაც ცვლის მათ ინტერესებს.

ეკონომისტები, პოლიტოლოგები, კულტუროლოგები, პრაქტიკულად ცოდნის ყველა ჰუმანიტარული მიმართულების წარმომადგენლები ცდილობენ მოხაზონ ამ ადამიანური თანაცხოვრების შესაძლო პარამეტრები და ტენდენციები, რომელსაც ახალი ტიპის პოლიტიკური კულტურის შექმნასა და პატრიარქატიდან დაბალანსებულ ბიარქატიზმამდე მივყავართ.

2. შეხედულებანი ქალის სოციალურ–პოლიტიკური აქტიურობის შესახებ.

დეკაბრისტების ერთ-ერთი ლიდერის, ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუციის პროექტში შეიძლება მოვნახოთ მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნა: "ქალი არა მარტო არ წარმოადგენს პოლიტიკურ უფლებათა სუბიექტს, არამედ მას საკანონმდებლო ორგანოს ღია სხდომებზე დასწრებაც კი ეკრძალება. ორპალატიანი პარლამენტი თავისი სხდომების დროს, ჩვეულებრივად, დასაშვებად მიიჩნევს მაყურებელთა დასწრებას, მაგრამ ქალებს და არასრულწლოვნებს (ე.ი. 21 წლამდე მამაკაცებს) პალატაში შესვლა ეკრძალებათ".

ასეთი შეხედულება ქალთა უფლებებზე პოლიტიკაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში სრულიად ბუნებრივად გამოიყურებოდა არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ ევროპაში. აღნიშნული შეხედულების გადახედვა თვით ცხოვრებამ მოიტანა. სამკუთხედის - ეკლესია— სამზარეულო-ბავშვები - ჩარჩოებიდან გამოსვლა გულისხმობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულუფლებიან მონაწილეობას, პოტენციურად ქალებისათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებას — ე.ი. უპირველეს ყოვლისა, უფლებას, აერჩიათ და ყოფილიყვნენ არჩეული საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებში. ქალთა ემანსიპაციური მოძრაობის ძირითადი შინაარსი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ევროპასა და ამერიკაში სწორედ ქალთა იურიდიული და პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა იყო.

საზოგადოებაში დღემდე გავრცელებული აზრის მიხედვით, სამსახურში ჩაბმული ქალების თაობაზე არსებობს ნეგატიური სტერეოტიპი, რომლის თანახმად ქალთა დასაქმება უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა აღზრდასა და ოჯახურ ურთიერთობებზე. ასეთი

წარმოდგენები ქალებში გარკვეულწილად იწვევს დანაშაულის გრძნობას, ხელს უშლის მათ სოციალურ-პოლიტიკურ აქტიურობას და პროფესიულ თვითრეალიზაციას.

ფამ მხრივ, საინტერესოა ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ქალის ბეტი ფრიდანის აზრი. თავის წიგნში "ქალურობის საიდუმლო" იგი აღნიშნავს, რომ მომუშავე ქალთა ბავშვები ნაკლებად ვარდებიან უკიდურესობებში (არც ძალიან აგრესიულები არიან და არც ძალიან შენელებული რეაქცია აქვთ), სკოლაში უკეთესად სწავლობენ, უფრო განვითარებული აქვთ საკუთარი თავის პატივისცემა, ვიდრე დიასახლისი დედების შვილებს.

მეორე კვლევამ, რომლის დროსაც შესწავლილ იყო უმაღლესი განათლების მქონე დედები, აჩვენა, რომ მათი სამსახური უარყოფითად არ მოქმედებს არც მათ ოჯახურ ურთიერთობებსა და ფსიქოლოგიურ კლიმატზე და არც ბავშვების პრობლემების რიცხვსა და სერიოზულობაზე, (Фридан, 1994)

არნოლდ გრინის კვლევებმა გამოალინა ფარული პრობლემა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საშუალო ამერიკული ოჯახის დიასახლისის როლი ბევრ დედას აიძულებს თავიანთ ქალიშვილებსა და ვაჟიშვილებში ჩაახშონ პიროვნება და ინფანტილიზმის გრძნობა განუ-ვითარონ. (Фридан, 1994)

ისტორიული გამოცდილებაც მოწმობს: იმის გამო, რომ ქალებმა მიიღეს განათლება, დაიწყეს შრომა წარმოებაში, გამოიყენეს თავიანთი პოლიტიკური უფლებები, საზოგადოებამ მხოლოდ მოიგო. შემდგომი ნაბიჯი ქალების წინსვლაში ახალი სოციალურ-პოლიტიკური როლის ათვისებასა და ყველა დონეზე მმართველობაში მონაწილეობის მიღებაშია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ ფასეულობათა სისტემის დამუშავება და განვითარების ტექნოლოგიის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ინიციატივიანი, სუვე-რენული, გონიერი ქალის ჩამოყალიბებას. ასეთი სოციალური ტექნოლოგიების მოთხოვნილება გამოწვეულია რადიკალურად შეცვლილი სოციო-კულტურული პროცესებისადმი ადაპტაციის დაჩქარების უზრუნველყოფის აუცილებლობით. ქალებისათვის ეს ტექნოლოგიები უნდა ითვალისწინებდეს მათი სოციალური მდგომარეობის სპეციფიკას და მასობრივ ცნობიერებაში ისეთი გენდერული სტერეოტიპების ბატონობას, რომლებიც ქალთა თვითრეალიზაციის სფეროებს ზღუდავს.

აუცილებელია, რომ ქალს მიეცეს შესაძლებლობა აირჩიოს სახლი ან სამსახური, ან შეუთავსოს ისინი ერთმანეთს. თუ მას აქვს გონებრივი შრომისადმი ინტერესი, მოთხოვნი-ლება სხვადასხვა პროფესიულ სარბიელზე მოახდინოს თავისი შემოქმედებითი შესაძ-ლებლობების რეალიზება, ასეთ ფასეულობათა ორიენტაციას უნდა მივესალმოთ და მხარი უნდა დავუჭიროთ. თუ სურვილი არ იქნება ქალში პიროვნება, ინდივიდი დავინახოთ, ეს ვერ წაადგება საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ პროგრესს.

მამაკაცსა და ქალს შორის როლების განაწილების პროცესის მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ ეს პროცესი შეეხო არა მხოლოდ ოჯახის, არამედ პოლიტიკისა და ხელისუფლების სფეროებსაც, რომლებსაც საზოგადოებრივი მმართველობის ინსტიტუტად აღვიქვამთ. ეს უკანასკნელი დღეს აღარ არის გამორჩეულად მამაკაცთა სფერო. ქალებმა უზრუნველყვეს თავისთვის ხელისუფლების ინსტიტუტების მისაწვდომობა და პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობის უფლება.

მნიშვნელოვანი ცვლილება ქალთა სოციალურ სტატუსში იყო მათ მიერ საარჩევნო უფლების მიღება. ქალებმა სხვადასხვა ქვეყანაში საარჩევნო ხმა სხვადასხვა დროს მიიღეს: **ფინეთში - 1907 წელს**, **დანიაში — 1915 წელს**, **შვეციასა და კანადაში — 1918 წელს, სსრკ-ში — 1918 წელს**, **აშშ-ში — 1920 წელს, დიდი ბრიტანეთში — 1928 წელს, საფრანგეთში — 1944 წელს.**

XX საუკუნემ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ჩპოლიტიკაში ქალთა როლის გაზრ-დის საქმეში. შეიცვალა ქალის სოციალური როლი, რასაც შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

1. გლობალობა, ე.ი. მოიცავს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს, ქვეყანას;

2. ცვლილებები ხდება ერთდროულად სხვადასხვა სფეროში (პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება, ოჯახი);

3. ქალთა სოციალური როლის ცვლილება უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. მას ბევრი

წინააღმდეგობა ახლავს.

როლების ძველებური მკაცრი განაწილება (კაცი — შემომტანი, ძირითადი მუშაკი, ქალი კი — დედა, დიასახლისი) თავად ცხოვრებამ დაარღვია. ქალები ბევრ ქვეყანაში ფართოდ ჩაებნენ ეკონომიკურ ცხოვრებაში. დასავლეთში ქალის საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმის აღმნიშვნელი ტერმინი **"ვარდისფერი საყელოები"** გაჩნდა 1985 წელს ქალებმა შეადგინეს მუშახელის 45% (Griffin S., 1978).

თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწეობის ძირთად კრიტერიუმად, რა თქმა უნდა, გვევლინება ერთობლივი მოქმედება, როგორც მამაკაცების, ისე ქალების, როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის ინტერესების გათვალისწინებით, წინააღმდეგობათა თავიდან აცილების, მატერიალური დოვლათის განაწილებისას წინააღმდეგობათა დაძლევის გზით. დღეს საზოგადოების "გაადამიანურების" საკითხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წუხილი იმის შესახებ, თუ რომელი სქესი უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობს.

ქალთა პოლიტიკაში ჩაბმის პროცესი პროგრესული, ცივილიზებული საზოგადოების განვითარების ტენდენციის მაჩვენებელია. დღესდღეისობით დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების, იაპონიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და სხვ. ქალების მაღალი სამთავრობო პოსტები უკავიათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალების აქტიურობა შვეციაში, სადაც მათ მინისტრთა პოსტების ნახევარი უკავიათ, ფინეთში — 30%, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტი ქალია, დანიაში — 37%, ნორვეგიაში — 42%. (Женщины скандинавских народов на рубеже XXI века ,2000).

ᲬᲚᲔᲑᲘᲡ განმავლობაში ნორვეგიის პრეზიდენტი იყო გრუ ჰარლემ ბრუტლანდი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი — მარგარეტ თეტჩერი, ისრაელისა — გოლდა მეირი, ინდოეთისა — ინდირა განდი, ფილიპინებისა — კორასონ აკინო, პაკისტანისა — ბენაზირ ფხუტო, ნიკარაგუასი — ვიოლეტა ბარიოს დე ჩამორო და სხვ.

70-80-იან წლებში კანონმდებლობა მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის შესახებ მიღებულ იქნა **დიდ ბრიტანეთში (1975), ნორვეგიაში, დანიაში, შვეციაში (1975), ავსტრიაში (1979), გფრ-ში (1980), საფრანგეთში (1983), და სხვ. სახელმწიფოებში.**

90-იან წლებში საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა შორის შვეციაში, გერმანიაში, ავსტრიაში, ნორვეგიაში, ფინეთში, ქალებმა შეადგინეს 23-დან 40%-მდე. ქალთა წარმომადგელობა სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებში ასე გამოიყურება:

10%-მდე	10-20%	20-30%	30-40%
ბრაზილია **დიდი ბრიტანეთი** **უნგრეთი** **საბერძნეთი** **ინდონეზია** **რუსეთი** **იუგოსლავია** **იაპონია**	**ავსტრალია** **ანგოლა** **ბელგია** **კანადა** **ესპანეთი** **იტალია** **საფრანგეთი** **შვეიცარია** **ჩინეთი**	**არგენტინა** **ავსტრია** **გერმანია** **ისლანდია** **კუბა**	**შვეცია** **ფინეთი** **ნორვეგია** **დანია** **ნიდერლანდები**

ამ პერიოდისათვის მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტრთა შორის 89% მამაკაცები, ხოლო 11% ქალები იყო. (Уськов,1993).

ქალთა წარმომადგენლობის გარანტიისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვოტები. ევროპის ქვეყნებში ქალთა წარმომადგელობის ქვოტები დაწესებულია ყველა ხელმძღვანელ (პარტიულ, საპარლამეტო, აღმასრულებელ) ორგანოში. კვოტები არსებობს ევროპის რამდენიმე ქვეყნის პარლამენტებში: ევროპარლამენტში — 19% ქალია, ჰოლანდიაში — 25%, დანიაში — 30% და სხვ. კანდიდატურების წამოყენება ხდება არა მარტო სქესის მიხედვით, არამედ პროფესიული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით, ხოლო მათი რეალიზაციისათვის სათანადო მომზადებაა საჭირო, რომელიც ითვალისწინებს საქმიანი

კონტაქტების ეთიკას, პოლიტიკურ განათლებას და სხვ.

ცივილიზებული პოლიტიკური კულტურის ქვეყნებში დაწყებულია პოლიტიკის ფემინიზაცია. სულ უფრო ხშირად წინა პლანზე გამოდის ე.წ. "სათათბირო დემოკრატია", ხოლო ამოსავალ პრინციპებად გვევლინება თანასწორობა პოლიტიკურ სფეროში, ხელისუფლების გადანაწილება, უარის თქმა წმინდა მამაკაცურ წარმომადგენლობაზე, პოლიტიკის ჰუმანიზაცია და დემოკრატიზაცია. ასე რომ, ქალებს შესაძლებლობა აქვთ მრავალფეროვნება და ზნეობრივი საწყისი შეიტანონ პოლიტიკაში.

მაგრამ ასეთ გარდაქმნათა გზაზე ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზია. მხოლოდ ერთი გაფიქრებაც კი იმის შესახებ, რომ ქალები შეიძლება მონაწილეობდნენ ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით, ისეთებში, სადაც მხოლოდ ძლიერი და მკაცრი მამაკაცები საქმიანობენ, მათ მძაფრ წინაღმდეგობას იწვევს.

მოდით, გავარკვიოთ, შეიძლება მართლაც არსებობს რეალური მიზეზები, რომელთა გამო ქალებს არ შეუძლიათ მიიღონ ხმათა უმრავლესობა საპალამენტო არჩევნების დროს, არ შეუძლიათ უხელმძღვანელონ ეკონომიკურ გაერთიანებებს, იმსახურონ არმიაში გენერლის წოდების მიღებამდე და სხვ. თუ ჩვენ ასეთ მიზეზებს აღმოვაჩენთ, დღეს მიმდინარე მოვლენები უცნაურად მოგვეჩვნება, მაგრამ ასეთი მიზეზები არ არსებობს.

როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღეს, პრეზიდენტმა უორენ ჰარტინგმა განაცხადა: "პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მოსვლით შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ მათი ინტელექტი, მათი ორგანიზატორული შესაძლებლობანი, მათი ბუნების სინატიფე და კეთილისმყოფელი გავლენის ნიჭი ხელს შეგვიწყობს საზოგადოების სოციალურ მოწყობაში".

ეს ნათქვამი იყო 1921 წლის 4 მარტს, მაგრამ ჯერჯერობით ქალთა მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობაში, მათი მცირე რიცხვის გამო, მკრთალად გამოიყურება. ქალთა პოლიტიკაში ჩართვის პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. ვენაში გამართულ გაეროს კონფერენციაზე ადამიანის უფლებების შესახებ (1993 წ.) ქალები გამოვიდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად და აღნიშნეს, რომ მათ არ სურთ "მეორე ხარისხოვან" მოქალაქეებად ყოფნა. პეკინის კონფერენციაზე მიღებულ დოკუმენტებშიც აღნიშნულია, რომ თანასწორობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას თავისებურ სადავეებს წარმოადგენს, რომლის გარეშეც სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისას რეალური თანასწორობის მიღწევა ნაკლებად შესაძლებელია. თანაბარი მონაწილეობა პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების საერთო პროცესში.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრ ქვეყანაში ქალები სახელისუფლებო სტრუქტურებში საკმაოდ სუსტად არიან წარმოდგენილნი. ერთგვარი "ბუმი" პატრიარქალური განწყობით შეიცვალა. სამინისტროებში და ხელისუფლების სხვა ორგანოებში ქალების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. დღეისათვის მათი რაოდენობა საკანონმდებლო ორგანოებში 10%-ია, უფრო ნაკლებია აღმასრულებელ ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ბევრი პოლიტიკური პარტიისა და სახელმწიფო სტრუქტურების ტრადიციული შეხედულებები ხელს უშლის ქალთა მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. (ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის მასალები. თბ., 1995, გვ. 93).

3. ქალი–პოლიტიკოსის მოღვაწეობის სტილის თავისებურებანი

საზოგადოებრივ ცნობიერებაში ქალი-პოლიტიკოსის შეფასების განსაკუთრებული კრიტერიუმები არსებობს. როგორც წესი, მათ გაცილებით უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ, ვიდრე მამაკაც პოლიტიკოსებს. ქალს უფრო მეტი პოზიტიური თვისებები უნდა ჰქონდეს, უნდა იყოს შრომისმოყვარე, ინტელექტუალურად მომზადებული, გამოირჩეოდეს ინტუიციის უნარით. მამაკაცმა რომელიმე პოლიტიკურ ფორუმზე ან შეხვედრაზე შეიძლება გააკეთოს სკანდალური განცხადება — ყვირილით, ისტერიულობით, შეურაცხყოფებით,

ზოგჯერ სულელურიც კი. ასეთი ქმედება ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, მაგრამ თუ ამგვარად მოიქცევა ქალი, უმეტეს შემთხვევაში მასზე იტყვიან: "ქალია და მეტს რას უნდა მოელოდე მისგან".

მაგრამ დღეს სულ უფრო ხშირად გაისმის მოწოდება პოლიტიკაში ქალური სუბკულტურის დანერგვის შესახებ, როდესაც ერთმანეთს შეერწყმის მამაკაცური ძალა, სწრაფვა ბატონობისაკენ და ქალის საწყისი — აღზრდა, დაქვემდებარება აქტიურობის სტიმულირების გზით. აღნიშნულმა ახალი პოლიტიკური წესრიგისაკენ, ქალის როლისა და სტატუსის ცვლილების, მისი ინტელექტუალური პოტენციალის სრული გამოყენებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გარდაქმნისაკენ უნდა მიგვიყვანოს.

XX საუკუნემ პოლიტიკურ კულტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. ქალები ეკონომიკურად დამოუკიდებლები გახდნენ, რამაც პოზიტიური ძვრებისაკენ წაგვიყვანა თუნდაც იმ გაგებით, რომ მათ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთი ბედი. მამაკაცების მიერ შემუშავებული პარადიგმული წესი კი მაინც არ შეცვლილა. ეკონომიკურად და პოლიტიკურად საზოგადოებას კვლავ მამაკაცი ხელმძღვანელობს, ხოლო ქალი მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. ქალების ეპიზოდური გამოჩენა ხელისუფლების სათავეში საერთო სურათს რეალურად არ ცვლის, რადგანაც გარემო და ღირებულებრივ-მსოფლმხედელობრივი კლიმატი "მამაკაცური სულით არის გაჟღენთილი".

მამაკაცები მიმდინარე პროცესებს ხშირად ძალაუფლების დამახინჯებული პრიზმიდან აფასებენ, რის შედეგადაც ძალაუფლება მათთვის თვითმიზნად არის ქცეული. ჩვენი ეპოქისათვის კი, რომლისთვისაც ინფორმაცია წამყვან ელემენტად იქცა, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ "ძალისა" და "ფლობის" სტრატეგიული პარადიგმა გამოუსადეგარია. საჭიროა ახალი პარადიგმა, რომელიც დამყარებული იქნება არა "ფლობაზე", არამედ "ყოფაზე" და გაითვალისწინებს რაციონალურისა და ემოციურ-ინტუიციურის ერთიანობას. აღინშნულ იმპერატივს კარგად პასუხობენ ქალები, რადგანაც მათ ბუნებით უფრო ჰარმონიული სტრუქტურა აქვთ და შესწევთ იმის უნარი, რომ გაითვალისწინონ ფლობასა და ძალაზე დამყარებული ცივილიზაციის პრინციპული ნაკლოვანებები.

სქესის პრობლემა აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც ცივილიზაცია ისეთი პრინციპული სიძნელეების წინაშე დგება, რომლებიც ვერ გადაიჭრება არსებული პირობებისა და კულტურული ნორმების ჩარჩოებში. სწორედ ინდუსტრიული ცივილიზაციის კრიზისულ სიტუაციაში, რომელმაც სხვადასხვა სფეროში იჩინა თავი, აიძულა საზოგადოება მიემართა გენდერული პრობლემისათვის.* ამერიკელი ფემინისტი ქალი ანე კენტ რუში თავის წიგნში "ფემინიზმი და თერაპია" (1974 წ.) წერს, რომ ფემინიზმი პოლიტიკის თერაპიად მოგვევლინა, იგი მას მორალური დაცემისაგან იხსნის. და ეს შემთხევით არ არის. რთულ სიტუაციაში, რომელიც თავადვე შექმნეს, მამაკაცები ყოველთვის ქალებს მიმართავენ.

შეიძლება გამოვყოთ ქალებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი სპეციფიური თვისებები. აღნიშნული თვისებების გათვალისწინება ხელს შეუწყობს აზროვნების სივრცის გაფართოებას და წინაპირობა იქნება ახალი, ჰარმონიული სოციუმის შესაქმნელად.

სპეციალისტების აზრით, ქალებს პოლიტიკაში შემოაქვთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღირებულებები და დამატებითი კომპეტენტურობა. ისინი გაცილებით უფრო ნაკლებად არიან მიდრეკილნი კონფრონტაციისადმი და იშვიათად მიმართავენ პრობლემების გადაჭრას ძალადობის გზით, მიზნის მიღწევისას თანამიმდევრულობას, გამომგონებლობას და ადამიანურ ურთიერთობებში კონტაქტურობის მაღალ უნარს ავლენენ. მართვისას ქალები ნაკლებად ავტორიტარულები არიან და ხშირად უარს ამბობენ ძვირადღირებული ანტურაჟის შექმნაზე, რომელიც დამახასიათებელია უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებისათვის. დაბოლოს მაღალ იერარქიულ სტრუქტურებში ქალების ყოფნა ძალზე დადებითად მოქმედებს მათი კოლეგა მამაკაცების ქცევაზე — აკავებს, დისციპლინას მატებს და აკეთილშობილებს მათ ქმედებებს.

---

* საყურადღებოა, რომ სქესის პრობლემა სოციალურად აღქმადი გახდა შედარებით არც თუ დიდი ხნის წინ, ბოლო დაახლოებით 100-150 წელია.

გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, ქალთა ელექტორატის, მათი მოტივაციისა და ქცევის, პოლიტიკური ორგანიზაციის, განათლების საკითხების, აგრეთვე ქალთა პოლიტიკური მომზადების საკადრო პოლიტიკის შესწავლა. ჩვენი ცოდნა ამ მხრივ, მცირეა და უფრო ინტუიციასა და იმპროვიზაციაზეა დამყარებული.

4. პოლიტიკაში ქალის აღქმის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები

საზოგადოებრივ ცნობიერებაში არსებობს მნიშვნელოვანი ასიმეტრია მამაკაცისა და ქალის, როგორც პოლიტიკური ლიდერისა და ხელმძღვანელის შეფასებაში. ერთი მხრივ, როგორც წესი, საკმაოდ რთულად აღიქმება ქალის შესაძლებლობები, როგორც ლიდერისა, დამოუკიდებელი, ობიექტური პიროვნებისა, რომელსაც გააჩნია მასშტაბურად ფიქრისა და პოლიტიკური მანევრირების უნარი.

მეორე მხრივ, ხელმძღვანელი მუშაკის სტერეოტიპული მოდელი ქალ-ლიდერზე თავისებურ გავლენას ახდენს. იგი ყალიბდება "მამაკაცური" სტანდარტის საფუძველზე, რის შედეგადაც ტანსაცმელი, ქცევის მანერა თავისებურ ცვლილებას განიცდის და სახეზეა რამდენადმე "მასკულინიზებული" ქალი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქცევის სიხისტე და თვითდაჯერებულობა. შედეგად კომპრომეტირებულია ქალი-ლიდერის იდეა. თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლებელი და სასურველი იქნებოდა დღის წესრიგში დამდგარიყო ტრადიციულად გამომუშავებელი ნორმების და ქცევის ჩვეული რიტუალის შეცვლა.

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების კონსტიტუციებში დაფიქსირებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებისანობა ცხოვრების ყველა სფეროში, მთ შორის პოლიტიკაში. არ არსებობს პირდპირი სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეზღუდავდნენ ქალების პოლიტიკურ და მმართველობით სტრუქტურებში მონაწილეობას, მაგრამ ბევრ ქვეყანაში არის ნორმატიული აქტები სხვადასხვა შრომითი შეღავათის შესახებ, რომლებიც, პირველ რიგში, დაკავ-შირებულია მშობლობის ინსტიტუტთან და ორიენტირებულია მხოლოდ ერთ მშობელზე - დედაზე. დედას ამ შემთხვევაში უხდება ოჯახური და სამსახურებრივი ფუნქციების შეთავსება. შესაბამისად, ქალი აღიქმება მუშაკად, რომელსაც ბევრი შეღავათი აქვს და მართველობით სტრუქტურებში დაწინაურებისათვის არასაიმედო კანდიდატია.

სოციალურ-ეკოომიკური ფაქტორების გარდა მოქმედებაში მოდის სოციალურ-კულ-ტურული ნორმაც, რომელიც არეგულირებს ადამიანის ქმედებას გარკვეულ სიტუაციაში. მის საფუძველს წარმოადგენს შეზღუდვები და აკრძალვები, რომელთა საშუალებით საზოგადოება თავისი წევრების ქმედებათა სტანდარტიზებას ახდენს. გარდა ამისა, ის შეიცავს დადებით განაწესსაც, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ უნდა და შეიძლება მოიქცეს ადამიანი. ამ ნორმების შესრულება მეტწილად შინაგანი ფსიქოლოგიური განაწესით არის განპირობებული. ლიდერის ქცევის ნორმები საზოგადოების სოციონორმატიული კულტურით არის განპი-რობებული.

ნამდვილად მისაღებია ი. კონის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სქესთა შორის საზოგა-დოებრივ ურთიერთობათა ხასიათი დამოკიდებულია არა იმდენად შრომის დანაწილებაზე სქესის მიხედვით და მამაკაცებისა და ქალების სპეციფიკურ მოვალეობებზე, რამდენადაც ძალაუფლების განაწილებაზე, მამაკაცური და ქალური საქმიანობის საზოგადოებრივი აღიარების ზომაზე. (Кон, 1988).

ტრადიციული დამოკიდებულება ქალისადმი მთელი სიცხადით სწორედ მმართველობით სფეროში ვლინდება, როგორც პრივილეგირებული, პრესტიჟული საქმიანობის დარგში, რომელიც მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს უზრუნველყოს.

ქალთა პოლიტიკურ მმართველობაში ჩართვისათვის მეტად მნიშვნელოვანია გათვალის-წინებული იქნეს შემდეგი ფაქტორები: პროფესიული ზრდა და პროფესიული კომპეტენტუ-რობა, ინდივიდის კონკურენტუნარიანობა, სოციალურ-საყოფაცხოვრებო სფეროს სტრუქტუ-რის ხარისხი.

გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც მოითხოვს მაღალ პასუხისმგებლობას და, არცთუ იშვიათად, დროის ზედმეტ დანახარჯსაც. ამდენად, ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საყოფაცხოვრებო პირობების კარდინალურ გარდაქმნაზე იმ მიზნით, რომ მან არ შეაფერხოს ქალის ინდივიდუალური თვისებების გამოვლენისა და რეალიზების პროცესი.

ხშირად დისკუსიის საგანი ხდება შეკითხვა: რად უნდა ქალს მაღალი თანამდებობრივი პოსტი? ასახელებენ ალტერნატივას: ან ხელმძღვანელობა, ან სიყვარული, ოჯახი, ბედ-ნიერება. ასეთი ალტერნატივა, უბრალოდ, დღესდღეობით კორექტული არ არის. სიყვარული, ოჯახი, ბავშვები პარტნიორობას, როგორც ქალების, ისე მამაკაცების თანაბარ მონაწილეობას მოითხოვს.

როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, ქალის ყოველ ნაბიჯს ახალი სოციალური როლის ათვისების გზაზე თან სდევს უარყოფითი რეაქცია საზოგადოების კონსერვატიულად განწყობილი ნაწილისაგან, რომელიც ამ მოვლენაში თავისი ჩვეული პრივილეგიების დაკარგვის საშიშროებას ხედავს. ასე იყო, როდესაც ქალები იბრძოდნენ განათლების და მუშაობის უფლებების მისაღებად, პოლიტიკური თავისუფლებებისთვის. სხვადასხვა საერთაშორისო ცენტრების და ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფენ, რომ ქალების მონაწილეობა მმართველობის ნებისმიერ დონეზე სტაბილურობის ფაქტორია. იქ, სადაც ქალები მმართველობით სტრუქტურებში 40%-ს შეადგენენ, საზოგადოება უფრო სტაბილურად ვითარდება და სოციალურად არის ორიენტირებული.

კვოტების პრობლემა

როგორც მსოფლიო გამოცდილებამ გვიჩვენა, ქალების პოლიტიკაში ინტეგრაცია შესაძლებელია განხორციელდეს ეგალიტარული პოლიტიკის ფორმირების, ქალთა რეალური თანასწორობის საქმეში სახელმწიფოს, წამყვანი პოლიტიკური პარტიებისა და საზო-გადოებრიობის ფართო მასების როლის გაზრდის ხარჯზე. (Шинелева,1996). მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე წარმატებულად მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

- პარტიული კვოტა, ანუ, პარლამენტში პროპორციული საარჩევნო სისტემით, კანდიდატი-ქალების რაოდენობის გაზრდის პოლიტიკური მიზანი;
- კანონმდებლობა, რომლის თანახმად სქესთა თანაფარდობა პარტიების მიერ წარდგენილ კანდიდატთა სიებში უნდა შეესებამებოდეს ქვეყნის დემოგრაფიულ მაჩვენებელს;
- საარჩევნო სისტემის შეცვლა ერთმანდატიანი (მაჟორიტარული) წარმომადგენლობიდან პროპორციულ წარმომადგენლობაზე.

აუცილებელია შეტანილი იქნეს კორექტივები არა მარტო სახელმწიფოს არსებულ იდეოლოგიაში, არმედ ქალთა მიმართ მოქმედ კანონმდებლობაში. საუბარია იმაზე, რომ აღმოიფხვრას უთანასწორობა, რომელიც ქალთა კონკურენტუნარიანობას ობიექტურად ამცირებს.

მიზანშეწონილია შემუშავებული იქნეს ქვოტების სისტემა, რომელსაც თან უნდა სდევდეს მთელი საარჩევნო სისტემის კორექტირება და რომლის მიზანიც იქნება პარტიულ სიებში ქალ-კანდიდატთა რაოდენობის გაზრდა.

შემუშავებულ უნდა იქნას მიღებულ გადაწყვეტილებათა გენდერული ექსპერტიზის სისტემა, აგრეთვე ქალთა უფლებების დაცვაზე სისტემატური კონტროლი და საკადრო პოლიტიკა.

სახელმწიფომ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური ლიდერობის სკოლების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალების მომზადებას პოლიტიკური საქმიანობისათვის.

ზომები, რომელიც ზოგიერთმა ევროპის საბჭოს ქვეყანამ განახორციელა გენდერული ბალანსის გასაუმჯობესებლად

ქვეყანა	გატარებული ზომები
ბელგია	ბელგიაში 1994 წელს მიიღეს კანონი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა ბალანსირებულ მონაწილეობას საარჩევნო სიებში. ამ კანონის მიხედვით, ყველა პოლიტიკურ არჩევნებში კანდიდატების მხოლოდ 2/4 შეიძლება იყოს ერთი და იმავე სქესის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილები, რომლებიც ქალებს უნდა შეევსოთ, ვაკანტური რჩება. პრაქტკულად ეს ნიშნავს, რომ ყოველ პარტიულ სიაში დაწესებულია 1/4 კვოტა ქალი კანდიდატებისათვის. 2000 წელს სენატის და წარმომადგენელთა პალატის მიერ მოხდა ბელგიის კონსტიტუციის მეორე თავის გადასინჯვა. ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა გარანტირებულია კონსტიტუციით, რომელიც აცხადებს, რომ კანონი, დეკრეტი ან წესი ქალებს და მამაკაცებს მათი უფლებებისა და თავისუფლებების თანაბარი გამოყენების გარანტიას აძლევს განსაკუთრებულად უწყობს ხელს მათ თანაბარ მონაწილეობას არჩევით და საჯარო თანამდებობეზე. გარდა ამისა, კონსტიტუცია ითვალისწინებს შერეულ მონაწილეობას მთავრობებში. პარლამენტში განსახილველად არის აგრეთვე შეტანილი კანონპროექტი, რომლის მიზანია ნებისმიერი დონის საარჩევნო სიები თანაბარი იყოს. ამ კანონპროექტის თანახმად, ყოველ სიაში სხვაობა თითოეული სქესის წარმომადგენელთა შორის ერთს არ უნდა აღემატებოდეს. გარდა ამისა, სიის თავში ორი კანდიდიატი უნდა იყოს სხვადასხვა სქესის წარმომადგენელი.
ირლანდია	ირლანდიაში ექვსი ძირითადი პოლიტიკური პარტიიდან სამში მოქმედებს კვოტის სისტემა (20%-დან 40%-დე ქალი კანდიდატები). დანარჩენი სამი პარტიიდან ერთმა, ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით, მიიღო პოზიტიური სამოქმედო გეგმა, ხოლო მეორემ ქალთა 40%-იანი წარმომადგენლობა დააწესა.
ისლანდია	ისლანდიაში ოთხი ძირითადი პოლიტიკური პარტიიდან ორს აქვს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის წესი. ერთმა პარტიამ მიიღო გენდერული ბალანსის სამოქმედო გეგმა. ისლანდიის პარლამენტმა 1991 წელს მიიღო დადგენილება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ღონისძიებათა გაზრდის შესახებ. სოციალურ საკითხთა სამინისტროს მიერ შექმნილმა კომიტეტმა ორგანიზება გაუწია სარეკლამო კამპანიას, რომელიც ქალებს მოუწოდებდა პოლიტიკაში მიეღოთ მონაწილეობა, საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების ყურადღებას მიაპყრობდა პოლიტიკურ პროცესებში და საარჩევნო სიების წარმოდგენისას გენდერული ბალანსის საკითხებზე.
მაკედონია	მაკედონიაში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ლობირებით 2002 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი კვოტის შესახებ: ”40% ქალთა წარმომადგენლობა ყველა პარტიულ სიაში.
შვედეთი	შვედეთში პოლიტიკური პარტიები მხარს უჭერენ 40/70 წესს თანამდებობებზე და საარჩევნო სიებში დასახელების დროს, რაც პრაქტიკულად ნიშნავს, რომ არც მამაკაცთა და არც ქალთა რაოდენობა არ უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები. სოციალისტური დემოკრატიული პარტია თავის 1994 წლიდან თავის საარჩევნო სიას მამაკაცთა და ქალთა მონაცვლეობით ადგენს, რის შედეგადაც მთავრობაში ქალების რაოდენობა 45%-ია, პალამენტში კი — 44%.
ესპანეთში	ესპანეთში პოლიტიკური პარტიები თვითონ განსაზღვრავენ, როგორ გაზარდონ ქალთა წარმომადგენლობა ხელისუფლებაში. შედეგად, მთავრობაში 21% ქალებია, ხოლო პარლამენტში 28%.
ნორვეგია	ნორვეგიაში ყველა საჯარო თანამდებობაზე, საბჭოში თუ კომიტეტში, ქალთა წარმომადგენლობა უნდა იყოს 40% მაინც. საპარლამენტო არჩევნებს ეს კვოტა არ ეხება. პოლიტიკურ პარტიათა უმეტესობა თვითონ ადგენს არაოფიციალურ წესს და მეთოდს, რაც თითქმის კვოტის იდენტურია. აღნიშნული პოლიტიკის გატარების შედეგად მთავრობაში ქალთა რაოდენობა 42%-ია, პარლამენტში კი - 47%.

ლუქსემბურგი	ლუქსემბურგში სამმა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანმა პარტიამ, რომლებიც პარლამენტშია (პალატაში) წარმოდგენილი განახორციელა შიდა პოზიტიური ღონისძიებები. სოციალურ-ქრისტიანულმა პარტიამ ამოცანად დაისახა სრული თანასწორობის მიღწევა პარტიულ თანამ-დებობებზე და პარლამენტში. საარჩევნო სიებში 1/4 ქალებია. მწვანეთა პარტიამ გამოაცხადა კვოტა 50/50. შედეგად ქალების რაოდენობა მთავრობაში 40%-ია, ხოლო პარლამეტში — 18%.
დიდი ბრიტანეთი	დიდ ბრიტანეთში 2002 წლის დეკემბერში მიღებული იქნა კანონი, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ნებას რთავს განახორციელონ პოზი-ტიური ზომები ქალთა და მამაკაცთა არათანაბარი წარმომადგენლობის შესამცირებლად.
მალტა	მალტაში ლეიბორისტულმა პარტიამ გენერალურ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად შემოიღო კვოტის სისტემა: 1999 წ. - 25%; 2000 წ. - 40%; 2001 წ. - 45%; 2002 წ. — 40%, ხოლო პარტიულ თანამდებობებზე 20%-იანი კვოტა.
პოლონეთი	პოლონეთში ძირითადი პოლიტიკური პარტიები აღიარებენ ქალთა მონაწილეობის გაზრდის აუცილებლობას, მაგრამ არავითარ სპეციალურ ღონისძიებებს არ ახორციელებენ.
პორტუგალია	პორტუგალიაში ერთადერთი პარტია, რომელსაც დაწესებული აქვს 25%-იანი კვოტა როგორც პარტიული თანამდებობისათვის, ისე საარჩევნო სიებისათვის, არის სოციალისტური პარტია. 2002 წლის არჩევნებში ეს პარტია 97 ადგილით მესამე ადგილზე გავიდა. პარლამენტის 240 წევრიდან 22 ქალია (22,9%).
საფრანგეთი	საფრანგეთში ორმა პოლიტიკურმა პარტიამ - სოციალისტურმა და მწვანეთა პარტიამ განახორციელა პოზიტიური ღონისძიებანი პარტიის შიგნით. 1999 წელს მოხდა კონსტიტუციის გადასინჯვა და გამოცხადდა არჩევით თანამდებდებობებსა და არჩევით ორგანოებში ქალთა და მამაკაცთა მონა-წილეობის მისაწვდომობა. მე-4 მუხლი კანონს ავალებს პასუხისმგებლობას თანაბარ მისაწვდომლობაზე ხოლო მუხლი 4 აცხადებს, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი უნდა შეუწყონ აღნიშნული პრინციპის განხორციელებას. 2000 წლის 4 მაისს მიღებული იქნა სპეციალური კანონი ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მისაწვდომობის შესახებ. კანონპროექტი მთავრობის მიერ იქნა წარდგენილი. მთავრობამ აირჩია, ერთი მხრივ, ბალანსირებული წარმომადგენ-ლობა (50% თითეული სქესის კანდიდატი), მეორე მხრივ, არ შეეხო ხმის მიცემის სისტემას. საპარლამენტო არჩევნებში ყოველ საარჩევნო სიაში "სხვაობა ქალ და მამაკაც კანდიდატთა რაოდენობას შორის ერთს არ უნდა აღემატებოდეს" ხოლო ადგილობრივ და რეგიონულ არჩევნებში 8 კანდიდა-ტურისაგან შედგენილ ყოველ ჯგუფში 4 ქალი და 4 მამაკაცი უნდა იყოს. უფრო მეტიც, კანონის თანახმად, თუ პოლიტიკურ პარტიაში ქალთა კანდი-დატების და მამაკაც კანდიდატების სხვაობა 2%-ს აღემატება, მაშინ პარტიის დაფინანსება შემცირდება იმ პროცენტების ნახევრის რაოდენობით, რასაც ეს განსხვავება შეადგენს, (მაგ., 10% - სხვაობა, 5% - დაფინანსების შემცირება). ამის შედეგად 2001 წელის არჩევნებით სენატში ქალთა რაოდენობა გაორმაგდა, 2001 წლის მუნიციპალურ არჩევნებში ქალთა რაოდენობამ 47,5% შეადგინა.
ფინეთი	ფინეთში 1995 წლის ქვოტის კანონი ავალებს ხელისუფლებას ხელი შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიღწევას. ქვოტის კანონი არ ეხება საპარლამენტო და მუნიციპალურ არჩევნებს. საერთო კლიმატი ქვეყანაში ასეთია: მთავრობაში ქალთა წარმომადგენლობა — 44,4%, პარლამენტში — 47%.
სომხეთი	სომხეთში 1999 წელს მიღებული იქნა საარჩევნო კოდექსი, რომლის თანახმად პარტიული სიები უნდა შეიცავდეს ქალი კანდიდატების არანაკლებ 5%-სა.

კითხვები და დავალებები:

1. მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გავლენა თანამედროვე საზოგადოებაში ქალის როლსა და სტატუსზე.
2. რა შეხედულებებია საზოგადოებაში ქალის სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობის შესახებ?
3. ქალის, როგორც-პოლიტიკოსის მოღვაწეობის სტილის თავისებურებებები რა ზომები არის მიღებული გენდერული ბალანსის გასაუმჯობესებლად?

ლიტერატურა:

1. გენდერული თეორიების ანთოლოგია. თბ., ბაკურ სულაკაურის გამოცემა, 2002
2. "გენდერის აქტუალური საკითხები". ჩგაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 1998.
3. ქალის ადამიანის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ. თბ., გამომც. "ლოგს პრესი", 2001
4. საერთაშორისო კონვევციები ქალის უფლებების სფეროში; საქართველოს საკანონმდებლო და რეალურად მოქმედი მექანიზმები. თბ., 1998.
5. ქალი და არჩევნები. "გენდერული განვითარების ასოციაცია". თბილისი, 2002
6. Бергер И., На чем держится теория модернизации? "РЖ Социология", 1997 № 4
7. Женщины скандинавских народов на рубеже XXI века.Орел 2000
8. Кон И.С., Введение в сексологию. М., 1988
9. Мюрдаен Г., Современные проблемы «третьего мира» М., 1972
10. Уськов Г.С., Твои права, человек. М., 1993
11. Хабермас Ю., Модернизация – несовершенный проект. Ж. Вопросы Философии, 1994, № 4
12. Фридан Б. Загадки женственности М., 1994
13. Шинелева Л.И. Женщина и власть. Интеграция в политику // Пеформа, 1996 №11

თავი V II
ქალთა მოძრაობები თანამედროვე მსოფლიოში

1. ისტორიული ექსკურსი

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ქალთა მოძრაობები განმანათლებლობის ხანის განმანთავისუფლებელ და დემოკრატიული იდეების ჩასახვასთან არის დაკავშირებული. მის პირველ მანიფესტს კი **"ქალის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია"** წარმოადგენს, რომელიც ფრანგმა მწერალმა ქალმა ოლიმპია დე გუჟმა "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის" (1791 წ) საპასუხოდ დაწერა. მან მოითხოვა ქალების სრულუფლებიან მოქალაქეთა კატეგორიაში ჩართვა, რომლის მთავარი იდეაც ქალის, როგორც თავისუფალი პიროვნების აღიარება და მისი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა იყო. ამავე იდეას უსვამდა ხაზს I. ფურიე, როდესაც ამბობდა: "ქალთა უფლებების გაზრდა ყოველგვარი სოციალური პროგრესის მთავარი პრინციპია."

თანასწორობისათვის მებრძოლი ქალები თავდაპირველად ცდილობდნენ თავისი მიზნებისათვის სამართლის სფეროში პროგრესული რეფორმების გატარების გზით მიეღწიათ.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ქალები მონაწილეობას იღებდნენ ყველა ფართომასშტაბიან სახალხო გამოსვლეაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, რევოლუციის ბელადები უგულველყოფდნენ ქალთა თანასწორობის იდეას და ქალთა პირველი ორგანიზაციები — რევოლუციური კლუბები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკური ბრძოლაში თანდათან დახურეს.

ინგლისში ქალთა თანასწორუფლებიანობის იდეა წამოყენებულ იქნა მერი უოლსტონ კრაფტის (1759-1797) მიერ წიგნში "ქალთა უფლებების დასაცავად" (1792).

XIX საუკუნის დასაწყისში ქალთა მოძრაობის აქტივისტები ყურადღებას ამახვილებენ თანასწორ უფლებებზე განათლების მიღების საკითხში. ამ მოთხოვნებს ემატება უფლება შრომაზე. საფრანგეთში მწიფდება იდეა ქალის ოჯახში მონობის წინააღმდეგ, ხოლო აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში — მამაკაცებთან თანასწორი საარჩევნო ხმის უფლების მოპოვების შესახებ.

XIX საუკუნეში ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ქალთა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი თანასაწორობისათვის მოძრაობას ახალი იმპულსი მისცეს. გაჩნდა ქალთა კლუბები, მრავალრიცხოვანი ქალთა კავშირები. 1848 წელს აშშ-ში შედგა ისტორიაში ქალთა უფლებების დაცვის პირველი ყრილობა.

XIX საუკნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქალთა ორგანიზაციები გაჩნდა ევროპის, აზიისა და ამერიკის ბევრ ქვეყანაში. 1888 წელს ამერიკელი ქალების ინიციატივით შეიქმნა ქალთა პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია — ქალთა საერთაშორისო საბჭო. 1904 წელს დაარსდა **სუფრაჟისტთა** საერთაშორისო ორგანიზაცია - ქალთა საამომრჩევლო უფლებათა საერთაშორისო ალიანსი. ამასთან ერთად იქმნებოდა საქველმოქმედო, რელიგიური, ეროვნული ქალთა ორგანიზაციები. იყო მცდელობები შექმნილიყო ცალკეული ქალთა პროფკავშირული ორგანიზაციები, რაც კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობის გააქტიურებასთან იყო დაკავშირებული. რიგ ევროპის ქვეყნებში ქალთა მოძრაობები სულ უფრო პროლეტარულ მიმართულებას იძენენ, თანასწორობის იდეა მჭიდროდ უკავშირდება მშრომელთა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ საერთო ამოცანებს. განსაკუთრებით აქტიური იყო ამგვარი მოძრაობა გერმანიაში, სადაც კლარა ცეტკინის ხელმძღვანელობით დაიწყეს ჟურნალის გამოცემა, რეგულარულად იწვეოდა სრულიადგერმანიის ქალთა კონფერენციები. 1907, წელს შტუდგარტში და 1910 წელს კოპენჰაგენში შედგა ქალ-სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენციები. კოპენჰაგენში, სადაც 17 ქვეყნის დელეგატი ქალები ესწრებოდნენ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება 8 მარტი დაწესებულიყო ქალთა საერთაშორისო დღედ.

პირველი მსოფლიო ომის წლებში მიმდინარეობს დიფენენციაციის პროცესი. ამ პერიოდში ისხება საერთაშოისო პაცეფისტური მოძრაობა. 1915 წელს ჰააგაში ამერიკელი საზოგადოებრივი მოღვაწის ჯეინ ადამსის ინიციატივით დაარსდა ქალთა საერთაშორისო კომიტეტი "მყარი მშვიდობისათვის (1919 წლიდან ქალთა საერთაშორისო ლიგა "მშვიდობისა და თავისუფლები-

სათვის"), მუშაობა ქალთა შორის გააქტიურეს სოციალ-დემოკრატებმაც, რის შედეგადაც შეიქმნა ქალთა საერთაშორისო სოციალისტური სამდივნოს. გაჩნდა ქალთა სპეციალიზებული ორგანიზაციები — ქალთა საერთაშორისო ფედერაცია საუნივერსიტეტო განათლებით (1919 წ.) ღია კარის ინტერნაციონალი დასქმებულ ქალთა ეკონომიკური განთავისუფლებისათვის (1929 წ.) და სხვ. კომინტერნთან შეიქმნა ქალთა საერთაშორისო სამდივნო.

ფაშიზმის საშიშროებამ ქალთა ანტიფაშისტური მოძრაობის ჩამო.ყალიბება გამოიწვია, რომელიც ერთიანი სახალხო ფრონტის შემდგენელი ნაწილი იყო. 1934 წელს პარიზში ჩატარდა ფაშიზმისა და ომის საწინააღმდეგო ქალთა მსოფლიო კონგრესი, ხოლო 1938 წელს - მარსელში ომისსაწინააღმდეგო ქალთა კონგრესი. მეორე მსოფლიო ომის დროს ქალთა ბევრი ორგანიზაცია აქტიურად იბრძოდა ფაშიზმის წანააღმდეგ.

ფაშიზმის დამარცხების შემდეგ ქალთა მოძრაობაში ახალი პროცესები ვითარდება. სულ უფრო დიდი აქცენტი კეთდება ქალთა უფლებების დაცვაზე, ბავშთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, იზრდება ზოგადსოციალური, ეროვნული და საერთაშორისო საკითხების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პრობლემების სპექტრი.

თანმედროვე პირობებში დასავლეთსა და აშშ-ში ქალთა მოძრაობა — ეს არის ქალთა აქტიური გამოსვლები, თანაბარი უბლებებისათვის სამუშაოზე მიღებისას, პროფესიის ათვისების, ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნის და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებაში მონაწილეობისას.

მიუხედავად არსებული კანონმდებლობისა ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ქალთა ინტელექტუალური პოტენციალის სრული რეალიზება. დღემდე მოქმედებენ პატრირქალური აზროვნების სტერეოტიპები, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციას უწყობენ ხელს. ქალები ძირთადად დასაქმებულნი არიან მომსახურების სფეროში, ადმინისტრაციული აპარატის დაბალ თანამდებობებზე. თუმცა ზოგიერთ ქვეყნებში ქალებმა შეძლეს აღიარება მოეპოვებინათ ისეთ სფერობში, რომლებიც წმინდა მამაკაცურად ითვლებოდა. აშშ-ში მოსამართლე ქალთა რაოდენობა 1985-1995 წელს 7%-დან 18%-დე გაიზარდა, ოპერატორებისა და საინფორმაციო სისტემების სპეციალისტებისა 11%-დან 28%-მდე, ეკონომისტებისა — 13,3%-დან 34,5%-მდე, არქიტექტორებისა 4,3%-დან 11%-მდე. როგორც ამერიკელი მკვლევარები აღნიშნავენ, თუმცა ქალებმა შეძლეს გარღვევა და აითვისეს პროფესიები, რომელიც წმინდა მამაკაცურ პროფესიებად ითვლებოდა, თანასწორობისაგან ისინი ჯერ კიდევ შორს არიან. (Working Women. P. XII).

Mქალთა მოძრაობის განვითარებში უდიდესი როლი ითამაშა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც თავისი შექმნის დღიდან (1945 წლის 24 ოქტომბერი) თანასწორი უფლებების გარანტად გვევლინება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გაერომ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ საკითხში, აგრეთვე, იუნესკომ (პარიზი) — გაეროს ორგანიზაციამ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, რომელიც 1946 წელს შეიქმნა. გარდა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა განათლების და კულტური დარგში, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული ინფორმაციის გავრცელებისა იუნესკომ გამოვიდა პროგრამით განათლების დარგში დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ეროვნული კულტურების დაცვისათვის.

თანამდროვე ეტაპზე ქალთა მოძრაობამ ახალი გააზრება, შინაარსი და პრიორიტეტები შეიძინა, რაც იმასთან არის დაკავშირებული, რომ ყალიბდება ღირებულებათა და იდეალთა ახალი სისტემა, ვითარდება და იხვეწება ფემინისტური თეორია, რომელიც მოქალაქეობრივ უფლებებზეა დაფუძნებული, იცვლება ურთიერთობები ოჯახში, ყალიბდება ოჯახისა და ქცევის ახალი მოდელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალთა მოძრაობამ, თეორიისა და პრაქტიკის შერწყმის, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიეროა, სულიერი, სოციალური პრობლემების გადაჭრისადმი კომპლექსური მიდგომის ხარჯზე, ახალი ხარისხი შეიძინა. დღეისათვის შვეციაში მოქმედებს ქალთა სოციალ-დემოკრატიული კავშირი, გერმანიაში — პარტიებსა და პროფკავშირებში 100-ზე მეტი ქალთა ორგანიზაცია და სექცია. აშშ-ში 1000-ზე მეტი ქალთა ორგანიზაცია, აქედან 100- ზე მეტი საერთოეროვნული. ისინი აერთიანებენ სხვადასხვა

პოლიტიკური მრწამსის მქონე მილიონზე მეტ ქალს. არსებობს საუნივერსიტეტო განათლების მქონე ქალთა ამერიკული ასოციაცია - ქალთა ყველაზე უფრო მსხვილი ეროვნული გაერთიანება, ფილიალებით მთელს ქვეყანაში. მის პროგრამას შეადგენს: თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები ყველა ამერიკელი ქალისათვის, განსაკუთრებით პოლიტიკაში; საკანონმდებლო ბაზის გაფართოება; სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და სხვ.

ქალთა მოძრაობების ამოფრქვევა დასავლეთსა და აშშ- ში XX საუკუნის 60-იან წლებზე მოდის. ეს არის ფემინიზმის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური თეორიის განვითარების პერიოდი, რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია დასაქმებულ ქალთა სოციალურ-პოლიტიკური აქტიობის ზრდასთან, რომელთა რაოდენობაც დღითი-დღე იზრდება. შეიცვალა ქალთა სოციალური პრიორიტეტები, მათი იმიჯი. უარის თქვეს რა მხოლოდ ცოლობის, დისასახისობისა და ქმრების დამხმარეების როლზე, ქალები იღწვიან თვითრეალიზაციის, სოციალური აღიარებისა და მამაკაცთან თანაბარი პარტნიორული ურთიერთობებისათვის. ამ პერიოდში ხდება ქალთა ეროვნული და საერთაშორისო მოძრაობების და ორგანიზაციების ფორმირება. ქალების მოქალაქეობრივი აქტიურობის ზრდა, მათი მცდელობა თავისებური გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე, ინტერსი გლობალური პრობლემებისადმი, განსაკუთრებით კი იმ პრობლემებისადმი, რომლებიც ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებში შედის, პროტესტი გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, გარემოს დაცვა — ეს ყველაფერი ქალთა მოძრაობას თანამედროვე დემოკრატიის საკმაოდ მძლავრ ძალად აქცევს.

2. ქალთა მოძრაობა – ქალთა პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი ფაქტორია

ქალები სულ უფრო ფართოდ ებმევიან შრომით საქმიანობაში და მომუშავეთა 40%-ს შეადგენენ. მათი მიერ იქმნება მატერიალური და სულიერი ღირებულებების 1/3“. ქალთა ჩაბმამ ცხოვრების ყველა სფეროში გაამწვავა ბევრი პრობლემა, რომელიც საზოგადოებაში მათ მდგომარეობასთან, საკუთარი უფლებების დასაცავად ქალების გააქტიურებასთან არის დაკავშირებული. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, სადაც ქალთა და მამაკაცთა საერთო განათლებსა და პროფესიონალურ მომზადებაში სხვაობა დიდი არ არის, ეკონომიკური გარდაქმნის ზოგიერთ სექტორში მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა და არასტაბილური დასაქმების ტენდენცია ქალთა შორის. სისტემატურალ იზრდება დასაქმებულ ქალთა რაოდენობა, შესაბამისად მცირდება მათი შემოსავლები და შესაძლებლობა იყვნენ დამოკუიდებელი. (Шинелева, 1995).

მთელ მსოფლიოში შენიშნება დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში. ქალები ოფიციალურად მამაკაცებზე 25-40%-ით ნაკლებს იღებენ. მაგ. გერმანიაში სხვაობა შრომის ანაზღაურებაში შეადგენს 38%-ს, საფრანგეთში — 28%-ს. დიდი ბრიტანეთში 40%-ს, აშშ-ში 40%-ს.

ხშირად ქალები, რომლებსაც სპეციალური განათლება აქვთ ვერ შოულობენ სამსახურს სპეციალობის მიხედვით. გარდა ამისა, ქალები შეზღუდულნი არიან ცოდნისა და ჩვევების მიღებაში, რამაც მათი პროფესიონალიზმის ზრდა უნდა უზრუნველყოს. ბევრი სასწავლო პროგრამა ისევ მხოლოდ მამაკაცების ინტერესებზეა ორიენტირებული. ასეთი მიდგომა აღრმავებს უთანასწორობას, აძლიერებას დისკრიმინაციულ ტენდენციებს და აკნინებს მოსახლეობის ქალთა ნაწილის თვითშეგნებას. ყველა ზემოთ ჩამოთვლლილი ფაქტორი განაპირობებს ქალთა მოძრაობის გააქტიურებას.

სხვადასხვა ქვეყნის ქალები სხვადასხვა ფორმით გამოდიან უმუშევრობის, ინფლაციის, შეიარაღების, მზარდი სახელმწიფო ხარჯების, გენდერული უთანასწორობის და სხვ. წინააღმდეგ და იბრბვიან თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობებისათვის, პროფესიონალური მომზადებისა და შემდგომი ზრდისათვის.

პროტესტს იწვევს, აგრეთვე, გენდერული მიდგომა ქალების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისადმი. ზოგიერთ ქვეყანაში მცირდება ჯანდაცვაზე გამოყოფილი ხარჯების რაოდენობა, რაც უარყოფითად მოქმედებს არა მარტო ქალების, არამედ მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე.

ჯანმრთელობის მდგომარეობასთან არის დაკავშირებული ქალების ფსიქოლოგიური მდგომარეობა. დაუცველობა, უსუსურობა, სტრესები, ძალადობა ოჯახში, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია — ყველაფერი ეს უარყოფით გავლენას ახდენს ქალთა სოციალურ სტატუსზე.

ქალთა მოძრაობები გარკვეული პროგრამების რეალიზაციისათვის იღვწიან, რომლებიც ქალებს საშუალებას აძლევს გამოიმუშაონ საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობა, შეიძინონ ცოდნა და გამოცდილება, იბრძოლონ საკუთარი უფლებებისათვის და გაიუმჯობესონ პირობები, უზრუნველყონ სოციალურ და პოლიტიკური პროცესებში აქტიური ჩართვა.

3. საერთაშორისო ფორუმები ქალთა მოძრაობის ერთობლივი პროგრამის გამომუშავების მნიშვნელოვანი ფაქტორი

ქალთა მასობრივი დემოკრატიული მოძრაობა საერთო დემოკრატიული მოძრაობის შემადგენელი ნაწილია. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს დაარსდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია. ქალთა მოძრაობის ისტორიაში ეს იყო პირველი მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაცია. იგი გამოხატავდა მთელი პლანეტის ქალების სასიცოცხლო ინტერესებს: გამოდიოდა ქალთა ემანსიპაციის, თანასწორუფლებიანობის, განიარაღების, მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისულებისა და დემოკრატიის მოთხოვნით.

თავის საქმიანობაში საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაცია თანამშრომლობდა არა მარტო სხვადასხვა ქალთა, არამედ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, პროფკავშირებთან და სხვ. ხშირად თავის მოთხოვნებს იგი გაეროს ტრიბუნიდანაც აჟღერებდა.

1967 წელს გაეროს გენერალური ასამლეის მიერ მიღებული დეკლარაცია ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ სწორედ მისი საქმიანობის შედეგი იყო ისეთ ქალთა საერთაშორისო ორაგნიზაციებთან ერთად, როგორებიცაა ქალთა საერთაშორისო საბჭო, იურიდიული პროფესიების ქალთა საერთაშორისო ფედერაცია, ქალთა საერთაშორისო ალიანსი და სხვ.

ქალთა მოძრაობის განვითარებასა და განმტკიცებაში უდიდესი როლი ითამაშეს მსოფლიო კონფერენციებმა, რომლებიც ქალთა მდგომარეობას ეძღვნებოდა. **პირველმა კონფერენციამ, რომელიც მეხიკოში ჩატარდა (1975 წ.) მიიღო მოქმედების გეგმა, რომლის საფუძველზეც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა ქალთა საერთაშორისო ათწლეული (1975-1985) ათწლეულის რეალიზაციის მსვლელობისას 1979 წელს გაეროს გენერალურმა ასამლეამ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ.**

მეორე მსოფლიო კონფერენცია შედგა კოპენჰაგენში 1980 წკლს. მან მიიღო მოქმედების პროგრამა ქალთა ათწლეულის მეორე ნახევრისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯანდაცვის, განათლების და დასაქმების პრობლემებს.

მეხიკოს და კოპენჰაგენის კონფერენციების მომზადებისა და ჩატარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ბერლინის (1975 წ.), პრაღის (1981 წ.) მსოფლიო კოგრესებმა. **1985 წელს ნაირობიში შედგა მესამე მსოფლიო კონფერენცია, რომელიც ქალთა ათწლეულში ჩატარებულ მუშაობისა და მისი შედეგების განხილვას მიეძღვნა.**

მეოთხე მსოფლიო კონფერენცია (პეკინი 1995 წ.), ისევე როგორც წინა კონფერენციები, ჩატარდა თანასწორობის, მშვიდობის, განვითარების დევიზით. დღის წესრიგში ჩართულ იქნა ძალადობის პრობლემაც. კონფერენციამ განსაზღვრა ქალთა მოძრაობის განვითარების პრესპექტივები შემდგომ წლებში, მიიღო "მოქმედების პლატფორმა", რომელშიც აისახა საკვანძო პრობლემები, სტრატეგიული მიზნები და მსოფლიოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

საერთაშორისო შეხვედრები სხვადასხვანაირ ხასიათს ატარებენ და გარკვეულად მათი მიზანია ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფოთა პოლიტიკაზე, რათა უზრუნველყონ ქალთა სრულუფლებიანი და სრულყოფილი მონაწილეობა ცხოვრების ყველა სფეროში.

კითხვები და დავალებები:

1. ქალთა საერთაშორისო მოძრაობის დანიშნულება
2. ქალთა საერთაშორისო მოძრაობის შედეგები
3. დაასახელეთ საერთაშორისო ფორუმები და მათი გადაწყვეტილებების რეალიზაციის შედეგები

ლიტერატურა

1. საერთასორისო კონვენციები ქალის უფლებების სფეროში, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა და რეალურად მოქმედი მექანიზმები. თბილისი. 1998
2. ქალი გარდამავალ პერიოდში. თბილისი, 1998
3. ქალი, მამაკაცი და საზოგადოება, თბილისი, 1998
4. საქართველო: ქალი. საზოგადოება. განვითარება. ჩსაქართველოს მთავრობისა და გაეროს ერთობლივი პროექტი "ქალები განვითარების პროცესში".
5. Платформа действий IV Всемирной конференции по положению женщин. ООН. 1995
6. Борьба за улучшение положения женщин, гуманмтарное развитие мира // Международная жизнь. 1995ю № 3
7. Шинелева Л.Т. Путь в XXI век. IV Всемиирная конференция по положению женщин в Пекине. 1995

თავი VIII
გენდერული თანასწორობის პრობლემები საქართველოში

I. საქართველო და ქართველი ქალი

ოდითგანვე ცნობილია, რომ ქართველი ხალხის ზნეობრივი სიწმინდის, შრომისმოყვარეობის, ვაჟკაცური სულისკვეთებისა და ქართული ხასიათის ჩამოყალიბებაში ქალი თვალსაჩინო როლს ასრულებდა. მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი წარსული მდიდარია გამოჩენილ ქალთა სახელებით. მათი დედობა, მამულისათვის თავდადება, ფიზიკურ მშვენიერებასთან შერწყმული პატიოსნება, მაღალი ზნეობა სამშობლოს სინდისის სიმბოლო იყო. შორეულ წარსულში ქალის როლზე მოგვითხრობს ქართული ზეპირსიტყვიერება და წერილობითი ძეგლები. ისინი ნათლად მეტყველებს ქვეყნისათვის თავდადებულ ქალთა საგმირო საქმეებზე. მათ დიდი დამსახურება მიუძღვით საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის შექმნასა და დაცვაში. ქართველი ქალები არა მარტო ოჯახურ საქმიანობას ეწეოდნენ, არამედ მძიმე განსაცდელის ჟამს აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის დაცვასა და მტრის განადგურებაში. ქართველი ქალი ოჯახში მუდამ ერთგული დედა იყო, ბრძოლაში - შეუდრეკელი და უშიშარი მებრძოლი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში - აქტიური და ენერგიული.

საქართველოს მფარველი, როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, ქალია — ღვთისმშობელი მარიამი. ასევე ქალი - წმინდა ნინო - მიჩნეულია ქართველების განმანათლებლად და ქრისტიანობის გამავრცელებლად. ძლიერი საქართველოს ერთ-ერთი სიმბოლოც ქალია — თამარ მეფე.

ფეოდალურ საქართველოში ქალთა სოციალური სტატუსი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის, რთული პოლიტიკური ვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, აგრეთვე გეოგრაფიული ფაქტორების, კულტურული და ისტორიული თავისებურებების ფონზე ყალიბდებოდა. შუა საუკუნეების საქართველოში მამაკაცის ძალაუფლებას ქალზე არასდროს ჰქონია ისეთი უკიდურესი ფორმები, როგორც აღმოსავლეთის მუსლიმანურ და დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში. პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი აღნიშნავს, რომ ფეოდალურ საქართველოში არ არსებობდა პირველი ღამის უფლება. შოთა რუსთაველმა კი ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში თავის უკვდავ ქმნილებაში "ვეფხისტყაოსანი" ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა უმაღლეს დონეზე აიყვანა.

ქალის უფლებრივი მდგომარეობის მაჩვენებელია მისთვის მინიჭებული განქორწინების უფლებაც, რომელიც მთელ ქრისტიანულ სამყაროში აკრძალული იყო. თუ ქართული სამართლის ძეგლებს მივმართავთ, ვნახავთ, რომ კანონი განქორწინებას დასაშვებად თვლიდა ზოგ შემთხვევაში (მაგ., ქმრის ღალატის, მამაკაცის იმპოტენციის დროს). ოჯახის მიტოვების შემთხვევაში კი ორივე სქესის მეუღლე ისჯებოდა. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ქალის სოციალური ფუნქცია მეუღლეობით, ახალი თაობის კვლავწარმოებით და საოჯახო შრომით განისაზღვრებოდა. ქალი, უპირველეს ყოვლისა, საოჯახო მოვალეობის შესრულებით უნდა ყოფილიყო დაკავებული. ქალის მიერ მამაკაცური სამუშაოების შესრულება საზოგადოების მხრიდან მოწონებით არ სარგებლობდა.

მაგრამ XIX საუკუნეში უკვე დაიწყო ქალის ფუნქციებისადმი კონსერვატიული დამოკიდებულების მძაფრი კრიტიკა. დიდმა ქართველმა მწერალმა და მოაზროვნემ ილია ჭავჭავაძემ ქალთა საკითხი საზოგადოებრივ მოქალაქეობრივ უფლებას დაუკავშირა. იგი ქალის პროფესიულ შრომას საზოგადოების ნორმალური განვითარების და ქალის თავისუფლების აუცილებელ პირობად თვლიდა.

ილია, როგორც პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწე, აღიარებდა ქალის თანასწორ უფლებებს და მოვალეობებს, საზოგადოებრივი საქმიანობის და კულტურის ყოველ დარგში. ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში იგი ხედავდა იმ ჩანასახებს, რომლებსაც მოჰქონდა ქალის უფლებრივი გათანაბრება მამაკაცებთან. ი. ჭავჭავაძე წერდა: "შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა

მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაჭერად". (ი. ჭავჭავაძე, 1928).

ქალთა მოძრაობამ, ილიას აზრით, ცხადი გახადა, რომ ქალებს შეუძლიათ საზოგადოერივ შრომაში ჩაებან, ფასეულობა შექმნან და ამიტომ ის "უსამართლობა, რომელიც დღეს აქომამდე დედათა სქესს, ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას საძიძაოდან და სამზარეულოდან გარედ არ უშვებდა და ამათ გარეთ არავითარს საქმეში მონაწილედ არა ხდიდა, ასე, რომ ლუკმა-პურის საშოვრის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ვეღარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულ მოძრაობას". (იქვე გვ. 279).

ილიას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიაჩნდა თვით ქალთა მასების დაინტერესება თავიანთივე გათავისუფლების საქმით. მას "უკბილო საყვედურად და უქმ ჩივილად მიაჩნდა ქალების მამაკაცებზე წუწუნი - აი თქვე გულქვა კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთ" და ქალთა განთავისუფლების მთავარ პირობად თვით ქალების ინიციატივა და აქტიურობა მიაჩნდა. ეს ინიციატივა და თვითმოქმედება ქალებს უნდა დაეწყოთ თავიანთი სწავლა-განათლების უზრუნველყოფით, ვინაიდან ამის გარეშე, ილიას აზრით, სულ უქმია ლაპარაკი მათ გათანასწორებაზე მამაკაცებთან. ამ გზით მათ შეუძლიათ მოიპოვონ ადამიანური უფლება და ღირსება, ანუ გათავისუფლდნენ. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი სიხარულით შეეგება "ქართველი ქალის წერილს", რომელიც 1889 წლის 4 მარტის "ივერიაში" დაიბეჭდა სათაურით:§ "საზოგადოების საყურადღებოდ", სადაც "ქართველი ქალი"* მოუწოდებდა ქალებს თვითონ აეღოთ თავზე ქალთა სასწავლებლის გახსნა და საკუთარი განათლების ხელმძღვანელობა. მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ ქართველ ქალებს თავი დაეღწიათ იმ თითქოს "უწმინდესი და უსამღვთოესი დანიშნულებიდან" როგორიცაა მხოლოდ დედობა, ცოლობა, დობა. ყოველივე ეს ილიას მიაჩნდა ქალის საპატიო მოვალეობად, მაგრამ მისი დანიშნულების მხოლოდ ამით ამოწურვა — დიდ რეგრესულ, უსამართლო და რეაქციულ საქმედ. სწავლა-განათლების გზით დაამტკიცებს ქალი, რომ იგი სრულუფლებიანი ადამიანია და შეუძლია, მამაკაცის მსგავსად, შეასრულოს ყოველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფუნქცია და ამავე დროს იყოს საუკეთესო დედა, ცოლი და და. ამ თემის დასამტკიცებლად ილია ქალთა ემანსიპაციის მოწინააღმდეგე გ. თუმანოვთან კამათის დროს მიმართავს კარლ მარქსს: "მოვიყვანთ მარქსის ნათქვამს", - წერს ილია და მოჰყავს მისი შემდეგი სიტყვები: "როგორიც დედაკაცია, ისეთი ოჯახიცაა, როგორიც ოჯახია, ისეთი სახელმწიფოცაა" (ი. ჭავჭავაძე , 1928).

ილია ეთანხმება ამ სიტყვებს, როგორც უდავო ჭეშმარტებას ქალის როლის ღირსეულად დაფასებისათვის და ენერგიულად იბრძვის ქალის ფართო მეცნიერული და ტექნიკური განათლების უზრუნველყოფისათვის და საზოგადოებრივი აქტიურობისათვის.

სწორედ მისი მოღვაწეობის პერიოდში აღინიშნა ქალის უფლებების ზრდა როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე, რასაც კაპიტალიზმის განვითარებამაც შეუწყო ხელი. ჩამოყალიბდა მუშა ქალების ფენა. XX საუკუკნის დასაწყისში გაიხსნა კავკასიაში პირველი ქალთა უმაღლესი სასწავლებელი - ქალთა უმაღლესი კურსები. გარკვეული წარმატება იქნა მიღწეული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში

ერთ-ერთ პირველ ქალთა ფორმალურ ორგანიზაციას, "ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაციას", რომელმაც ფართო საქველმოქმედო და საგანმანათლებლო მუშაობა ჩაატარა, სწორედ ილიას მეუღლე — ოლღა გურამიშვილი ხელმძღვანელობდა.

ქალთა ორგანიზაციების მასობრივი შექმნის ტენდენციები საქართველოში 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გაჩნდა. იქამდე გამოკვეთილ საგანმანათლებლო და საქველმოქმედო სფეროს ქალთა უფლებათა დაცვა მიემატა.

ქალთა პირველი ფორმალიზებული, ხშირად დროებითი, გაერთიანებები სხვადასხვა წრის, კომისიის და კომიტეტის სახით ფუნქციონირებდნენ, მათგან აღსანიშნავია უკვე ზემოთ ხსენებული "ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაცია", "თბილისელ ქალთა წრის კომისია", "ქართველ ქალთა საზოგადოება" და სხვ. მათში ისეთი გამოჩენილი საზოგადო

* ამ ქართველი ქალის ვინაობა დღემდე გამოურკვეველია.

მოღვაწე ქალები იყვნენ ჩაბმული, როგორებიც იყვნენ ოლღა გურამიშვილი, ნინო ტატიშვილი-ყიფიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი.

1902 წელს "თბილისელ ქალთა წრის" მიერ დაარსდა სასწავლებელი ღარიბი გოგონებისა-თვის, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდას. სკოლას მნიშვნე-ლოვან მატერიალურ დახმარებას უწევდა დავით სარაჯიშვილის მეუღლე — ეკატერინე ფორაქიშვილი.

სკოლა მთავრობამ 1908 წელს დახურა, რაც მძლავრი ბიძგი აღმოჩნდა ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნისათვის როგორიცაა მაგ. საზოგადოება "ცოდნა".

ქალთა წრის მონაწილე იყო მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელმაც შემდგომში თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისთან ერთად დაარსა საქველმოქმედო ორგანიზაცია ე.წ. "დამწვრობის კომიტეტი", რომელმაც მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა 1905 წლის მასობრივი გამოსვლების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია, რომელიც ქალთა სამართლებრივი საკითხებით იყო დაინტერესებული, - "თბილისელ ქალთა საზოგადოება" დაარსებული იქნა ცნობილი ჟურნა-ლისტისა და მწერალი ქალის დომინიკა ერისთავის მიერ, რომელიც ცნობილი იყო "განდეგილის" ფსევდონიმით. ორგანიზაცია ეყრდნობოდა რუსეთის ქალთა საზოგადოების პროგრამას და აქცენტს ქალთა თავისუფლების იდეაზე აკეთებდა. იგი იდეას ქალთა თავისუფლების შესახებ ფართო პროპაგანდას უწევდა და იმავდროულად ეწეოდა ქველმოქმედებას, აწყობდა მუსიკალურ და ლიტერატურულ საღამოებს.

მნიშვნელოვანი იყო საზოგადოება "განათლების" მიერ წარმოებული მუშაობა ქართული სკოლის განვითარების საქმეში. სკოლას მწერალი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი ხელ-მძღვანელობდა.

ქალთა განათლებისა და უფლებების დამცველი საზოგადოებები გაჩნდა როგორც თბილისში, ისე პროვინციებშიც. მნიშვნელოვანი იყო მათზე სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავლენა.

1905 წელს ანასტასია გედევანიშვილის მიერ დაარსდა "ქალთა თანასწორობის საქართველოს კავშირი", რომელიც მიზნად ქალთა პოლიტიკურ გათავისუფლებას ისახავდა. რეგიონული ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია "საქართველოს ქალთა ფოთის საზოგადოება", რომლის მიზანიც მუშა-ქალთა გათვითცნობირება იყო. ორგანიზაციის დამაარსებელი იყო მწერალი, სოციალ-დემოკრატი ქალი ლიდია მამულაშვილი-მეგრელიძე.

ზოგიერთ რეგიონულ ორგანიზაციას თავისი ფილიალები სოფლებშიც ჰქონდა. ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს მიეკუთვნებოდა მწერალი ქალის ანასტასია ხოშტარია-ერისთავის მიერ 1913 წელს გორში დაარსებული ქალთა გაერთიანება "მანდილი".

2. საქართველოს ქალების სოციალური განწყობა

იმ პერიოდში, როდესაც საქართველო სსრკ-ის ნაწილს შეადგენდა, აქ მიმდინარე ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენა, ასე თუ ისე, საქართველოსთვისაც იყო დამახასიათებელი. ყოფილ საბჭოთა კავშირში ქართველი ქალები თავისი განათლებით, პროფესიონალიზმითა და კვალიფიკაციით ლიდერობდნენ. 1989 წლის აღწერის შედეგად ყოველ 1000 ქალიდან 204-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა. ქალებს ეკავათ ხელმძღვანელი პოსტები სახალხო განათლების, ჯანდაცვის და სხვა სფეროებში. როგორც გამოკვლევები ადასტურებს, სწორედ ქალები გამოირჩეოდნენ საქმისადმი ერთგულებით, კეთილსინდისიერი დამოკი-დებულებით, მაღალი პროფესიონალიზმით და ხელმძღვანელობის კარგი უნარით.

საქართველოში 1990 წლის ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე ქალები ჩაბმული იყვნენ ფართომასშტაბიან ეკონომიკურ საქმიანობაში. ქალთა შრომით საქმიანობაში ჩაბმის მასშტაბები განსაკუთრებით მაღალი იყო სოფლის მეურნეობაში, საზოგადოებრივი კვების სისტემაში, კომუნიკაციების სფეროში და მრეწველობის რამდენიმე დარგში (მსუბუქი, კვების, ქიმიური და ნავთობ-ქიმიური მრეწველობა), აგრეთვე ეკონომიკის ყველა ძირითად არაინდუსტრიულ

სექტორში.

ეროვნული ეკონომიკის ე.წ. მამაკაცურ სექტორშიც კი (მშენებლობა, ტრანსპორტი, მანქანათმშენებლობა, საშენი მასალები და ა.შ.) ქალთა მონაწილეობამ 30-40%-ს მიაღწია.

ქალები უმრავლესობას წარმოადგენდნენ ისეთ პრესტიჟულ პროფესიებში, როგორიცაა: მასწავლებელი, ექიმი, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენელი, მსუბუქი და კვების მრეწველობის ინჟინერი. ზოგადი განათლების დონით და პროფესიული კვალიფიკაციით ქართველი ქალები ლიდერობდნენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ქალებს შორისაც.

შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ სექტორებში ქართველ ქალებს ჰქონდათ კონკრეტული ასპარეზი და შესაძლებლობები კარიერის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში, მათი მონაწილეობა მმართველობით და პოლიტიკურ სტრუქტურებში მკვეთრად შეზღუდული იყო. ქალები ძირითადად მართვის საშუალო რგოლში იყვნენ წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც მამაკაცებს თითქმის ყველა უმაღლესი პოსტი ეჭირათ. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირში არსებობდა მითი იმის შესახებ, რომ ქალთა პრობლემა გადაჭრის პროცესში იყო და ფემინიზმის ყოველგვარი გამოვლინება ნეგატიურ ბურჟუაზიულ მოძრაობად აღიქმებოდა.

ამ პერიოდში ქალთა პრობლემებზე არსებული ინფორმაცია აგებული იყო სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ქალების მიმართ გატარებული პოლიტიკის დაპირისპირებაზე. თანაც, სოციალისტური პოლიტიკა აშკარად შელამაზებული იყო. იგივე შეიძლება ითქვას საზოგადოებაში ქალის სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის ასახვის, ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ხასიათის, მასშტაბებისა და აღწერის შესახებ.

სინამდვილეში სსრკ კონსტიტუციასა და სხვა კანონებში ჩაწერილი ქალთა და მამაკაცთა უფლებების ფორმალური თანასწორობა რეალური უფლებების თანასწორობის გარანტიას არ იძლეოდა. გაეროს მიერ მიღებული და 1981 წ. საბჭოთა კავშირში რატიფიცირებული კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ არ გახდა ქვეყნის საშინაო ცხოვრების კანონი.

ქალებმა მამაკაცებთან თანაბარ მდგომარეობას მხოლოდ რამდენიმე სფეროში მიაღწიეს, რომელთა რიცხვს განათლება მიეკუთვნებოდა. შემოღებული იქნა სავალდებულო დაწყებითი, შემდეგ კი საშუალო განათლება, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობამ გამოიწვია ქალებისა და მამაკაცების საგანმანათლებლო შესაძლებლობების თანდათანობით გათანაბრება, მაგრამ სოციალურმა საგანმანათლებლო პრაქტიკამ მთელი რიგი პრობლემები გამოავლინა.

საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში ქალები ჩამოცილებული იყვნენ გადაწყვეტილებათა მიღებისაგან. მამაკაცებთან შედარებით, მათ ბევრად უფრო მეტი სიძნელე ჰქონდათ პროფესიულ ზრდაში, კარიერაში, ე.ი. ქალებისთვის რეალურად მხოლოდ ჰორიზონტალური პროფესიული გადანაცვლებები არსებობდა, ხოლო ვერტიკალური — ძალაუფლების უმაღლესი ეშელონებისკენ — მამაკაცების პრეროგატივა იყო, მაგ. სხვადასხვა რანგის მამაკაც სპეციალისტებს შორის ხელმძღვანელები იყვნენ 48%, ხოლო ქალებს შორის მხოლოდ 2%. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა შემცირების დროს პირველად ქალებს ამცირებდნენ.

პროფესიული დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის შედეგი* გახდა მნიშვნელოვანი განსხვავება ქალისა და მამაკაცის ანაზღაურებებს შორის. 80-იანი წლების ბოლოს ქალები იმ მუშაკთა დიდ ნაწილს შეადგენდნენ, რომლებიც მინიმალურ ხელფასს იღებდნენ. ერთნაირ სამუშაო ადგილებზე, თანამდებობებზე მომუშავე მამაკაცებისა და ქალების ხელფასებს შორის განსხვავება 35-40%-ს წარმოადგენდა.

ქალები ჩამოცილებული იყვნენ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში სრულფასოვანი მონაწილეობიდან, ამის მიზეზი იყო ტრადიციული საზოგადოების კონსერვატულ-პატრიარქალური საფუძვლები, რომლებსაც მაღალი სიცოცხლისუნარიანობა და სოციოკულტუ-

* ქალთა პროფესიული სეგრეგაცია არის "ქალთა" პროფესიების სფეროების ან "ქალთა" სამუშაო ადგილების ფორმირება "მამაკაცთა პროფესიებს შორის. ამ შემთხვევაში ქალის შრომის თავისებურებად იქცა მისი არაპრესტიჟულობა და მცირე ანაზღაურება.

რულ პროცესებში ქალთა ინტეგრაციაზე რეალური ზეგავლენის (ზემოქმედების) უნარი გამოავლინეს.

ქალის მიმართ პატერნალისტური პოლიტიკა ითვალისწინებდა მრავალ შეღავათსა და ოჯახების დახმარებას, რაც ძირითადად ადგილებზე ხორციელდებოდა. 90-იანი წლების დასაწყისისთვის დაწესებულებებსა და საწარმოებს მათთან მომუშავე ქალებისთვის უნდა მიეცათ 15-ზე მეტი სახეობის შეღავათი და ფულადი დახმარება.

აღსანიშნავია, რომ გარდაქმნის პერიოდის ეკონომიკური რეფორმების განხორციელების შედეგად მომუშავე ქალების მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესდა, არამედ, პირიქით, მკვეთრად გაუარესდა, მოხდა მათი სამუშაო ადგილებზე შემცირება.

მამაკაცები ნაკლებად მონაწილეობდნენ საშინაო მეურნეობასა და ბავშვების აღზრდაში, ამიტომ მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების სამსახური ცუდად იყო განვითარებული. ამ მიმართულებით შემუშავებულმა სახელმწიფო პროგრამებმა ვერ შეძლო ქალის მაღალი საყოფაცხოვრებო დატვირთვის შემცირება.

ქვეყანაში ვითარდებოდა დედობისა და ბავშვობის დაცვის სისტემა. ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საავადმყოფოებისა და სამშობიარო სახლების ქსელი, საქორწილო-საოჯახო კანონმდებლობამ განსაზღვრა მამის მოვალეობები, საალიმენტო ვალდებულებები განქორწინების შემთხვევაში, აგრეთვე ცოლისა და შვილების უფლებები ქონებაზე. გათანაბრდა ქორწინებაში და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებები.

საბჭოთა სახელმწიფოში საფუძველი ჩაეყარა და შეიქმნა ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის სისტემა. მართვის ცენტრალიზაციისა და გეგმიანობის მიუხედავად, ბავშვების აღზრდის პრობლემა სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვანაირად წყდებოდა. ამ სფეროში ქალთა საკითხში სახელმწიფო პოლიტიკისთვის დეკლარაციულობა იყო დამახასიათებელი. იგი არ ითვალისწინებდა სხვადასხვა რეგიონის სპეციფიკურობას, განსხვავებული ცხოვრების წესს.

ამგვარად, საბჭოთა პერიოდში ქალთა საკითხში სახელმწიფო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი იყო:

- საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქალების მონაწილეობის უფლებების საკანონმდებლო აღიარება;
- სქესთა თანასწორობის პრინციპის რეალიზაციის მიზნით ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება;
- ქალის არა მარტო დედობრივი, არამედ სოციალური ფუნქციის აღიარება;
- ქალების სტატუსის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის დეკლარაციული ხასიათი.

მაგრამ ქალებისა და მამაკაცების რეალური თანასწორობის მიღწევას არსებითად ხელს უშლიდა შემდეგი ფაქტორები:

- ქალთა პრობლემების დამოუკიდებელი სტატუსის მასკულინური უარყოფა, მათი კლასობრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარება, ქალთა მოძრაობის იდეოლოგიის შთანთქმა კლასობრივ-პარტიული იდეოლოგიით, რაც მთელი საბჭოთა პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი;

- ქალზე მამაკაცი-პატრიარქის ძალაუფლების ტოტალიტარული სახელმწიფოს ძალაუფლებით შეცვლა;

- ქალების ჩამოშორება გადაწყვეტილებათა მიღებისაგან საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში, სიძნელეები პროფესიულ ზრდაში, კარიერაში, ე.ი. მათთვის მხოლოდ ჰორიზონტალური პროფესიული გადანაცვლების რეალური შესაძლებლობა, ხოლო ვერტიკალური — ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისაკენ გადანაცვლება მამაკაცთა პრეროგატივა იყო;

- ქალების ჩამოცილება სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში სრულფასოვანი მონაწილეობისაგან;

"ქალთა" პოლიტიკის ეფექტური სოციალური პოლიტიკით განმტკიცების არარსებობა; ქალების საყოფაცხოვრებო საქმეებით დატვირთვის მაღალი დონე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა პერიოდის სახელმწიფო პოლიტიკა ქალების მიმართ პატერნალისტურ-დეკლარაციულ ტიპს განეკუთვნება.

გარდამავალი პერიოდის დემოკრატიულ პროცესებსა და ეკონომიკურ ცვლილებებს

პოლიტიკური ქაოსი და ცხოვრების პირობების უკიდურესი გაუარესება მოყვა. დაირღვა ღირებულებათა ადრე არსებული სისტემა, რასაც არ მოჰყოლია ღირებულებათა ახალი სისტემის შექმნა. რადიკალურმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა ღრმა კვალი დააჩნია ადამიანთა ცხოვრების წესს. სათანადო გამოცდილებასა და სამართლებრივ დაცვით მექანიზმებს მოკლებული მოქალაქეები მოულოდნელად რისკის სიტუაციაში აღმოჩნდნენ — ინიციატივისა და პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრმა სახელმწიფოდან მათზე გადაინაცვლა. მოშლილი ეკონომიკისა და ქაოტური სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების პირობებში პიროვნებისათვის, ფაქტობრივად, უმთავრეს პრობლემად ახალ ისტორიულ ვითარებასთან შეგუება იქცა.

პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა კრიზისმა და შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, უპირველეს ყოვლისა, ქალებზე იქონია გავლენა. ქალები ფიზიკური და სექსუალური ძალადობის უპირველესი მსხვერპლი გახდნენ. იმავე კონფლიქტებმა გამოიწვია კონფლიქტების ზონებიდან მიგრაციის რთული პრობლემა* (ლტოლვილთა 54,4% ქალია, მათგან — 97% აფხაზეთიდან, ხოლო 3% - ცხინვალის რეგიონიდან). აღნიშნულმა პირობებმა შეცვალა ქალთა ცხოვრების სტილი, ხელი შეუშალა მათ პერსონალურ და სოციალურ განვითარებას, რის შედეგადაც საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყული აღმოჩნდა მოსახლეობის ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა ინტერესებიც არასრულყოფილად აისახა ახალ ინსტიტუტებში.

მკვეთრად შემცირდა დასაქმებულ ქალთა რიცხვი (1989-94 წლებში 1250 ათასიდან 750 ათასამდე). ამის გარდა, ქალთა დასაქმების პრიორიტეტულ სფეროებში (სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა, მედიცინა, კულტურა, მსუბუქი და კვების მრეწველობა) დაბალმა ანაზღაურებამ გამოიწვია ქალთა მნიშვნელოვანი გაღატაკება. ზემოთაღნიშნული პროცესები ქალის რეპროდუქციულ ქცევაშიც აისახა, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ სურათზე.

ბოლო პერიოდში მოხდა სქესობრივ ურთიერთობებზე საზოგადოებრივი აზრის ლიბერალიზაცია, საზოგადოება უფრო შემწყნარებელი გახდა განქორწინების მიმართაც. ამან ბუნებრივად შეასუსტა მეუღლეთა ურთიერთობების ოფიციალური რეგისტრაციის აუცილებლობა, რაც აისახა ოფიციალური სტატისტიკის შესაბამისი მაჩვენებლების შემცირებით

და მაინც, ქალები უფრო მომზადებულები აღმოჩნდნენ მწვავე კრიზისის გადასატანად. ოჯახის გადარჩენის მიზნით ქალთა უმრავლესობამ ხელი მიჰყო არარეგისტრირებულ ბიზნესს (ცხობა, წვრილი ვაჭრობა, შრომითი მიგრაცია). დღეს ხშირად, სწორედ ქალი ხდება ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. თუმცა ეს მას ძვირად უჯდება - იცვლება მისი ცხოვრების ნირი და ხელი ეშლება მის პიროვნულ, საზოგადოებრივ და სოციალურ განვითარებას. მაგრამ ქალი ყველაზე ნაკლებად ფიქრობს თავის ინტერესებზე ან მათ ლობირებაზე, ამის შედეგად საზოგადოება კარგავს მოსახლეობის საკმაოდ დიდ სეგმენტს, რომლის ინტერესები ადეკვატურად არ აისახება ახალ ინსტიტუტებში. მეორე მხრივ, იკარგება განათლებული კადრები, პროფესიონალები; კადრების დანაკარგი და სქესთა დისბალანსი დასაქმების სფეროში კი გარკვეულად ხელს უწყობს სოციალურ უკმაყოფილებას და სოციალურ—პოლიტიკურ არასტაბილურობას.

3. საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები და ეროვნული მექანიზმები

ქალების ისტორიული და თანამედროვე სოციალური მდგომარეობის ანალიზი სხვადასხვა ქვეყანაში ასაბუთებს, რომ ქალების პრობლემები ინტერნაციონალური ხასიათისაა და გამოიხატება ყოველი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონით და რომ ამ პრობლემების რეალიზაცია მოითხოვს არა მხოლოდ ყოველმხრივ ახალ მიდგომას ქალის მიმართ, არამედ სახელმწიფოს და კანონების მხარდაჭერასაც.

* სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების შედეგად დღეს საქართველოში 400 ათასი მიგრანტია. ოფიციალურად დარეგისტრირებულია 286642 ლტოლვილი. აქედან 275096 (95,97%) — აფხაზეთიდან, 11546 (4,0) — სამაჩაბლოდან.

საქართველოს ქალთა დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებს და ეროვნული კანონმდებლობისა და რეალურად მოქმედი მექანიზმების შემუშავებას.

საქართველო 1994 წლის 22 სექტემბერს შეუერთდა კონვენციას 'ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის' შესახებ, რითაც მან ვალდებულება აიღო, რომ 'მიიღებს ყველა საჭირო ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, სახელდობრ, ქალებისათვის მამაკაცებთან თანაბარ პირობებში, უზრუნველყოფს არჩევნებსა და საჯარო რეფერენდუმებში ხმის მიცემის უფლებას, საჯაროდ არჩეულ ორგანოებში კანდიდატურის წამოყენების შესაძლებლობას და მონაწილეობას მთავრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში და იმის შესაძლებლობას, რომ დაიკავონ სახელმწიფო პოსტები და შეასრულონ ყველა სახელმწიფოებრივი ფუნქცია ნებისმიერ სამთავრობო დონეზე, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებით. (მუხლი 7) .

1995 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის მე-14 პუნქტში ნათქვამია: 'ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა ან საცხოვრებელი ადგილისა.

ᲤᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ შეიქმნა ადამიანის დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა კომიტეტი და დედათა, ბავშვთა და ოჯახის უფლების დაცვის სპეციალური ქვეკომიტეტი, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში კი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის თანამდებობა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. აღმასრულებელ მთავრობაში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა განყოფილება, ომბუცმენის ინსტიტუტი, რომელსაც მიენიჭა ფართო უფლებამოსილება ადამიანთა უფლებების დაცვის კონტროლის საქმეში. ამ განყოფილების სამუშაოს სფეროში შევიდა ქალთა უფლებების საკითხები. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა პარლამენტარ ქალთა ჯგუფების შექმნა. 1992 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტში შეიქმნა პარლამენტარ ქალთა კლუბი. კლუბის მოქმედების გეგმაში ასახულია პეკინის ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის პლატფორმის თორმეტივე პრიორიტეტი.

1995 წელს დაიწყო გაერთიანებული ერებისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტის — "გენდერული განვითარება" განხორციელება. აღნიშნული პროგრამა, ძირთადად, პეკინის არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმებისა და პეკინის ქალთა კონფერენციიდან გამომდინარე შეხედულებების საფუძველზე შემუშავდა. აღნიშნული პროექტის ინიციატივით მომზადდა პროექტი საქართველოს ქალთა მდგომარეობის და მათი პრობლემების შეფასების შესახებ. მომზადდა ცნობარი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. მუშაობა დაიწყო ახალმა პროგრამამ - 'ქალები განვითარების პროცესში. ჩატარადა ქალთა პრობლემებისადმი მიძღვნილი სემინარები და კონფერენცია, განხორციელდა გენდერულ პრობლემებთან დაკავშირებული გამოკვლევა, გამოიცა ბროშურები, მომზადდა სატელევიზიო და რადიო გადაცემები.

გაეროში გაიგზავნა ანგარიში საქართველოში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის და კონვენციის ცხოვრებაში გატარების შესახებ. უშიშროების საბჭოს ადამიანის უფლებების განყოფილებამ შეიმუშავა სპეციალური პროგრამები ყველა სფეროში ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

1996 წელს საქართველო შეუერთდა კონვენციას “მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ”, 2002 წელს

“ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის' შესახებ” დამატებით ოქმს და იმავე კონვენციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესწორების რატიფიცირების თაობაზე”.

სამოქმედო პლატფორმა, რომელიც პეკინის ქალთა კონფერენციაზე იქნა მიღებული, ითვალისწინებდა 1997 წლის ბოლოსათვის სამოქმედო გეგმის შემუშავებას ყველა სახელმწიფოს

მიერ, შესაბამის ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავდა პეკინის სამოქმედო პლატფორმის განხორციელებას.

კონფერენციაზე, რომელიც 1998 წლის 24 აპრილს ჩატარდა, მიღებული იქნა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა საქართველოში 1998-2000 წლებში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, "ქალები განვითარების პროცესში", რომელიც პრეზიდენტის მიერ იქნა დამტკიცებული. სამოქმედო გეგმა პეკინის პლატფორმის თორმეტი პრიორიტეტიდან შვიდს მოიცავს.

სამოქმედო გეგმის მთავარი მიზანი იყო გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. იგი ითვალისწინებდა აგრეთვე ქალთა დახმარების აუცილებლობას გარდამავალ პერიოდში არსებულ სოციალურ პრობლემათა გადაჭრასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს კონკრეტული ცვლილებების შეტანას კანონმდებლობაში. (ქალთა მდგომარეობა საქართველოში, 2000).

ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმის დაფუძნება უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო გენდერული თანასწორობის და ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით.

მეტიც, 1999 წელს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტში ანგარიშის წარდგენის შემდეგ სახელმწიფოს მიერ გატარებული სპეციალური ზომები ადასტურებს გენდერული პრობლემის გადაჭრის პოლიტიკურ ნებას.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციების საპასუხოდ სახელმწიფომ გამოსცა სპეციალური ბრძანებულება, რომელიც მიმართული იყო ქალთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებისაკენ.

სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტის №511, 1999/11/05 ბრძანებულება — "საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ", დარჩა ფორმალურ პასუხად ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციებზე და უმნიშვნელო გავლენა მოახდინა ქალთა წინსვლაზე.

"ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაციის" საპასუხოდ გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის №64, 2000/25/02 ბრძანებულება და დამტკიცდა 2000-2002 წლების "ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული გეგმა".

მიუხედავად ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, გარდამავალ პერიოდში ქალთა წინსვლის თვალსაზრისით დიდი ძვრა არ მომხდარა.

2003 წლის, 23 ნოემბრის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში განხორციელდა მთელი რიგი ადმინისტრაციული ცვლილებები. ამ ცვლილებებმა გარკვეული გავლენა მოახდინა ქალთა წინსვლის საკითხზე — მართალია, უშიშროების საბჭოსთან არსებული ქალთა წინსვლის კომისია 2004 წლის იანვარში გაუქმდა, მაგრამ მის სანაცვლოდ ჩამოყალიბდა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭო.

დღეისათვის საქართველოში ქალთა ასზე მეტი არასამთვარობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული. ისინი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალთა პრობლემატიკის წინა პლანზე წამოწევის, გენდერული ბალანსის მიღწევისათვის საჭირო ღონისძიებების ინიცირებისა და ლობირების საქმეში. მათი საქმიანობა აჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა პრობლემათა პრიორიტეტების მიშვნელობა ქართველი ქალებისათვის. თუ რეფორმების საწყის ეტაპზე, მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, ისინი ყურადღებას ჰუმანიტარული დახმარების პროგრამებზე ამახვილებდნენ, ბოლო პერიოდისათვის (განსაკუთრებით, 1995 წლის პეკინის კონფერენციის შემდეგ) გაიზარდა მათი აქტიურობა ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების, პოლიტიკური და სამრთლებრივი რეფორმების, ქალთა პოლიტიკური აქტივობის გაზრდის მიმართულებით. მაგრამ ეს ორგანიზაციები, როგორც წესი, მხოლოდ ქალებისაგან შედგება და, შესაბამისად, არ არის გენდერულად დაბალანსებული. ერთი მხრივ, აღნიშნული ფაქტი ხელს უწყობს ქალების პრობლემის ირგვლივ კონცენტრაციას, მაგრამ, მეორე მხრივ, სერიოზული დაბრკოლებაა გენდერული ბალანსის მიზნით მამაკაცებისა და

ქალების ერთობლივი მუშაობის გზაზე. გარდა ამისა, ალბათ, აუცილებელია გაიზარდოს ამ პრობლემატიკაზე მომუშავე მეცნიერების რიცხვი, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალთა თემაზე მსოფლიოში არსებული გამოკვლევების განზოგადებას და ქართულ სინამდვილესთან ადაპტირებას, აგრეთვე ეროვნული კლევების ჩატარებას და ამ დარგში ქართული სამეცნიერო ლიტერატურის შექმნას.

4. საქართველოს ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში

ტრანსფორმირებადი საზოგადოებისათვის აუცილებელია, რომ მის მოქალაქეებს ჰქონდეთ გარემომცველი სინამდვილისა და მისი ცვალებადობის პროგნოზირების უნარი. ეს მათ საშუალებას მისცემს, მიიღონ პრაქტიკული გადაწყვეტილებები და იმოქმედონ მათი განხორციელებისათვის. საზოგადოების ტრანსფორმაციის თანამედროვე გაგება გულისხმობს მის დემოკრატიზაციასა და ჰუმანიზაციას, ცხოვრების პატრიარქალური განწყობებისა და ნორმების გადალახვას, წარსულში საზოგადოებაში მიღებული ბევრი ცნებისა და წარმოდგენის გადაფასებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდამავალ საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალთა საკითხს.

ქართული საზოგადოების ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციების ანალიზი, ისე როგორც სოციალური მაკროსისტემისა, რომელიც რთულ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ ცვლილებებს განიცდის, საჭიროებს სოციო-გენდერული კონცეფციების გამოყენებას. გენდერულ ურთიერთობებს და ყოველ სოციალურ ერთობაში არსებულ ურთიერთქმედებებს თავისი გარკვეული სპეციფიკა აქვს, განსხვავდება კონკრეტული სოციოკულტურული, მენტალური, მათ შორის, დემოგრაფიული თავისებურებებით, გააჩნია მრავალროლიანი ფუნქცია.

გენდერული მიდგომა ეფუძნება სქესთა ურთიერთობის სოციოკულტურულ დინამიკას და არ დაჰყავს იგი მხოლოდ განსაზღვრულ ბიოლოგიურ ურთიერთობებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ისტორიის საბჭოთა პერიოდში ქალთა ემანსიპაციას იდეოლოგიური ხასიათი ჰქონდა, ფართოდ იყო დეკლარირებული და სახელმწიფოს ოფიციალურად უჭერდა მას მხარს. ამჟამად მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებაში ქალის სტატუსისა და როლის შეცვლაზე.

თანამედროვე საქართველოში მამაკაცისა და ქალის როლების ტრადიციული თანაფარდობა იცვლება. თავად ცხოვრება გვკარნახობს მათი ახალი იდენტიფიკაციის მოთხოვნას. ამასთან, ერთ-ერთი ძირითადი დეტერმინანტი ხდება გენდერული ურთიერთობების ცვლილებები და თანასწორი უფლებების, თავისუფლებებსა და შესაძლებლობების პრინციპის პრაქტიკული რეალიზაცია.

საქართველოში დიდი არ არის იმ ქალების პროცენტი, ვისაც მაღალი თანამდებობები უკავია აღმასრულებელ ორგანოებსა და პარლამენტში, ანდა ადგილიბრივი ხელისუფლების ორგანოებში. ისინი რაიმე გავლენას ვერ მოახდენენ გადაწყვეტილების მიღბის პროცესზე. ამდენად, ქალები ჩვეულებრივ, ხდებიან მამაკაცების პოლიტიკური მმართველობის ობიექტები. მიუხედავად ქალების პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაირობის 1985 ჭლის საერთაშორისო კონგრესის განცხადებისა იმის თაობაზე, რომ "სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქალების მონაწილეობა ეროვნულ, სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოებში და ეს უნდა განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიებების საშუალებით", საქართველოს მთავრობისათვის ეს პრობლემა არ გახლავთ წამყვანი და რამდენადმე მნიშვნელოვანი.

საქართველოს მოსახლეობის 53% ქალებია. ისინი ყველაზე დიდ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენენ და ამ ჯგუფის ქცევაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის წარმატებული განვითარება. სწორედ ამიტომ, ქალის როლისა და ადგილის ანალიზის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმებთან დაკავშირებული ცვლილებების შეფასება.

გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელმა მძაფრმა პოლიტიკურმა და სოციალურ-

ეკონომიკურმა პროცესებმა, ფასეულობების ცვლილებამ და ახალ სისტემაზე გადასვლამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ქალის სტატუსზე, რაც გამოვლინდა ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მამაკაცებისა და ქალების მონაწილეობის დისბალანსში.

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სფეროების განვითარების პროცესებში ქალთა მონაწილეობის ხარისხი მეტად მცირეა. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ისევ ეთნიკურ ცნობიერებაში უნდა ვეძებოთ - ქალები არ აღიქმებიან თანასწორუფლებიან პარტნიორებად და მათი პროფესიული, ინტელექტუალური და პირადი ღირსებები სათანადოდ არ ფასდება. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში რეალურად არ არსებობს გენდერული თანასწორობა, რადგან კანონმდებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელდება, თუ იგი განმტკიცებულია მთელი რიგი ღონისძიებებით, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა სფეროში ერთდროულ ფუნდამენტურ გარდაქმნებზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალებს აქვთ ხმის უფლება, საარჩევნო პროცესებში მათი მონაწილეობა კიდევ უფრო დაბალია. გაბატონებული შეხედულება, რომლის თანახმად ქალთა აქტიურობა პოლიტიკაში არც ისე სასურველია — იგი მხოლოდ დიასახლისად, მზრუნველ დედად, მეუღლედ და ქალიშვილად მოიაზრება — განაპირობებს ამ მდგომარეობას.

საბჭოთა პერიოდთან შედარებით შემცირდა ხელისუფლების ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობაც. თუ 1990 წელს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში დეპუტატთა 16% ქალები იყვნენ, დღეს ეს ციფრი არ აღემატება საპარლამენტო ხელისუფლებაში 7%-ს, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებაში 10%-ს. არც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებშია სახარბიელო მდგომარეობა - აქ ქალი მხოლოდ 11%-ია.

თუმცა, რაოდენობრივმა ცვლილებამ ხარისხობრივ ზრდასთან მიგვიყვანა. დღეს სუსტი სქესის წარმომადგენლები პოლიტიკაში მიდიან უფრო გააზრებულად, თავიანთი პროგრამებით და არა სტატისტების როლში, როგორც ადრე იყო.

საქართველოს პოლიტიკური სპექტრის შესწავლამ დაგვანახა, რომ ჯერჯერობით არ არის გამოკვეთილი რეალური პოლიტიკური ძალა, რომელიც წინ წამოსწევდა ქალთა პრობლემებს და გენდერული თანასწორობის მისაღწევად აქტიურად და კვალიფიცირებულად მიმართავდა თავის ძალისხმევას. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში რიგმა პოლიტიკურმა პარტიებმა — სოციალისტებმა, მრეწველებმა, ლეიბორისტებმა, ახალმა მემარჯვენეებმა - ჩამოაყალიბეს შიდა პარტიული ქალთა ჯგუფები (კლუბები), მაგრამ ამ ჯგუფების საქმიანობა ძირითადად ქველმოქმედებაზეა მიმართული. გარკვეულად გააქტიურდნენ ახალი დემოკრატებიც და თანამშრომლობა დაიწყეს ქალთა ორგანიზაციებთან. პარტიათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი განაცხადი მოქალაქეთა კავშირს ეკუთვნის, რომელიც ქალებისათვის საარჩევნო სიებში 30%-ანი კვოტის შემოღებას აპირებდა, მაგრამ პარლამენტმა ამას მხარი არ დაუჭირა. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მაინც ხაზგასასმელია, რომ არც ერთ პარტიას არ გააჩნია ქალთა პრობლემებზე მიმართული კონკრეტული პროგრამები და მათი გადაჭრის კონკრეტული სტრატეგია.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მდგომარეობა წარმავალია და საქართველოს ქალები უახლოეს მომავალში სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, უფრო მეტი რაოდენობით გახდებიან პოლიტიკური ლიდერები და სახელმწიფო მოსამსახურეები.

თუ მსოფლიო ტენდენციებს და ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს გავითვალისწინებთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ქალები ყოველმხრივ მზად არიან მართვაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილებების მისაღებად სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში და ყველა დონეზე.

გარდამავალი პერიოდის საქართველოში პოლიტიკური გადაწყვეტილებების სხვადასხვა დონეზე ქალთა მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრაში დაგვეხმარება 1995, 1998, 1999, 2003 წლებში ჩატარებული არჩევნების გენდერული ასპექტის მიმოხილვა (იხ. დანართი 1, 2), სადაც უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი 2002 წლის თვითმმართველობის და 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები.

კითხვები და დავალებები:

1. ქართველ ქალთა როლი საქართველოს ისტორიაში
2. ქალთა სოციალური როლი და სტატუსი ფეოდალურ საქართველოში
3. საქართველოს ქალთა სოციალური აქტივობა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწ-ყისში
4. ილია ჭავჭავაძე, როგორც საქართველოში ქალთა მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი საქართველოს ქალთა სოციალურ-პოლიტიკური აქტივობა საბჭოთა პერიოდში
5. რა ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ქალებზე გარდამავალი პერიოდის პროცესებმა?
6. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ქალთა უფლებების დაცვის საქმეში
7. საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები და ეროვნული მექანიზმები
8. საქართველოს ქალთა მონაწილეობა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში

ლიტერატურა:

1. ი.ჭავჭავაძე თხზულებანი, 1928 წ., ტ. VIII., "ქართული წიგნის" გამოცემა. გვ. 278).
2. ქაფიაშვილი ი. "ძველი ქართველი ქართველი მწიგნობარი ქალები" თბილისი, "ლომისი", 1994
3. ხომერიკი ლ., ჯავახიშვილი მ. "ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში". XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი თბილისი 2005
4. კიკნაძე თ. "ქალი და პოლიტიკა" პოლიტოლოგია (სახელმძრვანელო ო. გოგიაშვილის რედაქტორობით) თსუ, 2003
5. სურმანიძე ლ. "ქალი ქართილ მენტალიტეტში". ჩგენდერის აქტუალური პრობლემები. თბ. 1997
6. ნადარაია ლ. "ქალი და პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში, "გენდერი,ჯკულტურა., თანამედროვეობა" (რედ. ლ. ჩგაფრინდაშვილი), თბილისი, 2005
7. "გენდერი,ჯკულტურა., თანამედროვეობა", (რედ. ლ. გაფრინდაშვილი) თბილისი, 2005
8. დურგლიშვილი ნ., "ცვლილება სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი". თბილისი. 1997
9. საერთასორისო კონვენციები ქალის უფლებების სფეროში , საქართველოს საკანონმდებლო ბაზა და რეალურად მოქმედი მექანიზმები. თბილისი. 1998
10. ქალთა დასაქმების საკითხები. თბილისი, 1998
11. ქალი გარდამავალ პერიოდში. თბილისი, 11998
12. ქალი, მამაკაცი და საზოგადოება, თბილისი, 1998
13. ქალთა მდგომარეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოჯვლევა, თბილისი 1999
14. ქალთა მდგომარეობა საქართველოში. გაეროს განვითარების პროგრამა, თბ., გამომც. "ნეკერი", 2000

დანართი 1

1995 – 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში

საქართველოს ბოლო ორი მოწვევის პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა პრინციპულად უცვლელი რჩებოდა - 1995—1999 წლებში დეპუტატ ქალთა რიცხვი 17-ს არ აღემატება.

საქართველოს პარლამენტის ფრაქციებსა და პარტიებში 1999 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით ქალთა წარმომადგენლობა შემდეგია:

ფრაქციები და პარტიები	ქალი-კანდიდატები
მოქალაქეთა კავშირი	11
ედპ	1
სახალხო პარტია	-
აღორძინება	1
ლეიბორისტული ფრაქცია	2
იმედი	-
სოციალისტური პარტია	1
აფხაზეთი	-
მამული	-
ფრაქციის გარეშე	1

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1999 წლის ნოემბრის არჩევნების შემდეგ პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობას რაოდენობრივი ცვლილება არ განუცდია. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პარლამენტში არჩეულ ქალთა ადგილი მათ წარმდგენ პარტიათა საარჩევნო სიებში:

პარტიის დასახელება	*I ათეულში*	*II ათეულში*	*III ათეულში*	*IV ათეულში*	*V ათეულში*	*VI-VII ათეულში*
საქართველოს მოქალაქეთა კავშირი	*1 (№6)*	*1 (№13)*	*1 (№20)*	*3 (№32) (№34) (№39)*	*1 (№49)*	*3 (№61) (№64) (№67)*
საარჩევნო ბლოკი -"საქართველოს აღორძინება"	*1 (№9)*	*0*	*1 (№27)*	*0*	*2 (№43) (№44)*	***0***
საარჩევნო ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"	*0*	*1 (№12)*	*0*	*0*		

ჯამში, ახალ პარლამენტში პროპორციული სიებით არჩეული იქნა 15 ქალი, მაჟორიტარული წესით - 1 დეპუტატი ქალი, ხოლო ძველი პარლამენტიდან ავტომატურად გადავიდა აფხაზეთის დეპუტაციის 1 წარმომადგენელი ქალი.

არანაკლებ საინტერესოა ქალთა წარმომადგელობა იმ პარტიათა საარჩევნო სიებშიც, რომლებსაც 7%-იანი ბარიერის გადალახვის პოტენცია ჰქონდათ:

პარტიის დასახელება	*I თვეულში*	*II თვეულში*	*III თვეულში*	*IV თვეულში*	*V თვეულში*	*VI-VII თვეულში*
საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია	*0*	*1 (№16)*	*0*	*2 (№34) (№39)*	*1 (№40)*	*1 (№69)*
ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი — მესამე გზა	*1 (№1)*	*0*	*0*	*0*	*1 (№43)*	*1 (№68)*
ბლოკი "სახალხო პარტია — დიდგორი"	*1 (№8)*	*0*	*0*	*0*	*1 (№42)*	*1 (№66)*

1998 წლის თვითმმართველობის არჩევნები

1998 წლის თვითმმართველობის არჩევნებში საკრებულოს წევრად არჩეულ იქნა 1526 ქალი, რაც არჩეულთა საერთო რაოდენობის 14.2% შეადგენს. ქალაქ თბილისის საკრებულოს 55 წევრიდან 7 იყო ქალი, ანუ 12.7%. რაიონების მიხედვით ასეთი სურათია:

რეგიონის დასახელება	**არჩეული ქალების საერთო რიცხვი**	**არჩეული წევრების საერთო რიცხვი**	**არჩეული ქალების%**
მცხეთა-თიანეთი	125	750	16.6
კახეთი	241	1727	13.9
ქვემო ქართლი	79	1289	6.1
შიდა ქართლი	148	1078	13.7
სამცხე-ჯავახეთი	94	964	9.5
იმერეთი	329	2294	14.3
რაჭა-ლეჩხუმი	109	694	15.7
სამეგრელო-სვანეთი	212	1615	13.1
გურია	93	782	11.8
აჭარა	89	918	9.6

საგულისხმოა, რომ არჩეულ ქალთა უმრავლესობა სოფლების საკრებულოს წევრები არიან, რაც შეეხება ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს, მათი წარმომადგენლობა მინიმალურია.

თბილისში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 40-50%-მა, მათ შორის ნახევარზე მეტმა ქალმა (51-53%). მსგავსი სურათი გამოიკვეთა გურიასა და ზემო სვანეთში. რაც შეეხება ქვემო ქართლს (მარნეული, ბოლნისი, გარდაბანი), აქ ქალთა პოლიტიკური აქტივობა რამდენადმე ნაკლები იყო (35-49%). აქ გამოჩნდა ქალთა დისკრიმინაციაც საარჩევნო პროცესში, როცა ქალის დაუსწრებლად, ქალის პასპორტით, ოჯახის უფროსი (მამაკაცი) ავსებდა ბიულეტენს და მის მაგივრად აკეთებდა არჩევანს.

ქალთა პოლიტიკური აქტიურობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში

2002 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მაჟორიტარული წესით კენჭი იყარა 13293 კანდიდატმა, აქედან 1538 იყო ქალი. საკრებულოს წევრი გახდა 674 ქალი. ოლქების მიხედვით სურათი შემდეგნაირია:

ოლქი №	ოლქის დასახელება	ქალი კანდიდატები	არჩეული ქალების საერთო რიცხვი	არჩეული წევრების საერთო რიცხვი	არჩეული ქალების%
11	საგარეჯო	37	12	108	11.1
12	გურჯაანი	42	15	117	12.8
13	სიღნაღი	27	7	70	10
14	დედოფლის წყარო	30	12	60	20
15	ლაგოდეხი	34	18	79	22.8
16	ყვარელი	27	7	59	11.9
17	თელავი	45	13	84	15.5
18	ახმეტა	34	8	77	10.4
19	თიანეთი	22	14	60	23.3
20	რუსთავი	14	0	15	0
21	გარდაბანი	31	7	131	5.3
22	მარნეული	5	1	108	0.9
23	ბოლნისი	9	2	78	2.6
24	დმანისი	7	6	80	7.5
25	წალკა	11	12	150	8
26	თეთრიწყარო	26	14	100	14
27	მცხეთა	37	8	86	9.3
28	დუშეთი	63	15	87	17.2
29	ყაზბეგი	15	4	30	13.3
30	კასპი	21	12	89	13.5
31	ახალგორი	5	4	40	10
32	გორი	44	16	143	11.2
33	ქარელი	20	8	99	8
35	ხაშური	36	11	70	15.7
36	ბორჯომი	26	10	60	16.7
37	ახალციხე	38	7	84	8.3
38	ადიგენი	27	9	125	7.2
39	ასპინძა	17	3	60	5
40	ახალქალაქი	13	5	112	4.5
41	ნინოწმინდა	6	2	50	4
43	ონი	13	13	90	14.4

44	ამბროლაური	23	12	95	12.6
45	ცაგერი	12	7	80	8.8
46	ლენტეხი	19	10	40	25
47	მესტია	27	14	80	17.5
48	ხარაგაული	42	20	99	20.2
49	თერჯოლა	25	3	95	3.2
50	საჩხერე	12	11	67	16.4
51	ზესტაფონი	30	11	99	11.1
52	ბაღდათი	26	9	65	13.8
53	ვანი	38	9	100	9
54	სამტრედია	35	11	79	13.9
55	ხონი	30	10	62	16.1
56	ჭიათურა	47	9	84	10.7
57	ტყიბული	21	7	54	13
58	წყალტუბო	37	14	89	15.7
59	ქუთაისი	15	0	15	0
60	ოზურგეთი	66	24	149	16.1
61	ლანჩხუთი	33	9	61	14.8
62	ჩოხატაური	37	14	115	12.2
63	აბაშა	19	8	82	9.8
64	სენაკი	53	19	79	24.1
65	მარტვილი	21	13	105	12.4
66	ხობი	23	13	105	12.4
67	ზუგდიდი	32	15	159	9.4
68	წალენჯიხა	28	9	74	12.2
69	ჩხოროწყუ	24	10	65	15.4
70	ფოთი	10	1	15	6.6
75	გულრიფში	6	2	24	8.3

ამ ცხრილის მიხედვით, ახლად არჩეულ რაიონულ საკრებულოებში ქალთა წარმომადგენლობა საშუალოდ 11.8% -ია, რაც წინა არჩევნებთან შედარებით ქალთა წარმომადგენლობის კლებაზე მიგვითითებს — 2.4% (1998 წელს საკრებულოს წევრი გახდა 14.2% ქალი). ამის მიზეზი ძალაუფლების კონცენტრაციასა და საარჩევნო პროცესებში ძალადობრივი მეთოდების ზრდაში უნდა ვეძებოთ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა 2002 წლის 16 ივნისს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აჭარის არჩევნებს აკლდა გამჭვირვალობა და არჩევნების მსვლელობაზე ინფორმაციის მოპოვება მეტად ჭირდა.

ოლქი №	ოლქის დასახელება	ქალი კანდიდატები	არჩეული ქალების საერთო რიცხვი	არჩეული წევრების საერთო რიცხვი	არჩეული ქალების%
1	ქ. ბათუმი	4	4	35	11.4
2	ქ. ქობულეთი	5	3	19	15.8
3	ქობულეთი	39	35	244	14.3
4	ხელვაჩაური	35	31	208	14.9
5	ქედა	15	9	94	9.6
6	შუახევი	6	5	106	4.7
7	ხულო	16	13	148	8.8

ქალთა წარმომადგენლობა საკრებულოებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით საშუალოდ 8.8%-ია.

სტატისტიკური მასალის ანალიზმა დიდი სხვაობა გამოავლინა სხვადასხვა რეგიონს შორის, სადაც ქალთა წარმომადგენლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის ლენტეხის რაიონში - 25%, ხოლო ყველაზე დაბალი კი — მარნეულის რაიონში — 0,9%.

ქალაქები

რაიონულ საკრებულოებთან შედარებით ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ქალთა წარმომადგენლობა კიდევ უფრო დაბალია:

ქალაქის დასახელება	არჩეული ქალები	არჩეულთა საერთო რიცხვი
თბილისი	5	49
საგარეჯო	2	5
გურჯაანი	0	5
სიღნაღი	0	5
დედოფლის წყარო	0	5
ლაგოდეხი	2	7
ყვარელი	0	7
თელავი	2	9
ახმეტა	0	7
რუსთავი	0	15
გარდაბანი	0	7
მარნეული	0	9
ბოლნისი	1	7
დმანისი	0	5

წალკა	0	5
თეთრიწყარო	0	5
მცხეთა	0	7
დუშეთი	2	7
კასპი	1	9
გორი	2	9
ქარელი	2	7
ხაშური	1	9
ბორჯომი	1	9
ახალციხე	0	9
ახალქალაქი	0	7
ნინოწმინდა	0	5
ონი	1	5
ამბროლაუ-რი	1	5
ცაგერი	1	5
თერჯოლა	0	5
საჩხერე	0	7
ზესტაფონი	0	9
ბაღდათი	0	5
ვანი	1	5
სამტრედია	1	9
ხონი	1	7
ჭიათურა	0	9
ტყიბული	1	9
წყალტუბო	0	9
ქუთაისი	0	15
ოზურგეთი	2	9
ლანჩხუთი	0	7
ჩოხატაური	0	5
აბაშა	1	7
სენაკი	1	9
მარტვილი	1	5
ხობი	2	5
ზუგდიდი	0	9
წალენჯიხა	1	7
ჩხოროწყუ	0	5
ფოთი	1	15
ბათუმი	4	35
ქობულეთი	3	19

აქ არჩეული იქნა 49 ქალი, რაც ქალაქების საკრებულოს წევრების საერთო რაოდენობის 10,4% შეადგენს. ეს მონაცემი 1,4% ნაკლებია რეგიონალურ მაჩვენებელთან შედარებით და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იქ სადაც ძალაუფლების კონცენტრაცია მატულობს და უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება, ქალთა წარმომადგენლობა კლებულობს.

ქალები პარტიულ სიებში

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიების პირველ ექვს (პოტენციურად გამსვლელ) ათეულში ქალი-კანდიდატები შემდეგ ადგილებს იკავებდნენ:

პარტიის დასახელება	***I ათეულში***	***II ათეულში***	***III ათეულში***	***IV ათეულში***	***V ათეულში***	***VI-VII ათეულში***
საქართველოს მოქალაქეთა კავშირი - №1	*1 (№9)*	*1 (№14)*	*1 (№27)*	*0*	*2 (№46) (№48)*	*2 (№50) (№51)*
საარჩევნო ბლოკი "აღორძინება — XXI" - №2	*0*	*2 (№16) (№18)*	*2 (№20) (№29)*	*1 (№31)*	*2 (№43) (№45)*	*3 (№50) (№51) (№54)*
საარჩევნო ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" №3	*0*	*1 (№19)*	*3 (№20) (№28) (№29)*	*3 (№36) (№37) (№38)*	*3 (№46) (№47) (№48)*	*3 (№50) №51) (№53)*
საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – №4	*0*	*1 (№10)*	*1 (№24)*	*3 (№32) (№37) (№39)*	*2 (№63) (№67)*	*4 (№71) (№73) (№76) (№79)*
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - №5	*1 (№1)*	*1 (№16)*	*4 (№20) (№23) (№25) (№29)*	*4 (№30) (№33) (№34) (№38)*	*1 (№44)*	*3 (№57) (№58) (№59)*
საარჩევნო ბლოკი "სახალხო პარტია — ტრადიციონალისტთა კავშირი" – №6	*0*	*2 (№14) (№18)*	*1 (№29)*	*4 (№32) (№34) (№36) (№38)*	*2 (№40) (№46)*	*4 (№51) (№52) (№53) (№55)*
საარჩევნო ბლოკი "ერთიანი კომუნისტური პარტია (სტალინური) და მშრომელთა საბჭოები" – №7	*1 (№7)*	*1 (№19)*	*2 (№26) (№27)*	*1 (№38)*	*2 (№42) (№44)*	*3 (№51) №56) (№59)*
მწვანეთა პარტია – №9	*4 (№5) (№6) (№7) (№8)*	*4 (№14) (№15) (№17) (№18)*	*5 (№20) (№21) (№25) (№27) (№28)*	*3 (№31) (№38) (№39)*	*4 (№40) (№42) (№48) (№49)*	*3 (№52) №55) (№57)*

მერაბ კოსტავას საზოგადოება – №10	*2 (№6) (№8)*	*0*	*5 (№20) (№21) (№22) (№23) (№28)*	*3 (№32) (№35) (№38)*	*3 (№42) (№45) (№47)*	*3 (№52) №53) (№54) (№59)*
ჰელსინკის კავშირი — ეროვნული აღორძინება — ეროვნული ფორუმი – №11	*2 (№3) (№4)*	*2 (№12) (№15)*	*7 (№20) (№23) (№24) (№25) (№27) (№28) (№29)*	*7 (№30) (№31) (№32) (№33) (№36) (№37) (№38)*	**3 (№47) (№48) (№49)**	*1 (№51)*
საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი – №16	*ინფორმაცია არ მოგვაწოდა*					
დავით აღმაშენებლის პარტია - №23	*ინფორმაცია არ მოგვაწოდა*					
საარჩევნო ბლოკი "საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია" – №24	*2 (№7) (№9)*	*7 (№10) (№12) (№13) (№14) (№17) (№18) (№19)*	*6 (№20) (№21) (№22) (№24) (№26) (№29)*	*4 (№31) (№34) (№35) (№37)*	*7 (№40) (№42) (№43) (№44) (№47) (№48) (№49)*	*4 (№51) №52) (№54) (№58)*
ნაციონალისტები – №27	*0*	*1 (№11)*	*4 (№20) (№24) (№27) (№29)*	*3 (№30) (№31) (№37)*	*4 (№41) (№45) (№46) (№49)*	*9 (№51) (№52) (№53) (№54) (№55) (№56) (№57) (№58) (№59)*
პოლიტიკური კავშირი"თანადგომა" – №31	*1 (№9)*	*1 (№15)*	*3 (№23) (№27) (№29)*	*3 (№34) (№36) (№38)*	*5 (№40) (№43) (№47) (№48) (№49)*	*8 (№50) (№51) (№52) (№53) (№54) (№56) (№57) (№59)*
საქართველოს ინტელექტუალთა ლიგა - №32	*1 (№9)*	*7 (№10) (№12) (№13) (№14) (№15) (№18) (№19)*	*6 (№24) (№25) (№26) (№27) (№28) (№29)*	*6 (№30) (№31) (№32) (№33) (№34) (№35)*	*6 (№40) (№41) (№46) (№47) (№48) (№49)*	*9 (№50) №51) (№53) (№54) (№55) (№56) (№57) (№58) (№59)*
საარჩევნო ბლოკი "ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატიული ფრონტი - №34	*1 (№7)*	*0*	*1 (№24)*	*2 (№30) (№34)*	*1 (№42)*	*1 (№54)*

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია (კ.უ.დ.პ.) - №35	*4 (№3) (№5) (№6) (№9)*	*0*	*2 (№24) (№26)*	*1 (№30)*	*2 (№46) (№47)*	*3 (№50) (№51) (№52)*
"საქართველოს ქრისტიან-კონსერვატორული პარტია — ზურაბ ჟვანიას გუნდი - №36	*1 (№3)*	*0*	*3 (№23) (№24) (№29)*	*4 (№35) (№37) (№38) (№39)*	*8 (№41) (№43) (№44) (№45) (№46) (№47) (№48) (№49)*	*3 (№50) (№51) (№52)*
"საქართველოს სოციალ-დემო-კრატიული პარტია (სსდპ) - №37	*1 (№9)*	*5 (№10) (№11) (№14) (№16) (№18)*	*3 (№27) (№28) (№29)*	*6 (№30) (№32) (№33) (№34) (№35) (№39)*	*4 (№41) (№45) (№46) (№49)*	*2 (№50) (№53)*
ახალი მემარჯვენეები - №38	*2 (№2) (№7)*	*1 (№18)*	*2 (№26) (№29)*	*0*	*2 (№45) (№47)*	*2 (№53) №58)*
სოციალისტური პარტია - №39	*2 (№1) (№2)*	*2 (№15) (№18)*	*1 (№26)*	*1 (№30)*	*2 (№43) (№46)*	*4 (№50) №53) (№56) (№58)*
საარჩევნო ბლოკი "ერთობა" — ჯ. პატიაშვილი, ალ. ჭაჭია - №40	*1 (№6)*	*1 (№18)*	*1 (№28)*	*2 (№36) (№37)*	*3 (№41) (№43) (№49)*	*2 (№50) №53)*
პროცენტული გამოანგარიშება	*12.9*	*18.6*	*32.4*	*29*	*32.4*	*36.2*

იმ პარტიათა წინა რიგები, რომელთაც გადალახეს ოთხ პროცენტიანი ბარიერი და მიიღეს მონაწილეობა თბილისის არჩევნებში კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს კანონზომიერებას — აქ ქალ-კანდიდატთა რაოდენობა კიდევ უფრო კლებულობს და ადასტურებს ფაქტს, რომ ქალები განიდევნებიან ძალაუფლების სფეროდან.

პარტიის დასახელება	***I თვეში***	***II თვეში***	***III თვეში***	***IV თვეში***	***V თვეში***	***VI-VII თვეში***
საარჩევნო ბლოკი "აღორძინება — XXI" - №2	*0*	*2 (№16) (№18)*	*2 (№20) (№29)*	*1 (№31)*	*2 (№43) (№45)*	*3 (№50) (№51) (№54)*
საარჩევნო ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" №3	*0*	*1 (№19)*	*3 (№20) (№28) (№29)*	*3 (№36) (№37) (№38)*	*3 (№46) (№47) (№48)*	*3 (№50) №51) (№53)*

საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – №4	*0*	*1 (№10)*	*1 (№24)*	*3 (№32) (№37) (№39)*	*2 (№63) (№67)*	*4 (№71) (№73) (№76) (№79)*
საარჩევნო ბლოკი "ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატიული ფრონტი - №34	*1 (№7)*	*0*	*1 (№24)*	*2 (№30) (№34)*	*1 (№42)*	*1 (№54)*
"საქართველოს ქრისტიან-კონსერვატორული პარტია — ზურაბ ჟვანიას გუნდი – №36	*1 (№3)*	*0*	*3 (№23) (№24) (№29)*	*4 (№35) (№37) (№38) (№39)*	*8 (№41) (№43) (№44) (№45) (№46) (№47) (№48) (№49)*	*3 (№50) (№51) (№52)*
ახალი მემარჯვენეები – №38	*2 (№2) (№7)*	*1 (№18)*	*2 (№26) (№29)*	*0*	*2 (№45) (№47)*	*2 (№53) №58)*
პროცენტული გამოანგარიშება	*6.7*	*8.3*	*20*	*20*	*30*	*26.7*

ქალები პარტიულ სიებში

(I-VI ათეულში)

საარჩევნო სუბიექტები და საკრებულოს წევრი ქალები

ქალი კანდიდატები არჩეულნი იყვნენ ადგილობრივ თვითმართველობაში შემდეგი საარჩევნო სუბიექტების წარდგინების შედეგად:

1. საინიციატივო ჯგუფი - №99
2. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი - №1
3. საარჩევნო ბლოკი "აღორძინება — XXI" - №2
4. საარჩევნო ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - №3
5. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია - №4
6. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - №5
7. საარჩევნო ბლოკი "სახალხო პარტია-ტრადიციონალისტთა კავშირი - №6
8. მერაბ კოსტავას საზოგადოება - №10
9. პოლიტიკური კავშირი "თანადგომა" - №31
10. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია - №35
11. ახალი მემარჯვენეები (ახლები) - №38
12. სოციალისტური პარტია - №39
13. სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია "ლემი" - №41

ქალაქი თბილისი

ხუთი ქალი-კანდიდატი გახდა ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრი, რომლებიც წარადგინეს შემდეგმა პარტიებმა:

1. საარჩევნო ბლოკი "ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატიული ფრონტი" — №34 - 1
2. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია — №4 - 1
3. ახალი მემარჯვენეები — №38 - 2
4. საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია —„ჟვანიას გუნდი" — №36 — 1

დანარჩენ ოლქებში სურათი შემდეგია:

ოლქი	**№ 99**	**№ 1**	**№ 2**	**№ 3**	**№ 4**	**№ 5**	**№ 6**	**№ 10**	**№ 31**	**№ 35**	**№ 38**	**№ 39**	**№ 41**
საგარეჯო	10		2										
გურჯაანი	6		2	2	1						4		
სიღნაღი	3			1	1			1			1		
დედოფლის წყარო	9			3									
ლაგოდეხი	13					1					1	3	
ყვარელი	3		1	1								2	
თელავი	3	9									1		
ახმეტა				3	1	3					1		
თიანეთი	7			1							4		
გარდაბანი	7												
მარნეული	1												

ბოლნისი	1	1											
დმანისი	6												
წალკა				2						10			
თეთრიწყარო	11		1								2		
მცხეთა	7										1		
დუშეთი	5				9						1		
ყაზბეგი	3		1										
კასპი	8										4		
ახალგორი	4												
გორი	9		1								6		
ქარელი	8												
ხაშური	11												
ბორჯომი	7			1							2		
ახალციხე	6										1		
ადიგენი	6		1	1			1						
ასპინძა	2											1	
ახალქალაქი	4											1	
ნინოწმინდა	1										1		
ონი	2			11									
ამბროლაური	8		1								2	1	
ცაგერი	7												
ლენტეხი	1		3	1									5
მესტიია	3		2										9
ხარაგაული	18										2		
თერჯოლა				1								2	
საჩხერე	9		2										
ზესტაფონი	8		1				2						
ბაღდათი	5			1					2			1	
ვანი	2			4	1		2						
სამტრედია	4					7							
ხონი	2			1		2	2				3		
ჭიათურა	7		1									1	
ტყიბული	6								1				
წყალტუბო	12			2									
ოზურგეთი	15		3	2							4		
ლანჩხუთი	1			5							3		
ჩოხატაური	13										1		
აბაშა	7											1	

სენაკი	15		3	1									
მარტვილი	7			2	1						3		
ხობი	7			2							4		
ზუგდიდი	14											1	
წალენჯიხა	7		1								1		
ჩხოროწყუ	6		3								1		
ფოთი		1											
გულრიფში	2												
სულ	395	11	29	48	14	13	7	1	3	10	54	14	14
%	60.8	1.9	5.1	8.4	2,4	2.3	1.2	0.2	0.5	1.7	9.4	2.4	2.4

მასალის შესწავლამ ნათელყო, რომ პოლიტიკურად აქტიური ქალებისათვის უფრო ხელსაყრელია საინიციატივო ჯგუფის მხარდაჭერა, ვიდრე პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანება — საინიციატივო ჯგუფის წარდგინების შედეგად საკრებულოებში არჩეული ქალების პროცენტული მაჩვენებელი 3.26% აღემატება იგივე წესით არჩეული მამაკაცების პროცენტულ მაჩვენებელს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარაში ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა საარჩევნო სუბიექტებმა:

1. საარჩევნო ბლოკი "აღორძინება — XXI" - №2
2. პოლიტიკური მოძარაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია - №3
3. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აჭარის სამხარეო ბიურო - №5
4. საქართველოს ახალი კომუნისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია - №14

ოლქი	**№2**	**№3**	**№5**	**№14**
ქ. ბათუმი	4			
ქ. ქობულეთი	3			
ქობულეთი(რ)	33	1		1
ხელვაჩაური	30	1		
ქედა	8			1
შუახევი	5			
ხულო	13			
სულ	96	2		2
%	96	2		2

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო ბლოკი "აღორძინება — XXI" — ერთად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სხვა საარჩევნო სუბიექტებიც იღებდნენ მონაწილეობას, აქ ჩატარებული არჩევნების ტენდენციურობა და ერთპარტიულობა სრულიად ნათელია — აჭარის ყველა ოლქში საარჩევნო ბლოკი "აღორძინება — XXI" არჩეულ იქნა 97-100%. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აჭარაში არჩეული ყველა ქალი-კანდიდატი ამ საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელია.

2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარულ საპარლამენტო არჩევნებში კენჭი იყარა 456 კანდიდატმა, აქედან 65 იყო ქალი, რომელთაგან მხოლოდ 3 გახდა მაჟორიტარი დეპუტატი - ქუთაისის, ყვარლისა და ბოლნისის ოლქების.

ოლქის №	ოლქის დასახელება	წარდგენილი კანდიდატების რიცხვი	წარდგენილი ქალი-კანდიდატების რიცხვი	არჩეული კანდიდატების სქესი
1.	მთაწმინდა	12	2	მამაკაცი
2.	ვაკე	7	3	მამაკაცი
3.	საბურთალო	9	1	მამაკაცი
4.	კრწანისი	8	1	მამაკაცი
5.	ისანი	10	0	მამაკაცი
6.	სამგორი	8	2	მამაკაცი
7.	ჩუღურეთი	9	0	მამაკაცი
8.	დიდუბე	15	3	მამაკაცი
9.	ნაძალადევი	10	2	მამაკაცი
10.	გლდანი	9	1	მამაკაცი
11.	საგარეჯო	5	1	მამაკაცი
12.	გურჯაანი	11	1	მამაკაცი
13.	სიღნაღი	4	1	მამაკაცი
14.	დედოფლისწყარო	5	0	მამაკაცი
15.	ლაგოდეხი	8	1	მამაკაცი
16.	ყვარელი	6	3	ქალი
17.	თელავი	10	1	მამაკაცი
18.	ახმეტა	6	1	მამაკაცი
19.	თიანეთი	6	0	მამაკაცი
20.	რუსთავი	8	2	მამაკაცი
21.	გარდაბანი	2	0	მამაკაცი
22.	მარნეული	5	0	მამაკაცი
23.	ბოლნისი	4	1	ქალი
24.	დმანისი	4	0	მამაკაცი
25.	წალკა	8	2	მამაკაცი
26.	თეთრიწყარო	3	0	მამაკაცი
27.	მცხეთა	5	1	მამაკაცი
28.	დუშეთი	5	2	მამაკაცი
29.	ყაზბეგი	6	1	მამაკაცი
30.	კასპი	4	0	მამაკაცი
31.	ახალგორი	4	1	მამაკაცი
32.	გორი	7	0	მამაკაცი
33.	ქარელი	7	0	მამაკაცი
34.	ხაშური	5	0	მამაკაცი
35.	ბორჯომი	6	1	მამაკაცი
36.	ახალციხე	7	1	მამაკაცი
37.	ადიგენი	3	0	მამაკაცი
38.	ასპინძა	9	0	მამაკაცი
39.	ახალქალაქი	6	0	მამაკაცი
40.	ნინოწმინდა	2	0	მამაკაცი
41.	ონი	5	1	მამაკაცი
42.	ამბროლაური	3	0	მამაკაცი
43.	ცაგერი	2	0	მამაკაცი
44.	ლენტეხი	1	0	მამაკაცი
45.	მესტია	4	0	მამაკაცი
46.	ხარაგაული	6	0	მამაკაცი

47.	თერჯოლა	4	0	მამაკაცი
48.	საჩხერე	8	0	მამაკაცი
49.	ზესტაფონი	12	0	მამაკაცი
50.	ბაღდათი	5	0	მამაკაცი
51.	ვანი	5	0	მამაკაცი
52.	სამტრედია	5	1	მამაკაცი
53.	ხონი	8	0	მამაკაცი
54.	ჭიათურა	12	1	მამაკაცი
55.	ტყიბული	2	0	მამაკაცი
56.	წყალტუბო	4	0	მამაკაცი
57.	ქუთაისი	10	3	ქალი
58.	ოზურგეთი	5	0	მამაკაცი
59.	ლანჩხუთი	6	0	მამაკაცი
60.	ჩოხატაური	1	0	მამაკაცი
61.	აბაშა	6	0	მამაკაცი
62.	სენაკი	6	1	მამაკაცი
63.	მარტვილი	7	0	მამაკაცი
64.	ხობი	6	1	მამაკაცი
65.	ზუგდიდი	8	1	მამაკაცი
66.	წალენჯიხა	3	0	მამაკაცი
67.	ჩხოროწყუ	4	1	მამაკაცი
68.	ფოთი	11	1	მამაკაცი
69.	ბათუმი	6	0	მამაკაცი
70.	ქედა	3	0	მამაკაცი
71.	ქობულეთი	8	2	მამაკაცი
72.	შუახევი	3	0	მამაკაცი
73.	ხელვაჩაური	5	2	მამაკაცი
74.	ხულო	3	2	მამაკაცი
75.	ლიახვი	11	1	მამაკაცი
საერთო რაოდენობა		456	54	74 მამაკაცი/3 ქალი

ამ ცხრილის თანახმად, მაჟორიტარული წესით წარდგენილ კანდიდატთა საერთო რიცხვის 11.8% ქალი იყო, ხოლო არჩეულ დეპუტატთა საერთო რიცხვში კი მხოლოდ 3.9%. ქალ და მამაკაც კანდიდატებს არჩევნებში გამარჯვების განსხვავებული შესაძლებლობაც ეძლეოდათ — ქალებმა შეადგინეს 5.6%., ხოლო მამაკაცებისათვის ეს ციფრი გაცილებით მეტი აღმოჩნდა — 18.4%.

გამოავლინდნენ საარჩევნო სუბიექტებიც, რომელთაც ყველაზე მეტი ქალი მაჟორიტარი კანდიდატი წარადგინეს: 1. საქართველოს ეროვნული-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიენება "მძლეველი" (11 კანდიდატი); 2. საინიციატივო ჯგუფი (8 კანდიდატი); მესამე ადგილი გაინაწილეს საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიამ და ბლოკმა "ჯუმბერ პატიაშვილი — პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა". სამი საარევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილმა მაჟორიტარმა კანდიდატმა ქალებმა შეძლეს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება: ქუთაისში "ბურჯანაძე - დემოკრატების", ყვარელში საინიციატივო ჯგუფისა და ბოლნისში - ნაციონალ — დემოკრატების კანდიდატებმა.

2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო პროპორციულ არევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიების პირველ ექვს (პოტენციურად გამსვლელ) ათეულში ქალმა კანდიდატებმა შემდეგი ადგილები დაიკავეს:

პარტიის დასახელება	I ათ-ში	II ათ-ში	III ათ-ში	IV ათ-ში	V ათ-ში	VI ათ-ში
“საქართველოს სოციალისტური პარტია”-№1	1 (№9)	1 (№19)	0	1 (№35)	5 (№40) (№43) (№45) (№47) (№48)	6 (№50) (№51) (№53) (№55) (№57) (№58)
“დემოკრატიული აღორძინების კავშირი”-№2	2 (№3) (№8)	1 (№17)	1 (№29)	3 (№30) (№33) (№34)	0	0
საარჩევნო ბლოკი “მემარჯვენე ოპოზიცია — მრეწველობა, ახლები” -№3	2 (№4) (№9)	1 (№14)	1 (№27)	0	2 (№41) (№49)	3
საქართველოს ლეიბორისტული პარტია -№4	1 (№7)	1 (№15)	0	2 (№34) (№37)	2 (№44) (№49)	3 (№53) (№56) (№58)
“ნაციონალურმა მოძრაობა - დემოკრატებმა” - №5	2 (№1) (№5)	1 (№17)	1 (№21)	0	3 (№42) (№45) (№48)	0
“საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია”- №6	მოხსნილია საკუთარი განცხადების საფუძველზე					
საარჩევნო ბლოკი “ედპ - ტრადიციონალისტები”-№7	1 (№4)	1 (№15)	0	1 (№37)	3 (№40) (№41) (№48)	4 (№51) (№53) (№57) (№58)
საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიენება “მძლეველი” - №8	2 (№5) (№7)	0	4 (№21) (№22) (№24) (№25)	3 (№32) (№33) (№35)	5 (№40) (№41) (№42) (№43) (№44)	4 (№52) (№53) (№55) (№56)
კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია - №9	მოხსნილია საკუთარი განცხადების საფუძველზე					
“ნაციონალისტები”-№10	0	0	3 (№22) (№23) (№24)	4 (№33) (№34) (№36) (№38)	2 (№45) (№48)	7 (№50) (№51) (№52) (№53) (№54) (№55) (№57)
ბლოკი “სამშობლო” -№11	1 (№9)	2 (№12) (№13)	1 (№20)	3 (№31) (№32) (№35)	6 (№40) (№41) (№43) (№44) (№46) (№48)	5 (№50) (№52) (№55) (№56) (№58)

საარჩევნო ბლოკი “ნაციონალური მოძრაობა” -№12	2 (№3) (№7)	3 (№15) (№16) (№17)	2 (№21) (№25)	5 (№31) (№32) (№33) (№35) (№36)	3 (№42) (№45) (№47)	5 (№50) (№51) (№56) (№57) (№59)
ბლოკი “ჯუმბერ პატიაშვილი — პოლიტიკური გაერთიანება “ერთობა” - №13	0	2 (№10) (№14)	1 (№23)	3 (№30) (№35) (№36)	1 (№40)	1 (№59)
დემოკრატიული სამართლის პარტია -№14	3 (№4) (№5) (№9)	2 (№18) (№19)	5 (№20) (№22) (№23) (№25) (№28)	8 (№30) (№32) (№43) (№35) (№36) (№37) (№38) (№39)	2 (№44) (№49)	4 (№52) (№54) (№55) (№58)
საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია -№15	2 (№5) (№6)	3 (№14) (№15) (№19)	5 (№22) (№23) (№24) (№27) (№28)	5 (№31) (№32) (№33) (№34) (№38)	4 (№41) (№44) (№46) (№47)	8 (№51) (№52) (№53) (№54) (№56) (№57) (№58) (№59)
პარტია “ნოდარ ნათაძე — სახალხო ფრონტი” -№16	1 (№6)	2 (№14) (№15)	1 (№23)	0	1 (№46)	1 (№59)
სამართლიანობა -№17	მოხსნილია საკუთარი განცხადების საფუძველზე					
პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება” -№18	1 (№7)	1 (№17)	0	1 (№31)	2 (№45) (№48)	2 (№57) (№58)
სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი -№20	0	1 (№11)	1 (№21)	3 (№31) (№33) (№34)	0	0
პროცენტული გამოანგარიშება	31.1	13.8	17.5	21.9	18.1	23.8

2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო პროპორციული არჩევნების შედეგად, 7%-იანი ბარიერი გადალახა მხოლოდ ორმა პოლიტიკურმა სუბიექტმა — “ნაციონალურმა მოძრაობა - დემოკრატებმა” 67.02%-ით და საარჩევნო ბლოკმა “მემარჯვენე ოპოზიცია — მრეწველობა, ახლები” - 7.62%-ით. Aმ პროცენტების შესაბამისად, “ნაციონალურმა მოძრაობა - დემოკრატებმა” მიიღეს 135 მანდატი, რომელთაგან 15 მანდატი ქალებმა მოიპოვეს. რაც შეეხება “მემარჯვენე ოპოზიცია — მრეწველობა, ახლებს”, მათ წილად ხვდათ 15 მანდატი, აქედან 3 — ქალებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაჟორიტარული არჩევნების შედეგად არჩეული იქნა 77 დეპუტატი, აქედან 3 — ქალი. რაც შეეხება აფხაზეთის დეპუტაციას, რომელსაც 1995 წლიდან ავტომატურად უგრძელდებოდა მანდატი, 2004 წლის მოწვევის პარლამენტმა გააუქმა მათი უფლებამოსილება, რის გამოც პარლამენტს გამოაკლდა 11 წევრი.

დღეს პარლამენტში 22 ქალია, რაც წარმოადგენს პარლამენტარების საერთო რიცხვის 9.7%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ წინა მოწვევის პარლამენტებთან შედარებით, ეს მონაცემი წინსვლაა — პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა 3%-ით გაიზარდა.

(მონაცემები აღებულია: ლ. ნადარაია "ქალი და პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში, "გენდერი, კულტურა., თანამედროვეობა" (რედ. ლ. გაფრინდაშვილი), თბილისი, 2005)

საერთაშორისო კონვენციები, რომელსაც საქართველო შეუერთდა:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
- ევთოს დოკუმენტაცია, 1995 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება
- სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1994 წლის 25 იანვარი.
- ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1994 წლის 25 იანვარი
- კონვებცია "ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ", 1994 წლის 22 სექტემბერი
- N111 კონვენცია "შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ", 1995 წლის 5 მაისი
- N100 კონვენცია "თანაბარი ღირებულების შრომაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ანაზღაურების შესახებ" 1996 წლის 29 მაისი

საქართველოს ახალი კანონმდებლობა, რომელიც ეფუძნება კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, შექმნილია ქალთა უფლებების დაცვის მიზნით.

კანონმდებლობის მიხედვით, ქალთა უფლებანი დაცულია სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ნორმებით:

- ფეხმძიმე ქალთა უფლებანი
- დედათა და ბავშვთა უფლებანი, რაც კანონქვემდებარე აქტებით არის გათვალისწინებული
- პატიმარ ქალთა უფლებანი
- არასრულწლოვანის უფლებანი
- ქალის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და გამოცხადებულია უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად. ამ მიმართებით საქართველოში მრავალი ღონისძიება განხორციელდა. სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ქალის — ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. შეიქმნა ქალთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელი კომისია, პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცდა ქალთა განვითარების სამოქმედო გეგმა, შემუშავდა ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პროგრამის პროექტები, რომლებშიც ქალთა ჯანმრთელობის დაცვისა და დასაქმების სპეციალური ღონისძიებებია გათვალისწინებული. ქალის — ადამიანის უფლებების დაცვა უაღრესად აქტუალური პრობლემაა საერთაშორისო დონეზე და ჩვენთან საქართველოში. "ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციას" საქართველო შეუერთდა 1994 წელს, ხოლო 1999 წელს საქართველოს პირველადი მოხსენება განხილული იქნა ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში და დადებითი შეფასება დაიმსახურა. კომიტეტმა საქართველოს მოაწოდა თავისი დასკვნითი კომენტარები. შემდგომი მუშაობის რეკომენდაციებით. საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების, პეკინის სამოქმედო პლატფორმის განხორციელების, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციების განხორციელების მიზნით:

1. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს იმსჯელოს დროებით სპეციალურ ღონისძიებებზე ქალთა პოზიციების გასაუმჯობესებლად პოლიტიკური წარმომადგენლობის სპეროში, კერძოდ, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვოტების საკითხზე.
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (ჯ.ხეცურიანი) — უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობით განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის გენდერული ანალიზი და მის საფუძველზე შეიმუშაოს საკანონმდებლო წინადაებები ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისა და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოწერიგებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქალთა პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის გამორიცხვას.
3. ქალთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელმა კომისიამ (რ. ბერიძე) ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით: - მონიტორინგი გაუწიოს მოქმედების ეროვნული გეგმის განხორციელებას, მოამზადოს რეკომენდაციები სამთავრობო სტრუქტურებისათვის ამ გეგმის განსახორციელებლად ჩასატარებელი სამუშაოს შესახებ; - მოამზადოს ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამწლიანი ეროვნული პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს კრიზისული ცენტრების შექმნას, საკონსულტაციო სამსახურების გაფართოვებას მსხვერპლი ქალებისათვის დახმარების გასაწევად, სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ქალებისათვის რეაბილიტაციის პროგრამების შექმნას.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე) და საქართველოს პროკუტატურამ (ჯ. ბაბილაშვილი) — მთელი ქვეყნის მასშტაბით შეაგროვოს და დაამუშაოს მონაცემები ქალთა წინააქმდეგ ძალადობის თითოეული შემთხვევის შესახებ; - მკაცრი აღწერა ჩაატაროს ოჯახური ძალადობის ფაქტების გამისავლენად და განახორციელოს ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად.
5. საქართველოს შრომის, სოციალური დაცვისა და დასაქმების სამინისტრომ (თ. გაზდელიანი) შეიმუშაოს ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გეგმა, რომელთა მიზანი იქნება ქალთა ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესება მათი მომზადების და გადამზადების გზით, ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროში.
6. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე) — ჩაატაროს ქალების დასაქმებისათვის ჯანმრთელობის აუცილებელი სტანდარტების ანალიზი და გამირიცხოს ამ სტანდარტებით ქალთა ირიბი ან პირდაპირი დისკრიმინაციის შესაძლებლობა შრომის ბაზარზე; - შეიმუშაოს და გაატაროს ღონისძიებათა ფართო სისტემა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის და აბორტების მაღალი მაჩვენებლის წინააღმდეგ ბრძოლის, ქალებისათვის აუცილებელი სამედიცინო სამსახურის გაწევის, კონტრაცეპტივების პოპულარიზაციის და გავრცელების მიზნით; - სადაზღვევო სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პაციენტი ქალების საავადმყოფოებში და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის

უზრუნველყოფას.

7. საქართველოს განათლების სამინისტრომ (ა. კარტოზია) ჩაატაროს სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი ატერეოტიპების აღმოსაფხვრელად ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის დამკვიდრების მიზნით.
8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენეღარიშვილი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოლაპარაკებების პროცესში ქალთა წარმომადგენლობის ჩართვას.
9. საქართველოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ (ვ. ვაშაკიძე) შეიმუშავოს ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული ქალებისათვის დახმარების სპეციალური პროგრამა.
10. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ (ბ. გულუა) — შეიმუშაოს სპეციალური პროგრამები სოფლად მომუშავე ქალების დასახმარებლად; - განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დამტკიცებული პროგრამების განხორციელების პროცესში ქალთა მონაწილეობას.
11. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტმა (თ. ბერიძე) სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში სპეციალურად დაამუშაოს სტატისტიკური მონაცემები გენდერულ ჭრილში.
12. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებულმა მართვისა და ინფორმაციის ცენტრ-მა (ზ. ჯიბლაძე) გამოსცეს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია და პეკინის სამოქმედო პლატფორმა და გაავრცელოს როგორც მთლიანად საზოგადოებაში, ისე საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში.
13. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. ონოფრიშვილი) 2000 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა დოკუმენტების გამოსაცემი ხარჯები.
14. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი კომენტარები გამოქვეყნდეს პრესაში ამ ბრძანებულების გამოქვეყნებისთანავე.
15. გადაეგზავნოს ეს ბრძანებულება გასაცნობად სამინისტროებს, სამთავრობო სტრუქტურებს და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.
16. ამ ბრძანებულების შესრულების კოორდინაცია და კონტროლი დაევალოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში (რ. ბერიძე).

ე.შევარდნაძე

დანართი 5

დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის N308 ბრძანებულებით,

1998 წლის 18 ივნისი

საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა გეგმა 1998-2000 წწ.

პრიორი-ტეტები	**მიზნები**	**სტრატეგიები**	**აღმასრულებლები**	**ხანგრძლ ივობა**
1.ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნა	1. გენდერულ საკითხებზე ინფორმირებულობის გაუმჯობესება, პრობლემის შესახებ დეტალური ინფორმაციის მომზადება 2. გენდერული ფაქტორის გათვალისწინება სახელმწიფო პოლიტიკასა და კანონმდებლობაში	1. ქალთა საკითხების დეპარტამენტის დაფუძნება; 2. სამთავრობო სტრუქტურებში ქალთა ერთეულების შექმნა; 3. ბიუჯეტის, საგადასახადო პოლიტიკისა და სწავლების პროგრამების შემუშვების სქესთა თანასწორობის საკითხების გათვალისწინება; 4. გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება სემინარების, დებატების, პუბლიკაციების, ფორუმებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით 5. ყველა კანონისა და კანონპროექტის შეფასება გენდერული თვალსაზრისით 6. ქალთა და მამაკაცთა მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეკრება და ანალიზი 7. საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის მდგომარეობის შესახებ მასალების გამოქვეყნება;	1. საქართველოს პარლამენტი 2. საქართველოს მთავრობა 3. საქართველოს პარლამენტი, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები 4. ქალთა შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელი კომისია (შემდგომში "კომისია") და საქართველოს მთავრობისა და გაეროს განვითარების ერთობლივი პროგრამა, ქალები განვითარების პროცესში; 5. იუსტიციის სამინისტრო, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; 6. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი 7. ქალები განვითარების პროცესში - პროექტი	1. 1999-2000 2. 1998-1999 3. 1998-1999 4. 1998-1999 5. 1998-1999 6. 1998-1999 7. 1998-2000

2. ქალთა როლისა და მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილებათა ფორმირების პროცესში	1. ქალთა მონაწილეობის გაზრდა ხელისუფლებაში	1. ყველა სფეროში ქალთა მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გამოქვეყნება 2. ქალთა სწავლება ლიდერისა და პოლიტიკური აქტიურობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის; 3. მართვის ყველა რგოლში ქალთა კადრების რეზერვის მომზადება; 4. დიპლომატურ სამსახურებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა; 5. საქართველოში პროდუქტიული ასაკის ქალთა დირექტორიის შექმნა, მათი კვალიფიკაციისა და უნარის, გამოცდილებისა და განათლების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით	1. კომისია, პროექტი "ქალები განვითარების პროცესში", სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი; 2. პროექტი "ქალები განვითარების პროცესში"; 3. საქართველოს მთავრობა, როექტი "ქალები განვითარების პროცესში"; 4. საქართველოს მთავრობა, საგარეო საქმეთა სამინისტრო; 5. კომისია, პროექტი "ქალები განვითარების პროცესში"; 6. საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების დირექტორიის გამოქვეყნება;	1. 1998-1999 2. 1998-2000 3. 1998-1999 4. 1998-2000 5. 1998-1999 6. 1998
3. ეკონომიკური პოლიტიკა	1. ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა 2. საბაზრო ეკონომიკისა და მცირე ბიზნესისათვის გამოყოფილი კრედიტების, მცირე ფერმებისა და თვითდასაქმებული პირების (განსაკუთრებით ქალების) შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	1. სპეციალური პროგრამის შემუშავება კერძო სექტორში მომუშავე ქალებისათვის 2. სოფლად მცხოვრებ ქალთა შემოსავლების გაზრდის უზრუნველმყოფი პროგრამის შემუშავება 3. ქალთა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მექანიზმების შემუშავება; 4. განვითარების გეგმის შემუშავების გენდერული პარამეტრების გათვალისწინება;	1. ეკონომიკის სამინისტრო 2. სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ეკონომიკის, შრომის, დასაქმებისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროები; პროექტი "ქალები განვითარების პროცესში" 3. საქართველოს პარლამენტი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროები; სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და პროფკავშირები; 4. ეკონომიკის სამინისტრო;	1. 1998-2000 2. 1998-2000 3. 1998-2000 4. 1998-2000

4.ქალები და სიღატაკე	1. გარდამავალ პერიოდში ქალთა შორის სიღატაკის ზრდის შეჩერება	1. მაკროეკონომიკური ინ-ვესტიციებისა და საგადა-სახადო პოლიტიკის სიღა-ტაკის დონეზე ზეგავლენის გენდერული თვალსაზრისით შეფასება; 2.სოფლად მცხოვრები ქალებისათვის სიღატაკის აღმოფხვრის პროგრამის შემუშავება; 3. მაკროეკონომიკური კრედიტების გამოყენებით ისეთი სპეციალური პროგ-რამების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალთა ოჯახების შემოსავლებს; 4. დემოგრაფიული პროცესების შესწავლა და სათანადო პროექტების შემუშავება; 5. ქალთა მიგრაციისა და ეროვნულ ეკონომიკაზე მისი ზეგავლენის შეფასება; 6. მარტოხელა დედე-ბისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, პენსიონერებისა და ინვალიდებისათვის სოციალური დახმარების პროექტების შემუშავება; 7. ხელახალი ტრენინგის ახალი პროგრამების შემუშავება; 8. კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა დამცველი მექანიზმების გაძლიერების, პროსტიტუციის, მათ-ხოვრობის, შიმშილობის აღმოფხვრის მიზნით, ჯანდაცვის მომსახურებათა გაწევისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის ახალი მეთოდების დანერგვა; 9. მაღალმთიანი რეგიონების ექიმებისათვის, მასწავლებლებისა და კულტურული დაწესე-ბულებების მუშაკთათვის შეღავათების დაწესება;	1. ეკონომიკის, ფინანსთა, შრომის, სოცუზრუნველყო–ფი სა და დასაქმების, სახელმწიფო მართვის ქონების სამინისტროები, პროექტი "ქალები განვითარების პროცესში"; 2. სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო; 3. ეკონომიკის სამინისტრო 4. შრომის, სოცია-ლური უზრუნველ-ყოფისა და დასაქ-მების სამინისტრო, დემოგრაფიის ინსტიტუტი 5. ლტოლვილთა და მიგრაციის სამინისტრო, კომისია; 6. შრომის, სოცია-ლური უზრუნველ-ყოფისა და დასაქ-მების სამინისტრო; 7. შრომის, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების სამინისტრო 8. საქართველოს პარლამენტი, შრომის, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების, განათლების, ჯანდაცვის, იუსტიციისა და კულტურის სამინისტროები 9. საქართველოს პარლამენტი;	1. 1998-1999 2. 1998-2000 3. 1998-2000 4. 1998-1999 5. 1998-2000 6. 1998-1999 7. 1998-2000 8. 1998-2000 9. 1999

5. ქალი და შეიარაღებული კონფლიქტები	1. ქალთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების ყველანაირ პროცესში 2. კონფლიქტების განმავლობაში და მის შემდგომ პერიოდში ქალთა წინააღმდეგ ძალადობის გამომრიცხავი მექანიზმებისა და პოლიტიკის შემუშავება; 3. კონფლიქტების განმავლობაში და მის შემდგომ პერიოდში ქალთა უფლებების დამცავი მექანიზმების შემუშავება;	1. ქალთა ჩართვა სამშვიდობო მოლაპარაკებებში; 2. სპეციალური იური-დიული მექანიზმების შემუშავება და ამ პროცესებში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; 3. განქორწინებული ოჯახების პრობლემათა მოგვარება; 4. შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაკარგული პირადი ქონების დაბრუნების მექანიზმების შემუშავება; 5, თავისუფალი გადაადგილების უფლების აღდგენა; 6. შეიარაღებული კინფლიქტების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება; 7. არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა კონფლიქტების გადაჭრის პროცესში;	1. საქართველოს პარლამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო; 2. საქართველოს პარლამენტი, იუსტიციის სამინისტრო; 3. იუსტიციის სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო; 4. იუსტიციის სამინისტრო 5. სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო; 6. არასამთავრობო ორგანიზაციები, ლტოლვილთა და მოგრაციის კომიტეტი; 7. კომისია;	1. 1998-1999 2. 1998-1999 3. 1998-1999 4. 1998-1999 5. 1998 6. 1998 7. 1998-1999

6.ქალები და მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესება	1. ქალის ჯანმ- რთელობის ყველა ასპექტისადმი ყურადღების მიქცევა; 2. ქალთა ინტერესების გათვალისწინება საქართველოში ჯანდაცვის პროგრამებისა და იმ სტრატეგიების შემუშა- ვებისას, რომლებიც მსოფლიო ბანკის, უნისებისა და გაეროს ჯანდაცვის ორგანი- ზაციის დოკუმენტებში უმაღლესი პრიორი- ტეტის საკითხებად ითვლება; 3. უმუშევარ და დაუცველ ქალთა უფასო მკურნალობის პროგრამათა შემუშავება	1. ჯანდაცვის სისტემის ყველა პროფესიონალი- სათვის სწავლების ყურადღების მიქცევა; 2. ქალთა ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერება; 3. ჯანდაცვაში და სო- ციალური უზრუნველ- ყოფის სფეროში გატა- რებული რეფორმების ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება; 4. ოჯახის დაცვის პროგრამების შემუშავება უმუშევარი და დაუცველი ქალებისათვის; 5. მკერდის კიბოს პრო- ფილაქტიკის შესახებ პროგრამების შემუშავება; 6. ქალთა და ბავშვთა შორის იოდის დეფიციტის პროფილაქტიკის პროგრამათა მხარდაჭერა და რეკომენდირება; 7. ქალთა შორის ტუ- ბერკულოზის პროფი- ლაქტიკისა და მკურნა- ლობის პროგრამების შემუშავება; 8. სამუშაო ადგილზე ქალთა ჯანმრთელობის დაცვის რეგულირება; 9. ახალგაზრდა დედათა და ფეხმძიმე ქალების ჯანმრთელობის სრული დაცვის უზრუნველყოფა; 10. ქალთათვის პროფილაქტიკური, საგანმანათლებლო, კულტურული სემინარებისა და სწავლების მოწყობა;	1. ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროები; 2. ჯანდაცვის სამინისტრო 3. ჯანდაცვის, შრომის, სოც. უზრუნველყოფისა და დასაქმების სამინისტროები; პროფკავშირები; 4. ჯანდაცვის, შრომის, სოც. უზრუნველყოფისა და დასაქმების სამინისტროები; პროფკავშირები; 5. ჯანდაცვის სამინისტრო; 6. ჯანდაცვის სამინისტრო; 7. ჯანდაცვის სამინისტრო; 8. ჯანდაცვის სამინისტრო; ჯანდაცვის, შრომის, სოც. უზრუნველყოფისა და დასაქმების სამინისტროები; პროფკავშირები; 9. ჯანდაცვის სამინისტრო; 10. ჯანდაცვის სამინისტრო; შრომის, სოც. უზრუნველყოფისა და დასაქმების სამინისტროები; პროფკავშირები;	1.1998- 1999 2. 1998- 1999 3. 1998- 1999 4. 1998- 1999 5. 1998 6. 1998 7. 1998- 1999

7. ქალთა უფლებანი	1. საქართველოს კანონმდებლობისა და ფუნქციონირებადი მექანიზმების თავსებადობაში მოყვანა 2. გენდერული დისკრიმინაციის ყველა ფაქტორის აღმოფხვრა	1. სამთავრობო სტრუქტურებისათვის სწავლების ჩატარება ქალთა უფლებების საკითხებზე; 2. საერთაშორისო კონვენციებისა და პეკინის მოქმედებათა პლატფორმის თარგმნა და გამოქვეყნება; 3. ქალთა არასამთავრობო ორგანოზაციებისათვის ტრენინგის ჩატარება ქალთა უფლებების შესახებ; 4. ქალთა უფლებების შესახებ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის; 5. კანონგამტარებელი ორგანოებისათვის ქალთა უფლებების შესახებ ტრენინგის ჩატარება; 6. მას მედიის საშუალებებისათვის სექსიზმის თემაზე სპეციალური სემინარის მოწყობა; 7.ანტიდისკრიმინაციულ საკითხებზე ტრენინგის ჩატარება.	1. კომისია, პროექტი "ქალები განვითარების პროცესში"; 2. პროექტი "ქალები განვითარების პროცესში"; 3. კომისია, პროექტი "ქალები განვითარების პროცესში"; 4. განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის სამინისტროები; 5. იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროები, სახელმწიფო პროკურორის ოფისი; 6. კომისია, პროექტი "ქალები განვითარების პროცესში"; 7. კომისია, პროექტი "ქალები განვითარების პროცესში".	1. 1998-1999 2. 1998 3. 1998-2000 4. 1998-2000 5. 1998-2000 6. 1998-2000 7. 1998-2000

კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

აღნიშნავენ, რომ გაერთიანებული ერების წესდება განამტკიცებს ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, მისი, როგორც პიროვნების, ღირსებისა და ღირებულებისადმი და მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობისადმი რწმენას,

აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განამტკიცებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და აცხადებს, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი, თანასწორი ღირსებითა და უფლებებით, და უნდა ფლობდეს დეკლარაციით გამოცხადებულ ყველა უფლებასა და თავისუფლებას, ნებისმიერი, მათ შორის, სქესის ნიშნით განსხვავების მიუხედავად,

აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის თანასწორობა ნებისმიერი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას,

მხედველობაში იღებენ გაერთიანებული ერების და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების ეგიდით დადებულ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ხელს უწყობს მამაკაცისა და ქალის თანასწორობის უფლებას,

ითვალისწინებენ, აგრეთვე, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაერთიანებული ერებისა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების მიერ მიღებულ რეზოლუციებს, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებს,

შეშფოთებულნი არიან, რომ სხვადასხვა დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, ქალთა მზარდი დისკრიმინაცია გრძელდება,

შეახსენებენ, რომ ქალის დისკრიმინაცია არღვევს თანასწორუფლებიანობისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის პრინციპებს, ხელს უშლის მამაკაცის თანაბრად ქალის მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში; აბრკოლებს საზოგადოებისა და ოჯახის კეთილდღეობის ზრდას და ართულებს ქალის შესაძლებლობათა სრულად გამოვლენას მისი ქვეყნისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ,

შეშფოთებულნი არიან, რომ სიღარიბის პირობებში ქალებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სურსათი, ჯანმრთელობის დაცვის საშუალებები, განათლება, პროფესიული მომზადება და დასაქმება, აგრეთვე სხვა მოთხოვნილებები,

დარწმუნებული არიან, რომ თანასწორობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მამაკაცისა და ქალის თანაბარუფლებიანობის განვითარებას,

ხაზს უსვამენ, რომ აპარტეიდის, რასიზმის ყველა ფორმის, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აგრესიის, უცხო სახელმწიფოს მიერ ოკუპაციისა და ბატონობის, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის აღმოფხვრა აუცილებელია მამაკაცისა და ქალის უფლებებით სრული სარგებლობისათვის,

ადასტურებენ, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა მათი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მიუხედავად, საყოველთაო და სრული განიარაღება, განსაკუთრებით მკაცრ და ეფექტურ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ბირთვული განიარაღება, ქვეყნებს შორის ურთიერთობაში სამართლიანობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპების დამკვიდრება და უცხოეთისა და კოლონიური ბატონობის, უცხოური ოკუპაციის ქვეშ მყოფი ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების განხორციელება, აგრეთვე, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ბიძგს მისცემს სოციალურ პროგრესსა და განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მამაკაცსა და ქალს შორის სრული თანასწორობის მიღწევას,

დარწმუნებულნი არიან, რომ ქვეყნის სრული განვითარება, მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობა მოითხოვს ყველა სფეროში ქალის მაქსიმალურ მონაწილეობას მამაკაცის თანასწორად,

ითვალისწინებენ ოჯახის კეთილდღეობისა და საზოგადოების განვითარების საქმეში ქალის განუზომელ წვლილს, რომელსაც დღემდე არ მოუპოვებია სრული აღიარება, ოჯახსა და ბავშვის აღზრდაში დედობის ფუნქციისა და ორივე მშობლის როლის სოციალურ მნიშვნელობას, ასევე, გაცნობიერებული აქვთ, რომ ქალის როლი შთამომავლობის გაგრძელებაში არ უნდა იყოს მისი დისკრიმინაციის საფუძველი, ვინაიდან ბავშვის აღზრდა მოითხოვს მამაკაცსა და ქალს, აგრეთვე მთლიანად საზოგადოებას შორის პასუხისმგებლობის განაწილებას,

აღიარებენ, რომ მამაკაცისა და ქალის სრული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა საზოგადოებასა და ოჯახში როგორც მამაკაცის, ისე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა,

მზად არიან განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ დეკლარაციით გამოცხადებული პრინციპები და ამ მიზნით, მიიღონ ასეთი დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და გამოვლინების აღმოსაფხვრელად საჭირო ზომები,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი "ქალის დისკრიმინაცია" ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას ან შეზღუდვას, რომელმაც შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ან რომლის მიზანია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში ქალის ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე ქალის ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა.

მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალის დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას, თანახმა არიან, ყველა შესატყვისი საშუალებით, დაუყოვნებლივ განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის პოლიტიკა და ამ მიზნით, კისრულობენ ვალდებულებას:

(a) შეიტანონ მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის პრინციპი თავიანთ კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, თუ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ, და უზრუნველყონ კანონითა და სხვა შესატყვისი საშუალებებით ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელება;

(b) მიმართონ, სადაც ეს აუცილებელია, ქალის ყოველგვარი დისკრიმინაციის ამკრძალავ შესაბამის საკანონმდებლო და სხვა ზომებს, სანქციების ჩათვლით;

(c) დააწესონ ქალის უფლებების სამართლებრივი დაცვა მამაკაცთან თანასწორობის საფუძველზე და კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით უზრუნველყონ დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან ქალის ეფექტური დაცვა;

(d) თავი შეიკავონ ქალის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტისა თუ მოქმედებისაგან და უზრუნველყონ სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების მოქმედება ამ ვალდებულების შესაბამისად;

(e) მიმართონ ყველა შესაბამის ზომას ნებისმიერი პირის, ორგანიზაციისა თუ საწარმოს მხრიდან ქალის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;

(f) მიმართონ ყველა შესაბამისი ზომას, საკანონმდებლოს ჩათვლით, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომელიც ქალის დისკრიმინაციას აწესებს;

(g) გააუქმონ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა დებულება, რომელიც ქალის დისკრიმინაციას აწესებს.

მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოები ყველა სფეროში, კერძოდ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში მიმართავენ შესაბამის ზომებს, საკანონმდებლოს ჩათვლით ქალის ყოველმხრივი განვითარებისა და პროგრესის უზრუნველსაყოფად, რათა მას მამაკაცთან თანასწორობის საფუძველზე შეექმნას ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისა და მათი განხორციელების გარანტია.

მუხლი 4

1. მონაწილე სახელმწიფოების მიერ, მამაკაცსა და ქალს შორის ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად მიღებული დროებითი სპეციალური ზომები ამ კონვენციის განსაზღვრების მიხედვით, დისკრიმინაციულად არ ჩაითვლება, თუმცა, მან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოიწვიოს არათანაბარი და განსხვავებული სტანდარტების შენარჩუნება; აღნიშნული ზომები უნდა გაუქმდეს, როცა მიღწეულ იქნება მიზანი, რომელიც შესაძლებლობათა და მოპყრობის თანასწორობაში გამოიხატება.

2. მონაწილე სახელმწიფოების მიერ დედობის დასაცავად სპეციალური, მათ შორის ამ კონვენციით გათვალისწინებული ზომების მიღება დისკრიმინაციულად არ უნდა ჩაითვალოს.

მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, რათა:

(a) შეცვალონ მამაკაცისა და ქალის ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენებისა და ჩვეულებების, აგრეთვე, სხვა დანარჩენი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ემყარება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის ან მამაკაცისა და ქალის როლის სტერეოტიპის იდეებს.

(b) უზრუნველყონ, რომ საოჯახო განათლება გულისხმობდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას, ბავშვის ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით.

მუხლი 6

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, საკანონმდებლოს ჩათვლით, ქალით ვაჭრობისა და ქალის პროსტიტუციის ექსპლუატაციის ყველა ფორმის აღსაკვეთად.

ნაწილი II

მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, კერძოდ, ქალისათვის, მამაკაცის თანასწორად, უზრუნველყოფენ უფლებას:

(a) ხმა მისცეს ყველა არჩევნებსა და რეფერენდუმში, არჩეულ იქნას ნებისმიერ წარმომადგენლობით ორგანოში;

(b) მონაწილეობდეს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში და ეკავოს სახელმწიფო თანამდებობა, აგრეთვე, ახორციელებდეს ნებისმიერ საჯარო ფუნქციას, ხელისუფლების ყველა დონეზე;

(c) მონაწილეობდეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებზე მუშაობენ.

მუხლი 8

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ ქალისათვის მამაკაცის თანასწორად და დისკრიმინაციის გარეშე საერთაშორისო დონეზე საკუთარი მთავრობის წარმოდგენისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს მის მიერ მოქალაქეობის შეძენის, შეცვლისა და შენარჩუნების დროს. განსაკუთრებით, უზრუნველყოფენ, რომ უცხოელზე ქორწინებამ ან ქორწინების პერიოდში ქმრის მიერ მოქალაქეობის შეცვლამ არ გამოიწვიოს ცოლის მოქალაქეობის ავტომატური შეცვლა, არ აქციოს იგი მოქალაქეობის არმქონე პირად და არ აიძულოს იგი მიიღოს ქმრის მოქალაქეობა.

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს შვილების მოქალაქეობის განსაზღვრისას.

ნაწილი III

მუხლი 10

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა უზრუნველყონ განათლების დარგში მამაკაცის თანაბარი უფლებებით, განსაკუთრებით:

(a) პროფესიის ან სპეციალობის არჩევისას განათლების ხელმისაწვდომობის, ყველა კატეგორიის სასწავლო დაწესებულების დიპლომის მიღების ერთნაირი პირობებით, როგორც სოფლის, ისე ქალაქის რაიონებში. ეს თანასწორობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას როგორც სკოლამდელი, ზოგადი, ტექნიკური, პროფესიული და უმაღლესი ტექნიკური, ასევე ყველა სხვა ტიპის სპეციალური განათლებისათვის;

(b) სწავლების ერთნაირი პროგრამების, ერთნაირი გამოცდების, თანაბარი კვალიფიკაციის მასწავლებელთა შემადგენლობის, თანაბარი ხარისხის სასკოლო შენობებისა და მოწყობილობის ხელმისაწვდომობა;

(c) ყველა დონისა და ფორმის სასწავლებელში მამაკაცისა და ქალის როლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების აღმოფხვრა ერთობლივი სწავლებისა და სწავლების სხვა ფორმების წახალისების გზით, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას, კერძოდ, სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების გადასინჯვითა და ამ მიზანთან სწავლების მეთოდების მისადაგებით;

(d) სტიპენდიებისა და სხვა სასწავლო დახმარების მიღების თანაბარი შესაძლებლობა;

(e) შემდგომი განათლების მიღების პროგრამების ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობა, მოზრდილთა და წიგნიერების პროგრამების ჩათვლით, რომელიც მამაკაცთა და ქალთა ცოდნაში არსებული ვაკუუმის სწრაფი შემცირებისაკენაა მიმართული;

(f) სკოლადაუმთავრებელ გოგონათა რიცხვის შემცირება და პროგრამების შემუშავება იმ გოგონებისა და ქალებისათვის, რომელთაც ნაადრევად მიატოვეს სკოლა;

(g) სპორტსა და ფიზიკურ მომზადებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა;

(h) ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხელშესაწყობად საგანმანათლებლო ხასიათის სპეციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციისა და კონსულტაციების ჩათვლით.

** მუხლი 11**

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით დასაქმების დარგში, კერძოდ:

(a) შრომის უფლებით, როგორც ყოველი ადამიანის განუყოფელი უფლება;

(b) სამუშაოზე დაქირავების დროს ერთნაირი შესაძლებლობების უფლებით, დაქირავებისას შერჩევის თანაბარი კრიტერიუმების გამოყენების ჩათვლით;

(c) პროფესიის ან სამუშაოს თავისუფალი არჩევის, თანამდებობრივი დაწინაურებისა და დასაქმების გარანტიის, აგრეთვე, ყველა სამსახურებრივი შეღავათითა და პირობით სარგებლობის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების უფლებით - მოწაფეობის, გაძლიერებული პროფესიული მომზადებისა და რეგულარული გადამზადების ჩათვლით;

(d) თანაბარი ანაზღაურების, მათ შორის, შეღავათების მიღების, თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანაბარი პირობების, აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისადმი თანაბარი მიდგომის უფლებით;

(e) სოციალური უზრუნველყოფის უფლებით, კერძოდ, პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობის და შრომისუნარიანობის დაკარგვის სხვა შემთხვევებში, აგრეთვე, ანაზღაურებადი შვებულების უფლებით;

(f) ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის შთამომავლობის გაგრძელების ფუნქციის დაცვის უფლებით;

2. გათხოვებისა თუ დედობის მიზეზით ქალის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მისთვის შრომის ეფექტური გარანტიების შესაქმნელად, მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ შესაბამის ზომებს, რათა:

(a) სანქციების გამოყენების მუქარით აკრძალონ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების საფუძველზე სამუშაოდან დათხოვნა ან დათხოვნისას ოჯახური პირობების გამო დისკრიმინაცია;

(b) შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება შესაბამისი სოციალური დახმარებით ორსულობისა და მშობიარობის გამო, მუშაობის წინანდელი ადგილის, თანამდებობისა და სოციალური დახმარების შენარჩუნებით;

(c) წაახალისონ აუცილებელი სოციალური მომსახურების გაწევა, რათა მშობლებს შეეძლოთ საოჯახო მოვალეობათა შესრულება შეუთავსონ შრომით საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, კერძოდ, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით;

(d) უზრუნველყონ ორსულობის პერიოდში ქალების განსაკუთრებული დაცვა ისეთი სამუშაოსაგან, რომელმაც მათ ჯანმრთელობაზე მავნე გავლენა შეიძლება მოახდინოს.

3. კანონმდებლობა, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების დაცვას ემსახურება, პერიოდულად განიხილება სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის შუქზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება გადასინჯვას, გაუქმებას ან გაფართოებას.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ ქალისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მათ შორის ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, მონაწილე სახელმწიფოები ქალებს უზრუნველყოფენ შესაბამისი მომსახურებით ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, აუცილებლობის შემთხვევაში უწევენ უფასო მომსახურებას, ასევე, ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში უზრუნველყოფენ შესაბამისი კვებით.

მუხლი 13

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ შემდეგი თანაბარი უფლებებით:

(a) საოჯახო დახმარების უფლებით;

(b) საბანკო კრედიტის, უძრავი ქონების გირავნობით სესხის და ფინანსური კრედიტის სხვა ფორმების მიღების უფლებით;

(c) დასვენების, სპორტისა და კულტურული ცხოვრების ყველა დარგთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებით.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ სოფლად მცხოვრები ქალების განსაკუთრებულ პრობლემებს და იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ისინი თავიანთი ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში თამაშობენ, მათ შორის, საქმიანობას მეურნეობის არასასაქონლო დარგებში და მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ ამ კონვენციის დებულებათა გამოყენების უზრუნველსაყოფად.

2) მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას სოფლის რაიონებში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ქალთა მონაწილეობა რაიონების განვითარებასა და ასეთი განვითარებისაგან სარგებლის მიღებაში, კერძოდ, ასეთ ქალებს აღჭურვავენ უფლებით:

(a) ყველა დონეზე მონაწილეობდნენ განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში;

(b) ხელი მიუწვდებოდეთ სამედიცინო მომსახურების შესაბამის საშუალებებზე, ოჯახის დაგეგმვის საკითხზე ინფორმაციის, კონსულტაციებისა და მომსახურების ჩათვლით.

(c) უშუალოდ იღებდნენ სარგებელს სოციალური დაზღვევის პროგრამებისაგან;

(d) იღებდნენ ყველა სახის ფორმალურ და არაფორმალურ მომზადებასა და განათლებას, წიგნიერების ჩათვლით, აგრეთვე, სარგებლობდნენ სათემო მომსახურების და საკონსულტაციო მომსახურების ყველა საშუალებით, ტექნიკური მომზადების დონის ამაღლების მიზნით;

(e) ქმნიდნენ თვითდახმარების ჯგუფებსა და კოოპერატივებს, ეკონომიკურ შესაძლებლობათა თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით დაქირავებული შრომის ან თვითდასაქმების საშუალებით;

(f) მონაწილეობდნენ ყველა სახის კოლექტიურ საქმიანობაში;

(g) ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი და სესხები, ისარგებლონ მარკეტინგის სისტემით, შესაბამისი ტექნოლოგიითა და მიწისა და აგრარულ რეფორმებში, აგრეთვე, ხელახლა დასახლების გეგმებში თანაბარი სტატუსით;

(h) სარგებლობდნენ ცხოვრების სათანადო პირობებით, განსაკუთრებით საბინაო, სანიტარულ, ელექტრო და წყალმომარაგებით, აგრეთვე ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურებასთან მიმართებაში.

ნაწილი IV

მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები კანონის წინაშე აღიარებენ ქალის მამაკაცთან თანასწორობას.

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალს ანიჭებენ მამაკაცის თანაბარ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას და მისით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობებს, კერძოდ, უზრუნველყოფენ ქალის თანაბარ უფლებებს ხელშეკრულებების დადებისა და ქონების მართვისას, აგრეთვე, მისდამი თანაბარ დამოკიდებულებას სასამართლოებსა და ტრიბუნალებში საქმის განხილვის ყველა ეტაპზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ბათილად და ძალადაკარგულად ჩაითვალოს ნებისმიერი ხელშეკრულება და კერძო იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც ქალის უფლებაუნარიანობის შეზღუდვა მოჰყვება.

4. მონაწილე სახელმწიფოები მამაკაცსა და ქალს ანიჭებენ თანაბარ უფლებებს გადაადგილების, ბინადრობისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლების კანონმდებლობასთან მიმართებაში.

მუხლი 16

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ:

(a) ქორწინებისას ერთნაირ უფლებებს;

(b) მეუღლის თავისუფლად არჩევისა და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებებს;

(c) ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს;

(d) მშობლების თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, მათი ოჯახური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, შვილებთან დაკავშირებულ საკითხებში. ვინაიდან ნებისმიერ შემთხვევაში შვილების ინტერესები უპირატესია;

(e) შვილების რაოდენობისა და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხის თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადაწყვეტის თანაბარ უფლებებს. აგრეთვე, ამ უფლებებით სარგებლობისათვის საჭირო ინფორმაციისა და განათლების მიღების შესაძლებლობას;

(f) შვილების მეურვეობასთან, მზრუნველობასთან, წარმომადგენლობასთან და შვილებასთან ან სხვა ანალოგიური ფუნქციების შესრულებასთან მიმართებაში თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, როცა ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს; ნებისმიერ შემთხვევაში შვილების ინტერესები უპირატესია;

(g) მეუღლეთა თანაბარ პირად უფლებებს, მათ შორის გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევასთან მიმართებაში;

(h) მეუღლეთა ქონების მფლობელობის, შეძენის, მართვის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარ უფლებას.

2. ბავშვის ნიშნობასა და ქორწინებას იურიდიული ძალა არა აქვს. მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, რათა სავალდებულო წესით განისაზღვროს ქორწინების მინიმალური ასაკი და ქორწინების აუცილებელი რეგისტრაცია სახელმწიფო რეესტრში.

ნაწილი V

მუხლი 17

1. ამ კონვენციის განხორციელებისას მიღწეული პროგრესის განსახილველად არსდება ქალის დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი (შემდგომში

"კომიტეტი"), რომელიც კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისათვის შედგება თვრამეტი, ხოლო ოცდამეთხუთმეტე მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის ან მასთან შეერთების შემდეგ – ოცდასამი მაღალი მორალური თვისებებისა და კომპეტენციის მქონე ექსპერტისაგან. მონაწილე სახელმწიფოები ექსპერტებს ირჩევენ საკუთარ მოქალაქეთაგან და ისინი მოქმედებენ პერსონალურად. ექსპერტების შერჩევისას მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და სხვადასხვა ცივილიზაციების, აგრეთვე სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.

2. კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოების მიერ დასახელებულ პირთაგან, ფარული კენჭისყრით. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს ერთი პირი თავის მოქალაქეთაგან.

3. პირველი არჩევნები ეწყობა ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ექვსი თვის შემდეგ. ყოველი არჩევნების მოწყობამდე სულ ცოტა სამი თვით ადრე გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს, წინადადებით, წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატები ორი თვის განმავლობაში. გენერალური მდივანი ადგენს სიას, რომელშიც ანბანური წესით შეჰყავს ყველა დასახელელბული პირი იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს, და წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს.

4. კომიტეტის წევრთა არჩევნები ეწყობა მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში. სხდომაზე, რომლის ქვორუმსაც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი შეადგენს, კომიტეტში არჩეულ პირებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც ხმათა მეტ რაოდენობას და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებენ.

5. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით, თუმცა პირველ არჩევნებში არჩეულ ცხრა წევრს უფლებამოსილების ვადა ორი წლის შემდეგ გაუდის; პირველი არჩევნების მოწყობისთანავე, კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით ასახელებს ამ ცხრა წევრის გვარებს.

6. კომიტეტის დამატებითი ხუთი წევრის არჩევა ხდება ამ მუხლის მე-2, 3 და 4 პუნქტების დებულებათა შესაბამისად ოცდამეთხუთმეტე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების შემდეგ. ამრიგად, არჩეულ ორ დამატებით წევრს უფლებამოსილების ვადა გაუდის ორი წლის შემდეგ; ამ ორი წევრის გვარებს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით.

7. გაუთვალისწინებელი ვაკანსიის შესავსებად, მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტმაც როგორც კომიტეტის წევრმა, შეწყვიტა ფუნქციონირება, კომიტეტის თანხმობით ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან.

8. კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ გასამრჯელოს გაერთიანებული ერების სახსრებიდან, კომიტეტის მნიშვნელობის გათვალისწინებით ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

9. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი უზრუნველყოფს კომიტეტს აუცილებელ პერსონალითა და მატერიალური საშუალებებით, კომიტეტის მიერ ამ კონვენციის შესაბამისი ფუნქციების ეფექტური განხორციელებისათვის.

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება მათ მიერ ამ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად მიღებული საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული, თუ სხვა ღონისძიებებისა და ამასთან დაკავშირებით მიღწეული წარმატებების თაობაზე:

(a) დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში;

(b) ამის შემდგომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც და მომავალში კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად.

2. მოხსენებაში შეიძლება მითითებულ იქნას ის ფაქტორები და სიძნელეები, რომლებიც ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე გავლენას ახდენენ.

მუხლი 19

1. კომიტეტი ამტკიცებს პროცედურის საკუთარ წესებს.

2. კომიტეტი თავისი თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლით.

მუხლი 20

1 კომიტეტი ყოველწლიურად არა უმეტეს ორი კვირის განმავლობაში იკრიბება სხდომებზე ამ კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ მოხსენებათა განსახილველად.

2. კომიტეტის სხდომები, ჩვეულებრივ, იმართება გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში ან ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს.

მუხლი 21

1. კომიტეტი, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით, გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ და მონაწილე სახელმწიფოთაგან მიღებული მოხსენებებისა და ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე ამზადებს ზოგადი ხასიათის წინადადებებსა და რეკომენდაციებს. ასეთი წინადადებები და ზოგადი რეკომენდაციები კომიტეტის მოხსენებაში შეაქვთ მონაწილე სახელმწიფოების შენიშვნებთან ერთად, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში.

2. გენერალური მდივანი კომიტეტის მოხსენებებს ინფორმაციისათვის უგზავნის კომისიას ქალის სტატუსის შესახებ.

მუხლი 22

სპეციალიზებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ ამ კონვენციის ისეთი დებულებების განხორციელების საკითხების განხილვისას, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს მოუწოდოს, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

ნაწილი VI

მუხლი 23

1. ეს კონვენცია არ ზღუდავს მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობის მიღწევის უფრო მეტად ხელშემწყობ სხვა დებულებებს, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს:

(a) მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა, ან

(b) რომელიმე სხვა საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც ამ სახელმწიფოსათვის ძალაშია.

მუხლი 24

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, მიმართონ ყველა აუცილებელ ზომას ეროვნულ დონეზე ამ კონვენციით აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციის მისაღწევად.

მუხლი 25

1. ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის.

2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი დანიშნულია ამ კონვენციის

დეპოზიტორად.

3. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.

4. ეს კონვენცია ღიაა მისაერთებლად ყველა სახელმწიფოსათვის. მიერთება ხდება გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის მიერთების დოკუმენტის გადაცემით.

მუხლი 26

1. ამ კონვენციის გადასინჯვის თაობაზე თხოვნა შეიძლება წარმოადგინოს ნებისმიერმა მონაწილე სახელმწიფომ გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინებით.

2. გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ასეთი თხოვნის შესაბამისად საჭირო რაიმე ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 27

1. ეს კონვენცია ძალაშია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემიდან ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიკაციას მოახდენს ან მიუერთდება მას მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემის შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 28

1. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან მიერთების მომენტში სახელმწიფოთა მიერ გაკეთებულ დათქმათა ტექსტს.

2. დათქმა, რომელიც შეუთავსებელია ამ კონვენციის მიზნებსა და ამოცანებთან, არ მიიღება.

3. დათქმები შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინებით. გენერალური მდივანი ამის შესახებ აცნობებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

მუხლი 29

1. თუ ორ ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის

გზით ვერ გადაწყდება, ერთ-ერთი მათგანის თხოვნით იგი არბიტრაჟისათვის გადაეცემა. თუ საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე განცხადების შეტანიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან საარბიტრაჟო განხილვის ორგანიზებაზე, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დავის საერთაშორისო სასამართლოში გადატანა, ამ სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.

2. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან მასთან მიერთების დროს შეუძლია თავი შეიკავოს ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებების სავალდებულო ძალის აღიარებისაგან. სხვა მონაწილე სახელმწიფოებს არ ეკისრებათ ამ მუხლის მითითებული პუნქტიდან გამომდინარე ვალდებულებები იმ მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ამგვარი დათქმა გააკეთა.

3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დათქმა გააკეთა, შეუძლია ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის შეტყობინებით გააუქმოს თავისი დათქმა.

მუხლი 30

ეს კონვენცია, რომლის თანაბრად ავთენტური ტექსტი შედგენილია არაბულ, ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე, დეპონირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

საკითხები დისკუსიისა და წერითი დავალებებისათვის

1. განსაზღვრეთ სქესი როგორც ბიოსოციალური ფენომენი.
2. როგორია მამაკაცისა და ქალის სოციალური და ბიოლოგიური განსხვავება?
3. გენდერული კვლევების განვითარების ძირითადი ეტაპები.
4. რა არის სექსიზმი?
5. რა არის ფემინიზმი?
6. ფემინიზმის წანამძღვრები.
7. ფემინიზმის სამი ძირითადი მიმართულება.
8. რა განსხვავებაა გენდერსა და ფემინიზმს შორის?
9. ფემინიზმის ტიპოლოგია ჯუდით ლორბერის მიხედვით
10. რა არის ფემინისტური ეკონომიკური თეორიის მიზანი?
11. ფემინისტური ეკონომიკური თეორიის მიმართულებები.
12. რა განაპირობებს ქალთა დისკრიმინაციას დასაქმების საფეროში?
13. რა ზომები შეიძლება იქნეს მიიღებული თანასწორობის მისაღწევად?
14. რელიგიურ-ეთიკური მემკვიდრეობის გავლენა ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართვაზე.
15. ფემინისტების აზრით, ქრისტიანობაში რა წარმოდგენები ემსახურება: ქალთა დისკრიმინაციას?
16. ეგალიტარიზმის ელემენტები იუდაიზმში.
17. რას ითვალისწინებდა ინდუიზმის რეფორმა ქალთა საკითხში?
18. რა არის სატი?
19. რა არის სატაძრო პროსტიტუცია?
20. როგორია ქალის სტატუსი ისლამში?
21. როგორ მითითებებს იძლევა ყურანი ქალის შესახებ?
22. ქალის როლი ბუდიზმში.
23. რა შეხედულება აქვს ბუდიზმს მამაკაცებისა და ქალების მიერ გასხივოსნების მიღწევის საშუალებების შესახებ?
24. რა არის ბუდიზმის ისტორიული დამსახურება ქალების წინაშე?
25. მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გავლენა თანამედროვე საზოგადოებაში ქალის როლსა და სტატუსზე.
26. რა შეხედულებებია საზოგადოებაში ქალის სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობის შესახებ?
27. ქალის, როგორც-პოლიტიკოსის მოღვაწეობის სტილის თავისებურებანი
28. რა ზომები არის მიღებული გენდერული ბალანსის გასაუმჯობესებლად?
29. ქალთა მოძრაობების ძირითადი ეტაპები
30. ქალთა მსოფლიო კონფერენციები და მათი მნიშვნელობა
31. ქალის უფლებრივი მდგომარეობა ძველ საქართველოში.
32. ქალის სოიალურ-პოლიტიკური აქტივობა მე-19 საუკუნეში
33. ილია როგორც ფემინისტური მოძრაობის მომხრე
34. საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები და ეროვნული მექანიზმები
35. ქართველი ქალი გარდამავალ პერიოდში
36. ადამიანის უფლებების არსი და მიზნები
37. ადამიანის უფლებების "მესამე თაობა" და ქალები.

5. ჯავახიშვილი, ნ., ფემინიზმის მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა // *გენდერული პრობლემატიკა საქართველოში*, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002, 63-77.

ეროვნული ბიბლიოთეკისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი

გენდერული პრობლემატიკა საქართველოში

მადლობას ვუხდით ჰაინრიხ ბიოლის ფონდს ფინანსური შემწეობისათვის

თბილისი 2002

ფემინიზმის მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა

ნინო ჯავახიშვილი

მრავალფეროვანი ფემინიზმი

ფემინიზმზე და ქალთა მოძრაობაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ფემინიზმის, როგორც იდეოლოგიის თუ ფილოსოფიის მრავალფეროვნება და კომპლექსურობა, მისი მნიშვნელოვანი სახესხვაობები. ფემინიზმის ნაცვლად საქმე გვაქვს ფემინიზმებთან, რომლებიც განსხვავებულ და ხშირად ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს ემყარებიან. საერთო, რაც მათ გააჩნიათ, არის ალბათ ქალების დაქვემდებარებული პოზიციის წინააღმდეგ გამოსვლა და ამ დისკრიმინაციის საბოლოოდ დაძლევის მიზნით სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული წყობის შეცვლის მოთხოვნა (3).

ლიბერალური ფემინიზმი

- ემყარება დებულებას, რომ ქალთა ჩაგვრა და გენდერული უთანასწორობა არის სექსიზმისა და დისკრიმინაციის შედეგი, ანუ ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობები არ არსებობს, ან მამაკაცებთან მათი თანასწორი შეჯიბრის გამართვას ხელს უშლის გარკვეული ბარიერები.
- ლიბერალური ფემინიზმის აზრით, გენდერული უთანასწორობა შეიძლება შეიცვალოს კანონების, დამოკიდებულებების, პოლიტიკის ცვლილებით, აქცენტი კეთდება ქალთა უფლებებზე, ქალებს იგივე უფლებები უნდა ჰქონდეთ, რაც მამაკაცებს.
- ლიბერალური ფემინიზმი არ მიისწრაფვის საზოგადოების ფუნდამენტური ცვლილებისაკენ, მას მხოლოდ ინსტიტუციური რეფორმების გატარება სურს.
- პოლიტიკასთან მიმართებაში, მისთვის მნიშვნელოვანია ქალთა თანაბარი წარმოდგენა პოლიტიკურ სტრუქტურებში. არსებულ არათანასწორ სიტუაციას ეს მიმდინარეობა იმით ხსნის, რომ ქალების საშინაო შრომა სათანადოდ არ ფასდება და მიიჩნევს, რომ ძალაუფლების ფორმალურ სტრუქტურებზე ქალების უბრალო „დამატება" არ არის საკმარისი მამაკაცების დომინირებით შექმნილი პოლიტიკური ინსტიტუტების შესაცვლელად.

ლიბერალური ფემინისტების პირველი და უმთავრესი განაცხადი იმაში მდგომარეობს, რომ ლიბერალიზმის მიერ დანერგილი ფასეულობები თუ ნორმები - მაგ. ინდივიდუალური თავისუფლება, რაციონალური არჩევანის უფლება, სამართლიანი საზოგადოების კონცეფცია - იმთავითვე მიუწვდომელი იყო ქალებისათვის.

როგორც ცნობილია, ლიბერალური ფილოსოფია მნიშვნელოვნად

ეფუძნება არსებობის საზოგადო და კერძო სფეროებად დაყოფას. საზოგადო სფერო მოიცავს პოლიტიკურ ცხოვრებას; კერძო - პირადსა და ოჯახურს. ლიბერალური ფემინიზმის პოზიციიდან, ის თავისუფალი ინდივიდები, რომლებიც ცხოვრების ორივე სფეროში მოღვაწეობენ, მხოლოდ მამაკაცებია, ხოლო ქალები მოქცეულნი არიან პირად, ოჯახურ სფეროში და ამდენად მათთვის მიუწვდომელია ყველა ის პოლიტიკური თუ ლეგალური უფლება, რასაც ლიბერალიზმი ქადაგებს (9).

ლიბერალი ფემინისტები მნიშვნელოვნად ემყარებიან ფემინიზმის ცნობილ მოწოდებას - პირადი პოლიტიკურია - და მოითხოვენ თანასწორობისა და სამართლის პრინციპების შეტანას კერძო, პირად სფეროშიც. მათი მოთხოვნები ითვალისწინებს ოჯახის, როგორც ფუნდამენტური პოლიტიკური ინსტიტუტის, აღიარებას, სადაც ლიბერალური სამართალი ისევე უნდა ფუნქციონირებდეს, როგორც გარეთ, საზოგადო სფეროში. ლიბერალური სახელმწიფოს მოქალაქეები საშინაო, ოჯახურ სფეროშიც იმავე სამართლით უნდა არსებობდნენ, როგორც გარეთ.

რადიკალური ფემინიზმი

- განიხილავს ქალთა ჩაგვრას, როგორც ყველაზე ფუნდამენტურს, საიდანაც ჩაგვრის სხვა სახეები გამომდინარეობს, ხოლო მის საფუძველს პატრიარქალური სისტემაში ხედავს.
- **რადიკალური ფემინისტების** აზრით, გაუფასურებულია ქალის სხეულთან დაკავშირებული მოქმედებები და გამოცდილება, სექსუალური ძალადობა არის ქალის სოციალური კონტროლის ფორმა პატრიარქატის პირობებში.
- **რადიკალურ ფემინისტებს** მიაჩნიათ, რომ გენდერული უთანასწორობა საზოგადოებაში ფუნდამენტური ცვლილებების შედეგად უნდა აღმოიფხვრას. ასეთი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს პატრიარქალური სისტემის გარეთ ალტერნატივების შექმნით, ან სისტემის შიგნიდან შეცვლით.
- თუ ლიბერალური ფემინიზმი აქცენტს აკეთებს ქალთა თანაბარ შესაძლებლობებზე, რათა მამაკაცებისათვის განკუთვნილი პრივილეგიები ქალებმაც მიიღონ, რადიკალური ფემინიზმი მოითხოვს მამაკაცების მიერ დადგენილი ნორმებისა და სექსუალური ძალადობისაგან ქალების თავისუფლებას და ავტონომიას.
- პოლიტიკასთან მიმართებაში, ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა აზრით, ქალებმა ფუნდამენტურად უნდ შეცვალონ პოლიტიკური ინსტიტუტები, შემოიტანონ რა ქალთა ღირებულებები და ქცევები.

რადიკალური, ან განსხვავების ფემინიზმისათვის მთავარ საკვლევ საკითხს ქალისა და მამაკაცის განსხვავება წარმოადგენს. ქალის მამაკაცთან გათანაბრების მოთხოვნა სწორედ ქალური საწყისის და ბუნების საბოლოოდ მოშლის და ქალების გამამაკაცურების, მათი მასკულინიზაციის ტოლფასია. განსხვავების ფემინისტებს ხშირად უტოპისტობაშიც ადანაშაულებენ, ვინაიდან მათი მოთხოვნა არსებული სოციალური ნორმებისა და ფასეულობების მთლიან გადაფასებას და „ქალურის“ „მამაკაცურზე“ წინ წამოწევას გულისხმობს.

რადიკალურ ფემინიზმში არ არსებობს ერთიანი თეორია, მის განვითარებასთან ერთად იდეოლოგია სულ უფრო და უფრო დიფერენცირებული ხდება. რადიკალური ფემინისტები სწავლობენ, თუ რომელი ინსტიტუტების გზით ხდება მამაკაცის დომინაცია. მამაკაცური კონტროლის ძირითად ხერხად ისინი სექსუალურ კონტროლს (ძალადობა, პორნოგრაფია, აბორტი, სტერილიზაცია) მიიჩნევენ. მაკკინონის აზრით, სექსუალობა ფემინიზმის ამ მიმდინარეობისათვის იგივეა, რაც შრომა მარქსიზმისათვის (5).

რადიკალურ ფემინიზმს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის ბიოლოგიურად დეტერმინირებულია, ცენტრში აყენებს ქალის ბიოლოგიას და მის უცვლელობას უსვამს ხაზს, ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამოჰყავს ფსიქოლოგიური. ამავე დროს, მან დიდი გავლენა მოახდინა ფემინისტური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაზე, მისი გავლენით მოხდა აქცენტის გადატანა ლიბერალიზმიდან, თანასწორობიდან - გენდერულად ნეიტრალური მიდგომიდან, სხვაობების თანასწორობაზე - გენდერულად მგრძნობიარე მიდგომაზე.

სოციალისტური ფემინიზმი

- ემყარება სხვადასხვა მარქსისტულ სკოლას და რადიკალურ ფემინიზმს.
- აქცენტს აკეთებს ეკონომიკურ ძალებზე, სააშკარაოზე გამოაქვს, თუ როგორ აყენებენ კაპიტალიზმი და პატრიარქალური გენდერული ურთიერთობები ქალებს ჩაგრულ პოზიციაში სამსახურსა და ოჯახში.
- მოითხოვს კოლექტიურ პასუხისმგებლობას ყველა სფეროში, ოჯახის ჩათვლით.
- მხარს უჭერს ცვლილებებს, რომლებიც ხელს უწყობს საშინაო საქმეების განაწილებას და თანაბარ მონაწილეობას შვილების აღზრდაში, რადგან ასეთი ცვლილება ქალს საშუალებას მისცემს მეტი მონაწილეობა მიიღოს ანაზღაურებად სამუშაოსა და პოლიტიკის სფეროში.

მარქსისტული, ანუ სოციალისტური ფემინიზმის წარმომადგენელია ჰარტმანი, მის წიგნში „უბედური ქორწინება“, განხილულია ფემინიზმისა და მარქსიზმის ურთიერთმიმართება. თუ კლასიკური ფემინიზმი საშუალო კლასის თეთრკანიან ქალზეა ფოკუსირებული, სოციალისტური - მუშა ქალზე, ანუ დაბალ ფენაზე.

ორთოდოქსული მარქსისტული ფემინიზმისთვის მთავარია არა პოლიტიკური ან ლეგალური თანასწორობა, არამედ მატერიალური. მარქსისტული ფემინიზმი, უხეშად რომ ითქვას, გენდერულ უთანასწორობას და ქალების ჩაგვრას პირდაპირ უკავშირებს პროდუქციის კაპიტალისტურ სისტემას და ამ სისტემაში შრომის სქესობრივ დანაწილებას (პროდუქციის სფერო მამაკაცებს და რეპროდუქციის ქალებს).

მარქსიზმის გავლენით ფემინიზმი მოითხოვდა, რომ სამუშაო უნდა იყოს ანაზღაურებადი. ქალი ორმაგად მუშაობს, მაგრამ მისი შრომა სათანადოდ ანაზღაურებული არ არის. რადგან საშინაო საქმე ქალის ექსპლოატაციის მთავარ ფორმად ითვლება. ქალმა ამისათვის ხელფასი მაინც უნდა მიიღოს და ქმრისაგან დამოუკიდებელი უნდა გახდეს. მათ 70-იან წლებში დაიწყეს მოძრაობა: „ხელფასი დიასახლისებს". როდესაც თანამედროვე გამოკვლევებით ირკვევა, რომ ქალს მაინც დაბალი ანაზღაურება აქვს მამაკაცთან შედარებით, რომ მას ორმაგი დატვირთვა აქვს, ეს მარქსისტული მიდგომაა. გენდერული თანასწორობის მიღწევა XXს-ის 70-80-იან წლებში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ოფიციალურ დოქტრინებს შეადგენდა, ჩინურმა რეჟიმმა სცადა ქალი გაფართოებული პატრიარქალური ოჯახისაგან გაეთავისუფლებინა და ნუკლეარული ჰარმონიული ოჯახის იდეალით შეეცვალა, თუმცა არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ შრომის განაწილება სქესის ნიშნით უნდა მომხდარიყო. საბჭოთა რეჟიმიც დადებითად უყურებდა იმას, რომ ოჯახის მოვლა და შვილების აღზრდა მხოლოდ ქალის საქმე იყო.

სოციალისტური ფემინიზმი ასაბუთებს, რომ კაპიტალიზმი ქალს ეკონომიკურად ჩაგრავს, მაგრამ ამას ემატება პატრიარქალური ურთიერთობები, რომლებიც უშუალოდ ეკონომიკაზე არ არის დამოკიდებული, რადგან ასეთი საზოგადოება მანამდეც არსებობდა. ამიტომ, არა მარტო კაპიტალიზმთან, არამედ პატრიარქალურ საზოგადოებასთანაც უნდა იბრძოლო. მარქსისტულ და სოციალისტურ ფემინიზმს კონტრარგუმენტად უყენებენ იმასაც, რომ ეკონომიკური ჩაგვრა არ არის კაპიტალიზმის შექმნილი, ის მანამდეც არსებობდა. საერთოდ, მარქსისტული კონცეფცია, რომლისთვისაც ქალის ჩაგვრის ძირითადი ფაქტორი კაპიტალისტურ სისტემაში, კლასობრივ და საწარმოო ურთიერთობებშია, გარეგანი ფაქტორების თეორიად ითვლება.

ზემოთ ვნახეთ, რომ რადიკალური ფემინიზმი ზედმეტ აქცენტს აკეთებს გენდერულ სხვაობებზე, მარქსისტული ანუ სოციალისტური კი, პირიქით, საერთოდ ვერ ხედავს სხვაობას. გაჩნდა ახალი, შუალედური პოზიციის მქონე თეორიები, მაგალითად, ტრანსფორმაციული ფემინიზმი, რომლის მიხედვით, თუ პოლიტიკოსს აქვს გენდერული ცნობიერება, ის გენდერულ ლინზებს იყენებს, ხოლო ეს ცნობიერება უნდა შექმნას და განავითაროს ქალთა ორგანიზაციებმა და მათგან გამოსულმა პოლიტიკოსებმა. ანუ აქ მონაწილეობს სასწავლო და კვლევითი დაწესებულებებიც. გარდა ამისა, არსებობს ფსიქოანალიზური ფემინიზმიც, რომელიც მთლად მიმდინარეობად ვერ ჩამოყალიბდა.

პოსტკოლონიალური ან ფერადკანიან ქალთა ფემინიზმი

- ფერადკანიან ქალთა გამოცდილებიდან წარმოიშვა, ცნობილია ასევე, როგორც ანტირასისტული ან ანტიიმპერიალისტური ფემინიზმი.
- ძირითადად ეკონომიკურ საკითხებს აკრიტიკებს, მაგრამ განსაკუთრებით აქცენტს აკეთებს მჩაგრავი ძალების ურთიერთქმედებაზე, კერძოდ, რასობრივ და ეროვნულზე. ამ მიმართულების წარმომადგენლები აანალიზებენ, თუ როგორ არის გადაჯაჭვული გენდერი, რასა, კლასი, ეროვნული და იმპერიალისტური იერარქიები, რაც განსაკუთრებით უთხრის ძირს მესამე სამყაროს ქალის ცხოვრებას.
- მისი აზრით, სისტემატური ჩაგვრა ჩართულია გლობალურ სისტემებში, მაგალითად, მესამე სამყაროს ქალების ძლიერი ექსპლოატაცია წარმოებებში, სადაც ოფლმდენი სისტემა არსებობს, განვითარებად ქვეყნებში შექმნილია მრავლეროვანი კორპორაციების მიერ.

ეს მიმართულება ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში გაჩნდა, მისმა წარმომადგენლებმა, ძირითადად ფერადკანიანმა ამერიკელმა ქალებმა, გააკრიტიკეს გაბატონებული ფემინისტური დისკურსი, რომელიც ქალის გამოცდილების საერთოობასა და ერთიანობაში, ანუ ქალურ უნივერსალიზმში მდგომარეობდა. გაჩნდა ეროვნული, ლოკალური და ეთნიკური ფემინიზმები.

პოსტმოდერნისტული ფემინიზმი

- სერიოზულად უდგება ქალის ძალაუფლების, ქალის ჩაგვრის და ქალის ბრძოლის საკითხებს, მაგრამ მიაჩნია, რომ ქალის და გენდერის გაგება გამარტივებულია.
- პოსტმოდერნისტულ ფემინიზმს მიაჩნია, რომ ყოველი ადამიანი მეტია, ვიდრე ქალი ან კაცი. ჩვენ ყველას გვაქვს რასა, კლასი, კულტურული მემკვიდრეობა, ასაკი, და სხვა მრავალი თვისება, რომლებითაც აიგება ჩვენი იდენტობა, ქალები და მამაკაცები ამ და სხვა მაჩვენებლებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.
- ამდენად, ქალების პოლიტიკაში მონაწილეობაზე საუბარი დიდი გამარტივებაა, რადგან ქალთა განსხვავებული ჯგუფები არსებობს.
- ამიტომ, ქალები პოლიტიკაში ერთი ხმით ვერ ილაპარაკებენ, ყველგან უნდა ვაღიაროთ მათი განსხვავება.

პოსტმოდერნისტული ფემინიზმისთვის მიუღებელია განსხვავების ფემინიზმის მიერ ქალების, როგორც განსხვავებული და მამაკაცებთან დაპირისპირებული ჯგუფის დეფინიცია და სქესთაშორის განსხვავებაზე ფოკუსი. პოსტმოდერნისტული ფემინიზმის მთავარ მიზანს სწორედ ისეთი დაპირისპირებების დეკონსტრუქცია წარმოადგენს, როგორიცაა მამაკაცი/ქალი (ან მამაკაცური-/ქალური) ან თანასწორობა/განსხვავება. ამის ნაცვლად, პოსტმოდერნისტული ფემინიზმი გენდერული/სქესობრივი იდენტიფიკაციების არასტაბილურობაზე, მერყეობასა და ცვალებადობაზე აკეთებს აქცენტს (9).

ფემინიზმის ეს მიმდინარეობა გენდერის სოციალური კონსტრუირების თეორიას ეფუძნება. გენდერის, როგორც სოციალური კონსტრუქტის იდეა განხილულია კ. უესტის და დ. ზიმერმანის შრომაში „გენდერის შექმნა" (8). გენდერის კეთება ნიშნავს, რომ სოციალიზაციის პროცესში ბიჭებსა და გოგონებს შორის იქმნება სხვაობები, რომლებიც არ არის ბუნებრივი, არსებითი და ბიოლოგიური.

ინდივიდის გენდერული მიკუთვნებულობა ისაა, რასაც ის გამუდმებით აკეთებს სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედებისას. ეს თეორია ორ პოსტულატს ეყრდნობა.

- გენდერი აიგება სოციალიზაციის გზით, შრომის განაწილებით, გენდერული როლების, ოჯახის, მასმედიის საშუალებების გზით.
- გენდერი აიგება თვითონ ინდივიდების მიერ მათ ცნობიერებაში (გენდერული იდენტიფიკაცია), როდესაც ისინი საზოგადოების მიერ შეთავაზებულ და დაკანონებულ ნორმებსა და როლებს იღებენ და ერგებიან მათ (ტანსაცმელი, გარეგნობა, ქცევის მანერა და სხვ.).

როდესაც გენდერის სოციალური წარმოება კვლევის საგანი ხდება, ჩვეულებრივ სწავლობენ, როგორ აიგება გენდერი სოციალიზაციის ინსტიტუტების მეშვეობით. ძირითადი თემებია გენდერული როლები და სტერეოტიპები, გენდერული იდენტობა, გენდერული სტრატიფიკაციის და უთანასწორობის პრობლემები.

ტერეზა დე ლაურეტისის აზრით, გენდერი არის პროცესი, რომელიც სუბიექტს მისი სქეობრივი სხვაობების გზით აგებს, რომლებიც, თავის მხრივ, კავშირშია მის რასობრივ, ეთნიკურ, სოციალურ სხვაობებთან. გენდერის აგება სოციალურად ხდება, მისი აგების მექანიზმებს კი **გენდერული ტექნოლოგიები** უწოდეს. გენდერული ტექნოლოგიები არის დისკურსიული მექნიზმები, რომლებიც გენდერის წარმოების ფორმებს და სტადიებს იძლევა. გენდერული ტექნოლოგია აჩვენებს, როგორ ხდება სქესი იდეოლოგიური პროდუქტი (2).

პოსტმოდერნიზმის თეორიის მიხედვით არ არსებობს არც სტაბილური „მე" და არც კოლექტიური იდენტობა. ისინი მუდმივად აიგება, როგორც სოციალური ძალების ფუნქცია. ფემინისტური თეორიის მიერ ფსიქოლოგიაში შეტანილი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი არის გენდერის, როგორც სოციალური კონსტრუქტის გაგება. კონსტრუქტივისტები ამბობენ, რომ გენდერი არ წარმოადგენს ინდივიდის თვისებას, ის კონსტრუქტია, თუმცა, ეს კონსტრუქტი განსაზღვრავს განსაკუთრებულ, მხოლოდ ამ სქესისათვის დამახასიათებელ ქცევას. პიროვნებათშორისი ურთიერთობა აგებს და ამყარებს გენდერს და ამავე დროს, შეიძლება სრულიად დამოუკიდებელი იყოს ინდივიდის ბიოლოგიური სქესისაგან. ამ თვალსაზრისით შეიძლება ვიფიქროთ, რომ გენდერი უფრო ზმნაა, ვიდრე არსებითი სახელი. სოციალური ფსიქოლოგიის ტრადიციული კვლევები ამ დებულების სასარგებლოდ მეტყველებს. ფემინისტური თეორიის წვლილის უნიკალობა იმაში მდგომარეობს, რომ ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად მსგავსად აგებს საზოგადოება დაბალი ძალაუფლების მქონე ჯგუფების მარგინალობას. მაგალითად, ისინი, ვინც კანის ფერის მიმართ პოლიტიკას სწავლობენ, არკვევენ, რომ სქესის მსგავსად, კანის ფერიც განსაზღვრავს ხელფასს, წარმატებას კარიერაში, როგორც ამგვარი მარგინალური ჯგუფების შიგნით, ასევე მათ გარეთაც. ბოლო დროს კი გაჩნდა კვლევები, რომელთა ავტორები ამტკიცებენ, რომ სქესიც სოციალურადაა კონსტრუირებული, აგებული (1).

მიუხედავად განსხვავებისა, პოსტმოდერნისტული ფემინიზმის თეორეტიკოსები ოთხ ძირითად მიმართულებას მისდევენ:

1 ისინი ცდილობენ ყველა სოციალური და ინსტიტუციური ურთიერთობის გენდერულად განპირობებული ბუნების გამოვლენას - ვინ რას აკეთებს, ვისთვის კეთდება ეს, რა ვართ და რა შეგვიძლია გავხდეთ.

2 მათი აზრით, გენდერული ურთიერთობები პრობლემურია და სოციალური ცხოვრების უთანასწორობის და წინააღმდეგობების სისტემაშია ჩართული - ოჯახი, განათლება, სოციალური დახმარება, პოლიტიკა, სამუშაო, დასვენება და კულტურა - სოციალურად არის აგებული გენდერის, კლასის, რასის და სექსუალობის ურთიერთობების გზით.

3 გენდერული ურთიერთობები არ არის რაღაც უცვლელი და ბუნებრივი, არამედ, ისტორიული და სოციო-კულტურული პროდუქტია, რეკონსტიტუციის საგანი. ფემინისტურ ანალიზს შეუძლია დაანგრიოს (დეკონსტრუირება) შეცდომები და მითები ქალთა უნარების შესახებ, გააფართოოს ცოდნა ქალთა ემპირიული რეალობის შესახებ, და ააგოს (კონსტრუირება მოახდინოს) ქალთა თეორიები ქალების შესახებ.

4 ისინი ღიად, პოლიტიკურად მოგვიწოდებენ სოციალური ცვლილებებისაკენ - პროტესტი განუცხადეს ყველაფერ იმას, რაც მათთვის ტრადიციულ რასობრივ, კლასობრივ, სექსუალურ და ძალაუფლების კონვენციებს წარმოადგენს, რომელთა ჩარჩოებში მამაკაცს ქალთან შედარებით უპირატესობა ენიჭება(3).

სოციოლოგიური თეორიების როლი ფემინიზმში

ფემინიზმის ყველა მიმართულება ემყარება სოციოლოგიაში გავრცელებულ თეორიებსა და მიმდინარეობებს, მოკლედ განვიხილოთ თითეული მათგანი.

პოზიტივიზმის - დიურკჰეიმი და ვებერი - ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ობიექტური რეალობის შესწავლა. ამას არ ეთანხმება ფემინიზმი, რომლის აზრითაც, ადამიანები სუბიექტურნი არიან, ობიექტურ სამყაროს ვერ ხედავენ.

პარსონსი პოზიტივიზმის გამგრძელებლი და სტრუქტურული ფუნქციონალიზმის წარმომადგენლია. მისი სქესობრივ-როლური მიდგომა გულისხმობს, რომ მამაკაცს აქვს ინსტრუმენტული როლი, ხოლო ქალს - ექსპრესიული. 40-იან წლებში იგი წერდა, რომ ბიჭს და გოგოს განსხვავებული როლები აქვთ: გოგონა ოჯახში ხედავს, რას აკეთებს მისი დედა, ამიტომ მას ნორმატიული წარმოდგენა უჩნდება, ხოლო ბიჭი ვერ ხედავს, რას აკეთებს მამა, რადგან ის მთელი დღე გასულია სახლიდან, ამას მან სოციალიზაციის პროცესში მამის არდასწრების ფენომენი უწოდა. შემდეგშიც ეს როლური განსხვავება ნარჩუნდება. ჭაბუკთან წამყვანია ფიზიკური ძლიერება, ქალიშვილთან - ფიზიკური მიმზიდველობა. ოჯახში ქალს ექსპრესიული ფუნქცია ეკისრება, ხოლო მამაკაცს - ინსტრუმენტული. ანუ, ქალი ზრუნავს ოჯახზე, მის ფსიქოლოგიურ ბალანსს ინარჩუნებს, ემოციურ სამუშაოს ასრულებს, ხოლო მამაკაცი ოჯახსა და სხვა

-ციალურ სისტემებს შორის ურთიერთობების რეგულაციას ახდენს. თავის ადრეულ შრომებში პარსონსი ძირითადად დიურკჰეიმს და ვებერს ეყრდნობა, 50-იანი წლების შემდეგ იგი ცდილობს დიურკჰეიმისა და ფროიდის გაერთიანებას და ცვლის ფროიდისეულ პიროვნების სტრუქტურას. ფემინისტებმა პარსონსი თავდაპირველად ძალიან გააკრიტიკეს, შემდეგ საერთოდ დაივიწყეს, თუმცა პიროვნულად პარსონსი თავის ასპირანტ ქალებს დიდად უწყობდა ხელს (6).

გენდერში არსებული სქესობრივ-როლური მიდგომა პარსონსის როლურ თეორიას ემყარება. პიროვნება იმ სოციალური სტატუსის პრიზმაში განიხილება, რომელიც მას უკავია. როლის მოქმედებას ამყარებს რეფერენტული ჯგუფი, რომელსაც სანქციები გააჩნია. თუ პიროვნება არასწორად იქცევა, მას სჯიან, თუ სწორად - ის გამართლებას იღებს. პარსონსის აზრით, ასეთი როლური დაყოფა არის საზოგადოების სტაბილურობის გარანტი, სხვა შემთხვევაში საზოგადოება დაინგრევა. ამ თეორიის საფუძველზე გაჩნდა ინტერესი სოციალიზაციის ინსტიტუტებისადმი - ესაა დედა, ოჯახი, მასწავლებლები, თანატოლები, მასმედია. ამ საკითხებს მრავალი კვლევა მიეძღვნა, ამავე თეორიის საფუძველზე გაჩნდა კვლევების კიდევ ერთი ბლოკი, სადაც შეისწავლება სოციალიზაციის აგენტების დამოკიდებულება ბიჭებისა და გოგონების მიმართ, მასკულინობის და ფემინურობის მოდელების ათვისების გზები, სოციალიზაციის მოდელების შერევის შედეგები.

სქესობრივ-როლური თეორია რეფორმების პოლიტიკის პრინციპებს შეიცავს. თუ როლური მოლოდინებიდან გამომდინარე, ქალი არის დაქვემდებარებული და დამხმარე პირი, ხოლო ბუნებით იგი პასიურია, ეს მოლოდინები უნდა შევცვალოთ. თანამედროვე ფემინიზმმა (ძირითადად ლიბერალურმა) დიდი დრო დაუთმო ანტისექსისტური სასკოლო პროგრამების შექმნას, ანტიდისკრიმინაციული კანონების შემუშავებას, თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის განვითარებას შრომის ბაზარზე. სქესობრივი როლების თეორია გენდერული ურთიერთობების ფორმირების შინაგანი ფაქტორების თეორიაა (4).

დიურკჰეიმისა და პარსონსის მიდგომები წამყვანია სოციოლოგიაში (ისინი იყენებენ რაოდენობრივ მეთოდებს). ეს არის მაგისტრალური - **mainstream** სოციოლოგია, დანარჩენი მიდგომების გავლენა შედარებით სუსტია. ახლა მიდის ბრძოლა პოზიტივიზმსა და პოსტპოზიტივიზმს შორის, სადაც პოზიტივიზმში გავრცელებული რაოდენობრივის ნაცვლად, თვისებრივ მეთოდებს იყენებენ. მართალია, თვისებრივი მეთოდები არ არის ობიექტური, მაგრამ სოციოლოგს არც უნდა ჰქონდეს ამაზე პრეტენზია.

60-იანი წლების ბოლოს დასავლეთში, სოციალურ მეცნიერებებში მოხდა რევოლუცია, პარალელურად ამერიკაში სტუდენტური და ახალგაზრდული მოძრაობები მიმდინარეობდა, მათ შორის ქალთა მოძრაობაც, რომლის წევრთა უმეტესობა უნივერსიტეტებიდან მოვიდა. ამ რევოლუციის შედეგად სოციოლოგები მიუბრუნდნენ ფენომენოლოგიას, ე. ჰუსერლს, ანუ დაიწყეს ყოველდღიური ცხოვრების ფენომენების შესწავლა, რათა ამ გზით შეესწავლათ სოციალური

წესრიგი. ამას ყოველდღიურობის სოციოლოგია ეწოდა, ეს ისაა, რასაც ავტომატურად ვაკეთებთ და მხოლოდ მაშინ ვაქცევთ ყურადღებას, როცა აღმოვაჩენთ, რომ რაღაც არაა წესრიგში (მაგ.: წყალი არ მოდის). სოციოლოგის ამოცანაა ამ ყოველდღიურობის აღწერა სხვადასხვა საზოგადოებაში. ამ მიდგომაში მთავარია ადამიანის, მისი ჯგუფის გამოცდილება, ანუ ეს მიკროსოციოლოგიური მიდგომაა (7).

ირვინგ ჰოფმანმა შემოიტანა ფენომენოლოგიური სოციოლოგია, ანუ დრამატურგიული ინტერაქციონიზმი. მისი ანალიზის მთავარი მეთოდი იყო დაკვირვება, საკვანძო კატეგორია კი - სოციალური სიტუაცია. ყოველდღიური ქცევა ხორციელდება კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში, ადამიანი ურთიერთობს სხვებთან, ახორციელებს ინტერაქციას, ამ სიტუაციაში ადამიანი გამოხატავს საკუთარ იდენტობას ჟესტებით, ტონით, ინტონაციით, არტიკულაციით, ჩაცმულობით და ა. შ., ამას იდენტიფიკაციური დისპლეის (გამოვლენის) მექანიზმები ეწოდება. ტერმინი დისპლეი მან ეთოლოგიიდან აიღო, როცა ცხოველი იღრინება, ეს დისპლეია, რომლითაც ის რისხვას გვაჩვენებს, იგივეა ადამიანებთანაც, უბრალოდ, აქ დისპლეის უფრო მეტი მექანიზმია. ჰოფმანმა თავის რამდენიმე შრომაში გენდერული დისპლეიც განიხილა, მათ შორის: „გენდერული დისპლეი", „გენდერული რეკლამა". ურთიერთქმედების პროცესში ადამიანები მიიჩნევენ, რომ ადამიანთა ბუნება, არსი, გამოიხატება რაღაც ნიშნების, ანუ „ფორმალური კონვენციური აქტების" გზით. ქალურობა და მამაკაცურობა პირველივე შეხედვით ჩანს ნებისმიერ სოციალურ სიტუაციაში და ინდივიდის ძირითად მახასიათებლად აღიქმება. „თუ გენდერი არის სქესის კულტურული კორელატი, მაშინ გენდერული დისპლეი ამ კორელატების კონვენციური გამოხატვაა" - ამბობს ჰოფმანი (7). ჰოფმანისეული დისპლეი ცვლის პარსონსის როლურ თეორიას, ეს უფრო მეტია, ვიდრე როლი, რადგან უფრო ცვალებადია, უფრო დახვეწილია. გენდერული დისპლეი კონვენციურია და იმ სოციალური წესრიგის წარმოებას და კვლავწარმოებას უწყობს ხელს, რომელიც მოცემულ კულტურაში ქალურობის და მამაკაცურობის შესახებ არსებულ წარმოდგენაზეა დამყარებული. გენდერი ჰოფმანისთვის არის სოციალური ურთიერთობების შედეგი და ამავე დროს, მისი წყარო (7).

60-იან წლებში ფემინიზმმა დაიწყო ინგლისური ენის რეფორმა, მაგ: მხოლოდ **he**-ს ნაცვლად შემოიტანეს **he/she**, და სხვ. სუბიექტი შეცვალეს აგენტით და აქტორით, რადგან სუბიექტს აქვს კიდევ სხვა, დაქვემდებარებული კონოტაცია (**subject**-ქვეშევრდომი). გაჩნდა ფემინისტური კონსტრუქტივიზმი - ჯუდიტ ბატლერი და სხვები - რომლებიც ი. ჰოფმანის გარდა ეყრდნობიან სოციალურ კონსტრუქტივიზმს, კერძოდ, ბერგერისა და ლუკმანის იდეებს, რომლებიც გამოხატულია წიგნში - „რეალობის სოციალური კონსტრუირება". მათი აზრით, სოციოლოგიის საგანი უნდა იყოს ადამიანის ცოდნა თავისი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. სოციალური რეალობა ობიექტურია, რადგან ის არსებობს, ჩვენ მასში ვიმყოფებით, მაგრამ ამავე დროს, ის სუბიექტურიცაა, რადგან ჩვენი საკუთარი შეგვაქვს მასში. ამავე მიმდინარეობის ცნო-

ლოგიაში“ [illegible] გარფუნკელი, მისი წიგნი „კვლევები ეთნო-მეთოდო-
ვავებული მიდგომით, ქცევას წარმოაჩენდა მისი რღვევის, ნგრევის პრიზმაში
(თუ ადამიანს ეკითხები, როგორ არის, მან უნდა გიპასუხოს მოკლედ, ერთი-ორი
სიტყვით და არა დეტალურად, ერთი საათის განმავლობაში). მანვე აღწერა
აგნესის შემთხვევა, რომელსაც არ გააჩნდა ქალური გამოცდილება და მოუწია
ამისი სწავლა. აგნესი დაბადებიდან 18 წლამდე ბიჭად იზრდებოდა,
ფიზიოლოგიითაც ბიჭი იყო, მაგრამ მან იდენტობა შეიცვალა და სათანადო
ოპერაციის შედეგად ქალიშვილად გადაიქცა. აგნესმა სრულიად ახალი ცხოვრე-
ბა დაიწყო, შეიცვალა სახელი, საცხოვრებელი ადგილი, გარემო, გარეგნობა,
გაიჩინა სექსუალური პარტნიორი - მამაკაცი. მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი
იყო გამხდარიყო ნამდვილი ქალი, ისე მოქცეულიყო, რომ არავის შეპარვოდა
ეჭვი მის სქესში. ამის გამო იგი გამუდმებით სწავლობდა იმას, რაც სხვებმა
ისედაც იცოდნენ, ანუ იგი აგებდა თავის გენდერს. გარფუნკელი აანალიზებს
აგნესის მიერ განვლილ ამ გზას. აქედან გამომდინარე, ფემინისტები ასკვნიან,
რომ გენდერული ქცევაც აიგება (6).

სოციალური კონსტრუქტივიზმი არის გარფუნკელის ეთნომეთოდოლოგია
და ჰოფმანის დრამატურგიული ინტერაქციონიზმი, რომლის მიხედვითაც გენ-
დერი არის არა როლი, არამედ მუდმივი ქმნადობის, წარმოების და კვლავწარ-
მოების პროდუქტი. ამ მიმართულების გენდერული მკვლევრების მთავარი
კითხვაა - როგორ აიგება გენდერი? (ეს მიდგომა ძალიან დეტალურად პასუხობს
კითხვას როგორ? მაგრამ არა კითხვას - რატომ?). სქესი არის სოციალური კონ-
სტრუქტი. გენდერის სოციალურად აგების თეორია არსებითად განსხვავდება
გენდერული სოციალიზაციის თეორიისაგან, რომელიც პარსონსის სქესობრივ-
როლური მიდგომის ჩარჩოებშია შემუშავებული. სოციალიზაციის სქესობრივ-
როლური თეორია გლისხმობს, რომ კულტურულ-ნორმატიული სტანდარტების
ათვისება დასწავლის და ინტერიორიზაციის გზით ხდება, ანუ პიროვნება ა
შედარებით პასიურია, ის აღიქვამს, სწავლობს, ითვისებს, მაგრამ არ ქმნის. გენ-
დერის კონსტრუირების თეორია კი აქცენტს პიროვნებაზე აკეთებს, ის სუბიექ
ტია და არა ობიექტი, ის ქმნის გენდერულ წესებს და ურთიერთობებს. ასეთ
სუბიექტი სწავლობს, ითვისებს, მაგრამ, ამავე დროს თავად ქმნის, ახორციელებს
და ანგრევს კიდეც. ანუ, ასეთი მიდგომა ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო
თეორიულ პლანში, არამედ იდეოლოგიის, პოლიტიკის, თეორიის პრაქტიკაში
გადატანის თვალსაზრისითაც, რადგან ის გვეუბნება, რომ ცვლილებების
გატარება აბსოლუტურად რეალურია, რომ ყველაფერი ჩვენს ხელშია, ჩვენ
ვქმნით სოციალურ რეალობას და ჩვენვე შეგვიძლია გავანადგუროთ იგი. გენ-
დერული ურთიერთობები, ერთის მხრივ, ობიექტურია, რადგან აღვიქვამთ,
როგორც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულს, მაგრამ, მეორეს მხრივ, სუბიექ-
ტურია, რადგან სოციალურად აიგება ჩვენს მიერ ყოველდღიურად, აქ და
ამჟამად.

განვიხილოთ ფემინისტური თეორიები იმისდა მიხედვით, თუ რა

დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ისინი შემდეგი ოთხი საკითხისადმი:

1 რა არის გენდერული უთანასწორობის მიზეზი?
2 როგორია ქალი, მისი თვისებები?
3 როგორ შეიცვალოს არსებული სოციალური წესრიგი.
4 რომელ სოციალურ ფენაზეა მიმართული მისი ძალისხმევა.

ლიბერალური ფემინიზმი

1 კანონმდებლობა, არათანაბარი უფლებები და დამატებით არათანაბარი შესაძლებლობები, მაგალითად, განათლების მიღება.
2 ქალი სრულფასოვანი ადამიანია და მამაკაცის თანასწორია.
3 უნდა შეიქმნას თანაბარი უფლებები.
4 მიმართულია განათლებულ თეთრკანიან ქალზე.

ამ მიმართულებას ბევრი საერთო აქვს პარსონსთან და სქესობრივ-როლურ მიდგომასთან. ქალები როლების გამო იჩაგრებიან. ქალების როლები უნდა შევცვალოთ, მათ მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ.

რადიკალური ფემინიზმი (ჯულიეტ მიტჩელი)

1 პატრიარქატული სიტემა, რომელშიც ძალაუფლებრივი ურთიერთობები იერარქიულია.
2 ქალი ჩაგრულია, მაგრამ ისეთი უპირატესობებიც გააჩნია, რომელიც გაბატონებულ მამაკაცს არა აქვს.
3 ქალებმა უნდა შექმნან ავტონომიური სუბკულტურა - თეატრი, გამომცემლობა... ამითი ებრძოლონ პატრიარქატულ სისტემას.
4 ახალგაზრდა თეთრკანიანი ქალი - სტუდენტი, ასპირანტი, რომელსაც აფრთხილებენ, რომ მისი კარიერა ბავშვის გაჩენისთანავე დამთავრდება.

მარქსისტული ფემინიზმი

1 ეკონომიკური სისტემა.
2 ქალი არის იგივე პროლეტარი, მუშა, რადგან მის მსგავს მდგომაროებაშია.
3 უნდა შეიცვალოს ეკონომიკური სისტემა.
4 დაქირავებული მუშაკი.

ფსიქოანალიზური ფემინიზმი (ნენსი ჩოდოროვი)

1 ადრეულ ბავშვობაში ფსიქო-სექსუალური განვითარება ამყარებს დიხოტო-

მიას.

2 ქალი დამოკიდებულია, პასიურია.

3 უნდა შეიცვალოს აღზრდა, რომ ადრეული სოციალიზაცია სწორად წავიდეს.

4 თეთრკანიანი, საშუალო ფენის, განათლებული ქალი.

პოსტკოლონიალური ფემინიზმი

1 ორმაგი ჩაგვრა, სადაც ჩვეულებრივ მჩაგვრელ მამაკაცს ემატება თეთრკანიანი ქალიც.

2 ქალი სხვადასხვაგვარია, ქალებს განსხვავებული გამოცდილება აქვთ.

3 უნდა შეიცვალოს ეკონომიკა, კანონმდებლობა პოზიტიური დისკრიმინაციის და აფირმატიული ქმედებების გზით.

4 ეთნიკური უმცირესობის ქალი, სხვადასხვა რასის, მარგინალური ჯგუფების ქალები.

პოსტმოდერნისტული ფემინიზმი (ჯუდიტ ბატლერი)

1 ქალი და კაცი დამოუკიდებლად როდი არსებობენ, ისინი ჩნდებიან დისკურსში, რომელიც იერარქიულად ლაგდება.

2 ქალი სხვანაირია.

3 ეს დისკურსები უნდა დაინგრეს (დეკონსტრუირება).

4 თეთრკანიანი, საშუალო ფენის, განათლებული ქალი.

ტერმინი „ფემინიზმი“ დასავლეთში ფართოდ გავრცელდა XIII საუკუნის ოთხმოციან წლებში, თუმცა მისი, როგორც მასობრივი მოძრაობის ჩამოყალიბება XIX საუკუნის ფენომენია. ფემინიზმის იდეოლოგიის/ფილოსოფიის განვითარების სამი ძირითადი ეტაპი (ე.წ. ტალღები) არსებობს. პირველი, ლიბერალური XIX საუკუნის ბოლო - XX საუკუნის დასაწყისი - როდესაც მთავარი საზრუნავი ქალებისთვის თანაბარი სამოქალაქო უფლებების და არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვება იყო; მეორე ტალღა, მარქსიზმი/სოციალიზმი ემთხვევა დასავლურ კულტურაში 1960-70-იან წლებში მიმდინარე ახალ სოციალურ მიმდინარეობებს; აქ პროტესტი ისევ სქესობრივ უთანასწორობაზეა მიმართული, მაგრამ აქცენტი უკვე არა მხოლოდ პოლიტიკურ უფლებებზე კეთდება, არამედ ისეთ ასპექტებზეც, როგორიცაა ოჯახი, სექსუალობა და შრომა; და მესამე ტალღა, ან მესამე თაობა, რომელსაც ხშირად მოიაზრებენ როგორც რადიკალურ, განსხვავების და აგრეთვე პოსტმოდერნისტული ფემინიზმის ერთობას - პოსტსტრუქტურალიზმი, დეკონსტრუქტივიზმი.

ფემინიზმის ეგრეთ წოდებული პირველი ტალღა მთლიანად ლიბერალიზმის პრინციპებს ემყარებოდა და ამოსავალ მოთხოვნად ქალთა თანასწორუფლებიანობას აყენებდა. ლიბერალური ფემინიზმი პოსტმოდერნიზმის ეპოქაშიც განაგრძობს არსებობას და ფემინიზმის უმთავრეს ფორმად რჩება. ცნებები -

ქალის უფლებები და გენდერული თანასწორობა სწორედ მათგან მოდის.

სიმონა დე ბოვუარი ეგალიტარული ფემინიზმის, ანუ ფემინიზმის მეორე ტალღის წარმომადგენელია, სადაც ქალი გამოდის, როგორც თავისუფალი, ავტონომიური, რომელსაც მამაკაცის თანაბარი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს. ბოვუარის აზრით, ქალური და მამაკაცური ექზისტენცია ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, ამიტომ, საკმარისია მათ თანაბარი უფლებები მივანიჭოთ. სხვა ფემინისტები არ ეთანხმებიან მას. მათი აზრით, არსებობს ცალკე ქალური ექზისტენცია, რადგან თუ არ ვაღიარებთ, რომ ცალკე ქალური ეგზისტენცია არსებობს, ისევ მამაკაცებში გავითქვიფებით.

ფემინიზმის მეორე ტალღის წიაღში გაჩნდა ფემინისტური კრიტიკა, რომლის მიზანს წარმოადგენს არსებული გენდერული უსამართლობის ახსნა და მისი შეცვლის საშუალებების შემუშავება.

XX საუკუნის 70-იან წლებში ფემინიზმმა გააკრიტიკა სოციოლოგია. მისი ცენტრალური პუნქტი იმაში მდგომარეობდა, რომ მიღებული თეორიები არ ითვალისწინებს ქალის გამოცდილებას და საჭიროა მათი რევიზია. ეს პერიოდი საერთოდ გამოირჩევა იმით, რომ ქალის ყოფაზე და მის მნიშვნელოვნებაზე კეთდება აქცენტი. ტრადიციული სოციოლოგიის ფემინისტური კრიტიკა მიუთითებდა, რომ:

- სოციოლოგიაში მიღებული კვლევების თემები იგნორირებას უკეთებს ქალთა პრობლემებს
- სოციოლოგები აქცენტს აკეთებენ საზოგადოებრივ როლებსა და ქცევაზე და ყურადღებას არ აქცევენ იმ სფეროებს, სადაც განსაკუთრებით ჩანს და ვლინდება ქალის გამოცდილება
- დასკვნებს სოციოლოგები აკეთებენ ზოგადად საზოგადოებაზე, ანუ მამაკაცზე
- სოციოლოგები გენდერს არ ანიჭებენ სათანადო მნიშვნელობას.

ფემინისტური თეორიიის ასეთი ანტიმამაკაცური პათოსი, ო. ვორონინას აზრით (2), იმითაა გამოწვეული, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ დამუშავებული სქესისა და გენდერის კატეგორიები, თუმცა უკვე პირველ ფემინისტურ ტექსტებში ჩანს სამყაროს გენდერული თვალსაზრისით შეფასების ტენდენცია, მაგალითად, სიმონა და ბოვუარის „ქალად არ იბადებიან, ქალი ხდებიან“, ან სულამიფ ფაიერსტოუნის „ქალისა და მამაკაცისათვის სხვადასხვა რეალობა არსებობს“, ან „თუ ბუნებამ ქალი მამაკაცისაგან განსხვავებულად შექმნა, საზოგადოებამ იგი ადამიანისაგან განსხვავებულად გახადა“.

დღეს უკვე საყოველთაოდაა მიღებული ქალისა და მამაკაცის გამოცდილების განსხვავებულობის ფაქტი. ალის ჟარდინი წერდა: „ფემინიზმი, მისი ყველა განსხვავებისდა მიუხედავად, საბოლოო ჯამში მიიჩნევს, რომ ქალის ჭეშმარიტება, რეალობის გამოცდილება ყოველთვის განსხვავდება მამაკაცისაგან და მათი პროდუქცია და არტეფაქტები განსხვავებულად ფასდება და კანონდება პატრიარქატულ კულტურაში“.

80-იან წლებში დაიწყო ქალთა კვლევების ახალი ფაზა, რომელიც ქალის

გამოცდილების და პატრიარქატის ანალიზიდან გადავიდა გენდერული სისტემის ანალიზზე. აქცენტებმა თანდათანობით გადაინაცვლა, თუ ადრე აანალიზებდნენ ქალის ფაქტორს და მამაკაცის დომინირებას, ახლა იკვლევენ როგორ აგებს და აწარმოებს გენდერი ყველა სოციალურ პროცესს და როგორ ახდენს ეს გავლენას ქალებსა და მამაკაცებზე.

ფემინიზმი გადაიზარდა გენდერში, თუ თავდაპირველად მსჯელობდნენ იმაზე, რომ ქალი დაჩაგრულია, შემდეგ მივიდნენ აზრამდე, რომ საჭიროა მსჯელობა საერთოდ სქესთა შორის ურთიერთობაზე. გენდერული წესრიგი არის სოციალურად ორგანიზებული ურთიერთობები, რომლებიც სქესთან მიკუთვნებულობით (რომელიც მიწერილია) განისაზღვრება. გენდერული სისტემა გაჩნდა ფემინისტური იდეოლოგიისა და სოციოლოგიის საფუძველზე. გენდერული სიტემის წარმომადგენლებს საზოგადოება ესმით, როგორც ორი ჯგუფის - ქალებისა და მამაკაცების ერთობა, ეს არის ადამიანთა ორი, განსხვავებული კატეგორია, მათ შორის ურთიერთობა გამოიხატება დაპირისპირებაში, ძალაუფლების და ინტერესების კონფლიქტში. პატრიარქატი კი მამაკაცების ბატონობის სისტემაა, რომელიც ყველა საზოგადოებაში არსებობს. ტერმინი **გენდერული სისტემა** 1975 წელს შემოიტანა ანთროპოლოგმა გეილ რუბინმა. ტრეფიკინგისადმი მიძღვნილ მის ნაშრომში „საჩუქარი", ლაპარაკია იმაზე, რომ საჩუქრის ჩუქება არის სოციალური შეთანხმების მთავარი მექანიზმი, განხილულია ის რიტუალები, როდესაც ქალს ჩუქნიან საჩუქრად, როგორც ყველაზე ძვირფასს, მაგრამ მაინც ობიექტს.

ავსტრალიელი ავტორის, კერნელის აზრით, გენდერულ მიდგომას აქვს თავისი, განსხვავებული ეპისტემოლოგია, ეძებს უთანასწორობის მიზეზებს. გენდერული სისტემა ვლინდება სამი სტრუქტურის - ეკონომიკური, პოლიტიკური, კატექსისის ჩარჩოებში.

- ეკონომიკური - ყველანაირ ორგანიზაციაში არის შუშის ჭერის ფენომენი, როცა რაც უფრო მაღლა ავდივართ იერარქიაში, მით ნაკლებად გვხვდება ქალი, გარდა ამისა, არის შრომის ასიმეტრიული ანაზღაურება და სხვ.
- პოლიტიკა/ძალაუფლება - ვისაც მეტი რესურსი აქვს, ის თავის ნებას სხვას თავს ახვევს, აქ შედის ოჯახიც - ვის აქვს ოჯახში ძალაუფლება, ვინ იღებს გადაწყვეტილებას, ვინ ხარჯავს ფულს.
- კატექსისი - ეს არის ემოციური მუხტი, რომელიც დაკავშირებულია ვნებასთან (ფროიდი). ანუ, ემოციის, სურვილების, სექსუალური ლტოლვების სფეროშიც ქალი დამოკიდებულია მამაკაცზე.

ფემინიზმი პრაქტიკულად ძალაუფლების დინამიკის ცვლილების სინონიმად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო განსხვავებული ფემინისტური მიმართულებები ამ ცვლილების განხორციელებისა და შედეგების მიღწევის გზებს განსხვავებულად სახავენ. ფემინიზმის სხვადასხვაგვარი განმარტება განსაზღვრავს გზას, რომლითაც უნდა მოხდეს ქალსა და მამაკაცს შორის რეალური თანასწორობის დამყარება.

ლიტერატურა

1 Ангер Р., Трехстороннее зеркало: психологи, изучающие женщин глазами феминисток, Введение в гендерные исследования, часть II, Харьков, Санкт-Петербург, 2001.

2 Воронина О. А. Основы гендерной теории и методологии, теория и методология гендерных исследований, Москва, 2001.

3 Элиот П., Менделл Н., Феминистская теория: проблематизация женской субъективности, В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть II, Санкт-Петербург, 2001.

4 Коннелл Роберт (1987), Современные подходы. В книге: Гендерные Вопросы, хрестоматия, 2000.

5 Темкина А., Женское движение второй волны: истоки, концептуализация и результаты, В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть I, Санкт-Петербург, 2001.

6 Здравомыслова Е., Темкина А., Социальное конструирование гендера: феминистская теория. В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть I. Санкт-Петербург, 2001.

7 Здравомыслова Е., Темкина А., Феминистская критика эпистемологических оснований социологии: перспективы социологии гендерных отношений, В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть I, Санкт-Петербург, 2001.

8 Кэндес Уэст, Дон Зиммерман (1991) Создание Гендера. В книге: Гендерные Вопросы, хрестоматия, 2000.

9 Coole Diana, Threads and Plaits or an Unfinished Project? Feminism(s) through the Twentieth Century. pp. 154-175. In: Freeden, Michael (2001), Reassessing Political Ideologies.

7. ხომერიკი, ლ., *გენდერი და პოლიტიკა*, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006, 6-43.

CSS
Center for Social Sciences
STUDIUM PRETIUM LIBERTATIS

სოციალურ მეცნიერებათა სერია

გენდერი
და
პოლიტიკა

მომზადებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის
აკადემიური სტიპენდიის საფუძველზე

ინტენსიური სემინარი
სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის

ლელა ხომერიკი

თბილისი
2006

თემა I

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში, ქალთა წარმომადგენლობა სახელმწიფო სტრუქტურებში სხვადასხვა დონეზე, ქალთა პოლიტიკაში წინსვლის შემაფერხებელი მიზეზები.

ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში ქალმა წარმატებას მიაღწია განათლების, სამართლის, ეკონომიკის, სპორტისა თუ ხელოვნების სფეროებში, პოლიტიკურ არენაზე ქალები მაინც ცოტანი არიან. მართალია, მეოცე საუკუნის ბოლოსათვის ქვეყნების 95%-ში ქალებს მოპოვებული ჰქონდათ საარჩევნო უფლებები, 1998 წლისათვის მსოფლიო მასშტაბით ქალი ლიდერი ჰყავდა პარტიების მხოლოდ 11%-ს, ხოლო პარლამენტარი ქალები მსოფლიო პარლამენტართა რიცხვის 11,4%-ს შეადგენდნენ. 2006 წლისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა რიცხვმა უმნიშვნელოდ მოიმატა და საშუალოდ 16,3% შეადგინა.

საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა მონაწილეობის საშუალო პროცენტული მაჩვენებელი მსოფლიო მასშტაბით 2006 წლის იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

ორივე პალატა ერთად	
პარლამენტართა ჯამური რაოდენობა	44'204
გენდერულად დაცალკევებული სტატისტიკა არსებობს	43'387
კაცი	36'827
ქალი	7'160
ქალთა მონაწილეობის %	**16.3%**



ერთპალატიანი პარლამენტები და ქვედა პალატა	
პარლამენტართა ჯამური რაოდენობა	37'269
გენდერულად დაცალკევებული სტატისტიკა არსებობს	36'994
კაცი	30'887
ქალი	6'107
ქალთა მონაწილეობის %	**16.5%**

ზედა პალატა ან სენატი	
პარლამენტართა ჯამური რაოდენობა	6'935
გენდერულად დაცალკევებული სტატისტიკა არსებობს	6'993
კაცი	5'940
ქალი	1'053
ქალთა მონაწილეობის %	**15.1%**

საშუალო მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით

	ერპალატიანი პარლამენტები და ქვედა პალატები	ზედა პალატა ან სენატი	ორივე პალატა ერთად
სკანდინავიის ქვეყნები	**40.0%**	---	40.0%
ამერიკა	**20.1%**	19.9%	20.1%
ევროპა – ეუთოს წევრი ქვეყნები სკანდინავიური ქვეყნების ჩართვით	**19.0%**	16.3%	18.4%
ევროპა – ეუთოს წევრი ქვეყნები სკანდინავიური ქვეყნების გამოკლებით	**16.9%**	16.3%	16.8%
საჰარის ქვემო აფრიკა	**16.4%**	17.6%	16.6%
აზია	**16.1%**	14.5%	15.9%
წყნარი ოკენის ქვეყნები	**12.0%**	26.5%	13.9%
არაბული ქვეუნები	**7.0%**	5.9%	6.8%

წყარო: პარლამენტთაშორისი კავშირი (The Inter-parliamentary Union), http://www.ipu.org/wmn-e/world.htm

ქალთა წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოებში ქვეყნების მიხედვით იხ. დანართში.

საქართველოში საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის სურათი შემდეგია:

არჩევნების თარიღი	საკანონმდებლო ორგანოს დასახელება	დეპუტატთა საერთო რაოდენობა	დეპუტატ ქალთა რაოდენობა	ქალთა მონაწილეობის %
1919 წ.	დამფუძნებელი კრება	130	4	3%
1990 წ.	უზენაესი საბჭო	250	18	7,2%
1992 წ.	პარლამენტი	222	14	6,3%
1995 წ.	პარლამენტი	250	16	6,4%
1999 წ.	პარლამენტი	235	17	7,2%
2004 წ.	პარლამენტი	235	22	9,4%

2001 წლის შემოდგომაზე ნინო ბურჯანაძე გახდა საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში პირველი სპიკერი ქალი. 2004 წელს ისევ ნ. ბურჯანაძე იქნა არჩეული პარლამენტის თავმჯდომარედ.

აღმასრულებელი ხელისუფლება. 1998 წლისა და 2000 წლის მთავრობის რეორგანიზაციების შედეგად ორ-ორი მინისტრი ქალი იყო მთავრობაში. 2003 წელს, ვარდების რევოლუციის წინ მთავრობაში 18 მინისტრიდან მხოლოდ 2 იყო ქალი (ნინო ჩხობაძე, გარემოს დაცვის მინისტრი და სესილი გოგიბერიძე, კულტურის მინისტრი). ვარდების რევოლუციის შემდეგ 2004 წლის თებერვალში დაკომპლექტებულ მინისტრთა კაბინეტში

4 მინისტრი ქალი იყო (თამარ ლებანიძე – გარემოს დაცვის მინისტრი, თამარ სულუხია – ინფრასტრუქტურის მინისტრი, ეთერ ასტემიროვა - ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, თამარ ბერუჩაშვილი – ევროპასთან ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი, მოგვიანებით მათ დაემატა საგარეო საქმეთა მინისტრი – სალომე ზურაბიშვილი) და მინისტრ ქალთა რიცხვმა მთავრობის წევრთა 20% შეადგინა, რაც საქართველოსათვის რეკორდული მაჩვენებელი იყო. აღსანიშნავია, რომ მთავრობის დაკომპლექტებისას პირველად გაესვა ხაზი, გენდერულ მახასიათებელს. 2006 წლის დასაწყისისათვის მთავრობაში მინისტრ ქალთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა და მინისტრის პოსტზე მხოლოდ ერთი ქალი დარჩა (სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი – ზინაიდა ბესტაევა).

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე

საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებლები არც ისე სახარბიელოა: 1998 წელს ჩატარებული არჩევნებით საკრებულოს წევრთა შორის ქალებმა მხოლოდ 14% შეადგინეს.

2002 წლის არჩევნების შედეგად ქალთა რიცხვმა საკრებულოებში კიდევ უფრო იკლო და პირველი დონის თვითმმართველობის ორგანოებში მხოლოდ 11,9% შეადგინა. ადგილობრივ ორგანოებში ქალთა მონაწილეობის ხარისხი რეგიონების მიხედვითაც განსხვავდება. ყველაზე დაბალი პროცენტია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, განსაკუთრებით იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს აზერბაიჯანელი მოსახლეობა: მაგალითად, მარნეულში – 1,9%, ბოლნისში 4,7%.

ორივე არჩევნების შედეგად გამოიკვეთა ძალზე საყურადღებო ტენდენცია: რაც უფრო მსხვილდება ადმინისტრაციული ერთეული, მით უფრო კლებულობს ქალთა პროცენტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. 1998 წელს სოფლის საკრებულოებში ქალები შეადგენენ 15%-ს, რაიონული მნიშვნელობის ქალაქებსა და დაბებში – 13%-ს, რაიონის საკრებულოებში 9-%-ს, დიდ ქალაქებში კი მხოლოდ 7,4%-ს. 2002 წელსაც დიდი ქალქის საკრებულოებში ქალთა რიცხვი 7%-ს არ სცილდება. უკიდურესად არასახარბიელოდ არიან წარმოდგენილი ქალები ადგილობრივი თვით-მმართველობის ხელმძღვანელ პოზიციებზე: მაგალითად, 1998 წელს 60 რაიონის საკრებულოდან მხოლოდ ერთის თავმჯდომარე იყო ქალი (1,6%). შეიძლება ითქვას, რომ სადაც მეტი ძალაუფლება და რესურსია, იქ ნაკლები ქალია.

2002 წელს მკვეთრად შემცირდა ქალთა წარმომადგენლობა რაიონულ საკრე-ბულოებში, რადგანაც ახალი საარჩევნო კანონით რაიონის საკრებულო კომპლექტდება სოფლის საკრებულოთა თავმჯდომარეებით და რადგანაც, ქალი პრაქტიკულად ვერ ხვდება ხელმძღვანელ პოსტზე, შესაბამისად, მეორე დონის თვითმმართველობაშიც უკიდურესად მცირედ არის წარმოდგენილი.

2006 წელს თვითმმართველობის არჩევნები ახალი კანონით ჩატარდება, რომელიც თვითმმართველი ერთეულების გამსხილებასა და შესაბამისად, მათი რიცხვის მკვეთრად შემცირებას ითვალისწინებს, რაც ადგილებზე პოლიტიკურ კონკურენციას გაზრდის და ქალი კანდიდატების შანსებს შეამცირებს. ამიტომ, თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისათვის გადაუდებელი ამოცანაა წინასაარჩევნო პერიოდში კანდიდატ ქალთა მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება. მნიშვნელოვანია, სერიოზული მუშაობის წარმართვა პოლიტიკურ პარტიებთან, რათა პარტიებში კანდიდატთა შერჩევის მკაფიო და დადგენილი პროცედურა ჩამოყალიბდეს, რომელშიც გენდერული ხედვაც იქნება გათვალისწინებული. კარგია, ქალთა ორგანიზაციებმა ერთობლივი ძალებით მიადევნონ თვალყური, თუ რამდენი კანდიდატი ქალი ჰყავს დასახელებული ამა თუ იმ პარტიას. მნიშვნელოვანია ასევე, ამომრჩეველ ქალთა სამოქალაქო განათლების პროგრამების განხორციელება, რათა დაჩქარდეს მათი ინტერესებისა და მოთხოვნების მკაფიო ფორმულირება, რაც აიძულებს პოლიტიკურ პარტიებს მეტი ყურადღებით მოეკიდონ ქალი კანდიდატების წამოწევასა და გენდერული პრობლემატიკის ჩართვას წინასაარჩევნო პროგრამებში.

პოლიტიკაში ქალთა წინსვლის შემაფერხებელი მიზეზები

წყარო: Women in Parliament: Beyond Numbers, International Institute for democracy and Electoral Assistance, 1998.

გამოყოფენ პოლიტიკაში ქალთა როლის გაზრდის ხელისშემშლელ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ მიზეზებს.

არსებულ პოლიტიკურ სისტემებში ბევრი დაბრკოლებაა ქალთა პოლიტიკაში წინსვლისათვის, კერძოდ:

- პოლიტიკური ცხოვრება და სახელმწიფო სტრუქტურები მასკულინური მოდელისაა;
- პოლიტიკურ არენაზე მამაკაცები დომინირებენ, ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკური თამაშის წესებს და პოლიტიკოსის შეფასების სტანდარტებს;
- პოლიტიკური ცხოვრება და მუშაობის რეჟიმი ორგანიზებულია მამაკაცური ნორმებისა და მამაკაცის ცხოვრების სტილის შესაბამისად;
- პოლიტიკა დაფუძნებულია „გამარჯვება-დამარცხებისა“ და შეჯიბრისა და კონფრონტაცის მოდელზე და არა ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობასა და კონსენსუსის მიღწევაზე;
- ასეთი ზედმეტად მამაკაცური პოლიტიკა აღიქმება ჭუჭყიან საქმედ და ქალებს არ სურთ ასეთ გარემოში მოხვედრა;
- კანდიდატ ქალებს პარტიების მხრიდან ნაკლები მხარდაჭერა აქვთ, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა.

გარდა პოლიტიკური სისტემებისათვის დამახასიათებელი ბარიერებისა, შეიძლება გამოვყოთ სხვა ხელისშემშლელი მიზეზებიც:

- საოჯახო მოვალეობების არათანაბარი გადანაწილება და სოციალური სამსახურების ნაკლებობა ქალებს არათანაბარ პირობებში აყენებს პოლიტიკური აქტივობისათვის საჭირო დროის თვალსაზრისით.
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არასაკმარისად წარმოადგენს ქალთა პოლიტიკურ ხმებს, მათ შეხედულებებს, ლიდერობის მოთხოვნებს. ეს ნიშნავს, რომ ქალებს არ გააჩნიათ საკუთარი პოლიტიკური იდენტიფიკაციის მოდელი.
- ქალთა უფრო დაბალი შემოსავალი და შესაბამისად დაბალი ეკონომიკური სტატუსი, წინასწარი განწყობა, რომ ქალის შემოსავალი მთლიანად ოჯახის საჭიროებებზე უნდა მიდიოდეს არათანაბარ ფინანსურ სასტარტო პირობებს ქმნის ქალისა და მამაკაცისათვის.
- ძალადობისა და კონტროლის კერძო თუ საზოგადოებრივი ფორმები, რომლებიც გამოიყენება ქალების მიმართ, ზღუდავენ და აკონტროლებენ ქალთა ქცევას, განსაკუთრებით იქ, სადაც საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება სარისკო სიტუაციაში.

წყარო: გ. აშვორდი, გენდერული მიდგომების დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, UNDP.

თემა II

გენდერული პარამეტრები პოლიტიკურ პარტიებში

ქალთა მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკური პარტიებში

ქალთა და გენდერული საკითხები ქართულ პოლიტიკურ დისკურსში საერთოდ არ ჟღერს. არც ერთ პარტიას ჯერჯერობით არა აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია გენდერულ საკითხზე; წევრთა გენდერული სტატისტიკაც კი არ წარმოებს. გამოკითხვისას ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამ ნიშნით არ განასხვავებენ თავიანთ წევრებს და კითხვაზე: "რამდენი ქალია თქვენს პარტიაში?", ყველაზე ტიპური პასუხია — წევრთა დაახლოებით მესამედი.

ამ შეფასებას ადასტურებს 1998 და 2001 წელს ჩატარებული გამოკითხვები[1], რომელთა მიხედვითაც ქალები პოლიტიკური პარტიების წევრთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 30%-ს შეადგენენ. ქალთა მონაწილეობის პროცენტი გაცილებით დაბალია პარტიების მმართველ ორგანოებში. 1995 წელს პარტიათა ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებში ქალთა რიცხვი მხოლოდ 9% იყო, შემდგომ კი უმნიშვნელოდ მოიმატა და 11%-ს მიაღწია.

1997 წელს 158 პოლიტიკური პარტიიდან ქალები ხელმძღვანელობდნენ ათს (პარტიათა საერთო რიცხვის 6%). 1998 წელს არსებული 79 პარტიიდან ქალი ლიდერი ჰყავდა მხოლოდ 4 პარტიას (5%). 1999 წელს რეგისტრირებული 124 პარტიიდან ქალები ხელმძღვანელობდნენ 5 პარტიას (4%).

პარტიების პროგრამები ქალთა საკითხებს სრულებით არ ითვალისწინებს. ზოგიერთი პარტია თვლის, რომ ქვეყანაში შექმნილი საერთო მძიმე მდგომარეობის ფონზე ეს პრობლემა ჯერჯერობით აქტუალური არ არის. ბევრის აზრით, არ არის აუცილებელი ქალთა პრობლემატიკის გადასაწყვეტად სპეციფიკური, მიზანმიმართული საქმიანობის წარმართვა, რადგან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება ავტომატურად მოაგვარებს ქალთა პრობლემებსაც. იშვიათი გამონაკლისის სახით პარტიულ პროგრამებში გვხდება დედობის ხელშეწყობის საკითხი (იგულისხმება მრავალშვილიან, მარტოხელა და ჩვილბავშვიან დედათა დახმარება).

ზოგადად, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს არათანმიმდევრული და ბუნდოვანი იდეოლოგიური პოზიციები აქვთ, შესაბამისად, ძნელია ამ ბუნდოვან იდეოლოგიურ სურათში მკაფიო გენდერული ხედვებისათვის ადგილის მოძებნა.

იმ პოლიტიკური პარტიებიდან, რომლებიც შედარებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქალთა სექციები ერთ-ორ პარტიაში თუ არის შექმნილი, მაგრამ არ არიან იმდენად ძლიერნი, რომ გავლენას ახდენდნენ პარტიის პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე. ჯერჯერობით პარტიებში არ ჩანან გენდერულად მგრძნობიარე და თანასწორობის საკითხებზე სამუშაოდ მოტივირებული ქალები, რომლებიც შეძლებდნენ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ქალთა და გენდერული პრობლემატიკის წამოწევას.

2005 წლის შემოდგომაზე კავკასიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად პარტიების ქალთა სექციები ძირითადად, საქველმოქმედო საქმიანობით არიან დაკავებული, «ქალთა ორგანიზაციების ინიციატივით პარტიებს ბევრჯერ გაუწევიათ მრავალშვილიანი და ინვალიდი ოჯახებისათვის დახმარება. ისინი აღრიცხავენ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, სწავლობენ მათ პრობლემებს და შესაძლებლობების ფარგლებში გასცემენ... ფინანსურ და სხვა მატერიალურ დახმარებებს». ცალკეულ შემთხვევებში პოლიტიკური პარტიების წევრ ქალებს ლიდერობისა და სხვა საჭირო უნარ-ჩვევების ტრენინგებს საერთაშორისო და

---

[1] ხომერიკი ლ., ნ. ჩუბინიძე, ქალები საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში/ცნობარი - საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ცნობარი, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 1998.
ლ. ხომერიკი, შ. მურუსიძე, ქალთა მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში, გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის ცენტრი, თბილისი, 2002.

ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები უტარებენ, «თუმცა, მსგავსი პროექტები არარეგულარულია და მათში მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია[2]».

პარტიებში ქალთა როლის გამოკვეთისათვის საინტერესო მასალას იძლევა პარტიათა საარჩევნო სიები. მათი შესწავლა გვიჩვენებს, რომ იმ შემთხვევეაშიც კი, როდესაც პარტიული სია გენდერულად ასე თუ ისე დაბალანსებულია, პირველ ათეულში ქალი კანდიდატები პრაქტიკულად არ არიან წარმოდგენილი და ძირითადად სიის ბოლო ადგილებზე გვხვდებიან, რაც აისახება კიდეც არჩევნების შედეგებზე.

საქართველოს პოლიტიკური პარტიებში ქალთა მონაწილეობის ზრდას ბევრი მიზეზი აფერხებს; მათგან ერთ-ერთი მთავარია შიდაპარტიული დემოკრატიის ზოგადი განუვითარებლობა. იმ პირობებში, როცა პარტიების ორგანიზაციული სტრუქტურა არ არის დემოკრატიული და დაუხვეწავია შიდაპარტიული არჩევნების სისტემა, ქალებისათვის ძალიან ძნელია პარტიულ იერარქიაში დაწინაურება. კავკასიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ზემოთ ნახსენები კვლევის შედეგების თანახმად, ქართულ პარტიებში წევრებს შორის ურთიერთობა არაფორმალურ, ერთმანეთის მიმათ პირად ნდობაზეა დამყარებული და ნაკლები ყურადღება ექცევა ზოგადად აღიარებულ პრინციპებსა და ფორმალურად განსაზღვრულ პროცედურებს, პარტიების წევრების უმრავლესობის თქმით, მათ შორის ურთიერთობა ოჯახური ურთიერთობების მსგავსია.

არადა, რაც უფრო ნაკლებად პატრონაჟულია პარტიაში დაწინაურებისა და საარჩევნო სიებში მოხვედრის სისტემა, მით უფრო ადვილია ქალებისათვის პარტიაში თანამდებობრივი წინსვლა. შესაბამისად, პარტიებში მკაფიო შიდა პროცედურების არსებობა, ერთი მხრივ, შიდა პარტიული მართვის დემოკრატიული მოდელის ჩამოყალიბებას მოემსახურება, მეორე მხრივ კი, პარტიულ სტრუქტურებში გენდერული ბალანსის მიღწევასაც შეუწყობს ხელს.

გენდერული საკითხების პოლიტიკურ დღის წესრიგში მოხვედრას ისიც აფერხებს, რომ არ მომხდარა ქალთა, როგორც ამომრჩეველთა სპეციფიკური ჯგუფის, ინტერესთაგამოკვეთა და ამ ინტერესთა გარშემო კონსოლიდირება, რაც აიძულებდა პოლიტიკურ პარტიებს ეღიარებინათ ქალთა და გენდერული პრობლემატიკა და ჩაერთოთ თავიანთ პროგრამებში.

საშინაო დავალება სტუდენტებისათვის: კითხვარის შემუშავება პოლიტიკური პარტიების ანალიზისათვის და საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მონაწილეობის ანალიზი (წევრობა, ხელმძღვანელი ორგანოები, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, საარჩევნო სიები, საარჩევნო პროგრამები, მუშაობა ამომრჩეველ ქალებთან).

[2] საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები, რედაქტორები: გია ნოდია, ალვარო პინტო სქოლტაბახი, მშვიდობის. დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006 წ.

თემა III

საქართველოს საარჩევნო სისტემის გენდერული ასპექტები

საქართველოში ტარდება 3 სახის არჩევნები: პარლამენტის, პრეზიდენტის და თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები.

არჩევნებს არეგულირებს საქართველოს საარჩევნო კოდექსი. საქართველოში 75 საარ-ჩევნო ოლქია.

პარლამენტის არჩევნები ტარდება შერეული პრინციპით: მაჟორიტარულით და პრო-პორციულით. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც ასევე ორი სისტემით ტარდება: მაჟორიტარულითა და პროპორციულით.

ზოგადად, სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, ითვლება რომ პროპორციული სისტემა უფრო ხელსაყრელია ქალებისათვის ვიდრე მაჟორიტარული, პარლამენტის არჩევნების დროს ეს საქართველოშიც ასეა, პარლამენტში არჩეული 22 დეპუტატი ქალიდან მხოლოდ სამია მაჟორიტარული წესით არჩეული (კერძოდ, ქუთაისის (ნინო ბურჯანაძე), ბოლნისისა (სოფიო ლარცულიანი) და ყვარლის (ნანა პატარკაციშვილი) საარჩევნო ოლქიდან.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, სადაც ადგილებზე 1998 წლისა და 2002 წლის არჩევნებზე აირჩეოდა 1100 პირველი დონის ადგილობრივი საკრებულო, და არჩევნები ნაკლებად კონკურენტული იყო, აქ არ ჩანს დიდი განსხვავება იმაში, ქალების არჩევისათვის რომელი სისტემაა უფრო სასარგებლო.

რა შეიძლება პოსტ-საბჭოთა საარჩევნო გამოცდილებიდან ჩაითვალოს საკანონმდებლო თვალსაზრისით ყველაზე ხელისშემშლელად ქალებისათვის?

2002 წლის მოწვევის რაიონის საკრებულოები არის ე.წ. ასოცირებული საკრებულოები და შედგება რაიონში შემავალი პირველი დონის საკრებულოს თავმჯდომარეებისაგან. ამიტომ, რადგანაც ქალი იშვიათად ხდება საკრებულოს თავმჯდომარე, შესაბამისად 2002 წლის მოწვევის რაიონულ საკრებულოებში ბევრად ნაკლები ქალი შევიდა (პრაქტიკულად არ არიან ქალები რაიონის დონეზე). 1998 წლის არჩევნებში რაიონის საკრებულოები პირდაპირ აირჩეოდნენ და მათში იყო გარკვეული პროცენტი ქალებისა. კერძოდ, რაიონის საკრებულოებში ქალთა რიცხვი 9-%-ს შეადგენდა.

ასევე საყურადღებოა, რომ თუ 1998 წელს დიდ ქალაქებში ქალთა წარმომადგენლობა საკრებულოებში იყო 7,8%, 2002 წელს არჩეულ ქუთაისისა და რუსთავის საკრებულოში არც ერთი ქალი დეპუტატი არ არის. ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებზე პარტიები მეტი შემართებით იბრძოდნენ, რადგან ეს არჩევნები 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების ტრამპლინად აღიქმებოდა, მეორეც შესაძლოა იმით, რომ არჩევნები 1998 წლისაგან განსხვავებით ამჯერად მაჟორიტარულად ჩატარდა.

საკანონმდებლო დონეზე პრობლემა ის არის, რომ საარჩევნო კოდექსი გენდერულად ნეიტრალურია და არ ითვალისწინებს გარკვეულ ხელშესწყობას გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის. ამიტომ, გენდერული თვალსაზრისით მისი მთავარი ნაკლიც ეს არის.

თემა IV

სპეციალური დროებითი ზომები პოლიტიკაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფისათვის

კვოტები ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გასაზრდელად

რადგან პოლიტიკაში ქალთა რიცხვი ნელა იზრდება, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალები მოითხოვენ ეფექტური მეთოდების გამოყენებას პოლიტიკაში გენდერული ბალანსის მისაღწევად. კვოტა ერთ-ერთი ასეთი ეფექტური მექანიზმია, რომელიც საშუალებას იძლევა ნახტომისებურად გავზარდოთ პოლიტიკოს ქალთა რაოდენობა. ამიტომ გენდერული თანასწორობის ბევრი მომხრე კვოტებს იმედით უყურებს. ამავე დროს კვოტების სისტემა ბადებს ბევრ სერიოზულ კითხვას და, ხშირად, ძალიან სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება. რა არის კვოტების განხორციელების საუკეთესო გზა? რა არგუმენტები არსებობს კვოტების დასაცავად და მის საწინააღმდეგოდ?

რა არის კვოტა?

კვოტების იდეის საფუძველია, გადალახოს პოლიტიკისაგან ქალების იზოლირების არსებული მდგომარეობა და ჩართოს ქალები პოლიტიკურ პროცესში.
კვოტების სისტემა ქალების პოლიტიკაში ჩართვის პასუხისმგებლობას აკისრებს არა ცალკეულ ქალებს, არამედ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც პოლიტიკაში რეკრუტირების პროცესს აკონტროლებენ.

კვოტას სხვაგვარად **სპეციალური დროებითი ზომებს** უწოდებენ, რადგანაც ის წარმოადგენს **დროებით ღონისძიებას**, რომელიც მანამდე მოქმედებს, სანამ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ბარიერები დაიძლევა.

კვოტები შეიძლება იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული ანდა შეიძლება იყოს შიდა პარტიული, ანუ პოლიტიკური პარტიების მიერ იყოს დაწესებული.

სახელმწიფო კანონმდებლობით განსაზღვრული კვოტების განხორციელება შედარებით იოლი განსახორციელებელია დანიშვნით ადგილებზე, ვიდრე არჩევითზე, რადგანაც არჩევნების დროს კვოტების სისტემა ეხება დემოკრატიული პროცესის საფუძვლებს და შეიძლება შეეჯახოს ამომრჩეველთა მიერ არჩევანის თავისუფლად განხორციელების იდეას, თუმცაღა კანდიდატების ნომინაციის პროცესზე ამომრჩევლების მეტ-ნაკლები გავლენის მიუხედავად, საარჩევნო სისტემების უმრავლესობაში კანდიდატების შერჩევა-დასახელების პრეროგატივა პოლიტიკურ პარტიების ხელშია.

სახელმწიფო კანონმდებლობით განსაზღვრული კვოტების ერთ-ერთი სახეობაა ე. წ. რეზერვირებული ადგილები. რეზერვირებული ადგილების საწინააღმდეგოა ის არგუმენტი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული სისტემა არ არის სრულყოფილი, ხელისუფლებას შეუძლია კვოტების სისტემა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. სპეციალურად შერჩეული ქალებით მიიღოს თავისი მორჩილი ჯგუფი და თანაც თავი მოიწონოს პოლიტიკაში ქალთა დაწინაურებისათვის ხელშეწყობით.

ქალთა მოძრაობის მხრიდან რეზერვირებული ადგილების კრიტიკა (მით უფრო თუ ასეთი ადგილების რიცხვი 1/3-ს არ აღემატება ან ამაზე მცირეა) ეფუძნება არგუმენტს, რომ ასეთი სისტემა აფერხებს ქალთა რიცხვის ზრდას, მას შემდეგ, როცა მოთხოვნა შესრულებულია.

> „კვოტა ავადმყოფობის წამალია, მაგრამ გვერდითი მოვლენებიცა აქვს. კვოტას შეუძლია გამოიწვიოს ერთგვარი ზედა ზღვარის დაწესება ქალთა მონაწილეობისათვის. აგრეთვე, მას შეიძლება არ მოჰყვეს ავტომატურად პოლიტიკური კულტურის განვითარება.“
>
> *კრისტინ პინტა, ინტერ-საპარლამენტო კავშირი*

კვოტები პოლიტიკურ პარტიებში. კვოტირების ეფექტური და წარმატებული ნიმუშია შიდა პარტიული კვოტები. ასეთი კვოტები გამოიყენება ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში ყველაზე მაღალია. (1998 წლის მონაცემებით შვედეთის პარლამენტში ქალები შეადგენდენ 40%-ს, ნორვეგიაში 38%-ს, ფინეთსა და დანიაში 34%-ს).

არც კონსტიტუცია და არც საარჩევნო კანონი არ აწესებს ქალთა მაღალი წარმომადგენლობის აუცილებლობას. ქალთა რიცხვის გაზრდა პოლიტიკაში უკავშირდება პარტიების ქალთა სექციებისა და ქალთა ორგანიზაციების ზეწოლას პოლიტიკურ პარტიებზე. ასეთი მოთხოვნის საპასუხოდ, რათა არ დაეკარგა ისეთ ამომრჩეველთა მხარდაჭერა, რომელთა სიმპათიაც გენდერულად დაბალანსებულ პარტიების მხარეს იხრებოდა, ზოგიერთმა პარტიამ გადაწყვიტა გენდერული კვოტების სისტემა შემოეღო პარტიის შიგნით. 1970-80 წლებში კვოტები შემოიღეს მემარცხენე პარტიებმა. ცენტრისტული და მემარჯვენე პარტიების უმეტესობას ასეთი ღონისძიებები იმ ხანად არალიბერალურად მიაჩნდათ.

1983 წლის ნორვეგიის ლეიბორისტულმა პარტიამ გადაწყვიტა, რომ „ყველა არჩევნებზე თითოეული სქესის კანდიდატები უნდა წარმოადგენდნენ მინიმუმ 40%-ს“.

1988 წელს დანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ განაცხადა „თითოეულ სქესს აქვს უფლება წარმოადგენდეს სულ მცირე 40%-ს პარტიის კანდიდატთა სიაში ადგილობრივი და რეგიონალური არჩევნებისათვის. თუ არ იქნა საკმარისი რაოდენობა თითოეული სქესის კანდიდატების, ეს უფლება სრულად ვერ განხორციელდება“. ეს წესი 1996 წელს გაუქმდა.

1994 წელს შვედეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შემოიღო პრინციპი „ყოველი მეორე სიაში ქალი უნდა იყოს“.

პარტიები, კვოტებს არა მხოლოდ სხვადასხვა დონის არჩევნების დროს იყენებენ, არამედ შიდაპარტიული სტრუქტურებისა და ხელმძღვანელობის არჩევისთვისაც.

კვოტების შემოღებას სკანდინავიის ქვეყნებში ორი ძირითადი წინააღმდეგობა ჰქონდა: ხანდახან ძნელია ქალი კანდიდატების სათანადო რიცხვის მოძიება, მეორეც ხშირად პრობლემატურია პარტიის ინკუმბენტი მამაკაცი წევრების გვერდით გაწევა ქალის დასაწინაურებლად. შვედეთში და დანიაში ადგილობრივ არჩევნებში ინკუმბენტების 2/3-ს ხელახლა ირჩევენ. მათი უმეტესობა მამაკაცია და ცხადია, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ქალებისათვის კვოტების შემოღებას, რადგანაც ეშინოდათ ადგილების დაკარგვა.

ამ ტიპის კონფლიქტის შესამცირებლად პარტიები იყენებენ შემდეგ სტრატეგიას:
დანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, როდესაც შიდა პარტიულ პოსტებზე 40%-იანი კვოტა დააწესა, გაზარდა კომიტეტის წევრთა რიცხვი, ისე რომ მამაკაცმა წევრებმა არ დაკარგეს თავიანთი ადგილები. ასევე, თუ მანამდე პარტიის ხელმძღვანელს ერთი მოადგილე ჰყავდა, დაამატეს კიდევ ერთი პოსტი მოადგილის, რომელზედაც ქალი აირჩიეს.

ცალკეული ქვეყნების გამოცდილება კვოტების გამოყენების სფეროში

რადგანაც გადაწყვეტილების მიღების ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის ზრდის კოეფიციენტი მცირეა, პოლიტიკაში გენდერული დიბალანსის დასაძლევად მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში მოისინჯა ისეთი სპეციალური ღონისძიებები, როგორიცაა საარჩევნო კვოტები. როგორც აღვნიშნეთ, კვოტები მრავალფეროვანია, კონსტიტუციით ან კანონმდებლობით დაწესებულიდან დაწყებული პოლიტიკური პაარტიების მიერ ნებაყოფლობით შემოღებული შიდაპარტიული კვოტებით გათავებული.

მიმოვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება კვოტების გამოყენების სფეროში. **წყარო:** გენდერული კვოტების გლობალური მონაცემთა ბაზა, დემოკრატიისა და არჩევნე-ბის საერთაშორისო ინსტიტუტი და სტოკჰოლმის უნოვერსიტეტი (http://www.quotaproject.org/).

ნორვეგია

ნორვეგია შიდაპარტიული კვოტების გამოყენების პიონერია. მემარცხენე სოციალისტურ პარტიას (SV) 1975 წლიდან აქვს შემოღებული 40% კვოტა ორივე სქესისათვის. ასევე ახორციელებს სიაში სხვადასხვა სქესის კანდიდატთა მონაცვლეობის წესს (zipping system).

40% კვოტა ორივე სქესისათვის ასევე დაწესებული აქვს ნორვეგიის ლეიბორისტული პარტიას 1983 წლიდან, ცენტრისტულ პარტიას 1989 წლიდან, ქრისტანულ სახალხო პარტიას 1993 წლიდან.

გერმანია

გერმანიში კვოტები არც კონსტიტუციითა განსაზღვრული და არც საარჩევნო კანონით. მაგრამ პოლიტიკური პარტიები იყენებენ შიდაპარტიულ კვოტებს საარჩევნო სიის ფორმირებისას. მაგალითად, დემოკრატიული სოციალიზმის პარტია (PDS) იყენებს 50% კვოტას პარტიულ სიებში. ალიანსი 90/მწვანეებიც 1986 წლიდან იყენებენ ასევე 50%-იან კვოტას. ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში 1996 წლიდან დაწესდა, რომ სიაში მინიმუმ ყოველი მესამე კანდიდატი ქალი უნდა იყოს. სოციალ-დემოკრატიული პარტიამ (SPD) კვოტების სისტემა შემოიღო 1988 წლიდან. 1990 წლისათვის მიზანი იყო 25% ქალი კანდიდატის ჩართვა სიებში, 1994 წლისათვის 33%-ს, და 1998 წლისათვის კი უკვე 40%-ისა. 40%-იანი გენდერული კოვტა მოითხოვს ასევე, სიის ისე აგებას, რომ სიის ბოლო ადგილებზე მხოლოდ ერთი სქესი არ მოხვდეს, რისთვისაც სიაში მინიმუმ ყოველი მეხუთე მაინც იყოს განსხვავებული სქესის, ვიდრე წინა ოთხეული.

რაკიღა 80-იანი წლებიდან თითქმის ყველა პარტიამ დაუჭირა მხარი საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელებას, ბუნდესტაგში ქალთა რიცხვი გაიზარდა 10%-დან (1983 წ.) 20%-მდე (1990 წ.), 1997 წ. გახდა 26,6%, 2005 წლისათვის კი 31,8%-ს მიაღწია.

დიდი ბრიტანეთი

ბრიტანეთში დიდი ხნის მანძილზე ქალები მხარს უჭერდნენ კონსერვატიულ პარტიას და ითვლებოდნენ კონსერვატორთა „საიდუმლო იარაღად“. 1990 წლებში კონსერვატიული პარტია მივიდა დასკვნამდე, რომ ქალთა მდგომარეობაში მომხდარი რადიკალური ცვლილებების შემდეგ, მას ერთხელ და სამუდამოდ არ ჰქონდა გარანტირებული ქალი ამომრჩევლების მხარდაჭერა. პარტიამ დაიწყო ქალების მიმართ პოზიტიური დეკლარაციების და საქმიანობის განხორციელება. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარტიის თავმჯდომარემ ნ. ფაულერმა მოუწოდა თავის პარტიას წარედგინათ არა ნაკლებ 100 ქალი კანდიდატისა, პარლამენტის შემდგომი არჩევნებისათვის. მართალია, ეს მიზანი ბოლომდე ვერ იქნა მიღწეული, მაგრამ 1997 წლის არჩევნებზე კონსერვატორებმა წარადგინეს 67 კანდიდატი ქალი.

ლიბერალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს წესი, რომ ყოველ საარჩევნო ოლქში კანდიდატთა ჩამონათვალში არც ერთი სქესი არ უნდა იყოს ერთ მესამედზე ნაკლები. ასევე, პარტიამ გამოიყენა საარჩევნო სიაში სხვადასხვა სქესის კანდიდატთა მონაცვლეობის პრინციპი ევროპის პარლამენტის არჩევნებზე 1999 წელს.

ლეიბორისტული პარტიისათვის, რომელიც 18 წლის განმავლობაში (1979-დან 1997 წლამდე) ოპოზიციაში იყო, ქალთა დაწინაურება პარტიაში ამომრჩეველთა შორის მხარდაჭერის გაზრდის ერთ-ერთი გზა აღმოჩნდა. გენდერული დემოკრატიის გაფართოება იყო ნაწილი პარტიის ზოგადი მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციისა, რამაც ხელი შეუწყო ლეიბორისტების გამარჯვებას. პარტიამ შეიცვალა თავისი „მამაკაცური“ იმიჯი და 80-იანი წლების ბოლოს შეიმუშავა გენდერული კვოტირების პროგრამა. დაწესდა 40%-იანი გენდერული კვოტა პარტიის ყველა არჩევითი

ორგანოსათვის და დაისახა გეგმა საპარლამენტო ფრაქციაში ქალთა რიცხვს მიეღწია 50%-თვის. ეს ბოლო დებულების შესრულებას ბევრი სიძნელე ახლდა, რადგანაც ბრიტანეთში მოქმედებს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, ერთმანდატიან ოლქებიდან აირჩევა თითო დეპუტატი.

ლეიბორისტულმა პარტიამ 1992 წელს გადაწყვიტა გათავისუფლებული, ვაკანტური ადგილების 50%-ზე მხოლოდ ქალების დაესახელებინა. მაგრამ ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა და 1996 წელს სასამართლომ ის გააუქმა, როგორც მამაკაცებისათვის დისკრიმინაციული და 1975 წელს მიღებული "სქესების დისკრიმინაციის აქტთან" შეუთავსებელი. შოტლანდიის პარლამენტისა და უელსის ეროვნული ანსამბლეის 1999 წლის არჩევნებისათვის ლეიბორისტულმა პარტიამ გამოიყენა მეზობელი საარჩევნო ოლქების დაწყვილების სისტემა. თითოეულ წყვილისათვის ამ ორი ოლქის პარტიის წევრები იკრიბებოდნენ და ერთად ირჩევდნენ ერთ ქალსა და ერთ მამაკაც კანდიდატს. პარტიის თითოეულ წევრს ჰქონდა ორი ხმა ერთი ქალი კანდიდატის ასარჩევად და ერთიც მამაკაცი კანდიდატისათვის.

2001 წელს პარლამენტმა მიიღო სქესთა დისკრიმინაციის (საარჩევნო კანდიდატების) აქტი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პოლიტიკურ პარტიას განახორციელოს პოზიტიური ქმედებები (positive action) ქალ კანდიდატთა სასარგებლოდ, ისე რომ არ დაარღვიოს შრომის კანონმდებლობა.

საფრანგეთი

საფრანგეთში გენდერული კვოტების აუცილებლობა კონსტიტუციით არის განსაზღვრული. 1999 წელს კონსტიტუციაში შევიდა დამეტება, რომლის მიხედვითაც "კანონმდებლობა მხარს უჭერს ქალისა და კაცისათვის საარჩევნო მანდატთა თანაბარ მისაწვდომობას" და პოლიტიკურს პარტიებს აკისრებს თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას. ამ შესწორებას "პარიტეტული რეფორმა" ეწოდა.

200 წელს ახალი საარჩევნო კანონით განისაზღვრა, რომ პარიტეტული რეფორმა 50%-50% შეეხება ყველა დონის პროპორციულ არჩევნებს:

- მუნიციპალურ არჩევნებს ქალაქებისათვის, სადაც 3 500 მეტი მცხოვრებია;
- სენატის არჩევნებს, პროპორციულად არჩეული სენატორთა მანდატებისათვის;
- რეგიონულ არჩევნებს;
- ევროპის პარლამენტის არჩევნებს;
- პარიზის საბჭოს არჩევნებს;
- პარიზის, ლიონისა და მარსელის რაიონის საბჭოების არჩევნებს.

ეს რეფორმა მოითხოვს ასევე პარტიების მიერ დასახელებულ კანდიდატთა შორის გენდერული ბალანსის დაცვას საფრანგეთის პარლამენტის არჩევნებისას, რომელიც ორტურიანი მაჟორიტარული სისტემით ტარდება.

2000 წლის საარჩევნო კანონმა დააწესა ფინანსური დასჯა იმ პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც არ დაიცავდნენ დასახელებულ კანდიდატთა შორის გენდერულ ბალანსს. საფრანგეთში სახელმწიფო ფინანსირებას პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, 1999 წელს სახელმწიფო დოტაციამ შეადგინა პოლიტიკური სუბიექტების მთელი შემოსავლის 51 პროცენტი.

სახელმწიფოსაგან მიღებული ფინანსები მცირდება, თუ პარიტეტიდან გადახრა გაცდება 2%-ს. ამგვარად, პარტია, რომელიც დაასახელებს 49% ქალ კადიდატს და 51% მამაკაცს არ დაჯარიმდება, მაგრამ მეტი განსხვავების შემთხვევაში დაჯარიმდება, შემდეგი წესით: თუ პარტიის მიერ წარდგენილი ქალი და მამაკაცი კანდიდატების რიცხვი 2%-ზე მეტად განსხვავდება, მაშინ სახელმწიფო დახმარება მცირდება ამ განსხვავების ნახევრით. მაგალითად, თუ პარტიიმ წარადგინა 60% მამაკაცი კანდიდატი, ხოლო 40% ქალი, განსხვავება 20%-ის ტოლი იქნება და მაშინ პარტიას სახელმწიფო დახმარება შეუმცირდება 10%-ით.

მუნიციპალურ დონეზე კი, სადაც არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება, კვოტები კიდევ უფრო ეფექტურად ტარდება: საარჩევნო ადმინისტრაცია უბრალოდ არ გაატარებს რეგისტრაციაში ისეთი პარტიის სიას, რომელიც პარიტეტის მოთხოვნას არ შეესაბამება.

პოლიტიკური პარტიებიდან საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას (Parti Socialiste) 1990 წლიდან ჰქონდა 50% კვოტა საარჩევნო სიებისათვის.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები

სლოვენიაში გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ 33% კვოტა ორივე სქესისათვის.
პოლონეთში 30% კვოტა ორივე სქესისათვის შემოღებული აქვს სამ პარტიას: დემოკრატიულ მემარცხენე ალიანსს, შრომის კავშირსა და თავისუფლების კავშირს.
ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან არჩეულთა 25% უნდა იყოს ქალი. თუ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია ვერ დაასახელებს 25%-ს ქალი კანდიდატებისა, მაშინ სოციალ-დემოკრატების ქალთა ორგანიზაციას აქვს უფლება დაასახელოს ექსტრაკანდიდატები კვოტის შესავსებად.
უნგრეთის სოციალისტურ პარტიას დაწესებული აქვს 20% კვოტა ქალებისათვის.

ბალტიის ქვეყნები

ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს დაწესებული კვოტა - მინიმუმ 1/3 ორივე სქესისათვის.

გენდერული კვოტირების დადებითი მხარეები და სიძნელეები

კვოტების წარმატებულ სისტემას მოსდევს:

- პარტიების მიერ აქტიური პოლიტიკის წარმოება კვალიფიციური კანდიდატი ქალების მოსაზიდად;
- ქალებს საშუალება ეძლევათ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;
- პოლიტიკაში ჩნდება ქალთა კრიტიკული მასა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ ნორმებსა და კულტურაზე.

კვოტების განხორციელებას პარტიისათვის შემდეგი დადებითი მხარეები აქვს:

- პარტიას ემატება ახალი რესურსი, იზრდება პარტიაში აქტიური წევრი ქალების რიცხვი;
- პარტია უკეთ მუშაობს ამომრჩეველ ქალებთან, შესაბამისად იზრება პარტიის მხარდამჭერ ქალთა რიცხვი.

კვოტების შემოღებას თან სდევს სიძნელეები:
— კვოტების შემოღება იმისთვისაა საჭირო რომ ქალები გააძლიეროს, მაგრამ თუ ქალები უკვე გარკვეულ ძალას არ ფლობენ, კვოტების შემოღებას ვერ მიაღწევენ, რადგან, როგორც წესი, კვოტების დაწესება გაფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება.
— კვოტების ეფექტურად ასამუშავებლად აუცილებელია კანდიდატი ქალების მოზიდვა. ძნელი არ არის პოლიტიკურ საქმიანობაში უკვე ჩართული ქალების დათანხმება ზედა პოზიციებზე წასაწევად. ძნელია, ქალების პირველადი დაინტერესება პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად ადგილობრივ დონეზე.
— გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამი არჩევნები მაინც არის საჭირო, რომ კვოტების სისტემა სრულყოფილად ამუშავდეს.
— კვოტების ბევრ მომხრეს ჰგონია, რომ კამათი და კონფლიქტი კვოტების გარშემო დროებითი მოვლენაა და მის მიღებასთან ერთად შეწყდება, მაგრამ გამოცდილება ადასტურებს, რომ ამგვარი დებატები მერეც არ წყდება.

თემა V

ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის სტრატეგიები

პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის წარმატებული გაზრდა
(ნორვეგიის მაგალითი)

წყარო: Jill M. Bystydzienski, Women in Politics in Norway/Women and Politics, Vol. 8, Haworth Press, Inc. 1988.

1969 წელს ნორვეგიის პარლამენტში ქალები მხოლოდ 9%-ით იყვნენ წარმოდგენილი. 1970 წელს ადგილობრივ თვითმმართველობაში იყო 17% ქალი, 1975 წელს ქალთა რიცხვი 25% გახდა, 1983 წელს კი 33%. როგორ და რატომ მიაღწიეს ნორვეგიელმა ქალებმა უჩვეულოდ მაღალ წარმომადგენლობას პოლიტიკაში? ქალთა პოლიტიკაში წინსვლის რა ხელშემწყობი სოციალური და პოლიტიკური წინაპირობები არსებობდა?

ისტორიული და კულტურული ფაქტორები:

- ისტორიულად ნორვეგიაში **ძლიერია თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის ღირებულებები.** ნორვეგიელთა რწმენით, სახელმწიფო უნდა ასრულებდეს ეკონომიკური და სოციალური განსხვავებების გამათანაბრებელ როლს და ეხმარებოდეს იმ ჯგუფებს, რომელთაც ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საზოგადოებრივ რესურსებზე. ამ პირობებში ქალთა მიერ სქესთაშორის თანასწორობის მოთხოვნები ლეგიტიმურად აღიქმება.
- ნორვეგიული **საზოგადოება** ტრადიციულად ძალიან **ორგანიზებულია.** სხვადასხვა ტიპის ბევრი ასოციაციაა, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაწილეობის მაღალ ხარისხს. ქალები წარმოდგენილი იყვნენ ყველა ტიპის საზოგადოებებში, აგრეთვე, ქალთა ორგანიზაციებში, როგორიცაა დიასახლისების და სოფლის ქალთა ასოციაციები, საქველმოქმედო სააგენტოები. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საქმიანობამ ქალებს განუვითარა პოლიტიკაში მონაწილეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები: საჯარო სიტყვის წარმოთქმა, შეხვედრების გამართვა, ლობინგი.
- ზოგადად, ნორვეგიაში **პოლიტიკური აქტივობის დონე მაღალია**.
- ნორვეგიაში **საარჩევნო და პარტიული სისტემა შედარებით ღია და მონაწილეობითია**.

ნორვეგიაში პოლიტიკურ პარტიათა ფართო სპექტრია რადიკალური მემარცხენეებიდან მემარჯვენეებამდე. პოლიტიკური პარტიების სისტემა დემოკრატიული, ღია და მონაწილეობითია. არჩევნები ხდება პროპორციული სისტემით. პარტიის საარჩევნო სიები დგება ღია შეხვედრებზე და პარტიის ნებისმიერ წევრს შეუძლია დაასახელოს კანდიდატურა. არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება. საერთოდ, პროპორციული სისტემის დროს ქალები უფრო ადვილად მოდიან პოლიტიკაში, რადგანც მაჟორიტარული სისტემის დროს, როდესაც ერთ ადგილზე მხოლოდ ერთი კანდიდატი უნდა შეირჩეს, ქალებს როგორც წესი, უჭირთ უპირატესობის მოპოვება.

გარდა პროპორციული სისტემისა ნორვეგიაში საარჩევნო კანონით ამომრჩევლებს დამატებითი მექანიზმები აქვთ იმის გასაკონტროლებლად თუ ვის ირჩევენ. ამომრჩეველს შეუძლია საარჩევნო ბიულეტენში არა მარტო გადახაზოს გვარები, არამედ ჩაუმატოს ახალი კანდიდატის გვარი. (მართალია, ეს წესი შემდეგში ნაწილობრივ შეიცვალა, მაგრამ რაღაც ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლიტიკურ პოსტებზე ქალების რიცხვის გაზრდაში).

ბევრ ქვეყანაში ფინანსური დაბრკოლება უმთავრესია ქალების პოლიტიკაში წინ-სვლისათვის. ნორვეგიაში საარჩევნო კამპანია, ძირითადად, ადმინისტრაციის და თვით პარტიების მიერ ფინანსდება. ამიტომ კანდიდატებს დიდი ფინანსური დანახარჯების გაღება არ უხდებათ, რაც უადვილებს ქალებს პოლიტიკაში ჩართვას.

ნორვეგიის სახელისუფლებო სისტემა სამდონიანია: ეროვნული, საოლქო და მუნიციპალური დონეები. ტიპიური პოლიტიკური კარიერა გულისხმობს ამ დონეების მეთოდურ გავლას. დრამატული აღმასვლა პოლიტიკაში პრაქტიკულად შეუძლებელია. თითქოსდა ისე ჩანს, რომ ამან პოლიტიკაში ახალი ჯგუფების გამოჩენას ხელი უნდა შეუშალოს, მაგრამ სინამდვილეში პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი სისტემა საშუალებას აძლევს პოლიტიკოს ქალებს თანდათანობით მისაღები და ლეგიტიმური გახდნენ.

50-იანი წლების ბოლოს და განსაკუთრებით 60-იან წლებში სკანდინავიის ყველა ქვეყანაში ფართო დისკუსია გაჩაღდა გენდერული როლებისა და თანასწორობის შესახებ. მომზადდა ოფიციალური ანგარიშები ნორვეგიაში ქალთა სტატუსის შესახებ, 1959 წელს დაარსდა თანაბარი ანაზღაურების საბჭო, მეცნიერებმა და აქტივისტებმა პოპულარიზაცია გაუწიეს სქესთა შორის თანასწორობის იდეას. ამგვარად, 60-იანი წლების შუა ხნებში ხელსაყრელი კლიმატი ჩამოყალიბდა ქალთა აქციებისათვის.

1967 წლის პოლიტიკური კამპანია. ქალთა მობილიზაციის პირველი მნიშვნელოვანი აქცია პოლიტიკაში ქალის როლის გასაზრდელად ორგანიზებული იყო 1967 წლის ადგილობრივი არჩევნებისათვის. აქციას ხელმძღვანელობდა **ქალთა ეროვნული საბჭო**. ეს საბჭო გახლდათ ქოლგა ორგანიზაცია, რომელიც შედგებოდა ქალთა ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების ქალთა სექციების წარმომადგენლებისაგან. საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო პოლიტიკური პარტიებთან მუშაობა საარჩევნო სიებში კანდიდატი ქალების რიცხვის გასაზრდელად. ასევე მიდიოდა მუშაობა იმისათვის, რომ ქალი კანდიდატები მოხვედრილიყვნენ სიის ზედა ნაწილში, რათა ჰქონოდათ შანსი გამარჯვებისა. პარალელურად ამისა, მიდოდა ფართო სარეკლამო კამპანია ქალების არჩევის იდეის პოპულარიზაციისათვის.

შემუშავებული სტრატეგიის შემდეგი ნაბიჯებისაგან შედგებოდა:

- შესაფერისი კანდიდატურების მოძიება;
- მათი დარწმუნება თავიანთ ძალებში და დათანხმება საარჩევნო ბრძოლისათვის;
- პარტიებთან მუშაობა, მათი დარწმუნება რომ ამ კანდიდატი ქალის ჩართვა სიაში კარგი იდეაა და პარტიას ბევრ ხმას მოუტონს;
- სიაში შეყვანის შემდეგ თვალყურის დევნება და მუშაობა იმაზე, რომ ქალი კანდიდატები სიაში პერსპექტიულ პოზიციებზე მოხვედრილიყვნენ;
- დასკვნითი ნაბიჯი იყო მედიისა და საჯარო ფორუმების საშუალებით ელექტორატთან მუშაობა, ქალი კანდიდატებისათვის მხარდაჭერის მისაღწევად.

1967 წლის აქციებმა საგრძნობი შედეგი მოიტანეს, ქალთა რიცხვი ადგილობრივ თვითმმართველობაში გაორმაგდა და 5%-დან 12%-მდე გაიზარდა.

მაგრამ პოლიტიკაში ქალები ისევ მცირე ჯგუფად რჩებოდნენ და 1971 წელს ორგანიზდა მეორე მნიშვნელოვანი აქცია. ამჯერად ისტებლიშმენტის ქალებს შეუერთდნენ ახალი ფემინისტები, რომელიც 1970 წელს ნორვეგიაში ძალიან გააქტიურდნენ.

1971 წელი ისედაც პოლიტიკურად აქტიური წელი იყო ნორვეგიის ისტორიაში. ქვეყანაში გაჩაღდა ცხარე დებატები ევროპის ეკონომიურ თანამეგობრობაში გაწევრიანების გარშემო. 1972 წ. ჩატარდა რეფერენდუმი ამ საკითხზე. დებატებმა ბევრი ქალის პოლიტიზირება მოახდინა. მემარცხენე თუ მემარჯვენე შეხედულებების ბევრი ქალი პოლიტიკურად აქტიური გახდა სწორედ ამ დებატების დროს. ის ქალები, რომლებიც ყველაზე მეტად ჩანდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე გახდნენ ლოგიკური კანდიდატები მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში.

ამ არჩევნების დროსაც გამოყენებული იქნა ის ტაქტიკა, რაც 1967 წლის არჩევნებში, თანაც დაემატა ამომრჩევლებთან მუშაობა ბიულეტენის შევსებასთან დაკავშირებით. ამომრჩევლებს უნდა გადაეხაზათ ყველა მამაკაცი კანდიდატი, რათა ქალ კანდიდატს, რომელიც არ იყო სიის მოწინავე პოზიციაზე არჩევნებში გამარჯვების შანსი მისცემოდა. საარჩევნო კანონი იძლეოდა კანდიდატის ჩამატების შესაძლებლობასაც.

ისტებლიშმენტის ქალები და ახალი ფემინისტები პარალელურად მუშაოდნენ. ახალი ფემინისტები თავიანთი გამოსვლებით ქმნიდნენ ხელსაყრელ საზოგადოებრივ კლიმატს ქალების პოლიტიკაში წინსვლისათვის, ხოლო ისტებლიშმენტის ქალები ასრულებდნენ ინსტრუმენტალურ სამუშაოს (კანდიდატების შერჩევა, პარტიების დათანხმება, ამომრჩევლებთან მუშაობა).

1971 წლის არჩევნების შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სამ დიდ მუნიციპალიტეტში ასკერში, ოსლოსა და ტრონდჰეიმში ქალებმა გადააბიჯეს 50% ბარიერს. (ტრონდჰეიმში 20%-დან 54%-ს მიაღწიეს, ასკერში 26%-დან-57%-ს, ოსლოში 28%-დან 56%-ს). 6 მუნიციპალიტეტში ქალთა რიცხვმა 40%-ზე მეტს მიაღწია.

ასეთი წარმატების შემდეგ ქალებმა გარკვეული უკანსვლა განიცადეს. ძალიან ბევრი ქალი კანდიდატი არ ელოდა ასეთ წარმატებას და არ ელოდა, რომ არჩეული იქნებოდა. პოლიტიკური ცხოვრებისა და საოჯახო პასუხისმგებლობების შეთავსების სიძნელეებმა ბევრს გადააფიქრებინა შემდეგ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. პოლიტიკოსმა კაცებმა ქალებს ბრალი დასდეს „არადემოკრატიულ ტაქტიკის“ გამოყენებაში და შეცვალეს საარჩევნო კანონის ის ნაწილი, რომელიც ნებას აძლევდა ამომრჩევლებს ჩაემატებინათ ბიულეტენში ახალი კანდიდატები. მამაკაცებმა 1975 წლის არჩევნებში ქალი კანდიდატების წინააღმდეგ გამოიყენეს ბიულტენიდან გვარების ამოშლის ის ტაქტიკა, რაც ქალებმა განავითარეს 1971 წლის არჩევნებში.

ამ გამოცდილების შემდეგ დაისახა ქალთა მობილიზაციის ახალი ტაქტიკა, რომელიც ფოკუსირებული იყო არა ბუილეტენებით მანიპულირებაზე, არამედ მიმართული იყო პარტიულ სიებში ქალი კანდიდატების რიცხვის მაქსიმალური გაზრდისაკენ.

ფორმალურმა ქალთა ორგანიზაციებმა და ახალმა ფემინისტებმა უფრო მჭიდრო ალიანსი შექმნეს. ახალი ფემინისტების ერთ-ერთი წარმომადგენელი იხსენებს: „70-იანი წლების მეორე ნახევრამდე ახალი ფემინისტები არ ვეწინააღმდეგებოდით მეტი ქალის არჩევას პოლიტიკურ პოსტებზე, მაგრამ არ ვთვლიდით საჭიროდ მუშაობას პოლიტიკურ სისტემასთან. ჩვენ ვცდილობდით გაგვეზარდა ქალთა თვითშეგნება, რათა კი არ გვეთანამშრომლა ქალების შემზღუდავ სისტემასთან, არამედ შეგვეცვალა ის. იმ ხანებში ჩვენ ვფიქრობდით, რომ უნდა შეგვეცვალა ის გარედან და არა შიგნიდან. 1975 წლის შემდეგ ჩვენ მივხვდით, რომ თუ გვსურს ცვლილებების განხოციელება, საჭიროა ქალებმა მოიპოვონ ძალაუფლება არსებულ სისტემაში“.

1977 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და 1979 წლის მუნიციპალური არჩევნების წინ ქალებმა ახალი კამპანიები გამართეს. ჩამოყალიბდა ე.წ. „400-ის კოალიცია“, მასში შედიოდნენ ქალები ყველა პოლიტიკური პარტიიდან, ქალთა ორგანიზაციებისა და ახალი ფემინისტების წარმომადგენლები. ამ ქალებს შორის ბევრ საკითხზე იყო უთანხმოება, მაგალითად, მემარჯვენეები აბორტის წინააღმდეგნი იყვნენ, ხოლო მემარცხენეები მომხრენი, მაგრამ მათ აერთიანებდათ ერთი რამ, უნდოდათ ყველა პოლიტიკურ პოზიციაზე 50% ქალი ყოფილიყო.

კოალიცია ორი მიმართულებით მუშაობდა:

- საარჩევნო სიებში მეტი ქალი კანდიდატის ჩასმა;
- ქალთა პოლიტიკური დღის წესრიგის შემუშავება, ანუ შემუშავება ქალებისათვის მისაღები პოლიტიკისა ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში: განათლება, ეკონომიკა, სამართლებრივი სისტემა, ხელოვნება, რელიგია.

კოალიციაში შეიქმნა კომიტეტები ქალთა პოლიტიკური ხედვების შესამუშავებლად.

პარტიებზე ზეწოლის შედეგად მიაღწიეს იმას, რომ პარტიებმა დაიწყეს დათანხება გენდერული კვოტის შემოღებაზე. 1976 წლისათვის 2 პარტია დაეთანხმა გენდერულ კვოტას ლიბერალები და მემარცხენე სოციალისტები, 1983 წელს მათ შეუერთდა ლეიბორისტული პარტია.

ბევრი რამ სცენის მიღმა განვითარდა. ბევრ პარტიულ, პროფკავშირულ და მეწარმე ლიდერ ქალს არ სურდა იდენტიფიკაცია რადიკალურ ფემინისტებთან, მაგრამ თანაუგრძნობდნენ კოალიციას და ფაქტობრივად იყვნენ მისი წევრები ისე, რომ არ აკეთებდნენ ამის აფიშირებას.

კოალიცია მოქმედებდა 18 თვე და საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. პარლამენტში ქალთა რიცხვმა 16% დან 24%-მდე აიწია. პარლამენტის დღის წესრიგში ქალთა საკითხები პერმანენტულად ხვდებოდა. 1980-იანი წლების დასაწყისისათვის ცხრავე პარტიამ ჩართო თავის პროგრამებში ქალთა მოთხოვნები.

1979 წელს ქალთა ორგანიზაციებმა და ახალმა ფემინისტებმა ჩამოაყალიბეს კომიტეტი და დროებითი სამდივნო. როგორც ადრე მუშაობის ძირითადი მიმართულებები იყო:

- მეტი ქალის ჩართვა პარტიათა საარჩევნო სიებში;
- ზეწოლა პარტიებზე ქალთა მოთხოვნების პროგრამებში ჩასართავად;
- მუშაობა ელექტორატთან კანდიდატი ქალების მხარდაჭერის გასაძლიერებლად.

ამგვარი კამპანიები 80-იან წლებშიც გაგრძელდა, მაგრამ ასეთი მიზანდასახულობითა და ინტენსიობით არა. ქალთა მოძრაობა ისე ძლიერი აღარ იყო. დიდი ნაწილი მისი აქტივისტებისა შევიდნენ პოლიტიკურ პარტიებში, პროფკავშირებში, სახელმწიფო ადმინისტრაციაში. მიუხედავად ამისა, ქალთა წარმომადგენლობის ზრდა პოლიტიკაში გაგრძელდა და კულმინაციას მიაღწია გრო ჰარლემ ბრუნდტლანდის მმართველი კაბინეტის დროს, 1987 წელს — ეს იყო მსოფლიო რეკორდი, ქალები შეადგენდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ შედგენილი მმართველი კაბინეტის 44%-ს.

თემა VI

სისტემებისა და ორგანიზაციების გენდერული პოლიტიკა

გენდერული თანასწორობა ჰარმონიული, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია. გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.

გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას, პირიქით — დემოკრატიულ პლურალისტურ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, სხვადასხვა საჭიროებები და ცხოვრების წესი, მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე, ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით და ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.

როდესაც გენდერული თანასწორობას ვეხებით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთი მხრივ, იგი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხია, მეორე მხრივ, კი იგივე გენდერული თანასწორობა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი პირობაა. მრავალფეროვნება თავისთავადი ღირებულებაა, რომელიც კეთილდღეობას ქმნის.

წარმატებული დემოკრატია გულისხმობს საზოგადო საქმეების წარმართვისას ქალსა და მამაკაცს შორის ჭეშმარიტ თანამშრომლობას, მათ თანასწორ და შემავსებელ საქმიანობას, ურთიერთგამდიდრებას თავიანთი განსხვავებულობით. (დემოკრატიის უნივერსალური დეკლარაცია, პარლამენტთაშორისი საბჭო, 1997 წ.).

გენდერული პოლიტიკები

გენდერული პოლიტიკაა, ისეთი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს გენდერულ პარამეტრებს და მიმართულია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ. განასხვავებენ გენდერული პოლიტიკის განხორციელების სხვადასხვა დონეებს.

გენდერულად ბრმა პოლიტიკა

გენდერულად "ბრმა" პოლიტიკა, პროგრამები, პროექტები უგულვებელყოფს ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ მოთხოვნილებებს. "ჩვენ ყველას ერთნაირად ვეპყრობით". ასეთ შემთხვევებში:

- არ ხდება ქალისა და მაკაცის მოთხოვნილებების, პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინება. მოსახლეობა, სამუშაო კოლექტივი ან სხვა ჯგუფი განიხილება ერთგვაროვან ჯგუფად;
- არ იწარმოება დაცალკევებული სტატისტიკა: მაგალითად, ვის უკავია უმაღლესი თანამდებობები, ვის აქვს გადამზადების და კვალიფიკაციის მიღების მეტი შესაძლებლობა.

გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკა

ეს პოლიტიკა ზოგჯერ გამოსადეგია მოკლევადიანი პრობლემების გადასაჭრელად.

- ასეთი მიდგომისას ყურადღება მიმართულია ქალების პრაქტიკულ და არა სტრატეგიულ მოთხოვნილებებზე;
- უცვლელი რჩება რესურსების და პასუხისმგებლობის არსებული განაწილება.

გენდერულად გაცნობიერებული პოლიტიკა

გენდერული ცნობიერება ნიშნავს რეალობას შევხედოთ "ახალი" თვალით და დავინახოთ გენდერული განსხვავებები. ამ მიდგომას ახასაითებს:

- გაცნობიერება და აღიარება, რომ არსებობს სხვაობები;
- გენდერულად დაცალკევებული მონაცემების შეგროვება;
- კონსულტირება როგორც მამაკაცებთან, ისე ქალებთან.

გენდერულად ტრანსფორმაციული პოლიტიკა გულისხმობს:

- არსებული განსხვავებების, საჭიროებების, დისკრიმინაციის მიზეზების შესწავლას;
- ორივე სქესის პრაქტიკული და სტრატეგიული მოთხოვნილებების დადგენასა და გათვალისწინებას;
- არსებული გენდერული როლების და ტრადიციების ეჭვქვეშ დაყენებას და კრიტიკულად გააზრებას;
- ქალებისა და მამაკაცების თანამშრომლობის გაუმჯობესებას;
- ქალებისა და მამაკაცების პოტენციალის გაძლიერებას, მათთვის სამსახურში მიღებისა და კვალიფიკაციის გაზრდის თანაბარი შანსების მიცემას.

თუ არ განხორციელდება ტრანსფორმაციული პოლიტიკა:

- უცვლელად დარჩება რესურსების და პასუხისმგებლობის არსებულ უსამართლო განაწილებას;
- ვერ ამაღლდება ცნობიერება და იმის გააზრება, რომ არსებობს გენდერული განსხვავებები და საზოგადოების ერთი ნახევრის შესაძლებლობები ბოლომდე არ არის რეალიზებული.

გენდერული მიდგომა

გენდერული მიდგომა ნიშნავს სხვადასხვა სფეროში სქესისაგან დამოუკიდებელი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელების ხერხების შემუშავებას.

გენდერული მიდგომის განხორციელების ეტაპები შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

- კონკრეტული გენდერული პრობლემის (გენდერული უთანასწორობის) არსებობის გაცნობიერება
- ვითარების შესწავლა, ინფორმაციის მოპოვების, კვლევისა და ანალიზის საშუალებით
- გენდერული ცვლილების სტრატეგიის შემუშავება
- სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება
- სამოქმედო გეგმის განხორციელება
- განხორციელების შემუშავება

თემა VII

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გენდერული პოლიტიკა. მედიაში პოლიტიკის გაშუქების გენდერული ასპექტები

მედიის გენდერული ანალიზი, ანდა მედიის გენდერული მონიტორინგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გენდერული პარამეტრების შესწავლაა.

მედია უდიდეს როლს ასრულებს გენდერული პრობლემების შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და ზოგადად, სტერეოტიპების, მათ შორის, გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებასა თუ კვლავწარმოებაში, ამიტომ იგი ხშირად ხდება გენდერული ანალიზის სამიზნე. მედიის მონიტორინგები საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ტარდება გლობალური მედია-მონიტორინგებიც კი, რომელთაც მსოფლიო მასშტაბის აქციის სახე ეძლევათ. მსგავსი ღონისძიება, „ვინ აკეთებს ახალ ამბებს", პირველად 1995 წლის 18 იანვარს ჩატარდა, რომლის დროსაც გაანალიზეს 71 ქვეყნის 15 ათასამდე მედია სიუჟეტი. მსოფლიო მონიტორინგი მეორედ 2000 წელს, მესამედ კი 2005 წელს განხორციელდა.

მედიის მონიტორინგის დროს გამოიყენება კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები.

ქართული მედია და გენდერული საკითხები

ქართულ მედიაში ქალები მცირედ არიან წარმოდგენილები, ქალთა და გენდერული საკითხები სათანადო მოცულობითა და სიღრმით არ შუქდება, სარედაქციო პოლიტიკა მოვლენების გაშუქებისას არ ითვალისწინებს გენდერულ განზომილებას, ჟურნალისტები არ არიან გენდერულად მგრძნობიარენი. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ქართული მედია ხელს უწყობს დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოებას.

მედიის ყურადღება ძირითადად მიპყრობილია პოლიტიკური მოვლენებისადმი, ქართულ პოლიტიკურ დისკურსში კი ქალთა საკითხები საერთოდ არ ჟღერს. პოლიტიკა დღემდე რჩება საზოგადოებრივი აქტივობის ყველაზე მასკულინიზებულ სფეროდ. ასევე ნაკლებად ისმის ქალების აზრი მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ, რაც გამოწვეულია პოლიტიკური დისკუსიის საზღვრების სივიწროვით, როდესაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოება ნაკლებად მონაწილეობს.

ქალები თითქმის არ ჩანან ეკონომიკის საკითხებისადმი მიძღვნილ რუბრიკებში, რადგანაც ძირითადად, მცირე ბიზნესით არიან დაკავებული, ხოლო ეკონომიკის ეს სფერო ქართულ მედიაში მაინცდამაინც აქტიურად არ შუქდება ასევე, დაუმუშავებელი თემაა მედიისათვის შრომის უფლებები და ზოგადად, შრომითი ურთიერთობები, რომლის სათანადოდ გაშუქების შემთხვევაშიც გენდერული პრობლემატიკა აუცილებლად იჩენდა თავს. მედიაში წარმოდგენილ ქალთა სიმცირეს განსაზღვრავს აგრეთვე ის ფაქტორი, რომ ძალიან მცირედ და ზედაპირულად შუქდება განათლების, ჯანდაცვის, სოციალური სფეროები, ანუ ის სფეროები, რომლებშიც ძირითადად, ქალები არიან დაკავებულნი.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტების უმეტესობა ქალია, ქართული მედიას აკლია გენდერული მგრძნობიარობა. საქართველოში გლობალურ მედია-მონიტორინგის ჩარჩოებში ჟურნალისტთა ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიის მიერ 2005 წელს განხორციელებულმა ანალიზმა გამოარკვია, რომ:

- ტელევიზიისა და რადიოს წამყვანთა შორის 92 პროცენტი ქალია, 8 პროცენტი — მამაკაცი;
- რეპორტიორთა შორის 71 პროცენტი ქალია, 29 პროცენტი მამაკაცი;
- ახალი ამბების გმირებს შორის კი მხოლოდ 19 პროცენტია ქალი.

მონიტორინგის შედეგები შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში: http://www.gmc.ge/images/news.html

რათა ნათელი გახდეს სურათი, თუ როგორ არიან ქალები წარმოდგენილი პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ მედიაში, მოგვყავს სხვადასხვა წლების ქართულ

პრესაში ქალებისა და ქალთა საკითხების შესახებ მასალების მოცულობის პროცენტული მაჩვენებლები:

მასალები ქალების შესახებ	1989	1990	1999	2001
	23,4%	7,2%	9%	15%

წყარო: ლ. ხომერიკი, ნ. ჯავახიშვილი, მ. ნიკურაძე, **გენდერული პოლიტიკა და მასმედია**, თბილისი, 2002.

1990 წლის მედიაში ჯერ კიდევ შეინიშნება ქალებისადმი ფორმალურ ყურადღების საბჭოური ინერცია. ნიშანდობლივია, რომ პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ, 1991 წლიდან ქალების შესახებ მასალები მკვეთრად იკლებს 7,2%-მდე. აღსანიშნავია, რომ ამ დროს საგაზეთო ფოტოების 39% მამაკაცთა ინდივიდუალური ფოტოებია, ხოლო 54% შეადგენს ჯგუფური ფოტოები, რომლებზედაც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი მამაკაცი პოლიტიკოსები არიან წარმოდგენილი. რადგანაც ქართული ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიისათვის გენდერული თანასწორობის საკითხი აბსოლუტურად არააქტუალური იყო, ქალებსა და ქალთა პრობლემატიკის შესახებ პუბლიკაციებს რიცხვის ასეთი კლება ბუნებრივია.

ქართული მედიის ანალიზმა გამოკვეთა ის ტენდენციები, რომლებიც ხელს უშლიან ძველი გენდერული სტერეოტიპების მოშლას;

- იმ პუბლიკაციებში, რომლებიც ოჯახს, მის სიმტკიცეს, მეუღლეთა მოვალეობებსა და ზოგადად, ოჯახურ ტრადიციებს შეეხება, ძალიან ხშირად იკვეთება, რომ ოჯახურ სიმყუდროვესა და ოჯახის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ქალს ეკისრება.
- ქალისა და მამაკაცის სექსუალური ქცევის შეფასება უმეტესწილად ორმაგი სტანდარტით ხდება, ის რაც ქალისათვის დაუშვებელია, მამაკაცისათვის მხოლოდ ხალისიანი თავგადასავლია.
- ინტერვიუებსა და სხვა ტიპის სიუჟეტებსა თუ პუბლიკაციებში საცოლის მოტაცება ხშირად სახელდება, როგორც გავრცელებული და რაც ყველაზე ცუდია, სავსებით მისაღები ფორმა დაქორწინების, რომელიც არამცთუ აღშფოთებას, გაკვირვებასაც არ იწვევს.
- პუბლიკაციებში ძალზე ხშირად გვხდება შემთხვევები, როდესაც გათხოვების შემდეგ ქალები თავს ანებებენ ან ზღუდავენ თავიანთ პროფესიულ კარიერას.
- ბოლო ხანებში ფართოდ გავრცელებულ ე. წ. საოჯახო ინტერვიუებში უმეტესწილად იკვეთება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქალიც ქმრის პარალელურად საინტერესო და მნიშვნელოვანი პროფესიული საქმიანობით არის დაკავებული მთელი საოჯახო საქმეები მას აწევს მხრებზე.
- სტერეოტიპები განსაკუთრებით კარგად ჩანს რეკლამაში**,** სადაც ძირითადად ქალის ორი ტიპი ფიგურირებს:
  - ⇒ ოჯახის დედა, კარგი დიასახლისი და მზრუნველი ოჯახის სისუფთავესა და კვებაზე (საკვებისა და სარეცხი ფხვნილების რეკლამაში).
  - ⇒ კომერციული სახე ლამაზი და სექსუალური ქალისა, რომელიც ნებისმიერი ტიპის საქონლის რეკლამაში შეიძლება იქნეს გამოყენებული.
- როდესაც მასალა ქალს შეეხება, მაშინაც კი, როდესაც თემა საკმაოდ სერიოზულია, ხშირად ახლავს ეროტიული შეფერილობის ფოტო.
- იშვიათად, მაგრამ მაინც გვხდება აშკარად სექსისტური გამონათქვამები.
- სიტყვა ფემინიზმი, ქართულ მედიაში ძალიან იშვიათად ჟღერს და უმეტეს შემთხვევაში ძალიან უარყოფით კონტექსტში.
- ნიშანდობლივია, რომ გენდერული თანასწორობის შესახებ ანტისტერეოტიპული მასალები და აზრები ძირითადად გვხდება ისეთ სტატიებში, რომლებიც უცხოეთს შეეხება.

თემა VIII

სახელმწიფო პოლიტიკა გენდერული და ქალთა პრობლემების სფეროში

ბევრი ქვეყანა აღიარებს, რომ არსებობს გენდერული და ქალთა პრობლემები, რომელთა გადაჭრაც მოითხოვს კონკრეტული სტრატეგიების შემუშავებასა და სპეციალური ზომების განხორციელებას.

ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული უთანასწორობის პრობლემის გადასაჭრელად კომპლექსური და მიზანმიმართული პოლიტიკის აუცილებლობა ხაზგასმით აღინიშნა პეკინში გამართულ ქალთა მსოფლიო კონფერენციაზეც. ამ შეხვედრის ერთ-ერთ საკვანძო მოთხოვნას წარმოადგენდა მთავრობების მიერ ეროვნული სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება.

ქალთა და გენდერული საკითხების მოგვარებისადმი მიმართული სახელმწიფო პროგრამები სხვადასხვაგვარი და მრავალფეროვანია, მაგრამ თუ ძალიან განვაზოგადებთ შესაძლებელია გამოვყოთ მსგავსი შემადგენელი ნაწილები, როგორიცაა:

- ⇒ სრულყოფილი გედერული სტატისტიკის წარმოება;
- ⇒ პრობლემების ყოველმხრივი სამეცნიერო შესწავლა;
- ⇒ სტატისტიკური მონაცემებისა და კვლევის შედეგების ფართოდ გავრცელება, საინფორმაციო კამპანიების მოწყობა, საზოგადოების ცოდნის ამაღლება ქალთა და გენდერული საკითხების სფეროში;
- ⇒ სტატისტიკურ მონაცემებსა და კვლევებზე დაყრდნობით გენდერული და ქალთა საკითხების მოგვარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება;
- ⇒ საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის მიზნით;
- ⇒ სახელმწიფო პროგრამით დასახული ღონისძიებების ინსტიტუციონალური საფუძვლის შექმნა და განვითარება (სოციალური სამსახურები, კრიზისული ცენტრები, მონიტორინგის სამსახურები);
- ⇒ თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა (მაგალითად, საბერძნეთის თანასწორობის ბიურო, პორტუგალიის თანასწორობისა და ქალთა უფლებების კომისია);
- ⇒ ქალთა მონაცემთა ბაზების შექმნა (1974 წელს ირლანდიის მთავრობამ შექმნა კვალიფიციურ ქალთა მონაცემთა ბაზა, რისი მეშვეობით ხდება სახელმწიფო სამსახურისათვის შესაბამისი კანდიდატურების მოძიება. 1995 წელს ნიდერლანდის მთავრობამ დაარსა ორგანიზაცია „თოპლინკი“, რომლის მიზანიც არის შექმნას კვალიფიციურ ქალთა მონაცემთა ბაზა, რომელიც დაეხმარება სახელმწიფო სააგენტოებს, პარტიებს, კერძო კომპანიებს მოძებნონ შესაბამისი კვალიფიკაციის ქალები).

როგორც წესი, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამები აუცილებლად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ⇒ **დედობისა და ოჯახის დახმარება** (რა ხასიათისაა და მოცულობის ამგვარი პროგრამები, როგორია დაფინანსება);
- ⇒ **მარტოხელა მშობლებისა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;**
- ⇒ **ოჯახური ძალადობა და ძალადობა ქალის მიმართ** (როგორია კანონმდებლობა, არსებობს თუ არა დახმარების სამსახურები, რა ხარისხისა და მოცულობის მომსახურების გაწევა შეუძლიათ, როგორია სამართალდამცავ ორგანოებში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისა და სასამართლო საქმეების წარმოების ხარისხი, ტარდება თუ არა პრევენციული ზომები);
- ⇒ **გადაწყვეტილების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის უზრუნველყოფა;**
- ⇒ **ტრეფიკინგი;**
- ⇒ **პროსტიტუცია;**
- ⇒ **ჯანდაცვის პროგრამები** — ორსულთა, ახალშობილთა და მშობიარეთა, ბავშვთა

ჯანდაცვა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, კონტრაცეფციისა და მათ შორის, აბორტის საკიხები, ქალურ ორგანოთა დაავადებები (მათ შორის, სიმსივნური).

გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი კანონმდებლობა

ლიტვა

1998 წელს ლიტვამ მიიღო ***კანონი ქალებისა და კაცების თანაბარი შესაძლებლობების შესახებ*** და დააწესა ***თანაბარი შესაძლებლობების კონტროლიორის*** სამსახური. ეს იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში ამგვარი ხასიათის კანონის მიღების პირველი შემთხვევა.

კანონი მოქმედების სფერო მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო მართვის ორგანოებს და საკუთრების ნებისმიერი ფორმის დაწესებულებებს.

თანაბარი შესაძლებლობების კონტროლიორი განიხილავს საჩივრებს გენდერული დისკრიმინაციისა და სამუშაო ადგილზე სექსუალური იძულების შესახებ. კონტროლიორს შეუძლია შემთხვევის შესწავლის შემდეგ დააწესოს ადმინისტრაციული ჯარიმა ან სასამართლოს გადასცეს საქმე. ფულადი ჯარიმები მიდის სახელმწიფოს ბიუჯეტში და არა დაზარალებულ პირთან. კონტროლიორს გამოძიებებს აწარმოებს თავისი ინიციატივითაც, ასევე მონიტორინგს უწევს დისკრიმინაციული ხასიათის განცხადებებს პრესაში, შეიმუშავებს წინადადებებს კანონმდებლობის დახვეწის მიზნით.

კანონის მიღებისა და კონტროლიორის სამსახურის გაჩენის შემდეგ ლატვიის პრესაში შემცირდა დისკრიმინაციული ხასიათის განცხადებები. 2000-2001 წლებში, ანუ ფუნქციონირების პირველ წელს ქალისა და მამაკაცის თანაბარი შესაძლებლობების კონტროლიორის სამსახურმა განიხილა 47 განცხადება. საჩივრების რიცხვი იზრდება და ლიტვის რიგითი მოქალაქეები უფრო ხშირად მიმართავენ თანაბარი შესაძლებლობების კონტროლიორს.

ესტონეთი

ესტონეთმა 2000 წელს ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს სოციალურ ქარტიას (Social Charter of Council of Europe). ესტონეთს ჰყავს თავისი წარმომადგენელი ევროპის საბჭოს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის კომიტეტში (Steering Committee for Equality Between Women and Men).

ევროპის საბჭომ მიიღო დაახლოებით 20 დოკუმენტი, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გასავითარებლად ევროპის სახელმწიფოებში. ესტონეთმა დაიწყო თავისი კანონმდებლობისა და ევროპის საბჭოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. გამოჩნდა მნიშვნელოვანი განსვლები თანასწორობის ევროპულ სტანდარტებსა და ესტონეთის კანონმდებლობას შორის. ესტონეთმა აიღო ვალდებულება მიიღოს **გენდერული თანასწორობის აქტი**. გენდერული თანასწორობის კანონის მიღება იქნება ერთ-ერთი წინაპირობა ესტონეთის მიერთებისა ევროპის კავშირისადმი. თანასწორობის კანონმა უნდა შექმნას სამართლებრივი ბაზისი გენდერული თანასწორობისადმი მიმართული საქმიანობების სახელმწიფო დონეზე წარსამართავად.

სახელმწიფო პოლიტიკა ოჯახური ძალადობის სფეროში (კანადის მაგალითი)

კანადა მოწინავე ქვეყანაა ოჯახური ძალადობის სფეროში ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით. კანადაში კარგად არის დამუშავებული ფედერალური და რეგიონალური კანონები ოჯახური ძალადობის შესახებ და, ასევე, არსებობს ეფექტური სოციალური პროგრამები ადგილობრივ დონეზე. შექმნილია ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემმუშავებელი კომისია. 1988 წლიდან მოქმედებს ოჯახური ძალადობის სამთავრობო პროგრამა.

ფედერალური დონე

საკითხის შესწავლა. ქალის წინააღმდეგ ძალადობის პრობლემის კვლევა კანადაში 20 წელზე მეტი ხანია რაც მიმდინარეობს. 1991-93 წწ. ჩატარდა მსხვილმაშტაბიანი

გამოკითხვა, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა. შეიკრიბა მონაცემები ოჯახური ძალადობის პრობლემის ბუნებისა და მასშტაბის გასარკვევად. არსებობს ოჯახური ძალადობის შემსწავლელი 5 ცნობილი კვლევითი ცენტრი, რომლებიც ფინანსირდება ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და კანადის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სამეცნიერო საბჭოს მიერ. ეს ცენტრები უზრუნველყოფენ პარტნიორულ ურთიერთობებსა და ურთიერთთანამშრომლობას ოჯახური ძალადობის საკითხზე მომუშავე მეცნიერებს, პედაგოგებს, პრაქტიკოსებს, პოლიტიკოსებსა და ქვეყნის მასშტაბით მოქმედ 600-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის.

კანონდებლობა. სპეციალური ცალკე ფედერალური კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ არ არსებობს. მაგრამ 1994 წლიდან მოყოლებული სისხლის სამართლის კოდექსში შედის შესწორებები, რომლებიც ითვალისწინებენ სამართლებრივი ზომების სისტემის შექმნას ქალების, ბავშვებისა და ხანდაზმულთა ძალადობისაგან დასაცავად.

პროგრამები. 1997/98 წწ. ოჯახური ძალადობის შესამცირებლად მიმართულმა ფედერალურმა ფინანსირებამ შეადგინა 30,7 მლნ. დოლარი, ეს თანხა ხმარდება თავშესაფრების შენახვასა და, ასევე, პროფილაქტიკურ მუშაობას.

კანადის მთავრობის საქმიანობა წარმოადგენს ოჯახური ძალადობის საკითხთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების ახალ საფეხურს. ამ პრობლემაზე მუშაობა ინტეგრირებულია ისეთი სტრუქტურების მიმდინარე პროგრამებში, როგორიცაა ჯანდაცვის დეპარტამენტი, პოლიცია, ქალთა საქმეების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სტატისტიკის სამმართველო, მშენებლობისა და უძრავი ქონების სამინისტრო, მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამინისტრო.

სახელმწიფო პროგრამა მრავალ მიმართულებიანია:

ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებს საქმიანობას მსხვერპლთათვის სამედიცინო დახმარების გასაუმჯობესებლად:

⇒ სამედიცინო პერსონალისათვის სპეციალური სწავლების ორგანიზება (სემინარებისა და კურსების ჩატარება სამედიცინო სასწავლებლებთან და ექიმებისა და ექთნების ასოციაციებთან თანამშრომლობით);

⇒ კვლევის განხორციელება „ჯანდაცვა და ძალადობა ქალის წინააღმდეგ“ (ძალადობის გავლენის შესწავლა მსხვერპლთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე);

⇒ ძალადობის მსხვერპლებთან მოპყრობისას ქცევის წესების შემუშავება ექიმებისათვის;

⇒ სახელმძღვანელოს მომზადება ექთნებისათვის, რომლებიც დახმარებას უწევენ ოჯახური ძალადობით დაზარალებულთ.

გენერალური პროკურატურა და იუსტიციის სამინისტროს განსახორციელებელ საქმიანობაში შედის:

⇒ შესწორებების მომზადება პარლამენტში წარსადგენად კანონმდებლობის დახვეწის მიზნით;

⇒ პოლიციელთა, პროკურორთა, საპატრულო სამსახურებისა და პენიტენციალური სისტემის მუშაკთა ტრენინგი;

⇒ სპეციალური ინსტრუქციის შემუშავება პოლიციელებისათვის, როგორ იმოქმედონ ოჯახური ძალადობის შემთხვევებში;

⇒ საინფორმაციო მასალების შემუშავება პოლიციელებისათვის, იმის შესახებ თუ როგორ აღმოუჩინონ დახმარება ძალადობით დაზარალებულებს;

⇒ სახელმძღვანელოს მომზადება სოციალური მუშაკებისათვის.

ოჯახური ძალადობის პრობლემაზე მუშაობა რეგიონულ დონეზე

ცალკეულ პროვინციებს აქვთ შემუშავებული სპეციალური რეგიონალური კანონები ოჯახური ძალადობის საკითხზე. მაგალითად, ალბერტის პროვინციამ 1998 წელს მიიღო ***ოჯახური ძალადობისაგან დაცვის აქტი,*** რომელიც ითვალისწინებს ოჯახის ყველა

წევრის (ქალების, მამაკაცების, ბავშვების, ხანშიშესულების) დაცვას ძალადობისაგან. 1995 წელს სასკეჩევანის პროვინციამ მიიღო **აქტი ოჯახური ძალადობის მხვერპლთა შესახებ**. აქტი ითვალისწინებს სპეციალური ორდერების გაცემას, რომელიც იძლევა პოლიციის მხრიდან დაუყოვნებელი ჩარევის უფლებას და ავალებს პოლიციას თვალყური ადევნონ კრიზისულ ოჯახებს და დაიცვან მისი წევრები მოძალადისაგან.

რეგიონებში მოქმედებს სხვადასხვაგვარი პროგრამები, განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა **პრევენციული ზომების** მიღებას. ტარდება საინფორმაციო კამპანიები, მოზარდებისათვის შემუშავებულია საინფორმაციო პაკეტი ძალადობის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად.

ონტარიოს პროვინციაში ტარდება ყოველწლიური ტრენინგი იმ პროკურორებისათვის, ვინც სპეციალიზდებიან ოჯახური ძალადობის საქმეებზე. წარმატებით მოქმედებს, აგრეთვე, პროგრამა „მოწმე — მსხვერპლი“, რომელიც ითვალისწინებს იმ მოწმეების დახმარებას, რომლებიც თვითონაც დაზარალდნენ. ამ მოწმეების უმრავლესობა ქალები და ბავშვები არიან.

მანიტობას პროვინციაში მოძალადეებისათვის შემუშავებულია 3 ტიპის პროგრამა:

⇒ ჯგუფური თერაპიის 24 საათიანი მეცადინეობები;
⇒ 84 საათიანი ინტენსიური თერაპიის პროგრამა (მათთვის, ვისაც პირობითი სასჯელი აქვს);
⇒ 300 საათიანი პროგრამა მსჯავრდებულებისათვის.

მოქმედებს ქალთა დაცვის პროგრამები (The Women's Advocacy Program), რომელთა ფარგლებშიც ხდება ქალებს ეხმარება სამართალდამცავ სისტემასთან ურთიერთობის ნებისმიერ საფეხურზე.

ერთ-ერთ პროვინციაში შექმნილია **ოჯახური ძალადობის სასამართლო**, ქალების, ბავშვებისა და ხანდაზმულთა წინააღმდეგ ძალადობის შემთხვევების მეტი ყურადღებითა და პროფესიონალურად განხილვისათვის. მოსამართლეებსა და პროკურორებს სპეციალური სწავლება აქვთ მიღებული და სასამართლო ძალზე წარმატებულად მუშაობს. ონტარიოში ოჯახური ძალადობის ორგვარი სასამართლო მოქმედებს, ერთი, რომელიც შედარებით იოლ შემთხვევებს განიხილავს (როდესაც ოჯახის წევრებს, სურთ შემდგომში ერთად ცხოვრების გაგრძელება), და მეორე, რომელსაც სერიოზულ საქმეებთანა აქვს საქმე. ასეთმა სპეციალიზაციამ მართლმსაჯულების ხარისხი მკვეთრად გააუმჯობესა.

დიდ ქალაქებში, მაგალითად, ტორონტოში მოქმედებს ოჯახურ ძლადობაზე დაუყოვნებელი რეაგირების სისტემა (Domestic Violence Emergency Response System). ამ სისტემის დამნერგავები არიან კანადის უსაფრთხოების სამსახური, ტორონტოს პოლიცია და მსხვერპლთა დახმარების სამსახურები.
სისტემა მუშაობს 24 საათიან რეჟიმში. ძალადობის მსხვერპლები უსასყიდლოდ არიან უზრუნველყოფილი პორტატიული სასიგნალო აპარატურით, რაც საშუალებას აძლევთ საშიშროების შემთხვევაში სასწარფოდ გამოიძახონ პოლიციის თანამშრომელი. რისკ-ჯგუფის განსაზღვრას ახდენენ ადგილობრივი სოციალური სამსახურები.

თავშესაფრები. კანადაში ამჟამად მოქმედებს მხსვერპლთა თავშესაფრების ქსელი, რომელშიც გაერთიანებულია 470 დაწესებულება. თავშესაფრები არის როგორც ქალაქებში, ისე სასოფლო რაიონებში.

თავშესაფრების დაფინანსების 82% მოდის ფედერალური სახსრებიდან, დანარჩენს რეგიონისა და მუნიციპალური სახსრები შეადგენს. 30 მლნ. დოლარი შემოდის არასამთავრობო წყაროებიდან (შემოწირულობები, საქველმოქმედო ლატარიები, გრანტები).

90-იან წლებში კანადის მთავრობამ გაითვალისწინა ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემმუშავებელი კომისიის რეკომენდაციები და გააფართოვა მუშაობა ისეთ ჯგუფებთან, რომლებისთვისაც ნაკლებად მისაწვდომი იყო კრიზისული ცენტრების მომსახურება. ასეთი ჯგუფებია: სოფლად მცხოვრები ქალები, ეთნიკური უმცირესობები, ემიგრანტები, ინვალიდები.

თემა IX

გენდერული ბიუჯეტი

ბიუჯეტის გენდერული ანალიზი ნიშნავს ქალებსა და მამაკაცებზე ბიუჯეტის განსხვავებული ზემოქმედების კვლევას. გენდერული ბიუჯეტი ხელს უწყობს საჯარო სახსრების სამართლიან განაწილებასა და მათ ეფექტურ განთავსებას, ბიუჯეტის დაგეგმვისას სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებას. გენდერული ბიუჯეტი, ასევე, ხელს უწყობს კარგი მართვის პრინციპების გამყარებას, ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

გენდერული ბიუჯეტის ინიციატივა პირველად ავსტრალიაში განხორციელდა 1984 წელს. გაანალიზდა ბიუჯეტის გავლენა გენდერულ ურთიერთობებზე. ავსტრალიური გამოცდილება მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლების თვალ-საზრისით, არამედ ეს მიდგომა სარეკომენდაციო იყო შემდგომი ინიციატივებისათვის.

ბრიტანეთში 1989 წლიდან მოყოლებული ქალთა საბიუჯეტო ჯგუფი (British Women's Budjet Group), რომელიც აერთიანებს ექსპერტებს უნივერსიტეტებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფკავშირებიდან, ყოველწლიურად აქვეყნებს კომენტარებს ეროვნულ ბიუჯეტზე.

1993 წელს მშვიდობისა და თავისუფლების ქალთა საერთაშორისო ლიგამ წამოიწყო გენდერული ბიუჯეტის ინიციატივა კანადაში. უსაფრთხოების ალტერნატიულ კონცეფციაზე დაფუძნებული ეს ინიციატივა ფოკუსირებულია სოციალური უზრუნველყოფისა და თავდაცვის ხარჯებზე. ბრიტანეთისა და კანადის გარდა გენდერული ბიუჯეტის პროექტების უმეტესობა სამხრეთ ნახევარსფეროში განხორციელდა. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სამხრეთ აფრიკის ქალთა საბიუჯეტო ინიციატივა, წამოწყებული 1995 წლის პირველი დემოკრატიული არჩევნების შემდეგ.

ამჟამად გენდერული ბიუჯეტირება ხორციელდება მსოფლიოს 40-ზე ქვეყანაში. გენდერული ბიუჯეტირების ინიცირებისა და წარმართვის პრაქტიკა მრავალფეროვანია. (**Parliament, the Budget and Gender,** Joachim Wehner, Winnie Byanyima, the handbook jointly produced by the IPU, UNDP, WBI and UNIFEM).

გენდერული ბიუჯეტი – თანამედროვე სოციალური ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას იძლევა დაინერგოს სამთავრობო პოლიტიკის მიერ ინტერესთა გათვალისწინების დიფერენცირებადი აღრიცხვის პრინციპი სოციალურ-გენდერული ნიშნის მიხედვით. გენდერული ბიუჯეტი არ წარმოადგენს განსხვავებულ ბიუჯეტებს ქალისა და მამაკაცისათვის, ის ითვალისწინებს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას. გენდერული ბიუჯეტი არის ფინანსური მექანიზმი თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებლად. (ჩარიტა ჯაში, გენდერული ბიუჯეტი/სემინარის მასალები, თბილისი, 2004).

თემა X

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ მიმართული პოლიტიკის განხორციელება საქართველოში

ქართულ საზოგადოებაში მთელი პოსტსაბჭოთა პერიოდის მანძილზე მომხდარი მნიშვნელოვანი და ხშირად რადიკალური ცვლილებების მიუხედავად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ მიმართული მიდგომების დანერგვა სახელმწიფო თუ ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებაში ჯერ კიდევ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სქესთა შორის უთანასწორობის პრობლემის აქტუალიზებას ხელს უშლის წლების მანძილზე დაგროვილი და გადაუჭრელი უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რომლებიც როგორც პოლიტიკური სპექტრის, ისევე საზოგადოების უმეტესი ნაწილის მიერ უფრო მნიშვნელოვნად აღიქმება. ამავე დროს, ჯერ არ არის სათანადოდ გააზრებული, რომ ნებისმიერი სფეროს პოლიტიკის შემუშავებისას, ნებისმიერი ეროვნული თუ ადგილობრივი დონის პროგრამის წარმატებულობისათვის აუცილებელია მასში გენდერული მიდგომების დანერგვა. საერთაშორისო ორგანიზაციები და დასავლეთის ქვეყნები დიდი ხანია აღიარებენ, რომ გენდერული მეინსტრიმინგი, ანუ გენდერული პარამეტრების სისტემური ინტეგრაცია პოლიტიკის ფორმირების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში არა მარტო გენდერული თანასწორობის მიღწევას უწყობს ხელს, არამედ, ნებისმიერი პოლიტიკის ეფექტურობის მნიშვნელოვანი წინაპირობაცაა. გენდერული მიდგომების დანერგვა, ანუ განსხვავებული საჭიროებებისა და პრობლემების დანახვა, გამოცდილებისა და ხედვების მთელი მრავალფეროვნების გათვალისწინება, თავისთავად ძალიან ღირებულია და ხელს უწყობს სოციალურად მგრძობიარე, საზოგადოების ინტერესებზე დამყარებული პოლიტიკის განხორციელებას. მდგრადი განვითარების თანამედროვე კონცეფცია გენდერული თანასწორობის პრინციპის გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია.

სახელმწიფო დონეზე ეფექტური გენდერული პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს **ინსტიტუციური მექანიზმები**, რომლებიც უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის მიღწევის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, აგრეთვე, ამ სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კოორდინირებას.

1994 წელს საქართველო მიუერთდა „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კონვენციას“. 1995 წელს კი, პეკინში გამართულ ქალთა IV მსოფლიო კონფერენციაზე შეუერთდა იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც შეთანხმდნენ, შეემუშავებინათ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა პეკინის პლატფორმის ცხოვრებაში გასატარებლად. დღემდე ამ მიმართულებით საქართველოს მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

პეკინის პლატფორმის 12 მიმართულებიდან ერთ-ერთი სწორედ ეროვნულ დონეზე ინსტიტუციური მექანიზმების შექმნაა. მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, გენდერული თანასწორობის ეროვნულმა ინსტიტუციურმა მექანიზმმა ეფექტურად რომ იმუშაოს, ანუ წარმატებით მოახდინოს სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში გენდერული პარამეტრების ინტეგრირება, საჭიროა ის მაღალ სამთავრობო დონეზე არსებობდეს, ფლობდეს გარკვეულ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს და ჰქონდეს პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც გენდერული თანასწორობის საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში არ შედის, სახელმწიფო დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბების სტიმულირებას ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციები ახდენენ. 1998 წელს გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „ქალები განვითარების პროცესში“ ხელშეწყობით პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს უშიშროების საბჭოში შეიქმნა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული კომისია. ეს იყო პირველი მცდელობა საქართველოში სამთავრობო დონეზე გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავე სტრუქტურის შექმნისა. თუმცა, ამ სტრუქტურის ეფექტური ამოქმედება იმ პერიოდისათვის ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ ასევე ქაღალდზე დარჩა პეკინის სამოქმედო პლატფორმის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების 1998-2000 წლების

სამოქმედო გეგმა, რომელსაც მოჰყვა 2000-2004 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც წინა არშესრულებული დოკუმენტის თითქმის მექანიკური ასლია.

საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბების შემდგომი ეტაპი ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო. მუშაობა ორი მიმართულებით წარიმართა: ადგილობრივი ქალთა ორგანიზაციების კოალიციის ერთმა ჯგუფმა მთავრობას წარუდგინა ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა **გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისიის** შექმნას, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ახალამოქმედებულმა პროექტმა „გენდერი და პოლიტიკა" მიზნად დაისახა პარლამენტის სპიკერთან არსებული **გენდერული თანასწორობის საბჭოს** ჩამოყალიბება. ორივე მიმართულებით გაწეული დიდი ძალისხმევის შედეგად, საქართველოში პირველად მივიღეთ ისეთი მდგომარეობა, როცა გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე სტრუქტურა არსებობს ხელისუფლების როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო შტოში.

განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს ის გარემოება, რომ სამთავრობო კომისია შეიქმნა ადგილობრივი ორგანიზაციების ძალისხმევით, ანუ ინიციატივით «ქვემოდან», რაც საკმაოდ უჩვეულო პრეცედენტია. ამ ინიციატივის წარმატება მიანიშნებს იმაზე, რომ ქალთა ორგანიზაციები წინა პერიოდთან შედარებით განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდნენ. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როცა ხელისუფლებისათვის გენდერული თანასწორობა არ არის პრიორიტეტული საკითხი და ინსტიტუციური მექანიზმების მდგრადობისა და მათი ეფექტური მუშაობის უზრუნ-ველყოფისათვის სწორედ ის ფაქტორი გახდება გადამწყვეტი, თუ როგორ მოახერხებს საზოგადოებრივი სექტორი რესურსების მობილიზებას ამ ახალი სტრუქტურების გასაძლიერებლად.

ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის ინსტიტუციური მექანიზმების ჯგუფმა, სამთავრობო კომისიის შექმნის ინიციატივის პარალელურად, ეუთოს მისიის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა **გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა**. გეგმის ეფექტურობის წინაპირობად თავიდანვე დაისახა, რომ მისი შემუშავების პროცესი ფართო და მონაწილეობითი უნდა ყოფილიყო. მართლაც, ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ქალთა კოალიციის 56 წევრმა-ორგანიზაციამ, ქალთა სამშვიდობო ქსელის 41 წარმომადგენელმა, ქალთა რეგიონული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის 88 წარმომადგენელმა საქართველოს 10 რეგიონიდან. პარალელურად მოხდა სახელმწიფო სტრუქტურების, კერძოდ 14 სამინისტროს 45 წარმომადგენლის ჩართვა შემუშავების პროცესში. გეგმის პროექტი გაიგზავნა, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებში ექსპერტიზისა და რეკომენდაციების მისაღებად. ამგვარად, ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე დაცულ იქნა პეკინის პლატფორმის 294 პუნქტის მოთხოვნა, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმით უნდა წახალისდეს აქტიური მხარდაჭერა და ფართო მონაწილეობა სხვადასხვა ინსტიტუციონალური აქტორებისა, მათ შორის საკანონმდებლო ორგანოების, აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტებისა, პროფესიული ასოციაციების, მედიის, ადგილობრივი სათემო ჯგუფებისა და არასამთავრობო, მათ შორის ქალთა ორგანიზაციებისა.

ამგვარად, ამ ეტაპზე მიღწეულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებში და ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებული პროექტის არსებობა. თუმცა წინ ურთულესი ამოცანებია:

- სამოქმედო გეგმის წარმატებული ლობირება და მისი დამტკიცება მთავრობის მიერ;
- ინსტიტუციური მექანიზმების კოორდინირებული და ეფექტური და ნაყოფიერი მუშაობის აწყობა;
- სამოქმედო გეგმის წარმატებულად შესრულების უზრუნველყოფა.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ გამოკვეთა ძირითადი გენდერული პრობლემები და დასახა სტრატეგიული მიზნები, ანუ გენდერული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებები. გეგმის თანახმად, უნდა გაგრძელდეს მუშაობა ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმების შემდგომი განვითარების მიმართულებით, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა სამინისტროში

გენდერულ საკითხებზე მომუშავე პასუხისმგებელი პირის, ე.წ. გენდერული ოფიცერის თანამდებობის შემოღება, სამინისტროების გენდერული ერთეულების კაპაციტეტის გაძლიერება, მათი ტექნიკური აღჭურვა და სპეციალისტების ტრენინგები. ასევე, უმნიშვნელოვანესი საკითხია, გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების საქმიანობის საბიუჯეტო უზრუნველყოფა. შედეგად, სამიზნე სამინისტროებში უნდა მივიღოთ, ისეთი გენდერული ერთეულები, რომელთაც შეუძლიათ სამინისტროს საქმიანობის, პროექტებისა და პროგრამების გენდერული ექსპერტიზის განხორციელება, რეკომენდაციების გაწევა და სამინისტროს მიერ შემუშავებულ პოლიტიკაში გენდერული მიდგომების ინტეგრირება.

მართვაში გენდერული პარამეტრების დანერგვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი სრულყოფილი **გენდერული სტატისტიკაა**. ამიტომ, აუცილებელია გენდერული სტატისტიკის ინდიკატორების შემუშავება და მათი დანერგვა ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების შესაბამის დონეებზე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გენდერული სტატისტიკის გავრცელებისა და ეფექტურად გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა. გენდერული სტატისტიკის განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნება გენდერული ანალიზის სიღრმის მიღწევა, მკაფიო, გაზომვადი მიზნების დასახვა და მიღწეული შედეგების ზუსტი შეფასება.

გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზის შექმნისათვის, უმნიშვნელოვანესია ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, ტრეფიკინგის წინააღმდეგ, მიგრაციის შესახებ კანონების მიღება. ძალზე აქტუალური და მტკივნეული საკითხია შრომის კოდექსის პროექტის დახვეწა გენდერული თვალსაზრისით. ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ პროექტში ბევრი ხარვეზი იყო ამ თვალსაზრისით, რამაც მწვავე საჯარო დებატები გამოიწვია.

გენდერული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა **გენდერული ბიუჯეტის** პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისას. გენდერული ბიუჯეტის ცნება შედარებით ახალია და ითვალისწინებს ბიუჯეტის გენდერულ ანალიზს, რომელიც წარმოაჩენს ქალებსა და მამაკაცებზე საბიუჯეტო ხარჯების განსხვავებული გავლენას და ხელს უწყობს ბიუჯეტის ისეთ დაგეგმვას, რომელიც საბიუჯეტო რესურსებს თანაბრად მისაწვდომს ხდის ორივე სქესისათვის. რაკიღა გენდერული ბიუჯეტი ახალი ცნებაა, დასაწყისისათვის საჭიროა 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის განხორციელება, საბიუჯეტო პროცესის შეფასების გენდერული ინდიკატორების შემუშავება და სპეციალური სახელმძღვანელოს მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული ბიუჯეტირების შესახებ ცოდნის გავრცლებას და დაეხმარება სამინისტროებისა თუ ადგილობრივი ხელისუფლების გენდერულ ერთეულებს განახორციელონ სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების ბიუჯეტების გენდერული ანალიზი.

სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს გენდერული პარამეტრების დანერგვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, რაც გულისხობს შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, მცირე ბიზნესის განვითარებასა და მეწარმე ქალთა წახალისებას, სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის შემუშავებას გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით, გენდერულად მგრძნობიარე სოციალური დაცვის პოლიტიკისა და დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ნაბიჯები გადაიდგა ტრეფიკინგის წინააღმდეგ სახელმწიფოებრივი მიდგომის ჩამოყალიბების საქმეში. ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისთვის და ტრეფიკინგის დანაშაულის და მისი ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 29 დეკემბრის 623 ბრძანებულებით დამტკიცდა ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა და ამ სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, 2005 წლის 1 თებერვალს შეიქმნა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისია. თუმცა, 2005-2006 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებათა უმრავლესობა არ შესრულებულა. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა ჯერ არ ჩამოყალიბებულა, შესაბამისი კონვენციები არ არის რატიფიცირებული, ტრეფიკინგის შესახებ კანონმა მხოლოდ პირველი საპარლამენტო მოსმენა გაიარა, შენობა თავშესაფრისათვის არ არის გამოყოფილი.

გადაუდებელი ამოცანაა, აგრეთვე, ოჯახური ძალადობისაგან დაცვის ეფექტური სისტემის შექმნა და სათანადო სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება.

ცხადია, ამგვარი კომპლექსური ამოცანების გადაჭრა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისიისა და საპარლამენტო საბჭოს შემდგომ გაძლიერებასა და ერთობლივ ნაყოფიერ საქმიანობას მოითხოვს. საპარლამენტო საბჭომ და სახელმწიფო კომისიამ ერთობლივად შეიმუშავა **სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის კონცეფცია,** რომლის დამტკიცებაც 2006 წლის ზაფხულშია მოსალოდნელი. კონცეფცია და სამოქმედო გეგმა უნდა იქცნენ იმ ძირითად დოკუმენტებად, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს სტრატეგიას გენდერული თანასწორობის მიღწევის სფეროში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური საფუძვლის შექმნის პროცესი ადგილობრივ დონეზეც წარიმართა. კერძოდ, საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრმა" ბრიტანეთის საელჩოსა და ეუთოს მიერ მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში "აქტიური ქალები ცვლილებებისათვის", შესძლო ოთხი რაიონის (მცხეთა, დუშეთი, ჩოხატაური, ახალციხე) მმართველობაში **გენდერულ საქმეთა სამსახურების** შექმნის პროცესის ინიცირება. ეს საქართველოში პირველი პრეცედენტია ადგილობრივ ხელისუფლებაში გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავე სპეციალური სტრუქტურის შექმნისა. ახალშექმნილი სამსახურები ტექნიკურად აღჭურვა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა "გენდერი და პოლიტიკა", ხოლო სამსახურების წარმომადგენლებმა შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად რამდენიმე ტრენინგი გაიარეს, მათ შორის, "პარტნიორები დემოკრატიული ცვლილებებისათვის — საქართველოსა" და "პარტნიორები – პოლონეთის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რაც ამ სფეროში პოლონური გამოცდილების გაზიარებას ისახავდა მიზნად. იმისათვის, რომ ახალშექმნილმა ერთეულებმა შესძლონ თავიანთი სიცოცხლისუნარიანობის დადასტურება, დააგროვონ გამოცდილება და ნაყოფიერი საქმიანობის პოზიტიური მაგალითი შექმნან სხვა ადგილობრივი ხელისუფლებებისათვის, რაიონის გამგეობების გენდერული სამსახურების ადამიანური და ტექნიკური რესურსების გაძლიერება აუცილებელია შემდგომშიც გაგრძელდეს, მით უფრო, რომ ამ სამსახურებს დებულებით საკმაოდ ფართო პასუხისმგებლობები აკისრიათ, კერძოდ:

- გენდერული პრობლემების შესახებ მონაცემთა მიღებისა და ანალიზის სისტემის ჩამოყალიბება და გენდერული სტატისტიკის შექმნა რაიონის მასშტაბით;
- ადგილობრივი სოციალურ – ეკონომიკური სიტუაციის ყოველწლიური გენდერული ანალიზი;
- გენდერული პარამეტრების უზრუნველყოფა ადგილობრივ ბიუჯეტში, ქალებსა და მამაკაცებზე ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების განსხვავების ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება;
- ადგილობრივი მმართველობის მოხელეთა გენდერული განათლების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი პროგრამების გენდერული ანალიზი და პროგრამების შემუშავებისას გენდერული პარამეტრების დანერგვის ხელშეწყობა;
- სახელმწიფო პროგრამების გენდერული კომპონენტების შესრულების ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე;
- ანგარიშების მიღება ცალკეული განყოფილებებისა და სამსახურების მიერ გენდერული პარამეტრების შესრულების შესახებ.

გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება, პოლიტიკურ დღის წესრიგში ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების წამოწევა და მათი გადაჭრა შეუძლებელი გახდება, თუ ვერ მოხერხდა ძალისხმევისა და რესურსების მაქსიმალური მობილიზება, გენდერულ პრობლემებზე მომუშავე, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. პეკინის მოქმედებათა პლატფორმის 289 პუნქტის თანახმადაც, „არასამთავრობო ორგანიზაციებს განსაკუთრებული როლი აქვთ ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე დამყარებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ინტელექტუალური კლიმატის შექმნაში. ქალთა ორგანიზაციები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული გენდერული თანასწორობის მიღწევისაკენ მიმართული პოლიტიკის განხორციელებასა და მონიტორინგში".

თემა XI

გენდერული პოლიტიკის განხორციელება რეგიონულ დონეზე

გერმანია/ ზაარის მხარის მაგალითი
1996 წლის ზაარის მხარის ლანდთაგმა (სამხარეო პარლამენტმა) მიიღო **კანონი ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის განხორციელების შესახებ**. კანონის მიზანია გენდერული თანასწორუფლებიანობის რეალურად განხორციელება საჯარო დაწესებულებებში, რაც გულისხმობს ნებისმიერ ფუნქციურ და საშემოსავლო დონეზე ქალთა წარმომადგენლობის არსებული სიმცირის მოშლას და სამსახურეობრივი და ოჯახურ-მზრუნველობითი მოვალეობების შეთანხმებას. ოჯახური მოვალეობა გულისხმობს მცირწლოვანი ბავშვების აღზრდას და ოჯახის იმ წევრებზე ზრუნვას, რომლებიც მოვლას საჭიროებენ.

კანონით საჯარო დაწესებულებებს ევალება:

- **გენდერული სტატისტიკის წარმოება**, რომელიც მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: ქალებისა და მამაკაცების მიერ დაკავებული სრული და არასრული შტატები სატარიფო თანრიგების მიხედვით, შრომის ანაზღაურება, შვებულებების რაოდენობა და ხანგრძლიობა, პროფესიული განათლების მიმღებთა რაოდენობა სქესების მიხედვით. ეს სტატისტიკა უნდა ქვეყნდებოდეს დაწესებულებაში და აგრეთვე, უნდა გადაეცეს სტატისტიკის დეპარტამენტსა და ქალთა, სამუშაოს, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს. უნდა გაანალიზდეს შედეგები სამხარეო დონეზე და გამოქვეყნდეს სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ.

- **ქალთა თანასწორუფლებიანი განვითარების გეგმის შემუშავება.** თითოეულმა სამსახურმა უნდა წარადგინოს სამწლიანი გეგმა ქალთა წარმომადგენლობის სიმცირის აღსაკვეთად. გეგმა უნდა მოიცავდეს მეტწილად მამაკაცებით დაკომპლექტებული სამუშაო ადგილების იმგვარად შეცვლას, რომ მათი დაკავება ქალებმაც შესძლონ.

- **სამუშაო დროის მოდელების გამოცდა პროფესიული და საოჯახო მოვალეობების შეთავსებისათვის.** იმ პირებმა, რომლებიც ზრუნავენ ოჯახის წევრებზე შეუძლიათ გარკვეული ხნით მოითხოვონ არასრული სამუშაო დრო (დღიური, კვირეული, თვიური ან წლიური).

- **ღონისძიებების გატარება სამუშაო ადგილზე სექსუალური იძულების წინააღმდეგ;**

- **ქალთა რწმუნებულები.** საჯარო სამსახურებმა უნდა დააწესონ ქალთა რწმუნებულის თანამდებობა, რომელიც კონსულტაციას გაუწევს და დაეხმარება როგორც მთლიანობაში სამსახურს, ისე თანამშრომლებსაც თანასწორუფლებიანობის რეალურად დამკვიდრებაში. ქალთა რწმუნებულს ირჩევენ მდედრობითი სქესის თანამშრომლები სამი წლის ვადით. ქალთა მუნიციპალური რწმუნებული მონაწილეობას იღებს ყველა გეგმის, ღონისძიების, პროექტის შემუშავება-შეფასებაში, რომლებმაც გავლენა შეიძლება მოახდინოს იმ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ცხოვრებაზე.

ზაარის მხარეში არსებობს ქალთა, სამუშაოს, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო. საარბრიუკენის მერიაში შექმნილია **ქალთა განყოფილება**, რომლის მოვალეობაცაა თვალი ადევნოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებულ ნებისმიერ დოკუმენტს, განვითარების გეგმას, ბიუჯეტს, მოახდინოს გენდერული ანალიზი და შეიმუშაოს რეკომენდაციები ისეთ დებულებებზე, რომელიც არ ითვალისწინებენ ან ეწინააღმდეგებიან ქალთა ინტერესებს.

საქართველოში ჯერჯერობით სამხარეო დონეზე პოლიტიკის ფორმირებაში გენდერული მიდგომების დანერგვის ერთადერთი ინიციატივა, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შექმნილმა ქალთა რეგიონულმა ცენტრმა წამოიწყო. კერძოდ, ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა სამცხე-ჯავახეთში გენდერული პოლიტიკის გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის (2006-2008 წ.წ.) შემუშავების პროცესს. სამოქმედო გეგმა მიზნად

ისახავს სამცხე-ჯავახეთში გენდერული პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრას, გენდერული პოლიტიკის განხორციელების ლობირებას, მართვის პროცესში გენდერული პარამეტრების გათვალისწინებისა და, რეგიონში არსებული გენდერული ასიმეტრიის შემცირების ხელშეწყობას. გეგმა კომპლექსურია და დასახული მიზნების შესასრულებლად ხელისუფლების ორგანოებისა და საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანებაა საჭირო. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ხელისუფლების, მათ შორის, რეგიონის ექვსივე რაიონის გამგებელმა, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მედიისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა. სამცხე-ჯავახეთის გენდერული პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმა საქართველოში სამხარეო დონეზე შემუშავებული ამ სახის პირველი დოკუმენტია და შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის ფორმირების პირველი მცდელობაა.

თემა 12

გენდერული სტატისტიკა — პოლიტიკის შეფასების, ანალიზის, დაგეგმვის ინსტრუმენტი

წყარო: UNECE's Gender Statistics Website for Europe & North America
http://www.unece.org/stats/gender/web

რა არის გენდერული სტატისტიკა?

გენდერული სტატისტიკა შედარებით ახალი დარგია და კონცეფტუალურად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე, უბრალოდ, სქესის ნიშნით დაყოფილი მონაცემები. გენდერული სტატისტიკა ასახავს ქალისა და მამაკაცის მდგომარეობას ყველა სფეროში – და შესაძლებლობას იძლევა გენდერული საკითხების სისტემური შესწავლისათვის. გენდერული სტატისტიკის შექმნა ნიშნავს ტრადიციულ სტატისტიკის სისტემაში გენდერის მეინსტრიმინგის განხორციელებას, ანუ გენდერული ინფიკატორების დანერგვას სტატისტიკის სისტემის ყველა სფეროში და ყველა დონეზე. სრულყოფილი გენდერული სტატისტიკა გულისხმობს გენდერული ფაქტორების გათვალისწინებას მონაცემთა შეკრების, ანალიზისა და წარმოდგენის დროს და რაც მთავარია, მონაცემების გავრცელებას მომხმარებლისათვის მოხერხებულ ფორმატში.

რატომ არის საჭირო გენდერული სტატისტიკა?

გენდერული სტატისტიკა ხელს უწყობს საზოგადოების მიერ გენდერული პრობლემების სწორ აღქმასა და გენდერული სტერეოტიპების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას. გენდერული სტატისტიკა არწმუნებს პოლიტიკის შემმუშავებლებს კორექტირება გაუკეთონ პოლიტიკას და უკეთ უპასუხონ როგორც მამაკაცის, ისე ქალის ინტერესებს. გენდერული სტატისტიკის შექმნა აუცილებელია, აგრეთვე, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სფეროში ცვლილებების მონიტორინგისათვის.

გენდერული სტატისტიკის წარმოება

გენდერული ინიდკატორების დასადგენად აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა გენდერული პრობლემების წინაშე დგას საზოგადოება და რა შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების შეკრებაა საჭირო პრობლემების ყოველმხრივ წარმოსაჩენად და შესასწავ-ლად. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია თანამშრომლობა პოლიტიკის შემმუ-შავებლებსა, გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავეთა და სტატისტიკის მწარმოებელთა შორის. მონაცემთა შეკრებისას გამოყენებული უნდა იყოს ისეთი მეთოდიკა, რომელსაც შეუძლია ადეკვატურად ასახოს არსებული გენდერული განსხვავებები.

გენდერული სტატისტიკის ძირითადი ფუნქციები

- გენდერული სტატისტიკა და ინდიკატორები აუცილებელია გენდერულად კორექტული პოლიტიკისა და გეგმების შემუშავებისათვის.
- გენდერული სტატისტიკა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ცვლილებების მონიტორინგისა და თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით პროგრესის შესაფასებლად.
- გენდერული სტატისტიკა ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას.

გენდერული სტატისტიკის გავრცელება

გენდერული სტატისტიკის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან გზად მიჩნეულია მოპოვებული მონაცემების ისეთი ფორმით გავრცელება, რომელიც მორგებულია მომხმარებელთა საჭიროებაზე. ამისათვის აუცილებელია მომხმარებელთან კავშირების განვითარება და მათგან შესაბამისი უკუკავშირის მიღება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ამ მიზნით სპეციალური ჯგუფიც კი არის შექმნილი: **გენდერული სტატისტიკის მომხარებელთა ჯგუფი**. ეს ჯგუფი მიზნად ისახავს იმგვარი მონაცემების მოპოვებისა და გავრცელების განვითარებას, რომელიც გენდერული განსხვავებებისა და უთანასწორობის გააზრებასა და ამ მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებისა და შეფასების გაუმჯობესებას ემსახურება.

გენდერული სტატისტიკის მომხმარებელთა ჯგუფის ამოცანებია:

- სტატისტიკის შექმნისა და გავრცელების იმ ასპექტებისა და საკითხების გამოვლენა, რომელსაც გაუმჯობესება ესაჭიროება;
- თემატური დისკუსიიების ორგანიზება კონკრეტულ სფეროებში გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესების გზების გამოსავლენად;
- მჭიდრო კავშირის ჩამოყალიბება სტატისტიკის მწარმოებლებსა და მომხარებლებს შორის, მომხმარებელთა ინტერესების წარდგენა სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურისა და ოფიციალური სტატისტიკის სხვა მწარმოებელთა წინაშე ;
- მომხმარებელთა შორის ინფორმაციისა და გენდერული სტატისტიკის საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშების გაცვლის ხელშეწყობა.

წყარო: www.eoc.org.uk

გენდერული სტატისტიკა საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს გარკვეული გამოცდილება აქვს გენდერული სტატისტიკის წარმოების თვალსაზრისით, თუმცაღა მწირი ფინანსური რესურსების გამო სრულყოფილად ვერ ფლობს ინფორმაცას გენდერულ ჭრილში.

შვედეთის სტატსამსახურის დახმარებით საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა გენდერულად დაცალკევებული სტატისტიკური მონაცემების მოპოვების თვალსაზრისით. კერძოდ, სტატისტიკური დაკვირვების ფორმებს დაემატა რიგი მაჩვენებლები, რომლის შესაბამისად გამოიცა სტატისტიკური პუბლიკაცია "ქალი და კაცი საქართველოში" 1999, 2003 და 2005 წლებში.

მიუხედავად ამისა, საჭიროა, კიდევ უფრო დაიხვეწოს გენდერული ინდიკატორები, შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან და დაინერგოს ინფორმაციის შეკრების ყველა დონეზე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გენდერული სტატისტიკის გავრცელების ახალი ფორმატების შემუშავება, რათა ერთი მხრივ, საზოგადოება ინფორმირებული იყოს გენდერული პრობლემების შესახებ და მეორე მხრივ, სხვადასხვა სფეროში ეროვნულ, თუ ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის შემუშავებისას არ მოხდეს გენდერული ფაქტორების იგნორირება.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ჯერჯერობით მიუწვდომელია გენდერულად დაცალკევებული მონაცემები ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა, დროის ბიუჯეტის გამოყენება, ბავშვთა დაცვის მაჩვენებლები ასაკისა და განთავსების სტრუქტურის მიხედვით, ცალკეული დაავადებების და ასაკობრივი ჯგუფების, ექიმთან ვიზიტების სიხშირე, სპეციალისტი ექიმების რაოდენობა, დასალევი წყლის მისაწვდომობა, დამნაშავეობა დანაშაულის სახეების მიხედვით, ძალადობის მსხვერპლი დანაშაულის სახეების მიხედვით, ტრეფიკინგი, კინოთეატრებში, თეატრებში, ბიბლიოთეკებში, ეკლესიებში, სპორტულ დარბაზებში, საკონცერტო დარბაზებში დასწრებათა, მწეველთა რაოდენობა ასაკისა და

ქორწინების სტატუსის მიხედვით, ელექტორატის რაოდენობა და სხვა. ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს სპეციალური სტატისტიკური კვლევების ჩატარებას. სტატიტიკის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში მოთხოვნა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე გაიზარდა; აგრეთვე გაფართოვდა მომხმარებელთა წრე.

თემა XIII

გენდერული მეინსტრიმინგი

გენდერული მეინსტრიმინგი არის ქალთა და მამაკაცთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების სისტემური ინტეგრაცია პოლიტიკის ფორმირების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.

გენდერული მეინსტრიმინგი — რთული, წინააღმდეგობრივი და დინამიურად განვითარებადი კონცეპტია. არ არსებობს მისი ერთიანი, მარტივი განმარტება. თანხმობაა მხოლოდ მისი მიზნის — გენდერული თანასწორობის მიღწევის განსაზღვრაში.

ეკოსოსის განმარტებით, გენდერული მეინსტრიმინგი "ყოველი დაგეგმარებადი საქმიანობის, მათ შორის, კანონმდებლობის, პოლიტიკის, ნებისმიერი სფეროსა და ყველა დონის პროგრამების ქალებსა და მამაკაცებზე ზეგავლენის შეფასების პროცესია".

ევროსაბჭოს განვითარების დახმარების კომიტეტი: - "გენდერული მეინსტრიმინგი არის ინიციატივები, რომლებიც როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს საშუალებას აძლევს გამოხატონ თავითი შეხედულებები და მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში თავიანთი პრობლემების გადასაჭრელად".

ევროკომისია განმარტავს გენდერულ მეინსტრიმინგს, როგორც "სტრატეგიული გრძელვადიანი მიდგომას, რომელიც ნერგავს გენდერულ თანასწორობას სისტემებში, სტრუქტურებში, ინსტიტუტებში, პროგრამებში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში".

გენდერული მენისტრიმინგი პრაქტიკული ამოცანაა, მაგრამ საფუძვლად უდევს სხვადასხვა ფილოსოფიური, სოციოლოგიური და პოლიტიკური შეხედულებები.

სიტყვა მეინსტრიმინგის შესატყვისის მოძებნა ქართულად საკმაოდ ძნელია. არა მხოლოდ ქართველები ფრანგები, შვედები, ჰოლანდიელები, რუსებიც პირდაპირ იყენებენ ამ ტერმინს. მეინსტრიმინგი ნიშნავს პერიფერიიდან ძირითად ნაკადში მოქცევას (არსებობს აზრი, რომ ეს ტერმინი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად გადმოღებულია განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის ლექსიკონიდან, სადაც მეინსტრიმინგი ნიშნავს მოსწავლის გადაყვანას სპეციალური კომპენსატორული განათლების კურსიდან ძირითად სასწავლო ნაკადში).

გენდერული მეინსტრიმინგის იდეა წარმოიშვა 1970-იან წლებში, დამუშავდა და განვითარდა 1980-იან წლებში ძირითადად განვითარების საკითხებით დაკავებული საერთაშორისო ორგანიზაციების წიაღში (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), მსოფლიო ბანკი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია). პეკინის მოქმედებათა პლატფორმამ მკაფიოდ განსაზღვრა გენდერული მეინსტრიმინგი, როგორც პრაქტიკული პოლიტიკის მიზანი.

სამი ძირითადი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს იმ სტრუქტურების, რომლებმაც განავითარეს გენდერული მეინსტრიმინგის იდეა: 1) განვითარების საერთაშორისო სააგენტოები, 2) გაეროს სტრუქტურები (განსაკუთრებით: გაეროს განვითარების პროგრამა UNDP, გაეროს ქალთა პროგრამა UNIFEM), 3) ევროპული სტრუქტურები.

გენდერული მეინსტრიმინგის იდეა ამოიზარდა მიდგომიდან „ქალები განვითარების პროცესში" (Women in Development). ეს მიდგომა თავდაპირველად შეიმუშავა განვითარების საკითხებზე მომუშავე სოციალურად და პოლიტიკურად აქტიურმა ქალთა ჯგუფმა ვაშინგტონში.

დაისვა საკითხი, რა უფრო სწორი და ეფექტურია: ცალკეული, სპეციალური პროექტები ქალებისათვის თუ ქალთა კომპონენტის ინტეგრაცია ყველა პროექტში (მსოფლიო ბანკის პარქტიკა).

განვითარების ტრადიციული თეორიების მიხედვით, მოდერნიზაციას ავტომატურად მოჰყვება ქალთა მდგომარეობისა და სტატუსის გაუმჯობესება. ფემინისტები თვლიდნენ, რომ მოდერნიზაციას ქალის მხოლოდ ნაწილობრივი ემანსიპაცია შეუძლია და აუცილებელია ახალი მიდგომის შემუშავება.

გენდერული მეინსტრიმინგის არგუმენტი, არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობაა, არამედ ეფექტურობაც — ქალის პოტენციალის სრულად გამოყენება (არა მარტო ქალები მოიგებენ განვითარებით, არამედ განვითარებაც ქალთა მონაწილეობით). მიდგომა WID (ქალები განვითარებაში) შეიცვალა GAD (გენდერი და განვითარება).

გენდერული მეინსტრიმინგის ოპერაციონალიზაცია ანუ პრაქტიკაში დანერგვა

გენდერული მეინსტრიმინგის რეალიზაცია ორ დონეზე ხდება – პოლიტიკურ და ტექნიკურ დონეზე. (UNIFEN).

ტექნიკური დონე გულისხმობს — მომზადებული კადრების არსებობას, თეორიული ბაზისა და კვლევის შედეგების ქონას. პოლიტიკურ დონეზე – პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას – სათანადო კანონმდებლობის ქონას, ადამიანთა უფლებების დაცვის, თანასწორობის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების არსებობას.

გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების შეფასებისათვის აუცლებელია კრიტე-რიუმების ქონა: მაგალითად, ევროსაბჭოს აქვს სქემა კონკრეტული სფეროებისათვის, რომელსაც შეუძლია ასახოს დინამიკა. მაგალითად, დასაქმების სფეროს სქემა.

გენდერული მეინსტრიმინგის არასწორი ინტერპრეტაციაა, როცა იმის ნაცვლად რომ ფოკუსი გაკეთდეს გენდერულ თანსწორობაზე, როგორც მიზანზე, ძირითადი აქცენტი კეთდება ქალების ჩართვაზე საქმიანობაში, სადაც ქალების როლი უმნიშვნელოა (სარა ლონგვე, ევროპის განვითარების კომიტეტისათვის ჩატარებული კვლევა). მნიშვნელოვანია არა უბრალო მონაწილეობა, არამედ მონაწილეობა გარკვეული პირობებით - არა მარტო დღის წესრიგში შესვლა, არამედ დღის წესრიგის ფორმირება.

თემა XIV

გენდერული ანალიზი. ცნების განმარტება, გენდერული ანალიზის ინსტრუმენტები

გენდერული ანალიზი წარმოადგენს ქალსა და მამაკაცზე, ამა თუ იმ პოლიტიკის, პროგრამის, სტრატეგიული მიდგომის, ინსტიტუტის განსხვავებული ზემოქმედების გამოვლენასა და შესწავლას. გენდერული ანალიზი ზოგადი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

გენდერული ანალიზი ბუნებრივია მოითხოვს სქესის ნიშნით განცალკევებულ მონაცემებს. გენდერული ანალიზისას, აანალიზებენ რესურსების მისაწვდომობას, რესურსების კონტროლს, საქმიანობის სახეებს, ხელისშემშლელ ფაქტორებს, საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, ცალკე ქალებისა და ცალკე მამაკაცებისათვის.

გენდერული ანალიზის მიზანია, მაქსიმალურად გაცნობიერდეს გენდერული განსხვავებები და პოლიტიკა თუ პროგრამა ისე დაიგეგმოს და განხორციელდეს, რომ მაქსიმალურად უპასუხოს განსხვავებულ საჭიროებებს. გენდერული ანალიზი აუმჯობესებს მართვასა და ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას, რადგან ორიენტირებულია მაქსიმალურად უპასუხოს მრავალფეროვან და განსხვავებულ ინტერესებს. გენდერული ანალიზი ხელს უწყობს პროცესებში ქალებისა და მამაკაცების სრულ ჩართულობას და შესაბამისად, ადამიანური რესურსების სრულყოფილ გამოყენებას.

პოლიტიკის განხორციელებისას გენდერული მეინსტრიმინგის აუცილებლობის გაცნობიერებამ გენდერული ანალიზის განვითარებას შეუწყო ხელი. მაგალითად, კანადაში გენდერული ანალიზის მნიშვნელობა სახელმწიფო დონეზეა აღიარებული, გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე სპეციალურ სტრუქტურამ - კანადის ქალთა სტატუსმა – 1999 წელს შექმნა გენდერული ანალიზის დირექტორატი.

ეს დირექტორატი შემდეგნაირად განსაზღვრავს **გენდერული ანალიზის საყრდენ პრინციპებს:**

- ✓ აუცილებელია ყველა სფეროში ქალებსა და მამაკაცებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის განვითარება;
- ✓ ყოველი პროგრამა, ქმედება, პროექტი, სოციალურ-ეკონომიკური ტენდენცია სხვადასხვაგვარად აისახება ქალსა და მამაკაცზე;
- ✓ გენდერული თანასწორობა ნიშნავს ქალისა და მამაკაცის თანაბარი სტატუსის და არა მსგავსების მიღწევას;
- ✓ თანაბარი მოპყრობა არ ნიშნავს თანაბარი შედეგების მიღწევას. გენდერული თანასწორობის თანამედროვე კონცეფცია აცნობიერებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს ზოგჯერ განსხვავებული მოპყრობა სჭირდებათ, რათა თანაბარ შედეგებს მიაღწიონ.
- ✓ ქალი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესების არა მხოლოდ სამიზნე, არამედ აგენტიც უნდა იყოს;
- ✓ არსებული გენდერული უთანასწორობის დასაძლევად სპეციალური ზომების მიღებაა საჭირო;
- ✓ ქალის სტატუსის გაძლიერება საკვანძოა გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის ზრუნვისას;
- ✓ არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ტენდენციებმა შესაძლოა მამაკაცებზეც მოახდინოს ნეგატიური გავლენა.

შესაძლოა ნებისმიერი სფეროს გენდერული ანალიზის განხორციელება. მოგვყავს მცირე მაგალითი, რომელშიც დასაქმების პოლიტიკის გენდერული ასპექტებია წარმოჩენილი.

შემთხვევის შესწავლა. დასაქმების პოლიტიკის გენდერული ანალიზი

დასაქმების ბაზარზე დღემდე დომინანტურ მოდელად ითვლება სრული სამუშაო დღე დადგენილი საათებით. ნელ-ნელა ინერგება მოქნილი სამუშაო დროის სისტემაც, თუმცა ნორმად მაინც დადგენილი საათები რჩება.

საჭიროა ზოგადად სამუშაოს ბუნების ახლებურად გააზრება და იმის გაცნობიერება, რომ მოუქნელი სამუშაო საათების სისტემას თავისი გენდერული ასპექტი აქვს. რაკი დღემდე ძირითადად ქალები არიან საოჯახო საქმისა და ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელნი, მათ მამაკაცებზე მეტად სჭირდებათ და აწყობთ არასრული სამუშაო დღე, ან თუნდაც სრული სამუშაო დღე ოღონდ მოქნილი და არა დადგენილი საათებით.

არის მეორე მომენტიც, მაგ. დიდ ბრიტანეთში თანაბარი შესაძლებლობების კომისიის მიერ 2004 წელს განხორციელებულმა არასრული და მოქნილი სამუშაოს (part-time job) კვლევამ აჩვენა, რომ არასრული სამუშაო დღეზე მომუშავე ქალების ანაზღაურება თითოეული ნამუშევარი საათისათვის 40% ნაკლებია, ვიდრე მთლიან სამუშაო დღეზე დაკავებული მამაკაცებისა.

თანამედროვე პირობებში მოქნილი სამუშაო დღით მომუშავეთა რიცხვი იზრდება, მაგრამ ამგვარი მოდელის უფრო ფართოდ დანერგვას შემდეგი წინააღმდეგობები ხვდება:

- შრომის ბაზარი მოუქნელია და შეზღუდულ შესაძლებლობებს გვთავაზობს.
- მოქნილი სამუშაო დღის მოდელი ეფექტური რომ იყოს, მენეჯერსა და დაქირავებულს შორის კარგი კომუნიკაცია და ნდობაა საჭირო.
- ხშირად მოქნილი სამუშაო დროით მომუშავეს პრობლემები ექმნება საპენსიო სფეროში.

გენდერული ანალიზის ინსტრუმენტები მიმართულია სპეციფიურ სფეროსა თუ საკითხის გენდერული განზომილების გამოვლენისაკენ და აჩვენებს თუ როგორ არის დამოკიდებული სხვადასხვა ფაქტორები, გენდერზე, ასაკზე, სოციალურ ფენაზე, ეთნიკურობაზე.

არსებობს გენდერული ანალიზის სხვადასხვაგვარი ინსტრუმენტები, იმის შესაბამისად თუ რა სფეროს ან რა ტიპის პროგრამას ვაანალიზებთ. მაგალითად მოგვყავს გენდერული ანალიზის ერთერთი ინტრუმენტი, რომელიც გამოიყენება კონკრეტული შემოთავაზებული მიდგომის სხვადასხვა ჯგუფის უფლებამოსილების გაძლიერებაზე ზემოქმედების შესაფასებლად.

ლონგვეს უფლებამოსილებათა ჩარჩო

	ქალი		**მამაკაცი**	
	პროცესი	ზემოქმედება	პროცესი	ზემოქმედება
კონტროლი				
მობილიზაცია				
ცნობიერება				
მისაწვდომობა				
კეთილდღეობა				

წყარო: Gender Equity Builging Blocks, Care, 2002.